www.PDF.ChiaturaINFO.GE

ელიზ მაფაქი

ლირსება

ელიფ შაფაქი

ღირსება

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შვიდი წლის რომ ვიყავი, მწვანე სახლში ვცხოვრობდით. ერთი მეზობელი გვყავდა, ხელმარჯვე თერძი, რომელიც ცოლს ხშირად სცემდა. საღამოობით გვესმოდა ყვირილი, მოთქმა, გინება, დილით კი ცხოვრებას ისე ვაგრძელებდით, თითქოს არაფერი მომხდარა. მთელი სამეზობლო თავს იკატუნებდა, რომ ვერაფერს ხედავდა და არაფერი ესმოდა.

ეს წიგნი ეძღვნება მათ, ვინც ხედავს და ვისაც ესმის.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ესმა

ლონდონი, 12 სექტემბერი, 1992 წელი

დედაჩემი ორჯერ გარდაიცვალა. ჩემს თავს პირობა მივეცი, არ დამეშვა, მისი ამბავი დავიწყებას მისცემოდა. სამწუხაროდ, დღემდე ვერ გამოვნახე დრო, სურვილი ან გამბედაობა, წერა დამეწყო. არა მგონია, ოდესმე ნამდვილი მწერალი გავხდე. ამას დიდი ხანია, შევეგუე. უკვე იმ ასაკში ვარ, როცა შეზღუდვები და წარუმატებლობა ძილს აღარ მიფრთხობს, მაგრამ ეს ამბავი მაინც უნდა მომეთხრო, თუნდაც ერთი ადამიანისთვის. უნდა გამეგზავნა შორს, ქვეყნის ბოლოში, სადაც თავისუფლად ინავარდებდა. დედის წინაშე სწორედ ამ თავისუფლების ვალდებულება მქონდა. მეტიც, წიგნი მანამ უნდა დამემთავრებინა, სანამ მას ციხიდან გამოუშვებდნენ.

რამდენიმე საათში სეზამის ჰალვას ბუხრის თაროდან ჩამოვიღებ, ონკანთან დავდებ, გაგრილებას დავაცდი და ჩემს ქმარს ვაკოცებ, თან თავს მოვიკატუნებ, თითქოს, მის თვალებში შეშფოთებას ვერ ვამჩნევდე. შემდეგ ჩემს ტყუპ გოგონასთან ერთად სახლიდან გავალ — შვიდი წლისანი არიან, ოთხი წუთის განსხვავებით — და დაბადების დღის წვეულებაზე წავიყვან. გზაში იკინკლავებენ და პირველი შემთხვევა იქნება, როცა ამისთვის არ დავტუქსავ. ისინი მკითხავენ, იქნება თუ არა წვეულებაზე კლოუნი, ან უკეთესი — ჯადოქარი.

— როგორც ჰარი ჰუდინი, — ვიტყვი მე.

— ჰარი ვინ?

— ჰუ-დინი, — იტყვის ის, — შე სულელო!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ეგ ვინ არის, დედიკო?

ამ შეკითხვის მოსმენა ჩემთვის ფუტკრის ნაკბენივით მტკივნეული იქნება. კანზე ნაკლებად რომ გრძნობ, მაგრამ ხორცს კი გიწვავს. გამიელვებს, რომ გოგონებმა თავიანთი ოჯახის ისტორია თითქმის არ იციან, რადგან მათთვის არაფერი მომიყოლია (ამაზე წარსულშიც რამდენჯერ დავფიქრებულვარ). ერთ დღეს, როცა ისინი მზად იქნებიან, ყველაფერს მოვუთხრობ. მხოლოდ ისინი არა, როცა მეც მზად ვიქნები, მაშინ.

გოგოებს დავტოვებ, სხვა დედებს გამოველაპარაკები, მასპინძელს შევახსენებ, რომ ჩემს გოგოს თხილზე ალერგია აქვს. ტყუპის ერთმანეთისგან გარჩევა ძნელია, ამიტომ უმჯობესია, თვალყური ადევნოს, რომ არც ერთმა არ მიირთვას თხილიანი საკვები, დაბადების დღის ტორტიც კი. მართალია, ჩემი მეორე ქალიშვილის მიმართ უსამართლობაა, მაგრამ დედმამიშვილებს შორის ეს ხშირად ხდება, უსამართლობას ვგულისხმობ.

შემდეგ მანქანაში დავბრუნდები, წითელ „ოსტინ მონტეგოში“, რომელსაც მე და ჩემი ქმარი მორიგეობით ვმართავთ. ლონდონიდან შრიუსბერიმდე სამსაათ-ნახევარია. გზად, ბირმინგემში შესვლამდე, შევჩერდები და შევისვენებ. რადიოს ჩართულს დავტოვებ, მუსიკა მოჩვენებებს დამიფრთხობს.

ადრე მის მოკვლაზე მიფიქრია. შემიმუშავებია გეგმაც, რევოლვერის, საწამლავის ან უკეთესი, ჯაყვის გამოყენებით — რაღაც თვალსაზრისით, პოეტური სამართლიანობა იქნებოდა. მისთვის შენდობაზეც მიფიქრია, ბოლომდე და გულწრფელად. საბოლოოდ, ვერც ერთი ვერ შევძელი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

• • •

შრიუსბერიში რომ ჩავაღწევ, მანქანას რკინიგზის სადგურთან დავტოვებ და გავისეირნებ ციხის რუხი შენობისკენ, რომელიც, სულ რაღაც, ხუთი წუთის სავალზეა. ერთ ადგილას ვიტრიალებ ან მის მოლოდინში მთავარი შესასვლელის მოპირდაპირე კედელთან ავიტუზები. არ ვიცი, ამას რამდენი ხანი დასჭირდება. არც ის ვიცი, რა რეაქცია ექნება, როცა დამინახავს. წელიწადზე მეტია, არ მომინახულებია. ადრე ხშირ-ხშირად ვსტუმრობდი, მაგრამ გათავისუფლების დღის მოახლოებასთან ერთად, ვიზიტები შევწყვიტე.

რაღაც დროის შემდეგ მძიმე კარი შიგნიდან გაიღება და ის გამოაბიჯებს. თოთხმეტწლიანი პატიმრობის შემდეგ, თვალუწვდენელ სივრცეებს გადაჩვეული, ღრუბლებით დაფარულ ცას დაჟინებით შეაცქერდება. წარმოვიდგენ, მზის სინათლით შეწუხებული ღამეული არსებასავით როგორ მოჭუტავს თვალებს. მე ამ დროს გაუნძრევლად ვიდგები, ათამდე, ასამდე ან სამი ათასამდე დავითვლი. ჩვენ არ ჩავეხუტებით ერთმანეთს, არც ხელს ჩამოვართმევთ. უბრალოდ, თავს დავუქნევთ და ხმადაბლა მივესალმებით. როცა სადგურამდე მივალთ, ის მანქანაში ჩაჯდება. მისი ათლეტურობა გამაოცებს, თუმცა ჯერ ახალგაზრდაა.

თუ სიგარეტის მოწევა მოუნდება, წინააღმდეგობას არ გავუწევ, მიუხედავად იმისა, რომ კვამლის სუნი მძაგს და ჩემს ქმარს მანქანასა და სახლში მოწევას ვუკრძალავ. ინგლისურ სოფლებს, მშვიდ მდელოებსა და ღია ველებს ჩავუვლით. ქალიშვილებზე მკითხავს. ვეტყვი, რომ კარგად არიან და სწრაფად იზრდებიან. გაიღიმებს, მერე რა, რომ წარმოდგენა არ აქვს, რას ნიშნავს, იყო მშობელი. მე კი არაფერს ვკითხავ.

თან კასეტას წავიღებ. „აბბას“ ცნობილ ჰიტებს მოვუსმენთ — სიმღერებს, რომელსაც დედაჩემი ღიღინებდა საჭმლის მომზადებისას, დალაგების ან კერვის დროს. Take a Chan-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ce on Me, Mamma Mia, Dancing Queen, The Name of the Game, რადგან დარწმუნებული ვარ, ზემოდან დაგვცქერის. მჯერა, როცა გარდაიცვლებიან, დედები სასუფეველში არ მიდიან. ღვთისგან განსაკუთრებულ ნებართვას იღებენ, რაც შეიძლება დიდხანს დარჩნენ დედამიწაზე და შვილებზე იზრუნონ.

უკან, ლონდონში, როგორც კი ბარნსბერის მოედანთან მივალთ, პარკინგისთვის ადგილს მოვძებნი, თან ჩემთვის ვიბუზღუნებ. კრისტალის მინიატიურული წვეთები დაგვაწვიმს. ბოლოს, ვიპოვით ადგილს, სადაც, უამრავი მანევრის შესრულების შემდეგ, მანქანას გაჭირვებით დავაყენებ. შემიძლია, თავი მოვიტყუო, რომ კარგი მძღოლი ვარ, სანამ საქმე პარკირებაზე მიდგება. მაინტერესებს, მასხარად ამიგდებს თუ არა, ტიპური ქალი მძღოლივით ტარებისთვის. იყო დრო, როცა ნამდვილად დამცინებდა.

ერთად გავუყვებით სახლისკენ, ქუჩა ჩუმი და განათებული იქნება. წამით, ამ მიდამოებს შევადარებთ ჩვენს ძველ სახლს, რომელიც ლავენდერ-გროუვზე, ჰაკნიში მდებარეობდა. გავოცდებით, როგორი განსხვავებულია ახლა ყველაფერი, როგორ გარბის დრო, ჩვენ კი ვრჩებით.

შიგნით რომ შევალთ, ფეხსაცმელებს გავიხდით და ჩუსტებში წავყოფთ ფეხებს — ის ჩემი ქმრის ნაცრისფერში, მე — პომპონებიან ღვინისფერში. შუბლს შეჭმუხნის მის დანახვაზე. მე კი ავუხსნი, რომ ჩემი ქალიშვილების საჩუქარია. გულზე მოეშვება, როცა გაიგებს, რომ ჩუსტი მისი არ არის. შემთხვევით მოხდა ასე.

კარიდან დამაკვირდება, როგორ მოვადულებ ჩაის, რომელსაც ძალიან დაშაქრულს, რძის გარეშე მივართმევ, როგორც უყვარს, თუ ცხელში არ გადაიყვარა. შემდეგ სეზამის ჰალვით გავუმასპინძლდები. ფანჯარასთან დავსხდებით ერთად, ფაიფურის ჭიქებითა და თეფშებით ხელში, დარბაისელი უცნობებივით. ვუცქერთ, როგორ დააწვიმს იებს უკანა ეზოში. მზარეულობას შემიქებს, აღნიშნავს, როგორ ენატრებოდა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სეზამის ჰალვა, მაგრამ დამატებით ულუფაზე ზრდილობიანად იტყვის უარს. ვეტყვი, დედის რეცეპტს ვიყენებ, თუმცა მასავით გემრიელი არ გამომდის-მეთქი. ეს დაადუმებს. თვალებში შევაცქერდებით ერთმანეთს, მძიმე სიჩუმე ჩამოწვება. შემდეგ ბოდიშს მოიხდის, დაღლას მოიმიზეზებს. ოთახამდე მივაცილებ და კარს ნელა გამოვიხურავ.

იქ დავტოვებ, ჩემი სახლის ერთ-ერთ ოთახში. არც ძალიან შორს, არც ძალიან ახლოს. ოთხ კედელში, სიძულვილსა და სიყვარულს შორის. ორივე გრძნობა ჩემს გულშია ჩამწყვდეული.

ის ჩემი ძმაა.

ის, მკვლელი.

შაქრის ნატეხებივით სახელები

სოფელი მდინარე ევფრატის პირას, 1945 წელი

პემბე რომ დაიბადა, ნეიზი ისეთი ნაღვლიანი იყო, სულ გადაავიწყდა წამება, რაც ბოლო ოცდაექვსი საათის განმავლობაში გამოიარა, სისხლი მის ფეხებს შორის. წამოდგომა და გავლა სცადა. ყოველ შემთხვევაში, ყველა, ვინც იმ ხმაურიან დღეს მშობიარის ოთახში იყო, ასე ჰყვებოდა ამბავს.

ნეიზს როგორადაც უნდა მოენდომებინა წასვლა, ვერსად მიდიოდა. ოთახში მყოფი ქალისა და შიდა ეზოში მომლოდინე ქმრის, ბერზოს გასაოცრად, ტკივილის ტალღებმა აიძულა, საწოლში დაბრუნებულიყო. სამი წუთის შემდეგ მეორე ახალშობილის თავი გამოჩნდა. ჭარბი თმა, მოწითალო კანი, მთლად სველი და ნაოჭიანი. კიდევ ერთი გოგონა, მხოლოდ უფრო პატარა.

ამჯერად, ნეიზს გაქცევა აღარ უცდია. ამოიოხრა, თავი ბალიშში ჩარგო და ღია ფანჯრისკენ მიტრიალდა, თითქოს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქარში ბედისწერის ჩურჩულს უგდებდა ყურს. ეგონა, თუ გულისყურით მოუსმენდა, ზეცისგან პასუხს გაიგონებდა. მხოლოდ ალაჰმა უწყოდა, რატომ უბოძა კიდევ ორი ქალიშვილი, როცა უკვე ჰყავდათ ექვსი გოგონა და — არც ერთი ვაჟი.

ამიტომაც ნეიზმა თეთრეულის ნაკეცივით, მონდომებით მოკუმა ტუჩები, სიტყვაც არ უნდა დასცდენოდა, სანამ ალაჰი დამაჯერებლად არ აუხსნიდა თავის განგებულებას. ძილშიაც კი არ ხსნიდა პირს. ორმოცი დღისა და ორმოცი ღამის განმავლობაში სიტყვა არ უთქვამს. არც მაშინ, როდესაც ცხვრის კუდის ქონით თურქულ ბარდას ამზადებდა; არც მაშინ, როდესაც თავის ექვს ქალიშვილს დიდ, მრგვალ თუნუქის სათლში აბანავებდა; მაშინაც არა, ველური ხახვითა და სანელებლებით ყველი რომ ამოჰყავდა და არც მაშინ, როცა ქმარმა ჰკითხა, რა გსურს, ბავშვებს დაარქვაო. მდუმარე იყო, როგორც ფერდობზე შეფენილი სასაფლაო, სადაც მისი წინაპრები განისვენებდნენ და სადაც, ერთ დღეს, თავადაც დაიმკვიდრებდა სამუდამო ადგილს.

ეს იყო პირქუში, მიყრუებული ქურთული სოფელი, გზის, შუქის, ექიმისა და სკოლის გარეშე. იმ განცალკევებულ ბუდეში გარე სამყაროდან ძნელად აღწევდა ახალი ამბები. მეორე მსოფლიო ომის შედეგები, ატომური ბომბი... სოფლელებს მსგავსი არაფერი სმენოდათ. მიუხედავად ამისა, სწამდათ, სამყაროში, ევფრატს მიღმა, უცნაური ამბები ტრიალებდა. მსოფლიო იყო ის, რაც იყო და მისი აღმოჩენის მცდელობას აზრი არ ჰქონდა. ყველაფერი, რაც წარსულში მოხდა და ყველაფერი რაც მომავალში მოხდება, უკვე მათ თვალწინ, მათ გარშემო იყო, იქ და იმწუთას. ადამიანთა მოდგმა ერთ ადგილას დგომისთვის იყო ნაკურთხი, ისევე, როგორც ხეები და მთები. მხოლოდ სამი იყო გამონაკლისი: მოხეტიალე მისტიკოსი, რომელმაც წარსული დაკარგა, ბრიყვი, რომელმაც თავი დაკარგა და მიჯნური, რომელმაც საყვარელი დაკარგა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დერვიშების, ახირებულებისა და მიჯნურების გარდა, არავის არაფერი უკვირდა, მათთვის ყველაფერი იყო ისე, როგორც უნდა ყოფილიყო. ნებისმიერი რამ, რაც ერთ კუნჭულში მოხდებოდა, უმალ ყველას ყურამდე აღწევდა. საიდუმლო დიდი ფუფუნება იყო, მხოლოდ მდიდართათვის ხელმისაწვდომი. იმ სოფელში კი, რომელსაც მალა ჩარ ბაიანი, ანუ „ოთხი ქარის სავანე“ ერქვა, მდიდარი არავინ ყოფილა.

სოფლის უხუცესი სამი ტანმორჩილი, უბედური გამომეტყველების მამაკაცი იყო, მთელ დროს ჩაის სახლში ატარებდნენ, ღვთაებრივი სიბრძნის საიდუმლოსა და პოლიტიკოსების სიბეცის განხილვაში. თან კვერცხის ნაჭუჭივით თხელი და სიცოცხლესავით მსხვრევადი მინისგან დამზადებული ჭიქებიდან ჩაის წრუპავდნენ. როდესაც ნეიზის მდუმარების აღთქმის შესახებ შეიტყვეს, გადაწყვიტეს, მოენახულებინათ.

— მოვედით, რათა გაუწყოთ, მკრეხელობას სჩადიხარ, — თქვა პირველმა კაცმა, რომელიც ისეთი ბებერი იყო, მსუბუქი სიოც იოლად წააქცევდა.

— ნუთუ მოელი, რომ ყოვლისშემძლე ალაჰი თავის ნებას განგიცხადებს? ის ხომ მხოლოდ წინასწარმეტყველთ ესაუბრება, — დასძინა მეორემ, რომელსაც თითო-ოროლა კბილი შერჩენოდა, — მათ შორის კი ნამდვილად არასდროს ყოფილა ქალი.

მესამემ ხის ფესვებივით დაგრეხილი და ტლანქი ხელები გააქნია.

— ალაჰს სურს, ილაპარაკო. ასე რომ არ ყოფილიყო, თევზად მოგავლენდა.

ნეიზი უსმენდა და დანამულ თვალებს დროდადრო თავშლის ბოლოებით იმშრალებდა. სულ ერთი წუთით თავი თევზად წარმოიდგინა — მდინარეში მობინადრე დიდ, ყავისფერ კალმახად, მზეზე მბზინავი ფარფლებითა და წინწკლებზე ბაცი რგოლებით. არ იცოდა, რომ ცხოვრების გზაზე, მისი შვილები და შვილიშვილები სხვა თევზების მიმართ მიჯაჭვუ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლობას იგრძნობდნენ და წყალქვეშა სამეფოსთან სიახლოვე მომავალ თაობებსაც გადაეცემოდა.

— ილაპარაკე! — თქვა პირველმა მხცოვანმა, — მდუმარება შენი მოდგმის ბუნებას ეწინააღმდეგება. ის, რაც ბუნებას ეწინააღმდეგება, ალაჰის სურვილსაც უპირისპირდება.

მაგრამ ნეიზმა კვლავ არაფერი თქვა.

როდესაც პატივსაცემი სტუმრები წავიდნენ, ნეიზი ტყუპის აკვანს მიუახლოვდა. მოგიზგიზე ბუხრის ციალი ოთახს მოოქროსფრო-ყვითლად აფერადებდა და ჩვილების კანს ანგელოზებრივ, ნაზ ბრწყინვალებას სძენდა. გული მოულბა. მიუტრიალდა ექვს ქალიშვილს, რომლებიც მის გვერდით, სიმაღლის მიხედვით ჩამწკრივებულიყვნენ და ყრუ, ჩახლეჩილი ხმით უთხრა:

— ვიცი, რასაც დავარქმევ.

— გვითხარი, დედა! — წამოიყვირეს დედის ხმის გაგონებით გახარებულმა გოგონებმა.

ნეიზმა ყელი ჩაიწმინდა და დამარცხებულის ხმით წარმოთქვა:

— ეს იქნება ბექსტი და ის — ბიზი.

— ბექსტი და ბიზი, — გოგოებმა ექოსავით გაიმეორეს.

— ჰო, ჩემო შვილებო.

როცა ეს წარმოთქვა, ტუჩებზე თითები მიიდო, თითქოს სახელებმა ენის წვერზე მარილიანი და მწარე გემო დაუტოვა. ქურთულ ენაზე ბექსტი და ბიზი, თურქულად — კადერი და ეტერი, ყველა დანარჩენ ენაზე კი — „ბედისწერა“ და „საკმარისია“. მიუხედავად იმისა, როგორც მორწმუნე მუსლიმი, თავისი რელიგიის ერთგული იყო, ამ ხერხით ალაჰს განუცხადა, ერთი დედის წილი გოგოები უკვე მოვავლინე ამქვეყნადო. შემდეგში, როცა დაორსულდებოდა, უფალს ვაჟი უნდა ებოძებინა მისთვის. უკვე ორმოცდაერთ წელს მიატანა და იცოდა, მომდევნო ფეხმძიმობა უკანასკნელი იქნებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმავე საღამოს, როცა მამა დაბრუნდა, გოგონებმა სიხარულით ამცნეს ახალი ამბავი:

— მამიკო, მამიკო! დედა ალაპარაკდა.

მართალია, ეამა, ცოლმა ენა ისევ რომ ამოიდგა, მაგრამ სახელების გაგონებაზე სახე მოექუფრა. თავი უკმაყოფილოდ გაიქნია და რამდენიმე უხერხული წუთის განმავლობაში დუმდა.

— ბედისწერა და საკმარისია, — ამოილუღლუღა ბოლოს, თითქოს თავისთვის, — ეს ბავშვების სახელები კი არა, ზეცისთვის გაგზავნილი პეტიციაა.

ნეიზი საკუთარ ფეხებს დააცქერდა, თითქოს სურდა, გარღვეული შალის წინდიდან გამოჩრილი ცერა თითი მონდომებით შეესწავლა.

— ღვარძლით დარქმეულმა სახელებმა, შესაძლოა, გამჩენი განარისხოს, — განაგრძო ბერზომ, — რატომ გსურს, რისხვა დაგვატეხო თავს? ჯობს, უბრალო სახელები აარჩიო და უსაფრთხოდ ვიყოთ.

ეს რომ თქვა, პემბე და ჯამილა — „ვარდისფერი“ და „მშვენიერი“ შესთავაზა. შაქრის ნატეხებივით სახელები, ჩაიში რომ ჩაგიდნებოდა, ტკბილი და რბილი, ბასრი კიდეების გარეშე.

მიუხედავად იმისა, რომ ბერზოს გადაწყვეტილება საბოლოო იყო, ნეიზის არჩევანიც არ გახლდათ ხელწამოსაკრავი. ის სახელები ყველას მეხსიერებაში დარჩებოდა, გენეალოგიურ ხეს გამოებმებოდა, როგორც ქარში მოფარფატე, ტოტს გამოდებული ქაღალდის ორი ფრანი. ტყუპს ორ-ორი სახელით იცნობდნენ: პემბე კადერი და ჯამილა ეტერი — ვარდისფერი ბედისწერა და საკმარისი მშვენიერება. ვინ იფიქრებდა, რომ დადგებოდა დღე, როცა ამ სახელთაგან ერთ-ერთი მსოფლიოს ყველა გაზეთში დაიბეჭდებოდა?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფერები

სოფელი მდინარე ევფრატის პირას, 1953 წელი

პემბე პატარაობიდანვე ჭკუას კარგავდა ძაღლებზე. გიჟდებოდა, როგორ შეეძლოთ ამ ცხოველებს ღრმა ძილშიც კი, თვალდახუჭულებს, ადამიანთა სულებში ჩაეხედათ. უფროსების უმრავლესობას ეგონა, ძაღლებს ბევრი არაფერი ესმოდათ, მაგრამ გოგონას სწამდა, რომ ასე არ იყო. ისინი ყველაფერს ხვდებოდნენ, მაგრამ მიმტევებლები იყვნენ.

გოგონას განსაკუთრებით უყვარდა ერთი მეცხვარე ძაღლი — ყურპარტყუნა, დრუნჩა, შავ-თეთრი და მოწითალო ფერის ბეწვით. კეთილი ვინმე იყო, პეპლების დევნა და ტოტებთან დაჭერობანას თამაში ახალისებდა, თითქმის ყველაფერს გეახლებოდათ. კიტმირს ეძახდნენ, ზოგჯერ — ქუტოსა და დოდოსაც. სახელები ხშირად ეცვლებოდა.

ერთ დღეს, მოულოდნელად, ძაღლმა უცნაურად მოქცევა დაიწყო, თითქოს ავი ჯინი ჩაუსახლდაო. პემბემ მიალერსება რომ სცადა, ღრენით შეუტია და ხელზე უკბინა. მსუბუქ განაკაწრზე მეტად ძაღლის ხასიათის ცვლილებამ შეაშფოთათ. ბოლო ხანებში რაიონში ცოფის რამდენიმე შემთხვევა გამოვლინდა, სოფლის უხუცესები დაჟინებით მოითხოვდნენ ექიმთან წასულიყო, მაგრამ სამოცი მილის რადიუსში მსგავსი არავინ ცხოვრობდა.

ამიტომაც პემბესა და მამამისს, დიდ ქალაქში, ურფაში ჩასასვლელად, ორი ავტობუსის გამოცვლამ მოუწიათ. გოგონას იმის გაფიქრებაც კი ტანჯავდა, რომ მთელი დღე ტყუპისცალ ჯამილას გარეშე უნდა გაეტარებინა, თუმცა მამასთან ერთად დიდი ხნით მარტო დარჩენაც უხაროდა. ბერზო წარმოსადეგი, მხარბეჭიანი კაცი იყო, უხეში ნაკვთებითა და დიდი ულვაშით, გლეხის ხელებისა და საფეთქლებთან შევერცხლილი თმის პატრონი. მისი ღრმა, თაფლისფერი თვალები სიკეთეს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ასხივებდა. იმ შემთხვევებს თუ არ ჩავთვლით, როცა ბრაზი ერეოდა, უმეტესად, მშვიდი იყო. დარდობდა, ასე შორს წამოსვლამ, ვაჟის გამო რომ არ მოუწია. იშვიათად ლაპარაკობდა და კიდევ უფრო იშვიათად იღიმებოდა, მაგრამ შვილებთან ურთიერთობა ცოლზე უკეთ გამოსდიოდა. სანაცვლოდ, მისი რვავე ქალიშვილი მამის სიყვარულისთვის ეჯიბრებოდა ერთმანეთს.

ქალაქში მოგზაურობა მხიარული და ამაღელვებელი აღმოჩნდა, საავადმყოფოში ლოდინი კი — არა. ექიმს კართან ოცდასამი პაციენტი უცდიდა. პემბემ ზუსტად დაითვალა, რადგან რვა წლის თანასოფლელი გოგონებისგან განსხვავებით, ის და ჯამილა სკოლაში დადიოდნენ და თვლა იცოდნენ. სკოლის ძველი, ერთსართულიანი შენობა ორმოცი წუთის სავალზე იყო მათი სოფლიდან. საკლასო ოთახში ღუმელი იდგა და სითბოზე მეტ კვამლს გამოყოფდა. პატარები ერთი მხრიდან მიუსხდებოდნენ, შედარებით უფროსები — მეორიდან. ფანჯარას იშვიათად აღებდნენ და შიგნით ჰაერი მძიმე და გამომშრალი იყო შეშასავით.

სანამ სკოლაში დაიწყებდა სიარულს, პემბეს ეგონა, მთელ მსოფლიოში ყველას შეეძლო ქურთულ ენაზე საუბარი, მაგრამ მოგვიანებით მიხვდა, რომ ასე არ იყო. ზოგმა სულაც არ იცოდა ქურთული, მაგალითად, მასწავლებელმა — თხელი მოკლე თმითა და ნაღვლიანი თვალებით, თითქოს სტამბოლი, ძველი ცხოვრება რომ ენატრებოდა და ეს ღვთისგან მივიწყებული ადგილი სძაგდა. როცა მოსწავლეებს მისი არ ესმოდათ ან ქურთულ ენაზე ოხუნჯობდნენ, წყრებოდა. მცირე ხნის წინ, წესი შემოიღო: ვინც გაბედავდა ქურთულად დალაპარაკებას, კუთხეში, კლასთან ზურგშექცევით, ცალ ფეხზე დააყენებდა. მოსწავლეების უმრავლესობას მხოლოდ რამდენიმე წუთით სჯიდა, მერე პატიობდა იმ პირობით, რომ წესს აღარ დაარღვევდნენ. თუმცა ზოგჯერ, კედელთან ატუზული ბავშვი ავიწყდებოდა და საბრალოს, საათობით ცალ ფეხზე ტოვებდა. ამ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წესმა ტყუპში არაერთგვაროვანი შეფასება გამოიწვია. ჯამილა გაჯიუტდა, უარი თქვა მის დაცვაზე, პემბემ კი მონდომებით დაიწყო თურქულის, მასწავლებლის ენის შესწავლა, რათა ამ გზით მისი გული მოეგო.

დედა, ნეიზი, ვერავითარ აზრს ვერ ხედავდა სიტყვებისა და რიცხვების სწავლაში. სრულყოფილი განათლების მიღებამდე ისინი მაინც გათხოვდებოდნენ. სამაგიეროდ, მამა დაჟინებით მოითხოვდა მათგან განსწავლულობას.

— ყოველდღე წინ და უკან დადიან, ფეხსაცმელი უცვდებათ, — დრტვინავდა ნეიზი, — მერე და, რისთვის?

— იმისთვის, რომ კონსტიტუციის წაკითხვა შეეძლოთ, — მიუგო ბერზომ.

— კონსტიტუცია რა არის? — ეჭვით იკითხა.

— სამართალი, შე უვიცო ქალო! დიდი წიგნი! იქ წერია, რა შეიძლება, რა აკრძალულია და თუ განსხვავება არ იცი, დიდ გასაჭირში ამოყოფ თავს.

ნეიზმა ენა გააწკლაპუნა, ქმრის სიტყვებმა ვერაფერში დაარწმუნა.

— ეგ ჩემს ქალიშვილებს გათხოვებაში როგორ დაეხმარება?

— შენ რა გესმის? ერთ დღეს, თუ ქმრები ცუდად მოეპყრობიან, შეგუება არ მოუწევთ. დაავლებენ შვილებს ხელს და წავლენ.

— მერე და სად წავლენ?

ბერზოს ამაზე არ უფიქრია.

— თავშესაფარს მამის ჭერქვეშ იპოვიან, რა თქმა უნდა.

— აჰა, აი, თურმე, რისთვის გადიან მომქანცველ გზას დღეში ორჯერ და თავს რითი იტენიან! იმ სახლს რომ დაუბრუნდნენ, სადაც დაიბადნენ, არა?

— წადი და ჩაი მომიტანე, — გაცხარდა ბერზო, — ზედმეტს ნუ ლაპარაკობ.

— შეეშვი მაგაზე ფიქრს, — ჩაიბუტბუტა სამზარეულოს-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კენ მიმავალმა ნეიზმა, — ჩემი არც ერთი ქალიშვილი ქმარს არ მიატოვებს. თუ არა და, გონების დაკარგვამდე ვცემ. მკვდარი რომ ვიყო, მოჩვენებად დავბრუნდები!

მართალია, ცხელ გულზე დაიმუქრა, მაგრამ მისი სიტყვები წინასწარმეტყველებასავით კი ახდა. სიკვდილიდან მრავალი წლის შემდეგაც კი დაბრუნდებოდა, გამოეცხადებოდა ქალიშვილებს. ზოგს უფრო ხშირად, ზოგსაც — ნაკლებად. ჯიუტი ქალი იყო. ძაღლებისგან განსხვავებით, წყენას არასოდეს ივიწყდებდა და არასდროს აპატიებდა.

ახლა, სანამ საავადმყოფოში იცდიდნენ, პემბე ბავშვური თვალებით რიგში მდგომ ქალებსა და კაცებს მიაჩერდა. ზოგი ეწეოდა, ზოგიც სახლიდან წამოღებულ ცარიელ პურს მიირთმევდა, ვიღაც ჭრილობებს უვლიდა, სხვა ტკივილისგან ღრიალებდა. ყველაფერს მყრალი სუნი ასდიოდა, ოფლის, სადეზინფექციო საშუალებებისა და სიროფის ნაზავი.

გოგონა თითოეული პაციენტის მდგომარეობას აკვირდებოდა და სულ უფრო აღტაცებაში მოჰყავდა ექიმს, რომელსაც მალე შეხვდებოდა. გადაწყვიტა, რომ კაცი, რომელიც ამდენ დაავადებას კურნავდა, არაჩვეულებრივი ადამიანი იყო. წინასწარმეტყველი. მაგნუსი. უკვდავი ჯადოქარი, სასწაულმოქმედი თითებით. მათი რიგი რომ მოვიდა, გოგონა უკვე ცნობისმოყვარეობით იყო სავსე და მამას ექიმის ოთახში მოწადინებული შეჰყვა.

შიგნით ყველაფერი ქათქათებდა. სითეთრე არ ჰგავდა შადრევნის თავზე მოქცეულ ქაფს, არც ზამთრის ღამეს ჩამობარდნილ თოვლს, არც იმ ველური ხახვის ფერი იყო, ყველისთვის რომ იყენებდნენ. მსგავსი ფერი გოგონას მანამდე არ ენახა — მყარი და ზებუნებრივი. მისი სიცივისგან აჟრიალებდა. სკამები, კედლები, იატაკი, სამედიცინო მაგიდა, ჭიქები და სკალპელიც კი გადარეცხილი იყო იმ არაფერით. პემბეს არასოდეს უფიქრია, რომ თეთრი შეიძლებოდა ასეთი დამაბნეველი, ასეთი შორი და ასეთი ბნელი ყოფილიყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კიდევ უფრო იმან განაცვიფრა, რომ ექიმი ქალი აღმოჩნდა. მაგრამ დედამისს, დეიდებსა და მეზობლებს სრულებით არ ჰგავდა. მის წინაშე მდგომ ექიმს პემბესთვის ნაცნობი არც ერთი ქალური თვისება არ ახასიათებდა. გრძელი მოსასხამის ქვეშ მოკლე ქვედაბოლო, საუკეთესო შალისგან ნაქსოვი წინდები და ტყავის ჩექმა ეცვა. ოთხკუთხა სათვალე მობუზულ ბუს ამსგავსებდა. განა, ბავშვს ოდესმე ენახა მობუზული ბუ, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ ფრინველი სწორედ ასე გამოიყურებოდა. ნანახმა გააოცა — როგორ არ ჰგავდა ექიმი იმ ქალებს, რომლებთან ერთადაც პემბე დილიდან შებინდებამდე ყანაში მუშაობდა. მათ მზისგან დაღარული სახეები ჰქონდათ და შვილებს მანამ აჩენდნენ, სანამ ვაჟი არ ეყოლებოდათ. აქ კი მის წინ იდგა ქალი, რომლის სიტყვაზე მრავალი ხალხის ბედი იყო დამოკიდებული, მათ შორის, მამაკაცებისაც. თვით ბერზომაც კი მოიხადა ქუდი მისი დანახვისას.

ექიმმა მამასა და ქალიშვილს ერთი უხალისო მზერა შეავლო, თითქოს მათი არსებობა ღლიდა და ანაღვლიანებდა. დაძაბული დღის ბოლოს, მამა-შვილის განკურნების სურვილი დიდად არ ჰქონდა. თავად არ გასაუბრებია, შეკითხვებს ექთანი სვამდა.

— როგორი ძაღლი იყო? დუჟი გადმოსდიოდა პირიდან? წყლის დანახვაზე უცნაურად იქცეოდა? სხვასაც თუ უკბინა სოფელში? ვინმემ გასინჯა? — ექთანი ისე სწრაფად ლაპარაკობდა, თითქოს წამმზომი ჩაურთეს და დრო ეწურებაო. პემბეს უხაროდა, რომ დედა არ წამოჰყვა. ნეიზი ვერ მიხვდებოდა, რას ეტყოდნენ და არასწორ დასკვნებს გამოიტანდა. სანამ ექიმი რეცეპტს წერდა, ექთანმა ბავშვს ნემსი გაუკეთა. ტკივილმა გოგონა ისე აატირა, რომ დერეფანში გამოსულიც კი ქვითინებდა. უცხო ხალხის დანახვამ უარეს დღეში ჩააგდო. ამ დროს მამამ ჩასჩურჩულა, ჩუმად თუ იქნები და კარგად მოიქცევი, კინოთეატრში წაგიყვანო. პემბე იმწამსვე გაიტრუნა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თვალები მოლოდინით აუციმციმდა. სიტყვა „კინოთეატრი“ ფოჩიანი კანფეტივით იყო, მნიშვნელობა არ იცოდა, თუმცა, შიგნით ნამდვილად რაღაც კარგი იმალებოდა.

* * *

ქალაქში ორი კინოთეატრი იყო. დიდს პოლიტიკოსების გამოსვლებისთვის უფრო იყენებდნენ, ვიდრე — მსახიობებისა და მუსიკოსებისთვის. არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ ხალხი გროვდებოდა. წარმოთქვამდნენ მხურვალე სიტყვებს, ჰაერი დაპირებებისა და პროპაგანდის სურნელით იჟღინთებოდა.

მეორე კინოთეატრი ბევრად მოკრძალებული, მაგრამ არანაკლებ პოპულარული გახლდათ. მფლობელის გემოვნების მიხედვით არჩეული ფილმების ხარისხი განსხვავდებოდა, პოლიტიკურ ტირადებს თავგადასავლები ერჩივნა და კონტრაბანდისტებს გულუხვად უხდიდა ფულს, რომ ახალი ფილმები, თამბაქო და სხვა კონტრაბანდული პროდუქტი ჩამოეტანათ. ურუფის მოსახლეობას ნანახი ჰქონდა ჯონ ვეინის არაერთი ვესტერნი, „კაცი ალამოდან“, „იულიუს კეისარი“, „ოქროს ციებ-ცხელება“ და სხვა ფილმები მუქულვაშიანი დაბალი, სასაცილო კაცის მონაწილეობით.

იმ დღეს უჩვენებდნენ თურქულ შავ-თეთრ ფილმს, რომელსაც პემბემ, თავიდან ბოლომდე, ოდნავ პირდაღებულმა უყურა. მთავარი გმირი ერთი ღარიბი, ლამაზი გოგო იყო, რომელსაც მდიდარი და განებივრებული ბიჭი შეუყვარდა, თუმცა ვაჟი სიყვარულის ძალამ შეცვალა. შეყვარებულ წყვილს, ბიჭის მშობლების ჩათვლით, ყველა ამცირებდა და მტრობდა. ქალ-ვაჟი მდინარის ნაპირას, ტირიფის ხის ქვეშ, ერთმანეთს უჩუმრად ხვდებოდა. დასევდიანებულებს, ერთიმეორის ხელი ეჭირათ და ნაღვლიანად მღეროდნენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პემბეს კინოთეატრში ყველაფერი მოსწონდა — ორნამენტებიანი ფოიე, მძიმე, დრაპირებული ფარდები, სქელი, კეთილი ბინდი. ერთი სული ჰქონდა, ჯამილასთვის მოეთხრო ამ ახალი საოცრების შესახებ. ავტობუსში, უკანა გზაზე, ფილმის მუსიკას ღიღინებდა გაუჩერებლად.

შენი სახელი ჩემს ბედზეა ამოტვიფრული,
შენი სიყვარული მიჩქეფს ძარღვებში,
და თუ ოდესმე სხვას გაულიმებ,
თავს დავიღუპავ ან მწუხარება მომკლავს მანამდე.

პემბე ირხეოდა და ხელებს შლიდა, მგზავრები ტაშს უკრავდნენ და ამხნევებდნენ.

ბოლოს, როცა გაჩუმდა, უფრო დაქანცულობის და არა მორიდების გამო, ბერზოს გაეცინა და თვალის კუთხეები დაეჭმუჭნა.

— ჩემი ნიჭიერი გოგო, — სიამაყით წარმოთქვა.

პემბემ სახე მამის განიერ მკერდში ჩამალა და ლავანდის სუნამოს სურნელი შეისუნთქა, ბერზოს ულვაშზე რომ შეეპკურებინა. პემბემ არ იცოდა, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი წუთები იყო მის ცხოვრებაში.

* * *

სახლში დაბრუნებულებს, ჯამილა სავალალო მდგომარეობაში დახვდათ — დასივებული თვალებითა და შეშუპებული სახით. მთელი დღე ფანჯარასთან იცდიდა, თმას აწვალებდა და ქვედა ტუჩს იკვნეტდა. მერე, მოულოდნელად და უმიზეზოდ, აზლუქუნდა. დედა და დები ეცადნენ, დაემშვიდებინათ, მაგრამ ამაოდ, ჯამილა ქვითინს არ წყვეტდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— როდის დაიწყო ჯამილამ ტირილი? რა დრო იყო? — იკითხა პემბემ.

ნეიზი დაფიქრდა.

— მგონი, ნაშუადღევს. რატომ კითხულობ?

პემბეს პასუხი არ გაუცია. რისი გაგებაც სურდა, შეიტყო. მან და მისმა ტყუპისცალმა, მანძილის მიუხედავად, ერთსა და იმავე დროს მორთეს ქვითინი. ამბობდნენ, ტყუპი ერთი სულია ორ სხეულშიო, მაგრამ ისინი გაცილებით მეტი იყვნენ — ერთი სული და ერთი სხეული. ბედისწერა და საკმარისია. როცა ერთი თვალებს ხუჭავდა, მეორე ბრმავდებოდა, როცა ერთი დაშავდებოდა, მეორეს სისხლი სდიოდა და როცა ერთს კოშმარები ესიზმრებოდა, მეორეს გული გამალებით უცემდა.

იმავე საღამოს პემბემ ჯამილას ცეკვის ის მოძრაობები ასწავლა, კინოში რომ ნახა. რიგრიგობით ირგებდნენ მთავარი პერსონაჟის როლს, ტრიალებდნენ, კოცნიდნენ, შეყვარებული წყვილივით ერთმანეთს ეხუტებოდნენ და თან ხითხითებდნენ.

— რა ხმაურია? — მკაცრად იკითხა ნეიზმა. ბრინჯს ასუფთავებდა სინზე.

— უბრალოდ, ვცეკვავდით, — გაღიზიანებულმა პემბემ თვალები გადაატრიალა.

— რატომ იქცევით ასე? — ნეიზი გაწყრა, — თქვენ რა, მეძაობა ხომ არ გადაწყვიტეთ?

პემბემ არ იცოდა „მეძავის“ მნიშვნელობა, მაგრამ ვერ გაბედა, ეკითხა. იგრძნო, აღშფოთების ტალღებმა როგორ გადაუარა — რატომ არ შეეძლო დედამისს, ავტობუსის მგზავრების მსგავსად, სიმღერებით დამტკბარიყო? რატომ იყვნენ უცნობები უფრო შემწყნარებლები, ვიდრე ღვიძლი დედა? ამაზე ფიქრობდა, როცა გაიგონა, ჯამილამ ნაბიჯი რომ გადადგა და დამნაშავედ ამოილუღლუღა:

— გვაპატიე, დედა. მეორედ აღარ ვიზამთ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პემბემ ტყუპისცალს გადახედა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ულალატეს.

— თქვენივე სიკეთისთვის გეუბნებით. დღეს თუ ბევრს იცინით, ხვალ ბევრს იტირებთ. ჯობს, ახლავე იგრძნოთ თავი ცუდად, ვიდრე მომავალში.

— არ მესმის, რატომ არ შეიძლება, დღესაც ვიცინოთ, ხვალაც და ზეგაც? — იკითხა პემბემ.

ახლა ჯამილას ჯერი იყო, წარბები შეეკრა. დის უტიფრობამ გააოცა და თან, უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. სუნთქვა შეეკრა, როცა წარმოიდგინა, ამას რა მოჰყვებოდა: ცომის გასაბრტყელებელი ჯოხი. გოგონებიდან ერთ-ერთი ზღვარს თუ გადავიდოდა, ნეიზი ორივეს სამზარეულოს წვრილი ხის ჯოხით სცემდა. უკანალსა და ზურგზე ურტყამდა, სახეში — არასოდეს. გოგოს სილამაზე მზითვად უნდა წაელო. ტყუპს აოცებდა, რომ ეს საძულველი ჯოხი მათი საყვარელი ცომეულის დასამზადებლადაც გამოიყენებოდა.

იმ საღამოს ნეიზს არავინ დაუსჯია. ცხვირი აიპრიხა, თავი გააქნია და შორს გაიხედა, თითქოს ნატრობდა, სხვაგან ვიყოო. როცა კვლავ დაილაპარაკა, მშვიდი ხმა ჰქონდა.

— მოკრძალება ქალის ერთადერთი ფარია, — თქვა მან, — დაიმახსოვრეთ; თუ მოკრძალებას დაკარგავთ, გახვრეტილ კურუშზე მეტი ფასი არ გექნებათ. სამყარო სასტიკია, არ შეგიცოდებთ.

პემბემ, გონების თვალით, ჰაერში მონეტა ააგდო და უყურებდა, ხელისგულზე როგორ დაეცა. ყოველთვის ორი მხარე იყო და მხოლოდ და მხოლოდ ორი. მოგება ან წაგება. ღირსება ან დამცირება და ძალიან მცირე ნუგეში მათთვის, ვისაც არასწორი მხარე ერგებოდა.

ნეიზმა მჭევრმეტყველება განაგრძო. თურმე, ქალები მსუბუქი, თეთრი ბატისტისგან იყვნენ შეკერილები, კაცები კი სქელი, მუქი ნაჭრისგან. უფალმა ასე შეკერა ქალი და კაცი: ერთი მეორეზე აღმატებულია. რატომ მოიქცა უზენაესი ასე,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეს ადამიანების საქმე არ იყო. მნიშვნელოვანი ის გახლდათ, რომ მუქ ნაჭერზე ლაქები არ ჩანდა, თეთრზე კი მტვრის ნაწილაკიც კი შესამჩნევი იყო. ნეიზი იმას გულისხმობდა, რომ ღირსებაშელახულ ქალს უმალ გამოარჩევდი, ის ყველას სალაპარაკო გახდებოდა. შესაბამისად, თუ ქალწული კაცს დანებდებოდა — რომც ჰყვარებოდა ის კაცი — ყველაფერს კარგავდა, მამაკაცი — არაფერს.

მიწაზე, სადაც ვარდისფერი ბედისწერა და საკმარისი სილამაზე იშვნენ, „ღირსება“, უბრალოდ, სიტყვა კი არა, სახელიც იყო. ღირსება შეგეძლოთ დაგერქმიათ შვილისთვის, თუმცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ბიჭი გეყოლებოდათ. მამაკაცებს — მოხუცებს, შუახნის კაცებს, სკოლის მოსწავლე ბიჭებს ჰქონდათ ღირსება. ქალებს კი არ გააჩნდათ. სამაგიეროდ, გააჩნდათ სირცხვილი. რასაკვირველია, სირცხვილი არც ისე სასიამოვნო დასარქმევი სახელი იყო.

დედის მოსმენისას პემბეს ექიმის კაბინეტის სითეთრე მოაგონდა. უხერხულობა ისევ იგრძნო, ოღონდ, უფრო ძლიერი. ფიქრობდა სხვა ფერებზე — ლილისფერ ლურჯზე, ფისტისფერ მწვანესა და ფუნდუკისფერ ყავისფერზე, და — სხვა ქსოვილებზე — ხავერდზე, გაბარდინსა და ფარჩაზე. სამყარო ისეთი მრავალფეროვანი იყო, იმაზე ბევრად მეტი რამ არსებობდა, რაც გამოსუფთავებული ბრინჯის სინზე შეგეძლო გეპოვა.

პემბეს ცხოვრების მრავალ ირონიათაგან ერთ-ერთი: რისი მოსმენაც მაშინ ნეიზისგან სძაგდა, საკუთარ ქალიშვილ ესმას, სიტყვასიტყვით გაუმეორა წლების შემდეგ, ინგლისში.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ასკანდერ... ასკანდერ...

სოფელი მდინარე ევფრატის პირას, 1962-1967 წლები

პემბე დაუსაბუთებელი აზრებისა და უსაფუძვლო შიშების ქალი იყო. ეს ორი თვისება მასში წლებთან ერთად კი არა, უცებ განვითარდა. ცრუმორწმუნე თითქმის ერთ ღამეში გახდა. იმ ღამეს, როცა ასკანდერი მოევლინა ქვეყანას.

ლამაზი და საზრიანი პემბე ჩვიდმეტი წლის იყო, დედა რომ გახდა. მკრთალ შუქში მობანავე ოთახში იჯდა და აკვანს დაჰყურებდა. თითქოს ჯერაც ვერ დაეჯერებინა, სათუთი, ვარდისფერთითებიანი ბავშვი, რომელსაც გამჭვირვალე კანი ჰქონდა და პაწია ცხვირზე იასამნისფერი ლაქა აჩნდა, ყველა წინააღმდეგობას გაუმკლავდა და გადარჩა. არ სჯეროდა, რომ ამიერიდან ის მისი შვილი იყო, მხოლოდ და მხოლოდ მისი. ვაჟი შეეძინა — ვაჟი, რომელზეც პემბეს დედა მთელი ცხოვრება ოცნებობდა და ლოცულობდა.

ტყუპის გაჩენის შემდეგ ნეიზი კიდევ ერთხელ დაორსულდა. ამჯერად ბიჭი უნდა ჰყოლოდა, სხვანაირად ვერ წარმოედგინა. მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცოდა მკრეხელობდა, მაინც ამბობდა, — ალაჰი დავალებულია ჩემგანო. შემოქმედთან ფარული გარიგება დადო. ამდენი გოგოს მერე ბიჭს მოუვლენდა. ამ რწმენით, ნეიზი მომავალი ვაჟისთვის თვეების განმავლობაში მუქი ლურჯი ფერის ძაფებისგან პატარა საბნებს, წინდებსა და პერანგებს ქსოვდა. არავის უგდებდა ყურს, ბებიაქალსაც კი, რომელმაც წყლების დაღვრის შემდეგ გასინჯა და წყნარი ხმით უთხრა, ჩვილი არასწორ პოზიციაშია, ჯობს ქალაქში წახვიდეთო. დრო ჯერ კიდევ არის, თუ ახლავე გაემგზავრებით, საავადმყოფოში მანამ მიხვალთ, სანამ სამშობიარო ტკივილები დაგეწყებაო.

— არავითარ შემთხვევაში, — ნეიზმა წინააღმდეგობა გაუწია და ბებიაქალს მწველი მზერა ესროლა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყველაფერი რიგზე იყო და უფალს ებარებოდა. ორმოცდაცხრა წლის ნეიზისთვის ეს ბავშვი ნამდვილ სასწაულად იქცეოდა. საკუთარ სახლში, საკუთარ საწოლში გააჩენდა ახალშობილს, წინა მშობიარობების მსგავსად, თუმცა ამჯერად, ვაჟი დაიბადებოდა.

პათოლოგიური მშობიარობა ჰქონდა. ბავშვი ძალიან დიდი იყო და ფეხები არასწორად ელაგა. საათები გავიდა. არავინ ითვლიდა, რამდენი. უილბლობის მომტანიაო. თანაც, დროს ალაჰი, ღვთიური მესაათე განაგებდა. რაც მოკვდავთათვის აუტანლად ხანგრძლივი ჩანდა, მისთვის თვალის დახამხამებასავით იყო. შესაბამისად, კედლის საათს შავი ხავერდი ჩამოაფარეს, ისევე როგორც, ყველა სარკეს, რაც სახლში ჰქონდათ. სარკეს უხილავი სამყაროს კარიბჭედ თვლიდნენ.

— მეტს ველარ გაიჭინთება, — თქვა დამსწრე ქალთაგან ერთ-ერთმა.

— ჰოდა, ჩვენ დავეხმარებით, — მტკიცედ განაცხადა ბებიაქალმა, მაგრამ თვალებში შიში ჩასდგომოდა.

ბებიაქალმა ხელი ნეიზის საშოში შეყო და მანამდე აფათურა, სანამ თითებში ბავშვის გლუვი, სრიალა კანი იგრძნო. სუსტი გულის ცემა ისმოდა, აშიშინებული, თითქმის ჩამწვარი სანთელივით. დინჯად, მაგრამ მტკიცედ ცდილობდა, ბავშვი საშოშივე შემოეტრიალებინა. ერთხელ. ორჯერ. მესამე ცდაზე უფრო შეეცადა, უკვე ჩქარობდა. ამჯერად ჩვილი გაინძრა, მაგრამ საკმარისად არა. მისი თავი ჭიპლარს ეკვროდა, რაც ჟანგბადის მიწოდებას უშლიდა ხელს.

ნეიზმა ბევრი სისხლი დაკარგა, ნელ-ნელა ქრებოდა, სახეზე ზამთრისფერი დაედო. არჩევნის დრო დადგა. ბებიაქალი მიხვდა, რომ ერთ-ერთი გადარჩებოდა — დედა ან შვილი. ორივესთვის სიცოცხლის შენარჩუნების გზა არ არსებობდა. ქალის სინდისი უმთვარო ღამესავით ჩუმი და ბნელი იყო. უმალ გადაწყვიტა, დედას გადავარჩენო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმწუთას ნეიზმა, რომელიც თვალებდახუჭული, სიკვდილთან მოთამაშე, სისხლიანი და შეურაცხყოფილი იწვა, თავი წამოსწია და დაიყვირა: „არა, შე კახპავ!“

არაადამიანური ხმა აღმოხდა. მწოლიარე ქალი ნადირს დაემსგავსა. დამშეული და გააფთრებული, ნებისმიერს დაესხმოდა თავს, ვინც გადაეღობებოდა. თითქოს უღრან ტყეში დაძრწოდა, სადაც მზე მოციმციმე ოქროსფრად და ჟანგისფრად ღებავდა ფოთლებს — თავისუფალი იყო, ასეთი არასოდეს ყოფილა. ოთახში მყოფებმა იეჭვეს, ჭკუიდან ხომ არ შეცდაო. მხოლოდ გიჟს თუ შეეძლო, ასე ეყვირა.

— გამჭერი, შე ძუკნავ! ამოიყვანე! — უბრძანა ნეიზმა და სიცილი დაიწყო, თითქოს იმ მდგომარეობაში იყო, როცა უკვე ყველაფერი სასაცილოა.

— ბიჭია, ვერ ხედავ? ჩემი ვაჟი მოდის! შე ღვარძლიანო, შურიანო კახპავ. აიღე მაკრატელი! ახლავე! გამიჭერი მუცელი და ამოიყვანე ჩემი ვაჟი!

მსხვერპლის თავზე მოფარფატე სვავების მსგავსად, ოთახში წრიულად დაფრინავდა ბუზების გუნდი. ყველგან სისხლი იყო. ხალიჩებს, ზეწრებსა და კედლებს მეტისმეტი მრისხანება და გულისწყრომა მიეცხო. ჰაერი გულცივად დამძიმდა. ბუზები... ოღონდაც ბუზები გამქრალიყვნენ.

ნეიზი ვერ გადარჩა. დიდხანს ვერც ბავშვმა იცოცხლა — ბავშვმა, რომლის სქესშიც მთელი ის დრო ცდებოდა ქალი. მისი მეცხრე ახალშობილი, ჩვილი, რომელმაც მოკლა და მერე წყნარად მიიცვალა, გოგონა იყო.

ჰოდა, 1962 წლის ნოემბრის იმ დღეს პემბე გახელილი თვალებით იწვა თავის ლოგინში, რომელშიც ნაშუალამევს პირმშო შეეძინა და დანაღვლიანებული ფიქრობდა ღმერთის ახირებულობაზე, მხოლოდ ჩვიდმეტი წლის იყო და უკვე ვაჟს აწოვებდა ძუძუს. ეჭვობდა, რომ სადღაც ზეციდან, უფერული ნათლიდან, დედამისი შურით გადმოსცქეროდა. რვა მშობიარობა, ხუთი მუცლის მოშლა, ერთი მკვდარი ბავშვი და არც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერთი ბიჭი... აი, ჩემს ფუქსავატ ქალიშვილს კი უკვე აჩუქე ჯანმრთელი ვაჟი. რატომ, ალაჰ? რატომ?

ნეიზის ხმა ყურებში ექოდ ჩაესმოდა, სანამ მრისხანების გორგლად არ იქცა, მკერდზე ჩამოგორდა და მუცელში დაბუდდა. რამდენადაც ცდილობდა, გამკლავებოდა შიშს, ის იმდენად უტევდა, პემბეს გონებაში ბზრიალებდა. ველარსად დაემალებოდა ავ თვალს, გარდაცვლილი დედის ბოროტ მზერას. მას მერე, რაც ის მზერა პირველად შენიშნა, ყველგან ხედავდა. მაშინაც, როცა მარცვლეულსა და კეშიუს როდინში ნაყავდა, რათა ფაფად ექცია და ეჭამა თავისი რძის გასანოყიერებლად; წვიმის წვეთებშიც, ფანჯრის მინებზე რომ ნაკადულებად ჩამოდიოდა, ნუშის ზეთშიც, ყოველი დაბანის შემდეგ თმაში რომ იზელდა და სქელ, მაწვნის სუპშიც, ღუმელზე რომ თუხთუხებდა.

„მოწყალეო ალაჰ, გთხოვ, დედაჩემს საფლავში თვალები დაახუჭვინე და ჩემი ვაჟი ძლიერ, ჯანსაღ ბიჭად გაზარდე“, — ლოცულობდა პემბე და ირწეოდა, თითქოს ბავშვს კი არა, მას სჭირდებოდა დაძინება.

* * *

ორსულობის განმავლობაში პემბეს კოშმარები ესიზმრებოდა. ასე მოხდა იმ ღამესაც, როცა ისკანდერი დაიბადა. თუმცა ბოლო სიზმარი იმდენად რეალური იყო, რომ გაღვიძების შემდეგ პემბეს ნაწილი სიზმრების არამდგრად სამყაროში დარჩა, ბოლომდე ველარასდროს გამოფხიზლდა.

ფართოდ გახელილი თვალებითა და დიდი მუცლით, ორნამენტებიან ხალიჩაზე გულაღმა მწოლიარე საკუთარ თავს დასცქეროდა. თავზემოთ ღრუბლები დაცურავდა, ძალიან ცხელოდა. მერე მიხვდა, რომ ხალიჩა წყლის ზედაპირზე ტივტივებდა. საკუთარი სხეულის ქვეშ დაუდგრომელ მდინარეს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გრძნობდა. „როგორ არ ვიძირები?“ — გაიფიქრა. საპასუხოდ ცა გაიხსნა და წყვილი ხელი გამოჩნდა. უფლის ხელები იყო? თუ გარდაცვლილი დედის? ამას ვერ მიხვდა. მუცელი გაუჭრეს. ტკივილს არ შეუწუხებია, მხოლოდ მომხდარმა შეაძრწუნა. შემდეგ ხელებმა ახალშობილი — პატარა, გათქვირული ბიჭუნა მუქი ბროლისფერი თვალებით — მუცლიდან ამოიყვანეს. სანამ პემბე შეხებას ან გულში ჩაკვრას მოასწრებდა, ხელებმა ბავშვი წყალში ჩააგდეს. მოტივტივე ხის მორზე მწოლიარე ჩვილი წყალმა წაიღო, კალათაში ჩაწვენილი მოსე წინასწარმეტყველივით.

პემბემ სიზმარს ერთადერთ ადამიანს მოუყვა. თხრობისას თვალები ანთებოდა და ეწვოდა, თითქოს სიცხე ჰქონდა. ჯამილამ მოუსმინა და, შეიძლება იმიტომ, რომ ასე სჯეროდა, ან იმიტომ, რომ ნეიზის აჩრდილისგან ტყუპისცალის გათავისუფლება უნდოდა, სიზმარი ასე აუხსნა:

— ნამდვილად გაგთვალეს. ალბათ ჯინმა.

— ჯინი, — ექოსავით გაიმეორა პემბემ.

— ჰო, საყვარელო. ჯინებს უყვართ სკამებსა და სავარძლებში ჩამოძინება, არ იცოდი? მოზრდილი ჯინები ასწრებენ გაქცევას, როცა ადამიანი მოდის, მაგრამ პატარები ასეთი სწრაფები არ არიან. ორსული ქალი კი მძიმე და მოუხერხებელია. ეტყობა, პატარა ჯინს დააჯექი და გაჭყლიტე.

— ღმერთო ჩემო!

ჯამილამ ცხვირი შეიჭმუხნა, თითქოს ცუდი სუნი იგრძნოო.

— ალბათ, დედა ჯინი შურის საძიებლად მოვიდა და ჯადო გაგიკეთა.

— რა უნდა ვქნა?

— არ იღელვო, რაც უნდა გაბრაზებული იყოს, ყოველთვის მოიძებნება გზა, რომ ჯინს ასიამოვნო, — დამაჯერებლად განაცხადა.

ამგვარად, სანამ პემბე ახალშობილს უვლიდა, ჯამილამ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აიძულა, გამხმარი პური მაწანწალა ძაღლებისთვის გადაეგდო და გამოქცეულიყო; მწიკვი მარილი გადაეყარა მარცხენა მხარს უკან და მწიკვი შაქარი მარჯვენა მხარს უკან; გაევლო ახალმოხნულ ყანებში და ობობას ქსელების ქვეშ; სახლის ყოველ ნაპრალში წმინდა ვარდის წყალი ჩაეღვარა; ორმოცი დღის განმავლობაში ყელზე ავგაროზი ეტარებინა. ასე იმედოვნებდა პემბეს განკურნებას დედამისის აჩრდილის შიშისგან. თუმცა სანაცვლოდ, ჯამილამ დისთვის ცრურწმენების სამყაროს კარი შეაღო, კარი, რომლის არსებობის შესახებ პემბემ მუდამ იცოდა, მაგრამ არასოდეს გაერისკა შესვლა.

ამასობაში, ისკანდერი იზრდებოდა. თბილი, ქვიშისფერი კანი, ვარსკვლავური მტვერივით ელვარე მუქი, ტალღოვანი თმა და ცელქი თვალები ჰქონდა, ხშირად იღიმებოდა და ყველას გულს იგებდა. რაც უფრო მშვენდებოდა ვაჟი, პემბეს მით უფრო ეშინოდა იმ მოვლენების, მის კონტროლს რომ არ ექვემდებარებოდა — მიწისძვრების, მეწყრების, წყალდიდობების, ხანძრების, გადამდები დაავადებების, ნეიზის მრისხანე აჩრდილისა და დედა ჯინის შურისგების. სამყარო ყოველთვის საშიში ადგილი იყო, მაგრამ უეცრად, საფრთხე ზედმეტად რეალური გახდა და ზედმეტად მოახლოვდა.

პემბეს შეშფოთება იმდენად დიდი იყო, რომ ვაჟისთვის სახელის დარქმევაზე უარს ამბობდა. ამ გზით იცავდა აზრაელისგან, სიკვდილის ანგელოზისგან. მას ეგონა, რომ სანამ ბიჭს სახელი არ ჰქონდა, ძალიანაც რომ მოენდომებინა, აზრაელი ვერ იპოვიდა. ამიტომ ბიჭმა ცხოვრების პირველი წელი, უმისამართო კონვერტივით, სახელის გარეშე გაატარა. მეორე, მესამე და მეოთხე წლებმაც უსახელოდ განვლო. როცა დაძახება სურდათ, — შვილო ან ბიჭოო, — ასე ეძახდნენ.

რატომ არ შეეწინააღმდეგა ამ უაზრობას მისი ქმარი, ადემი? რატომ არ აიღო სიტუაციის მართვის სადავეები ხელში და თავად არ შეურჩია მემკვიდრეს სახელი, სხვა კაცების მსგავსად? რაღაც აკავებდა, რაღაც უფრო ძლიერი, ვიდრე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მისი ფიცხი ხასიათი და მამაკაცური ღირსება. საიდუმლო, რომელიც მხოლოდ ცოლ-ქმარს შორის იყო, რომელიც პემბეს აძლიერებდა და ადემს ასუსტებდა, რომელიც კაცს სახლიდან დევნიდა, სტამბოლის მიწისქვეშა სამყაროსკენ უბიძგებდა, სადაც შეეძლო ბანქო ეთამაშა და თავი მეფედ ეგრძნო, თუნდაც ერთი ღამით.

როცა ადემმა საბოლოოდ გადაწყვიტა, ხმა ამოელო და გამოეცხადებინა, ასე გაგრძელება აღარ შეიძლებაო, ბიჭი უკვე ხუთი წლის გახდა. მალე სკოლაში უნდა წასულიყო და თუ სახელი არ ექნებოდა, სხვა ბავშვები ყველაზე სასაცილო და დამამცირებელ მეტსახელებს შეურჩევდნენ. პემბე უხალისოდ დაემორჩილა, მაგრამ მხოლოდ ერთი პირობით. ბავშვს მშობლიურ სოფელში წაიყვანდა, თავის ტყუპისცალსა და ოჯახს დაალოცვინებდა. იქ ყოფნისას, სოფლის სამი უხუცესის რჩევებსაც მოისმენდა. ისინი უკვე არარატის მთის ასაკისა მოიყარნენ, მაგრამ ბრძნული რჩევის მოცემა კვლავ შეეძლოთ.

* * *

— ჭკვიანურად მოიქეცი, ჩვენთან რომ მოხვედი, — თქვა პირველმა უხუცესმა, რომელიც უკვე ისე დაძაბუნებულიყო, კარის უეცარ გაჯახუნებაზე ძვლები უცახცახებდა.

— ისიც კარგია, რომ დღევანდელი დედებივით, თავად არ მოინდომე სახელის დარქმევა, — აღნიშნა მეორე უხუცესმა, რომელსაც მხოლოდ ერთი კბილიღა შერჩენოდა.

ბოლოს მესამე უხუცესმა თქვა სიტყვა, მაგრამ მისი ხმა იმდენად დაბალი იყო და ბგერები გაურკვეველი, რომ ვერავინ ვერაფერი გაიგო.

მცირე განხილვის შემდეგ უხუცესებმა გადაწყვეტილება მიიღეს: ბავშვისთვის სახელს შეარჩევდა უცხო ადამიანი, ვინმე ისეთი, ვინც არაფერი იცოდა ოჯახსა და განსაკუთრე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბით, ნეიზის აჩრდილზე. პემბე გეგმას ნასესხები თავდაჯერებულობით დაეთანხმა. რამდენიმე მილის მოშორებით მოედინებოდა ერთი მდინარე, რომელიც ზამთარში მეჩხერი იყო და გაზაფხულზე — წყალუხვი. გლეხები სახელდახელოდ შეკრული ნავებით გადადიოდნენ წყალზე. ეს სულაც არ გახლდათ უსაფრთხო და ყოველ წელს რამდენიმე მგზავრი მდინარეში იხრჩობოდა. გადაწყდა, პემბე ნაპირზე დაიცდიდა და პირველივე ადამიანს, რომელიც მდინარეს გადმოკვეთდა, შვილისთვის სახელის შერჩევას სთხოვდა. უხუცესები ბუჩქებს მიღმა დაიმალებოდნენ და თუ საჭირო გახდებოდა, გამოექომაგებოდნენ.

პემბე და მისი ვაჟი ელოდნენ. ქალი შავ მაქმანებიან მოსასხამსა და მეწამულისფერ კაბაში იყო გამოწყობილი, კაბა მუხლებს უფარავდა. ბიჭს კი თავისი ერთადერთი კოსტიუმი ეცვა და მინიატიურულ კაცს ჰგავდა. დრო გადიოდა და ბავშვმა მოიწყინა. პემბე ამბებს უყვებოდა, რომ გაერთო. ერთ-ერთი ამბავი, რომელიც მოუთხრო, ბიჭის მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩა.

— ხოჯა ნასრედინი ბიჭობაში დედის გულის ვარდი იყო.

— დედამისს ვარდი ჰქონდა გულში? — ბიჭმა იკითხა.

— გამოთქმაა ასეთი, ჩემო სულთანო. ეს ნიშნავს, რომ დედას ძალიან უყვარდა. ორივენი ლამაზ ქოხში ცხოვრობდნენ, ქალაქის განაპირას.

— მამა სად იყო?

— ომში წავიდა. ახლა მომისმინე. ერთ დღეს, დედა ბაზარში უნდა წასულიყო. მან შვილს უთხრა: „სახლში დარჩი და კარს უყურე. თუ მძარცველს დაინახავ, შემოჭრას ცდილობდეს, ბოლო ხმაზე დაიყვირე. შეეშინდება და წავა. მე შუადღემდე დავბრუნდები“, — ნასრედინი ასეც მოიქცა, კარისთვის ერთი წუთითაც არ მოუცილებია თვალი.

— საპირფარეშო არ მონდომებია?

— ქოთანი ჰქონდა თან.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— არც მოშივდა?

— დედამ დაუტოვა საჭმელი.

— ტკბილეული?

— და სეზამის ჰალვა, — თქვა პემბემ, რადგან იცოდა, შვილს რაც გაახარებდა, — ერთი საათის შემდეგ კარზე კაკუნი გაისმა. ნასრედინის ბიძა იყო, აინტერესებდა, ხომ რიგზე ჰქონდათ ყველაფერი. ბიჭს დაავალა, დედასთან წადი და უთხარი, ადრე დაბრუნდეს და სადილი მოგვიმზადოსო, ჩემი ოჯახი გესტუმრებათო.

— მაგრამ ის ხომ კარს დარაჯობდა!

— ზუსტადაც. ნასრედინი დაიბნა. დედამ სხვა რამ დაავალა, ბიძამ კი — სხვა. არც ერთის განაწყენება არ უნდოდა. ამიტომ კარი ჩამოიღო, ზურგზე მოიკიდა და დედისკენ გასწია.

ბიჭმა ჩაიხითხითა, მაგრამ მალევე დასერიოზულდა.

— მე ასე არ მოვიქცეოდი. მე ყოველთვის დედას ავირჩევდი, ბიძის ნაცვლად.

ეს როგორც კი თქვა, ხმაური გაიგონეს. ვიღაცას მდინარე გადმოელახა და მათკენ მოემართებოდა. პემბესა და უხუცესების გასაოცრად, ეს მოხუცი ქალი აღმოჩნდა. არწივისებური ცხვირი, დანაოჭებული ლოყები და დაღრეცილი კბილები ჰქონდა. წვრილ, მოუსვენარ თვალებს აკვესებდა.

პემბემ უთხრა, რომ ვაჟს სასწრაფოდ სჭირდებოდა სახელი და სთხოვა, დახმარებოდა. ნეიზის აჩრდილსა და ბუჩქებში მომლოდინე უხუცესებზე არაფერი დასცდენია. მოხუც ქალს გაოცება არ შეეტყო. ტვირთს დაეყრდნო, ჩაფიქრდა, მშვიდად და თავდაჯერებით, თითქოს ასეთი თხოვნა ამქვეყნად ყველაზე ნორმალური რამ იყო.

— დედა, ეს ვინაა? — ბავშვმა იკითხა.

— ჩუმად, ჩემო ლომო. ეს კეთილი ქალი სახელს შეგირჩევს.

— მაგრამ ის ხომ მახინჯია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქალმა თავი მოიკატუნა, თითქოს ვერაფერი გაიგო, ერთი ნაბიჯით წინ წაიწია და ბიჭს გამომცდელი მზერით დააცქერდა.

— როგორც გავიგე, შენი სახელი ვერ გიპოვია, არა?

ბავშვმა წვრილი წარბები აწკიპა და პასუხის გაცემაზე უარი თქვა.

— მაშ, კარგი. მწყურია, — თქვა ქალმა და მდინარის იმ ნაწილისკენ მიუთითა, სადაც გუბე იდგა, — მომიტანე ჭიქა წყალს?

— ჭიქა არ მაქვს.

— პეშვი გამოიყენე, — არ დანებდა მოხუცი.

კოპებშეკრულმა ბიჭმა ჯერ ქალს გადახედა, მერე დედამისს და მერე ისევ უცნობს.

— არა, — თქმა მან, ხმაში გაღიზიანება დაეტყო, — თვითონ წადი და მოიტანე წყალი. შენი მოსამსახურე კი არ ვარ.

ქალმა თავი გვერდზე გადახარა, თითქოს გასროლილი სიტყვები უნდა აიცდინოსო.

— არ მოსწონს, სხვას რომ ემსახურება, არა? მარტო ის უნდა, თავად მოემსახურონ.

იმ დროისთვის პემბემ უკვე ირწმუნა, არასწორი ადამიანი შევარჩიეო. მდგომარეობის განსამუხტავად, თავად შესთავაზა წყლის მოტანა.

მაგრამ ქალმა პემბეს ხელისგულებით მოტანილი წყალი არ დალია. სანაცვლოდ, ჩახედა და იმკითხავა.

— ჩემო გოგონა, ეს ბავშვი კიდევ დიდხანს დარჩება ბიჭად და მხოლოდ მაშინ გაიზრდება, შუახნის ასაკს რომ მიაღწევს. კაცად ძალიან გვიან ჩამოყალიბდება.

პემბეს სუნთქვა შეეკრა. დაიზაფრა, თითქოს, ქალი წამიწამზე ისეთ საიდუმლოს გაანდობს, რომელიც არ უნდა გაამჟღავნოსო.

— ზოგიერთი ბავშვი ევფრატივითაა, ისეთი ჩქარი, ისეთი მშფოთვარე, მშობლები ვერ ეწევიან. ვშიშობ, შენი ვაჟი ერთ დღესაც გულს მოგიკლავს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სიტყვები არსაიდან მოცვენილი ქვებივით ჩამოიყარა მათ შორის.

— მაგრამ მე ეს არ მიკითხავს, — პემბეს ხმაში დაძაბულობა შეერია, — სახელი ხომ არ მოგიფიქრებიათ მისთვის?

— დიახ, მოვიფიქრე. ორი სახელია, რომელიც შეეფერება, გააჩნია, რას ელი მისგან. ერთი საალიმია, უხსოვარ დროში მცხოვრები ერთი სულთნის, პოეტისა და მუსიკოსის სახელი. თუკი შენი ვაჟი მშვენიერების დაფასებას ისწავლის, ეს სახელი უნდა დაარქვა.

— და მეორე? — პემბეს სუნთქვა ეკვროდა მოუთმენლობისგან. ახლა უკვე ბიჭიც კი დაინტერესდა საუბრით.

— მეორე სახელი დიდ მხედართმთავარს ეკუთვნის. ის მუდამ წინ მიუძღოდა თავის მეომრებს, ვეფხვივით იბრძოდა, ყველა ომი მოიგო, მტერი მოსრა. ბევრი მიწა დაიპყრო აღმოსავლეთითა და დასავლეთით, მზის ამოსვლა და მზის ჩასვლა გააერთიანა და მაინც მეტისკენ მიუწევდა გული. თუ შენი ვაჟიც დაუმარცხებელი, მტკიცე ხასიათის იქნება და ხალხს სათავეში ჩაუდგება, მისი სახელი დაარქვი.

— ეს უკეთესია, — თქვა პემბემ და სახე გაუნათდა.

— მაშინ ჩემთან საქმე აღარ გაქვთ.

ამ სიტყვების მერე მოხუცმა ქალმა თავისი ბარგი აიღო და გზას საოცრად ყოჩაღად გაუყვა. პემბეს რამდენიმე წამი დასჭირდა, გონება მოეკრიბა და დასდევნებოდა.

— მაგრამ, რა არის?

— რა რა არის? — მოხუცი შემოტრიალდა და ქალს დააკვირდა, თითქოს უკვე დავიწყებოდა, ვინ იყო.

— სახელი! არ გითქვამთ, რა სახელი იყო.

— ოჰ! სახელია ასკანდერი.

— ასკანდერი... ასკანდერი... — პემბემ აღფრთოვანებით გაიმეორა.

როცა სტამბოლში დაბრუნდნენ, ბიჭი ადგილობრივ ბიუროში დაარეგისტრირეს. სკოლაში სიარული როცა დაიწყო,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მის ბარათზე ისკენდერ ტოპრაკი ეწერა. „მსოფლიოს ლიდერის შესაფერისი სახელია“, — პემბემ თქვა. იმ დროისთვის უკვე იცოდა, ალექსანდრე მაკედონელი ვინ იყო.

ასე გახდა მისი პირმშო, მისი გულის ვარდი, ქურთულ ენაზე ასკანდერი და თურქულად — ისკენდერი. როცა ოჯახი ლონდონში გადავიდა, ბავშვები და მასწავლებლები ალექსით მიმართავდნენ. ამ სახელითვე იცნობდნენ მას შრიუსბერის ციხეში, პატიმრებიცა და ბადრაგიც.

პრინცი ხეზე

სტამბოლი, 1969 წელი

იმ გაზაფხულს, როცა ჯერ კიდევ შვიდი წლისაც არ იყო, ისკენდერი გაიქცა კაცისგან, რომელიც მანამდე არ ენახა, მაგრამ რომელზეც ბევრი სმენოდა. უფრო სხვანაირი იყო, ვიდრე წარმოედგინა, თუმცა ნაკლებად საშიში არ ეჩვენა. კაცი ცხვირზე ჩამოცმული, სქელმინიანი სათვალით, პირში გაჩრილი, ჩამქრალი სიგარეტითა და დიდი ტყავის ჩანთით. ამბობდნენ, იმ ჩანთაში ბასრ იარაღებსა და თავის მსხვერპლთა კანის ნაწილებს ინახავსო.

მის დანახვაზე ისკენდერს შიშმა ზურგზე გაურბინა. შტოშის შარბათი ხელზე დაეღვარა და თეთრი პერანგი წითლად შეუღება, თოვლზე დამჩნეული სისხლივით. სცადა, ლაქა მოეწმინდა, ჯერ ხელით, მერე მოსასხამით, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მშვენიერი კოსტიუმი გაუფუჭდა.

ლაქით თუ ლაქის გარეშე, ის მაინც პრინცი იყო თავისი გრძელი, ვერცხლისფერი მოსასხამით. ხელში ეპყრა სკიპტრა, რომელიც გაცვეთამდე გაეპრიალებინათ. მთელი შუადღე მაღალ სკამში იჯდა, მამულების შემყურე დიდგვაროვანივით.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თუმცა, ასაკთან შედარებით დაბალი გახლდათ და მისთვის ყველა სკამი ზედმეტად მაღალი იყო. მარცხნივ ოთხი ბიჭი ედგა, მასზე უფროსები და მაღლები, მაგრამ მასავით შემოსილები. თითქოს, ბრძოლის წინ მეტოქეს სწავლობსო, ისე აკვირდებოდა ბიჭებს. ბოლოს გადაწყვიტა, რომ მისი კოსტიუმი ყველაზე შთამბეჭდავი იყო.

სანამ სხვა პრინცები ტკბილეულობებს მიირთმევდნენ და ოხუნჯობდნენ, ისკენდერი იცდიდა და ფეხებს აქანავებდა. როგორ შეეძლოთ, ასეთი სულელები ყოფილიყვნენ, ხომ იცოდნენ, რა მოხდებოდა სულ მალე? მისი თვალები მღელვარებისგან ენთო. ოთახში ბევრი ხალხი იყო, მაგრამ ზუსტად იცოდა, მის საშველად არავინ მოვიდოდა, დედამისი, პემბეც კი, განსაკუთრებით — პემბე. მთელი დილა ტიროდა, ბიჭს ეუბნებოდა, როგორი ამაყი იყო, რომ მისი პატარა ბიჭი დღეს დაკაცდებოდა. წინადაცვეთისას სწორედ ასე ხდება: კაცდები.

ისკენდერს ვერაფრით გაეგო, დანის ერთი მოსმით კაცად რანაირად გადაიქცეოდა. ეს ამბავი მისთვის ამოუხსნელ გამოცანად რჩებოდა. გაკლდებოდა, მაგრამ იზრდებოდი. ისიც ვერ გაიაზრა, რატომ დაარიგეს, არ იტიროო, რიტუალი ხომ აშკარად მტკივნეული იყო. დედამისს კი, რომელსაც არაფერი ემუქრებოდა, შეეძლო გულამოსკვნით ექვითინა იმდენი, რამდენიც მოესურვებოდა.

ცალი თვალით ტყავისჩანთიან კაცს უყურებდა, მის სახეზე ნაიარევი შენიშნა, მთელ ლოყას უსერავდა. ალბათ, დაღი იმ ბიჭებიდან ერთ-ერთმა დაასვა, ვისაც ოპერაციას უკეთებდა.

წუთით წარმოიდგინა, როგორ არ დააცდიდა დანის გასმას, გამოჰგლეჯდა ხელიდან და მწვალებელს მარჯვენა ლოყას დაუსერავდა. მერე სხვა ბიჭებს წამოაყენებდა და გამარჯვებულები ერთად გაიქცეოდნენ კარისკენ. მაგრამ წარმოდგენა გაიფანტა და ოთახი ისევ გაცოცხლდა — ბრმა ჰაფიზი ყურანს კითხულობდა, ქალი ჩაითა და ნუშის ნამცხვრით უმას-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პინძლდებოდა ხმადაბლა მობაასე სტუმრებს, შემაძრწუნებელი წუთი კი სულ უფრო ახლოვდებოდა.

ისკენდერი ნელა ჩამოსრიალდა სკამიდან. მისი ფეხები იატაკს შეეხო. ნაბიჯი გადადგა და სუნთქვა შეიკავა. ელოდა, რომ ვინმე ჰკითხავდა, სად მიდიხარო, თუმცა არავის გაუცია ხმა. ფეხაკრეფით ჩაუარა საწოლს, რომელიც კუთხეში დაედგათ. საწოლს ნაჭედი რკინის თავსადგამი, ამოქარგული ბალიშები, ავი თვალისგან დამცავი თილისმები და სატინის კობალტისფერი გადასაფარებელი ამშვენებდა.

ცისფერი ისკენდერის საყვარელი ფერი იყო. ეს იყო ბიჭების ფერი, რაც იმას ნიშნავდა, რომ ცა ბიჭი იყო, ისევე, როგორც მდინარეები და ტბები. ოკეანეებიც, თუმცა, ოკეანე ჯერ არასოდეს ენახა.

ყოველ ნაბიჯზე მხნეობა ემატებოდა და მალე, უკანა კარიდან გაიპარა. გარეთ რომ აღმოჩნდა, გაიქცა, ბაღს რომ მიაღწია, სიჩქარეს მოუმატა, ჭას შემოურბინა, ხრეშიან გზას გაუყვა, მეზობლების სახლებს ჩაუარა და ბორცვზე ავიდა. კოსტიუმი გაუჭუჭყიანდა, მაგრამ აღარ ადარდებდა.

ისკენდერს დედამისის ხელები გაახსენდა — ტალღოვან, წაბლისფერ თმას რომ უვარცხნიდა, ლოყებზე ეფერებოდა, იოგურტს უმზადებდა, ცომისგან ფიგურებს ძერწავდა, სანამ მუხამდე მიაღწევდა, მხოლოდ ეს ედგა თვალწინ.

ეს იყო მხცოვანი ხე, ოთხივე მხარეს გაშლილი ფესვებითა და ღრუბლებისკენ აშვერილი ტოტებით. სუნთქვა გაუხშირდა, სწრაფად და დაკვირვებულად დაიწყო აცოცება. ხელები ორჯერ დაუსხლტა და ლამის ჩამოვარდა, მაგრამ წონასწორობა ორივეჯერ აღიდგინა. ასე მაღლა არასდროს ამძვრალა და გული დასწყდა, რომ ირგვლივ არავინ იყო, მისი წარმატება ენახა. მაღლიდან ცა ისე ახლოს ჩანდა, ხელის აწვდენაზე. ღრუბლების საბანქვეშ ტკბილი კმაყოფილებითა და სიამაყით მოკალათდა, სანამ მიხვდა, რომ არ იცოდა, როგორ ჩამოსულიყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერთი საათის შემდეგ რამდენიმე ფუტში შაშვი ჩამოჯდა. გამორჩეული ქმნილება იყო, თვალების გარშემო ყვითელი წრეები ჰქონდა და ღია ლალისფერი ბუმბული შერეოდა ფრთებში. ერთხელ დაიჭიკჭიკა სუსტმა, ნაზმა, იმავდროულად, სიცოცხლით სავსემ. სულ ცოტათი ახლოს რომ ყოფილიყო, ისკენდერი დაჭერას შეძლებდა და მის ციცქნა გულის ცემას იგრძნობდა თავის ხელისგულზე. შეეძლო, ჩიტი შეეფარებინა, შეეყვარებინა და დაეცვა, მაგრამ ამასთან, წამში კისერიც მოეტეხა.

როგორც კი ეს გაიფიქრა, მაშინვე სინანულის ჩხვლეტა იგრძნო. ჯოჯოხეთში უზარმაზარი ქვაბები დულდა მათთვის, ვისაც ასეთი ცოდვილი ფიქრები აღეძვრებოდა. თვალები აუცრემლიანდა. დარწმუნებული იყო, დედამისი შეამჩნევდა მის გაუჩინარებას და მოსაძებნად გამოუშვებდა ხალხს, მაგრამ არავინ ჩანდა. აქ დაიღუპებოდა, სიცივისა და შიმშილისგან. რას იტყოდა ხალხი, როცა გაიგებდა, რომ, როგორც ყველა, ავადმყოფობისა ან უბედური შემთხვევისგან კი არა, სიმხდალისგან გარდაიცვალა.

შეიძლება სხვაგან ეძებეს და ჩათვალეს, რომ დაიკარგა. შეიძლება იფიქრეს, მგლები დაესხნენ თავსო, მერე რა, თუ იმ ადგილებში არ ბინადრობდნენ. ბიჭმა საზარელი სიკვდილი წარმოიდგინა: როგორ დაფლეთდნენ მხეცები კბილებითა და ბრჭყალებით. დასწყდებოდა დედას გული თუ საიდუმლოდ გულზე მოეშვებოდა, ერთით ნაკლები ადამიანის დაპურება რომ მოუწევდა?

დედამისის მზარეულობის გახსენებაზე მიხვდა, როგორ შიოდა. თუმცა უფრო მეტად ის აწუხებდა, რომ მოშარდვა უნდოდა. თავის შეკავება რომ აღარ შეეძლო, შარვალი ჩაიწია და თავისი სასქესო ორგანო, ყველა უბედურების წყარო, დაიკავა ხელში. სულ ახალი დაწყებული ჰქონდა მოშარდვა, როცა ვიღაცის ყვირილი გაიგონა.

— ჰეი, აქაა, მაღლა! ვიპოვე!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რამდენიმე წამში ჯერ ერთი კაცი გამოჩნდა, მერე — მეორე და მერე — კიდევ ათი. ხესთან იდგნენ და უყურებდნენ. მათ თვალწინ ისკენდერი შარდვას განაგრძობდა. თითქოს ბუშტი ორჯერ გაუფართოვდა. ბოლოს და ბოლოს, ელვა შეიკრა და ის-ის იყო, უნდა ეთხოვა, ჩამოსვლაში დამეხმარეთო, რომ ტყავისჩანთიანი კაცი შენიშნა.

მერე კი გასაოცარი რამ მოხდა: ისკენდერი გაშეშდა. კიდურები მოუდუნდა, ენა დაუბუჟდა და მუცელი გაუქვავდა. ესმოდა, როგორ მოუწოდებდნენ დაბლიდან, ჩამოდიო, მაგრამ ვერ პასუხობდა. უძრავად იჯდა, თითქოს ხეს შეეზარდაო. ბიჭი-რკო.

თავიდან ეგონათ, მეტი ყურადღების მისაქცევად თავს იმკვდარუნებსო. მხოლოდ მაშინღა დაიწყეს ფიქრი, როგორ ჩამოეყვანათ, როცა მიხვდნენ, რომ ბავშვი თავს კი არ იკატუნებდა, მართლაც, პარალიზებული იყო. ერთმა კაცმა აძრომა სცადა, მაგრამ იმ ტოტს ვერ მისწვდა, რომელზეც ისკენდერი იჯდა. სხვამაც სცადა — ასევე წარუმატებლად. ამ დროს სხვები იმით იყვნენ დაკავებული, დაბლა საბნები გაეშალათ, ბიჭი რომ რბილად დაცემულიყო, ან ლასოებს აბამდნენ, თუმცა არავინ იცოდა, როგორ გამოეყენებინათ. არაფერი გამოვიდა. კიბე ზედმეტად მოკლე იყო, თოკები — თხელი და ბიჭიც არაფერში ეხმარებოდათ.

სწორედ ამ დროს ჰაერი ხმამ გააპო.

— მანდ რას აკეთებს? — დაიყვირა პემბემ, რომელიც ბორცვზე მოიჩქაროდა.

— ვერ ჩამოდის, — ვიღაცამ აუხსნა.

— ოჰ, ვერა?! დიდი ბიჭია, — პემბემ თავისი ხიდან გადმოკიდებული, ვაჟის ჯოხივით გამხდარი ფეხების დანახვაზე წარბები შეკრა.

— ახლავე ჩამოდი!

ისკენდერმა იგრძნო, მთელი სხეული მზეზე დამდნარი ყინულივით როგორ მოეღვენთა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჩამოდი, შე ყალთაბანდო! მამაშენი შეარცხვინე. ყველამ წინადაცვეთა გაიკეთა, მხოლოდ შენ მოიქეცი ბავშვივით.

როგორც უნდა ეცადა, ისკენდერი ვერ ამოძრავებდა სხეულს. ამის ნაცვლად, დაბლა ჩაიხედა და გაიკრიჭა. იქნებ, იუმორით მისდგომოდა სიტუაციას და მდგომარეობა შეემსუბუქებინა. შეცდომა დაუშვა. მღელვარება, რაც დედამისში იყო დაგროვილი, სიბრაზის ნაკადად გადმოინთხა, გაბადრული ისკენდერის დანახვაზე.

— შე გაზულუქებულო ბავშვო! ამწამს ჩამოდი, თორემ ძველებს დაგამტვრევ! არ გინდა, ნამდვილი კაცი იყო?

ისკენდერი ჩაფიქრდა.

— არა, — თქვა ბოლოს.

— ბიჭად თუ დარჩები, საკუთარი მანქანა არასდროს გეყოლება.

მხრები აიჩეჩა. ფეხით ან ავტობუსითაც შეეძლო ყველგან მისვლა.

— არც საკუთარი სახლი.

ისკანდერმა ისევ აიჩეჩა მხრები. ბოშასავით, კარავში იცხოვრებდა.

— არც ლამაზი ცოლი.

ისკენდერი ჩაფიქრდა. ცოლი უნდოდა, ისეთი, დედამისს რომ ემსგავსებოდა, მაგრამ მასავით შენიშვნებით არ შეაწუხებდა. შუბლშეჭმუხნილმა ტუჩი მოიკვნიტა. თითქოს, დაუსრულებელი ლოდინის შემდეგ, სურვილი და ძალა მოიკრიბა, ჩაეხედა დედის მუქ, მწვანე თვალებში, ჭინჭრის ორი ყლორტივით — დინჯად, მაგრამ მტკიცედ რომ იზიდავდა თავისკენ.

— კარგი, — ამოიოხრა პემბემ, — შენ გაიმარჯვე, მე წავაგე. არ გაგიკეთებენ წინადაცვეთას. არავის მივცემ ნებას, ხელი დაგაკაროს.

— მპირდები?

— გპირდები, ჩემო სულთანო.

დედას თბილი ხმა ჰქონდა, დამაჯერებელი. როცა საუბ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რობდა, ისკენდერმა იგრძნო, შიში ნელ-ნელა გაიპარა მისგან. ჯერ ხელის თითები აამოძრავა, შემდეგ — ფეხის, მერე რამდენიმე ტოტს ქვევით ჩამოძრომაც შეძლო. როცა მიწაზე იდგა, ქვითინით დედისკენ გაიქცა.

— ჩემო ბიჭო, — პემბემ ისე თქვა, თითქოს ამას დადასტურება სჭირდებოდა. ისე მჭიდროდ ჩაიხუტა, ისკენდერს ეგონა, მისი გული დედის მკერდში ძგერდა.

— მალამინ[1], ჩემო სულთანო.

ისკენდერი ბედნიერი იყო, ფეხქვეშ მიწას რომ გრძნობდა. დედამისს ასე თუ დააკლდებოდა, ამის აღმოჩენამ კიდევ უფრო გაახარა. თუმცა, იყო რაღაც სულის შემხუთავი მის ავადმყოფურად ტკბილ ჩახუტებაში. კისერზე დაკონილი მისი ტუჩები, მისი სუნთქვა და მისი მკლავები ბოჭავდა ბიჭს. თავი კუბოში ეგონა.

თითქოს, შვილის ფიქრებს კითხულობსო, პემბემ მხრებში ჩაავლო ხელი, უკან გასწია, თვალებში ჩახედა და მწარედ გააწნა სილა.

— არასდროს შემარცხვინო! — უთხრა.

ტყავისჩანთიან კაცს ცალი მხრიდან შეუტრიალდა და დაამატა:

— წაიყვანეთ!

ისკენდერი გაფითრდა. უფრო გაოცებული იყო, ვიდრე დაბნეული.

დედამ ყველას თვალწინ დააღალატა და თანაც, სილა გააწნა. მანამდე მისთვის არ გაურტყამს. ისკენდერს აზრად არ მოსვლია, რომ მსგავსი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო. სცადა, რაიმე ეთქვა, მაგრამ სიტყვები მარმარილოს ლოდებად იქცა, ყელში გაეჩხირა.

წინადაცვეთისას მამაცური მოქცევისთვის საღამოს ყვე-

---

1 ჩემო სახლო, ჩემო ნავსაყუდელო (ქურთ.).

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლამ შეაქო. ამბობდნენ, ერთი ცრემლიც არ გადმოუგდიაო. თვითონ კარგად იცოდა, თავის საქციელს სიმამაცესთან კავშირი რომ არ ჰქონდა. ოპერაციისას წარბი არ შეუხრია, რადგანაც ჯერ კიდევ იმაზე ფიქრობდა, დედამისი როგორ მოიქცა და რატომაც მოიქცა ასე. ვერასოდეს იფიქრებდა, რომ ძვირფასი ადამიანის ღალატი შესაძლებელი იყო. იმ დღემდე არ იცოდა, რომ შეიძლებოდა მთელი გულით გყვარებოდა ვინმე, მაგრამ მზად ყოფილიყავი, მისთვის გული გეტკინა. ეს შემთხვევა სიყვარულის სირთულეებში პირველი გაკვეთილი იყო.

სურვილების შადრევანი

ადგილი მდინარე ევფრატის პირას, 1977 წელი

პემბე, ჯამილას სარკისებური ასლი, მდგარ წყალში მისი ანარეკლი, წავიდა.

ახლა მას სხვა ცის ქვეშ ეძინა და, ათასში ერთხელ, ჯამილას წერილებსა და საფოსტო ბარათებს უგზავნიდა ორსართულიანი წითელი ავტობუსებისა და მაღალი საათის კოშკების სურათებით. ჩამოსვლისას, პემბეს ტანსაცმელს სხვანაირი სურნელი ჰქონდა და შეხებისას უჩვეულოდ რბილი იყო. აი, რა მოქმედებდა ჯამილაზე ყველაზე მეტად: იმის ცქერა, მისი და ჩემოდანს რომ გახსნიდა და უცხო მიწის არომატს, გემოსა და ქსოვილს გაუწვდიდა. პემბე უთქმელი მოლოდინით წავიდა, რომ დაბრუნებულს ყველაფერი უცვლელად დახვდებოდა, თუმცა, ასე არ მოხდა. არც თვითონ დაბრუნებულა სამუდამოდ. წლების განმავლობაში პემბე ჯამილას წერილებს სწერდა და ინგლისში თავის ცხოვრებაზე უყვებოდა. ბავშვებიც შიგადაშიგ ერთ-ორ წინადადებას ჩაურთავდნენ ხოლმე, ყველაზე ხშირად — იუნუსი. ჯამილა იმ ბარათებს, ნაპოვნი განძივით, საწოლის ქვეშ, მოკალულ ყუთში ინახავდა. პასუ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხებს არასდროს აგვიანებდა, მიუხედავად იმისა, რომ მოსათხრობი პემბეზე ნაკლები ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, თავად ასე თვლიდა. მცირე ხნის წინ იუნუსს ჰკითხა, დედოფალი თუ გინახავს და რანაირად გამოიყურებაო.

მან უპასუხა:

— დედოფალი სასახლეში ცხოვრობს. სასახლე ისეთი დიდია, დედოფალი იკარგება ხოლმე, მაგრამ პოულობენ და ისევ ტახტრევანზე სვამენ. ყოველდღე სხვადასხვა კაბა აცვია და ახალი ქუდი ახურავს. ქუდი იმავე ფერის უნდა იყოს, რა ფერისაც კაბაა. რბილი ხელები აქვს, რადგან ხელთათმანები უკეთია და ბევრ კრემს ისვამს და ჭურჭელს არ რეცხავს. სკოლაში მისი სურათები ვნახე. კარგი ქალი ჩანს.

ჯამილას ვერ გაეგო, ოჯახი იმ კუნძულზე იმდენი ხანია ცხოვრობდა და დედოფალი მხოლოდ ჟურნალებსა და გაზეთებში რატომ ჰყავდათ ნანახი. ზოგჯერ ეჭვიც კი ეპარებოდა, რომ პემბე უბნიდან არ გადიოდა. თუ ოთხ კედელში იყო გამოკეტილი, რაღა აზრი ჰქონდა შორეულ ქვეყანაში მოგზაურობას? რატომ არ შეეძლოთ ადამიანებს, ეცხოვრათ და დახოცილიყვნენ იქ, სადაც დაიბადნენ? ჯამილას დიდი ქალაქები სულის შემხუთველად ეჩვენებოდა და უცხო ადგილებზე ფიქრიც კი აშინებდა — შენობები, გამზირები, ბრბო ზედ გულზე დააწვებოდა, სუნთქვას შეუკრავდა.

თავის წერილებში, ძირითადად ბოლო აბზაცში, პემბე წერდა ხოლმე: „დაო, ჩემზე გაბრაზებული ხარ? შეგიძლია, გულით მაპატიო?“ თუმცა, პასუხი უკვე იცოდა. ჯამილა ტყუპისცალზე გაბრაზებული არ იყო, არც სხვა ვინმეზე, მაგრამ ისიც ესმოდა, რომ შეკითხვა, იმ ჭრილობის მსგავსად, რომელსაც მუდმივად გადახვევა სჭირდება, უნდა დასმულიყო კიდევ და კიდევ.

მას კიზ ებეს ეძახდნენ — ქალწულ ბებიაქალს. ამბობდნენ, ღარიბულ ქურთულ რაიონში, ბოლო ასი წლის განმავ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლობაში, ის საუკეთესოაო. ორსულები მშვიდდებოდნენ, როცა მათ ჯამილა უვლიდა, თითქოს მისი თანდასწრებით მშობიარობა გაუადვილდებოდათ და აზრაელი არ მოეკარებოდათ. ქმრები თავს უქნევდნენ: „უბინო ბებიაქალი უძღვება საქმეს. ყველაფერი კარგად ჩაივლის. მადლობა, პირველ რიგში, ალაჰსა და მერე მას“.

ეს სიტყვები მისთვის არაფერს ნიშნავდა. მხოლოდ შიშს ულრმავებდა, რომ ხალხის მოლოდინს ვერ გაამართლებდა. ჯამილამ იცოდა, საქმეში კარგი იყო. დაოსტატებული გახლდათ და არაფერი შეეშლებოდა, სანამ ასაკში შევიდოდა, მხედველობა დააკლდებოდა ან უბრალოდ, იღბალი უმტყუნებდა. ყველა ბებიაქალის მსგავსად, კარგად იცოდა, რამდენად სახიფათო იყო, როცა მას ღმერთთან ერთად ადიდებდნენ. რომ გაიგონებდა ხოლმე, გლეხები მკრეხელობდნენ, თავისთვის ჩაიბუტბუტებდა, tövbe[1], tövbe. არ იყო საჭირო, გაეგოთ. ღმერთს რომ ესმოდა, ისიც საკმარისი იყო. უფლისთვის უნდა აეხსნა, რომ მისი ძალაუფლება არ სწყუროდა, ერთადერთ და განუმეორებელ სიცოცხლის მომნიჭებელს არ ეჯიბრებოდა.

ჯამილამ იცოდა, თხელ ყინულზე დააბიჯებდა. ასეა, ფიქრობ, რომ გამოცდილება და ცოდნა დააგროვე, მაგრამ ერთ დღეს შეგხვდება მშობიარე, რომელიც შეგაშინებს და თავს დამწყებ ბებიაქალად გაგრძნობინებს. ათასში ერთხელ საქმე ცუდად წავიდოდა, ძალიან ცუდად, როგორც უნდა ეცადა. ზოგჯერ კი მისვლას დააგვიანებდა. როცა მივიდოდა, დედას უკვე გაეჩინა შვილი. იშვიათად, მშობიარე ჭიპლარს თავადვე გადაიჭრიდა ბლაგვი დანით და საკუთარი თმით გადაახვევდა. მსგავს შემთხვევებს ქალი ღვთის ნიშნებად თვლიდა — უფალი ახსენებდა, რომ ჯამილას შესაძლებლობები უსაზღვრო არ იყო.

---

1 შემინდე (ქურთ.).

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხალხი ჯამილას წასაყვანად შორეული სოფლებიდან და მიტოვებული სამწყსოებიდან მოდიოდა. მათ სახლებთან უფრო ახლოსაც ცხოვრობდნენ ბებიაქალები, მაგრამ მათ ჯამილა უნდოდათ. სამყაროს ამ ნაწილში ის ძალიან პოპულარული იყო. ათეულობით გოგონას ერქვა მისი სახელი — საკმარისი მშვენიერება.

„დაე, ატაროს შენი სახელი და შენი უმწიკვლობის ნახევარი მაინც დაენათლოს“, — ჯამილა ამქვეყნად მოვლინებაში რომ ეხმარებოდა, იმ გოგოების მამები ასე ლოცულობდნენ.

ჯამილა თავს უქნევდა და არაფერს ამბობდა. მათ სურდათ, თავიანთი ქალიშვილები მასავით მოკრძალებული და სათნო ყოფილიყვნენ, თუმცა, ისიც უნდოდათ, რომ გაეთხოვებინათ და შვილიშვილები ჰყოლოდათ. გოგოები, შეიძლებოდა, სახელითა და ხასიათით დამსგავსებოდნენ ჯამილას, მაგრამ მათ სხვა ბედი ეწერათ.

ჯამილა ფანჯარას მიუახლოვდა, მხრებზე შალი ეხვია, ხელში ლამპა ეჭირა და სიბნელეს გასცქეროდა. ღამის სქელი საბურვლის ქვეშ უკაცრიელსა და ფერდაკარგულ, ხრიოკიან და გვალვიან ხეობას ეძინა. ყოველთვის წარმოიდგენდა ხოლმე, რომ იმ უხეში მიწის ქვეშ სირბილე იმალებოდა. იქაურობა სათუთი გულის პატრონ მკაცრ კაცს აგონებდა. ვალდებული არ იყო, იმ მიყრუებულში მარტო ეცხოვრა. მასაც შეეძლო, წასულიყო სადმე, ნებისმიერ ადგილას. თუმცა, არც საშუალება ჰქონდა და არც დახმარების მოსურნე ნათესავები ჰყავდა, რომ ახალი ცხოვრების დაწყებაში დახმარებოდნენ. უკვე ოცდათორმეტი წლისას, საუკეთესო წლები უკან მოეტოვებინა და ქორწინების ასაკისთვის გადაებიჯებინა. ძალიან გვიანი იყო, ოჯახი რომ შეექმნა. მშრალი საშვილოსნო გაფუჭებული საზამთროსავითაა: გარედან ჯანსაღი, შიგნიდან კი ჩამპალი და უვარგისი — ასე საუბრობდნენ გლეხები მასავით ქალებზე.

ყველაფრის მიუხედავად, ჯამილასაც შეეძლო, ხეიბარს ან მოხუცს გაჰყოლოდა, ან ვილაცის მეორე ცოლი გამხდარი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყო, თუნდაც მესამე ან მეოთხე, თუმცა ასე იშვიათად ხდებოდა. ცხადია, კანონიერად მხოლოდ პირველი მეუღლე ითვლებოდა და მხოლოდ მას შეეძლო, საკუთარი თავისთვის გათხოვილი ქალი ეწოდებინა, კანონიერი შვილები ჰყოლოდა და წასულიყო საავადმყოფოში, სასამართლოსა და რეგისტრატურაში. თუმცა, ქვეყნის ამ ნაწილში მსგავს დაწესებულებებს მაინც არავინ სტუმრობდა, თუ დიდ განსაცდელში არ ამოყოფდა თავს. დიდი განსაცდელის ჟამს კი, რაღა მნიშვნელობა ჰქონდა, პირველი ცოლი იყავი თუ მეოთხე?

მისი სახლი, თუ შეიძლება იმ ქოხმახისთვის სახლი გეწოდებინა, მალა-ჩარ-ბაიანის განაპირას, ვიწრო ხეობაში იყო ჩაბუდებული. იქიდან ქედი მოჩანდა. შორიდან კლდეები გაქვავებულ გოლიათებს ჰგავდა და მზეში ლალის თვლებივით ელავდა. საუკუნეების განმავლობაში, ქრისტიანები, მუსლიმები, ცეცხლთაყვანისმცემლები და იეზიდები იქ გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ, უყვარდებოდათ და კვდებოდნენ. მათ შვილიშვილებს კი ის ადგილები სხვა მიწების გულისთვის მიეტოვებინათ. მხარეში მხოლოდ რამდენიმე გლეხი და ჯამილა დარჩენილიყვნენ.

ძველად სიცოცხლით სავსე და ახლა მიტოვებულ ადგილს ერთგვარი მელანქოლია ახასიათებდა. თითქოს, ქარში მწუხარების აჩრდილი დაქროდა და ყველა ნაპრალში ძვრებოდა. შესაძლოა, სწორედ ამიტომ, წლებთან ერთად, იქაურები მშობლიურ მიწასავით მდუმარე, ბედს შეგუებული და პირქუში ხდებოდნენ. თუმცა — მხოლოდ ერთი შეხედვით. ხალხი, მიწის მსგავსად, იშვიათად იყო შიგნიდანაც ისეთი, როგორიც — ზედაპირზე.

ტანსაცმლის ფენებქვეშ, გასათბობად რომ ეცვა, სულ სხვა ჯამილა იმალებოდა — ახალგაზრდა, ლამაზი, ლაღი, სიცილი მინის წკარუნს მიუგავდა. ბოლო დროს, გარეთ იშვიათად გადიოდა. მარჯვე ქალის ნიღბის ქვეშ იმალებოდა, ხეს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აპობდა, მინდვრებს თიბავდა, წყალს ეზიდებოდა და წამლებს ამზადებდა. ზოგჯერ იმაზე დარდობდა, ჭკუიდან არ შევცდეო. ხანგრძლივი მარტოობა თავის კვალს ამჩნევდა, ნელ-ნელა ცნობიერებას უნაწევრებდა.

შორეული მთებიდან მობერილ ქარს ველური ყვავილების, ცოცხალი ბალახისა და აყვავილებული ბუჩქების სურნელი მოჰქონდა. თუმცა, დროდადრო შემწვარი ხორცის შემაწუხებელი სუნიც იგრძნობოდა, ის ყველაფერს ედებოდა, კანზეც კი ეკვროდა. იმ მხარეში მძარცველები და ყაჩაღები დაძრწოდნენ — გამოქვაბულებსა და ხევებში იმალებოდნენ, ერთ დღეზე მეტხანს არსად ჩერდებოდნენ. უმთვარო ღამეებში ჯამილა უიმედო ვარსკვლავივით აკიაფებულ მათ კოცონებს ხედავდა. სურნელება ჰაერში იმის მიხედვით იცვლებოდა, რას მიირთმევდნენ და რამდენად ახლოს იყვნენ.

მგლებიც იყვნენ. ჯამილას დღისით, საღამოს და ღამით ესმოდა მათი ხმები. ყმუოდნენ, ზოგჯერ, ერთ ხმაში ყეფდნენ კიდეც. ათასში ერთხელ მის ზღურბლსაც უახლოვდებოდნენ. ისე ახლოს მოდიოდნენ და ისე უჩუმრად, თითქოს მის მარტოობას ყნოსავდნენ. შემდეგ გაქრებოდნენ, მოღუშულები, იმედგაცრუებულები — იმდენად მიმზიდველი არ იყო, რომ მისით ენადიმათ. ჯამილას მათი არ ეშინოდა. მგლებიც არ ემტერებოდნენ, ხოლო, რაც შეეხება ყაჩაღებს, მათ ბევრად სარფიანი ნადავლი აინტერესებდათ. გარდა ამისა, ჯამილას სწამდა, რომ საფრთხე ყოველთვის იქიდან მოდიოდა, საიდანაც ყველაზე ნაკლებად იყო მოსალოდნელი.

წნელს ცეცხლი რომ მოეკიდა, მინავლული ნაკვერჩხალიც აალდა ბუხარში. ჯამილას სახე ციალებდა, სახლი კი ჩრდილში იყო ჩაძირული. მისი აზრით, გლეხებს არ უყვარდათ, თუმცა პატივს სცემდნენ. ცხენით, ვირითა და ჯორით მგზავრობდა. შეეძლო, ისეთ ადგილებში დაედგა ფეხი, სადაც შესვლის ნებას ქალებს არ რთავდნენ. ხშირად ნაცნობები ახლდნენ, ზოგჯერ — უცნობებიც.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კაცს, რომელიც ცხოვრებაში არ ენახა, შეიძლება გვიან ღამით კარზე დაეკაკუნებინა და ეთხოვა, — წამოდი, სწრაფად, გევედრები! ჩემი ცოლი ამა და ამ სოფელში მშობიარობს. უნდა ვიჩქაროთ. არ არის კარგადო.

შეიძლება, ეცრუათ კიდეც. ყოველთვის იყო მცირე შანსი, რომ კართან შენილბული ბოროტება მდგარიყო. უცხო კაცს ბნელ ღამეში რომ მიჰყვებოდა, ჯამილას კარგად ესმოდა, რომ შეიძლება გაეტაცებინათ, გაეუპატიურებინათ და მოეკლათ. ენდობოდა. უცხოს კი არა, ღმერთს. გარდა ამისა, დაუწერელი კანონიც არსებობდა, რომლის უგულებელყოფას ჭკუათამყოფელი ვერ გაბედავდა. ბებიაქალი, ადამიანი, რომელიც ბავშვების გაჩენაში ეხმარებოდა დედებს, ნახევრად წმინდა იყო. ის ხილულსა და უხილავ სამყაროებს შორის იდგა, ობობას ქსელივით სათუთ ბეწვზე.

ბუხარში შეშა შეუკეთა და ცეცხლზე სპილენძის ჯეზვე შემოდგა. წყალი, შაქარი და ყავა სოფელში იშვიათობა იყო, მაგრამ ოჯახები ხშირად ჩუქნიდნენ ინას, ჩაის, ორცხობილას, ზაფრანას, ფსტას, მიწის თხილსა და თამბაქოს — საზღვარზე გადმოტანილ კონტრაბანდას. ჯამილამ იცოდა, ფული რომ მოეთხოვა, ერთხელ გადაუხდიდნენ და ეგ იქნებოდა, მაგრამ თუ წვრილმანით აუნაზღაურებდნენ, ძღვენს ცხოვრების ბოლომდე მიიღებდა.

ყავას ფრთხილად, დინჯად ურევდა. ყავა სიყვარულს ჰგავსო, ამბობდნენ, რაც უფრო მოთმინებით მოეპყრობი, მით უფრო გემრიელი გამოვაო. სიყვარულზე ჯამილამ ბევრი არაფერი იცოდა. მხოლოდ ერთხელ იყო შეყვარებული და მწარე, მძიმე მოგონება დარჩა. სიყვარულმა ცხელი ყავასავით დაუწვა ენა და მასზე აღარასდროს ულაპარაკია.

თან ქაფს უყურებდა და თან, ახლო თუ შორეულ ხმებს უგდებდა ყურს. ხეობა სულებით იყო სავსე. ჭინკები ბრინჯის მარცვლისოდენა იყვნენ, შეუიარაღებელი თვალისთვის შეუმჩნეველი, თუმცა ძლიერები და საშიშები. ფანჯრებზე ჩიტები

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აკაკუნებდნენ, წყლიან სათლებში მწერები დახტუნავდნენ, თითქოს ტბის ზედაპირზე არიანო. ასე სჯეროდა, ყველაფერს აქვს თავისი ენაო. ჭექა-ქუხილს, დილის ცვარს, საშაქრეში მცოცავ ჭიანჭველას... ზოგჯერ ეგონა, ყველაფერი ესმოდა, რასაც ამბობდნენ.

ბებიაქალობაზე მეტად არაფერი უყვარდა. მისი მისია იყო, მისი ბედისწერა. ამიტომაც ნისლში, პაპანაქებაში, წელამდე თოვლსა და დღე-ღამის ნებისმიერ დროს გამოძახებაზე იყო, კარზე კაკუნს ელოდა. არავინ იცოდა, მაგრამ გულის სიღრმეში უკვე დაქორწინებული იყო. დაქორწინებული თავის ბედისწერაზე.

* * *

ღამის ქარი ფანჯრის რაფებს აზანზარებდა. ჯამილამ ყავა გადმოდგა ცეცხლიდან და გაბზარულსახელურიან თიხის ფინჯანში ჩაასხა. პატარა ყლუპებით დალია. ცეცხლი მასავით იყო — მქრქალი, არავის რომ არ რთავდა მოახლოების ნებას. ძვირფასი წუთები იფერფლებოდა ოცნებებივით.

სადღაც შორს ფრინველმა დაიყიპყიპა — ბუმ, რომელსაც ადგილობრივები ნანგრევების დედას ეძახდნენ. ისევ დაიყვირა, ამჯერად, უფრო გაბედულად. ჯამილა თვალებდახუჭული იჯდა, მერყევ ფიქრებში გართული. სირთულეების მიუხედავად, ბავშვობა ბედნიერად ახსენდებოდა. ზოგჯერ ტყუპი დედაშვილობანას თამაშობდა ხოლმე. პემბე სამი წუთით იყო უფროსი, თუმცა ყოველთვის შვილის როლს ირგებდა, ჯამილა კი არიგებდა და უყვავებდა. არწევდა, ძილისპირულს უმღეროდა, ზღაპრებს უყვებოდა. დედაშვილობანას გახსენებაზე, ჯამილას უკვირდა, როგორი სერიოზულობით ეკიდებოდნენ თამაშს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოაგონდა, მამამისმა ბერზომ ერთხელ ორივე ქალაქში რომ წაიყვანა და სურვილების შადრევანი რომ ალმოაჩინეს. დედობაზე მეოცნებე ქალები, რძლების მოძულე დედამთილები, გასათხოვარი ქალწულები — ყველა იქ იდგა და წყალში მონეტებს ისროდა. ხალხი რომ წავიდა, პემბემ კალთა აიწია და შადრევნიდან ხურდები ამოკრიფა. მერე ორივენი გიჟებივით გაიქცნენ, ალტაცებისგან კიოდნენ, უახლოეს მაღაზიაში შეირბინეს და ტკბილეულობა და შაქარყინული იყიდეს.

მართალია, ნამდვილი თავგადასავალი გადახდათ, მაგრამ მაინც, თავი დამნაშავედ იგრძნო. იქურდეს. კიდევ უარესი, ხალხს ოცნებები მოჰპარეს, რაც საფულის მოპარვაზე ამაზრზენი იყო.

— ნუ იქნები მგრძნობიარე, — უთხრა პემბემ, როცა მისი წუხილის მიზეზი გაიგო, — მათ მონეტები გადაყარეს, ჩვენ უბრალოდ ჩავიჯიბეთ, სულ ეგაა.

— ჰო, მაგრამ იმ მონეტებზე მათი ლოცვები იყო. შენი საიდუმლო ნატვრა რომ მოეპარა ვინმეს, არ გეწყინებოდა? მე — კი.

პემბე გაიბადრა.

— რა არის შენი საიდუმლო სურვილი?

ჯამილა დაიბნა, თითქოს კუთხეში მიიმწყვდიესო. რა თქმა უნდა, სურდა, ერთ დღეს გათხოვილიყო, საქორწილო კაბა და ქალაქში ცნობილი კრემიანი ტორტიც მშვენიერი იქნებოდა, მაგრამ ქორწინება იმდენად მნიშვნელოვანი მაინც არ იყო. შვილების ყოლაც გაახარებდა, თუმცა არ იცოდა, ეს მართლა უნდოდა თუ მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა ამას ეუბნებოდა. ფერმა და მიწის დამუშავებაც მოსწონდა, მაგრამ მისთვის ეს კომფორტი უფრო იყო, ვიდრე გატაცება. კარგად რომ დაფიქრდა, გაუხარდა, რომ მხოლოდ ქურდი იყო და არა, სურვილის ჩამფიქრებელი. მონეტა რომ ჰქონოდა, არც კი ეცოდინებოდა, რა ჩაეთქვა.

დის ყოყმანის შემყურე პემბემ ჩაიცინა. თვითონ თვალები აენთო:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მე მეზღვაური ვიქნები და მსოფლიოს შემოვივლი. ყოველკვირა ახალ ნავსადგურში გავიღვიძებ.

ჯამილას არასდროს უგრძნია თავი ასე მარტოსულად. გააცნობიერა, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერში ერთნაირები იყვნენ, ერთი დიდი განმასხვავებელი თვისება ჰქონდათ — ამბიცია. პემბეს ეწადა, მდინარე ევფრატის მიღმა სამყარო ენახა. შეეძლო, გულის კარნახს მიჰყოლოდა და ყურადღება არ მიექცია, სხვები რას ილაპარაკებდნენ. იმწუთში ჯამილა მიხვდა, რომ ცხოვრებას ერთმანეთისგან შორს გაატარებდნენ.

მამა ამბობდა, ტყუპი ერთდროულად დალოცვილიც არის და დაწყევლილიცო. დალოცვილები იყვნენ, რადგან ერთმანეთი ჰყავდათ, დაწყევლილები კი იმიტომ იყვნენ, რომ ერთის სადარდებელს, მეორეც ისევე განიცდიდა, შესაბამისად დ ორმაგად იტანჯებოდნენ. თუკი ეს სიმართლე იყო, რა უფრო მეტ ტკივილს მიაყენებდა ჯამილას — დის გატაცებები თუ თავისი უსურვილობა?

მოგონებები

ლონდონი, 1977 წელი

კონვეიერიდან პეშვით შვრიის ორცხობილები რომ აიღო და თუნუქის ქილაში ჩააწყო, ადემ ტოპრაკმა უცებ გააცნობიერა: დედის სახე აღარ ახსოვდა. წუთით შეჩერდა, ჟრუანტელმა დაუარა. შეყოვნდა და მომდევნო ქილაში ორცხობილების ჩაყრა გამორჩა. რამდენიმე ფუტის მოშორებით მდგარმა ბილალმა ეს დაინახა და შეცდომა შეუმჩნევლად გამოასწორა. ადემს რომ შეენიშნა, რა მოხდა, მეგობარს მადლიერად დაუქნევდა თავს, მაგრამ იმ მომენტში ჯერ კიდევ ცდილობდა, გაეხსენებინა, როგორ გამოიყურებოდა დედამისი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქვეცნობიერად ქალზე ფიქრობდა. შორეულ ქალზე, რომელიც თითქოს სქელ ნისლში იდგა. მაღალი და გამხდარი იყო, მარმარილოსავით სახე და მშვიდი, სევდიანი, მქრქალი თვალები ჰქონდა. თავზე გისოსებიანი ფანჯრიდან შემოსული მზის სხივი ეცემოდა, სახის ნახევარი კი ჩრდილს დაეფარა. სპილენძისფერი თმა ამშვენებდა, შემოდგომის ფოთლების ფერი. თუმცა, რომ დაბნელდა, თმის ფერიც შეეცვალა, მელანივით შავი გაუხდა. სქელი და მრგვალი ტუჩები ჰქონდა. თუმცა, ზუსტად ვერ იტყოდა. ბოლომდე დარწმუნებული არ იყო. შესაძლოა, თხელი ტუჩები ჰქონდა, კუთხეებში ჩამოღვენთილი. ქალი ყოველ წამს იცვლებოდა. მისი სახე თითქოს ცვილისგან იყო გამოძერწილი.

ადემი არც იმას გამორიცხავდა, რომ ერთმანეთში ურევდა ორი ქალის სახეს — ვინც ამქვეყნად მოავლინა და რომელიც ცოლად შეირთო. გრძელი, ტალღოვანი, წაბლისფერი თმა, ახლა რომ ხედავდა, პემბესი იყო და არა დედის — აიშასი. ნუთუ, ცოლი იმდენად განუყოფელი იყო მისგან, რომ ყველა მოგონება დაჩრდილა, მათ შორის ის, რაც მასთან შეხვედრამდე ჰქონდა. ფეხი შეცვალა და თვალები დახუჭა.

კიდევ ერთი მოგონება ამოუტივტივდა. ის და დედამისი იდგნენ ზურმუხტისფერ მინდორში, რომელიც კაშხალს გადასცქეროდა. მაშინ რვა წლის იყო. დედამისს სტამბოლის ცნობილი პოირაზი[1] გაშლილ თმას სახეში აყრიდა. მაღლა ცა ლურჯი იყო, შორს, ფერდობებისკენ კი ოქროსფრად, კალისფრად და ვერცხლისფრად იფერებოდა. კაშხლის მრავალი ფარიდან, რამდენიმე იყო ღია და წყლის დონე დაბლა გახლდათ დაწეული. წყალვარდნილის შემყურე ბიჭს თავბრუ ესხმოდა. ნებისმიერ სხვა დღეს დედამისი გააფრთხილებდა, კიდესთან ახლოს არ მიხვიდეო, მაგრამ მისდა გასაოცრად, იმ დღეს არაფერი უთქვამს.

---

1 ქარი, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთიდან უბერავს და ხშირად, წვიმის ღრუბელი მოაქვს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„შაითანი კიდესთან იცდის, რომ ჩაითრიოს ნებისმიერი, ვინც ახლოს მივა“.

ამიტომ ცვიოდა დაბლა ყველა — აივნის მოაჯირზე გადაწეული ბავშვები, რაფაზე ფანჯრის გასაწმენდად შემდგარი დიასახლისები, სახურავზე ამძვრალი მებუხრეები. შაითანი ბრჭყალებით კოჭებში ებღაუჭებოდა და სიცარიელეში ითრევდა. მხოლოდ კატები თუ გადარჩებოდნენ, მათ ხომ ცხრა სიცოცხლე ჰქონდათ.

ხელჩაკიდებული დაეშვნენ ბორცვზე, კაშხლის ცალ მხარეს აზიდულ, უზარმაზარ კედელს მიადგნენ. ღარტაფის თავზე მდგომმა აიშამ ამოიხვნეშა. თითქოს დაავიწყდა, რომ ახლომახლო ავსული იყო ჩასაფრებული. შესაძლოა, ახსოვდა კიდეც, რადგან ბიჭმა შეატყო, დედამისი ლოცულობდა. აშკარად ღმერთს ევედრებოდა, უბედურება აგვარიდეო. გულზე მოეშვა — წუთიერად. იქნებ, სატანა ბუჩქებში იმალებოდა და მათ უფსკრულში გადასაჩეხად ემზადებოდა? დედას გაუცნობიერებლად ხელი გაუშვა და ირგვლივ მიმოიხედა, დარწმუნდა, რომ მათ გარდა არავინ იყო. როცა მოტრიალდა, დედა გვერდით აღარ ჰყავდა.

თვალწინ წარმოუდგა, როგორ ვარდებოდა დედამისი. თითოეული წამი.

* * *

ადემმა თვალი რომ გაახილა, შეშფოთებული ბილალი მისჩერებოდა.

— რა გჭირს, კაცო? — ხმას აუწია, რომ მანქანების ხმაური გადაეფარა, — ათზე მეტი პორცია გამოტოვე.

— არაფერი, — ადემმა გულზე მოითათუნა მარჯვენა ხელი, — კარგად ვარ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბილალმა ზანტად, მაგრამ გულწრფელად გაუღიმა და სამუშაოს მიუბრუნდა. ადემმაც მიჰბაძა. დარჩენილი შუადღის განმავლობაში ერთი ორცხობილაც არ გამორჩენია, თუმცა, ვინც კარგად იცნობდა, მიხვდებოდა, კაცს რაღაც აწუხებდა. სულში საავდრო ღრუბელივით ავის მომასწავებელი შფოთი ეპარებოდა, დაუმორჩილებელი ტკივილი.

იცოდა, რა გრძნობაც იყო: კუთხეში მიმწყვდეული მხეცის შიში. თავს ნანადირევი მსხვერპლივით გრძნობდა, თითქოს შხამი შეუყვანეს ორგანიზმში, რომელიც ერთბაშად მოკვლის ნაცვლად, ნელ-ნელა უღებდა ბოლოს. საითკენაც უნდა გაეხედა, ყველგან მტაცებლების ჩრდილს ხედავდა. ვერსად დაიმალებოდა — ინგლისიდან უნდა წასულიყო. მაგრამ გაქცევა არ შეეძლო, შვილი და ცოლი მასზე იყვნენ დამოკიდებული. თუ ოჯახის წაყვანასაც მოინდომებდა, ფული უნდა ეშოვა. თანაც ბევრი. გამოუვალ მდგომარეობაში იყო. ჩინელებმაც იცოდნენ ეს, ამიტომ არ იწუხებდნენ თავს მისი შემოწმებით. იცოდნენ, თუ გადახდას დააგვიანებდა, ნებისმიერ დროს იპოვიდნენ. კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც ადემი არსად წავიდოდა, როქსანა იყო.

* * *

ექვსი კვირის წინ ადემს საოცრად ამაღლებული და მხიარული განწყობით გაეღვიძა. ეს ნიშანი იყო. ნიშნები არასდროს ღალატობდა. ხელისგულები ექავებოდა, გული ჩვეულებრივზე სწრაფად უცემდა, მარცხენა თვალი კი უთამაშებდა — არაფერი განსაკუთრებული. მხოლოდ სუსტი ტოკვა, თითქოს დაშიფრული შეტყობინება მოვიდა ზეციდან. სხვა მხრივ, ჩვეულებრივი დღე იყო, თუმცა ის შეგრძნება საღამომდე გაჰყვა. შუადღეს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყველა ზრდილობიანად ეპყრობოდა და თვითონაც ზრდილობიანად ეპყრობოდა ყველას. მზიანი დღე იყო, ცა მდინარე ტემზის ზედაპირზე ირეკლებოდა.

მზე რომ ჩავიდა, ადემმა აზარტული თამაშების სოროს მიაკითხა. ერთ დღესაც, არც ისე შორეულ მომავალში, შეწყვეტდა თამაშს. მავნე ჩვევას მოიშლიდა, სხეულიდან მოიკვეთდა, ჯანმრთელი ხის დაავადებული ტოტივით მოჭრიდა. ხეს თუ შეეძლო, ახალი ტოტი ამოზრდოდა, ისიც შეძლებდა სურვილის დაძლევას. მაგრამ ჯერ არა. ჯერ არ იყო მზად. არა უშავს, არწმუნებდა თავს. დღეს გული რაღაც კარგს მიგრძნობს.

თამაშების სორო, სინამდვილეში, ერთი საუცხოო სახლის სარდაფი იყო. სახლს, ორმაგფასადიანი ტერასით, დრომ ვერაფერი დააკლო. ის ბეთნალ-გრინში მდებარეობდა. შიგნით სხვა სამყარო იშლებოდა. სარდაფს ხუთი ოთახი ჰქონდა დ თითოეულში კაცები სნუკერს თამაშობდნენ ან რულეტის, ბლექჯეკისა და პოკერის მაგიდების გარშემო გროვდებოდნენ. სიგარეტის კვამლი ჰაერს ასქელებდა. ისინი, რომლებიც მეტი ფულითა და ნაკლები შიშით გამოირჩეოდნენ, უკანა ოთახში ისხდნენ. მჭიდროდ მიხურულ კარს მილმა რულეტის ბორბლის ჩხარუნი, შიგადაშიგ კი ბუზღუნი, ოხვრა და ხვნეშა ისმოდა.

ეს ადგილი მამაკაცებისთვის შეექმნათ. რამდენიმე ქალი, რომელიც აქეთ-იქით დაცუნცულებდა, უკვე ვიღაცას დაესაკუთრებინა, რაც ნიშნავდა, რომ მათთან მისვლა აკრძალული იყო. სარდაფში მოქმედებდა დაუწერელი კანონები, რომელსაც ყველა ემორჩილებოდა. ინდოელები, პაკისტანელები, ინდონეზიელები, ბანგლადეშელები, კარიბელები, ირანელები, თურქები, ბერძნები, იტალიელები... ყველა ინგლისურად საუბრობდა, თუმცა მშობლიურ ენაზე იგინებოდა, ლოცულობდა და თათბირობდა. იქაურობას ყველა ბუნაგს ეძახდა. ბუნაგს ერთი სიტყვაძვირი ჩინელი ოჯახი მართავდა. ისინი ყოველთვის ვიეტნამში ცხოვრობდნენ, მაგრამ ომის შემდეგ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წამოსვლამ მოუწიათ. ადემი მუდამ მოუსვენრად გრძნობდა თავს მათ გვერდით. იტალიელებისგან განსხვავებით, ჩინელები ერთმანეთს არ ესარჩლებოდნენ, არც ირლანდიელებივით ფიცხი ხასიათი ჰქონდათ. რაღაც ამოუცნობი იმალებოდა მათ ქცევაში. ამინდივით იცვლებოდნენ.

იმ საღამოს ადემი ბლექჯეკითა და კამათლის თამაშით იყო დაკავებული, მერე კი რულეტზე გადაინაცვლა. პირველი ფსონი შავზე დადო. ხელსაყრელი სვლა იყო, შემდეგ — კომბინაციის ფსონი. ისევ მოიგო, ოლონდ — ცოტა. შემდეგ წითელზე დადო და ზედიზედ სამჯერ მოიგო. წინა ფსონებიდან მოგებულ თანხას მიმდინარე ფსონს უმატებდა. ჯადოსნური წუთები იდგა, თითქოს რულეტის ბორბალს შეიგრძნობდა. ადემის მსგავსად, ბორბალს კარგი მეხსიერება არ ჰქონდა. შეგეძლო, ყოველ ჯერზე ერთსა და იმავე ადგილას დაგედო ფსონი, მოგების შანსი კი მაინც იგივე რჩებოდა. რულეტი არ ცნობდა განსაზღვრულ სტრუქტურებს, ამიტომ ადემიც მეხსიერების დაძაბვის გარეშე თამაშობდა, მხოლოდ ახალ ფსონზე ახდენდა კონცენტრაციას, თითქოს პირველი და უკანასკნელი იყო.

ოთახში მყოფებმა ცერა თითი მაღლა ასწიეს, მოწონების ნიშნად, მხარზე დაარტყეს და საქებარი სიტყვები ამოილულლულეს. უცხო ხალხისგან გამოვლენილი პატივისცემა საუცხოო შეგრძნება იყო. მოსწონდა, რომ თან შურდათ და თან ეთაყვანებოდნენ. კიდევ ერთხელ ითამაშა, კვლავ ტრიუმფალურად. მაგიდის გარშემო ხალხი მომრავლდა. თხუთმეტი წუთის შემდეგ ჯერ კიდევ მობზრიალე ბურთს უყურებდა, ჯერ კიდევ იგებდა. დილერმა შესვენება ითხოვა.

ადემი სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად ქუჩაში გავიდა. ტროტუარზე მარტო იჯდა მაღალი, ვეებერთელა მაროკოელი, რომელსაც ქარხნიდან იცნობდა.

— ილბლიანი ხარ, — აღნიშნა მაროკოელმა.

— ყისმათი. ყოველდღე ასე კი არაა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— შეიძლება, ალაჰი გცდიდეს, — კაცი შეყოვნდა და თვალი შეავლო, — ხომ იცი, რომ ამბობენ, ვისაც ცხენის გაჭენება უნდა, შეიძლება ხერხემალი მოიტეხოს, მაგრამ ცხენი მაინც გაინავარდებსო.

— ეგ რა ჯანდაბას ნიშნავს?

— არ ვიცი, მაგრამ მომწონს, როგორც ჟღერს.

გაეცინათ. ხმაში ღამის ჰაერი შერეოდათ.

— მე ვიცი, — თქვა ადემმა, — ადამიანი შეიძლება სამყაროს დასალიერში გაიქცეს, მაგრამ უკან რაცა აქვს, იმას ვერ გაექცევა.

— აჰა-ა, — მაროკოელი ჭიქის აწევას აპირებდა, როცა შენიშნა, რომ მისი კომპანიონი ხელცარიელი იდგა.

— არ ვსვამ, — აუხსნა ადემმა.

ამაზე კაცს ჩაეცინა.

— ოჰო, ერთი შეხედეთ! აზარტულ თამაშებს ხარ მიჯაჭვული, მაგრამ დასალევზე რომ მიდგება საქმე, ღვთისმოსავ მუსლიმად იქცევი.

ადემს სახე მოექუფრა. მიჯაჭვული არ იყო. როცა მოისურვებდა, მაშინ შეწყვეტდა თამაშს. თუ რატომ არ სვამდა, ამაზე იშვიათად საუბრობდა, მით უმეტეს, უცნობებთან. თუმცა იმ ღამით გამონაკლისი დაუშვა. მტკიცე ხმით თქვა:

— მამაჩემი ლოთი იყო.

როგორც კი სარდაფში შებრუნდა, შუქი ჩაქრა. იმ კვირაში — უკვე მესამედ. ბოლო დროს ლონდონი დილაობით წვიმის ღრუბლებისგან რუხდებოდა, საღამოობით კი უშუქობისგან შავდებოდა. სანთლების მაღაზია ჰაკნიში ალბათ ფულებს ხვეტს, — გაიფიქრა ადემმა. სანთლების გაყიდვით კარგი ფული იშოვებოდა, ეს ბიზნესი პურითა და რძით ვაჭრობასავით მნიშვნელოვანი გახდა.

ადემმა თვალები დაძაბა, რომ ნახევრად განათებულ კორიდორში გაევლო და უკანა ოთახამდე მიეღწია. პარაფინის ლამპის გარშემო, მაგიდასთან, სამი პირქუში, სიტყვაძვირი ჩი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნელი იდგა შეუვალი გამომეტყველებით. ადემმა იცოდა, რომ წასვლის დრო დადგა. ქურთუკი აიღო, დილერს ფული აჩუქა და ის-ის იყო, კარში უნდა გასულიყო, შეჩერდა.

მოგვიანებით, როცა იმ მომენტს იხსენებდა ხოლმე, მატარებლის საავარიო სახელური აგონდებოდა. მისი ჩამოქაჩვა არასდროს უცდია, მაგრამ იცოდა, თუ ვინმე ჩამოსწევდა, მატარებელი უეცრად გაჩერდებოდა. იმ ღამეს თვითონაც ასე შეჩერდა, თითქოს მის ზურგზე საავარიო სახელური ვიღაცას ჩამოექაჩოს.

ოთახში ახალგაზრდა ქალი შევიდა, თითქოს ჩრდილებიდან გაჩნდა. პატარა, კოხტა ყურზე გადაწეული, მისი ქვიშისფერი თმა ლამპის მქრქალ შუქს იდუმალად ირეკლავდა. მოკლე ტყავის ქვედაბოლო და თეთრი აბრეშუმის მაისური ეცვა მრგვალი, მარყუჟიანი საყელოთი, ფეხებს კი მაღაქუსლიანი ფეხსაცმელი უმშვენებდა. გულის ფორმის სახეზე ეწერა, რომ იქ ყოფნა არ სიამოვნებდა და შორს ყოფნა ერჩივნა. ადემი უცქერდა, როგორ დაჯდა ქალი ერთ-ერთი ჩინელის გვერდით. ჩინელი, მელოტი ახოვანი კაცი, ისე იქცეოდა, როგორც იქაურობის ბატონ-პატრონი და სავარაუდოდ, ასეც იყო. ქალმა რაღაც ჩასჩურჩულა. ჩინელმა ნახევრად ჩაიღიმა და თეძოზე მოუთათუნა ხელი. ადემს შიგნით რაღაც ჩასწყდა.

— ჯერ კიდევ აქ ხარ. ერთ ხელსაც ხომ არ ითამაშებდი, მეგობარო?

შეკითხვა კაცმა ისე დასვა, თავი არ აუწევია და არც ვინმესთვის შეუხედავს. თუმცა ადემმა და დანარჩენებმაც იცოდნენ, რომ მას მიმართავდა. გრძნობდა, რომ ყველა შესქცეროდა, მაგრამ მხოლოდ ქალის საფირონისფერ თვალებს ჰქონდა გამგმირავი მზერა. არასდროს ენახა ასეთი დიდი, ნათელი და ლურჯი თვალები. ეს ქალი მის ცოლს რომ გადაჰყროდა, ავი თვალი არ მეცესო, შეაშინებდა. პემბეს ღრმად სწამდა, ასეთი თვალების პატრონი თუ შემოგხედავდა, თუნდაც წამიერად, სახლში უნდა გაქცეულიყავი და ღუმელში მარილი დაგეწვა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ადემს ცეცხლი მოედო. იმწუთას გააცნობიერა, რომ ცხოვრებაში თუ არა, თამაშში მაინც ყველაზე დიდ შეცდომას უშვებდა — პროვოკაციაზე ეგებოდა. მიხვედრა ერთი იყო, დამორჩილება — მეორე. თავი გადახარა და უპასუხა:

— ჰო, ვითამაშებ.

ისევ გამოუვიდა, თუმცა ამჯერად სხვაგვარად იყო ყველაფერი. მის გარშემო ენერგია შეიცვალა. ამჯერად ის და რულეტის ბორბალი განცალკევებული ორგანიზმები იყვნენ, სინქრონი დაირღვა. მიუხედავად ამისა, ადგილიდან არ დაძრულა. სკამს მიეჯაჭვა იმის ცქერაში, როგორ ატრიალებდა ბურთს ქალღმერთი.

შუქი მოვიდა. ეს წარმატების ნიშნად მიიღო და თამაში გააგრძელა. მოიგო. კიდევ მოიგო. ფსონი გაიზარდა. თამაში უფრო საშიში, გიჟური გახდა. ჩინელები ცდილობდნენ, მოუსვენრობა არ შესტყობოდათ, მაგრამ აღელვებას ველარ მალავდნენ. ხალხში შენიშნა მაროკოელი, რომელსაც სახე შეეჭმუხნა.

თავი გააქნია და უთხრა:

— საკმარისია, ძმაო!

მაგრამ ადემი ვერ ჩერდებოდა. ქალი მაგიდის მეორე მხრიდან უქცერდა, ალუბალივით ტუჩები თავისკენ ეზიდებოდა. კაცმა იგრძნო, არსებობდა შანსი, თუნდაც უმცირესი, რომ მისი გულიც მოეგო, თუკი რულეტში მოიგებდა. რამდენიმე წამში ქალს ვიღაცამ დაუძახა და ასე შეიტყო მისი სახელი: როქსანა.

პირდაპირი ფსონი. ყველა ჩიპი თოთხმეტზე დადო. ბურთი ბორბლის საწინააღმდეგო მიმართულებით დატრიალდა, მისი ცხოვრების ორ დინებასავით — ოჯახი და თავისუფლება, ორივე სხვადასხვა მხარეს რომ ექაჩებოდა. ამის შემხედვარეებმა ერთხმად ამოიოხრეს ნაპირზე დახეთქებული ტალღების მსგავსად. ბურთი ოდნავ შეხტა, სანამ საბოლოოდ მოთავსდებოდა ბუდეში. ბორბალმა ერთი სრული ბრუნიც გააკეთა. ქალის სახე აღტაცებით აინთო, რაც კაცს საოცრად მოეწონა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საჭირო არ იყო, ბორბლისთვის დაეხედა, რათა მიხვედრილიყო, რომ მოიგო.

ამ დროს ჩინელმა ჩაილაპარაკა ჩუმად, მაგრამ იმდენად ხმამაღლა, რომ ადემს გაეგო:

— ოჯახი არ გელოდება, მეგობარო? ალბათ ნერვიულობენ შენზე. გვიანია.

შეფარულმა გაფრთხილებამ და ოჯახის ხსენებამ მასსა და რულეტს, მასსა და ოთახს, მასსა და ქალს შორის სქელი ფარდა ჩამოაფარა. ადემმა ჩიპები ყუთში ჩაყარა, ნაღდ ფულზე გადაცვალა და დიდი ნაბიჯებით გავიდა. ნაცნობმა მანქანით ნახევარ გზამდე გაიყოლა, მეორე ნახევარი ფეხით უნდა გაევლო.

აღმოსავლეთ ლონდონის ქუჩები ნაგვით იყო სავსე. მყრალი ნაგავი ყველგან ეყარა. სამყარო გაგიჟებულიყო. ყველა გაიფიცა: მეხანძრეები, მაღაროს მუშები, მცხობელები, საავადმყოფოს პერსონალი, მენაგვეები. არავინ იყო თამაშის ხასიათზე.

არავინ, გარდა აზარტული თამაშების მოყვარულებისა.

სახლს რომ მიაღწია, ლავენდერ-გროუვზე, დილის ოთხი საათი ხდებოდა. მოსაწევად დივანზე წამოჯდა. თითებშუა სიგარეტი იფერფლებოდა, გვერდით კი თბილად და ერთგულად ელაგა ფულის დასტები.

თექვსმეტი ათას ოთხასი გირვანქა. ყველას ღრმად ეძინა, ოჯახს გამარჯვების შესახებ ვერ ახარა. უნდა დაეცადა. ბინდით მოცულ მისაღებ ოთახში იწვა თვალებგახელილი, ყოვლისმომცველი და გადაულახავი მარტოობის გრძნობით გატანჯული. ცოლის სუნთქვა ესმოდა, ორი ვაჟის, ქალიშვილის, ოქროს თევზისაც კი... ყველაფერი იდუმალ სიმშვიდეში იყო გახვეული.

ეს ჯერ კიდევ მაშინ შენიშნა, თურქულ ჯარში რომ მსახურობდა. როცა სამზე მეტს ვიწროდ ეძინა, ადრე თუ გვიან მათი სუნთქვა სინქრონიზებული ხდებოდა. შესაძლოა, ამ გზით ღმერთი გვეუბნებოდა, თუ ეგოიზმს დავთმობთ, ყველა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნი ჰარმონიაში ვიცხოვრებთო. ეს ფიქრი ახალი იყო მისთვის და ცოტა ხნით გულს მოეფონა. მაგრამ სადაც ჰარმონია სუფევდა, იქ ადემისთვის ადგილი არ მოიძებნებოდა. გააცნობიერა, რომ, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ერთი უბრალო კაცი იყო, მაგრამ მისთვის მნიშვნელოვან ადამიანებს აღალატებდა. მერამდენედ გაიფიქრა, — იქნებ, შვილები უკეთ იყვნენ ჩემ გარეშეო.

ძილი არ მიჰკარებია და გამთენიისას სახლიდან გავიდა. ფული თან წაიღო, მიუხედავად იმისა, რომ კარგად ესმოდა, რამდენად სულელურად იქცეოდა. ჰაკნიში ბევრი მძარცველი და ქურდი დაძრწოდა, იმ ფულისთვის უყოყმანოდ დაამტვრევდნენ ნეკნებს. ნაბიჯს მოუჩქარა, უცნობებს თვალს არიდებდა.

United Biscuits-ის ქარხანაში მეფესავით ეპყრობოდნენ. ყველას შეეტყო მოგების ამბავი. შესვენებაზე ტარიქმა — ძმამ შემოუარა, მისალოცად და დახმარების სათხოვნელად.

— ხომ იცი, როგორი ცოლი მყავს, — თქვა ტარიქმა ჩურჩულით, — გული შემიღონა სამზარეულოთი.

ტარიქს ბრიტანულ სამზარეულოებზე თეორია შეემუშავებინა, — გამიზნულად ამზადებენ ასეთ პატარასა და უხეიროს, რომ ხალხმა რესტორნებში იაროსო. მისი აზრით, ამ კონსპირაციაში არქიტექტორებიც, პოლიტიკოსებიც, კანცლერებიცა და გაერთიანებებიც ჩართული იყვნენ. რესტორნების მფლობელებმა ყველანი მოისყიდესო. არ წყვეტდა ღვარძლიანობას.

ადემი თავაზიანად უკრავდა თავს, თუმცა იცოდა, უფროსი ძმა მისგან იმდენ ფულს ისესხებდა, რამდენსაც გამორჩებოდა. ნაწილს სამზარეულოსთვის დახარჯავდა, დანარჩენს კი თავის ანგარიშზე შეინახავდა. ტარიქი მუდამ აგროვებდა ფულს. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ეს კაცი ასეთი გულუხვი იყო ახალგაზრდობაში და მხარში ედგა ორ ძმას. მამა რომ გარდაეცვალათ, ტარიქი მძიმედ შრომობდა, ადემსა და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხალილზე ზრუნავდა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში კი ხელმომჭირნე გახდა, კბილის პასტის ტუბს ჭრიდა, ბოლომდე რომ ამოესუფთავებინა, მხოლოდ მეორად საქონელს ყიდულობდა, ოჯახს უკრძალავდა მის უკითხავად რაიმეს შეძენას, თუმცა, როცა ნებართვას სთხოვდნენ, ეუბნებოდა, არ არის საჭიროო.

ადემმა ღრმად ჩაისუნთქა და თქვა:

— დედაჩვენზე ფიქრობ ხოლმე?

სხვა დროს ვერ გაბედავდა ასე ლაპარაკს, მაგრამ ამჯერად, ძმამ თხოვნით რომ მიმართა, უპირატესობა იგრძნო. იმსახურებდა, დახმარების სანაცვლოდ, მოგონებები მიეღო. თუმცა შეკითხვა ისეთი მოულოდნელი იყო, ტარიქი წამით დაიბნა და ვერ მოიფიქრა, რა ეპასუხა. ღრმა ნაოჭი დააჩნდა წარბებს შუა, შუბლამდე აუვიდა, იმ თეთრ ლაქამდე, ბავშვობაში გადატანილი დაავადების ნიშნად რომ ჰქონდა. ხრინწიანი, მძიმე ხმით დაილაპარაკა:

— რატომ უნდა ვიფიქრო? ეგ ქალი არაფერში გამოგვადგა.

არ გაინტერესებს, ცოცხალია თუ არა? სხვა შვილები თუ ჰყავს, როგორ არის, ან ოდესმე ხომ არ მოვნატრებივართ? — ადემს უნდოდა, ეს კითხვები დაესვა და ლამის დასვა კიდეც. მაგრამ ბოლოს სიჩუმე დაარღვია და სხვა რამ თქვა:

— საღამოს შემოგივლი, ფულს მოგიტან. ჩემს რძალს უთხარი, რომ ოცნების სამზარეულოს მიიღებს.

მზე რომ ჩავიდა, იმაზე დაფიქრდა, თუ ისევ ვითამაშებ და მოვიგებ, ორჯერ მეტი ფული მექნებაო. შეეძლებოდა, ესესხებინა კიდეც ტარიქისთვის, სხვებისთვისაც, თანაც ისე, რომ უკან არ მოეთხოვა. დიდსულოვანი მისიით მოტივირებული, ბეთნალ-გრინის სარდაფისკენ გაეშურა და ცისფერთვალება ქალი დაინახა. ქალი უყურებდა, როგორ ტრიალებდა ბურთი ბორბლის გარშემო, თავად კი ქალს შესცქეროდა. კვლავ დიდ ფულზე ითამაშა. წააგო. ყველაფერი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმ სამშაბათამდე ენა არ დამბმია ცხოვრებაში. 1978 წლის 14 ნოემბერი. დღე, როცა გადავწყვიტე, დანა მეტარებინა.

მე და ჩემი მეგობრები სკოლის ბუფეტში ვიყავით. ლურჯი პლასტმასის ლანგარი, ხორციანი კარტოფილი, ჯემიანი რულეტი, დოქით წყალი — ყოველდღიური სადილი. ერთ წუთს ხუმრობებს ვყვებოდი, მეორე წუთს კი იდიოტივით ვბორძიკობდი სიტყვებზე. ისე მოულოდნელად მოხდა, ისე სწრაფად, რომ ყველას ეგონა, ვხუმრობდი.

მეორე დღის თამაშზე ვლაპარაკობდით. „ჩელსი“ მოსკოვის „დინამოს“ წინააღმდეგ. არშადმა, დაბალმა, ჯმუხმა პაკისტანელმა — „ნოტინგემ ფორესტის“ დაცვაში თამაშზე მეოცნებემ, თქვა, ჩემს ახალ „დოკ მარტენსს“ ჩამოვდივარ, ლურჯები სულ ადვილად მოიგებენო. თუმცა, ყველამ ვიცოდით, პირობას არ შეასრულებდა.

არშადი განაწყენდა, რომ სერიოზულად არავინ მიიღო. ელვარე თვალებით და ღიმილით მომიტრიალდა. ასე იცოდა ყოველთვის, როცა რამე უნდოდა.

— შენს პუდინგს მომცემ?

თავი გავაქნიე.

— არ...შენს არ..აა..ა..და..ი..ვიიწყ.ე..ეე..გ..

გაჩერდა და მომაშტერდა. დანარჩენებიც მომაცქერდნენ, თითქოს პირველად დამინახეს. მერე ვილაცას ის ბიჭი გაახსენდა სხვა კლასიდან, ენა რომ ებმოდა და არავინ ელაპარაკებოდა. ჩათვალეს, რომ ვეოხუნჯებოდი და იხარხარეს. მეც გავიცინე, მაგრამ გულის სიღრმეში პანიკამ მომიცვა. ჩემი ლანგარი არშადისკენ მივწიე და ვანიშნე, შეეძლო ეჭამა, რაც დარჩა. მადა დამეკარგა.

შესვენება რომ დამთავრდა, საკლასო ოთახში უხალისოდ დავბრუნდი. ასე უმიზეზოდ რანაირად დამება ენა? ჩემს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ოჯახში ენაბლუ არავინ იყო. ესეთი რამეები ხომ გენეტიკურია? ან, იქნებ, არც არის. იქნებ, ერთხელ მოხდა, ერთჯერადი შეცდომა იყო, დროებითი მდგომარეობა.

ალბათ, ისევე უეცრად გაქრებოდა, როგორც გაჩნდა, მაგრამ ამაში უნდა დავრწმუნებულიყავი. საათი ჯიბეში ჩავიდე და ორ გოგოს მივუახლოვდი, რომ მეკითხა, რა დროა-მეთქი. თუმცა, უცნაური ბგერების გარდა არაფერი ალმომხდა.

გოგოებმა გადაიკისკისეს. ჩერჩეტები! ალბათ იფიქრეს, ვეპრანჭებოდი. მოვტრიალდი სახეალეწილი. ცალი თვალით ვხედავდი, ჩემი შეყვარებული მაკვირდებოდა. ისტორიის გაკვეთილი რომ დაიწყო, კეიტიმ წერილი გადმომიგდო.

მეგი, კრისტინი, ჰილარი. თუ ბიჭია, ტომი.

ქალალდი დავჭმუჭნე და ჯიბეში ჩავიცურე. მაშინვე მეორე ქალალდის ბურთი მესროლა.

რა გჭირს?

მხრები ავიჩეჩე, იმის ნიშნად, რომ სერიოზული არაფერი ხდებოდა. შეიძლება, კეიტი მიმიხვდა მინიშნებას, მაგრამ არ დაიჯერა. ამიტომ მივწერე: მერე გეტყვი!

მთელი გაკვეთილი ვნერვიულობდი, მასწავლებელს რამე არ ეკითხა. მთელი კლასის დასაცინი გავხდებოდი. საბედნიეროდ, არაფერი უკითხავს. ტანჯვა რომ დასრულდა, ზურგჩანთა მოვიკიდე და ცხოვრებაში პირველად გადაწყვიტე, დანარჩენი გაკვეთილები გამეცდინა და სახლში წავსულიყავი.

* * *

ოთხის ნახევარი იყო, სახლში რომ მივედი და ზარი დავრეკე. კართან რომ ვიცდიდი, მზერა ზარისკენ გამექცა, სადაც სახელი იყო მიწერილი.

ადემ ტოპრაკი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩემმა დამ, ესმამ წაანერა თავისი ჩახუჭუჭებული კალიგრაფიით.

— აქ ხომ ჩვენც ვცხოვრობთ, — ჩაიბურტყუნა, — მარტო მამის სახელი რატომ უნდა ეწეროს?

ესმა სუსტი გოგო იყო, მაღალი იდეების გამოთქმას არასოდეს ერიდებოდა: თანასწორობა, სოციალური სამართლიანობა, ქალთა უფლებები... ჩემს მეგობრებს ეგონათ, ან გიჟია, ან კომუნისტიო. მასზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, ამას დააწერდა:

ტოპრაკების ოჯახი

ან თუნდაც,

ადემი, პემბე, ისკენდერი, ესმა, იუნუსი და ოქროს თევზი

მე ფეხებზე მეკიდა, საერთოდ არაფერს დავწერდი. ასე უფრო სწორი იქნებოდა, უფრო ნამდვილი. ასე გამოვხატავდი, რომ იქ არავინ ცხოვრობდა. სინამდვილეში, ხომ იმ ბინაში არ ვცხოვრობდით, მხოლოდ დროებით ვიყავით. ჩვენთვის სახლი სხვა არაფერი იყო, თუ არა ერთვარსკვლავიანი სასტუმრო, სადაც დედა დამლაგებლების ნაცვლად რეცხავდა თეთრეულს და ყოველ დილით ერთსა და იმავე საუზმეს გვახვედრებდა: თეთრი ყველი, შავი ზეთისხილი, ჩაი პატარა ჭიქებით, რძის გარეშე.

შეიძლება, არშადს ერთ დღეს ლიგის პირველ დივიზიაში ეთამაშა. შეიძლება, ჯიბეები დედოფლის სურათებით და მანქანა ლამაზი ჩიტებით აევსო, მაგრამ ჩვენნაირი ხალხი ყოველთვის უცხოებად დავრჩებოდით. ჩვენ, ტოპრაკები, უბრალოდ, გამვლელები ვიყავით ქალაქში — ნახევრად თურქები, ნახევრად ქურთები, ლონდონის უბანში არასწორად მოხვედრილები.

ისევ დავრეკე ზარი. ჩამიჩუმი არ ისმოდა. დედა სად იყო? Crystal Scissors-ში ვერ იქნებოდა, იქ მუშაობას თავი რამდენიმე დღის წინ დაანება. რაც მამა წავიდა, ოჯახის თავკაცი მე ვიყა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვი და ალარ მინდოდა, რომ დედას სადმე ემუშავა. ბევრი იტირა, მაგრამ წინააღმდეგობა არ გაუწევია. იცოდა, ჩემი მიზეზი მქონდა. ხალხი ჭორაობდა. კვამლი კი უცეცხლოდ არ ჩნდება. ამიტომ ვუთხარი, სახლში დარჩი-მეთქი. ცეცხლი უნდა ჩამექრო.

სკოლაში არავინ იცოდა, რა ხდებოდა. ასე მერჩივნა. სკოლა სკოლა იყო, სახლი — სახლი. კეიტიმაც არაფერი იცოდა. შეყვარებული შეყვარებული იყო, ოჯახი — ოჯახი. ყველაფერს თავისი ადგილი ჰქონდა, როგორც წყალსა და ზეთს.

გავიფიქრე, დედა ალბათ მაღაზიაში წავიდა-მეთქი. ამაზეც უნდა დავლაპარაკებოდი. გასაღები ამოვიღე, გადავატრიალე, მაგრამ ვერ გავაღე. კარი ჩარაზული იყო. უცებ დერეფანში ნაბიჯების ხმა გავიგონე.

— ვინ არის? — დედაჩემის ხმა გაისმა.

— მმ..ეე..ვა..რ..დდ..ედდა..

— ისკენდერ, შენ ხარ?

მის ხმაში შიში იგრძნობოდა, თითქოს ეს-ესაა, რაღაც ცუდი მოხდაო. სწრაფი და ხმადაბალი ჩურჩული გავიგონე, დედაჩემის ხმა არ იყო. გული გამალებით მიცემდა და ჰაერი არ მყოფნიდა. ვერც წინ მივდიოდი და ვერც უკან, გასაღებს ვეჯაჯგურებოდი. ერთი წუთი ასე გაგრძელდა, შეიძლება ორიც. მერე კარი გაიღო.

დედაჩემი შესასვლელში გადამეღობა. ილიმოდა, თუმცა თვალები უცნაურად უელავდა. შევამჩნიე, თმა ოდნავ ჩამოშლოდა და პერანგზე ერთი ღილი არასწორად ჰქონდა შეკრული.

— ისკენდერ, ჩემო ბიჭო, მოხვედი?

ნეტავ, რამ უფრო გააკვირვა, სამი საათით ადრე რომ მივედი სახლში თუ მისი შვილი რომ ვიყავი, იმან.

— კარგად ხარ? — მკითხა დედამ. — კარგად არ გამოიყურები, ჩემო სულთანო.

ნუ მეძახი ეგრე-მეთქი, — მინდოდა, მეთქვა, — საერთოდ არაფერი დამიძახო-მეთქი. მაგრამ ამის ნაცვლად ფეხსაცმე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლები გავიძვრე, გვერდით გავწიე და ლამის წავაქციე. პირდაპირ ოთახისკენ გავიქეცი, კარი მივიჯახუნე და სკამი მივაყუდე, რომ ვერავინ შემოსულიყო. საწოლზე ავძვერი, თავზე ზეწარი გადავიფარე და ვცდილობდი, ღრმად მესუნთქა. ბოქსინგის გაკვეთილებზე როგორც გვასწავლეს. ამოისუნთქე. ჩაისუნთქე...

გარეთ იდუმალი შარიშური მესმოდა: იატაკის ღრჭიალი, თავსხმა წვიმა და ქარი. ხმების ნაზავში გავიგონე, როგორ გაილო წინა კარი და ვილაც გაძვრა თაგვივით.

ყველაზე მეტად მე ვუყვარდი — მისი პირმშო, პირველი ვაჟი, რონია ჩავემინი[1]. ახლა კი ყველაფერი შეიცვალა. დაინგრა. ლოყაზე ცრემლი ჩამომიგორდა. სახეში ხელი შემოვირტყი, რომ შემეჩერებინა. არ მიშველა. ისევ გავიწანი სილა, ამჯერად უფრო მწარედ.

მივაყურადე, როგორ გამოუყვა დერეფანს, ნაზი, გულის ცემასავით თანაბარი ნაბიჯებით. ჩემს კართან გაჩერდა, მაგრამ დაკაკუნება ვერ გაბედა. ისე ახლოს იდგა, შემეძლო, მისი მოძრაობა შემეგრძნო, მის დანაშაულის გრძნობას შევხებოდი, მისი სირცხვილი მეყნოსა. ასე ვიცდიდით, ღმერთმა იცის, რამდენ ხანს. ვუსმენდით ერთიმეორის სუნთქვას, ვცდილობდით გამოგვეცნო, მეორე რაზე ფიქრობდა. მერე წავიდა — თითქოს, არაფერი ჰქონდა სათქმელი, ვალდებული არ იყო, აეხსნა, თითქოს ჩემს აზრს, ბრაზს ან ტკივილს მნიშვნელობა არ ჰქონდა. ჩემგან წავიდა.

მაშინ მივხვდი, ბიძია ტარიქმა დედაჩემზე რაც მითხრა, მართალი იყო. მაშინ გადავწყვიტე, დანა მეყიდა. ხისტარიანი, დასაკეცი დანა. არალეგალურად, რა თქმა უნდა. არავის უნდოდა შარში გახვევა, მით უმეტეს ჩემნაირი ტიპის გამო. თუმცა, ვიცოდი, სადაც უნდა მეშოვა, ვიცნობდი ერთ კაცს.

არავის დაშავებას არ ვაპირებდი. უბრალოდ, მინდოდა დედაჩემი შემეშინებინა, ან ის კაცი.

ისკენდერ ტოპრაკი

---

1 **თვალისჩინი (თურქ.).**

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სტამბოლი, 1954 წელი

ადემმა მთელი ბავშვობა ორ მამას შორის გაატარა: ფხიზელი ბაბა[1] და მთვრალი ბაბა. ორივე ერთ სხეულში ცხოვრობდა, მაგრამ ერთმანეთისგან დღე-ღამესავით განსხვავდებოდა. მათ შორის სხვაობა იმდენად დიდი იყო, ადემი ფიქრობდა, მამაჩემი ყოველ საღამოს მაგიურ ნაზავს სვამსო. ჯადოქრობა ბაყაყს პრინცად ან დრაკონს გრძნეულად კი არ გადააქცევდა, არამედ საყვარელ მამას — სრულიად უცხო ადამიანად.

ფხიზელი ბაბა მხრებში მოხრილი, ენაწყლიანი კაცი იყო, თავის სამ ვაჟთან დროის გატარება უყვარდა. სადაც უნდა წასულიყო, ერთ-ერთი ყველგან თან მიჰყავდა. თითქოს სიყვარულისა და ზრუნვის ლატარია იყო. იღბლიანი ვაჟი მამას უწევდა კომპანიონობას, ერთად ნახულობდნენ მის მეგობრებს, სეირნობდნენ ისტიკლალის გამზირზე და ზოგჯერ მის სამუშაოზეც ერთად მიდიოდნენ. მამა ტაქსიმის მოედანზე, ავტოსარემონტო სახელოსნოში მთავარ მექანიკოსად მუშაობდა. იქ მიჰყავდათ შესაკეთებლად დიდი მანქანები რთული დასახელებებით — „შევროლე ბელ ერი“, „ბიკ როუდმასტერი“, „კადილაკ ფლიტვუდი“ ან „მერსედეს ბენცი“. ყველას არ ჰქონდა ასეთი მანქანების ყოლის ფუფუნება, მფლობელები, ძირითადად, პოლიტიკოსები, ბიზნესმენები, კაზინოს მეპატრონეები და ფეხბურთელები იყვნენ. სახელოსნოს კედლებზე ნახავდით ჩარჩოში ჩასმულ ფოტოებს, რომლებზედაც მექანიკოსები მათ გავლენიან კლიენტებთან ერთად იყვნენ აღბეჭდილი.

ზოგჯერ ადემი ბაბას უბნის საჩაიეში მიჰყვებოდა, სადაც

---

1 მამა (ბერძნ. თურქ.).

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დღე საჰლეპის[1], ცაცხვის ნაყენის ან ჩაის წრუპვაში გაჰყავდათ და ნარდისა და შაშის მოთამაშეებს უყურებდნენ. პოლიტიკა მთავარი თემა იყო, ასევე — ფეხბურთი და საგაზეთო სიახლეები. არჩევნებიც ახლოვდებოდა და საჩაიე მგზნებარე დებატებისგან ზუზუნებდა. პრემიერ-მინისტრი, ქვეყნის ისტორიაში პირველად, დემოკრატიულად არჩეული სახელმწიფო ლიდერი, ამტკიცებდა, დემოკრატიული პარტია დიდი სხვაობით მოიგებსო. მაშინ ვერავინ გამოიცნობდა, რომ მას მართლაც აირჩევდნენ მეორე ვადით, მერე კი სამხედრო ხუნტა ჩამოახრჩობდა.

ასეთ უხალისო შუადღეებზე ადემი ბაბას ჰბაძავდა, შაქრის ნატეხს წუწნიდა, ხელში ფინჯანი ეჭირა და ნეკა თითს განზე იშვერდა. შიგნით სიგარეტისგან ისეთი ბული იდგა, რომ სახლში მოსულ ადემს თმა საფერფლესავით უყარდა. დედამისი მაშინვე აბაზანაში გააქანებდა ხოლმე. ადემს ერჩივნა, არ დაებანა. თმაზე თამბაქოს სუნი რომ ასდიოდა, თავს უფროსად გრძნობდა. ეს რომ მამამისს გაუმხილა, ბაბას გაეცინა და უთხრა: „ორი რამ აქცევს ბიჭს კაცად. ქალის სიყვარული და სხვა კაცის სიძულვილი“.

შემდეგ აუხსნა, ვისაც მარტო პირველი გამოუცდია, შინაგანად სუსტდება, ხოლო ვისაც მხოლოდ მეორე — ქვასავით უგრძნობია. თუმცა ისინი, რომლებსაც ორივე გრძნობა გამოეცადათ, ფოლადის ხმალივით იწრთობოდნენ. ოსტატები ფოლადს ჯერ ცეცხლში ატარებდნენ, მერე წყალში აგრილებდნენ. „კაცზეც ასეა. სიყვარულით უნდა გაათბო და სიძულვილით გააცივო“, — დაასკვნა ბაბამ და შეჩერდა, ადემისთვის დაფიქრების საშუალება რომ მიეცა.

ადემს ის ადარდებდა, რომ ასეთი ღრმა ემოცია არასდროს გამოეცადა, მაგრამ მამას არაფერი უთხრა. იმავე წელს ასთმის პირველი შეტევა დაემართა. მოზარდობის წლებშივე

---

1 ზამთრის სასმელი რძით, შაქრითა და დარიჩინით.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

განიკურნა, თუმცა ავადმყოფობას მისი სხეული არასდროს მიუტოვებია, მთელი ცხოვრება ახსენებდა თავს.

ბაბას ზოგჯერ სახლში სასაკლაოდან ნარჩენები მოჰქონდა — ხორცის ნაჭრები, ძვლები და შიგნეულობა. ასეთ შემთხვევებში მენეჯერისგან ფურგონს თხოულობდა და ოჯახი ბარბექიუზე მიჰყავდა. ადემი ძმებთან ერთად უკან მოთავსებულ საწოლზე იჯდა. ბიჭები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და იქადებოდნენ, ვინ უფრო მეტი ძეხვისა და ხბოს ჩლიქის შეჭმას შეძლებდა. წინ ბაბა და დედა ისხდნენ. მამა ხუმრობდა და თუ გამორჩეულად კარგ ხასიათზე იყო, ფანჯარას ჩამოსწევდა და ღიღინებდა. სიმღერა ცრემლებს ჰგვრიდა, მაგრამ ისე ოსტატურად მოიწმენდდა, ვერავინ ამჩნევდა. მათი ფურგონი ქვაბებით, ტაფებითა და ნაჭრებით იყო სავსე, გულები კი — მხიარულებით. საპიკნიკედ გორაკებზე მიდიოდნენ. ახლომახლო სასაფლაო იყო და ეს ცოტათი აწუხებდათ, მაგრამ რას გახდებოდნენ. სტამბოლის გარდაცვლილები უხსოვარი დროიდან ყველაზე მწვანე ადგილებში განისვენებდნენ, ქალაქის საუკეთესო ხედით.

დანიშნულების ადგილს რომ მიაღწევდნენ, ბიჭები ჩრდილში მოსახერხებელ ადგილს ეძებდნენ. სანამ საჭმელად დასხდებოდნენ, დედა გარდაცვლილთა სულებისთვის ლოცულობდა და მათ მიწა-წყალზე დროის გატარების ნებართვას სთხოვდა. საბედნიეროდ, მიცვალებულები უარზე არასოდეს იყვნენ. რამდენიმეწამიანი ლოდინის შემდეგ, აიშა თავს დაუკრავდა და ჭილოფს გაფენდა, რომ ყველას შესძლებოდა დაჯდომა. მერე პორტატიულ ღუმელს ჩართავდა და საჭმლის ინგრედიენტებს მოიმარაგებდა. ამ დროს ბიჭები ცელქობდნენ, ჭიანჭველების კოლონებს ავლებდნენ მუსრს, ჭრიჭინებს დასდევდნენ და გაშეშობანას თამაშობდნენ. ჰაერი აშიშხინებული ხორცის სუნით რომ გაიჟღინთებოდა, ბაბა ტაშს შემოჰკრავდა და ეს ნიშნავდა, რომ რაკის პირველი ბოთლი იხსნებოდა..

ზოგჯერ ნელა იწყებდა და თანდათან უმატებდა. ანდა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზედიზედ სამ ჭიქას გადაკრავდა. სადილის დასასრულს ყოველთვის შეზარხოშებული იყო.

პირველ ბოთლს რომ გამოაცარიელებდა, სიმთვრალე უკვე ეტყობოდა. უფრო მეტად მოღუშული ხდებოდა, თავისთვის იგინებოდა და ბიჭებს ისეთ წვრილმანზე უბრაზდებოდა, რომ მერე ველარც იხსენებდნენ. ნებისმიერ რამეს შეიძლებოდა, გაელიზიანებინა: საჭმელი მლაშე იყო, პური — გამხმარი, ყინული — არასაკმარისად ცივი. ნერვების დასამშვიდებლად, მეორე ბოთლს მოხსნიდა ხოლმე თავს.

ერთ-ერთი ბარბექიუს ბოლოს, მზე რომ ჩადიოდა და თოლიები აყივლდნენ, თითქოს დრო გაჩერდა, ჰაერში ანისის სურნელი იგრძნობოდა. ბაბამ სასმელს წყალი შეურია, აკვირდებოდა, გამჭვირვალე სითხე რძისფერ-ნაცრისფრად როგორ გადაიქცა, მისი ფიქრებივით აიმღვრა. ცოტა ხანში უხერხულად ადგა, თვალებში სადღესასწაულო სხივი უკრთოდა, ნიკაპი ასწია და საფლავებისკენ გაიხედა.

— თქვენ მაგრად გაგიმართლათ, — თქვა მან, — არც ბინის ქირა გაწუხებთ, არც ბენზინი გაქვთ საყიდელი, არც ოჯახი გყავთ დასაპურებელი. ცოლი თქვენ არ გაწუხებთ და — უფროსი. არც კი იცით, რა იღბლიანები ხართ.

საფლავები უსმენდნენ. მსუბუქი სიო აშრიალებდა მკვდარ ფოთლებს.

— მიწა ვიყავით და მიწადვე მივიქცევით, — გამოაცხადა ბაბამ.

უკანა გზაზე დაიჟინა, ბიჭები წინ გადმოსხდნენო. რაც უნდა ფრთხილად ყოფილიყვნენ, სუნთქვა შეეკავებინათ და, სიტყვებს დაჰკვირვებოდნენ, მაინც რაღაცას აშავებდნენ. რაღაც ისეთს, რასაც მამა მწყობრიდან გამოჰყავდა. ორმოები გზაზე, გამოტოვებული საგზაო ნიშანი, ფურგონის წინ მაწანწალა ძაღლის გადარბენა, ახალი ამბები რადიოში. ამ ახალმა კაცმა, ხრუშჩოვმა, არც კი იცის, რას აკეთებსო, ამტკიცებდა არყისგან გამობრუჟული. ნასერი არაბებისგან ბევრს მოელი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სო. ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ერთმანეთს არასოდეს უსმენენო. ან ირანის შაჰი რატომ არ ეყრება თავის ცოლს, აშკარაა, რომ მემკვიდრეს ვერ გაუჩენსო.

— რა არეულობაა! რა საშინელი ქვეყანაა!

ბაბა (მთვრალი) მუნიციპალიტეტს, მერსა და პოლიტიკოსებს აგინებდა. ცოტა ხნით თავის გაღიზიანებას გარე სამყაროსკენ მიმართავდა, ოჯახს არ ერჩოდა, მაგრამ მერე ფურგონში რაღაც არ მოეწონებოდა — ერთ-ერთი ბავშვი დაასლოკინებდა, დააბოყინებდა ან გადაიხარხარებდა — და ყვირილს იწყებდა.

იმ დღეს აიშა ევედრებოდა, ნელა ატარეო.

— რა ჯანდაბა გჭირს? — ისეთი მშვიდი ხმით იკითხა, რომ შეკითხვის შინაარსს არ შეესაბამებოდა, — ერთი წუთი სიმშვიდეში რომ გავატარო, არ შეიძლება? ჰა? რომ ავფეთქდე ეგ გინდა?

არავის გაუცია პასუხი. ბიჭები თავიანთ გადატყავებულ მუხლებს ან ფანჯრიდან შემოფრენილ და იქ ჩარჩენილ ბუზს მიაჩერდნენ.

ბაბამ ხმას აუმაღლა.

— ყოველდღე ვირივით ვმუშაობ, რომ დაგაპუროთ. კიდევ მე ვარ ოჯახის უბედურება?

ვილაცამ წამოიძახა, Estagi furullah[1]. მისი დამშვიდების მცდელობა უმწეო გამოდგა, რადგან მამას ყვირილი არ შეუწყვეტია.

— ვამპირები ხართ ყველანი, სისხლს მწოვთ, — საჭეს ხელი უშვა, რომ მაჯაზე ვენები ეჩვენებინა, — აღარ დამრჩა სისხლი! დამიტოვეთ, რამე?

— გევედრები, საჭეს ხელი მოჰკიდე, — ჩურჩულით უთხრა ცოლმა.

— მოკეტე! მანქანის ტარებას ნუ მასწავლი.

---

1 თურქულად, სიტყვასიტყვით — „ჯანი და სიმრთელე“, ამ შემთხვევაში: „რა თქმა უნდა, არა“.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ადემს ბაბა ეცოდებოდა, ის ხომ მსხვერპლი იყო, ტანჯული. სინანულმა მოიცვა. ისევ ისე მოიქცნენ, ისევ გაანაწყენეს, არადა, გააფრთხილა, არ ქნათო. როგორ უნდოდა ადემს, გამოესწორებინა დანაშაული, ხელზე ეკოცნა და პირობა მიეცა, სისხლს არასოდეს გამოგწოვთო.

— მე რა, გასწავლი, ოსპი როგორ მოამზადო? რა თქმა უნდა, არა. იმიტომ, რომ ეგ ჩემი საქმე არაა. შენი საქმე კიდევ მანქანების ტარება არაა, ქალო! მანქანების რა გესმის?

ისე ძლიერად დაამუხრუჭა, რომ ფურგონი დატრიალდა, თითქოს ყინულზე იდგა. პირდაპირ ყვავილნარისკენ გაქანდნენ, თხრილს რამდენიმე იარდით ასცდნენ. ადემმა თვალი რომ გაახილა, ირგვლივ ყველაფერი გაშეშებულიყო — იდეალური სიჩუმე მხოლოდ ინციდენტის შემდეგ დგება. პირველად შენიშნა ქარის ჩურჩული და ჰაერში სინათლის ფრთების ციმციმი. მისი ძმა ტარიქი თავის იდაყვს იყო ჩაბღაუჭებული, სახე ტკივილისგან მოღრეცოდა, ტუჩები დაებრიცა, მაგრამ არ დაუკვნესია. ბაბამ ნელ-ნელა კარი გააღო და გადავიდა. ზედა ტუჩი გახეთქოდა. ფურგონს შემოუარა და ცოლს კარი გაუღო.

— გადმოეთრიე!

— არ გინდა, გთხოვ, — დედას სახეზე მკვდრისფერი ედო.

— გადმოეთრიე-მეთქი!

მკლავში ხელი ჩაავლო, ფურგონის ძარასთან მიიყვანა, რომელიც დაჯახებისას ახდილიყო.

— მანქანებზე ამდენი თუ იცი, მიდი და შეაკეთე.

დედას ნერვი არ შერხევია სახეზე. ბაბამ ძრავაზე დაახრევინა თავი და შუბლი ზედ მიარტყმევინა.

— რა? ვერ იზამ?

რაღაც ჩაილულლულა, ვერც ადემმა და ვერც მისმა ძმამ ვერ გაიგონეს, რა თქვა. თუმცა ყველამ გაიგონა ბაბას სიტყვები:

— ენა ჩაიგდე და ტარება არ მასწავლო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერთად ამოათრიეს მანქანა ყვავილნარიდან. ტარიქი შორიდან უცქერდა, ნატკენ მკლავს მეორე ხელს უჭერდა.

დედაც, იქვე, ქვითინით იცდიდა. ასე ხდებოდა. ყოველი პიკნიკი იმედებით იწყებოდა და ვიღაცის ტირილით ან რაღაცის ტკენით სრულდებოდა.

ღამღამობით ადემი საკუთარ თავს არწმუნებდა, რომ მძვინვარე და მრისხანე კაცი მეორე ბაბა იყო, ის ურტყამდა ხელს საჭეს, კედლებს, მაგიდებს, კარს, განჯინას, ის სცემდა ქამრით, ის ურტყამდა ცოლს ისე მწარედ, რომ კიბიდან აგორებდა. იმაზე ფიქრი, რომ ნამდვილი მამა სულ სხვა კაცი იყო, ამშვიდებდა. მართალია, ვერც ტკივილს და ვერც შიშს ვერ შველოდა, მაგრამ იმას კი უმარტივებდა, მეორე დღეს ფხიზელი ბაბა ისევ ჰყვარებოდა.

სიმართლის ნაგლეჯი

ლონდონი, 1977 წლის დეკემბერი

სცენის უკან არტისტების ოთახი იყო. თუმცა, ასე მხოლოდ როქსანა ეძახდა. მხოლოდ მას შეეძლო, ცივი, ერთი ციდა გასახდელი, რომელიც სიგარეტის, პუდრის, სუნამოსა და ოფლის სუნით ყარდა, არტისტების ოთახად მოეხსენიებინა. ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ თავი არტისტი ეგონა. თავის პროფესიას სხვა სახელებს ეძახდა — გამომსვლელი, მოცეკვავე, გამრთობი, ეგზოტიკური მოცეკვავე.

თითქმის შუაღამე იდგა. თხუთმეტი წუთიც არ იყო დარჩენილი მის გამოსვლამდე. კოსტიუმი გაისწორა და მკერდზე ბრჭყვიალები შეიფრქვია. პირველ აქტში სამბას მოცეკვავესავით ეცვა — კაშკაშა იასამნისფერი ბუმბულებით მორთული ტიარა, ყალბი თვლებითა და ბისერებით გაწყობილი ტოპი, ვერცხლისფერი მეტალის დეტალებით გაფორმებული

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შარვალი, შარვლის ქვეშ კი ტანგა, რომელსაც შოუს ბოლოს გამოაჩენდა. როქსანამ კოსმეტიკის ყუთი გამოცდილების სიმსუბუქით გახსნა და სხვადასხვა ზომის ფანქრები და ფუნჯები ამოალაგა. ძველი, გაცვეთილი ყუთი იყო, რომელიც ბევრ ქალს გამოეყენებინა. მაკიაჟის ღრუბლებს ფერი გადასვლოდა, თვალის ტუშს ლაქი შესქელებოდა, თვალის ჩრდილები თითქმის აღარ იყო. შაბიამნისფერი, პლატინისფერი და შამპანურისფერიც — როქსანას საყვარელი ფერები — გამოლეულიყო. ამიტომაც ისევ ამეთვისტოსფერი აირჩია.

სახის გალამაზებას რომ მორჩა, ატმისფერი პომადა წაისვა. სულ ბოლოს ბიუსტჰალტერი მოირგო, ძუძუები უფრო დიდი და სავსე რომ გამოსჩენოდა. ინგლისში სიტყვა „ძუძუს“ არავინ ამბობდა, უფრო სასაცილო სახელები ჰქონდათ — ბოობსი, ტიტსი, ვობლერსი, მილკი-მუსი.

ერთხელ, მოხუცი ჯენტლმენისთვის პრივატული ცეკვა შეასრულა. პარლამენტის წევრი იყო, კონსერვატორების პარტიიდან, რომელიც თავს ბეწვეულით მოვაჭრედ ასაღებდა. „ერთი გაიქნიე შენი ჯიგლი-ვიგლები, სიყვარულო“, — როქსანა თავიდან ვერ მიხვდა, სხეულის რომელ ნაწილს გულისხმობდა კაცი.

წლების განმავლობაში ქალმა ინგლისური გააუმჯობესა, მაგრამ აქცენტს ვერაფერი მოუხერხა. ზოგჯერ „რ“-ს ზედმეტად გამოკვეთდა, ზოგჯერ „უ“-ს გაწელავდა, ზოგჯერ „ტ“-ს ნაცვლად, ჩვეულებრივ, „თ“-ს იყენებდა. აქცენტი რომ ვერ მოიშორა, გადაწყვიტა, არ მორიდებოდა, თამამად ესაუბრა, ისე, როგორც ინგლისელები იყვნენ მიჩვეული რუსებისგან. ყველას, ვისაც გაიცნობდა, ეუბნებოდა, რუსეთიდან ვარო.

სინამდვილეში, ბულგარეთიდან იყო, მაგრამ ინგლისში, ლონდონშიც კი, სადაც იმდენი უცხო ენა და დიალექტი ისმოდა, ხალხმა არაფერი იცოდა როქსანას სამშობლოზე. ბალკანეთი პაზლივით იყო — უამრავი უცხო, ექსცენტრიკული ნაწილით. რომ ეთქვა, ბულგარეთიდან ვარო, თავაზიანად და-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უქნევდნენ თავს და არაფერს ჰკითხავდნენ, მაგრამ თუ იტყოდა, რუსეთში დავიბადე და გავიზარდეო, შეკითხვებს დააყრიდნენ. თოვლის, არყის, ხიზილალასა და კა-გე-ბეს ქვეყნის შვილობა მიმზიდველად და რომანტიკულად ჟღერდა.

„ის გოგოები, ძალიან მაღლა რომ უმიზნებენ, ყველაზე დაბლა ეცემიანო", — ხალხი აფრთხილებდა. ასეც რომ ყოფილიყო, მისი ოცნება პეპლის სიცოცხლეზე მოკლე რომ აღმოჩენილიყო, მაინც უნდა ეცადა. არა? როქსანამ თავისი თავი თავად შექმნა. სახელიც თვითონ შეირჩია (როქსანა, როქსანი ან როქსი — კაცები სხვადასხვანაირად მიმართავდნენ), ეროვნებაც, წარსულიცა და მომავალიც. სინამდვილეს, მის სინამდვილეს, ვიქტორიანული ხანის ქალბატონივით, ქვედაბოლოს ფენებს მიღმა კი არ მალავდა. მისი სიმართლე იყო ყალბი როქსანა — გოგონა ბულგარეთის მძინარე ქალაქიდან, რომელიც თავს რუსად ასაღებდა და ლონდონის შუაგულში ბრაზილიურ სამბას სტრიპტიზკლუბში ცეკვავდა.

* * *

სცენის უკან, წლობით გაურეცხავ მეწამულ ფარდებს მიღმა, როქსანა იდგა. სახეზე მაკიაჟი ესვა და გამოსასვლელად მზად იყო. ფარდიდან გაიჭყიტა და ნახა, რომ კლუბი სავსე იყო. მორიგი დატვირთული ღამე. ერთგული კლიენტებიც შენიშნა და რამდენიმე ახალიც: ახალგაზრდა ბიჭები, ქორწილის წინ თავისუფლების ბოლო ღამეს რომ აღნიშნავდნენ, ახალგაცილებული და ცოლიანი კაცები. შავკანიანები, მუქკანიანები და თეთრკანიანები. ახალგაზრდები და მოხუცები, მაგრამ ძირითადად — შუახნისანი.

მერე კი ის შენიშნა ბართან, გაზიან წყალს სვამდა აუჩქარებლად. შავგვრემან თურქს სახეზე აღბეჭდოდა უზომო იმედგაცრუება, რაც გონებას უჭამდა, ტყავის ქურთუკში შემ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ძვრალი ჩრჩილივით. პირველად მოთამაშეების ბუნაგში ნახა, სადაც ჩინელმა მიიწვია. იქ შეიტყო მისი სახელი — ადემი. ნახა, როგორ მოიგო იმ ღამეს დიდი თანხა რულეტში. მის ადგილას ნებისმიერი სხვა ფულს მაშინვე აიღებდა და ბოლო პენიმდე დახარჯავდა. ის კი მეორე დღეს დაბრუნდა და მთელი თანხა წააგო. ქალი თან ჰკიცხავდა სულელობისთვის, თანაც პატივს სცემდა მის გამბედაობას.

მას მერე მის ყველა შოუს ესწრებოდა და სასმელზე ეპატიჟებოდა. მზრუნველობას იჩენდა, წარსულზე ეკითხებოდა და მისგან აღიარებებს ელოდა. თუმცა სიმართლის ერთადერთი ნაგლეჯი, რაც ქალს დასცდა, მამამისის ლოთობაზე მონათხრობი იყო.

— მართლა? — თქვა ადემმა, — მაშ, შენი მოხუცი ჩემსას ჰგავდა? ბაბა ღვიძლის დაშლით გარდაიცვალა.

სახე შეეცვალა, თითქოს რაღაცას წამოედო და იტკინა. არ უნდოდა, ამ კაცის სევდიანი ამბავი სცოდნოდა. უბრალოდ, თავისი ისტორიების შეთხზვა მოსწონდა, მათი დაჯერება და ამით ტკბობა.

ცივად ეპყრობოდა, თავი ჩემგან შორს დაიჭირეო. შეიძლება, ამით გულს სტკენდა, მაგრამ კაცისთვის და მისი ოჯახისთვის ასე უკეთესი იყო. იქნებ, ამ გზით, ცოლის ერთგული დარჩენილიყო, თუმცა ამაში როქსანას ეჭვი ეპარებოდა. მისნაირი კაცები მსგავს დაწესებულებებში სიარულსა და ცხოვრებისგან წართმეულ რომანტიკულ თავგადასავლებზე ოცნებას თუ დაიწყებდნენ, სახლში მანამდე არ დაბრუნდებოდნენ, სანამ რაიმე თავზარდამცემი ამბავი არ შეემთხვეოდათ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დიდი ფიცი

ლონდონი, 1977 წლის ოქტომბერი

— იუნუსი ერთადერთი იყო ტოპრაკების ბავშვებიდან, რომელიც ინგლისში დაიბადა. სუფთა ინგლისურით ლაპარაკობდა, თურქული უჭირდა და ქურთული საერთოდ არ იცოდა. ბოლოებში დახვეული წითური თმა, აქა-იქ დაჭორფლილი ლოყები და ოდნავ დიდი ყურები საყვარელი ბიჭუნას იერს სძენდა. თავი ასაკისთვის შეუფერებლად დიდი ჰქონდა, რაც დედამისის აზრით, ზედმეტად ბევრი ფიქრის ბრალი იყო. იმის მიხედვით, რა ეცვა და როგორ ხასიათზე იყო, თვალის ფერი ხასხასა მწვანიდან ზურმუხტისფრად ეცვლებოდა. სახელი იონა წინასწარმეტყველის პატივსაცემად დაარქვეს — იმ კაცისა, რომელიც მთებში გაიქცა, როცა შეიტყო, რომ ადამიანებისთვის ისეთი ჭეშმარიტება უნდა ემცნო, რის მოსასმენადაც მზად არ იყვნენ. იმედოვნებდა, უფლის მიერ დაკისრებულ მისიას აირიდებდა. ეს ის კაცი იყო, ვეშაპმა რომ გადაყლაპა და სამი ბნელი დღე და ბნელი ღამე მარტომ, სინანულში გაატარა.

შვიდი წლის იუნუსს ძალიან უყვარდა ამ ისტორიის მოსმენა, ცნობისმოყვარეობისგან სახე ენთებოდა. წარმოიდგენდა ვეშაპის ბნელ, ღრმა და ნოტიო მუცელს. კიდევ ერთი მიზეზი ჰქონდა, რატომაც აინტერესებდა ეს ამბავი ასე ძალიან: წინასწარმეტყველის მსგავსად, იუნუსსაც უყვარდა გაქცევა. სკოლა რომ არ მოეწონა, სკოლიდან გაიქცა და სახლი რომ არ მოეწონა, ოჯახისგან გაიქცა. სულ ოდნავადაც თუ მოიწყენდა, წამოიჭრებოდა და გასაქცევად მზად იყო. პემბეს თავდაუზოგავი მცდელობის მიუხედავად, მთელ დროს გარეთ ატარებდა. ჰაკნის ქუჩები ზეპირად იცოდა, ტაქსისტებსაც კი იოლად მიასწავლიდა გზას.

პემბეს არ ესმოდა, ასე ძალიან როგორ განსხვავდებოდნენ მისი შვილები ერთმანეთისგან. იუნუსი კი მართლაც არც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერთს არ ჰგავდა. მარტო ყოფნა უყვარდა. ფილოსოფოსობა. ოცნება. წარმოსახვით გამოქვაბულში შეიყუჟებოდა ხოლმე. სიმდიდრეს უბრალოებაში პოულობდა, ყველაფერში სილამაზეს ხედავდა. ისკენდერსა და ესმას თუ სხვისი ცხოვრება შურდათ და კამათობდნენ, იუნუსს არავინ სძულდა და მარტო საკუთარ თავს ეკუთვნოდა. სხვადასხვა მიზეზის გამო მისი ოჯახის თითოეული წევრი თავს უცხოდ გრძნობდა ამ ქვეყანაში, იუნუსი კი კომფორტულად იყო. საკუთარ თავში რომ იძირებოდა, ისეთ სისავსეს გრძნობდა, სხვა არაფერი სჭირდებოდა. თევზის მუცელშიც კი შეეძლო უშფოთველად ცხოვრება.

პემბეს სწამდა, რომ იუნუსის უცნაურობის მიზეზი მისი ნაადრევად დაბადება იყო. იუნუსი ერთადერთი გახლდათ მისი შვილებიდან, რომელსაც მუცელში ცხრა თვე არ გაუტარებია და ძუძუ არ უწოვია. „აი, ესაა შედეგი! ამიტომ არის მიუწვდომელი და მარტოხელა“, — წუწუნებდა პემბე.

ისკენდერს მთელი მსოფლიოს დამორჩილება სურდა, ესმას — სამყაროს შეცვლა, იუნუსს კი — მხოლოდ მისი შეცნობა. სულ ეს იყო.

* * *

1977 წლის ადრიან შემოდგომას, იუნუსმა პირველმა შეამჩნია, დედა რიგზე ვერ იყო. ფიქრებში ჩაძირული, განმარტოებული ჩანდა. რამდენჯერმე მისთვის ჯიბის ფულის მიცემა დაავიწყდა. საჭმელსაც აღარ აძალებდა. ამ ყველაფერმა მიახვედრა, რომ რაღაც ცუდი ხდებოდა ქალის თავს. პემბეს არასდროს დაავიწყდებოდა ბიჭის გამოკვება, სამყაროს აღსასრულიც რომ დამდგარიყო, შვილს სასუფეველში სავსე მუცლით გააცილებდა.

იუნუსს საკუთარი თავი იშვიათად ადარდებდა, ყოველთ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვის სხვებზე წუხდა. ჯიბის ფულს თვითონაც შოულობდა და თან იმაზე მეტს, ვიდრე დედა აძლევდა.

მულინს-როუდზე, სკოლის ჩრდილო-დასავლეთით ერთი სახლი იდგა. უზარმაზარი ვიქტორიანული სტილის შენობა, განცალკევებით მდგარი, მიტოვებული და ადგილობრივების მტკიცებით, მოჩვენებებით დასახლებული. იუნუსი იმ ნაგებობას უბნის დათვალიერებისას გადააწყდა. გარშემო ახალგაზრდები იყვნენ ჩაცუცქული — პანკები, ანარქისტები, ნიჰილისტები, პაციფისტები და მეამბოხეები... მრავალფეროვანი თავყრილობა იყო, წითელსა და შავ ფერებში შემოსილი. ტოპრაკების ოჯახში არავინ იცოდა, როგორ გაიცნო იუნუსმა ის ხალხი, მაგრამ მათ ეს გონებაგახსნილი პატარა ბიჭი მოსწონდათ. წვრილ-წვრილ დავალებებზე გზავნიდნენ. შედეგად, იუნუსმა ზუსტად იცოდა, ყველაზე იაფად სად მოეხელთებინა პური, ყველი, რძე, შოკოლადი და თამბაქო.

დროდადრო სთხოვდნენ, ცუდად განათებულ შენობაში მცხოვრები აზიელი კაცისგან ამანათი წამოელო. შენობა ველოსიპედით ათი წუთის სავალზე იყო. იუნუსს ამ დავალების შესრულება სძაგდა, მიუხედავად იმისა, რომ კაცი გულუხვად უხდიდა და არაფერს ეკითხებოდა. აზიელის სახლში ხრწნისა და ავადმყოფობის მყრალი სუნი იდგა. ახალგაზრდების სახლიც ყარდა, ზოგჯერ უარესადაც. თუმცა ყველასა და ყველაფერში გამჯდარ, იმ მძიმე ჰაერის ქვეშ, სხვა სუნებიც იგრძნობოდა — ყვავილების, სანელებლებისა და ფოთლების.

ხის შიდა კიბე მესამე სართულზე ადიოდა. კიბე ისეთი დამრეცი და დამპალი იყო, რომ, როგორც კი ზედ ვინმე შედგებოდა, ყანყალებდა. ჩამონგრეული შიდა კედლები ქმინდა მეტ სივრცეს, რომელშიც ეძინათ. აბაზანებიც კი საწოლებად გადაეკეთებინათ. ბოლო სართულს აგორას[1] ეძახდნენ. ახალგაზრდები, როგორც ძველი ბერძნები — ქალაქ-სახელმწიფო-

---

1 აგორა — სავაჭრო მოედანი და სახალხო შეკრების ადგილი ძველ საბერძნეთში. დღეს — ბაზარი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ში, ხშირად იკრიბებოდნენ, მართავდნენ დისკუსიებს და კენჭს უყრიდნენ მნიშვნელოვან წინადადებებს.

რაც ავეჯი იყო, თითქმის ყველაფერს აგორასთვის ინახავდნენ — ძველმანების მაღაზიაში გამოჩხრეკილ ლამპებს, სავარძლებს, სიგარეტით ამომწვარ დივანს. მეწამული ფერის, ორნამენტებიანი აღმოსავლური ხალიჩა არავინ იცოდა, საიდან გაჩნდა სახლში. გაცრეცილი კი იყო, მაგრამ ის სახლში ყველაზე ძვირფას ნივთს წარმოადგენდა. ერთმანეთზე ეწყო წიგნები, ჟურნალები, „ფენზინები“, ათასნაირი ფინჯანი, ღვინის ჭიქა, დიდი ხნის ორცხობილები, გარმონიკა და დამტვრეული მაგნიტოფონი, რომლის შეკეთება არავის უცდია... ეს ყველაფერი ეკუთვნოდა ყველას და არავის.

მცხოვრებლების რიცხვი ყოველ კვირას იცვლებოდა. ამას იუნუსი მეორე სტუმრობისას მიხვდა, როცა ახალი სახეები დაინახა, ზოგი ძველი ნაცნობი კი იქიდან გადაბარგებულიყო.

— მოცურავე სახლივითაა, — აუხსნა კაცმა და მოსაწევისგან გაბრუებულმა გაუცინა, — ეს ჩვენი გემია და დიადი შეუცნობლისკენ მივცურავთ. გზაში ზოგიერთი მგზავრი ტოვებს ხომალდს, ზოგი კი ამოდის.

მამაკაცს თმა იადონისფერ-ყვითლად შეეღება და ალივით წაეწვეტებინა. შეხედვისას გეგონებოდათ, ცეცხლი მოეკიდაო.

— ჰო, კიდობანივით, — თქვა ახალგაზრდა ირლანდიელმა ქალმა, რომელსაც ნუშისებური თვალები, ნახშირივით შავი თმა და მომნუსხველი ღიმილი ჰქონდა, — სალამი, მე ვარ...

მაგრამ იუნუსს მისი სახელი არ გაუგონია. არც მაშინ, არც მოგვიანებით. თვალს ვერ სწვეტდა გოგონას პირსინგს ტუჩსა და წარბებზე, სვირინგებს მხრებზე, მკლავებსა და მკერდზე. გოგომ შეამჩნია მისი გაოგნებული მზერა და ახლოს მისვლის ნება დართო, დაათვალიერებინა ტატუები, თითქოს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კოლექციონერი იყო, რომელიც სტუმარს თავს აწონებდა ხელოვნების ნიმუშებით.

მარცხენა მკლავზე თავისი ზოდიაქოს ნიშანი, მშვილდოსანი, ამოესვირინგებინა. მშვილდოსანს თავი მარტოდ რომ არ ეგრძნო, ოქროს არფიანი ანგელოზიც მიუხატა. დიდი, თეთრი ლოტუსის ყვავილი კეფიდან იწყებოდა, ორივე მხარზე იშლებოდა და ფესვები წელამდე სწვდებოდა. მარჯვენა მკლავზე აყვავილებული ვარდი ეხატა და ქვეშ ეწერა: ტობიკო.

— ეგ რა არის?

— ო, ეგ გრძელი ამბავია, — მხრები აიჩეჩა გოგონამ.

— ჩემი და ამბობს, გრძელი ამბავი არ არსებობსო. არსებობს მოკლე ამბავი და ისეთი ამბები, რომელთა მოყოლაც არ გვინდა.

— ჭკვიანურია. შენი და რას აკეთებს?

— მწერლობას აპირებს. უნდა, რომ ნოველები წეროს, სადაც არავის არავინ უყვარდება, რადგან სიყვარული სულელებისთვისაა.

გოგონას გაეცინა. თავის ტატუზე მოუყვა. ადრე „ტობი“ ეწერა მაჯასთან, შეყვარებულის სახელი. მუსიკალურ ბიზნესში იყო, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. თუმცა მას მაინც უყვარდა. ერთხელ გამოუცხადა, ორსულად ვარო, არადა, არ იყო. უბრალოდ აინტერესებდა, რა რეაქცია ექნებოდა. კაცები ასეთი ამბის გაგონებისას სხვადასხვა მხარეს გარბოდნენ. წინასწარ ვერასოდეს მიხვდებოდი, როგორ მოიქცეოდნენ.

— შენმა შეყვარებულმა რა ქნა? — ჰკითხა იუნუსმა.

— ოჰ, გადაირია. გაგიჟდა ეგ ვირთხისთავა იდიოტი!

ტობის უკითხავს, ჩემი შვილია თუ არაო. თუნდაც ჩემი იყოს, მაგ საქმეს შენ უნდა მიხედოო. მაშინ დაშორდა შეყვარებულს, მაგრამ დიდი ძალისხმევა დასჭირდა — ტატუს მოშორება იოლი არ გახლდათ, იარა დააჩნდებოდა. გოგონას იარის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, ჭრილობები მისი ცხოვრების ნაწილი იყო, მაგრამ ტობისგან არანაირი კვალი არ სურ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და, დარჩენილიყო. ტატუს მხატვართან წავიდა და „ტობი“ „ტობიკოდ“ გადააკეთებინა.

— ვაჰ. და ეგ რას ნიშნავს?

— იაპონური საჭმელია, — აუხსნა, — მფრინავი თევზის კვერცხები.

— მფრინავი თევზის კვერცხები, — ჩაიჩურჩულა იუნუსმა, თითქოს შელოცვის შეწყვეტა არ უნდაო. თვალწინ დაუდგა ათობით მფრინავი თევზი, წყლიდან რომ ხტებოდნენ და ჩამავალი მზისკენ მიცურავდნენ.

იუნუსი, ბიჭი, რომელიც იმ წინასწარმეტყველის სახელს ატარებდა, ვეშაპის მუცელში ყოფნას რომ გადაურჩა, შეყვარებული იყო.

მას მერე შანსს არ უშვებდა ხელიდან, ხიზნების სახლში მოსულიყო. დარჩენის ნებას მაშინაც რთავდნენ, როცა საქმე არაფერი ჰქონდა. ტობიკოს მიუჯდებოდა, ყოველ სიტყვას გაფაციცებული უსმენდა, მიუხედავად იმისა, რომ არც კი ესმოდა, გოგონა რაზე ლაპარაკობდა. უმუშევრობა, მცდარი ცნობიერება, მუშათა უფლებები, კულტურული ჰეგემონია... თუ კაპიტალისტური სისტემის გარეთ დარჩებოდი, მასში ვერაფერს შეცვლიდი, ხოლო თუ სისტემაში მოექცეოდი, სულს გაგინადგურებდა. მაშინ, რანაირად უნდა გადაგესხვაფერებინა და იმავდროულად, მის გარეთ მდგარიყავი? იუნუსი ბევრს ფიქრობდა, სანამ ჩაის სვამდა ან ღვინოს წრუპავდა, თუმცა, როგორც უნდა მოენდომებინა, პასუხს ვერ პოულობდა.

ღამღამობით იუნუსს ხიზნების სახლი ესიზმრებოდა. თითქოს სახლი ზღვაში მიცურავდა, შორს ჰორიზონტისკენ, თოლიები თან მიჰყვებოდნენ. ხედავდა, შიშველი ხიზნები როგორ ჭყუმპალაობდნენ წყალში ქალთევზებივით. ტობიკოც იქ იყო, კლდის ქიმზე იდგა, გრძელ, შავ თმას ქარი უწეწავდა. იუნუსს სიხარულით უქნევდა ხელს. იუნუსიც იმავეთი პასუხობდა. სახეზე მზის სხივებს გრძნობდა, სილურჯეში ყვინთავდა და ცურავდა კუნთების ატკივებამდე. დილით კი სველ საწოლში იღვიძებდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხიზნების სახლში მზარეულობით თავს არ იწუხებდნენ. თუმცა ერთი განსაკუთრებული კერძი ჰქონდათ, ჩილი-კონ-კარნე, რომელიც დაკეპილი ხორცის, დაკონსერვებული პამიდვრისა და ლობიოსგან მზადდებოდა. სადილის ნაცვლად ორცხობილას, შოკოლადს, ვაშლს, ბანანსა და ვადაგასულ ცომეულს მიირთმევდნენ. თუ მოეხასიათებოდა, ტობიკო ჰაშიშიან ნამცხვრებს აცხობდა ხოლმე.

ჰაკნის საბჭო დიდი ხანია, ცდილობდა ხიზნები გამოესახლებინა, სახლი გაერემონტებინა და სარფიანად გაეყიდა. ორ ჯგუფს შორის ომი იყო გაჩაღებული. ხიზნებმა ელექტრობის გაყვანა ისწავლეს და ეს რომ კომისიამ შეიტყო, შუქი გაუთიშეს. ახლა ყველა სართულზე სანთლები და ლამპები ენთოთ, კედლებზე კი საზარელი ჩრდილები დაძრწოდა. საპირფარეშო გამუდმებით იჭედებოდა და საძაგელი სუნი იდგა. იუნუსს არ ესმოდა, ტობიკო რატომ განაგრძობდა იქ ცხოვრებას. ნეტავ, უფრო დიდი ყოფილიყო, სამსახური და საკუთარი სახლი ჰქონოდა, მაშინ გოგონას თავისთან დაპატიჟებდა. თუმცა, მერე კაპიტანსაც წამოიყვანდა, კაპიტანს კი თავისი ხალხის მოწვევაც მოუწევდა, რადგან მმართველებს ხალხი სჭირდებათ სამართავად. საბოლოოდ, ყველა იუნუსთან გადმოინაცვლებდა და იქაურობა ხიზნების სახლს დაემსგავსებოდა.

კაცი, რომელსაც ყველა კაპიტანს ეძახდა, ერთი გამხდარი კაცი იყო. კაჟისფერ თვალებში თმა ეყრებოდა, თამბაქოსგან გაყვითლებული კბილები ჰქონდა და ყველა თითზე ბეჭედი ეკეთა. ლაპარაკი უყვარდა, ყოველ მომდევნო საკითხზე სულ უფრო შემართებით საუბრობდა და აუდიტორიას ატყვევებდა. კაპიტანმა პირველმა დაუძახა იუნუსს „მუზი“. ბიჭს მანამდე ეს სიტყვა არასდროს გაეგონა და საერთოდ არ მოსწონდა.

— არ იდარდო, — უთხრა ტობიკომ, როცა წუხილი გაუ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზიარა, — რასისტი არ არის. რასისტი რანაირად იქნება, ფაშისტების წინააღმდეგია, — იუნუსმა თვალები დაახამხამა.

— იმას ვგულისხმობ, რომ ხალხს იარლიყებს აკერებს, რათა დაადგინოს, ვის რა აზროვნება აქვს. ასე მუშაობს მისი გონება.

— ჩემს დას, ესმასაც უყვარს სიტყვები, — შეაწყვეტინა იუნუსმა. იცოდა, სისულელეს ამბობდა, მაგრამ მაინც თქვა.

ტობიკოს გაელიმა.

— კაპიტანს სიტყვები არ უყვარს. მათ ესიყვარულება.

ეტყობა, სახეზე შური და სასოწარკვეთა აღებეჭდა, რადგან ტობიკომ უცებ თავისკენ მიიზიდა და შუბლზე აკოცა.

— საყვარელო, ნეტავ, ათი წლით უფროსი იყო! ათი წლის მერე ქლიავის ჩირივით ვიქნები, ბებერი და დანაოჭებული, — უთხრა და თმა აუჩეჩა. მისი ეს ჟესტი ბიჭს სძულდა, მაგრამ თავს არ უტყდებოდა.

— სწრაფად გავიზრდები, — ივარაუდა იუნუსმა.

— ვიცი. ყველაზე დიდი პატარა ბიჭი ხარ, ვინც კი ოდესმე მინახავს.

უთხრა და ისევ აკოცა, ამჯერად ტუჩებში. იუნუსს ეგონა, წვიმას კოცნიდა.

— არასდროს შეიცვალო, — უჩურჩულა ტობიკომ, — ხარბ კაპიტალისტურ სისტემას უფლებას ნუ მისცემ, რომ მოგწვდეს.

— კარგი.

— სიტყვა მომეცი... არა, რამე დაიფიცე.

— ყურანზე რას იტყვი? — ფრთხილად იკითხა იუნუსმა.

— გადასარევია.

და აი, მაშინ, ათრთოლებული ტუჩებით, აჩქარებული გულის ცემით, შვიდი წლის იუნუსმა ალაჰს შეჰფიცა, კაპიტალისტურ სისტემას ახლოს არ გაეკარებოდა. თუმცა წარმოდგენა არ ჰქონდა, ეს რას ნიშნავდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შრიუსბერის ციხე, 1990 წელი

ჰარი ჰუდინის პოსტერმა, როგორც იქნა, მოალწია. ეს იყო კაცი, რომელიც ვერავინ შებოჭა, ბორკილი ვერ დაადო და ვერც დააპატიმრა. ჩემი გმირი. პოსტერზე მისი ერთ-ერთი ძველი ფოტოა, შავ-თეთრი, ნაცრისფერ ტონებში. ჰუდინი ფოტოზე ახალგაზრდაა, ამტანი ჯადოქარი, ფართო შუბლითა და მომნუსხველი მზერით. სმოკინგის სახელოები აუკაპიწებია, მაჯაზე ხუთი ბორკილი ადევს. სახეზე შიშის ნატამალი არ ეტყობა. მხოლოდ ბუნდოვანი, ჩაფიქრებული მზერა აქვს, თითქოს, ეს-ესაა სიზმრიდან გამოერკვაო.

კედელზე ჩამოვკიდე. მაგარომ შეხედა და გაიკრიჭა. ჩემს თანამესაკნეს პატრიკი ჰქვია, მაგრამ ეგ არავის ახსოვს. ყოველთვის, როცა რაიმე მის ყურადღებას იპყრობს, ამბობს, „კაცო, რა მაგარია“. ასეთი რამ კი ხშირად ხდება. სახელიც ამიტომ შეარქვეს.

მაგარო ჩემზე ახალგაზრდაა და ერთი თავით დაბალი. მოყვითალო კანი აქვს, შემელოტებული თმა, მუქი ყავისფერი თვალები, ხშირი წამწამებით. რამდენი წლისაც უნდა იყოს, დამნაშავის დედა ფიქრობს, — კარგი შვილი მყავს, მაგრამ ცუდ წრეში მოხვდაო. როგორც წესი, ეს სისულელეა. თუმცა, მაგაროს შემთხვევაში მართლა ასეა. კარგი ბიჭია, სტენფორდიდან, მაგრამ ცუდ ბიჭებს აჰყვა. მათ ციხისთვის თავის არიდება მოახერხეს, მაგაროს კი ათი წელი მიესაჯა. ასე ხდება. ნამდვილ მტაცებლებს არაფერი მოსდით, ის კი, ვინც მტაცებლობას ცდილობს, ხაფანგში ებმება. არ ვამბობ, რომ ჩვენ უკეთესი ტიპები ვართ. ზოგჯერ, თავის მოჩვენება უარესია, ვიდრე რეალური მტაცებლობა.

მაგაროსთვის არასდროს მითქვამს, მაგრამ თვალებით იუნუსს მაგონებს. ყველაზე მეტად ის მენატრება. კარგი ძმობა არ გამიწევია, როცა ვჭირდებოდი, გვერდით არ ვედექი, ზედმეტად დაკავებული ვიყავი უაზრო ბრძოლებით.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იუნუსი ახლა დიდი კაცია. ამბობენ, ნიჭიერი მუსიკოსია. თორმეტი წლის განმავლობაში სულ ორჯერ მინახულა. ესმა მოდის ხოლმე, თუმცა, ბოლო დროს — იშვიათად. მეუბნება, როგორ ვენატრები, ვებრალები და ვძულვარ, ზუსტად ამ თანამიმდევრობით. იუნუსი კი არა. თავი დაადო და გაიქცა, როგორც ყოველთვის. ესმას მწარე სიტყვებიც კი ისე არ მტკენს გულს, როგორც ჩემი პატარა ძმის გაუცხოება. ძალიან მინდა, მაპატიოს, თუ ოდესმე შეძლებს. არ ველი, რომ ვეყვარები, ეგ ფუჭი ოცნებაა. მისთვის უკეთესია, თუ შემინდობს. ბრაზი მომწამვლელია, კიბოს აჩენს. ჩემნაირი ხალხი ამას მიჩვეულია, მაგრამ იუნუსი უკეთესს იმსახურებს.

— ვინაა ეგ კაცი? — მეკითხება მაგარო და კედლისკენ იშვერს თითს.

— დიდი ილუზიონისტი. საუკეთესო.

— მართლა?

— ჰო. ზოგი მისი ნომერი ჯერაც ვერ გაშიფრეს.

— ხალხის გაქრობა შეეძლო?

— ხალხის კი არა, სპილოს გაქრობაც შეუძლია.

— ვა, მაგარია!

მთელი შუადღე ჰუდინიზე საუბარში გავატარეთ, მე თავი ისტორიებით მქონდა გამოტენილი, მაგაროს კი — ნარკოტიკით. ზოგჯერ მეც ვეწევი კანაფს, წამლებსა და ჰეროინს კი არ ვეკარები. არ გამისინჯავს და არც ვაპირებ. მაგ გზას არ დავადგები. როცა მაგაროს ვეუბნები, თავი დაანებოს, ცერა თითს პირში იდებს და წოვს.

— ბავშვი კი არ ვარ.

— მოკეტე!

ნარკოტიკისგან გაბრუებული, ანცი ბიჭივით იკრიჭება. თუმცა ზღვარს არ გადადის. იცის, რომ ერთადერთია, ვისაც ჩემთან თამამად საუბრის უფლება აქვს და ისიც იცის, რისი გამკეთებელი ვარ. სალამოს შემოწმების მერე მარტინი ტანმორჩილ ბადრაგთან ერთად მოდის. დღემდე ეგ ტიპი არ გვინახავს. ისეთი შავი თმა აქვს, მგონი, შეიღება.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ოფიცერმა ენდრიუ მაკლაგლინმა დღეს დაიწყო მუშაობა. რამდენიმე საკანს ვსტუმრობთ.

მარტინი მალე პენსიაზე გავა და წასვლამდე უნდა დარწმუნდეს, რომ ამ ახალგაზრდა კაცს, მის ადგილს რომ დაიკავებს, ყველანი პატივისცემით მოვექცევით. უხერხული სიჩუმეა, თითქოს ყველამ დავიმორცხვეთ და არ ვიცით, რა ვთქვათ. უცებ მარტინმა პოსტერი შეამჩნია.

— ვისი იდეა იყო ეგ? — ჩაიბუტბუტა. პასუხს არ დაელოდა, ისე მომიტრიალდა, — შენია, არა?

მარტინი დიდი ვერაფერი მსახიობია. უკვე ნანახი აქვს ეს პოსტერი. მისი დასტურის გარეშე, არავინ მომიტანდა. თუმცა, ახლა ისე იქცევა, თითქოს პირველად ხედავდეს. ამას იმისთვის აკეთებს, რომ ახალგაზრდას დაანახვოს, შეიძლება დავბერდი, მაგრამ არაფერი გამომეპარებაო. ამბობს, წლებია, პატიმრები კედლებზე რაღაცებს აკრავენ, ოჯახის ფოტოებს, ხატებს, ფილმის პერსონაჟების, ფეხბურთელების, ფლეიბოის მოდელების სურათებს, მაგრამ ჰუდინი მთლად უარესიაო.

— სულ გადაირიე, მგონი, — სიცილით ამბობს მარტინი.

— შეიძლება, — ვპასუხობ.

ოფიცერი მაკლაგლინი მიახლოვდება და მყნოსავს.

— იქნებ, გაქცევას გეგმავს. ჰუდინი გაუჩინარების დიდოსტატი იყო.

ეგ საიდან მოიტანა? შუბლზე ძარღვი ამიტოკდა.

— რატომ უნდა გავიქცე?

— ჰო, — მხარს მიბამს მარტინი, — რატომ უნდა გაიქცეს?

მერე ახალბედას მიუტრიალდება და უხსნის:

— ალექსი 78-დან აქ არის. ორი წელიწადი დარჩა.

— წელიწადი და ათი თვე, — ვუსწორებ.

— ჰო, — თავს მიქნევს მარტინი.

მარტინის სახეზე, როგორც ყოველთვის, ორი გრძნობის ჭიდილია — ზიზღისა და პატივისცემის. იმ ადამიანის მიმართ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვინც ყველაზე საშინელი დანაშაული ჩაიდინა, ზიზღი პირველივე დღიდან გაუჩნდა და სიძულვილი არასდროს განელებია. პატივისცემა კი საკმაოდ გვიან დავიმსახურე, თანაც — ძალიან მოულოდნელად.

ოფიცერი მაკლაგლინი კი სულ სხვა საქმეა.

— მგონი, ვიცნობ შენს საქმეს, — მტკიცედ ამბობს, — მახსოვს, წავიკითხე, გავიფიქრე კიდეც, ასეთი რამ საკუთარ დედას როგორ უნდა გაუკეთოს ადამიანმა-მეთქი.

ვხვდები, რომ ერთი ასაკისა ვართ. მეტიც, ერთი თარგისგან ვართ გამოჭრილი. შეიძლება, ყმაწვილობაში ერთსა და იმავე ქუჩებში გვივლია, ერთი და იმავე გოგოსთვის გვიკოცნია. უცნაური შეგრძნება მეუფლება, თითქოს მრუდე სარკეში ვიყურები. მაკლაგლინი ის კაცია, რომელიც, მეც შემეძლო, გავმხდარიყავი, სხვა გზას რომ დავსდგომოდი.

— თოთხმეტი წელი, ჰა? — ამბობს.

მარტინი ნერვიულად ახველებს. ციხეში დაუწერელი კანონია — პატიმარს ასე, სასხვათაშორისოდ, არასდროს ახსენებენ თავის დანაშაულს.

— ალექსი ბოლო წლებში გამოსწორდა, — ჩაეჩხირა მარტინი, ექსკურსიის გიდივით, — მძიმე დღეები გამოიარა, მაგრამ ახლა უკეთესობის გზაზეა.

ძვირფასი ბებერი მარტინი, როგორი ოპტიმისტია. ჯოჯოხეთი გამოვიარე, მაგრამ მანაც, მაგარომაც, დედაჩემის აჩრდილმაც და მეც ვიცით, რომ ჯერაც იქ ვარ.

საშინელი რეპუტაცია მქონდა, მგონი ახლაც მაქვს. ვიღაცისთვის ნეკნების ჩალეწვას არასდროს მოვრიდებივარ. ძნელი იყო გამოცნობა, რა გამომიყვანდა მწყობრიდან. ხშირად მე თვითონაც არ ვიცოდი. მარცხენა მუშტი აგურივით მტკიცე აქვსო, — ამბობდნენ ჩემზე. ზოგჯერ კონტროლს ვკარგავდი, ნარკომანივით, თუმცა, დამოკიდებული არაფერზე ვყოფილვარ და ეს უფრო საშიშს მხდიდა. ფხიზელი გონებითაც საშინელებებს ჩავდიოდი. საკუთარ თავს ვავნებდი, რადგან არ მომ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წონდა, რაც შიგნით იყო. ხელისგულებზე სიგარეტს ვიწვავდი, ფეხებს ვისერავდი. შრიუსბერიში სამართებელი ლალის თვალივით ძვირფასი იყო, მაგრამ არც ესეთი მოუხელთებელი.

— უკეთ გაიცნობთ თქვენ ორნი ერთმანეთს, — ამბობს მარტინი.

— ეჭვიც არ მეპარება, — პასუხობს ოფიცერი მაკლაგლინი.

მაგარო ხედავს, როგორ იძაბება სიტუაცია. ხვდება, რაც ხდება, ადრეც უნახავს. ზოგჯერ ახალი ბადრაგი ამოიჩემებს რომელიმე ჩვენგანს და ველარაფერს გააწყობ. ცუდად დაიწყებ და გამოსწორება შეუძლებელია.

მარტინი ისევ ცდილობს, შეგვარიგოს.

— ალექსი ბოქსიორია, ჩვენი ათლეტი. სკოლაში ყოფნისას მედალი აიღო.

მინდა, მარტინს მადლობა გადავუხადო მხარდაჭერისთვის, მაგრამ ახალგაზრდა ოფიცერს თვალს თუ მოვაცილებ, ნიშნავს, რომ დავნებდი.

უნდა დავანახვო, რომ უნებისყოფო არ ვარ. ბოლოს ასე ოცი წლის წინ მოვიქეცი. მაშინ პატარა ბიჭი ვიყავი, წინადაცვეთას გავექეცი. არ მიშველა. მას მერე სისუსტე აღარ გამომიჩენია. ბევრი შემშლია, შეცდომები დამიშვია, მაგრამ სუსტი არ ვყოფილვარ. ამიტომაც არ ვინძრევი, თვალს არ ვახამხამებ, თვალს თვალში ვუყრი და ისიც არ მაცილებს მზერას.

მერე ორივენი გადიან.

* * *

ღამეა, მელვიძება. თავიდან მგონია, რომ დედაჩემი გამომეცხადა, მაგრამ რაც უნდა მოვინდომო, მის აქ ყოფნას ვერ ვგრძნობ. ფოთლების შარიშურის ხმაც კი არ მესმის. მხოლოდ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგარო ხვრინავს, კბილებს აღრჭიალებს, თავის დემონებს ებრძვის.

საწოლზე ვჯდები და ირგვლივ ვიხედები, ვცდილობ გავარკვიო, რამ გამაღვიძა. უცებ, იატაკზე ქალალდს ვამჩნევ. ეტყობა, ვილაცამ შემოაცურა. დერეფნიდან შემოსული მბჟუტავი განათებით ვხედავ, რომ გაზეთიდან სტატიაა ამოჭრილი. „დეილი ექსპრესი“.

ბიჭმა „ღირსების“ გამო დედა მოკლა, 2 დეკემბერი, 1978

თურქულ-ქურთული წარმოშობის 16 წლის ბიჭმა ჰაკნიში დედამისი სასიკვდილოდ დაჭრა. ისკენდერ ტოპრაკმა პემბე ტოპრაკი ლავენდერ-გროუვზე, სახლის წინ, ღირსების შელახვის მოტივით მოკლა.

როგორც აღმოჩნდა, 33 წლის, სამი შვილის დედას ურთიერთობა ჰქონდა მამაკაცთან, რომელიც მისი ქმარი არ ყოფილა. მეზობლების თქმით, მართალია, ოფიციალურად ჯერ კიდევ ქორწინებაში იყვნენ, მაგრამ ადემი და პემბე ტოპრაკი ერთად აღარ ცხოვრობდნენ. „როცა მამა წასულია, დედის ღირსებას უფროსი ვაჟი იცავს, ამ შემთხვევაში, ისკენდერი“, — განაცხადა თვითმხილველმა. გამოძიება ადგენს, მოზარდი მარტო მოქმედებდა თუ ოჯახის სხვა წევრებმა უბიძგეს დანაშაულის ჩასადენად.

სკოტლენდ-იარდის წარმომადგენელმა „ტაიმსს“ უთხრა, რომ მსგავსი შემთხვევა, დიდ ბრიტანეთსა და ევროპაში, პირველი არ არის და არც უკანასკნელი იქნება. არსებობს 150 მკვლელობა, რომელიც, სავარაუდოდ, ღირსების დაცვის მოტივითაა ჩადენილი. „სამწუხაროდ, რიცხვი ბევრად მეტი შეიძლება იყოს, მაგრამ პოლიციას ინფორმაცია არა აქვს, — თქვა მან, — ოჯახმა და მეზობლებმა ბევრად მეტი იციან, ვიდრე ამბობენ. მსხვერპლის უახლოესი ადამიანები, ხშირად, მნიშვნელოვან ინფორმაციას მალავენ“.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„თანამედროვე საზოგადოებას სიმსივნესავით ედება, — დაამატა რესპონდენტმა, — ბევრი ოჯახი სახელს უფრო უფრთხილდება, ვიდრე პიროვნების ბედნიერებას“.

ხელები ისე მიცახცახებს, რომ ქაღალდი ქარში გამოკიდებული ფოთოლივით ფრიალებს. სიგარეტი მინდა ან დასალევი. რამე ძლიერი და უბრალო. მამამ არ იცოდა, მაგრამ მე და ბიჭები ზოგჯერ სიდრსა და ლუდს ვსვამდით ხოლმე. თუმცა, ვისკის — არასდროს. ვისკი პირველად აქ გავსინჯე. ციხეში ყველაფრის შოვნა შეიძლება, თუ გ ზები იცი.

ქაღალდს ჯერ შუაში ვკეცავ, მერე ოთხკუთხედად, ორ სამკუთხედად, მართკუთხედად... ბოლოს ქაღალდის ნავი გამომდის. იატაკზე ვდებ. წყალი არაა, რომ გაცუროს, არც ნიავია, იალქნები რომ გაუშვას. თითქოს ცემენტისაა, არ იძვრის, როგორც ტკივილი ჩემს გულში.

ისკენდერ ტოპრაკი

ესმა

ლონდონი, 1977 წლის დეკემბერი

ჩვენ ჰაკნიში ვცხოვრობდით, ლავენდერ-გროუვის ქუჩაზე. დედა სულ იმედგაცრუებული იყო, ირგვლივ არსად ყვაოდა ლავანდის ბუჩქები, ლავანდის სახელი ტყუილად ერქვა ქუჩას. თუმცა, იმედს არ კარგავდა, რომ ერთ დღეს ვიღაცის ეზოში ან სადმე, კუთხეში აღმოაჩენდა ლავანდას.

უბანი ძალიან მიყვარდა. აფრიკული თმის სალონები, იამაიკური კაფე, ხილით მოვაჭრე ალჟირელი ბიჭი, ჩემს სახელს სასაცილოდ რომ წარმოთქვამდა და საჩუქარს მახვედრებდა; ჯიბეგაფხეკილი მუსიკოსები, ყოველდღე ღიაფანჯრებიან ოთახში რომ გადიოდნენ რეპეტიციას და ჩემდა უნებურად, შოპენს მაზიარეს; მხატვარი, ორმოცდაათ პენსად რომ ხატავ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და პორტრეტებს და ერთხელ, ღიმილის სანაცვლოდ რომ დამ-ხატა. უბანში ყველა რჯულის და ფერის ხალხი ირეოდა.

სანამ ამ სახლში დავიწყებდით ცხოვრებას, გვქონდა ბინა სტამბოლში, სადაც მე და ისკენდერმა ადრეული ბავშვობა გა-ვატარეთ. ის ბინა სხვა დროსა და სხვა ქვეყანას ეკუთვნის. იქ ცხოვრობდა ჩვენი ოჯახი, სანამ 1970 წლის მაისში ლონდონ-ში დავმკვიდრდით. იუნუსი ლონდონში ჩამოსვლიდან მალევე გაჩნდა. სამშობლოდან გადახვეწილთა უმრავლესობას, დე-დაჩემის ჩათვლით, შერჩევითი მახსოვრობა ჰქონდა. წარსუ-ლიდან დედას მხოლოდ კარგი ახსოვდა: თბილი მზის სხივები, სანელებლების პირამიდები ბაზარში, წყალმცენარეების სურ-ნელი ქარში. სამშობლო უმწიკვლო მიწად გადაიქცა, შანგრი-ლად, სადაც ცხოვრებაში თუ არა, ოცნებებში მაინც შეიძლე-ბოდა, საჭიროების შემთხვევაში, თავის შეფარება.

ჩემი მოგონებები უფრო არაერთგვაროვანი იყო. მგონი, მშობლებსა და ბავშვებს საერთო წარსულიდან სხვადასხვა დეტალი ახსოვთ. ათასში ერთხელ ჩემი გონება ძველი სახლის სარდაფისკენ მიქროდა. ავეჯზე ლაჟვარდისფერი ნაჭერი იყო გადაკრული, ყავის მაგიდებსა და სამზარეულოს თაროებზე მრგვალი, მოქარგული ქათქათა ხელსახოცები იდო; მაღალი ფანჯრები ქუჩის ხედით... ჩემს მეხსიერებაში ამოკვეთილი ბინა — პირქუშად განათებული ადგილი, სადაც რადიო მთე-ლი დღე ჩართული იყო და ჰაერში ხრწნის მსუბუქი სურნელი ტრიალებდა. შიგნით ყოველთვის ბნელოდა, დილითაც და შუ-ადღესაც კი.

როცა ის ბინა ჩემი სახლი იყო, პატარა ვიყავი. მისაღებ ოთახში ფეხმორთხმით ვიჯექი ხალიჩაზე და ნახევრად პირ-დაღებული ვუყურებდი ფანჯრებს. იქიდან ვხედავდი, როგორ მოძრაობდა ქუჩა მარცხნივ და მარჯვნივ. ზოგი სამსახურში მიიჩქაროდა, ზოგი საყიდლებიდან ბრუნდებოდა, ზოგიც მო-სეირნობდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გამვლელების ფეხების თვალიერება და გამოცნობა, როგორი ცხოვრება ჰქონდათ, ჩვენი საყვარელი თამაში იყო. სამნი ვთამაშობდით: მე, ისკენდერი და დედა. მაგალითად, თუ დავინახავდით წყვილ მაღალქუსლიან ფეხსაცმელს, რომელიც სწრაფი ნაბიჯით მიიწევდა წინ და ქუსლებს ტროტუარზე აკაკუნებდა, დედა იტყოდა: „მგონი, საქმროს სანახავად მიდის“, და სიყვარულის ამბავს მოიგონებდა. ისკენდერსაც კარგად გამოსდიოდა თამაში. მოძველებულ, ჭუჭყიან მოკასინებს შენიშნავდა თუ არა, შეთხზავდა ამბავს, — ეს კაცი ბანკის გაძარცვას აპირებს, რადგან სამუშაო დიდი ხანია, ვერ იშოვაო. იქ კი, მძარცველს, დაცვის თანამშრომელი ესროდა და მოკლავდა.

მართალია, სარდაფში მზის სინათლე არ აღწევდა, მაგრამ წვიმა კი ხშირად ჩამოდიოდა. როცა ჟინჟღლლავდა, საფრთხე არ გვემუქრებოდა, მაგრამ თავსხმისას წყალი სახლში აღწევდა და სარდაფი ამღვრეულ, შავბნელ ტბას ემსგავსებოდა. ხის საფერფლეები, სურათის ჩარჩოები და ბამბუკის კალათები შიგ დაცურავდა. საცხობი ლანგრები, საჭრელი დაფები, ჩაიდნები და როდინი უიმედო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ხოლმე. ლარნაკი სწრაფად მიექანებოდა ფსკერისკენ, ყვავილები კი ტივტივებდა. ზურგის საფხანიც იქვე იყო... ძალიან მინდოდა, ჩაძირულიყო, მაგრამ არასდროს იძირებოდა.

მშობლები ფიქრობდნენ ბინის შეცვლაზე, მაგრამ ამის შესაძლებლობა რომც ჰქონოდათ და ღარიბულ უბანში უფრო ნათელი სახლი ეპოვათ, იმის გარანტია არ არსებობდა, რომ ახალი ბინა სტამბოლის კოკისპირულ წვიმებს გაუძლებდა. იქნებ, წლების განმავლობაში შეეჩვივნენ კიდეც ამ ბინას. მართალია, ჩაბნელებული და ნესტიანი გახლდათ, მაგრამ მაინც სახლი იყო.

სტამბოლი... ნელა მობზრიალე ასობით მოგონებას შორის ქალაქის სახელი ყოველთვის გამორჩეულად მახსოვდა. ენის წვერზე ვათავსებდი ამ სიტყვას, დინჯად, მონდომებით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვაგემოვნებდი, თითქოს მოხარშული ტკბილეულიაო. ლონდონი რომ ტკბილეულობა იყოს, ირისის კანფეტი იქნება — მდიდარი, შთამბეჭდავი და ტრადიციული. სტამბოლი კი, ალუბლის ძირტკბილა, ნაირ-ნაირი გემოს ნაზავი, ერთდროულად, მჟავე და ტკბილი.

* * *

დედამ მუშაობა მაშინ დაიწყო, როცა მამამ ორი თვის ხელფასი აზარტულ თამაშებში გაანიავა. ფული უეცრად ისე დაგვჭირდა, როგორც არასდროს. ისკენდერი სანამ სკოლაში იყო, დედა მდიდრების ოჯახებში დადიოდა, ახალშობილებს უვლიდა, საჭმელს უმზადებდა, მათ ოთახებს წმენდდა და ტანსაცმელს აუთოებდა. მე მეზობელთან მტოვებდა. ერთი სასიამოვნო მოხუცი ქალი იყო, ცოტათი მწარე ენითა და დაქვეითებული სმენით.

საღამოობით დედა, ძილისპირულის ნაცვლად, მდიდრებზე გვიყვებოდა — როგორ ცხოვრობდნენ ვილებში, სადაც ყველა ბავშვს საკუთარი ოთახი ჰქონდა, როგორ სთავაზობდნენ თანამედროვე ქმრები ცოლებს დასალევს. ეუცნაურა და შერცხვა, როცა შეესწრო, წყვილი ჯაზს რომ უსმენდა და ცეკვავდა. თურმე, ჭუჭყიანი ფეხსაცმლით დააბიჯებდნენ ხალიჩაზე. საბოლოოდ, დედამ ეჭვის თვალით შეხედა მდიდრებს. აბა, რატომ უნდა ჩაეყარათ ზეთისხილი სასმელში, გაეფუჭებინათ საუცხოო ხალიჩები და კბილის საჩიჩქნი ჩაერჭოთ ყველის კუბებში?

რამდენიმე ოჯახში მუშაობის მერე დედამ სამუშაო სრულ განაკვეთზე იშოვა. მისი დამსაქმებლები ცნობილი ადამიანები იყვნენ. ქალი მსახიობი იყო და ცოტა ხნის წინ გაეჩინა შვილი, ქმარი რას აკეთებდა, ეგ ვერ შევიტყვეთ. თუმცა, ყოველთვის დაკავებული იყო და ხშირად მოგზაურობდა. დედას ევალე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბოდა, ბავშვისა და სახლისთვის მიეხედა, ზოგჯერ — მსახიობისთვისაც, რადგან ქალი ცვლილებებს ძნელად ეგუებოდა. ჭირვეული და უხასიათო ბავშვი გამუდმებით ტიროდა. თუმცა, ახალბედა დედა ზოგჯერ შვილზე უფრო მეტს ქვითინებდა. ლამაზი ქალი გახლდათ — ნუშისებური თვალებით, შავი თმით, გამოყვანილი ცხვირითა და ნატიფი ხელებით. ფანებს რომ ენახათ ასეთ მდგომარეობაში, იმედები გაუცრუვდებოდათ, მაგრამ დედას ებრალებოდა.

მოხუცი ქალბატონი, რომელიც მივლიდა, იმ დროისთვის ავად გახდა და დედას ჩემი თან წაყვანა მოუხდა. სანამ ვთამაშობდი, დედა შრომობდა და უჩუმრად, მსახიობის საწოლის ირგვლივ ილის მარცვლებს ყრიდა, ჯინისგან მის დასაცავად. საღამოს, ცა ნისლისფრად რომ გადაეკვრებოდა ქალაქს, ავტობუსში ან დოლმუშში[1] ვსხდებოდით და სახლში მივდიოდით. მთელი თვე ასე გავიდა. დედა ანაზღაურებას ყოველდღე ელოდა, მაგრამ ფულის ხსენებაც არ ყოფილა, თვითონ კი ზედმეტად მორცხვი იყო, რამე რომ ეკითხა.

ერთ შუადღეს, დედა რომ საჭმელს ამზადებდა და მე მაგიდის ქვეშ ვთამაშობდი, ქმარი გამოჩნდა. ფერმკრთალი იყო და საპარსი ლოსიონისა და ვისკის სუნი ასდიოდა. ოდნავ ჩასისხლიანებული თვალები ხალისიანად უელავდა. არ იცოდა, მეც რომ იქ ვიყავი, დედაჩემთან ბანცალით მივიდა და წელზე ხელები შემოხვია.

— ჩუმად, — თქვა კაცმა და ტუჩებზე თითი მიიდო, — ყველას სძინავს.

ყველას სძინავს. ვერ დაგვინახავენ. ყველას სძინავს. ჩვენც დავიძინოთ. კარგ რამეებს გიყიდი. ჩანთებს, ფეხსაცმელს, ტანსაცმელს, ოქროს საყურეებს... კარგი ქალი ხარ, წმინდანი. შემიბრალე. ჩემი ცოლი ვერასოდეს გაიგებს. ვერც შენი ქმარი. ყველას სძინავს. ცუდი კაცი არ ვარ. მაგრამ კაცი ვარ, სხვები-

---

1 მიკროავტობუსი (თურქ.).

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვით და მოთხოვნილებები მაქვს. ჩემი ცოლი ქალი აღარაა. რაც ბავშვი გაჩნდა, შეიცვალა, სულ ტირის და მოთქვამს. მთელ ქალაქს სძინავს.

დედაჩემმა კაცს კედლისკენ უბიძგა. მთვრალს წინააღმდეგობა არ გაუწევია. ხელები ჩამოშვებული და სხეული მოდუნებული ჰქონდა, რბილი სათამაშოსავით. ერთი ხელით მე მიმათრევდა, მეორით ჩანთას, დერეფანს გაუყვა, მაგრამ მერე მიხვდა, სახლში წასასვლელი ფული არ გვქონდა.

— ბატონო... — თქვა დედამ, — ჩემი ანაზღაურება არ მოგიციათ.

ის კართან იდგა, ოდნავ ქანაობდა.

— ფული გინდა? — გაოცებით იკითხა.

— ჩემი კუთვნილი...

შეაწყვეტინა:

— ასე მექცევი და კიდევ ფული გინდა? რა ძუკნა ყოფილხარ!

სახლიდან გამოვედით. ავტობუსში ავედით, გაჩერებაზე ჩამოვედით და გადავწყვიტეთ, დარჩენილი გზა ფეხით გაგვევლო. დედა ყურადღებას არ აქცევდა, საით მივდიოდით. მთავარ გამზირს გავცდით და არსაითკენ მიმავალ საშიშ ქუჩებს შევუყევით. ბნელდებოდა. სანაპიროსთან აღმოვჩნდით, ისეთ ადგილას, სადაც ფეხი არასდროს დაგვედგა. ნაპირთან უზარმაზარი შავი ქვები ელაგა, ტალღები ასკდებოდა. იქ დავსხედით და ვუქცერდით, როგორი დიდებული და გულგრილი იყო ქალაქი.

ნაპირზე ნიჟარები შევამჩნიე და შესაგროვებლად წამოვდექი. ზღვასთან ჩაცუცქულმა დავინახე, ორი კაცი როგორ მიუახლოვდა დედას. მზესუმზირას ჭამდნენ, ქერქს აფურთხებდნენ და კვალს ტოვებდნენ, ჰენზელსა და გრეტელსავით.

— საღამო მშვიდობისა, დაიკო, რა მოწყენილი ხარ, — თქვა პირველმა, — შენნაირი ქალი ასეთ დროს აქ რას აკეთებს?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჰო, გეტყობა, დახმარება გჭირდება, — დაამატა მეორემ.

დედას პასუხი არ გაუცია. ჩანთაში აფათურებდა ხელებს ცხვირსახოცის მოსაძებნად. თმის სამაგრები, გასაღები; გადასახდელი ქვითრები, ნიგვზები, შვილების ფოტო, სარკე... მაგრამ ცხვირსახოცი არსად იყო.

— წასასვლელი თუ გაქვს ამ ღამით? მოდი, შემოგვიერთდი. ჩვენ მოგივლით, — გათამამდა ერთ-ერთი.

— არ მჭირდება თქვენი დახმარება, — დედა შეეპასუხა, ხმაში გაღიზიანება შეერია. ნაპირისკენ მოტრიალდა და დამიძახა, — ესმა, სწრაფად აქ მოდი!

კაცებს ჩემი დანახვა გაუკვირდათ, მაგრამ თავი არ დაუნებებიათ. ჩუმად მოგვყვებოდნენ. თამაშივით იყო. დედა გაუძალიანდებოდა. ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ. დედა გაუძალიანდებოდა. ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ. დედა დანებდებოდა.

— მომშორდით! ვერ ხედავთ, რომ გათხოვილი ვარ?

ერთმა აღელვებით შეხედა, მაგრამ მეორემ ჩაიცინა და თვალები დააბრიალა, თითქოს ამბობდა, — მერე რაო.

ბნელოდა და ნისლი იყო, ქუჩებში სულ უფრო ცოტა ხალხი გვხვდებოდა. ნაბიჯს ავუჩქარეთ. გზადაგზა ქალები ჩაგვივლიდნენ, ძმებთან ან ქმრებთან ერთად, თავს დაცულად გრძნობდნენ. ათი წუთი ან შეიძლება, მეტიც გავიდა, როცა მოხუც კაცსა და ბიჭუნას გადავაწყდით.

— სალამუნ ალეიკუმ[1]. კარგად ხართ?

დედის პასუხს არ დავლოდებივარ, ისე წამოვიძახე:

— დავიკარგეთ.

კაცმა დინჯად დამიქნია თავი და გამიღიმა.

— და სად არის შენი სახლი, ჩემო კარგო?

ასე გავუდექით სახლისკენ გზას — დედა, მე, მოხუცი და ბიჭი. ზღვიდან ქარის მოტანილი მარილიანი ჰაერი შევისუნ-

---

1 მისალმება (თურქ.).

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თქე, სამუდამო მადლიერებით აღვივსე უცნობების მიმართ, რომლებიც მოულოდნელად მეგზურებად გადაიქცნენ. ჩვენს ქუჩას რომ მივადექით, დედამ მოხუცს ბიჭის სახელი ჰკითხა.

— იუნუსი, — სიამაყით თქვა კაცმა, — შემდეგ თვეს წინადაცვეთაზე მიგვყავს. ინშალაჰ.

— თუ ღმერთი კიდევ ერთ ვაჟს მომცემს, — თქვა დედამ, — შენ გაგიხსენებ და იუნუსს დავარქმევ, რომ ისეთი კეთილი იყოს, როგორც თქვენ იყავით ჩემ მიმართ.

* * *

სახლში, სიცარიელით სავსე ფანჯრის ქვეშ იჯდა მამა, იცდიდა და შეუჩერებლად ეწეოდა. როგორც კი კარში გასაღების გადატრიალების ხმა გაიგო, ფეხზე წამოხტა.

— სად იყავით?

— ფეხით მოგვიწია მოსვლამ, — თქვა დედამ, — ესმა, პალტო გაიხადე და შენს ოთახში შედი.

დერეფნისკენ მიბიძგა და კარი ისე ძლიერად მოაჯახუნა, რომ ისევ გაიღო.

— დოლმუშისთვის ფული არ მქონდა.

— რას ნიშნავს, ფული არ გქონდა? რამდენი მოგცეს?

— არაფერი. მათთან მუშაობას აღარ ვაპირებ.

— რა ჯანდაბას ლაპარაკობ? — მამამ ხმას აუწია, — ვალები მაქვს, ხომ იცი.

— არ გადამიხადეს...

თითქმის ერთი წუთი გავიდა, რაც ხმა არ გამიგია. მერე, თითქოს წყლის სიღრმიდან ამოყვინთა და ღრმად ჩაისუნთქაო, მამამ ხმამაღლა იჭექა.

— სახლში ასეთ დროს მოდიხარ და გგონია, დავიჯერებ შენს ტყუილებს?! სად არის ფული, შე ბოზო?

დივანზე ზურგის საფხანი იდო. ყვითელი, ვერძის რქის-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გან დამზადებული ცივი იარაღი. თვალის დახამხამებაში დასტაცა ხელი და დედას მოუქნია, ის კი ისე დაიბნა მისი სიტყვებისგან, რომ გაწევა ვერ მოასწრო. საფხანი სახეში მოხვდა და კისერი გაუჭრა.

არა, მამაჩემი ადემ ტოპრაკი ცოლსა და შვილებს არ სცემდა. თუმცა, იმ ღამეს და მთელი მომდევნო წლის განმავლობაში, ადვილად კარგავდა წონასწორობას და ნაღველითა და ბოღმით სავსე სიტყვებს წამოისროდა ხოლმე. ნივთებს კედლებზე ახეთქებდა, მთელი სამყარო სძულდა. მამამისის აჩრდილისა ეშინოდა, ის ეტყოდა, რომ საბოლოოდ მასავით მოძალადე გამოდგა.

ბაქლავის ყუთი

სოფელი მდინარე ევფრატის პირას, 1961 წელი

ადემი სტამბოლში დაიბადა და გაიზარდა. ქალაქი პირველად რომ დატოვა, თვრამეტი წლისა იყო. თან მხოლოდ სუფთა საცვლებით სავსე ჩემოდანი, ლავანდის ოდეკოლონი და ბაქლავის ყუთი ჰქონდა. ავტობუსში ავიდა და ოცდახუთი საათის შემდეგ, დაღლილი და გზაარეული, ერთ სამხრეთ-დასავლურ ქალაქში აღმოჩნდა, რომლის შესახებაც არაფერი სმენოდა. იქიდან სირიის უკიდურეს ჩრდილოეთის საზღვართან ახლოს მდებარე სოფელში გაემგზავრა. იქ, სამხედრო დანაყოფში, ბოლო ხუთი თვის განმავლობაში მსახურობდა მისი ძმა, ხალილი.

ხალილს ზამთრის მზის სხივების რუჯი ეტყობოდა და წონაშიც დაეკლო, მაგრამ ყველაზე დიდი ცვლილება ქცევაში შეინიშნებოდა. ფიქრიანი თვალები გაუხდა, უჩვეულოდ თავშეკავებული იყო, თითქოს სამხედრო ფორმამ ხასიათი შეუცვალაო. საცვლები და ოდეკოლონი სიხარულით გამოართვა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თუმცა უფრო დაფიქრებული ჩანდა, ვიდრე მხიარული. ადემი ცნობისმოყვარედ ათვალიერებდა ძმას, ერთი წლის შემდეგ თვითონაც ჯარისკაცი უნდა გამხდარიყო. გადაწყვიტა, სავალდებულო სამხედრო სამსახური სკოლის დამთავრებისთანავე გაევლო. უნივერსიტეტისკენ გული არ მიუწევდა და არც ფული ჰქონდა. არმიიდან რომ დაბრუნდებოდა, სამსახურს იშოვიდა, ცოლს შეირთავდა და ექვს შვილს იყოლიებდა — სამ გოგოსა და სამ ბიჭს. ასეთი მომავალი ესახებოდა თავისთვის.

სტუმრობის საათების დასრულების შემდეგ ადემმა ძმა გარნიზონში დატოვა და ვირზე ამხედრებული დაბრუნდა უახლოეს სოფელში. სადამდეც თვალი მისწვდებოდა, ყველგან შვრიის ფაფისფერი გაყინული დედამიწა მოჩანდა. აქ ბუნება შეუპოვარი და დაუმორჩილებელი გახლდათ. ლანდშაფტმა გაახსენა, რომ ხალილისთვის ბაქლავის ყუთის მიცემა დაავიწყდა.

— ყისმათი, — გაიფიქრა თავისთვის, — ეტყობა, სხვისთვის იყო განკუთვნილი.

სოფელს რომ მიაღწია, ადემმა მუჰთარი იპოვა — სოფლის თავკაცი.

ილბლიანი შემთხვევითობა იყო, რომ ადემის მამასა და იმ კაცს ოდესღაც ერთად უკეთებიათ საქმე. მართალია, წლების განმავლობაში აღარ შეხვედრილან, მაგრამ საერთო მეგობრების წყალობით მოიკითხავდნენ ხოლმე ერთიმეორეს. გამომგზავრებამდე ადემმა საფოსტო ბარათი გაუგზავნა კაცს, სტუმრობის შესახებ აცნობა, თუმცა პასუხი არ მიულია.

— საფოსტო ბარათი? რა ბარათი? — დაიყვირა თავკაცმა, ადემმა როცა მიუკაკუნა კარზე, — არაფერი მომსვლია.

შავგვრემანი, მაღალი კაცი იყო, კარში გასვლისას იხრებოდა. სქელი ულვაში აეპრიხა და ბაკები ზეთით გაეპოხა.

— უ-უკაცრავად... ჯობს, წავიდე, — თქვა ადემმა.

— შენი აზრით, სად მიდიხარ?

— მე... იცით... მე...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ამ ჭერქვეშ სტუმარი ღვთისაა, — დაიღრიალა თავკაცმა.

ადემი თანდათან მიხვდა, რომ ის ქურთი კაცი არ უბრაზდებოდა, არც უყვიროდა. უბრალოდ, ხმა ბუნებრივად მაღალი და ხრინწიანი ჰქონდა, თურქული კი კარგად არ იცოდა. ამიტომ ლაპარაკისას განრისხებულის შთაბეჭდილებას ტოვებდა, არადა, არ იყო.

— გმადლობ. ერთი ღამით დავრჩები, მართლა.

— ერთი ღამითო? ასე მალე როგორ წახვალ! ორ დღეში ქორწილია, უნდა შემოგვიერთდე, თორემ სიძის ოჯახს ეწყინება.

რანაირად ეწყინებათ, როცა საერთოდ არ მიცნობენო, — უნდოდა ეკითხა ადემს. თუმცა ჩვეულებები განსხვავდებოდა იმ მხარეში, თან სტამბოლშიც არ ეჩქარებოდა, არავინ ელოდა.

მხიარული ქორწილები ადემს სევდას ჰგვრიდა. დედამისი, აიშა ახსენდებოდა. მის სახელს სახლში აღარავინ ახსენებდა, ფოტოებიც გაანადგურეს, თითქოს არც არასდროს არსებობდა. მაქმანები, დაქარგული ხელსახოცები, ყელსაბამები, ერთ დროს მის გრძელ ყელს რომ ამშვენებდა, პერანგები, წინდები, თმის სამაგრები — ყველაფერი, რაც ეკუთვნოდა, მთვრალმა ბაბამ ცეცხლს მისცა.

ამიტომაც, ადემი თავკაცის შეთავაზებას დათანხმდა და სოფელში დარჩა, კარაქი, ნაღები და თაფლი მიირთვა. მომდევნო შუადღეს თავკაცმა ნასადილევს მიიძინა, ცოლი და ქალიშვილები სპილენძის ჭურჭლის წმენდას შეუდგნენ, ვაჟები კი შაშის თამაშით იქცევდნენ თავს. ადემმა დილით ძმა ინახულა. მეორე ვიზიტი უფრო ხანმოკლე, თუმცა არანაკლებ სენტიმენტალური იყო. ბაქლავას წაღება ისევ დაავიწყდა. შაშის თამაში ეზარებოდა, სხვა საქმე არაფერი ჰქონდა და გადაწყვიტა, გაესეირნა.

სოფლის ქუჩებს დაუყვა. მორყეულ სახლებს, დაბზარულ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კედლებს, ჭუჭყიანფრჩხილებიან ბავშვებსა და იმ მხარეში გავლილი და არდაბრუნებული ორთვალებისა და ქარავნების ნაკვალევს აკვირდებოდა. სოფელი ღარიბი და უფერული იყო, მაგრამ — უცნაურად მიმზიდველი. გზად, მაწანწალა ძაღლების ხროვას გადააწყდა, ერთ-ერთმა მათგანმა, მიხაკისფერი ბეწვითა და ჩასისხლიანებული თვალებით, შეულრინა და მალე დანარჩენებიც აჰყვნენ. ადემი მოტრიალდა და გაიქცა, თუმცა იცოდა, ეს უფრო წააქეზებდა ძაღლებს და გამოედევნებოდნენ. უმისამართოდ ირბინა ტალახში, სანამ არ მიადგა სახლს, რომლის წინა ეზოში ქათმები და წიწილები კრიახობდნენ. გალავანზე ვიღაც იჯდა — ნახევრად გოგო, ნახევრად ქალი. კარგად რომ დააკვირდა, შენიშნა, გოგო მისი შეშინებული სახის შემხედვარე ხითხითებდა. ადემი მისკენ გაექანა, ეზოში უნებართვოდ შეიჭრა, გოგონას თავდაჯერებულობას შეეფარა.

სულ რამდენიმე წამში ეზოსთან ძაღლებმაც მოირბინეს და ადემი ალყაში მოაქციეს. ერთ-ერთი სახიფათოდ მიუახლოვდა და ის-ის იყო, თავს უნდა დასხმოდა, რომ გოგონამ ტაში შემოჰკრა და დაიყვირა. ხმა მბრძანებლურადაც ჟღერდა და მხიარულადაც. თუმცა სიტყვების მნიშვნელობა ადემს არ ესმოდა. ეფექტი მაგიური ძალის გამოდგა. კუდამოძუებული ძაღლები მიწაზე გაწვნენ.

ადემი თავის მხსნელს აკვირდებოდა. ცოტათი გაღიზიანდა, გოგომ რომ გადაარჩინა, მაგრამ თან, გულზე მოეშვა. გოგოს დიდი, წყლიანი თვალები ჰქონდა, უძირო ტბისფერი. ხელში უცნაური ღვეზელი ეკავა და მადიანად ილუკმებოდა. არასოდეს ენახა გოგო ასეთი მადით.

— ძაღლების გეშინია? — ჰკითხა გოგონამ.

ადემს პასუხი არ გაუცია.

— თუ შიში შეგატყვეს, უარესად შეგიტევენ. ჭკვიანი ცხოველები არიან! ჩემს დას ძალიან უყვარს, — გადმოიხარა, თითქოს საიდუმლო უნდა გაანდოსო, — მაგრამ მე არა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თურქულს აქცენტით ლაპარაკობდა. სულელი ქურთი გოგო, — გაიფიქრა ადემმა, — ალბათ, რწყილები ჰყავს. მის კოხტა ნაწნავებს შეავლო თვალი, წაბლისფერი თმა ჰქონდა, ალაგ-ალაგ ოქროსფერი და ქარვისფერი. ძალიან მოუნდა ნაწნავებს შეხებოდა, ხელი ასწია, მაგრამ გაჩერდა.

— შენ საიდან იცი თურქული? ამ სოფელში უმეტესობამ არ იცის, — თქვა ადემმა.

— სკოლაში დავდიოდი. მე და ჩემი დები. მამის მოთხოვნა იყო.

ადემმა სახლი ყურადღებით შეათვალიერა, საკიდებზე კაბები, ქვედაბოლოები და წინდები ეფინა.

— რამდენი და გყავს?

— მერვე ვარ ოჯახში.

— ვაჰ. და არც ერთი ბიჭი?

გოგონამ თავი გააქნია და თემა შეცვალა.

— ეი, გინდა? მე გავაკეთე.

ღვეზლის ნაჭერი გამოართვა და სქელი, ფუმფულა ცომი ჩაკბიჩა. არ ელოდა, ასეთი გემრიელი თუ იყო. ძაღლები მოლოდინით აქიცინებდნენ კუდებს. ორივენი უხერხულად, სიჩუმეში ილუკმებოდნენ და არ იცოდნენ, საუბარი როგორ გაეგრძელებინათ.

— მე სტამბოლში ვცხოვრობ, — თქვა ბოლოს ადემმა.

— მართლა? ყველა ამბობს, რომ ძალიან ლამაზია იქაურობა.

— მართალია, — სიამაყით უპასუხა. გადაწყვიტა, რომ ეს გოგო მოსწონდა, მასთან საუბარი ამშვიდებდა.

— შეიძლება, რაღაც გკითხო? — ჰკითხა გოგონამ და პასუხს არ დაელოდა, — მართალია, რომ სტამბოლში ოქროს ქვაფენილია?

რა უცნაური გოგოაო, — გაიფიქრა ადემმა. გარეული ძაღლების არ ეშინოდა, ასეთი სისულელეებისა კი სჯეროდა. თუმცა, მისმა მომხიბვლელობამ დაატყვევა და უცებ თქვა:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჩემნაირს თუ გაჰყვები ცოლად, სტამბოლში წამოხვალ და თავად ნახავ.

გოგონა გაწითლდა.

— ცოლად რატომ უნდა გამოგყვე?

— იმიტომ, რომ შემიძლია, შორს წაგიყვანო.

— არ მინდა შორს. აქაურობაც მყოფნის.

ჯერ კიდევ ფიქრობდა, როგორ ეპასუხა, როცა სახლიდან ქალის ხმა შემოესმა. გოგონა ფეხზე წამოხტა, რამდენიმე წამით თვალებში უყურა, მერე ძაღლებს მიუტრიალდა, თითი დაუქნია და დაუყვირა:

— თავი დაანებეთ!

გოგონა რომ გაქრა, ადემიც ნელ-ნელა გაიძურწა ეზოდან. ხროვის წინამძღოლი გაფაციცებით უყურებდა, ულრენდა და ისე შეაშინა, რომ ადემს ღვეზელი დაუვარდა. შეშფოთებით დააცქერდა მიწაში აზელილ შაქარს.

სტამბოლში არანაირი ოქროს ქვაფენილი არ იყო. არც სადმე სხვაგან. ასეთი რამეები მხოლოდ ლეგენდებსა და ზღაპრებში არსებობდა. ნამდვილი სამყარო ნამდვილი ადამიანებით შაქრისა და მიწის ნაზავს ჰგავდა და გემოც იგივე ჰქონდა, მეტ-ნაკლებად. ნუთუ ამ გოგომ ეს არ იცოდა?

* * *

მომდევნო დღეს ადემი ქორწილს დაესწრო. მანამდე მსგავსი არაფერი ენახა. შიდა ეზო ხალხით იყო სავსე. ყველა ასაკის მამაკაცი ნახევარწრეზე იჯდა, მუსიკოსები დოლსა და კლარნეტზე უკრავდნენ, ბავშვები დარბოდნენ, ქალები სახურავებიდან უცქერდნენ. სახე დაეფარათ და ხელები ინით მოეხატათ. ადემმა შენიშნა, რომ უცოლო კაცები მაღლა ახედვას ერიდებოდნენ და თვითონაც თავი შეიკავა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შემოსასვლელის პირდაპირ პატარძლისა და სიძის მამები გვერდიგვერდ ისხდნენ, ერთმანეთში სიტყვასაც არ ცვლიდნენ. ორივე მხარეს ნათესავები ჩინისა და ოჯახთან სიახლოვის მიხედვით იყვნენ განაწილებული. ცენტრში ნეფე-პატარძალი იჯდა, საიდანაც ნებისმიერ მსურველს შეეძლო იმდენ ხანს ეთვალიერებინა, რამდენიც მოესურვებოდა. სიძე ხშირად ილიმებოდა, პატარძალი როგორ გრძნობდა თავს, ამის გამოცნობა კი შეუძლებელი იყო, რადგან სახეს ბრჭყვიალა, მოწითალო პირსაბურავი უფარავდა. დროდადრო მასთან ქალი მიდიოდა ფეხისწვერებზე და დასალევს აწვდიდა. ორივენი ფრთხილად სწევდნენ პირბადეს, სულ ოდნავ, რომ პატარძალს მოეწრუპა და ზედ არაფერი გადაესხა, თანაც ისე, რომ მისი სახე არავის დაენახა.

ადემი აპირებდა, კუთხეში წყნარად დამჯდარიყო, როცა თავკაცმა შენიშნა და თავის გვერდით მიუთითა.

— ქალაქელო, მოდი, გვერდით მომიჯექი.

ადემი ასეც მოიქცა. დაჯდა და დღესასწაულით ტკბებოდა, სანამ მის გვერდით კაცმა იარაღი არ ამოიღო და ჰაერში არ გაისროლა. გამაყრუებელი ხმა გაისმა. ერთ-ერთი ტყვია ახლომდებარე სახლს მისწვდა და ნახვრეტი დაამჩნია. ადემი დაზაფრული იყურებოდა, ეშინოდა, ტყვია არ მომხვდესო. ქაოსში გოგონა შენიშნა და სუნთქვა შეუჩერდა. სახურავზე იდგა, ადემს უყურებდა, უშფოთველი და თავშეკავებული, თითქოს იცოდა, მწყობრიდან გამოსულ სამყაროში ერთადერთი მშვიდი რამ, თვითონ რომ იყო.

როგორც კი სროლა შეწყდა, ადემმა ბოდიში მოიხადა, საპირფარეშოში უნდა გავიდეო. სინამდვილეში, გზას ეძებდა გოგონასთან დასალაპარაკებლად. როგორც კი კარიბჭიდან გავიდა, გოგონა შენიშნა. ჭასთან იჯდა და უზარმაზარ ქვაბში იოგურტის მომზადებით იყო გართული. სახურავიდან როდის ჩამოვიდაო, — გაიფიქრა ადემმა.

— მიხარია, რომ ისევ გნახე, — თქვა ადემმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გოგონამ ცივად შეხედა.

— რას გულისხმობ?

ადემი მიხვდა, ალბათ თავს იკატუნებდა, თითქოს პირველად ხედავდნენ ერთმანეთს. ამ მხარეში ახალგაზრდა ქალებს თავდაჭერა და მორიდება მოეთხოვებოდათ. გადაწყვიტა, თამაშში აჰყოლოდა.

— უკაცრავად, ხელი არ უნდა შემეშალა. რა თქმა უნდა, შენ არ მიცნობ. მე ადემი მქვია. შეიძლება, გკითხო სახელი?

— ჩემი სახელი რატომ უნდა გითხრა? — წამოენთო და ტუჩები დაებრიცა.

გოგონას თვალები სხვანაირად უელავდა. იმდღევანდელივით, მედიდური სხივი ედგა თვალებში, თუმცა ოდნავ სხვანაირი გამოხედვა ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, ადემს ასე მოეჩვენა. ისიც გაიფიქრა, ალბათ დამცინისო. ბოდიში მოიხადა და გაიარა.

როცა ბუჩქის უკან მოისაქმა, დამშვიდდა და დაბრუნდა, გოგონა ჭასთან აღარ დახვდა. სპილოსძვლისფერ ცხენზე ამხედრებული პატარძალი თავისი ახალი სახლისკენ მიდიოდა. ცხენს პატარა ბიჭი მიუძღოდა, რომ პატარძალსაც ვაჟები გაეჩინა თავისი ქმრისთვის. ცხენის ფაფარი მეწამული ბაფთებითა და ავი თვალისგან დამცავი კრიალოსნებით გაელამაზებინათ, კუდი კი დაეწნათ. სანამ ცხენს ბავშვები და ქალები მიაცილებდნენ, მამაკაცები საქორწილო ნადიმს მიუსხდნენ. ახალგაზრდებმა დიდი, მრგვალი სპილენძის ლანგრები შემოიტანეს. უკან რომ ბრუნდებოდა, ადემმა თონის პურისა და ხორცის სუნი იგრძნო. ეზოში შემოსვლისას ისევ დაინახა გოგონა. ჩქარობდა და ხელში მტირალა ჩვილი ეკავა.

— რატომ ხარ ჩემზე გაბრაზებული? — გზა გადაუღობა.

— რა? შენზე გაბრაზებული რატომ უნდა ვიყო? — სიცილით უპასუხა გოგომ. ბავშვიც კი გაოცებული ჩანდა, უეცრად ტირილი შეწყვიტა.

— მაშ, სახელი რატომ არ მითხარი?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მსუბუქად შეკრულ თავსაფარში კულული დამალა და გაიღიმა.

— იმიტომ, რომ არ გიკითხავს. ისე, ჯამილა მქვია.

მადლიერმა ადემმა თავი დაუქნია.

— და შენ რა გქვია?

— ორი წუთის წინ არ გითხარი? — ჩაიჩურჩულა ადემმა.

გოგონას სახეზე უხალისო გამომეტყველება აღებეჭდა.

— შეიძლება ჩემს ტყუპისცალს, პემბეს ელაპარაკე. როდის ნახე?

თითქოს ამ შეკითხვამ უკარნახაო, სროლა ისევ ატყდა. ბავშვმა ბღავილი მორთო და ჯამილას მოუწია, ეზოდან გაეყვანა. ადემი არ განძრეულა, ოდნავ თავბრუ ეხვეოდა, მაგრამ გულზე მოეშვა. ტყუპისცალი! ახლა ყველაფერი გასაგები იყო — სიმკაცრე, ცივი მზერა. ის ხომ ჯამილა არ იყო. მისი ჯამილა არ იყო.

საღამოს ადემი ფანჯარასთან იდგა და სახურავებზე ჩამოღვრილ მთვარის ნათელს გაჰყურებდა, მთელი სოფლის თავზე გაშლილ ვერცხლისფერ ზოლებს. სიბნელეში სახლების შუქი ანთებულ სიგარეტებს ჰგავდა. სტამბოლი მოენატრა და უხაროდა, მალე რომ დაბრუნდებოდა. მაგრამ ჯამილას გარეშე რა უნდა ექნა?

თავკაცის სანახავად წავიდა, რომელსაც ღამის პერანგი ეცვა და ჩიბუხს ეწეოდა. კაცის უკან ზეთის ლამპა იდგა და კედლებზე ჩრდილებს ხატავდა.

— მინდა, ბაქლავა მოგცეთ და მადლობა გადაგიხადოთ მასპინძლობისთვის და...

— მაგას ვერ შევჭამ. ნეტავ, შემეძლოს, — ყოყმანით უპასუხა თავკაცმა, — დიაბეტი მაქვს.

ადემი ხელში ჩაბღუჯულ ბაქლავის ყუთს მიაჩერდა. იქნებ, სხვისთვის იყო განკუთვნილი. ღრმად ჩაისუნთქა. უნდოდა, შემოვლითი გზით მოეგვარებინა საქმე, მაგრამ ეს შეუძლებლად ეჩვენებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— დღეს ქორწილში ერთი გოგო შევნიშნე.

— გოგო?

ადემი კაცის სახეს ათვალიერებდა და ცდილობდა, გამოეცნო მისი აზრები. ოჰ, ღმერთო, ბიჭი ფიქრობს, რომ შეყვარებულია.

— მომიყევი ამ გოგოზე, — მოითხოვა თავკაცმა, — რა ჰქვია?

— ჯამილა, — უპასუხა ადემმა და სახეზე ალი მოედო.

— ჯამილა... ჯამილა არავინ ვიცი.

— გრძელი წაბლისფერი თმა, დიდი მწვანე თვალები.

თავკაცმა ზანტად დაარტყა ნაფაზი და თავი გააქნია.

— არა, ეგეთი გოგო აქ არავინაა.

— თურქულად ლაპარაკობს.

— ოჰ... მგონი ვიცი, ვისაც გულისხმობ. ბერზოს გოგოები სწავლობდნენ სკოლაში. საკმარის მშვენიერებაზე საუბრობ?

— საკმარისი მშვენიერება?

— ჰო, მასა და მის ტყუპისცალ დას ორჯერ დაარქვეს სახელი. ვარდისფერი ბედისწერა და საკმარისი მშვენიერება, — თქვა თავკაცმა, თუმცა ახსნა-განმარტება არ მოუყოლებია, — მისმინე, ზედმეტად ახალგაზრდა ხარ ეს რომ იცოდე, მაგრამ კაცის სიყვარული მისივე ხასიათის ანარეკლია.

ადემი უსმენდა და არ იცოდა, რა ეფიქრა.

— თუ კაცი ჩხუბისთავია, მისი სიყვარულის მეგზური „უთანხმოება“ იქნება. თუ კეთილი და მშვიდია, სიყვარული მალამოსავით მოეცხობა. თუ მუდამჟამ თავი ებრალება, სიყვარულს დაკარგავს. თუ მხიარულია, სიყვარულიც ხალისიანი იქნება. სანამ ქალს შეიყვარებ, იმაზე უნდა დაფიქრდე, რანაირი სიყვარული შეგიძლია შესთავაზო.

— კარგი კაცი ვარ, — თქვა ადემმა.

— კარგი კაცი მხოლოდ ერთი ვიცი, წინასწარმეტყველი, ღმერთმა ნათელში ამყოფოს, — მიუგო თავკაცმა, — მოკლედ, ბერზოს ბევრი ქალიშვილი ჰყავს. ადათის მიხედვით, პირველი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უნდა გათხოვდეს, უფროსი. ჯამილა კი ნაბოლარაა. თუმცა, მგონი იდეალური წყვილი იქნებით. ოჯახმა ბევრი გაჭირვება გამოიარა. დედა, ნეიზი, მშობიარობას გადაჰყვა, საწყალი ქალი. როგორ უნდოდა, ვაჟი ჰყოლოდა. ბერზომ მეორე ცოლი შეირთო, მაგრამ მისგან შვილები არ გასჩენია. და მერე მისი უფროსი ქალიშვილი, ჰედიე...

— რა მოხდა?

— ეგ კაცი დაწყევილია, შვილო. ალბათ უნდა, გოგოები მალე დაათხოვოს. ჯამილას დიდხანს ლოდინი არ მოუწევს.

ადემს გაეღიმა. ძალიან მცირედი, თუმცა იმედი მაინც არსებობდა.

— მაგრამ არ დაგავიწყდეს, ძალიან ღარიბები არიან, — უჩურჩულა თავკაცმა, — შეიძლება მამაშენმა და ძმებმა დაიწუნონ ქურთი, სოფლელი პატარძალი. მეორე მხრივ, შენს ოჯახს არც ისე სახარბიელო რეპუტაცია აქვს მას მერე, რაც დედაშენი სხვა კაცთან ერთად გაიქცა. შეიძლება უკეთესიც კია, აქ აარჩიო ვინმე.

ადემს უეცრად სახე მოექუფრა. წარმოდგენაც არ ჰქონდა, ამ კაცმა მისი ოჯახის სირცხვილის შესახებ თუ იცოდა. მომთაბარე ტომივით, სიტყვებს მისამართი არ ჰქონდა, მთელ დედამიწას ედებოდა.

კომეტასავით სიყვარული

ადგილი მდინარე ევფრატის პირას, 1977 წლის დეკემბერი

ღამის სიჩუმეში ჯამილას ბუხართან ეძინა, თავი ოდნავ გვერდზე მოჰქცეოდა. მარცხენა ხელი სკამის კიდეზე ედო, მარჯვენა ხელში წერილი ჩაებღუჯა. მეხუთედ რომ კითხულობდა, მაშინ ჩაეძინა.

უსიამოვნოდ ეძინა, დემონები არ ასვენებდნენ. ლოყები

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შესწითლებოდა და გაოფლილი სახე უპრიალებდა. სიზმარში ერთ ქალაქში აღმოჩნდა, რომელიც ერთდროულად უცნობიც იყო და უჩვეულოდ ნაცნობიც. შუაში ფართო და მოუსვენარი მდინარე მოჩქეფდა. ჯამილა წყლის პირას მარტო იდგა, მეთევზის ნავს გაჰყურებდა. ნავში ხალხი შეგროვილიყო. პირქუში სახეები და რბილი, წებოვანი, თითქოს ცვილისგან გამოქნილი სხეულები ჰქონდათ. მგზნებარედ საუბრობდნენ... მასზე.

ჯამილამ ამოიხვნეშა და კვნესაც ამოაყოლა. ჯგუფიდან ერთ-ერთმა, რომელიც ადემს ჰგავდა, შენიშნა და სხვებსაც დაანახვა. უმიზეზოდ გაავებულები და განრისხებულები, ნავიდან გადმოხტნენ და მის დასაჭერად გამოიქცნენ. მთელი ძალით გარბოდა ავის მომასწავებელ ქუჩებსა და ქვაფენილიან მოედნებზე, მაგრამ მალე დაიღალა, ფეხები ცემენტის ლოდივით დაუმძიმდა. მდევრებმა ბნელ კუთხეში რომ მიიმწყვიდეს, გამოეღვიძა, ეს სიზმრიდან კატაპულტირებას ჰგავდა. რამდენიმე წამის განმავლობაში თავი ისევ იმ საშინელ ქალაქში ეგონა, მერე გამოფხიზლდა.

ქოხში შმორის სუნი ტრიალებდა. ბუხარში ბოლო, დარჩენილი მორი აალდა და ოქროსფრად განათდა, ჯადოსნური ჯოხივით. ხეობაში ფრინველმა დაიჩხავლა.

შორეული ნაბიჯების ხმა გაისმა. ჯამილას არ გაუგონია. ჯერ კიდევ გარბოდა, ის-ის იყო, ჩიხში შეეხვია.

ჯამილას სახე უფრო ასაკოვანს მიუგავდა, ვიდრე ოცდათორმეტი წლისას. კისრის გარშემო კანი დანაოჭებოდა, ხეზე ამოკვეთილი ამოუცნობი ანბანივით. სინამდვილეში, თავს ახალგაზრდად კარგა ხანია, აღარ გრძნობდა.

ჯამილა უცებ შეხტა და გამოეღვიძა, ლოყაზე სახელურის ჩუქურთმა დამჩნეოდა. მარცხენა მხარში ისეთი ტკივილი იგრძნო, თავიდან განძრევა ვერც კი გაბედა. ცალი ხელით ნაზად დაიზილა კიდურები, მეორეში ისევ წერილი ეჭირა. წუთით, ქაღალდს მიაშტერდა ცარიელი თვალებით, თითქოს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დავიწყებოდა, მისი არსებობა. სიზმრისეული ნახვებისგან განსხვავებით, წერილი ნამდვილი იყო. ისეთივე ნამდვილი და მკაცრი, როგორც გარემომცველი კლდეები. ჯამილამ ახლიდან დაიწყო კითხვა.

ჩემო დაო,

მას მერე, რაც ამ კუნძულზე მოვედი, თუმცა ჯერ კიდევ არ მინახავს ზღვა, ბევრჯერ მინატრია, ჩემ გვერდით ყოფილიყავი. თუმცა, ახლა ისე ძალიან მინდა, როგორც არასდროს. აქ რომ იყო, თავს კალთაში ჩაგიდებდი და გეტყოდი, რომ ვვარდები. დამიჭერ?

ადემი ქმრობას არ მიწევს. სახლში აღარ მოდის. სხვა ქალი იპოვა. ბავშვებმა არ იციან, ყველაფერს საიდუმლოდ ვინახავ. ყოველთვის. ჩემი გული სავსეა ართქმული სიტყვებით, დაულვრელი ცრემლით. არაფერს ვაბრალებ. ჩემს თავს ვადანაშაულებ. ჩვენი ცხოვრების ყველაზე დიდი შეცდომა ის იყო, შენ ნაცვლად, მე რომ გავხდი მისი პატარძალი. სიმართლეა, ისე არასოდეს ვყვარებივარ, როგორც შენ უყვარდი. სინანულით სავსე კაცია, გაუბედავი. მებრალება.

როგორ მინდა, მე და შენ ისევ ბავშვები ვიყოთ, სურვილების შადრევნებიდან მონეტებს ვიპარავდეთ. ნეტავ, მაშინ გვცოდნოდა, რაც ახლა ვიცით.

გითხარი, ერთხელ ადემმა რა მითხრა? ვოცნებობ, ჯადოსნური საშლელი მქონდეს. იმდენ რამეს წავშლიდიო. და, მართალია, არ ულიარებია, მაგრამ ვიცი, ჩვენ გვგულისხმობდა. არ უნდა გავთხოვილიყავი მასზე. ჩემი ნება არ იყო, მაგრამ არც ის მიცდია, თავიდან ამეცილებინა. ისე მინდოდა, სოფლისთვის თავი დამეღწია. ადემი სხვა მიწისკენ მიმავალი ბილეთი იყო. ჯამილა, ალბათ ჩემზე ნაწყენი ხარ, არა? მე ვიქნებოდი შენს ადგილას.

ჩვენს დაზე, ჰედიეზე, ფიქრობ ხოლმე? იმ დღეს მის სახელზე ჰალვა გავაკეთე და მეზობლებს დავურიგე. ცოტათი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაუკვირდათ, ჩვენი ადათები არ იციან. დასანანია, რომ სათანადოდ არ გამოვიგლოვეთ. შენც ასე გგონია?

შენი მოსიყვარულე ნახევარი, პემბე.

ჯამილა წამოდგა, ხელისგულებზე კოჟრები დაიზილა. ფანჯარასთან მივიდა და ღამის წყვდიადს გახედა. ეგონა, ხმა გაიგონა, მაგრამ ყურადღებით რომ მოუსმინა, ეჭვი შეეპარა. ამოიოხრა, ჩაიდანი შემოდგა ღუმელზე და ჩაის მომზადებას შეუდგა.

* * *

— დღეს იმდენი ვარსკვლავია ცაზე, — თქვა ადემმა. სიცივე ძვალ-რბილში ატანდა, 1961 წლის საღამო იდგა.

ადემი მიუახლოვდა, სახეზე დააცქერდა და უთხრა, — ზოგი სიყვარული მოკიაფე ვარსკვლავებივით არისო. ცუდ დროსაც თვალს უკრავს ადამიანებს, გულს იმედითა და სიხარულით უვსებსო.

— ჩვენს სიყვარულზე რას იტყვი? — იკითხა ჯამილამ, — ისიც ვარსკვლავივითაა?

ადემი შეკრთა, ჯამილამ ასე იოლად რომ მიიღო ეს სიტყვა. თავს იმტვრევდა, როგორ გაენდო, რომ უყვარდა, მაგრამ აი, გოგონამ თავად წარმოთქვა. ჯამილა მასზე მხნე და გაბედული იყო. მისთვის ყველაფერი ძალიან სწრაფად ვითარდებოდა, თავს ერთდროულად, შეშინებულად და აღტაცებულად გრძნობდა. თუმცა დრო არ იცდიდა. ხელჩაკიდებული სეირნობის, მალული კოცნებისა და ერთმანეთის გაცნობის დრო არ ჰქონდათ.

სახეზე მხნე ღიმილი გადაეფარა.

— ჩვენი სიყვარული ორკუდა ვარსკვლავივითაა. იცი, ეგ რა არის?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჯამილამ თავი გააქნია.

— ასეთ ვარსკვლავს კომეტა ჰქვია.

— კომეტა... — გაიმეორა ჯამილამ, ფეხზე წამოიჭრა, კედლიდან ნამგალს დასტაცა ხელი და კულული მოიჭრა გრძელი თმიდან.

— ჩემთვის? — იკითხა გაოცებულმა ადემმა.

— ჩემს თავს გაგახსენებს. მუდამ თან გქონდეს.

სახეზე სიყვარული და წუხილი ეწერა და კიდევ ის, რაც აქამდე არავისზე უნახავს — ნდობა.

— არ მჭირდება. ყოველთვის ჩემ გვერდით იქნები, — უთხრა, მაგრამ საჩუქარი ჯიბეში ჩაიდო, თითქოს თავისივე სიტყვების არ სჯეროდა.

წლების შემდეგ ჯამილამ მეტი შეიტყო კომეტების შესახებ, როგორ ეჯახებოდნენ ერთმანეთს. ადემმა არ იცოდა, თუმცა ჯამილამ გააცნობიერა, რომ ისინიც ორი კომეტასავით შეეჯახნენ, უკან კი აუსრულებელი დაპირება და აუხდენელი ოცნება მოიტოვეს.

* * *

ჯამილამ ჩაიდანი ჩამოდგა და პატარა ჭიქაში ჩაი ჩაასხა. პირველი ყლუპის მოწრუპვამდე პირში შაქრის ნატეხი ჩაიდო და მოწუწნა. უცებ, კალამი აიღო, მოუხერხებლად, ისე, როგორც წერას მიუჩვეველმა. ტყუპისცალისგან განსხვავებით, რომელიც ნახევრად თურქულად და ნახევრად ქურთულად წერდა, ჯამილამ მხოლოდ ქურთულად დაწერა.

ძვირფასო პემბე, ჩემო სისხლო და ხორცო, ჩემო მეორე ნახევარო, ჩემო დაუცხრომელო მონატრებავ.

შენზე არასოდეს ვბრაზდები. ჩვენი ცხოვრების შემოქმედი მხოლოდ და მხოლოდ ალაჰია. ეს დღეები მძიმე შეგრძ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნებით მელვიძება. საწოლში ველარ ვიძინებ, სკამზე ვთვლემ. არაფერი მშველის. კოშმარები მტანჯავს. გამივლის, რა თქმა უნდა, შენ არ იდარდო.

ჯამილამ კალამი დადო. ხელი მოუდუნდა და შუბლი შეეჭმუხნა. ჩრდილო-დასავლეთიდან ვიღაცები უახლოვდებოდნენ, სამნი ან ოთხნი იქნებოდნენ. მათი მძიმე ჩექმების ქვეშ გატკაცუნებული ტოტებისა და ხევში ჩაცვენილი კენჭების ხმა ესმოდა.

შეიძლება, ჯარისკაცები იყვნენ, შეიძლება — ბანდიტები. ნებისმიერი რჯულის ხალხი შეიძლება ყოფილიყო. ჯამილამ ჩარაზულ კარს გახედა. ჭიისგან შეჭმული ხის ფანჯრები დაკეტილი იყო. თავზე შარფი მოიხვია და კედლიდან შაშხანა ჩამოიღო. სხვა რა უნდა ექნა.

წერილის დამთავრება უნდოდა. პემბესთვის უნდა მოეთხრო იმ შეგრძნების შესახებ, შიგნიდან რომ ღრღნიდა და გაეფრხილებინა, დაუფიქრებელი ნაბიჯები არ გადაედგა თავის ქორწინებასთან დაკავშირებით. თუმცა, პემბე, განა, ოდესმე დაფიქრებულა? მის ტყუპისცალს, გაჩხიკულ გოგოს, უცნაური შეკითხვების დასმა უყვარდა. ისიც კი აინტერესებდა, ხეებს ფესვები მიწაში რატომ აქვთ და არა ჰაერში, სადაც წვიმის წყალს დალევენო. პემბე გაიზარდა, მაგრამ არ შეცვლილა.

ისიც ადარდებდა, პემბეს, გადაშლილი წიგნივით, სახეზე ყველაფერი რომ ეკითხებოდა. სულ მცირე ნაღველსა ან იოტისოდენა სიხარულსაც თუ იგრძნობდა, მაშინვე გამომეტყველება ეცვლებოდა. ასეთ უბრალო ემოციას თუ ვერ ნიღბავდა, ქორწინების მიმართ გულგრილობას როგორღა დამალავდა?

ამასობაში, ნაბიჯები მოახლოვდა და მის ზღურბლთან გაჩერდა. კარზე მორიდებულად, მაგრამ მტკიცედ დააკაკუნეს. ჯამილამ ღრმად ჩაისუნთქა, ლოცვა ჩაიბუტბუტა და კარი გააღო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სამი კაცი იდგა, ძალლებით. აშკარად დამნაშავეები იყვნენ. ულვაშები ალაგ-ალაგ გაჰყინოდათ და ზედ ლოლუები ეკიდათ. ერთ-ერთმა წინ წამოიწია. ეს მძიმე აღნაგობის კაცი, ღრმად ჩასმული თვალებითა და ოქროს კბილით, აქამდეც ენახა ჯამილას. მათი ლიდერი იყო.

— ჩემი ცოლი, — ნაწყვეტ-ნაწყვეტ ალაპარაკდა კაცი, — უნდა წამომყვეთ.

— როდის დაეწყო ტკივილები?

— ორი საათის წინ, შეიძლება მეტისაც.

ჯამილამ თავი დაუქნია, შაშხანა და პალტო აიღო და უკან გაჰყვა. იმ ღამით, მიტოვებულ, რკინით გადახურულ სახლში აღმოჩნდა, სადაც კარს ნატყვიარი აჩნდა. ჯამილას სახეზე ოფლი და სისხლი მოეცხო, ხელში კი ყველაზე უცნაური ახალშობილი ეკავა, რომელიც ოდესმე შეხვედრია.

გოგონა იყო, უფრო სწორად, გოგონა და ნახევარი. მკერდსა და მუცელზე პატარა ბიჭუნას სხეული მიჰკვროდა. დედის საშოში ერთად ჩაისახნენ, მაგრამ ბოლომდე მხოლოდ ერთი განვითარდა, მეორე კი — ნახევრად, თითქოს ბიჭუნას სამყაროსი შეეშინდა და დაბადება გადაიფიქრა. განუვითარებელი ჩვილი ტყუპისცალს შეეზარდა.

— ქალაქში უნდა წახვიდეთ, — თქვა, — ოპერაციაა საჭირო. მეორე ჩვილი უნდა მოაშორონ, შემდეგ კი თქვენი შვილი კარგად იქნება.

კონტრაბანდისტი გულგახეთქილი იდგა, თვალები დავიწროებოდა. იცოდა, ჯამილა არ ცრუობდა, მაგრამ დაჯერება უჭირდა.

— ავის მომასწავებელი ნიშანია?

ჯამილა ამ შეკითხვას ელოდა და მშვიდად უპასუხა:

— არა, ნიშანი არ არის. მსგავსი რამ იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება. ტყუპს ვერ აცალკევებენ.

— ერთხელ თხა ვნახე ასეთი, ხუთი ფეხი ჰქონდა, — თქვა მან, თითქოს ჯამილას არც ერთი სიტყვა არ გაუგონია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— თქვენი შვილი განსაკუთრებულია, თქვენი სიყვარული სჭირდება, — თქვა ჯამილამ. უჭირდა საჭირო სიტყვების პოვნა მთიელის დასამშვიდებლად, — თუ ვინმე სხვანაირად იფიქრებს, თქვენი მეგობარი არ ყოფილა, გესმით?

კაცმა სხვა მხარეს გაიხედა.

შინ დაბრუნებულ, დაღლილ ჯამილას კი ძილი არ ეკარებოდა და იმაზე ფიქრობდა, მართლაც ნიშანი ხომ არ იყოო, ოღონდ, ბანდიტისა და მისი ოჯახისთვის კი არა, ჯამილასთვის გაგზავნილი ნიშანი. დაჯდა და დისთვის გასაგზავნი წერილი დაასრულა.

ეს-ესაა, რთული მშობიარობიდან დავბრუნდი. სიამის ტყუპიდან ერთი მკვდარი დაიბადა, მეორე — ცოცხალი. აქ რომ ყოფილიყავი, იკითხავდი, — ღმერთმა ეს რატომ დაუშვა, უსამართლობაა. მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. მე მის ნებას განუხრელად ვემორჩილები და ყველაფერს ვაკეთებ ჩემი ხალხის დასახმარებლად.

ჩემო ძვირფასო, წარსულს ვერ ამოვშლით, ეს ჩვენს ხელთ არაა. შენზე ან ადემზე განაწყენებული არ ვარ და არც არასდროს ვყოფილვარ. ქარიშხალს ხომ ვერ შეაჩერებ? თოვლს ფერს ხომ ვერ შეუცვლი? ჩვენ დედაბუნების ძალას ვემორჩილებით, იმის ალიარება რატომ არ გვინდა, რომ ბედისწერასაც ვერსად წავუვალთ? ალაჰი ჩვენს გზებს უმიზეზოდ არ გაყრიდა. შენი ცხოვრება იქ არის, ჩემი — აქ. ბედს უნდა დავმორჩილდეთ. თუმცა შენს ქორწინებაზე ვდარდობ. იქნებ სცადო ოჯახის შენარჩუნება, შენი შვილების ხათრით მაინც.

ჰედიე ახსენე. რა უცნაურია, ბოლო დროს მეც ხშირად ვფიქრობ მასზე.

შენი მოსიყვარულე და,

ჯამილა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არ არსებობს სიბრძნე უგუნურების გარეშე

სოფელი მდინარე ევფრატის პირას, 1961 წელი

პატარა ქურთული სოფლის შუადღის ჰაერი მუეზინის ხმამ გააპო. ადემი უსმენდა და ძრწოლა ეუფლებოდა. დრო მტანჯველად მიიზლაზნებოდა და იმავდროულად, მიქროდა. სტამბოლში დაბრუნება რამდენიმე დღით გადადო, მაგრამ მეტს ველარ გააჭიანურებდა. თავკაცთან ერთად მეჩეთში წავიდა და დედამისის გაქცევის შემდეგ პირველად ილოცა.

— ალაჰ, ღმერთო ჩემო, ვიცი, რომ ხშირად არ ვლოცულობ, — სალოცავ ხალიჩაზე მჯდარი ჩურჩულებდა, — ბოლო რამადანზე არ მიმარხულია. არც იმის წინაზე. მაგრამ გევედრები, შემეწიე. ჯამილას, ჩემ გარდა, სხვა კაცს ნუ შეაყვარებ. ნურასდროს!

— კარგად ხარ, ბიჭო? — ჰკითხა თავკაცმა, დღის სინათელზე რომ გამოვიდნენ. მზე ანათებდა, მაგრამ ჰაერში სუსხი იგრძნობოდა.

— ცოლად უნდა მოვიყვანო.

— ზედმეტად ახალგაზრდა არ ხარ მაგისთვის?

— სამაგიეროდ, ნიშნობისთვის საკმარისად დიდი ვარ.

— ჰო, მაგრამ არსად მუშაობ. სამხედრო სამსახურიც არ გაგივლია. რატომ ჩქარობ?

წინადღით ადემმა ბარაკებში ხალილი მოინახულა და მისი დახმარებით, ტარიქს დეპეშა გაუგზავნა სტამბოლში.

ძმაო გოგო გავიცანი წერტილი ის ერთადერთია წერტილი ვიცი ახალგაზრდა ვარ წერტილი მაგრამ ეს უფლის ნებაა წერტილი უნდა დავქორწინდე წერტილი შენი კურთხევა მჭირდება წერტილი და ფული წერტილი

თავკაცისთვის მსგავსი არაფერი უთქვამს.

— იმიტომ, რომ ვიპოვე გოგო, რომელსაც ვეძებდი და მოვკვდები, ჩემი თუ არ გახდება.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მამამისს უნდა დაელაპარაკო მაშინ.

— თუ იტყვის, რომ ჩემი ნახვა არ უნდა?

— არ იდარდო, ბერზოს მე დაველაპარაკები. არ შეგჭამს.

— რატომ მეხმარებით? — ჰკითხა ადემმა მცირე პაუზის შემდეგ.

თავკაცს ჩაეცინა.

— ვინმემ ხომ უნდა შეგაშველოს ხელი. როგორც გატყობ, დახმარების გარეშე ფონს ვერ გახვალ.

ჯამილას მამასთან შეხვედრა უფრო ადვილი აღმოჩნდა, ვიდრე ადემი ელოდა, თუმცა თემაზე სიტყვის დაძვრა შეუძლებლად ეჩვენებოდა. ბერზო მოლაპარაკე არასდროს ყოფილა, ცოლისა და ჰედიეს გარდაცვალების შემდეგ კიდევ უფრო სიტყვაძუნწი გახდა. ადემი ჯამილას სახლში, თავკაცთან ერთად, ბაქლავას ყუთით რომ მივიდა, იქ პირქუში კაცი დახვდა, უსიცოცხლო მზერით.

— აქ თქვენს ქალიშვილზე სალაპარაკოდ მოვედი, — თქვა ადემმა მას მერე, რაც ჩაი და ლეღვის ჩირი მიირთვეს. გაახსენდა, კაცს ბევრი ქალიშვილი ჰყავდა და დაამატა, — ჯამილას ვგულისხმობ, საკმარის მშვენიერებას.

— არ დაუძახო ეგრე! — თქვა კაცმა დამტვრეული თურქულით.

— ბოდიში, — შეცბა ადემი.

ჯამილას მამამ ქურთულად წამოისროლა სიტყვები, რაც თავკაცმა ასე გადაუთარგმნა:

— მხოლოდ გარდაცვლილ დედას აქვს უფლება, საკმარისია დაუძახოს ჯამილას.

ადემი სასოწარკვეთის ზღვარზე იყო. საბედნიეროდ, თავკაცი შეეშველა.

— ეს ახალგაზრდა კაცი, მართალია, აქაური არ არის, მაგრამ პატიოსანი ადამიანია და ღირსეულ ოჯახში გაიზარდა. მამამისს ვიცნობ. ადემს წრფელი გრძნობები ამოძრავებს, შენი ქალიშვილის ცოლად შერთვა უნდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჯამილას მამამ ისევ ქურთულად დაილაპარაკა, ისევ სანახევროდ გადაუთარგმნა თავკაცმა:

— ეს რანაირი ხელის თხოვნაა? შენი მშობლები სად არიან?

— დედაჩემი გარდაცვლილია, — იცრუა ადემმა, — ბაბა ავადაა, — ეგ კი სიმართლე თქვა, — ორი ძმა მყავს. უფროსი, ტარიქი მამასავითაა. უკვე ვუდეპეშე.

დრო უხერხულ სიჩუმეში გადიოდა, სანამ ჩაის წრუპავდნენ და ჩირს მიირთმევდნენ. ბოლოს, ჯამილას მამამ განაცხადა:

— ვერ მოიყვან ცოლად. ის სხვისთვისაა განკუთვნილი.

— რა? — წამოიძახა ადემმა. რატომ არ უთხრა? თავკაცს შეხედა, მან კი მზერა აარიდა. ბერზომ დამტვრეული თურქულით განაგრძო, — ნათესავზეა დანიშნული. მომავალ წელს ქორწინდებიან.

— მაგრამ...

— თუ ცოლად ჩემი ქალიშვილი გსურს, პემბე შეირთე. ერთნაირები არიან. ერთი თუ მოგწონს, მეორეც მოგეწონება.

ადემმა თავი გააქნია და თვალებში წინააღმდეგობა გამოეხატა.

— არა, მე ჯამილა მინდა. ის ჩამივარდა გულში. ნათესავს პემბე გაატანეთ, — იცოდა, ზღვარს გადადიოდა, მაგრამ თავს ვერ იკავებდა.

ბერზომ ბოლო ყლუპიც მოსვა.

— არ გამოვა. ეს ჩემი ბოლო სიტყვაა.

ეზოში რომ გავიდნენ, ადემმა ხელები აიქნია და თავკაცს ულრიალა:

— რა ხდება აქ? უნდა ამიხსნა. რას მიმალავ?

თავკაცმა ჯიბიდან ქისა ამოიღო და თამბაქოს გახვევა დაიწყო.

— ერთი წლის წინ ჯამილას უფროსი და, ქამილე თხოვდებოდა. ქორწილის წინ ოჯახებს უთანხმოება მოუვიდათ, აღარც მახსოვს, რატომ, მაგრამ ცუდად დამთავრდა. ბერზომ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქორწილი გააუქმა. სიძის ოჯახი ისე გაბრაზდა, რომ სანაცვლოდ, ჯამილა მოიტაცა.

— რა? — ადემმა შეჰყვირა.

— სადღაც მალავდნენ რამდენიმე დღე. მერე ბერზო ქამილეს გათხოვებას დათანხმდა და ჯამილა დააბრუნეს.

— ისინი... შეეხნენ?

— დანამდვილებით არავინ იცის. ამბობენ, თითი არ დაგვიკარებიაო, მაგრამ არასაიმედო ხალხია, გოგოს კი არაფერი მოუყოლია. მამამ რამდენჯერმე სცემა, მაინც არაფერი თქვა. ბებიაქალმა გასინჯა. ჯამილას საქალწულე აპკი არ აღმოაჩნდა, მაგრამ ბებიაქალი ამტკიცებს, ზოგი გოგო ასეთი იბადებაო.

ადემი ცახცახებდა.

— კარგი ამბავი ისაა, რომ ქამილეს ქმრის ოჯახს ჯამილა რძლად მიჰყავს, ერთ ქვრივ მოხუც ნათესავს უნდა შერთონ. გოგონას ღირსებას შეუნარჩუნებენ.

გაოგნებული ადემი ბრაზით აენთო.

— შენ ეს ყველაფერი იცოდი.

— თავკაცმა ყველაფერი იცის, რაც სოფელში ხდება.

— რატომ არ მითხარი?

— იმედი მქონდა, რომ გოგოს გამოგატანდნენ. თუ არა და, ეს ამბავი შენით უნდა გაგეგო.

ბრაზით დაბრმავებული ადემი წესიერად არც უსმენდა.

— მეგონა, ჩემი მეგობარი იყავი. ბრძენი კაცი!

— ბრძენი არავინაა, — თქვა თავკაცმა, — ყველანი ნახევრად უგუნური და ნახევრად ბრძენი ვართ. არ არსებობს სიბრძნე უგუნურების გარეშე და სიამაყე სირცხვილის გარეშე.

მაგრამ ადემი უკვე გასასვლელისკენ მიიჩქაროდა, თითქმის მირბოდა, თითქოს ვინმე მისდევდა. ამჯერად მაწანწალა ძაღლების ხროვა არ გაჰკიდებია. ჯამილა მეზობლის სახლში იპოვა, სხვადასხვა ასაკის ქალებთან ერთად ხალიჩას ქსოვდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქალებმა ადემის დანახვაზე ხითხითი ატეხეს და სახეზე თავსაფრები მიიფარეს.

ჯამილა იმწამსვე წამოხტა და გარეთ გავარდა.

— აქ რას აკეთებ? მარცხვენ! — თქვა გოგონამ.

— სირცხვილი! ჰო, ზუსტად მაგ სიტყვას ვეძებდი.

— რას გულისხმობ?

— რა ვიცი, შენ მითხარი. აშკარად, მოსაყოლი გაქვს რაღაც.

ჯამილას სახე შეეჭმუხნა.

— კარგი, მაშინ, ვილაპარაკოთ.

სახლის უკან გავიდნენ, სადაც ცოტა ხნის წინ ვიღაც თონეში პურს აცხობდა. ცეცხლი ჩამქრალიყო, მაგრამ ფერფლში აქა-იქ ჯერ კიდევ ელვარებდა მუგუზლები. თონეს გარშემო, გაზაფხულის მაცნესავით, ბალახი ამოსულიყო.

— მამაშენი ამბობს, რომ შეიძლება ქალწული არცა ხარ, — უხეშად თქმას არ აპირებდა, მაგრამ ასე გამოუვიდა.

— ეგრე გითხრა? — თქვა ჯამილამ და მზერა აარიდა.

ადემი ელოდა, რომ ჯამილას უფრო მწვავე რეაქცია ექნებოდა, ამისი უტიფრობა გააბრაზებდა, აატირებდა. თუმცა გოგონა უცნაურად თავშეკავებული ჩანდა, მერე თავი ასწია და ადემს თვალებში შეხედა.

— და შენ? — ჰკითხა ჯამილამ.

— რა მე?

— შენ რა თქვი?

ამ შეკითხვას არ ელოდა.

— მე მინდა, სიმართლე ვიცოდე!

— სიმართლე ისაა, რასაც დაიჯერებ.

ყელში ბრაზი მოაწვა.

— გაჩუმდი. გეყო ჩემი გასულელება.

— არ გასულელებ, — თქვა ჯამილამ. ლამაზ სახეზე დაღლა ეტყობოდა, — შემიყვარებ ისეთს, როგორიც ვარ?

ადემს არაფერი უთქვამს. უნდოდა, ეპასუხა, კიო, მაგრამ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტუჩებს სიტყვა ვერ ათქმევინა. ბიჭმა მთებისკენ გაიხედა, ჯამილა კი წავიდა. ადემმა მისი ჩურჩული გაიგონა:

— სტამბოლის ოქროს ქვაფენილს, გამოდის, ველარ ვნახავ.

ქურთულ სოფელში იმ დღეს ადემმა მთელი შუადღე ფეხზე გაატარა, საკუთარ თავს ებრძოდა. ბორცვზე, რომელიც ჯამილას სახლს გადაჰყურებდა, ბოლთას სცემდა. ხედავდა ეზოს, სადაც მას პირველად შეხვდა. სულ რაღაც ხუთი დღე გაატარა ამ ღვთისგან მივიწყებულ სოფელში. სულ რაღაც ხუთ დღეში სამუდამოდ შეიცვალა მისი ცხოვრება.

ერთი მხრივ, ძალიან უნდოდა ჯამილას მამასთან მისვლა და თქმა, რომ წარსული არ ადარდებდა, ერთმანეთი უყვარდათ და ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი. ცოლად შეირთავდა და სოფლისგან შორს წაიყვანდა, როგორც დაჰპირდა.

მეორე მხრივ, ეჭვი ეპარებოდა. ჯამილას თავის მართლება არ დაუწყია, არც თავისი უბიწოების დამტკიცება უცდია. მისი დუმილი ანერვიულებდა. იქნებ, ქალწული არ იყო? მთელი ცხოვრება ეჭვებში როგორ უნდა ეცხოვრა? ტარიქი რას იტყოდა, როცა გაიგებდა, რომ ღირსებაშელახული ქალი მოიყვანა ცოლად, მათი დედის ასლი?

ტარიქი! რა უნდა ეთქვა მისთვის? დეპეშას უკვე წაიკითხავდა. ძმასთან შეკამათებაზე ფიქრიც კი არ შეეძლო. სტამბოლში ვერ ჩავიდოდა და ვერ ეტყოდა, ყველაფერი ერთი დიდი გაუგებრობა იყოო. რამდენიმე საათის მერე თავკაცის სახლში შევიდა. კაცი ჩიბუხს ეწეოდა და ადემს ელოდა.

— მოხვედი, ქალაქელო? აღარ გინდა სოფლის გოგო, არა?

— ეგრე არ არის. გადაწყვეტილება არ შემიცვლია, — განაცხადა ადემმა, — ოჯახის შექმნა ისევ მინდა.

— მართლა? — თავკაცს თვალები პატივისცემით აენთო, — მაოცებ, ბიჭო. მეგონა, ჯამილა აღარ გინდოდა.

— აღარ მინდა, — თქვა ადემმა, — მეორეს შევირთავ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რა?

— ტყუპისცალს. მას მოვიყვან ცოლად.

გულის სილრმეში, გამოვლენილი სითამამის მიღმა, ადემმა იცოდა, წესით, თავი საშინლად უნდა ეგრძნო. მისდა გასაკვირად, ასე არ მომხდარა. საერთოდ არაფერს გრძნობდა. მდინარის გატაცებული ნაფოტი ტკივილს არ გრძნობს, არც ქარის წაღებული ბუმბული. ადემიც უმწეო ნაფოტივითა და ბუმბულივით გრძნობდა იმ დღეს თავს, თუმცა, მსგავსი გრძნობა მომავალშიც ხშირად ეუფლებოდა.

შრიუსბერის ციხე, 1991 წელი

მაგაროს ცუდი დღე ჰქონდა. ციხეში ცუდი დღეებიც არის, არც-ისე-ცუდიცა და მოწყვეტილი დღეებიც, როცა თავს დალეწილი მანქანასვით გრძნობ. თუმცა ამაზე უარესი დღეებიც არის. მოწყვეტილ დღეს ისეთ მდგომარეობაში ხარ, ვერც იძინებ, ვერაფერს აკეთებ, ვერაფერზე ფიქრობ. ისეთი დეპრესია გაქვს, იმასაც ვერ აცნობიერებ, რამდენად საშინელ ადგილას გიწევს ყოფნა. ვინმე მოგივლის თუ არ მოგივლის, დიდად არ გადარდებს. არც-ისე-ცუდი დღეები, ასე თუ ისე, ასატანია. აი, ცუდი დღეები კი ყველაზე უარესია, სულიერად განგრევს.

კალენდარს შეუძლია, ჭკუიდან გადაგიყვანოს. ამბობენ, დრო მიფრინავსო. თუ მართლა ასეა, თანაბარი სიჩქარით ნამდვილად არ მოძრაობს. ნეტავ, წინასწარ იყოს განსაზღვრული, როგორი იქნება კვირის დღეები. მაგალითად, არც-ისე-ცუდი დღე თეთრად მოინიშნოს და ერთი ქულით შეფასდეს, მოწყვეტილი — წითლად და ორი ქულით, ცუდი დღე კი — შავად და სამი ქულით.

ცუდი დღეებისგან შემდგარი ერთი თვე სამჯერ უფრო სწრაფად აბერებს კაცს, ვიდრე — არც-ისე-ცუდი დღეები. ამ მარტივი არითმეტიკით ძნელი მისახვედრი არ არის, რატომ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბერდება ზოგიერთი ნაადრევად. რაც შემეხება მე, აქ მოსვლის მერე იმდენი ცუდი დღე მქონდა, ჩემი კალენდარი გაშავებული უნდა იყოს.

მაგაროს ცოლმა განქორწინება მოითხოვა. ადრე თუ გვიან ასე რომ მოხდებოდა, თავადაც კარგად იცოდა, მეც და ყველა აქ მყოფმაც, თუმცა, მაინც ყველამ გავიკვირვეთ და აღვშფოთდით. არადა, არაფერი იყო გასაკვირი და აღმაშფოთებელი. განქორწინება და დაშორება პატიმრებისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა. მაგაროს ხათრით, თავზარდაცემულებივით ვიქცეოდით. როცა გაიგებ, მეგობარი ცოლმა მიატოვა, ვერ ეტყვი, — ვიცოდი, ეგრე იქნებოდაო, თავს იდიოტად და დამარცხებულად ვერ აგრძნობინებ.

თუმცა, თუ ჰკითხავ, — ეგ როდის მოხდა, ამ ქალებს ხომ ვერაფერს გაუგებო, — მისი ტკივილის გაზიარებაში ჩაგეთვლება.

ცოლს კრემიანი ღვეზელები მოჰქონდა ხოლმე. მართალია, ბადრაგი მაგაროს იშვიათად აძლევდა ამ ღვეზელებს, მაგრამ ცოლი მაინც აცხობდა. ქალს კუპრივით შავი თმა, ცარცისფერი კანი და დაჭორფლილი ხელები ჰქონდა, სახეზე კი ულევი მოთმინება ეხატა. ეს, რა თქმა უნდა, ილუზია იყო. არავინ გახლდათ უსაზღვროდ მომთმენი.

დღეს იმისთვის მოვიდა, რომ პირადად ეთქვა მაგაროსთვის, — გშორდებიო. ესეც დასაფასებელია. შეეძლო, სხვა ცოლებივით, ბარათი გამოეგზავნა ან უსიტყვოდ გამქრალიყო, მაგრამ მოვიდა, აუხსნა და მოწევისგან ჩახრინწული ხმით ფერფლის არომატიანი სიტყვები გააჟღერა. სხვა გავიცანიო, ბავშვებს კარგად უვლისო, მათაც სჭირდებათ ვინმე, ვისგანაც მაგალითს იღებენ, განსაკუთრებით, ჩვენს ხუთი წლის ვაჟსო. ისიც უთხრა, შვილები მოვლენ ხოლმე, მამა შენ ხარ და ამას არაფერი შეცვლისო. ბოლოჯერ აკოცა, კრემიანი ღვეზელები დაუტოვა და წავიდა. ბაც!

ხშირად მიფიქრია, ცოლი რომ მყავდეს, რა იქნებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქალს, რომელმაც შენზე უკეთ იცის შენი სისუსტე და წარუ-მატებლობა, შენი სულის რუკა ხელისგულზე ახატია და ყველაფრის მიუხედავად, უყვარხარ. ქალი იმდენ სითბოს გითესავს გულში, რომ მანამ ვერ გააცნობიერებ, რა ძვირფასია შენთვის, სანამ არ დაკარგავ. ღმერთმა უწყის, როგორ მწყდება გული, ეს ყველაფერი რომ არ გამომიცდია.

იმას კი არ ვნანობ, ჩემი ბიჭი, ტომი, სხვა კაცს რომ ეძახის მამას. მე ხომ საშინელ მაგალითს მივცემდი, უხეირო მამა ვიქნებოდი. უხეირო მამა კი ყელში გაჩხერილი ძვალივითაა. მოშორების შემდეგაც გაწუხებს, უსიამოვნო შეგრძნებას გიტოვებს, სამუდამო იარაა, გარედან არ გეტყობა, მაგრამ ყოველთვის გრძნობ.

მახსოვს, ერთხელ დედაჩემს ვკითხე, მამას რატომ გაჰყვა ცოლად. მხოლოდ ასე თუ გავიგებდი, ოდესმე ჰყვარებია თუ არა.

მოტრიალდა და შემომხედა. ფანჯრიდან შემოსული სინათლე მწვანე თვალებს ქარვისფრად და ოქროსფრად უკიაფებდა. გავოცდი, როგორი ლამაზი იყო. დედის მშვენიერებას ვერ ვამჩნევთ ხოლმე ადამიანები, თუმცა იმ დღეს კი გარკვევით დავინახე. მისი სილამაზის გაცნობიერებამ ამანერვიულა. უცნაური შიში დამეუფლა.

— მაშინ სხვანაირად იყო სამყარო მოწყობილი, — თქვა დედამ, — შენი ლონდონური ცხოვრებისგან სრულიად განსხვავდებოდა. ახალგაზრდებს ძალიან გაგიმართლათ.

სულ სხვაგვარი პასუხის მოსმენას ველოდი. ჩემი მშობლების წარსულში არც ერთმანეთის ინიციალებით მოქარგული ხელსახოცები აღმოჩნდა, არც ტკბილი გულის ფეთქვა, არც სიბნელეში ნაჩურჩულები დაპირებები. მათთვის სიყვარული იმდენად შორეული იყო, თავსაც კი არ იკატუნებდნენ, რომ ერთმანეთი უყვარდათ. ჩემმა დამ ეს იცოდა. კარგად ხვდებოდა, ამქვეყნად მოვალეობის, დანებებისა და გულგრილობის შედეგად გავჩნდით და არა — სიყვარულის გამო. ამი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტომაც ვიყავი მე ურჩი, ემა — მეამბოხე და იუნუსი — ცნობისმოყვარე.

ესმა და მე გამუდმებით ვლაპარაკობდით.

— წვიმასავით არაკუნებთ, — დედა გვეტყოდა ხოლმე, — გარეთ წვიმა, შიგნითაც წვიმა!

ესმას ისეთ რამეებს ვუყვებოდი, ბიჭებსა და კეიტსაც რომ არ ვანდობდი. დას გულს გადავუშლიდი ხოლმე, რადგან ყოველთვის საინტერესო რჩევას მაძლევდა. სიტყვების შერჩევა კარგად ეხერხებოდა. ჩვენი სიახლოვე უხაროდა. 1978 წლის შემოდგომამდე. მერე ჩემში რაღაც ჩაწყდა, სამუდამოდ.

* * *

მაგარომ დარჩენილი შუადღე დუმილში გაატარა. სახეზე შარდისფერი ედო. მნახველების ოთახში ახალ ამბავს მხნედ შეხვდა. ცოლს უთხრა, — მესმის შენი, ბედნიერ ცხოვრებას გისურვებო. ამას გულწრფელად ამბობდა. წლების განმავლობაში გამოვლენილი მხარდაჭერისა და გულკეთილობისთვის მადლობაც კი გადაუხადა. ბოლოს დაცვას ანიშნა, ვიზიტი დამთარებულიაო, ცოლი კარამდე მიაცილა, გამომშვიდობებისას აკოცა და გაიხუმრა, შენი კრემიანი ღვეზელები მომენატრებაო.

ახლა კი იჯდა კედელს მიყრდნობილი, კრიჭაშეკრული, გაქვავებული თვალებით. უკვე გაეცნობიერებინა მომხდარი და ცოლზე აზრი შესცვლოდა. ზურგში დანა ჩამცა ძუკნამო. ადამიანის ბუნება ასეთია, ყველაზე მეტად ვინც გვიყვარდა, ბოლოს ყველაზე მეტად ისინი გვძულს.

— ყელში ამომივიდა, — თქვა მაგარომ, ხელებს აქეთიქით აქნევდა, თითქოს წარმოსახვით შეშას ჩეხსო.

— გაგივლის.

— დედა ვატირე. ჩემს ფეხებს გამივლის.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სხვანაირად მივუდექი:

— სულ იმას მეუბნები, გარეთ უამრავი უბედური ადამიანიაო. ყველას რალაც გასჭირვებიაო.

მაგარო ყურადღებას არ მაქცევდა.

— დარწმნებული ვარ, იმ არამზადისგან ორსულადაა.

— რა იცი?

— ვიცი, ამის დედაც! — იყვირა.

ფეხზე წამოხტა და წრეებზე სიარულს მოჰყვა. თვალში ჰუდინის პოსტერი მოხვდა. მეგონა, ჩამოგლეჯდა და დაანაკუწებდა, მაგრამ ასე არ მოქცეულა. სახეზე წამება აღებეჭდა. წინ გადაიხარა და კედელს გამეტებით მოუქნია მუშტი.

დარტყმა ხმამაღლა და შემზარავად გაისმა. უცებ, წარსულიდან მოგონება ამომიტივტივდა. მე და მამა ქუჩაში ვკამათობდით. ბრაზისგან ნესტოები დაჰბეროდა, თვალები ანთებოდა. თუ ეგ მე ვიყავი? ჰო, ტვინი გადამიტრიალდა და კედელს შევასკდი, თავს ვურახუნებდი. ხალხმა მოირბინა, კლუბის დაცვის წევრი გაცოფდა.

მაგაროს შემდეგმა დარტყმამ ფიქრები დამიფრთხო. ვეცადე, ხელი შემეშალა, მაგრამ ისე ძლიერ მკრა ხელი, ზურგზე დავეცი. სანამ ხელები გავუკავე, კიდევ რამდენჯერმე დაარტყა კედელს.

— ეგრე თუ გააგრძელე, ყველა ბადრაგი აქ მოვარდება. გესმის?

თითები დაუსისხლიანდა, მძიმედ სუნთქავდა. დასაოკებლად, მისი თავი რამდენიმე წუთით იდაყვებს შორის მოვიქციე.

— არაა საჭირო, — ვთქვი.

— თითქოს რამე გაგეგება.

— გამეგება.

— რალაცაზე უნდა გადავიტანო ეს სიბრაზე, — შემეწინააღმდეგა.

— ჰოდა, კრივის ტომარა გჭირდება.

მაგარო ხმას არ იღებდა. ვიცოდი, რაზეც ფიქრობდა. ტო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მარა საქმეს არ უშველიდა, ის ხომ უსიცოცხლო და მდუმარე ნივთი იყო. მას კი მუშტებქვეშ ხორცის შეგრძნება და ძვლების დალეწვის ხმა სწყუროდა. თავისუფალი რომ ყოფილიყო, მაგარო იმ ლამეს ბარში წავიდოდა, ბევრს დალევდა და ვილაცას აუშარდებოდა. სუსტი აღნაგობის ბიჭი იყო და ამიტომ კარგად მოხვდებოდა. თუმცა მეორე დღეს მოეშვებოდა, ტკივილზე გადაიტანდა ყურადღებას.

ჯერ კიდევ მაგრად მეჭირა, თავი გვერდით გადავწიე და ვუთხარი:

— დამარტყი.

— რა? — ხმა აუკანკალდა.

— ჩშშშ... ჩუმად, — ვთქვი, — გამოცდილი მოკრივე ვარ, ხომ არ დაგავიწყდა?

სახეზე დაბნეულობა შეეტყო.

— გიჟი ხარ, — სიცილით მითხრა, თუმცა ორივემ ვიცოდით, რომ ეს აზრი ჭკუაში დაუჯდა.

მაისური გაშმაგებით გავიხადე და მივაგდე. ღრმად ჩავისუნთქე, ამოვისუნთქე, ჩავისუნთქე, ამოვისუნთქე...

მხრები ჩამოშვებული, მუცელი გამოწეული, მუშტები მოღერილი და კუნთები დაჭიმული. მანძილიც მნიშვნელოვანია შენსა და მეტოქეს, მუშტსა და შიდა ორგანოებს, ინდივიდსა და საზოგადოებას, წარსულსა და მომავალს, მოგონებებსა და ემოციას შორის. რასაც უნდა აკეთებდე და რაც უნდა შეგემთხვას, სივრცე გჭირდება.

მძლავრი დარტყმისთვის დამატებითი სივრცეა საჭირო.

მთელი ეს დრო მაგარო აზიდული წარბებით შემომქცეროდა. ყოველთვის ასე იცოდა, როცა მისთვის გაუგებარ სიტუაციაში ამოყოფდა თავს.

— აბა, რას ელოდები, ნაძირალავ? — წავაქეზე.

პირველი დარტყმა ამაცილა. სავარაუდოდ, თვითონ უფრო ეტკინა, ვიდრე მე. დავუსტვინე, ჩუმად და ხანგრძლივად.

— რა?! — მომიბრუნდა გაღიზიანებული.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— არაფერი, — ვთქვი და ირონიულად გავიღიმე.

მაგარო ვერ იტანდა, როცა ადამიანები ცინიკურად უყურებდნენ. ამას მწყობრიდან გამოჰყავდა, სისხლს უდუღებდა. საერთოდ, ცხეში ირონიული ღიმილი ყველას აღიზიანებდა.

ჩემი მუცელი წლების განმავლობაში ვარჯიშისგან გამკვრივებულიყო, მაგრამ მომდევნო დარტყმამ მაინც შემაზანზარა. ნეკნების ქვეშ მწვავე ტკივილი ვიგრძენი. მაგარო შეჩერდა და მომაშტერდა, საკუთარმა ძალამ გააოცა.

გონება მორიგმა მოგონებამ დამიღრუბლა. ის დღე გამახსენდა, დედამ სტამბოლის ჰამამში რომ წამიყვანა. ორთქლი, სიცხე, ექოები, შიშველი, ფეხებგაშლილი ქალების სხეულები, მოხუცი ბებო ჩამოწელილი ძუძუებით... ამ ყველაფერმა შემზარა, გამოვიქეცი. დედამ დამიჭირა და შემანჯღრია:

— საით გაგიწევია?

— არ მომწონს აქაურობა.

— ნუ სულელობ. სულთანს ტყუილად კი არ გეძახი, — თქვა მან, — სულთანივით მოიქეცი, თორემ კლოუნს დაგარქმევ.

მანძილი. მეტი სივრცე მჭირდებოდა ჩემსა და მასზე მოგონებებს შორის. ჭკუიდან გადავყავარ.

ისევ ირონიულად გავიღიმე,

— მიდი, კლოუნო! ჯერ მხოლოდ ვხურდები!

მაგაროს მომდევნო დარტყმები უფრო ძლიერი და გამიზნული გამოდგა. ახოვანი აღნაგობა არ ჰქონია, მაგრამ მხდალიც არ იყო. მონადირე ძაღლს მაგონებდა, გამხდარს, ერთი ბენო ქონიც რომ არ სცხია ტანზე, მაგრამ ჯიუტსა და გაუტეხელს.

ცოტა ხანს კიდევ გავაგრძელეთ. რაღაც მომენტში მაგარო გაერთო და ნიკაპში მომარტყა ხელი. ისე კი, ძირითადად, ერთსა და იმავე ადგილას მირტყამდა. კუნთებს მილმა, სადაც უსარგებლო ორგანო, ჭიასავით მოკაკული ბრმა ნაწლავი მოკალათებულიყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამ სრულიად უფუნქციო ორგანომ მოულო ბოლო ჰუდინის.

რამდენიმე წუთში, დერეფნის ბოლოში რკინის კარი გაიღო და შუქი აინთო. მეზობელ საკანში ვილაცამ ჩაიხითხითა, თითქოს ვნებათაღელვამ გაახალისაო და სამმა ბადრაგმა მოირბინა. საკანში შემოიჭრნენ, ეგონათ, ვჩხუბობდით. მაგარომ ხელი გადამხვია იმის ნიშნად, რომ ყველაფერი კარგად იყო. თავმომწონედ, ირონიულად გაიღიმა. როგორც ვთქვი, მსგავსი ღიმილი აქ ყველას სძაგს.

სანამ გონს მოვეგებოდით, ბადრაგები აყვირდნენ, დაგვემუქრნენ, გვაგინეს და ხელი გვკრეს. ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა ძალაუფლების საჩვენებელი სპექტაკლი. მე და მაგარო კუთხეში მივიკუნტეთ, ღამით სამზარეულოში ნანახი ხოჭოებივით.

— არ გესმით? არ ვჩხუბობდით, — მაგარომ ბოლო ხმაზე ილრიალა.

— აბა, რას შვებოდით? — იკითხა ერთ-ერთმა, — ცეკვავდით?

მაგარომ დაბნეულმა გადმომხედა, თითქოს მეკითხებოდა, — ჰო, მართლა, რას ვაკეთებდით, რა გვეტაკაო.

* * *

მომდევნო დილით ოფიცერმა ენდრიუ მაკლაგლინმა შემოგვიარა, პატივმოყვარეობა მშიერი ძაღლივით თან სდევდა. ახალ სამსახურს შეეჩვია, მაგრამ მე ვერა. წინალამის ანგარიში წაიკითხა და ამტკიცებდა, ნარკოტიკების ზეგავლენის ქვეშ იქნებოდით, თორემ, ფხიზელი ადამიანი ჩხუბს ასე არ წამოიწყებდაო. ნარკოტიკების აღმოჩენის მიზნით, ჩემი საკნის გაჩხრეკის ბრძნება გასცა. ყველაფერი გადააქოთეს: წიგნები, საბნები, მაგაროს შვილების ფოტოები, ჩემი წიგნაკი, ლეიბებიც კი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგარომ ლიმილის შესაკავებლად ტუჩზე იკბინა. ორივე ერთსა და იმავეზე ვფიქრობდით — სასწაულებრივად სუფთები ვიყავით. ძიება რამდენიმე დღის წინ რომ ჩაეტარებინათ, ბევრ რამეს იპოვიდნენ. თუმცა, უკვე ყველაფერი ამოგვეწურა.

ის-ის იყო, უნდა გასულიყვნენ, ოფიცერი მაკლაგლინი შეჩერდა. ხელში რალაც ეჭირა.

— ეს რა არის? — იკითხა.

საფოსტო ბარათი იყო, ატრაქციონების პარკში კარუსელის ფოტოთი. ფოტოზე არავინ ჩანდა, მხოლოდ ხის ცხენები, სივრცეში მოფარფატე წითელი ბუშტი განათებების ფონზე.

— თქვენი ხმა არ მესმის! — თქვა მაკლაგლინმა.

არც მე ვუპასუხე, არც მაგარომ. ოფიცერმა მაკლაგლინმა ხმამაღლა დაიწყო კითხვა, თანაც ქალის ხმით.

„ძვირფასო ძმაო, თუ ასე ალარ უნდა მოგმართო? რა უნდა დაგიძახო მაშინ? ასკანდერი? ისკენდერი? ალექსი? სულთანი? მკვლელი? გახსოვს ის კარუსელი, დედამ ლონდონში ჩამოსვლის პირველ დღეებში რომ დაგვსვა? მაგარი იყო, არა? იუნუსი ჯერ არ დაბადებულიყო, მამა ღმერთმა უწყის, სად დაიარებოდა. მხოლოდ შენ, მე და დედა ვიყავით.

არასოდეს გაპატიებ, რაც ჩაიდინე. ან ციხეში დალპები, ან ჯოჯოხეთში დაიწვები, ჩემს თვალებში, ვერც დედოფლის და ვერც ღვთის სასჯელი ვერ წარეცხავს შენს ცოდვას. სასამართლო დარბაზში მხარს არ დაგიჭერ. ბიძია ტარიქი რასაც იტყვის, იმას გავიმეორებ შენს წინააღმდეგ. დღეიდან ორ მიცვალებულს ვგლოვობ: დედასა და ძმას.

ესმა“

— კარგი ვინმეა ეს შენი და, — თქვა ოფიცერმა მაკლაგლინმა. გულზე ხელი მიიდო, თითქოს ეტკინაო, — მიხარია, შენი კლანის ერთმა წევრმა მაინც რომ იცის კეთილისა და ბოროტის გარჩევა.

ამ სიტყვების წარმოთქმისას არავისთვის შეუხედავს,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თუმცა, როგორც კი გაჩუმდა, მისი მზერა ჩემსას შეხვდა. საფოსტო ბარათის გამოსართმევად ხელი გავიწვდინე, მაგრამ ჰაერში ააფრიალა.

— აბა-აბა, — ტუჩები დაპრუწა.

— ჯერ იმაზე მიპასუხე, მაგაროს დარტყმის ნება რატომ მიეცი? — ჩემი დუმილის საპასუხოდ ოფიცერმა მხრები აიჩეჩა და საკუთარი ფრჩხილები შეათვალიერა, — კარგი, დაგტოვებთ, — ბოლოს თქვა, — ამ საყვარელ ბარათსაც თან წავიღებ, ალექს, სიმართლის თქმის ხასიათზე როცა დადგები, მოდი, მნახე და დაგიბრუნებ.

ნაწერის გასახსენებლად სულაც არ მჭირდებოდა ბარათი. ოფიცერმა რა იცოდა, რომ იქ დაწერილი თითოეული სიტყვა ზეპირად ვიცოდი. თითოეული „არა", თითოეული მძიმე, თითოეული „დედა".

როგორც კი ოფიცერი მაკლაგლინი წავიდა, ჩამოვჯექი. ყელი გამიშრა, თვალები ამიწყლიანდა. ვეცადე, დავმშვიდებულიყავი, მაგრამ არ გამომივიდა. სახეში გავილაწუნე. ერთხელ. მეორედ. შევატყვე, ცუდი დღე მექნებოდა.

ისკენდერ ტოპრაკი

რასიზმი და ბრინჯის პუდინგი

ლონდონი, 1977 წლის დეკემბერი

ვაჟის მომლოდინე ქალის მეშვიდე გოგოდ რომ დაიბადა, იმ დღეს მერე, პემბე სამყაროს აღიქვამდა, როგორც უსამართლო და უთანასწორო ადგილს. არასოდეს გადამტერებია ვინმე ასე აშკარად, მხოლოდ და მხოლოდ წარმომავლობის გამო. არასოდეს, 1977 წლის დეკემბრამდე, იმ დღეს, როცა ის გაიცნო.

„კრისტალ სიზორში" მხოლოდ ერთი კლიენტი იჯდა — პენსიაზე გასული ბიბლიოთეკარი, რომელსაც არსად ეჩქარებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პემბემ მფლობელს, რიტას, სთხოვა, მცირე ხნით საყიდლებზე გასვლის ნება დაერთო. იუნუსი თავის საყვარელ დესერტს, ბრინჯის ფორთოხლიან პუდინგს იხვეწებოდა და პემბეს სურდა, შვილისთვის საღამოს სიურპრიზი დაეხვედრებინა.

— რიტა, ერთი საათით რომ გავიდე, ხომ არა უშავს?

რიტა მხოლოდ უფროსი კი არა, ახლო მეგობარიც იყო. მაღალი, შავგვრემანი ქალი დიდი მკერდით, გაბზარული კბილებით, ქალაქში ყველაზე დიდი „აფროთი“ და ზაფხულის ცასავით ნათელი ღიმილით. რიტა ყოველთვის თავის სამშობლოზე, იამაიკაზე ჰყვებოდა. პემბეს ამ კუნძულის სახელი მუსიკასავით ჩაესმოდა. სიტყვას, შემწვარი კეშიუსავით, გემრიელი და მტვრევადი ჟღერადობა ჰქონდა.

— წადი, საყვარელო, — თქვა რიტამ, — ბიბლიოთეკარს მე მივხედავ. თავს დავდებ, ძალიან უნდა, თავის იტალიურ არდადეგებზე მომიყვეს.

პემბემ სალონის დატოვებისას თავი, ერთდროულად, მსუბუქად და მძიმედ იგრძნო. მსუბუქად, რადგან სრული ერთი საათი ჰქონდა. მძიმედ, რადგან ბოლო დროს საქმეები კარგად არ მისდიოდა. ესმა სულ იბუტებოდა, წიგნს არ აგდებდა ხელიდან. ისკენდერი უარესად იქცეოდა, სახლში ყოველ საღამოს აგვიანებდა, ცუდ ხალხთან მეგობრობდა, ქმარი კი... ამაზე ფიქრიც კი არ სურდა პემბეს. ქმარი რამდენიმე კვირა გაქრებოდა და უკან დაბრუნებულს, სხვა ქალის სურნელი მოჰქონდა თან.

მელანქოლიური კაცი იყო ადემი. ბავშვობას ხშირად იხსენებდა, ერთსა და იმავე სევდიან მოგონებებს მეათასედ ჰყვებოდა, ჯანმრთელობისთვის მავნე სასუსნავივით, დანაყრებულზეც კი რომ ვერ იკავებ თავს ჭამისგან. გაუცნობიერებლად დაიწყებდა ხოლმე წარსულზე ლაპარაკს, თვითონაც ვერ ხვდებოდა. პემბეს სჯეროდა, დრო ან ლოცვები ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენდა, ყველაფერი დალაგდებოდა. ამიტომაც არ ეწინააღმდეგებოდა, მომავალს იმედით უყუ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რებდა, უსასრულო შესაძლებლობად ეჩვენებოდა. მისთვის მომავალი მოძრავი ფილების მოზაიკას ჰგავდა, ხან უზადოდ მოწესრიგებულს, ხანაც — ქაოსურს, თვითშექმნის მუდმივ პროცესს.

ადემისთვის კი წარსული კლდესავით იყო — სანდო, მტკიცე, უძრავი, რაც მთავარია, გამძლე. წარსული იყო მისი მსოფლმხედველობის საწყისი, თანამიმდევრულობისა და უწყვეტობის სათავე. გარდასულ დღეებს გულმოდგინედ უბრუნდებოდა, უფრო მოვალეობის გამო, ვიდრე საჭიროების, თითქოს უმაღლეს ნებას ემორჩილებაო. თუ ადემი წარსულს აღმერთებდა, პემბეს მომავლისა სწამდა.

დილის უფერული მზისგან განსხვავებით, ადრიანი შუადღე ქარიანი და სუსხიანი გამოდგა. პემბეს ბოლომდე შეკრული ნაცრისფერი პალტო ეცვა, რომელშიც ასაკთან შედარებით, უფრო ხნიერად გამოიყურებოდა. ომისდროინდელ გოგოსაც ჰგავდა, თითოეულ პენის რომ უფრთხილდება. სინამდვილეშიც ასეთი იყო. ტესკოში ივაჭრა, საჭირო ინგრედიენტები შეიძინა. ქუჩის კუთხეში საცხობს რომ ჩაუარა, ფანჯარაში შოკოლადის ეკლერები შენიშნა. დიდი, სქელი და კრემით სავსე კი არა, — პატარა და პრიალა, ზუსტად ისეთი, როგორიც უყვარდა.

ცდუნებას იშვითად აჰყვებოდა ხოლმე, მაგრამ ამჯერად ეკლერების თაროს გაჰყვა და მაღაზიაში შევიდა. კარზე ზარმა გაიწკარუნა. მცხობელი, ზორბა ქალი, ნაცნობს მგზნებარედ ესაუბრებოდა. ქალს ვარიკოზული ვენებით დაფარული ფეხები და ძლივს შესამჩნევი თხელი წარბები ჰქონდა. მისი ასისტენტი ამ დროს კლიენტებს ემსახურებოდა. გამხდარი ბიჭი იყო, ოც წელზე მეტისა არ იქნებოდა, პატარა, ელვარე ცისფერი თვალებით, აწითლებული კანითა და ისე მოკლედ შეჭრილი თმით, რომ ფერის ამოცნობა გაგიჭირდებოდათ. შუბლზე ლაქები აჩნდა, თითებსა და მკლავებზე კი ტატუირებები, მათ შორის — დიდი სვასტიკა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პემბე იცდიდა, რადგან მის წინ სხვა კლიენტი იდგა, კარგად ჩაცმული მოხუცი ქალბატონი. ერთი წუთის შემდეგ კარზე ზარმა ისევ დაიწკარუნა და ამჯერად, შუახნის მამაკაცი შემოვიდა, პემბეს წესიერად არც კი შეუხედავს.

მოხუცი ქალი წუნია აღმოჩნდა, გადაწყვეტილებას წამიერად იცვლიდა. თავიდან სამი ცალი უბრალო კვერი უნდოდა, მერე — ოთხი, შემდეგ ეკლერი მოისურვა, ისევ გადაიფიქრა, ბოლოს ხილის კვერები მოითხოვა, მარწყვის ღვეზელიც მოეწონა, მაგრამ ეჭვი შეეპარა, რომ ახალგამომცხვარი იყო. ასე გრძელდებოდა.

ყოველ გადაფიქრებაზე, ასისტენტი პროდუქტს თავის ადგილზე აბრუნებდა, ახალ მოთხოვნას უმალ ასრულებდა, ნამცხვარს გადმოიღებდა, ანახვებდა და მის გადაწყვეტილებას ელოდებოდა. საბოლოოდ, ქალმა არჩევანი ხუთიოდე მოჭიქულ კვერზე შეაჩერა, მაგრამ ამჯერად შეფუთვაზე იფიქრა დიდხანს — ქაღალდის პარკში ჩაედო თუ მუყაოს ყუთში. ქაღალდის პარკი მსუბუქი და იოლად სატარებელი იყო, მაგრამ ადვილად გაიხეოდა, ყუთი უფრო უსაფრთხო, მაგრამ — მძიმე. ასისტენტმა კლიენტები აათვალიერა, მზერა პემბეზე შეაჩერა. ქალს ახალგაზრდას მზერაში გაღიზიანება არ შეუნიშნავს, თუმცა მის უკან მდგომმა შენიშნა.

როგორც იქნა, მოხუცი წავიდა, ისე ნელა მიაბიჯებდა, კარის გაღებისას ზანზალაკს არ დაურეკავს. პემბეს ჯერი მოვიდა, ასისტენტს თავი დაუქნია, მან ყურადღება არ მიქცია და ნამცხვრების დალაგება გააგრძელა.

— უკაცრავად, — პემბემ შოკოლადის ეკლერებზე მიუთითა, — თუ შეიძლება, ორი ცალი მომეცით.

— შენს ჯერს დაელოდე, — ჩაილაპარაკა ასისტენტმა და ნამცხვრის ასაღების წმენდას შეუდგა.

პემბე სიტყვებზე მეტად ტონმა გააკვირვა და წუთით შეყოვნდა. ამ დროს მეორე კლიენტი ჩაერთო საუბარში:

— მისი ჯერია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კაცის ნათქვამმა გაჭრა. ასისტენტმა ნამცხვრის ასაღები დადო და პემბეს შეხედა: — რა გნებავთ თქვენ?

პემბე მანამდე არასდროს შეხვედრია რასისტს. იდეა, რომ ერთ ადამიანს მეორე მხოლოდ მისი კანის ფერის, რელიგიის ან სოციალური კლასის გამო შეიძლება სძულდეს, ისე ეუცხოებოდა, როგორც თოვლი — აგვისტოში. მართალია, უცხო ადამიანები უსამართლოდ მოპყრობიან, დაჩაგვრაც უცდიათ, მაგრამ არა მისი წარმომავლობის გამო. ყოველ შემთხვევაში, თავად ასე ფიქრობდა. პემბემ იცოდა, ტოპრაკები თავიანთი ინგლისელი მეზობლებისგან განსხვავდებოდნენ, ისევე, როგორც თურქები და ქურთები. ქურთებიც სხვადასხვანაირები იყვნენ. მდინარე ევფრატთან მდებარე პემბეს პაწაწინა სოფელშიც კი ყველა ოჯახს თავისი ამბავი ჰქონდა და ერთ ოჯახში ორი ერთნაირი შვილი არასდროს გაზრდილა. თუ ალაჰს სურდა, ადამიანები მსგავსნი ყოფილიყვნენ, ასეთებად შექმნიდა. პემბემ არ იცოდა, ღმერთს ამდენნაირი შვილი რატომ ჰყავდა, მაგრამ სჯეროდა, უფალს საამისო მიზეზი ჰქონდა. ადამიანების მიღება ისეთებად, როგორებიც დაიბადნენ, ღვთიური ნების პატივისცემა იყო.

პემბე ბუნებრივი განსხვავებულობის შემწყნარებელი გახლდათ, თუმცა, ხელოვნური ცვლილებების მიმართ ტოლერანტობით არ გამოირჩეოდა. პანკი, ზღარბივით აწვეტილი თმით, წარბგახვრეტილი თინეიჯერი, მომღერალი ტატუირებით, ესმას აკვიატება, აჭიმებიანი შარვალი ჩაეცვა — ეს ყველაფერი მისთვის რთული მისაღები იყო. სწორხაზოვანი ლოგიკა, ხშირად, საგონებელში აგდებდა. მაგალითად, ჰომოსექსუალ ადამიანთან შეხვედრისას ცდილობდა გაეგო, ასეთი დაიბადა თუ შემდეგ გადასხვაფერდა. თუ უფალმა ასეთი გაჩინა, პემბეს საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, მაგრამ თუ თავად გადაწყვიტა შეცვლა, მხარს არ უჭერდა. თუმცა, ყოველივე უფლის ნება იყო, ამიტომაც დიდხანს არავის მიმართ განიცდიდა უპატივცემულობას.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამიტომაც, როცა ასისტენტმა ჰკითხა, რა გნებავთო, პემბემ ეს შეკითხვად მიიღო და არა — შეფარულ გაკიცხვად. დროულად მიუგო:

— ეს მინდა და ის, თუ შეიძლება.

ასისტენტი სადღაც სივრცეში იყურებოდა, თითქოს ქალს ვერც ხედავსო.

— სახელები არა აქვს?

ეგონა, ბიჭმა ვერ გაიგონა ჩემი ნათქვამიო, ამიტომ თაროს გვერდიდან მოუარა და ეკლერებზე ანიშნა. ვერც კი შეამჩნია, როგორ შეეხო მისი პალტო დარიჩინის ხვეულებს.

— ჰეი, ნუ ეხებით! — დაიყვირა ასისტენტმა. ნამცხვრები აიღო და შეათვალიერა, — მორჩა, ამათ ველარ გავყიდი.

— ბატონო?

— ამ ბეწვს ხედავთ? — დაიღრინა, თქვენი პალტოსგანაა. მთელი ლანგრის ყიდვა მოგიწევთ.

— ბეწვი? — პემბემ ტუჩები დაბრიცა, თითქოს ამ უცნობმა სიტყვამ პირში მწკლარტე გემო დაუტოვაო, — არა, არა, მთლიანი ლანგარი არ მინდა, — დაბნეულობისგან ხელი მაღლა აიქნია და კექსებიანი კალათა გადმოაპირქვავა.

ასისტენტმა თავი გააქნია.

— აუჰ, მოსიარულე კატასტროფა ხარ.

აურზაურმა მეპატრონის ყურამდეც მიაღწია და მათკენ გამოემართა მძიმე ნაბიჯებით.

— ამ ქალმა დარიჩინის ხვეულები გააფუჭა და კექსები გადმოყარა. ვუთხარი, რომ ყიდვა მოუწევს, მაგრამ ვერ გაიგო.

პემბეს მეპატრონის დაჟინებული მზერისგან ლოყები აუწითლდა.

— მგონი ინგლისური არც ესმის, — დაამატა ასისტენტმა.

— როგორ არ მესმის, — წამოენთო პემბე.

— მაშინ, უნდა გაგეგო, რაც გითხრეს, — თქვა მეპატრო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნემ გარკვევით და ზედმეტად ხმამაღლა, თითქოს პემბე ყრუ იყო.

— ეს კაცი ამბობს, მთლიანი ლანგარი იყიდეო. არ მაქვს მაგდენი ფული.

ასისტენტმა მკლავები გადააჯვარედინა.

— მაშინ მოგვიწევს, პოლიციას შევატყობინოთ.

— არა, რა პოლიციას, რატომ? — პემბე შიშმა აიტანა.

— ჰმ, — უკან მდგომმა კლიენტმა თეატრალურად ჩაახველა და ყველა მისკენ შეტრიალდა, — ვაკვირდებოდი ეკლერის კრიზისს, — თქვა, — და თავი ვალდებულად ჩავთვალე, ორიოდე სიტყვა ვთქვა. თუ საქმეში პოლიცია ჩაერთვება, ერთადერთი თვითმხილველი მე ვიქნები.

— და მერე? — იკითხა ასისტენტმა.

— მერე ისტორიის მეორე მხარეს მოვყვები.

— რა მეორე მხარეს?

— მომხმარებელს არასათანადოდ მოექეცით და კარგად არ მოემსახურეთ. ზანტი, უპატივცემულო, პრეტენზიული და აგრესიულიც კი იყავით.

— კარგი, კარგი, ბატონებო, — თქვა მეპატრონემ და ტუჩებზე ყალბი ღიმილი აუთამაშდა. მიხვდა, სიტუაცია კონტროლიდან გამოდიოდა, — ბუზს სპილოდ ნუ გადავაქცევთ. არაფერი დაშავებულა, პოლიციაში წასვლაც საჭირო არ არის.

წყნარად, თითქოს მიცურავსო, პემბე მეორე კლიენტისკენ შეტრიალდა და ამჯერად, შეათვალიერა. ბეჟი ფერის მაღალყელიან სვიტერზე ღია ყავისფერი, ველვეტის ქურთუკი ეცვა, იდაყვებზე ტყავით. გრძელი სახე ჰქონდა, თხელი ცხვირი და ღია ყავისფერი თმა, რომელიც სინათლეზე ოქროსფრად ჩანდა, საფეთქლებთან კი შემელოტებულიყო. სათვალის მილმა ავდრისფერ მოკიაფე თვალებში სიკეთე და მცირე დაღლა იკითხებოდა. პემბემ უნივერსიტეტის პროფესორს მიამსგავსა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ასისტენტიც მამაკაცის შესწავლით იყო დაკავებული. გესლიანად თქვა:

— კარგი, მაშ, რით დაგეხმაროთ?

— ჯერ ქალბატონს დაეხმარეთ, — თქვა მამაკაცმა, — მას არ მომსახურებიხართ.

* * *

საცხობიდან ერთად გამოვიდნენ — შემთხვევითი ნაცნობები. ბუნებრივად მოეჩვენათ, რამდენიმე წუთი გაესეირნათ, მომხდარი განეხილათ და დამეგობრებულიყვნენ. კაცმა პემბეს ჩანთების ჩამორთმევა დაიჟინა და ესეც ბუნებრივად მოხდა, თუმცა სამეზობლოში რომ ყოფილიყვნენ, ქალი ამის ნებას არ დართავდა.

მანამდე ისეირნეს, სანამ სათამაშო მოედანს არ მიუახლოვდნენ. მოედანი, სავარაუდოდ, სუსხიანი ამინდის გამო ცარიელი იყო. ქარი ისე ძლიერ ქროდა, რომ აქა-იქ ფოთლებს მორევივით ატრიალებდა. ინგლისში ცხოვრების განმავლობაში პირველად, პემბემ გაიფიქრა, არის რაღაც ჯადოსნური ამ ამინდშიო — ქარს, წვიმასა და ღრუბლებს მიღმა ისეთი სიმშვიდე იმალებოდა, რომელსაც მიეჩვია და გაუცნობიერებლად შეიყვარა კიდეც. ქალი ჩაფიქრდა.

თვალის კუთხიდან აკვირდებოდა ქალს, შეამჩნია, სახეზე კოსმეტიკა არ ესვა, თავშლიდან თმა მოუჩანდა, შემოდგომისფერი, ნათელი წაბლისფერი, ალაგ-ალაგ მოწითალო. მისმა სავსე ტუჩებმა მიიზიდა და იმან, როგორ ეჩუტებოდა ლოყები ღიმილისას. თუმცა ხმამაღლა არ აღუნიშნავს. უცნაური იყო ბუნების ლატარია. ამ ქალს სხვანაირად რომ ჩაეცვა და სხვანაირად მოქცეულიყო, ქუჩაში ბევრი კაცი გააყოლებდა მზერას. თუმცა, იქნებ უკეთესიც იყო, სილამაზეს რომ მალავდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— გიჟი იყო ის ბიჭი, — თქვა პემბემ. ჯერ კიდევ საცხობში მომხდარზე ფიქრობდა.

— გიჟი კი არა, — შეეწინააღმდეგა კაცი, — რასისტი იყო.

ქალი შეჩერდა, შეცბა. რასისტებს ხომ შავკანიანი, რიტასნაირი ხალხი სძულდათ.

— შავკანიანი არა ვარ, — თქვა მან.

კაცს ხუმრობაზე გაეცინა. როცა მიხვდა, ქალი არ ხუმრობდა, გაოცებით შეხედა.

— სულაც არაა აუცილებელი, შავკანიანი იყო, რომ რასისტმა აგითვალწუნოს. ბევრი სახის რასიზმი არსებობს, მაგრამ ყველა ერთი და იგივეა, მე თუ მკითხავ.

ქალი უსმენდა, ცდილობდა, მის სიტყვებში გარკვეულიყო. კაცი ისეთი აქცენტით ლაპარაკობდა, რომლის მსგავსი, აქ ჩამოსვლის დღიდან არ მოესმინა.

— არიან თეთრები, ვისაც შავები ეზიზღებათ, — დაიწყო ახსნა, — არიან თეთრები, ყავისფერკანიანები რომ სძულთ. ზოგ შავკანიანებსა და ყავისფერკანიანებსაც არ მოსწონთ ერთმანეთი და ისეთი შავები, თეთრები და ყავისფერებიც არიან, არც საკუთარი თავი რომ მოსწონთ და არც არავინ გარშემო. რელიგიაც, რა თქმა უნდა, ბევრი განხეთქილების მიზეზია. ზოგ მუსლიმს ყველა ებრაელი სძულს და — პირიქით. ისეთი ქრისტიანებიც არსებობენ, ვერავის რომ ვერ იტანენ.

— და რა საჭიროა ამდენი სიძულვილი? — იკითხა ქალმა.

შეკითხვაზე მეტად იმან გააკვირვა, თუ როგორ იკითხა, უბრალოებითა და ბავშვური გულუბრყვილობით. ბოლომდე გულწრფელი იყო. ასეთი ღრმა შეკითხვის პასუხად ზრდადი უმუშევრობა, სილარიბე, ქსენოფობია, იდეოლოგიური დაპირისპირება, ნავთობის კრიზისი და სხვა საკითხების განხილვა არ იყო საკმარისი. ეს კაცი გახლდათ ვეტერანი სკეპტიკოსი, მონდომებული ურწმუნო, გამოუსწორებელი პესიმისტი, ადამიანი, რომელიც გაზეთებსა და საინფორმაციო სიახლეებს არ ენდობოდა, კაცობრიობის მომავალს ვერ ხედავდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ექოსავით გაიმეორა:

— მმ, მართლაც, რა საჭიროა?

მოგვიანებით, ვერც ერთი მათგანი ვერ გაიხსენებდა, პირველად რომელს მოუვიდა იდეა სათამაშო მოედანთან, სკამზე დამსხდარიყვნენ. პემბემ დამტვრეული ინგლისურით მოუყვა, საპარიკმახეროში ვმუშაობ და ბრინჯის პუდინგის ინგრედიენტებისთვის შესვენებაზე გამოვედიო. ისიც არ გამორჩენია, ფუნდუკი რომ ვერ იშოვა. სტამბოლში ფუნდუკს იყენებდა, მაგრამ აქ ნუშით მოუწევდა კულინარობა. მისდა გასაოცრად, კაცი თანაგრძნობით უსმენდა. ქალს ვერასდროს წარმოედგინა, რომ კაცს, ნებისმიერ მამაკაცს, შეეძლო მისი მზარეულობის მიმართ ინტერესი გამოეჩინა.

— ანუ თურქი ხარ? — ჰკითხა კაცმა.

წარმომავლობას როცა ეკითხებოდნენ, თავში არასოდეს მოსვლია, ეთქვა ქურთი ვარო. ამჯერადაც ასე მოხდა. თავისი სამშობლო ყოველთვის გვიან ახსენდებოდა. კაცს თავი დაუქნია.

— ლოკუმცუ გელდი ჰანიმ, ლებლებილერიმ ვარ[1], — წაიმღერა მამაკაცმა.

ქალმა გაფართოებული თვალებით შეხედა. მისდა გასაოცრად, კაცმა გაიცინა და უთხრა:

— ვშიშობ, სხვა არაფერი ვიცი, მხოლოდ რამდენიმე სიტყვა.

— მაგრამ, საიდან?

— ბებია მყავდა ბერძენი, — უპასუხა, — სტამბოლიდან იყო. ერთი-ორი სიტყვა მასწავლა. ეჰ, ძალიან უყვარდა ეგ ქალაქი.

ის კი არ უთქვამს, ბებიამისმა სტამბოლი ოტომანების იმპერიის ბოლო ხანებში რომ დატოვა და ცოლად ლევანტინ ვაჭარს გაჰყვა. ბოლო დღემდე ენატრებოდა თავისი მეზობ-

---

1 ქალბატონო, რაჰათლუკუმი, თხილი მაქვს (თურქ.).

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლები და სახლი ბოსფორის სრუტესთან. კაცი ცდილობდა, ერთმანეთის მსგავსი, თურქულ-ბერძნული მსგავსი სიტყვები გაეხსენებინა: ძაძიკ-ძაძიკი, ავანაკ-ავანაკისი, ისპანაკ-სპანაკი, სიფტეტელლი-ციფტეტელი... მის გამოთქმაზე ქალს ეცინებოდა, თავს ხრიდა და პირზე ხელს იფარებდა — დამახასიათებელი ჟესტი იმ ადამიანისა, რომელსაც კბილების გამოჩენა ან ბედნიერების გამოხატვა ეუხერხულება.

დიდხანს უმზერდა ქალს დაკვირვებით და მერე თქვა.

— თქვენი სახელიც კი არ ვიცი.

პემბე წამოწითლდა და თვალებში ჩამოცვენილი თმა გადაიწია. თავის ორივე სახელს ერთად იშვიათად ამბობდა და მნიშვნელობასაც არასოდეს განმარტავდა, მაგრამ რატომღაც, ამჯერად, ასე უპასუხა:

— პემბე კადერი. ვარდისფერ ბედისწერას ნიშნავს.

ელოდა, კაცი ჩაიცინებდა ან წარბებს აზიდავდა, თუმცა ასე არ მოქცეულა. ისე უქცერდა, თითქოს ქალმა ეს-ესაა, ნაღვლიანი საიდუმლო გაუმხილაო. ბოლოს თქვა:

— ძალიან პოეტური სახელი გქვია.

სიტყვა „პოეტურის“ მნიშვნელობა პემბემ იცოდა. გაეღიმა. დიდი ხნის შემდეგ — პირველად.

საცხობიდან წამოღებული ჩანთა გახსნა, შოკოლადიანი ეკლერები ამოიღო. ერთი კაცს შესთავაზა, მეორე კი თავისთვის დაიტოვა. მან, სანაცვლოდ, ქალს ხილის კვერი გაუნაწილა. თავიდან სიჩუმეში მიირთმევდნენ, მერე ფრთხილი სიტყვებიც შეაპარეს — „თუ“, „შესაძლოა“, „დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ“... ნელ-ნელა რასიზმსა და ბრინჯის პუდინგზე წამოწყებული საუბარი გრძელ დიალოგში გადაიზარდა.

ელიასი ერქვა. პემბეს მსგავსად, თითქმის რვა წლის წინ ჩამოსულიყო ლონდონში. ქალაქი მოსწონდა და უცხოობა არ აწუხებდა. საერთოდაც, თავს ყველგან უცხოდ გრძნობდა. კაცის საუბრის მოსმენისას პემბემ არაერთხელ ინატრა, ინგლისური უკეთ სცოდნოდა. თუმცა, არაა საჭირო, ენა სრულყო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფილად იცოდე, რომ ილაპარაკო, არა? პემბე და თავისი ქმარი ერთ ენაზე საუბრობდნენ, მაგრამ დიდი ხანია, მათ შორის კომუნიკაცია ალარ იყო, თუ საერთოდ ოდესმე ყოფილა.

— ანუ ბერძენი ბრძანდებით? — ჰკითხა პემბემ.

არ უთქვამს, ტარიქი, მისი მაზლი, ბერძნებზე რა აზრისაც იყო, აუგად რომ მოიხსენიებდა.

— მთლად ბერძენი არა. მეოთხედი ბერძენი, მეოთხედი ლიბანელი, მეოთხედი ირანელი და მეოთხედი კანადელი.

— ეგ რანაირად?

— იცი, ბებია ლიბანელს გაჰყვა ცოლად და დედა გააჩინა. დედამ მერე მამა გაიცნო. მამას კანადელი მშობლები ჰყავდა, რომლებიც წარმოშობით თეირანიდან იყვნენ. მე ბეირუთში დავიბადე, მაგრამ მონრეალში გავიზარდე, ახლა კი ლონდონელი ვარ. ანუ სადაური გამოვდივარ?

ამდენი მოგზაურობა, ამდენი ადგილის მიტოვება, ახლიდან დაწყება უცხო მიწებზე. ნეტავ, არ აშინებდა ეს ცვლილებები? პემბეს გაახსენდა, ერთ დროს როგორ ოცნებობდა მეზღვაურობაზე, შვიდი კონტინენტის შორეულ ნავსადგურებში გაჩერებაზე, თუმცა, ეს დიდი ხნის წინ იყო.

თითქოს, მისი ფიქრები წაიკითხაო, ელიასმა გაუღიმა.

— ეს არც ისე ცუდია. ზოგიერთი ადამიანის სამშობლო მთელი მსოფლიოა.

კაცმა თვალი მოსწყვიტა საქორწინო ბეჭედს, უცებ რომ შენიშნა ქალის ხელზე. პემბე კი არ დაჰკვირვებია ელიასის თითზე ბეჭდის მკრთალ კვალს, ყოფილი ცოლის ჩრდილს, რომელიც წავიდა, მაგრამ ბოლომდე არ გამქრალა.

— მუშაობ? — იკითხა პემბემ.

— ჰო, შეფმზარეული ვარ.

ქალს სახე გაუნათდა.

— მართლა?

— ჰო, — დაეთანხმა, — ეჭვიც არ მეპარება, შენზე ნაკლებად არ გამომდის ბრინჯის პუდინგის მომზადება.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პემბემ წარმოიდგინა, როგორ ჭრის კაცი ხახვს და კიტრის ნაჭრებს ტაფაზე ატრიალებს. ისე უცნაურად მოეჩვენა, რომ გაეცინა და მერე დადუმდა, შეეშინდა, უხეშობაში არ ჩამითვალოსო. იმ მამაკაცებს, ვისაც აქამდე იცნობდა, სამზარეულოში ჭიქაში წყლის დასხმაც კი ეთაკილებოდათ. თავის ვაჟებსაც, განსაკუთრებით ისკენდერსაც, ასე ზრდიდა.

— შენს ცოლს ძალიან გაუმართლა, — თქვა პემბემ.

— მე და ჩემი ცოლი გაცილებული ვართ, — უპასუხა ელიასმა და ხელით პურის გატეხის იმიტაცია გააკეთა.

პემბემ მაშინვე სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი.

— მამაშენი რას ამბობდა? შენს კულინარობას ადვილად შეეგუა?

უცნაურად კი ჟღერდა, თუმცა მართებული შეკითხვა იყო. მამამისი წლებია, არ ელაპარაკებოდა, ამის აღიარებისას ელიასს ხმა შეეცვალა. კულინარობით ბიჭობაში დაინტერესებულა, როცა ბიჭობაში თავისი დისთვის, კლეოსთვის, განწყობის გამოკეთებას ცდილობდა ხოლმე.

— შენი და ავადმყოფობდა? — ჰკითხა ქალმა.

— არა, განსაკუთრებული გოგო იყო.

სამეზობლოში მისნაირ ბავშვებს გონებრივად ჩამორჩენილებს ეძახდნენ. დაუნის სინდრომით დაბადებული გოგონა ბავშვობიდან, ფიზიკურადაც და გონებრივადაც, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე იყო. ელიასი გამორჩეული მოსწავლეების ადგილობრივ სკოლაში დადიოდა, კლეოს კი ყოველდღე გრძელი გზის გავლა უწევდა ქალაქგარეთ სასწავლებელში მისასვლელად. ხშირად ჭირვეულობდა, ცუდ ხასიათზე დგებოდა, სათამაშოებს აქეთ-იქით ისროდა, თმას იპუტავდა, მიწას ჭამდა. ელიასის დაკვირვებით, ერთადერთი, რაც აწყნარებდა, გემრიელი სადილი იყო. ახალგამომცხვარი ვაშლის პეროგი ღიმილს ჰგვრიდა, ნორმალურობას უბრუნებდა. ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ, ელიასმა კლეოსთვის ბევრი გემრიელი კერძის მომზადება ისწავლა. მოგვიანებით კი გააცნობიერა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომ თვითონ კი არ ეხმარებოდა დას, არამედ ის ეხმარებოდა, მოესმინა გულისთვის და ის საქმე ეკეთებინა, რაც უყვარდა.

ცომის ზელისას ეგონა, მის ძარღვებში დედამიწა მიედინებოდა, ძლიერი და მყარი. ხორცის შეწვისას ცხოველის სულს ესაუბრებოდა, მის პატივისცემას სწავლობდა. თევზის გაწმენდისას წყლის ჩქეფების ხმა ესმოდა, ფრთხილად შიგნავდა, თითქოს არ სურდა, მდინარის მოგონება ჩამოერეცხა. პემბე დატყვევებული უსმენდა, ბევრი სიტყვის მნიშვნელობა არ იცოდა, მაგრამ მისდა გასაკვირად, ყველაფერი ესმოდა.

* * *

— უი, ღმერთო ჩემო... წასასვლელი ვარ, — პემბე წამოხტა და როცა ნახა, რამდენი დრო გასულიყო, სუნთქვა შეეკრა.

— ჩანთების წაღებაში მოგეხმარებით.

— არა, არა... — მტკიცედ განაცხადა ქალმა, — გავართმევ თავს.

შესაძლოა, გამვლელებს ერთად დაენახათ და ვინმესთვის ეთქვათ. ხალხი იჭორავებდა და ოჯახსაც მისწვდებოდა ეს ამბავი. გული დაუმძიმდა იმის გაფიქრებაზე, რომ ამ კაცს ველარ ნახავდა. ამ დროს ელიასმა ჯიბიდან ბარათი ამოიღო.

ელიას სტეფანოს რობერტ გროგანი
შეფმზარეული

სიტყვებს დახედა და ეუცხოვა ამდენი სახელი, თითოეული იმ ქვეყანას წარმოადგენდა, სადაც ელიასს უცხოვრია. ბარათის მეორე მხარეს რესტორნის სახელი ეწერა.

— საღამოს თუ მოხვალ, სამზარეულოდან გამოსვლას ვერ შევძლებ. ვერც ლანჩის დროს. თუმცა, ხუთი საათის მერე თუ გამოივლი, სიამოვნებით მოგიმზადებ სადილს და დაგათვალიერებინებ რესტორანს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქალს სანაცვლოდ არაფერი მიუცია. არც ბარათი. არც მისამართი. არც პირობა.

ელიასი ლოყაზე საკოცნელად დაიხარა, რაზეც ქალმა უკან დაიხია. მისმა საქციელმა კაცი დააბნია და შეარცხვინა. პემბემ ეს შეამჩნია და გული დასწყდა, ხელი გაუწოდა, მაგრამ ჯერ კიდევ შეცბუნებულმა ელიასმა ვერ შენიშნა მისი ჟესტი. ორმხრივი დაბნეულობა მხარზე ხელის მოთათუნებით დასრულდა. გარედან მაყურებელს ამაზე გაეცინებოდა, თუმცა ესენი დიდ უხერხულობაში ჩაცვივდნენ, ერთმანეთს გაერიდნენ და სხვადასხვა გზას გაუყვნენ.

მზეთუნახავი და ურჩხული

ლონდონი, 1977 წლის დეკემბერი

ტობიკოს დაბადების დღე ჰქონდა. ერთი წლით ადრე, სანამ ტოპრაკების ცხოვრება თავდაყირა დადგებოდა, შვიდი წლის იუნუსი ხიზნების სახლში იყო, სიყვარულით მოცული.

ტობიკო ოცი წლის გახდა.

— ტიპური მშვილდოსანი ვარ, — უთხრა იუნუსს, რომელმაც არ იცოდა, ეს კარგი იყო თუ ცუდი. იუნუსი ზოდიაქოთი ლომი იყო, თუმცა მისთვის ეს არაფერს ნიშნავდა. ბიჭისთვის მხოლოდ ერთ რამეს ჰქონდა მნიშვნელობა — ასაკობრივი სხვაობა მასსა და ტობიკოს შორის კიდევ უფრო გაიზარდა და უფრო მეტად გაუჭირდებოდა, დასწეოდა.

იუნუსი წარბებშეჭმუხნილი იჯდა და პლასტმასის ჯამიდან კარაქიან პოპკორნს შეექცეოდა. უყურებდა, ხიზნები როგორ ჩუქნიდნენ იუბილარს ნაირ-ნაირ ნივთს: ვერცხლის პირსინგებს, ქინძისთავებს, წვეტებიან საყელოებს, დაწნულ სამაჯურებს, რკინებიან ქამარს, დაგლეჯილ ბადისებურ კოლ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჰოტებსა და სამხედრო სტილის ტყავის ჩექმას. საჩუქრებს შორის დაკემსილი საბანიც იყო, წარწერით „სამედიცინო მარიხუანა“, რამდენიმე ყელსაბამი, პატი სმიტის პოსტერი, წიგნები (სტივენ კინგის „ნათება“, ჩარლზ ბუკოვსკის „არა ჩრდილოეთის სამხრეთი“), პოლიციელის ჩაფხუტი (პოლიციელს მოჰპარეს, როცა კაფეში მაგიდაზე დარჩა), პოსტერი წარწერით: „მოწყენილობა რევოლუციურია“ და შავი, მაისური პანკბენდ „დაწყევლილების“ სურათით.

იუნუსი ჩოჩქოლს გაერიდა. სურდა, ტობიკოსთვის საჩუქარი სულ ბოლოს მიეცა. ამისთვის ორი მიზეზი ჰქონდა. პირველი: იმედოვნებდა, მარტო დარჩებოდა მასთან, თუნდაც რამდენიმე წუთით. მეორე: დარწმუნებული არ იყო, რომ გოგონას მისი შერჩეული საჩუქარი მოეწონებოდა. ეჭვები კიდევ უფრო გაუმყარდა მას მერე, რაც სხვების მოტანილი ნივთები ნახა.

ეჭვებით გულდამძიმებული ბიჭი კუთხეში იყო შეყუჟული, როცა კაპიტანი შემოვიდა. ისეთი ვიწრო ჯინსი იუნუსს მანამდე არ ენახა, შემოცმული ტყავის ქურთუკი ორი ზომით პატარა ჩანდა და მოტოციკლეტისტის ჩექმა ემოსა. ტობიკოსთვის საჩუქარი არ მოუტანია, მხოლოდ ვნებიანი კოცნა და დაპირება:

— ჩემი მოგვიანებით, პატარავ.

წუთით იუნუსმაც წარმოიდგინა, რომ იმავეს იზამდა. ადგებოდა, ტობიკოსთან ნელი, მტკიცე ნაბიჯით მივიდოდა, სკოლის ნაცრისფერ შარვალსა და დედის მოქსოვილ ლურჯ სვიტერში ჩაცმული და ღრმა, იდუმალი ტონით ეტყოდა: „ჩემი მოგვიანებით, პატარავ“.

რას მოიმოქმედებდა ტობიკო? ისე გაულიმებდა, როგორც კაპიტანს გაულიმა? იუნუსს ამაში ეჭვი ეპარებოდა. თვალი დახუჭა, ნერვიულობა მუცელში აუბუყბუყდა. დედა ყოველთვის აფრთხილებდა: „გოგოებთან სიფრთხილე გმარ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თებს. ბიჭები მარტივები არიან, გოგოები — არა. საზივით[1] დაუკრავენ შენზე". თუ ტობიკო მართლაც დაუკრავდა, იუნუსის მელოდია იმ დღეს ოდნავ დარღვეული და მელანქოლიური იქნებოდა.

— ჰეი, მეგობარო, დაარტყამ ნაფაზს?

იუნუსმა თვალი გაახილა და ახალგაზრდა მამაკაცი დაინახა გრძელი, სქელი დრედებით. ბიჭის მოჭუტული თვალები ჭერზე რაღაც უჩინარ წერტილს მისწებებოდა, ხელში მარიხუანის ახალშეკეთებული ტარიანი ეჭირა. მხარზე ამოსვირინგებული ჰქონდა: მდიდრების ბრძოლაში ღარიბები იხოცებიან. იუნუსმა გაიფიქრა, დედაჩემი რომ ხედავდეს, აღშფოთდებოდაო.

— კი მაგრამ, თმას როგორ იბანენ? იკითხავდა პემბე და მერე დაამატებდა, — ხომ იბანენ, არა?

იუნუსს აქამდეც მოეწრუპა ლუდი და გაესინჯა სიგარეტი, მაგრამ ნარკოტიკებს არასოდეს გაჰკარებია. ამ საკითხთან დაკავშირებით ხიზნების სახლში აზრთა სხვადასხვაობა იყო. ერთი ჯგუფი (შავი პანტერას მხარდამჭერები, რადიკალური ფემინისტები, მარქსისტები და ტროცკისტები) კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ნარკოტიკს და ზემოდან უყურებდა მათ მომხმარებლებს; მეორე ჯგუფი (ჰიპები და ყოფილი ჰიპები) მხოლოდ მარიხუანას ეტანებოდნენ და მესამე ჯგუფი (პანკები, ნიჰილისტები, სიტუაციონისტები) მოწევას ტაბლეტებსა და ქიმიურ ნაერთებს ამჯობინებდნენ. ასეთი ნარკოტიკი მათ ენერგიასა და ბრაზს მატებდა. თუმცა იუნუსის ყოყმანის მიზეზი საკუთარ თავში გაურკვევლობა კი არა, შიში იყო, რომ დედამისის რისხვას დაიტეხდა თავს.

ამჯერად ხომ მხოლოდ ერთი ნაფაზი შესთავაზეს, რატომ უნდა ეთქვა უარი? ზრდილობიანად გამოართვა და ისე ღრმად შეისუნთქა, მაშინვე ამოახველა.

---

1 *აღმოსავლური სიმებიანი საკრავი, ჩონგურს ჰგავს.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ეს სიმღერა არ უსწავლებიათ სკოლაში? — დრედებიანმა ბიჭმა დაამთქნარა, სანამ ღიღინს წამოიწყებდა, — გაახვიე, გაახვიე, გაახვიე მოსაწევი, — იუნუსმა ჩაიხითხითა და კიდევ მოქაჩა.

— დაარტყი ნაფაზი ჩემი მოსაწევიდან, გაუბერე, — აგრძელებდა ბიჭი ღიღინს.

იუნუსმა ისევ ჩაიხითხითა და ისევ მოქაჩა. ისე ახმაურდნენ, სხვების ყურადღება მიიქციეს, მათ შორის, ტობიკოსიც. გოგონა მათკენ გამოემართა სევდიანი და შეშფოთებული გამომეტყველებით.

— ნუ იზამ მაგას, ძვირფასო, — უთხრა ტობიკომ. იუნუსს ხელიდან გამოჰგლიჯა მოსაწევი და ტუჩებში მოიქცია, — რატომ ცდილობ, სხვებს დაემსგავსო? შენ ხომ განსხვავებული ხარ. ამიტომაც ხარ განსაკუთრებული.

გოგონას მზერაზე, მის ეჭვნარევ ტონზე ბიჭმა მძიმედ ჩაისუნთქა. წინასწარ მოფიქრებული, ლაკონიური სიტყვების ნაცვლად, წამოიბლუყუნა:

— მაგრამ შენთვის საჩუქარი მაქვს.

— მართლა? — ტობიკომ მოჩვენებითი გაკვირვებით იკითხა, — შეიძლება გავიგო, რა არის?

იუნუსი ადგა, გასწორდა, მკერდი გამობერა ბრძანების მომლოდინე ჯარისკაცივით და ტობიკოს ოქროს ქაღალდში გახვეული, ოქროს ბაფთით შეკრული ოქროსფერი ყუთი გაუწოდა, მთელი საღამო რომ უფრთხილდებოდა.

ყუთში მუსიკალური ბროლის ბურთი იდო. ორი ფიგურა — მზეთუნახავი და ურჩხული — ლამაზი სასახლის წინ იდგა, ხელჩაკიდებული. პრინცესას თვალისმომჭრელი კაბა ეცვა, ურჩხული კი დარცხვენილი ედგა გვერდით. გასაღების გადატრიალებაზე ცეკვას იწყებდნენ და მელოდიის წკარუნიც ისმოდა. როგორც კი ბროლის ბურთი დაინახა და შეიტყო, რომ ფიგურები „ურჩხული და მზეთუნახავიდან“ იყო, იუნუსს მაშინვე გაახსენდა, როგორ უყვარდა ტობიკოს დევიდ ბოუ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვის იმავე სახელწოდების სიმღერა. თუ სიმღერა მოსწონს, ეს ბურთიც მოეწონებაო, — იფიქრა.

სინამდვილეში, იუნუსი თავიდან სხვა ბროლის ბურთის ყიდვას აპირებდა. ეკლესიის წინ მდგომი სიძე-პატარძალი ერთმანეთს კოცნიდა და ირგვლივ ბრინჯის ფანტელები დაფარფატებდა. თუმცა ეჭვი შეეპარა, რომ ტობიკოსთვის შესაფერისი საჩუქარი იყო. გოგონა ქორწინების, რელიგიისა და ალბათ, ჰაერში ბრინჯის აყრის წინააღმდეგიც გახლდათ. ამიტომაც მეორე ბურთი აირჩია, მიუხედავად იმისა, რომ უფრო ძვირი დაუჯდა და მთელი დანაზოგი დახარჯა.

იუნუსისთვის ტობიკო მზეთუნახავისგან არაფრით განსხვავდებოდა, მასავით ლამაზი და უნაკლო იყო, თვითონ კი ურჩხულს ამსგავსებდა თავს. ელეგანტურ კოსტიუმში ჩაცმული ურჩხული, რომელიც პრინცესას საცეკვაო მოედნისკენ მიუძღოდა, ჯერ კაცი არ იყო, მაგრამ ერთ დღეს გახდებოდა, იუნუსივით. ბიჭს ბავშვობა წყევლად ესახებოდა, ერთი სული ჰქონდა, თავს როდის დააღწევდა.

საჩუქარი გულუბრყვილოდ ანათებდა. ტობიკოს ბროლის ბურთი ხელისგულზე ისე ედო, თითქოს ბარტყი ყოფილიყო, თვალები აუკიაფდა და წამოიძახა.

— ოჰ, ფანტასტიკურია!

იუნუსმა გაიღიმა. ერთ დღეს ცოლად მოიყვანდა ტობიკოს.

— რა არის ფან-ტას-ტიკური? — კაპიტანმა ოთახის მეორე ბოლოდან იკითხა, მაგრამ ტობიკოს პასუხი არ გაუცია.

იუნუსი უფრო და უფრო იბადრებოდა, ბოლოს მისი ღიმილი ერთ უზარმაზარ მოსასხამად გადაიქცა და ყველაფერს ჩამოეფარა — ობობას ქსელებს, სანთლის შუქზე მოფარფატე ჩრჩილებს, ხის სკამებში მოფუთფუთე ტერმიტებს — ყველასა და ყველაფერს, რისი გაუჩინარებაც იუნუსს სურდა, მათ შორის, მეტოქეებსაც.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

• • •

საღამოს „ქლეშის“, „კოკნი რეჯეკთსისა“ და „სექს პისტოლსის“ მუსიკა იღვრებოდა და უზარმაზარი სადღესასწაულო შოკოლადიან-ბანანიან-ჰაშიშიანი ტორტით გაგრძელდა. ტორტში სანთლები არ ჩაურჭვიათ, მაგრამ იმ დღეს მაღაზიიდან აწაპნილი საკრავი და სპილენძის ნათურები საკმარისად ქმნიდა სადღესასწაულო ატმოსფეროს.

ამ დროისთვის, იუნუსს უკვე ბლომად გადაეყლურწა ლუდი და საეჭვო ტორტის არაერთი ნაჭერიც დაეგემოვნებინა. თავი გაჰბრუებოდა და მუცლის გვრემა აწუხებდა. ძალიან ცდილობდა, ღებინებისგან თავი შეეკავებინა. იჯდა და კედელს მიშტერებოდა. იქ, მოციმციმე განათებაში, ერთი სურათი შენიშნა, მანამდე რომ არ ენახა. ნახატზე კაცი იყო გამოსახული, მხარბეჭიანი, გამოკვეთილი ცხვირით, შავ-თეთრი წვერითა და დაუვარცხნელი თმით. რადგან ტობიკოს დაბადების დღე იყო, იუნუსმა ჩათვალა, ეს კაცი მისი ახლობელიაო.

— ეგ ბაბუაშენია? — იკითხა და ფოტოსკენ გაიშვირა ხელი.

სანამ ტობიკო მიხვდებოდა, რა ჰკითხეს და პასუხს გასცემდა, დრედებიანმა ბიჭმა ყური მოჰკრა შეკითხვას და მხიარულად დაიყვირა:

— ჰეი, ბიჭი კარლ მარქსზე კითხულობს, ტობიკოს ბაბუა ხომ არ არისო!

მის შეძახილს სიცილის მოჰყვა.

— ის ყველას ბაბუაა, — ვიღაცამ მხიარულად აღნიშნა.

— და ბაბუაჩვენი სამყაროს შეცვლის, — აღნიშნა გამხიარულებულმა კაპიტანმა.

იუნუსი მიხვდა, რომ რაღაც სისულელე თქვა და სახე შეეფაკლა, მაგრამ კაპიტანს უნდა შეპასუხებოდა, ამიტომაც იკითხა:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მაგისთვის ზედმეტად ბებერი ხომ არ არის?

— ბებერი და ბრძენია, — გასცეს პასუხი.

— და მსუქანიცაა, — დაიჟინა იუნუსმა.

მისმა სიტყვებმა სიცილის მორიგი ტალღა გამოიწვია, მაგრამ კაპიტანი უცებ დასერიოზულდა, თვალები დაუწვრილდა.

— მეტ პატივისცემას ხომ არ გამოიჩენდი, მეგობარო? ეგ კაცი შენს მხარეზე იყო, შენნაირი ხალხის უფლებებისთვის იბრძოდა.

— თურქი იყო? — იცოდა ცდებოდა, მაგრამ მაინც იკითხა იუნუსმა.

ხიზნებს ისეთი სიცილი აუტყდათ, ერთ-ერთი ტახტიდან გადმოვარდა, ცრემლებს იწმენდნენ, ხარხარებდნენ და სანახაობას ელოდნენ.

— შენნაირ ხალხში უქონელი იგულისხმება, — აუხსნა კაპიტანმა.

— რა არის უქონელი? — იუნუსმა იკითხა.

— უქონელი ის ხალხია, ვისაც ქონების უფლება ჩამოერთვა, რათა მქონეებს იმაზე მეტი ჰქონდეთ, ვიდრე საჭიროა.

იუნუსი შეჭმუხნილი იდგა და ტუჩებს იკვნეტდა.

— ადამიანივით ხარბი და თავხედი არც ერთი ქმნილება არ არის, — აგრძელებდა კაპიტანი, — კაპიტალისტური ეკონომიკა მქონეების მიერ უქონელების შევიწროებას ეფუძნება. შენ, მე, ჩვენი პატარა მეგობარი, მისი ოჯახი უბრალო ხალხი ვართ! დედამიწის მარილი! დიადი დაუბანლები!

— დედაჩემი ყოველთვის წმენდს სახლს, — მხოლოდ ეს მოაფიქრდა პასუხად.

კვლავ გაეცინათ, მაგრამ ამჯერად სხვანაირად. მათ სიცილში მეტი სირბილე იგრძნობოდა — სიბრალულისა და თანაგრძნობის ნაზავი.

ქადაგებით გართულ კაპიტანს არ შეუნიშნავს, როგორ შეიცვალა განწყობა აუდიტორიაში.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— სიმართლეს თვალებში შეხედე, ბიჭო! — თქვა მან, — შენი მშობლებისნაირ ხალხს ყოველთვის ავიწროებენ, რათა სხვებმა ჯიბეები გაისქელონ!

სუნთქვაშეკრული იუნუსი ფეხზე წამოხტა, ოდნავ შებარბაცდა.

— ჩემს მშობლებს არავინ ჩაგრავს და არც დაუბანლები ვართ! ჩემი ძმა მოკრივეა.

ასე მხოლოდ სიამაყე არ ალაპარაკებდა. იუნუსს არასოდეს უფიქრია, რომ ღარიბი ოჯახის შვილია. მართალია, დედამისი ზოგჯერ უფულობაზე წუწუნებდა, მაგრამ მათ არავინ მოიხსენიებდა გაჭირვებულად, ხელმოკლედ, დაბალ ფენად და, როგორც ესენი უწოდებდნენ, უქონელად.

ამჯერად არავის გაუცინია. გარეთ დაბნელდა. სადღაც, არც ისე შორს, ქუჩის ლამპიონების მქრქალი სინათლის ქვეშ, პემბე სამზარეულოს ფანჯარასთან იცდიდა. უმცროს შვილზე დარდობდა, არ იცოდა მისი ადგილსამყოფელი. პემბეს სხეული სიჩუმისა და მარტოობის მოსასხამის ქვეშ დამალულიყო, ბროლის ბურთის ფიგურასავით.

— ჰეი, შენი შეურაცხყოფა მიზნად არ მქონია, — კაპიტანმა ჩაიხითხითა, რათა მისი სიტყვები საყვედურად არ მიეღო, — ალბათ ჯერ პატარა ხარ.

ბოლო ფრაზამ ყველაფერი მოიცვა, რაც იუნუსს სძაგდა: მისი ასაკი, შეუთავსებლობა და სიყვარულის შეუძლებლობა. დანაღვლიანებული, სკამში ჩაეშვა.

— ყურადღებას ნუ მიაქცევ, — უჩურჩულა ტობიკომ, — გვიანია, ჯობს, სახლში წახვიდე.

— მართალია, სჯობს წავიდე, — იუნუსი დაეთანხმა. სახე მოქუფროდა და მუცელი ისევ აწუხებდა.

— ღამე მშვიდობისა, პატარავ.

იუნუსი გამოემშვიდობა, ისე არა, როგორც მამამ და ბიძამ ასწავლეს, — მარჯვენა ხელის გულზე მიდება, — არამედ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საჩვენებელი და შუა თითი ასწია ლათინური V-ს ფორმით, როგორც ხიზნებს სჩვეოდათ. როგორც კი ნაბიჯი გადადგა, თავბრუ დაეხვა, მთელი ოთახი დატრიალდა. შუქები მარგალიტისფერ ნათებად მოეჩვენა და თავი სხვა რეალობაში ამოყო. წინასწარი გაფრთხილების გარეშე და ყველას დასანახავად, ბიჭს ზედ საყვარელი ქალის დაბადების დღის კაბაზე აღებინა.

— აუჰ, არა! — ჩაილულლულა, სანამ თვალებს დახუჭავდა. ახლა ნამდვილად აღარ შეიყვარებდა ტობიკო.

იმ ღამით იუნუსი ხიზნებმა წაიყვანეს შინ. კარზე ზარი დარეკეს და მაშინვე გაიქცნენ, სანამ გულგახეთქილი პემბე გააღებდა და თავის ბედნიერად მთვლემარე ბიჭუნას იპოვიდა შემოსასვლელში.

ფუმფულა ჯემპრი

ლონდონი, 1977 წლის 18 დეკემბერი

ახალ სემესტრში კეიტი ევანსს, თავისივე სურვილის მიუხედავად, ისკენდერი ჩაუვარდა გულში. ალექსი. ალექსანდრე. თუ რაც ერქვა. ნამდვილი დეგენერატი. ყოყლოჩინა. სულ მეგობრების გარემოცვაში, ბანდის წინამძღოლივით. უნდა ელიარებინა, გარეგნულად საუცხოო ბიჭი იყო, ათლეტური აღნაგობით, ღია ზეთისხილისფერი კანითა და მომნუსხველი თვალებით. ბოლოს და ბოლოს, გამბედაობა მოიკრიბა და პაემანზე დაპატიჟა, რაზეც ისკენდერმა მოკლედ უპასუხა, კარგიო. კვირა დილით დედას უნდა დახმარებოდა, შემდეგ თერთმეტიდან ორამდე კრივს ვარჯიშობდა. მერე კი ეცალა შესახვედრად, თუ კეიტის ენდომებოდა.

პაემნამდე რამდენიმე საათით ადრე კეიტი თავის ოთახში ტანსაცმელს ირგებდა და სარკეში იპრანჭებოდა. დედამისის ნაყიდი ნაირ-ნაირ ფერის შალის ჯემპრი ჰქონდა — იასამნის-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფერი, ატმისფერი, ლავანდისფერი, ზღვის ქაფისფერი. ყველა მათგანი სასაცილო და უგემოვნო მოეჩვენა, ისევე როგორც, „ლორა ეშლის“ ქვედაბოლოები, ტრაპეციის ფორმის კაბები და „მერი-ჯეინის“ ფეხსაცმელი. თავისი გარდერობი ისკენდერის თვალებით შეაფასა და შეწუხდა, იმდენად გაპრანჭული და გოგოური იყო ყველაფერი. დიდი იმედგაცრუებისა და ყოყმანის შემდეგ უბრალო ჩაცმულობაზე შეარჩია არჩევანი: ჯინსი, კედები და მუქი ლურჯი პერანგი. თმა დაივარცხნა და ცხენის კუდად შეიკრა, მსუბუქი მაკიაჟი წაისვა, იმედოვნებდა, მის სტილს ისკენდერი თავდაჯრებულობისა და თავშეკავებულობის გამოხატულებად აღიქვამდა.

კეიტი კაფეში ხუთი წუთით ადრე მივიდა, გზად კი ყველა ვიტრინაში ჩაიხედა საკუთარი თავის შესათვალიერებლად. ორმოცი წუთი გავიდა, ისკენდერი კი არ ჩანდა. სიამაყემ დამარცხების აღიარების უფლება არ მისცა, ოფიციანტს კიდევ ერთი „კოკა-კოლა“ შეუკვეთა. თავიდან რძის კოქტეილის შეკვეთა უნდოდა ბანანითა და მარწყვით, მაგრამ ძალიან გოგოურიაო, ჩათვალა და გადაიფიქრა.

მეორე ბოთლი „კოკა-კოლა“ კეიტის მოთმინებასთან ერთად იწურებოდა, როცა კარი გაიღო და ისკენდერი შემოიჭრა. კევს ღეჭავდა, მხარზე სავარჯიშო ჩანთა მოეგდო, ახალდაბანილი თმა კი ჯერ კიდევ სველი ჰქონდა. გოგონამ შეამჩნია, ბიჭს ბევრი დრო დაეხარჯა თმის საგულდაგულოდ დავარცხნაში, თითქოს არსად ეჩქარებოდა.

— როგორ ხარ, სიყვარულო? — იკითხა ბიჭმა.

და აი, ამ პატარა, უბრალო სიტყვამ კეიტის ბრაზი ფანჯრიდან მოისრილა. ლოყები შეეფაკლა.

— დიდი ხანია, მელოდები?

— არა უშავს.

მისი მუქი თვალები გულმოდგინედ აკვირდებოდა გოგონას თმას, ტუჩებს, ფართო მაისურს, რომელიც მკერდის ფორმას მალავდა. გაუკვირდა, რატომ არ გამოიპრანჭაო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— კრივი როგორი იყო?

— უმაგრესი, — თქვა ისკენდერმა, — ჩემი მწვრთნელი მაგარი კაცია. რკინასავით მაგარია. ყოფილი სამხედროა, ჩრდილო ირლანდიაში იბრძოდა. ბევრი რამე აქვს გამოვლილი.

— იარაღი უსვრია?

ისკენდერმა გაიცინა.

— იარაღი უსვრიაო? სულ ცოტა, ათი კაცი ეყოლება მოკლული. აფეთქებებისა და ცემისგან იარები აქვს. მწარე გამოცდილებით დაეუფლა კრივს.

კეიტი ოდნავ გაფერმკრთალდა. ესიამოვნა, თავისი ფუმფულა ჯემპრი რომ არ ეცვა.

— აბა, რა შეუკვეთე? — ისკენდერმა ჰკითხა და ცარიელი ჭიქისკენ მიუთითა.

— „კოკა-კოლა“ დავლიე. გინდა?

— არა, მეზიზღება „კოკა-კოლა“, — უპასუხა ისკენდერმა, — მბერავს, თან საიდუმლო რეცეპტიც მაეჭვებს. რძის კოქტეილები მირჩევნია.

კეიტის ნერვი არ შესტოკებია, სანამ ისკენდერი კიდევ ერთ „კოკა-კოლასა“ და რძის კოქტეილს უკვეთდა, ბანანითა და მარწყვით. ილაქლაქეს სკოლაზე, დაუბანელ სკოლელებზე, საძულველ მასწავლებლებზე. კეიტი მასთან ერთად დროს სასიამოვნოდ ატარებდა, როცა უცებ ისკენდერმა ჰკითხა:

— კეიტი, რას აკეთებ აქ ჩემთან ერთად?

თვალები დაახამხამა, მერე კი ისევ შეხედა ბიჭს. ნეტავ, უნდა გამოსტყდომოდა თუ არა, რომ წინაღამე მაგნიტოფონთან ჩახუტებულმა გაატარა, „ბი ჯისის“ How deep is your love-ის მოსმენაში.

— ჩვენ უბრალოდ... ვლაპარაკობთ...

— მისმინე, ცუდად ნუ გამიგებ. ძალიან ლამაზი ხარ, მაგრამ ერთმანეთს არ შევეფერებით. ეს ორივემ ვიცით. არ ვარ მე საშენო ბიჭი. სხვა სამყაროდან ვარ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კეიტიმ ქვედა ტუჩზე იკბინა, ტირილამდე ცოტა აკლდა. ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს რაღაც ძალიან ძვირფასი წაართვეს. უარის ასე ღიად თქმამ, შეუფერებლები ვართო, მტკიცებამ და მისმა მიუწვდომლობამ კიდევ უფრო მოანდომა ისკენდერის გულის მოგება, ეს ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან მიზნად დაისახა.

— მაგრამ შენ ხომ საერთოდ არ მიცნობ, — თქვა კეიტიმ, სადღაც სიყვარულისა და საყვედურის ზღვარზე.

— უი, არ მინდოდა შენი წყენინება, — თქვა ისკენდერმა, მაგრამ სინანული საერთოდ არ ეტყობოდა. სიამოვნებდა, თავმომწონე კეიტი ევანსს ასე დაუცველსა და გულნატკენს რომ უყურებდა, — იცი რა, რაღაც ცუდად დავიწყეთ. მოდი, კიდევ ვცადოთ, — წინ გადაიხარა და გოგონას ხელი დაიჭირა, — გამარჯობა, როგორ ხარ? მე ისკენდერი მქვია, შეგიძლია, ალექსი დამიძახო.

კეიტიმ ტუჩები ოდნავ აამოძრავა:

— სასიამოვნოა.

სანამ კაფედან გამოვიდოდნენ, ისკენდერმა ბოდიში მოიხადა და საპირფარეშოსკენ გაემართა. კიბეზე ერთი ახალგაზრდა, გამხდარი ბიჭი შემოხვდა, გადაპარსული თმით, წვრილი ცისფერი თვალებითა და ლაქებით დაფარული სახით. ადგილობრივ საცხობში ასისტენტად მუშაობდა. ისკენდერი წამით შეათვალიერა და ოდნავი ღიმილი აუთამაშდა.

საპირფარეშოში შესვლისას შავკანიანი მამაკაცი შენიშნა, რომელიც თან ისაქმებდა და თან ხალისიან მელოდიას ღიღინებდა. ნანახით შეშფოთებულმა ისკენდერმა კარი მიიხურა და წუთით შეყოვნდა. იქ, ზედ კარზე, რასისტული სლოგანებისა და უხამსობების გვერდით, ნახევარმეტრიანი სვასტიკა დაეხატა ვიღაცას. ქვევით „თეთრების ძალა“ ეწერა. ზოგიერთი სიტყვა მეტალის ნივთით გადაეფხაჭნა ვიღაცას, მაგრამ ნაწილი ჯერაც ჩანდა. ისკენდერი დააკვირდა ნახატს. აშკარად ახალი იყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საპირფარეშო სწრაფად დატოვა და გასვლისას კაცს თავი დაუქნია, რომელიც ხელს იბანდა და შეშინებული ჩანდა. კეიტისთან რომ დაბრუნდა, ინატრა, ნეტავ რამდენიმე წუთით ადრე მივსულიყავი, სანამ დამნაშავე გამასწრებდაო.

***

სამი „კოკა-კოლას“ გადაყლურწვის შემდეგ კეიტის სეირნობა შვებად მოეჩვენა. უმიზნოდ დაბოდიალებდნენ ხილ-ბოსტნეულის დახლებს, აფთიაქებსა და ტოტალიზატორებს შორის, უკან კი ჩამავალი მზე დასდევდათ. ცას თითქოს ლიბრი გადაჰკვროდა, ქოთქოთა დღე იყო, ყველა სადღაც მიიჩქაროდა.

„ვიქტორიას პარკში“ იდგნენ გუბურასთან და მტრედებს შესქცეროდნენ. ფეხქვეშ ახალი, იმედის მომცემი ბალახის შეგრძნება სიამოვნებდათ. ბიჭმა ხელი მოხვია, მიიზიდა და აკოცა. გოგონას მოეწონა მისი სურნელი, მისი ტუჩების გემო და გაუხარდა, სხვა ბიჭებივით, ისკენდერს მაისურის ქვეშ ხელის შეცურება რომ არ უცდია. არ გამოჰპარვია სიმტკიცე მის ხმაში, გამბედაობა თვალებში და ვნება სულში.

ხელჩაკიდებულები ისხდნენ სკამზე და ფეხით მოსიარულეებს შესცქეროდნენ, თან თითოეულ გამვლელზე სახალისო შეფასებას უჩურჩულებდნენ ერთმანეთს. გიჟი. ბებერი ძუკნა. ჯიბგირი. ზოგი ულიმოდა, უხაროდათ ახალგაზრდა შეყვარებულების დანახვა, უმეტესობა კი მზერას არიდებდა.

— აი, იმ ტიპზე რას იტყვი? — ჰკითხა კეიტიმ, — რაღაც საეჭვო ჩანს, არა?

ისკენდერმა მის მზერას გააყოლა თვალი და მათკენ მომავალი გამხდარი, შავთმიანი კაცი შერჩა. მაშინვე გაიმაგრა ზურგი და ხელი უფრო მაგრად მოხვია კეიტის.

— რა? იცნობ?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ისკენდერი უსიტყვოდ მოტრიალდა და გზისკენ ზურგშექცევით დაჯდა, თან, სახის დასაფარავად საყელო აიწია. კაცმა, რომელსაც ორატორს ეძახდნენ, წყვილს ისე ჩაუარა, არც შეუხედავს.

— რა ხდება? ვინმე ისეთია, ვისი ნახვაც არ გინდოდა? — იკითხა კეიტიმ.

— ისეთი არავინ, უბრალოდ, არ მინდოდა, შენთან ერთად დავენახე.

კეიტი ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, რადგან ისკენდერი ყოველთვის თავის ნაჭუჭში იკეტებოდა, როცა ისეთ შეკითხვას უსვამდნენ, რაზეც პასუხის გაცემა არ სურდა. განსაკუთრებით, ოჯახსა და ბავშვობაზე ლაპარაკი არ უყვარდა. ბიჭის ზოგიერთი მხარე კეიტისთვის სრულებით დაფარულ იყო. კარგი ბიჭიაო, ფიქრობდა, მაგრამ სიბრაზის შემოტევები ახასიათებსო. შემდეგ შეხვედრაზე — ეჭვი არ ეპარებოდა, კიდევ შეხვდებოდნენ — ისკენდერი უფრო თავაზიანად მოექცეოდა, ამაში დარწმუნებული იყო.

სასწაულები

ლონდონი, 1977 წლის 24 დეკემბერი

კარგად განათებულ, ტევად, მზარეულებითა და დამხმარეებით სავსე სამზარეულოში ელიასი, „კლეოს“ შეფმზარეული, უზარმაზარ ქურაზე იყო დახრილი, ტაფები შიშხინებდა. ნელა ურევდა სქელ, ნაღებიან სოკოს სოუსს. თითქმის მზად იყო, ცოტაღა აკლდა სრულყოფილებამდე. ტაფის ქურიდან გადმოდგმამდე ყოველთვის უმატებდა მწიკვ მუსკატს. ეს მისი პატარა საიდუმლო გახლდათ. დღეს კი ყველაფერი იდეალურად უნდა გამოსვლოდა. შობის საღამო იყო, ბოლოს და ბოლოს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნათლობით მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო, არჩევანით — აგნოსტიკოსი[1] გახლდათ, თუმცა შობა ძალიან უყვარდა: სიმღერები, ოჯახური შეკრებები, გაზიარება, გაცემა და, განსაკუთრებით, სასწაულების რწმენა. ბიჭობაში ყველაზე მეტად წმინდა ანდრია კრიტელი უყვარდა — იმიტომ კი არა, რომ სხვებზე ღვთისმოსავი ან სათნო იყო, — ის თვითონ გახლდათ მოსიარულე სასწაული. წმინდა ანდრია მუნჯი დაიბადა, მერე კი ერთ დღეს, შვიდი წლისამ ენა ამოიდგა და, ასაკისთვის შეუფერებლად, ჭეშმარიტების ღაღადი დაიწყო. პატარა ელიასს ძალიან უყვარდა ეს ისტორია, წარმოიდგენდა ხოლმე იმ ხალხის გაოგნებულ სახეებს, ვინც მის პირველ სიტყვებს შეესწრო. ის ფაქტი ახარებდა, წმინდანი ისტორიაში არა მარტო მქადაგებლად, არამედ ჰიმნოგრაფადაც რომ შევიდა. მუნჯმა ბიჭმა თუ ამდენს მიაღწია, იქნებ, ცხოვრება არც ისეთი ნაღვლიანიაო.

ტაფას ერთი მწიკვი მუსკატი მოაყარა, კიდევ ერთხელ მოურია და ქურა გამორთო. სუ-შეფი გვერდით ამოუდგა, ფრთხილად გადაასხა სოუსი ფაიფურის ჯამში. სოუსი უნდა გაციებულიყო, სანამ მასში სტეიკის ორმოცდათხუთმეტ ნაჭერს ამოავლებდნენ.

საათს დახედა, სანამ შემდეგი კერძის მომზადებას შეუდგებოდა: მსხლის ნამცხვარი სანელებლებითა და ნეკერჩხლის თხილის სოუსით. მზარეულობისას მეტალის ნივთებს არასოდეს იყენებდა, ესეც მისი საიდუმლო იყო. ყველაფერი ხის უნდა ყოფილიყო. მეტალი ცივი და მეტისმეტად მშვენიერი გახლდათ, მხოლოდ გაკონტროლება შეეძლო და არა — დაკავშირება. ხე კი მოუქნელი, უხეში, მაგრამ ნაღდი.

შობის დადგომამდე შვიდი საათიღა რჩებოდა, 1978 წლამ-

---

1 ადამიანი, რომელიც თავს არც მორწმუნეს უწოდებს და არც ურწმუნოს. კითხვაზე „არსებობს ღმერთი?“ პასუხობს: „არ ვიცი“, რადგან მთლიანად ან ნაწილობრივ უარყოფს სამყაროს რელიგიური შემეცნების შესაძლებლობას.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დე კი — მხოლოდ რამდენიმე დღე. ელიასი ახალ წელს დიდი მოლოდინით არ ეგებებოდა, მხოლოდ იმედოვნებდა, ნაკლებ დამთრგუნველი ყოფილიყო, ვიდრე წინა.

ბოლო თორმეტი თვე მისი ცხოვრების ხუთ ათწლეულში ყველაზე რთული აღმოჩნდა. წლის დასაწყისში წარმატებული კარიერა, ლამაზი ცოლი, დიდი სახლი ისლინგტონში და რესტორანი, სადაც იმაზე უფრო დატვირთული იყო, ვიდრე შეეძლო, გასწვდომოდა. შვიდი თვის მერე კი პაწაწინა ბინაში აღმოჩნდა, მარტო. რამდენიმე მეგობრის გარდა, თითქმის არავის ეკონტაქტებოდა. ცდილობდა, მოულოდნელი განქორწინების ტრავმა მოეშუშებინა. საკუთარ ემოციურ მდგომარეობას ბატარეადაცლილ სათამაშო მატარებელს ამსგავსებდა, აღმართზე ასვლას რომ ვერ ახერხებს. ქორწინების ბოლო პერიოდში დაუცხრომლად ცდილობდა, უკანასკნელ ძალებს იკრებდა, ოჯახი შეენარჩუნებინა, მაგრამ ბოლოს, ლიანდაგებს მოსწყდა. განქორწინებამ უშნო სახე მიიღო — საკუთარ თავს აღარ ჰგავდნენ. ფინანსურ საკითხებზე კამათობდნენ, ემოციურის ნაცვლად. ბოლოს კი დათმო — ცოლიც, ალიმენტიცა და მოგონებებიც.

ცოლი უყვარდა, რაღაც კუთხით, ჯერაც უყვარდა. ანაბელი, თავისი ნატიფი სხეულით, ვიწრო მხრებით, ფერმკრთალი სახით, ბრიტანული აქცენტითა და ბრწყინვალე იდეებით, იყო ის, ვის გამოც გადმოვიდა საცხოვრებლად ამ ქვეყანაში. იგი თვით დედოფალზე მეტად ინგლისელი იყო და თავის ოჯახს, გლოსტერშირში, თითქოს ჭიპლარით მისწებებოდა, ამიტომ ბუნებრივად მოეჩვენათ, იბიცაზე გატარებული თაფლობის თვის შემდეგ ლონდონში დასახლებულიყვნენ. თანაც, თავად ყველგან შეძლებდა სამსახურის დაწყებას, ქალი კი ვერა — ის თავის მიერ დაარსებულ ქალთა უფლებების ცენტრში მუშაობდა.

მართალია, ინგლისში ცხოვრების გეგმას არ შესწინააღმდეგებია, მაგრამ გადასვლა იოლი არ აღმოჩნდა. ადრიანი სამოცდა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ათიანების ლონდონი შორს იდგა კულინარიული სამოთხისგან. თითო-ოროლა მაღალი კლასის რესტორანი მოიძებნებოდა მხოლოდ და კულინარიაში ახალი მიდგომები დაუფარავ ეჭვებს აღძრავდა. ინდური სამზარეულო პოპულარობით სარგებლობდა, მაგრამ ელიასს სრულიად განსხვავებული არომატების წარდგენა სურდა. მთლიანობაში, ინგლისური კერძები მძიმე და ჩაკეტილი ეჩვენა, კლიენტები კი ახლებურ გემოს არ იკარებდნენ.

ბოლოს, მათი ქორწინება ისე დამთავრდა, როგორც დაიწყო: გადაუდებლობის შეგრძნებითა და გამოწვევების საჭიროებით. განქორწინების საბუთზე ხელის მოწერის შემდეგ ელიასს შვიდწელიწადნახევრიანი ქორწინებიდან მხოლოდ ზარმაცი სპარსული კატა მაგნოლია და ისეთი ფოტოებით სავსე ალბომი შერჩა, რომელთა ნახვა არ სურდა. მოგონებების, ზოგჯერ კი ოცნებების სიმწარეც შემორჩა.

შუა ზაფხულში დედამისმა დაურეკა და მამამისის მეორე გულის შეტევის შესახებ შეატყობინა. ამჯერად მოხუცი ვერ გადარჩენილა. ელიასმა პირველის შესახებაც არაფერი იცოდა.

— ყოველდღე შენზე ლაპარაკობდა, — თქვა დედამ, — მამაშენი პატივს გცემდა იმისთვის, რაც აქ გააკეთე. მაგრამ ზედმეტად ამაყი იყო, შენთვის რომ ეთქვა.

ისე ცუდად ისმოდა, ელიასი დარწმუნებული არ გახლდათ, ყველაფერი სწორად გაიგო თუ არა.

— სახლში მოვდივარ, დედა.

— ახლა არა, ძვირფასო, — უთხრა ქალმა, — ჩამოხვალ და გვინახულებ მე და კლეოს, როცა შენც უკეთესად იქნები და მეც. ახლა ერთმანეთს ვერაფერს ვუშველით. იქ დარჩი, სადაც ხარ და ის გააკეთე, რაც საჭიროა. მამაშენს ეგრე ენდომებოდა.

დედამისის რჩევის გარეშეც კარგად იცოდა, საბოლოოდ მაინც ვერ მიატოვებდა ლონდონს. ბევრს იმუშავებდა, რათა წარსული შთაენთქა, ისე ხარბად, ისე მონდომებით, როგორც აბრეშუმის ჭია ანადგურებს მის გარშემო ყველა ფოთოლს, მერე კი დაელოდებოდა, როდის გამოაძვრენდა ვინმე საკუთა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რი პარკიდან, სასწაულებრივად გარდაქმნილს. ერთადერთი, რაც 1977 წლის განმავლობაში უცვლელად შენარჩუნდა, მისი ბიზნესი იყო. რესტორანი წარმატებით მუშაობდა, თითქოს პირად ცხოვრებაში წარუმატებლობის ასანაზღაურებლად. მალე მეორე ფილიალის გახსნას აპირებდა რიჩმონდში.

ელიასი ტკივილს შეეჩვია. ტკივილი მუცელში წარმოიშვა, ნეკნებთან აცოცდა და მკერდში დაბუდდა. სიცილი უჭირდა, ზოგჯერ სუნთქვაც კი. მეგობრები განუწყვეტლად ურეკავდნენ, ჩასჩიჩინებდნენ, ახალი ქალები გაეცნო, ტელეფონზე შეტყობინებებს უტოვებდნენ, ბრმა პაემნებს უწყობდნენ. სიმართლე კი ის გახლდათ, რომ ელიასი, ბოლო დროს, უფრო და უფრო ცდილობდა, მარტო დარჩენილიყო. მარტოობა, ის შეგრძნება, რისიც ლამის მთელი ცხოვრება ეშინოდა, ახლა ფიზიკური და ხელშესახები გამხდარიყო, სითხესავით. თითქოს სხეულში სისხლის უჯრედებსა და ქსოვილს უწრეტდა, ადგილს იკავებდა და ამძიმებდა, როგორც წყალი — მშრალ ღრუბელს. მისდა გასაკვირად, დიდად არ აწუხებდა ეს ამბავი.

ვარდისფერი ბედისწერა — ასე გაეცნო ქალი. ელიასმა მაშინვე შენიშნა, რამდენად განსხვავდებოდნენ ის და ანაბელი. ყოფილ ცოლს პემბე რომ გაეცნო, მას უბრალო და დაუხვეწავ ქალად ჩათვლიდა. ყველა კაცი გულის სიღრმეში განა ამაზე არ ოცნებობსო, — აღნიშნავდა, — მარტივ ქალზე, რომელიც ბევრ შეკითხვას არ სვამს, არ ჩააცივდება, არ გააკრიტიკებს და არ შეეწინააღმდეგება კაცს. თუმცა, ანაბელი იმასაც დასძენდა, ფუჭი ოცნება არისო, რადგან მარტივი ქალი არ არსებობსო, უბრალოდ ზოგი კარგად ნიღბავს, ზოგი კი ცხადად წარმოაჩენს თავის სირთულესო.

მართალია, გონებაში ანაბელის ხმა ჩაესმოდა, მაგრამ მაინც პემბეზე ფიქრობდა. თავიდან იმედი ჰქონდა, ესტუმრებოდა რესტორანში და საყვარელ თემებზე ისაუბრებდნენ, შეიძლება ერთად ემზარეულათ კიდეც. მეგობრული შეხვედრა, სხვა არაფერი. თავის გარეგნობას ბოლო დროს განსაკუთრე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბულ ყურადღებას აქცევდა, მაგრამ ნელ-ნელა იმედი უიმედობამ მოიცვა. მიხვდა, ქალი არ მოვიდოდა. ან რატომ უნდა მოსულიყო? ელიასი იმდენად დიდხანს ცხოვრობდა საკუთარ თავში ჩაკეტილი, ალბათ რეალობის შეგრძნება დაკარგა.

მუშაობა ამშვიდებდა, როგორც ყოველთვის. იმ ღამეს, გარდა იმისა, რომ შობისთვის ემზადებოდნენ, ორი პრესტიჟული ღონისძიებისთვის უნდა მიეწოდებინათ კერძები. ყველანი დაკავებული იყვნენ და არავის ეცალა, ეკითხა, ბოლო წუთს რატომ ჩაამატა მენიუში ბრინჯის პუდინგი ფორთოხლით.

ნახევარი საათის შემდეგ, სტეიკის ნაჭრებს ჯერ კიდევ პიკანტურ სოუსში რომ ავლებდნენ, ერთ-ერთმა ასისტენტმა აცნობა.

— შეფ, მნახველი გყავთ.

ელიასმა წარბები აზიდა, ფიქრებიდან გამოერკვა.

— ჰმმ?

— ვილაც გკითხულობთ.

— მოგვიანებით, — თქვა ელიასმა, — ახლა საპირფარეშოში გასასვლელადაც არ მცალია.

ასისტენტმა მხრები აიჩეჩა და გატრიალდა. ელიასი დაეჭვდა:

— მოიცა, წითურთმიანი ქალი ხომ არ არის?

— წითური თმა როგორია, ზუსტად, შეფ...?

— დაივიწყე, — ჩაილაპარაკა ელიასმა, გადაწყვიტა, თავად ენახა.

წლების მერე ელიასი იმ წუთს გაიხსენებდა — როგორ გამოვიდა სამზარეულოდან, ხელსახოცზე შეიწმინდა ხელები და დანახვისთანავე მისკენ გაექანა. პემბე ფოიეში იდგა, ქვედაბოლოს ექაჩებოდა, თითქოს მაშინღა შეამჩნია, რომ ზედმეტად მოკლე იყო. მკლავქვეშ ღვინისფერი ხელჩანთა ამოედო, სახეზე დანაშაულის გრძნობა ეტყობოდა, ჯერ კიდევ ვერ იჯერებდა, იქ რომ მივიდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცარიელ რესტორანში მაგიდას მიუსხდნენ, რაც ცოტა ეუცნაურათ. დანარჩენები საქმიანად ფუსფუსებდნენ მათ გარშემო, ეს კიდევ უფრო ეუცხოვათ. ყოველ წუთას ერთ-ერთი ასისტენტი მოდიოდა, რაღაცას ეკითხებოდა და ყოველ ჯერზე ელიასი, ერთდროულად, ფორიაქითა და სიმშვიდით პასუხობდა.

— შედი შენ სამზარეულოში, — თქვა პემბემ მოგვიანებით.

— არა, არა, მაგაზე არ იდარდო. დრო ბლომად მაქვს, — იცრუა ელიასმა.

ქალმა გადაჭრით იუარა, თავი გააქნია:

— არა, წადი, მაგრამ შეიძლება, მეც შემოვიდე?

— დარწმუნებული ხარ? — იკითხა ელიასმა, — ნამდვილი საქათმეა შემოპარული მელიით. ორი საათიღა დარჩა სადილამდე და ყველა გიჟივითაა.

ქალს მკაცრი ღიმილი აღებეჭდა სახეზე. საპარიკმახერო იმ დღეს არ მუშაობდა, მისი ოჯახი კი შობას არ აღნიშნავდა, ამიტომაც, თავისუფალი დრო ბევრი ჰქონდა. თანაც, უყვარდა საქათმეები. ელიასი ყოყმანით გაუძღვა სამზარეულოსკენ, სადაც ყველა ისეთი დაკავებული იყო, ყურადღებაც არ მიუქცევიათ პემბესთვის. ელიასმა უნიფორმა მისცა და ქალის მოთხოვნისამებრ, დაავალა წიწაკის კუბებად დანაწილება, მწვანილის დაჭრა, კოჭას გათლა და ასე შემდეგ. პემბე უსიტყვოდ და შეუსვენებლად მუშაობდა.

მოგვიანებით, როცა პემბეს წასვლის დრო მოახლოვდა, ელიასმა კარამდე მიაცილა. ნახატის ქვეშ იდგნენ, რომლიდანაც ცარცივით თეთრი, შიშველი ქალი ინდიფერენტულად იყურებოდა — ინგრესის გრანდ ოდალისკის რეპროდუქცია. სხვადასხვა მიზეზით, ორივენი უხერხულად გრძნობდნენ თავს, ნახატის მზერასაც არიდებდნენ თვალს და ერთმანეთისასაც.

— შენგან დავალებული ვარ, — უთხრა და როცა მიხვდა, ქალმა მისი ნათქვამი ვერ გაიგო, დასძინა, — გმადლობ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მადლობას მე გიხდი, — თქვა პემბემ, — იმ დღეს ძალიან დამეხმარე.

იმდენად ეშინოდა, რამე არასწორად ეთქვა ან გაეკეთებინა, ან კულტურული ნორმისთვის გადაებიჯებინა, მხოლოდ ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად. ქალმა ჟესტს ყურადღება არ მიაქცია და ლოყაზე ნაზად აკოცა.

შრიუსბერის ციხე, 1991 წელი

შუადღეს ოფიცერი ენდრიუ მაკლაგლინი ვნახე, რომ ჩემი დის საფოსტო ბარათი გამომერთმია. მელოდა.

ნახევარი საათი მაცდევინა. საქმე არაფერი ჰქონდა, უბრალოდ მაგრძნობინა, რომ თავად იყო უფროსი. ჩემ გარდა, ახალი პატიმარიც უცდიდა. ფეხს ნერვიულად ატოკებდა, რაღაც ფურცლები ჩაებლუჯა, საყვედურის სათქმელად მოსულიყო. ერთი შეხედვითაც ჩანდა, ახალმოსული რომ იყო — ჯერაც გამოუცდელი, ტკივილით დაუმძიმებელი.

— ხომ არ შეიშალე, — მინდოდა მეთქვა, — ტყუილად ნუ შეიწუხებ თავს.

ციხეში დაბეზღება კარგი არასდროსაა, განსაკუთრებით პირველ კვირებში, როცა ყველა მტაცებელივით შემოგქცერის და ჯერაც არ იცი, ვინ ვინაა. არიან ადამიანები, ვინც არ უნდა გადაიმტერო და თუ გადაიკიდებ, გირჩევნია, გამხნევდე.

ჩემ წინ, კედელზე დაფა ეკიდა, რომელიც სავსე იყო პოსტერებითა და ბროშურებით ორგანოების დონორობას, მეტადონის თერაპიას, პატიმრების მეგობრებისა და ოჯახების ჯგუფებს, B და C ჰეპატიტებს, „სამარიტელების“ პატიმართა მხარდაჭერის პროგრამას რომ შეეხებოდა. თავისუფალი კაცისთვის ეს ყველაფერი ციხის ცხოვრების უბედურებას უკავშირდება, ჩემთვის კი ასე არ იყო. ათწლიანი პატიმრობის შემდეგ გარე სამყაროსი უფრო მეშინოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რვა წლის ვიყავი, ესმა თითქმის შვიდის, როცა ინგლისში ჩამოვედით და წითელი ავტობუსიდან დედოფლის მელოდიური საათი დავინახეთ — ასე ვეძახდით მაშინ ბიგ-ბენს. მშობლებისგან განსხვავებით, ენა სწრაფად ავითვისეთ. განსაკუთრებით დედას გაუჭირდა ინგლისურის სწავლა. გრამატიკის გაგება კი არ ეძნელებოდა, უბრალოდ, ინგლისურ ენას არ ენდობოდა. არც თურქული უყვარდა, არც მშობლიური ქურთული. მისი რწმენით, სიტყვებს ყოველთვის საფრთხე მოჰქონდა. სიტყვები იწვევდა გაუგებრობას ადამიანთა შორის. არც იმათ ენდობოდა, ვინც ჟარგონს იყენებდა, მაგალითად, ჟურნალისტებს, იურისტებსა და მწერლებს. დედას სიმღერები, ძილისპირულები, რეცეპტები და ლოცვები უყვარდა, რადგან მათში სიტყვები მეორეხარისხოვანი გახლდათ.

სახლში, შვილებთან, დედა ქურთული სიტყვებით დახუნძლული თურქულით საუბრობდა. ჩვენ ინგლისურად ვპასუხობდით და ერთმანეთშიც ინგლისურად ვლაპარაკობდით. ყოველთვის ვეჭვობდი, იმაზე მეტი ესმოდა, ვიდრე ამჟღავნებდა.

შეიძლება, ყველა იმიგრანტი იტანჯება ახალი ენისგან. თუნდაც აგურივით სქელი ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონი ავიღოთ და რამდენიმე გვერდი ახალჩამოსულს ვანახვოთ. იდიომები და მეტაფორები — განსაკუთრებით ესენი უჭირთ. წარმოიდგინეთ, რა რთულია, გაიგო მნიშვნელობა ფრაზისა „მარილზე გასვლა“. ჯერ ზმნა „გასვლა“ უნდა შეესწავლათ, მერე — „მარილი“, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ იაზრებდნენ.

რიტორიკა წითელ ლენტასავითაა, თავს მომცროდ, მყიფედ გაგრძნობინებს.

ჩემი და სხვანაირი იყო. ესმას ენა უყვარდა, როგორც იხვს — წყალი. თუ ისეთ გამონათქვამს მოჰკრავდა ყურს, რაც აქამდე არ გაეგონა, ყველაფერს იღონებდა, რომ გაეთავისებინა. სიტყვებს ისე ეპატრონებოდა, როგორც კოლექციონერი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— იშვიათ მონეტას. გიუდებოდა სიტყვებზე, მათ ელერადობაზე, დაფარულ მნიშვნელობებზე. დედა ესმას მხედველობასა და მის გათხოვებაზე დარდობდა, ბევრი კითხვა აფრთხობდა. რაც შემეხება მე, ვერ ვიცლიდი წიგნებისთვის. სლენგი უკეთ ავითვისე, უფრო მძლავრად და მომგებიანად მეჩვენებოდა. ეს ყველაფერი მაშინ შეიცვალა, როცა ენის ბორძიკი დამჩემდა.

ციხეში შევიცვალე. ერთ ღამეში არა, მაგრამ ნელ-ნელა. მართალია, მთლად სანდო პატიმარი არ ვარ, მაგრამ მარტინმა ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება მომცა, არასამუშაო საათებშიც კი. ვკითხულობდი, ვიკვლევდი და ვიაზრებდი — სამი ვ, რაც ციხის ცხოვრებას ჯოჯოხეთთან ან სამოთხესთან აახლოებს, გააჩნია, შენ როგორ აღიქვამ.

მეგონა, ჩემნაირ ტიპს ყველა შეიძულებდა, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, ასე არ მოხდა. წერილებს, ბარათებსა და საჩუქრებს ისეთი ადგილებიდან ვიღებდი, რუკაზე წერტილებად რომ მოჩანდა. არსებობდნენ ბიჭები, ვინც გმირად მთვლიდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს ცხოვრებაზე წარმოდგენა არ ჰქონდათ. ჩემზე გათხოვების მსურველი ქალებიც იყვნენ, თავიანთი სიყვარულით ჩემი განკურნება ეწადათ. რა ავადმყოფური აზრი იყო.

უფლის ძმებიც გამოჩნდებოდნენ ხოლმე, ჩემზე „მუშაობა“ რომ სურდათ. ყველა რელიგიის წარმომადგენელი იყო, როგორც ჩანს, ფართო არეალი მოვიცავი. ათასში ერთხელ, ახალი ხანის შეშლილებისგანაც ვიღებდი შეტყობინებებს. მიგზავნიდნენ ბროშურებს, ბუკლეტებს, ჩანაწერებს. „დაგვრთენება, შევეწიოთ შენს დასნეულებულ სულს, ბნელით მოცულ დღეებს ნათელი შევძინოთ“. მაღალფარდოვანი სიტყვები! თავს იკატუნებდნენ, თითქოს კაცობრიობაზე ზრუნავდნენ, არადა, მზად იყვნენ, კოცონზე დაეწვათ ნებისმიერი, ვინც მათ შეხედულებებს არ იზიარებდა. ამის მიუხედავად, ჩემნაირების მიმართ თანაგრძნობით განიმსჭვალნენ. ცოდვილების გამოსწორებისა და უფლის თვალში ქულების დაწერის ძლიერი სურ-

ვილი ამოძრავებდათ. ჩემნაირი ხალხი მათთვის სასუფევლის ბილეთი იყო.

ერთხელ ჟურნალისტმა მომაკითხა: ჯოხივით გამხდარმა, მაგრამ კარგად ჩაცმულმა, მოკლე ქვედაბოლო გრძელ ფეხებს უმზეურებდა. რამდენჯერმე მესტუმრა, თითქოს ჩემ მხარეს იყო. „მშვიდად იყავი, ალექს, მე მხოლოდ ის მინდა, შენი ისტორია გავიგო და საზოგადოებას გავუზიარო“.

როგორ კეთილშობილურად ჟღერდა! მერე კი წავიდა და საშინელი სტატია დაწერა. თურმე ბავშვობაში გამაფუჭეს, ყველაფერი დედაჩემის ბრალი იყო, როგორც უფროს ვაჟს, მანებივრებდა. „ეს შუააზიური პატრიარქატისთვის დამახასიათებელი შემთხვევაა“, ბლა-ბლა-ბლა. ისე გავლიზიანდი, ჟურნალისტებისთვის ხმა აღარასოდეს გამიცია. სიმართლე დიდად არ აინტერესებდათ. მხოლოდ იმას ცდილობდნენ, თავიანთ გონებაში წარმოდგენილი ისტორიისთვის შენი ამბავი მოერგოთ.

ანგარიშებიც კი დაიწერა, ლონდონის რომელიღაც უნივერსიტეტმა დისერტაციაც გამოსცა. ერთმა პოლიტიკოსმა კი მუსლიმი იმიგრანტების ლაფში ამოსასვრელად გამომიყენა. „ეს კაცი იმ იმიგრანტების პროტოტიპია, ევროპულ ცივილიზაციას აშკარად რომ ვერ ერგებიან“, — განაცხადა მან. ამ ხალხისთვის მე უჩინარი ვარ. დედაჩემიც. ჩვენ უბრალოდ გვიყენებენ თავიანთი მიზნებისთვის.

ოფისის კარი გაიღო და ოფიცერი მაკლაგლინის თავი გამოჩნდა.

— აბა, ვინ გვყავს აქ?

გვერდით გაიწია და შემიშვა. ოფისი მნიშვნელოვნად შეცვლილიყო. როცა მარტინი აქ მუშაობდა, სულ სხვანაირი იყო აქაურობა, მაგრამ მარტინიც სხვანაირი კაცი გახლდათ. ყველანი პატივს ვცემდით.

მაკლაგლინი საწერ მაგიდას მიუჯდა და „საქმე“ გადაშალა. ჩემი, რა თქმა უნდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ვხედავ, 1962 წელს დაბადებულხარ, — თქვა, — მე და შენ ერთი ასაკისა ვართ, ერთ თვეში დაბადებულები. წარმოგიდგენია?

იუნუსი ჰოროსკოპით ლომია, ესმა ქალწული, მე კი მორიელი, ისევე, როგორც ოფიცერი მაკლაგლინი.

— ამბობენ, ორი სახის მორიელები არსებობსო, იცოდი? — გააგრძელა საუბარი, — სხვებს რომ წამლავენ და თავს იწამლავენ.

მომაშტერდა, თითქოს იმაზე ფიქრობდა, ვიყავი თუ არა ანომალია, რომელიც ორივე კატეგორიას ერგება.

— აქ წერია, რომ გამუდმებით კარცერში გამწესებდნენ. ბევრ ჩხუბში მიგიღია მონაწილეობა. რა ჩხუბისთავი ყოფილხარ! პატიმრისთვის ცხვირი გაგიტეხია, ბადრაგს თავს დასხმიხარ, უი, მეორე პატიმრისთვის თითები დაგიმტვრევია. თანაც ოთხი, — საუბარი შეწყვიტა და შემათვალიერა, — აუჰ, როგორ ეტკინებოდა.

მუცელი დამეჭიმა.

— ეგ როგორ ქენი, ალექს? მყარ ზედაპირზე დაადებინე და ერთდროულად დაალეწე თუ სათითაოდ?

ვხვდებოდი, რასაც ცდილობდა. მახსენებდა, ვინ ვიყავი. ჩემი ცხოვრება ორი ხანისგან შედგება. პირველ ხანაში ყველას თავის ტკივილი ვიყავი, სხვას ვერაფერს დავარქმევ. ბრაზით, სიძულვილით სავსე, დაკარგული. მერე მეორე ხანა დადგა, რაც მეტ-ნაკლებად ჩემს დღევანდელ სახეს ასახავს. ჯერ კიდევ გაბრაზებულსა და გაცოფებულს, თუმცა, უფრო — საკუთარ თავზე და არა ჩემ გარშემო მყოფებზე.

— ცემენტის ბლოკით დავუმტვრიე ხელი, — ვუპასუხე.

— ჰო, — დამიქნია თავი, — და ოფიცერი? მანდ რა მოხდა?

— პატარა უთანხმოება მქონდა.

ითხოვდა, მეცემა. მწყობრიდან გამოყვანას ცდილობდა, აინტერესებდა, როდემდე მოვითმენდი. ჩხრეკისას გადაკუზვას მთხოვდა, სახელებს მეძახდა, მიწვევდა. კბილის ჯაგრისში

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სამართებელი ჩავმალე და ნახევარი სახე დავუსერე. მოგვიანებით, სხვა საპატიმროში გადაიყვანეს. როგორც ვიცი, იარები ვერ მოიშუშა.

— აქ წერია, რომ კრუნჩხვა, ეპილეფსიური, პანიკის, შფოთის შეტევები, ფსიქოზი, სუიციდის მცდელობა გახასიათებდა. ჰმმ დ უცებ გაჩერდა, რალაც საინტერესო აღმოაჩინა, — მეტყველებაში შეფერხება! ეგ რალაა?

— ენა მებმოდა, — ვუპასუხე, — ერთხანს.

„გამიარა, მაგრამ მთლად ბოლომდე არა. ნერვიულობისას ისევ ვბორძიკობ“, — თუმცა ეს სიამოვნება მას არ მივანიჭე.

მაკლაგლინი კითხვას მიუბრუნდა.

— მძიმედ მედიკამენტიზებული. ტრაზოდონი, ზიმელიდინი, ლითიუმი, პაქსილი, ვალიუმი, ქსანაქსი...

ზოგი წამალი საერთოდ არ მოქმედებდა, ზოგი მცირე ხნით, ზოგს კი ისეთი გვერდითი ეფექტები ჰქონდა, უარეს დღეში მაგდებდა. ლითიუმისგან წონაში ვიმატებდი, ზიმელიდინისგან გული მერეოდა, ერთხელ ტრაზოდონმა მტკივნეული ერექცია გამოიწვია და სამი დღე არ გამიქრა. დამაინტერესა, ეს ყველაფერი ჩემს საქმეში ეწერა თუ სამედიცინო ისტორიაში მოიქექა და იყო თუ არა ეს ლეგალური.

უცებ ჩაიხითხითა, მხრები აუთამაშდა.

— ოჰ, თურმე ხორცს არ ჭამ!

თავი ვუქნიე.

ისევ გაეცინა.

— ბოდიში, თავს ვერ ვიკავებ. შენნაირი მოძალადისგან, ტიპმა რომელმაც დედამისი მოკლა და ძალადობისკენ აქვს მიდრეკილება, უცნაურად ჟღერს ცხოველებზე დარდი!

არაფერი ვთქვი და უხერხული სიჩუმე ჩამოწვა.

— შეიძლება საფოსტო ბარათი წავიღო?

— როგორ არა, — უცებ დასერიოზულდა, — როგორც კი მეტყვი, რატომ დაარტყმევინე შენს თანამესაკნეს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მწყობრიდან გამოდიოდა, ცოლმა განქორწინება მოითხოვა. სჭირდებოდა, ვინმესთვის დაერტყა.

— და შენ, კეთილმა სამარიტელმა, მკერდი მიუშვირე, არა?

უჯრა გახსნა და ესმას საფოსტო ბარათი ამოიღო. ჩემდა გასაკვირად, არ მაწვალა და პირდაპირ მომცა. მერე დასძინა:

— ზოგ გიჟს ჰგონია, ჰუდინი მუცელში დარტყმისგან გარდაიცვალა. ამტკიცებენ, მუშტებმა ბრმა ნაწლავი გაუხეთქაო.

არაფერი ვთქვი. რა საჭირო იყო მელიარებინა, რომ შესაძლოა, მეც ეგეთი გიჟი ვყოფილიყავი. თუ ბრმა ნაწლავში რამდენჯერმე საჭირო ძალით ჩაარტყამ, მიზანს მიაღწევ. მთავარია, სწორი კუთხე იპოვო. ვცდი. რა მაქვს დასაკარგი? სიკდვილზე ექსპერიმენტებს ვატარებ.

— ალექს, საკმარისი მტკიცებულება მაქვს განვაცხადო, რომ თავის მოკვლას ცდილობ. თუ ის მორიელი ხარ, რომელიც თავს იწამლავს.

იმაზე ჭკვიანი აღმოჩნდა, ვიდრე ველოდი. თუმცა არაფერი მილიარებია.

— ეგ რატომ უნდა მინდოდეს? მალე თავისუფალი კაცი ვიქნები.

მაშინ კი ოფიცერი მაკლაგლინი გადმოიხარა, თვალებში ჩამხედა და ერთადერთი ჭეშმარიტება მითხრა, რაც ოდესმე წამოსცდენია:

— ალექს, ორივემ კარგად ვიცით, თავისუფალი კაცი არასოდეს იქნები. აქაურობას თავს რომ დააღწევ, არც მაშინ. გარეთ, ქუჩაში გასულს სინდისის ქენჯნა არ მოგასვენებს, — მერე სკამს მიეყრდნო, — რომ იცოდე, ჰუდინის გარდაცვალებას დარტყმებთან არაფერი ჰქონდა საერთო. ბრმა ნაწლავი მანამდე გაუსკდა.

— რატომ მეუბნები ამ ყველაფერს?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რადგან ბრძენი მეზღვაური ნავსადგურში შტორმამდე ბრუნდება.

— თუ არანაირი შტორმი არ ახლოვდება? — ვთქვი და წამოვდექი, — და ტყუილად უბრუნდები ნავსადგურს?

შეცდომა დავუშვი. ასე არ უნდა მესაუბრა, მაგრამ ჩემმა „ეგომ“ გამოიღვიძა.

— დაჯექი, — თქვა მაკლაგლინმა.

დავჯექი. დუმილში მთელი წუთი გავიდა.

— ახლა კი შეგიძლია, წახვიდე, — თქვა მაკლაგლინმა.

კარისკენ რომ გავწიე, მისი ჩურჩული გავიგონე:

— რას მოდიხართ ინგლისში და მთელი თქვენი უბედურება მოგაქვთ თან?

ბრიტანელების ზიზღი უცხოელების მიმართ ძალიან მაცბუნებს. პირისპირ ყოველთვის არ გიწოდებენ „სპიკს“ — ბინძურ არალეგალს, თუმცა ზოგჯერ, ეგრეც ხდება. რასიზმი, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი არ არის. უფრო შეფარული და დახვეწილია. ბრიტანელების რასიზმი კანის ფერისა და რელიგიისკენ არ არის მიმართული, უფრო იმისკენ, თუ რამდენად ცივილიზირებული ხარ.

ჩემი საკნისკენ გავემართე, გზად რამდენიმე ბიჭს მივესალმე. უმეტესად ინგლისელები იყვნენ ამ ჭერქვეშ გამოკეტილი, მაგრამ რამდენიმე ლათინოამერიკელი, რუსი, ბულგარელი, არაბი და აფრიკელიც ერია. ყველა ერში არის კარგი და გაფუჭებული ვაშლები. მე ასე ვთვლი. ზოგ ადამიანს ტვინი აქვს გამოლაყებული ჩხუბისა და ნარკოტიკისგან. ჩემიც კარგად აზელილია. აქ ბევრი ნარკომანია. ზოგი დაბოლებისა და სექსუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების გარდა არაფერზე ფიქრობს. ჰომოსექსუალებისთვის აქ ყოფნა ძალიან რთულია. პირველად რომ მოვედი, არც ერთი ბანდა არ მომეწონა და გადავწყვიტე, ჩემი ჩამომეყალიბებინა. ადვილი არ გახლდათ, მაგრამ გამომივიდა. მკაცრი, დაუწერელი კანონები შევქმენით, ყველა ემორჩილებოდა. პედოფილებისა და სექსუ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ალური მოძალადეების მიმართ შემწყნარებლობას არ ვიჩენ-
დით. გეებს, პედოფილებს, ავადმყოფებსა და ნარკომანებს არ
ვაჭაჭანებდით.

უეცრად ვიგრძენი, მათი მეთაურობის თავი ალარ მქონ-
და. ლიდერი ვიყავი, მაგრამ ბანდა დავტოვე, პრობლემები უნ-
და მომეგვარებინა. საკუთარი თავისთვის რომ არაფერი და-
მეშავებინა, ძლიერად გამაბრუეს. კვირაში შვიდი დღე, დღეში
ოცდაათხი საათი მდარაჯობდნენ, რომ თავის მოკვლა არ
მეცადა. დიდი ხნის განმავლობაში კიდევ უფრო მძიმდებოდა
მდგომარეობა.

მერე, ერთ ღამეს, დედაჩემი გამომეცხადა. მისი აჩრდილი.
ლანდი. რაც გინდათ, ის უწოდეთ. მისი თმის სურნელი ვიყნო-
სე, რეალური იყო. მთელი ღამე ჩემთან დარჩა. მისი სახე, მისი
თვალები. პატარა ბავშვივით ავქვითინდი. მას შემდეგ შევიც-
ვალე და დღეს სხვა კაცი ვარ. შეიძლება უკეთესი არა, მაგრამ
სხვა. ამას კი ოფიცერი მაკლაგლინი ჩემი საქმის დოკუმენტებ-
ში ვერასოდეს ამოიკითხავს.

* * *

საკანში დაბრუნებულს, მაგარო რამდენიმე საბანქვეშ ჩა-
მალული დამხვდა, დანაცრული სახითა და დახუჭული თვალე-
ბით. გაბრუებული ჩანდა.

— როგორ ჩაიარა? — მკითხა.

— გადასარევად! ერთმანეთის მოხრჩობა არ გვიცდია.

— მაგარია, — თქვა და თავის უგრძნობ მდგომარეობას
დაუბრუნდა. მას მერე, რაც განქორწინების შესახებ შეიტყო,
სულ უფრო მეტ წამალს ყლაპავდა.

წუთით გავიფიქრე, მეთქვა, დაიკიდე-მეთქი, მაგრამ აშ-
კარად მარტო დარჩენა სურდა. ამას პატივს ვცემდი. ჩემს სა-
წოლზე წამოვწექი დაღვრემილი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სხვა სამყაროსთან დამაკავშირებელი ხიდი არსებობს — თმის ღერივით სიფრიფანა და გველთევზასავით სლიკინა. განკითხვის დღეს ყველა ადამიანს მარტოს მოუწევს ამ ხიდის გადალახვა. ცოდვილების ღრიალს გაიგონებთ, კანს რომ დააძრობენ და მოხარშავენ. ცოდვილები ხიდის ქვეშ აალებულ ცეცხლში ჩაცვივდებიან. თუ საკმარისი სიკეთე გიკეთებია, ეიდის დღეს შენ მიერ შეწირული ცხოველები მკვდრეთით აღდგებიან და მეორე მხარეს მეგზურობას გაგიწევენ. ვინ მასწავლა ეს ყველაფერი? მგონი, ბიძია ტარიქმა, თუმცა დარწმუნებული არ ვარ.

ხორცის ჭამა შვიდი წლისამ შევწყვიტე. ყოველ ეიდზე უფალს პატიებას ვევედრებოდით, რადგან ცხოველის შეწირვას ვერ ვახერხებდით. მეზობლებს ხორცი მოჰქონდათ ჩვენთვის, რაც ძალიან გვახარებდა. სტამბოლში ცხოვრების ბოლო წელს, დედამ მამას აიძულა, ვერძი ეყიდა, თანაც, დიდი ვერძი. ბოლოს და ბოლოს, ინგლისში ვაპირებდით წასვლას. მამამ იქაურ ქარხანაში სამუშაო იპოვა. ღმერთმა ახალი კარი გაგვიღო და ვალდებულები ვიყავით, სათანადო მადლობა გადაგვეხადა.

მამა წუწუნებდა, რაოდენ ძვირი და არასაჭირო იყო ეს ყველაფერი. თუმცა, ერთ დღეს ვერძის ბღავილმა გამაღვიძა. შთამბეჭდავი ცხოველი დამხვდა, რქებზე წითელი ლენტებით. მისი გამოკვების ნება დამრთეს, წყალიც მიაწოდეს. მე და დედამ ის სარი, რომელზეც მიბმული იყო, ინით შევღებეთ. შემდეგი ორი დღე მის გვერდით გავატარე. ვერძი ჩემი პირველი და უკანასკნელი შინაური ცხოველი იყო. ბიძია ტარიქმა მითხრა, ძალიან ნუ შეეჩვევიო.

— რატომ? — ვიკითხე მე.

შუბლი შეეჭმუხნა.

— არ გითხრეს? მალე დაკლავენ.

მამაჩემთან გავიქეცი ტირილით. მხიარულ გუნებაზე დამხვდა და დამპირდა, ცხოველს ხელს არ დავაკარებო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ერთადერთი ვაჟი მყავხარ, — თქვა მან, — და გითმობ ვერძს.

ღმერთო, როგორ გამიხარდა. ბიჭობა მეამაყებოდა, ესმასნაირი გაჩხიკული გოგო კი არ ვიყავი. მომდევნო დღეს საქმეებზე გამგზავნეს და დაბრუნებულს, ვერძის გაბერილი სხეული დამხვდა, ხეზე ჩამოკიდებული.

ისიც არ ვიცოდი, რაზე უფრო დამწყდა გული: ჩემი საყვარელი ცხოველის სიკვდილზე თუ მამაჩემის ტყუილზე. თუ იმაზე, რომ დედაც თანამზრახველი ყოფილა? ან იქნებ, იმის აღმოჩენაზე, რომ არც ისეთი ძვირფასი ვყოფილვარ, როგორც მეგონა? დედამ ვერძის სისხლი წამაცხო შუბლზე, მაკოცა და მითხრა, სულთანს ჰგავხარო. მერე კი ხორცის მოსახარშად გაეშურა. სახლში ცხარე, წებოვანი სურნელი ტრიალებდა. საღამოს კერძი რომ დამიდეს, ჭამაზე უარი ვთქვი.

— თუ იცი, ეგ ვერძი რამდენი დამიჯდა? — მკითხა მამამ, — წარმოდგენა მაინც თუ გაქვს, შე უმადურო ლაწირაკო!

მაშინ არ ვიცოდი, რა მეტაკა, მაგრამ ახლა კი ვხვდები. ბრაზი. ადრენალინი. ტალღასავით გადამიარა. ვერც კი გავაცნობიერე, მამას რომ ვეურჩე. თეფში იმაზე უხეშად გავწიე გვერდით, ვიდრე ვაპირებდი. საჭმელი მაგიდაზე დაიყარა. გაოგნებული მამაჩემი თვალებს ახამხამებდა, თვალებს არ უჯერებდა. ნუთუ დედისა და დის წინაშე წინააღმდეგობას ვუწევდი? ჭკუიდან გადადგა, ასეთი გაცოფებული არასოდეს მენახა.

— ისკენდერ, ჭამე! — დამიყვირა, — მე ჩემს შვილებს არ ვცემ!

მხრები ავიჩეჩე. ეს ბოლო წვეთი იყო. თავი ხორცის გროვაში ჩამადებინა. ისეთი მოულოდნელი იყო, ნიკაპი თეფშს დავარტყი, ცხვირი ჯერ კიდევ სქელ, ზეთიან ნახარშში მქონდა. ცრემლებსა და ცინგლში აზელილი კერძის ხვრეპის ხმა შემომესმა. ჩემგან მოდიოდა. ის გემო არასოდეს დამვიწყებია, ჩემი სისუსტის გემო. მამაჩემს ხელი არ გაუშვია, მჭიდროდ მიჭერ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და კისერში. ვლეჭავდი და ვლეჭავდი, მხოლოდ ჰაერის ჩასასუნთქად ვწევდი თავს.

ბოლოს და ბოლოს, შემეშვა. სახე რომ ავწიე, დავინახე, თავისი საქციელის რცხვენოდა. აგრესიული კაცი არ იყო, არ ვიცი, იმ დღეს რა დაემართა. მგონი, თვითონაც არ იცის.

დედამ ჩემთან მოირბინა, სახე მომწმინდა,

— ჩემო ლომო, ჩემო სულთანო. კარგად ხარ?

შუბლზე დადებულ დედაჩემის ხელს ყურადღება არ მივაქციე და მამაჩემს შევხედე. თვალებში სიძულვილი და საცოდაობა მეკითხებოდა. რას ვერჩოდით ერთამენთს? რატომ გადაგვქონდა ბრაზი ერთიმეორეზე?

ზუსტად იქ გავაცნობიერე, შიში კარგს არაფერს არ მომიტანდა. თუ სისუსტეს გამოვამჟღავნებდი, მამაჩემი გადამაბიჯებდა. მთელი სამყარო გადამაბიჯებდა. თუ ძლიერი ვიქნებოდი, ამას ვერავინ შეძლებდა. მას მერე სისუსტე არასოდეს გამომიჩენია. შევმცდარვარ, შემიცოდავს, მაგრამ სუსტი აღარასოდეს ვყოფილვარ. და მას მერე ხორციც არასოდეს მიგემია.

ისკენდერ ტოპრაკი

ულვაში

ლონდონი, 1978 წლის 1-ლი იანვარი

დილის ექვსის ნახევარზე ადემს უკვე ელვიძა. ბოლო დროს მაღვიძარას ულმერთოდ ადრე აყენებდა, რომ როქსანას გაღვიძებამდე, რამდენიმე საათით მარტო დარჩენილიყო საკუთარ თავთან. მოსწონდა მძინარე ქალის ყურება. სახეზე ნაკლები დაძაბულობა ემჩნეოდა, არც მასზე იყო გაბრაზებული იმისთვის, თუ რა კაციც იყო და რაც ვერ გახდა. ატმისფერი ტუჩსაცხის გარეშე ტუჩები უფრო პატარა მოუჩანდა; მისი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თმა, დართული მატყლივით, ყველა მიმართულებით გადაშლილიყო ბალიშზე.

როქსანას შეყვარება შორს მცურავი ნავის ყურებას ჰგავდა. ადემი ნაპირზე იჯდა გაუნძრევლად, მზეს იჩრდილავდა. მის წინ ნავი ცურვას განაგრძობდა. დინჯად მიდიოდა, არსად ეჩქარებოდა, შეუმჩნეველი დამშვიდობებასავით. ადემმა იცოდა, მათი ერთად ყოფნის დღეები დათვლილი იყო. ნაბიჯ-ნაბიჯ უსხლტებოდა და ისღა დარჩენოდა, ეცქირა, სანამ ქალი ჰორიზონტზე წერტილად არ გადაიქცეოდა. როგორც კი აღმოაჩენდა, ადემს ფული აღარ ჰქონდა, მაშინვე მიატოვებდა. ეს კარგად იცოდა, რადგან როქსანამ თავიდანვე დაუფარავად აუხსნა. ქალს თავისი საჭიროებები აქვს, ხშირად ამბობდა ხოლმე. როქსანა ყოველთვის განმაცვიფრებლად, მტკივნეულად პირდაპირი იყო.

როქსანა შეესწრო, რულეტში როგორ წააგო ადემმა, მაგრამ მაინც სჯეროდა, ფული სადღაც ჰქონდა გადანახული: დანაზოგი ბანკში, გასესხებული თანხა, რომელსაც დაუბრუნებდნენ, ან უძრავი ქონება ლონდონში. რამე მაინც ექნებაო. წლებია, ამ ქვეყანაში ცხოვრობსო. ყოველდღე ელოდა, დაფარული განძის გამოჩენას. თუმცა ქალის მოლოდინი უსაფუძვლო არ იყო, ადემი ყველაფერს აკეთებდა, ასეთი შთაბეჭდილება შეექმნა მისთვის.

სინამდვილეში, რამდენიმე დღის წინ ქარხანაში სამსახური დაკარგა. უყურადღებობამ სავალალო შედეგი გამოიღო. ახლა მისი ერთადერთი შემოსავლის წყარო მეგობრებისგან ნასესხები ფული იყო. მის ერთადერთ ქონებას სახლი წარმოადგენდა, რომელშიც მისი ოჯახი ცხოვრობდა. გირაო ექვსი წლის წინ მისცეს, თუმცა მხოლოდ მეოთხედი ჰქონდა გადახდილი.

როქსანამ ძილში ამოიხვნეშა და გვერდი იცვალა. სახე შეეჭმუხნა, ნესტოები ოდნავ აენთო. „არა — თქვა მან და რაღაც გაუგებრად ჩაიბუტბუტა. მერე ისევ გაიმეორა, — არა, არა“.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ადემმა სუნთქვა შეიკრა, ეცადა, მეტი გაეგო. აინტერესებდა, რა ესიზმრებოდა ქალს. მისი სხეული მასთან ერთად საწოლში იწვა, მაგრამ სული სადღაც შორს იმყოფებოდა, სხვა კაცთან. ნეტავ, ის ვილაც უყვარდა? ადემმა არც კი იცოდა, რა უფრო უარესი იყო: ის, რომ ქალს არასოდეს ჰყვარებია და გული არ გაულია მისთვის, თუ ის, რომ მხოლოდ ერთხელ უყვარდა და მეორედ იმავეს ვერავის მიმართ იგრძნობდა.

ჩუმად წამოდგა საწოლიდან. საბანი გვერდით გადავარდა, როქსანას შიშველი თეძოები გამოუჩნდა. ქალს შეეძლო, დედიშობილას ჩასძინებოდა, ზამთარსა თუ ზაფხულში, საკუთარ ტყავში კომფორტულად გრძნობდა თავს. კაცი ვერასოდეს შეძლებდა იმავეს. ყოველ ჯერზე, მას მერე, რაც სიყვარულს ეძლეოდნენ, ადემი პიჟამას იცვამდა.

— წინდები გაიხადე საწოლში. მოხუცივით ხარ! — წუწუნებდა როქსანა.

დაემორჩილა, თუმცა უხალისოდ. ყოველთვის სციოდა. ბინაში გათბობა ძლივს მუშაობდა. ძველ მილებს შეკეთება სჭირდებოდა, ალაგ-ალაგ ჟონავდა. ადემი არ წუწუნებდა. მეორე რამ, რაც როქსანას არ მოსწონდა, მისი ულვაში იყო.

— ინგლისელები ულვაშს არ ატარებენ, — ხშირად აღნიშნავდა, — როდის მოიპარსავ? სტალინს ჰგავხარ.

სიბნელეში ზიიკვლევდა გზას, სამზარეულოში შევიდა და შუქი აანთო. არეულობამ გააკვირვა, არადა, ეგონა შეეჩვია. როქსანას სახლის დალაგება ეზიზღებოდა და ხშირად კიცხავდა ადემს, რატომ არ მეხმარებიო. „ვერ მაიძულებ, გემსახურო. შენი ცოლი ხომ არ ვარ?“

დამტვრეული მინასავით ბასრი სიტყვები უყვარდა. მწარე, თითქმის შურისმაძიებელი ენა მისი განუყოფელი ნაწილი იყო. ულმობლობაზე მეტად ის აღიზიანებდა, ქალი ერთ ქვაბში რომ ხარშავდა ყველას. ადემს როცა კიცხავდა, თითქოს თავის ყველა ყოფილ მამაკაცს ერთდროულად მიმართავდა. ეს გულს სტკენდა. როქსანას მამაკაცების გალერეის წევრობა, არაფრით გამორჩეულობა, თავს დროებით საყვარლად აგ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რძნობინებდა და რეალურადაც ასე იყო. ადემს სურდა, როქსანა მისი ცხოვრების სიყვარული ყოფილიყო. არ ადარდებდა ქალის წარსული, მთავარია მას განსაკუთრებულად ჰყვარებოდა. თუმცა, ქალისთვის რომ ეთქვა, მას ალბათ გაეცინებოდა. „მე ხომ არასდროს მითქვამს, რომ მიყვარხარ?“ ყოველთვის, როცა გრძნობებზე ლაპარაკს დააპირებდა, როქსანა ხელს აუქნევდა, თითქოს შემაწუხებელი თამბაქოს კვამლის გაფანტვა უნდაო. არადა, ადემს აქამდე არასოდეს უსაუბრია გრძნობებზე, არც ცოლთან, არც შვილებთან.

ადემმა განჯინა გააღო, თვალი აარიდა ნიჟარას, რომელშიც ჭუჭყიანი თეფშები და ფინჯნები ბინძურ წყალში დაცურავდა. ძლივს მიაგნო სუფთა ტოლჩას და თურქული ყავა მოხარშა. ყავა დაბალ ცეცხლზე თუხთუხებდა, წყნარი დულილი ამშვიდებდა. სამზარეულოში მწვავე სუნი ტრიალებდა. მაგიდას მიუჯდა ჭიქით ხელში და რამდენიმე ყლუპით დაამთავრა. მაინც ვერ გამოფხიზლდა, ღამე ვერ გამოდევნა ორგანიზმიდან.

წინადღით უმცროსი ვაჟის სკოლაში მივიდა და გარეთ, ჩრდილში დაიმალა. კრიმინალივით ვარო, გაიფიქრა. მეგობრებთან ერთად გამოსულ იუნუსს ვერ დაუძახა, ყელი გაუშრა. რამდენჯერმე ისკენდერთან შეხვედრის იმედით კაფე „ალადინის გამოქვაბულში“ დადარაჯდა. ერთხელ შორიდან შენიშნა, გამხდარ ქერა გოგოსთან ხელჩაკიდებული. იცოდა, ისკენდერს ინგლისელი შეყვარებული ჰყავდა, მაგრამ მათმა ერთად დანახვამ თავი ბებრად აგრძნობინა. ბოლო თვეების განმავლობაში ბიჭი ძალიან გაზრდილიყო. ახალგაზრდა, სიმპათიური ყმაწვილი დამდგარიყო. ძალიან უნდოდა, მაგრამ ვერ გაბედა მასთან მისვლა და გამოლაპარაკება. ხალხი უყურებდა, რაც აწუხებდა. მეგობრებისა და მეზობლის მზერა, მათთან საუბარი და თან თავის მოკატუნება, თითქოს ვერ ამჩნევდა მასზე რას ფიქრობდნენ, უძნელდებოდა. სამარცხვინო კაცი, რომელმაც ოჯახი მოცეკვავის გამო მიატოვა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დერეფანი გაიარა, სააბაზანოში შევიდა, სინათლე აანთო და სარკეში თავი შეათვალიერა. ჩაცვენილი თვალები, დალაქავებული სახე, ჭაღარაშერეული თმა — არადა, ულვაში შავად დარჩენილიყო. წვერის შეკრეჭას აპირებდა, ბოლო თხუთმეტი წელი დილაობით ასე იქცეოდა, მაგრამ მარჯვენა ხელმა სხვა რამ განიზრახა. უეცარი სურვილი დაეუფლა, სამართებელს დასწვდა.

აბაზანიდან სუფთად გაპარსული გამოვიდა, საწოლზე წამომჯდარი როქსანა შენიშნა, რომელიც ქალების ჟურნალს ფურცლავდა. ერთი შეხედვით მიხვდა, ქალს ცუდად ეძინა და არც ისე კარგ ხასიათზე იყო.

— ყავა გაქვს ჩემთვის? — ჰკითხა ქალმა ისე, რომ არ შეუხედავს.

— რა თქმა უნდა, — მას როცა ელაპარაკებოდა, ხმა უცნაურად ეცვლებოდა, ექოსავით ისმოდა.

— კისერი მტკივა ისევ.

მხრები წრიული მოძრაობით დაუზილა და ხელები წუთით ქალის ზურგზე შეასვენა. ქალს კვნესა აღმოხდა, სხეული მოუდუნდა, თითქოს ეს-ესაა ქაფიანი აბაზანა მიიღოო. კაცმა მასაჟის კეთება განაგრძო, ამჯერად უფრო ძლიერად, სანამ მისი თითის წვერები ქალის კისერს შემოევლო. თავიდან შემთხვევით, შემდეგ — გამიზნულად. უცებ გააცნობიერა, თანაც პირველად არა, რომ შეეძლო, ეს ქალი მარტივად მოეკლა. მერე თქვა:

— წავალ, ყავას გაგიკეთებ.

— მოიცა, — დააკვირდა ქალი, — სახეს რა უქენი?

— აჰ, ჩემი ულვაში, — თქვა ადემმა, — მოგწონს?

როქსანამ თავი დაუქნია და გულში ინატრა, ნეტავ, არ გაეპარსაო. თავადაც არ იცოდა, რატომ. სურდა, ასე ძლიერ არ ჰყვარებოდა კაცს, ყველაფერი სხვაგვარად ყოფილიყო. ტუჩის კუთხეში სევდიანი ღიმილი აუთამაშდა და ყოველგვარი სიმწრისგან დაიწრიტა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩუმი სიურპრიზი

ლონდონი, 1978 წლის 2 იანვარი

ადრიან შუადღეს, კრისტალ-სისორზის ფანჯრებს მზე ოქროსფერში ხვევდა. ფანჯრებზე შობის დეკორაცია მწიფე მტევნებივით ეკიდა, ინტერიერს ბზინვარებას სძენდა. წინალამის წვეულებიდან გამოსაკეთებლად რიტა შავი ყავის მესამე ჭიქას სვამდა, როცა კარგი გაიღო და შუახნის კაცი შემოვიდა. სახე გაცისკროვნებოდა, ჩუმი თავდაჯერებით მოძრაობდა და თბილად ილიმებოდა.

რიტამ უცნობი აათვალიერ-ჩაათვალიერა. შამპუნის კომპანიის წარმომადგენელს ან პეტიციაზე ხელმოწერის შემგროვებელს არ ჰგავდა. არც სალონის სანიტარიული მდგომარეობის შემსწავლელი ინსპექტორი იქნებოდა. კარგად ჩაცმული და დახვეწილი, კარგი კაცი ჩანდა — თუმცა ბოლომდე ვერაფერში იქნებოდი დარწმუნებული.

— რით შემიძლია დაგეხმაროთ? — ჰკითხა რიტამ.

— დიახ, თუ შეიძლება. თმის შეჭრა მინდა.

რიტას გაეცინა.

— ჯერ დაკეტილები ვართ. თხუთმეტი წუთიც და — არა უშავს, გარეთ დაგელოდებით.

— მინდოდა მეთქვა, ეს ქალების სალონია. კუთხეში სადალაქოა, იქ შეიარეთ.

— უჰ, მანდ ვიყავი ერთხელ და ეგ კაცი ყასაბი უფროა, ვიდრე დალაქი.

— დარწმუნებული ვარ, რამეს მოვიფიქრებთ, — მხიარულად უპასუხა რიტამ.

— ისე მაინტერესებს, — ტკბილად აღნიშნა კაცმა, — შეგინიშნავთ, რამდენი სალონი გადაკეთდა უნისექსად?

— მართლა? — ჰკითხა რიტამ. ჯერაც არ გამოურიცხავს იმის შესაძლებლობა, რომ ვილაც გიჟს ესაუბრებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უკან, პატარა ოთახში მომუშავე პემბემ თმის ჯაგრისების წმენდა შეწყვიტა, რათა მოესმინა, ვის ელაპარაკებოდა რიტა. ხმა ეცნო, მაგრამ ვერ წარმოიდგენდა, რომ ის შეიძლებოდა ყოფილიყო. გული ლამის ამოუვარდა, თითის წვერებით შევიდა სალონში. თავის უფროსთან მოსაუბრე ელიასის დანახვისას ისე გაოცდა, კედელს აეკრა და ნაბიჯი აღარ გადაუდგამს.

ელიას პემბეს შემოსვლა არ გაუგია.

— ბოლო ოთხი წელია, გრძელ ვარცხნილობას ვატარებ. მგონი, ცვლილების დროა.

— აჰ-ა, ჩემს კლიენტებს სულ ვეუბნები, გოგოებო, გრძელი თმა ქალებისთვისაა. კეთილმა ღმერთმა ასე დააწესა.

პემბემ ჩათვალა, დრო იყო, საუბარში ჩარეულიყო და ელიასი თავიდან მოეცილებინა, მაგრამ ვერ მოიფიქრა, როგორ. ტუჩები დაპრუწა და იკბინა, თან აკვირდებოდა ორივეს.

— იქნებ დამეხმაროთ, — თქვა ელიასმა, — იცით, შეფმზარეული ვარ. ყოველდღე ვიღაც კლიენტი წუწუნებს, რომ სუპში თმა იპოვა.

რიტას გაეცინა.

— სიამოვნებით, ძვირფასო, მაგრამ პირველის ნახევარზე კლიენტი უნდა მოვიდეს.

— მე გავაკეთებ, — ჩაერთო პემბე.

რიტამაც და ელიასმაც მისკენ გაიხედეს. დოინჯშემოყრილებს, შუბლშეკრულებს, თითქოს დაავიწყდათ, ვინ იყო. პემბე ეცადა, დაძაბულობა არ დასტყობოდა.

— მე შევჭრი თმას.

პირველად არ ვარცხნიდა. მართალია, გამოცდილი პარიკმახერი არ გახლდათ, მაგრამ დიდი ხანია, რიტას აკვირდებოდა. შვილებს წლებია, თავად ჭრიდა თმას და შემოესწავლა.

— გადაწყვეტილია მაშინ, — რიტამ მხრები აიჩეჩა. რაღაცის დამატებას აპირებდა, მაგრამ ამ დროს კარი ფართოდ გაიღო და კლიენტი შემოვიდა. რიტა გაშლილი ხელებით შეეგება მოსულს, — მარგარეტ, რა სასიამოვნოა შენი ნახვა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამ დროს პემბემ ელიასი სკამისკენ გააქანა და უჩურჩულა.

— აქ რას აკეთებ?

— მაპატიე, მაგრამ უნდა მენახე.

— არა, არ უნდა გენახე, — განაცხადა პემბემ ფხუკიანი ბავშვივით. კისრის ირგვლივ ნაჭერი მოახვია, პლასტმასის ლანგარზე მაკრატლები დააწყო და თმის დასასველებლად წყალი შეასხურა ბოთლიდან.

ელიასმა შენიშნა, პემბე ისე აელელვებინა მასთან შეხვედრას, ხელები უკანკალებდა. ძალიან მოუნდა, მისი ხელები დაეჭირა და ბოდიში მოეხადა განაწყენებისთვის. ღრმად ჩაისუნთქა თავის შესაკავებლად. სანახევროდ ინანა დაუფიქრებელი საქციელი. მიუხედვად ამისა, ქალთან ახლოს ყოფნის სიამოვნებამ დანაშაულის გრძნობა გადაწონა. მის ყოველ მოძრაობას თვალს ადევნებდა ოვალურ სარკეში. მის შეხებაზე თვალები დახუჭა და როცა გაახილა, შენიშნა, ქალიც აკვირდებოდა. პემბეს მზერაში გამოხატულ სითბოს საერთოდ არ შეესაბამებოდა ის სიტყვები, რაც შემდეგ წარმოთქვა.

— შეგჭრი თმას, მაგრამ მეორედ აქ აღარ მოხვიდე.

— კარგი. არ იდარდო. გპირდები, აღარ მოვალ.

პემბემ შვებით ამოისუნთქა და გაიღიმა.

— აბა, როგორ შეგჭრა?

— ზუსტად არ ვიცი, — ელიასი ვარცხნილობას არასოდეს იცვლიდა და მხოლოდ ახლაღა გააცნობიერა, მთლად მზად არ იყო ამ ცვლილებისთვის, — გამალამაზე, თუ შეიძლება.

— ისედაც კარგად გამოიყურები, — ისე ხმადაბლა ჩაიბუტბუტა პემბემ, ელიასმა ძლივს გაიგონა.

ოთახის მეორე ბოლოდან სიცილის ხმა გაისმა. საკუთარ სამყაროში ჩაძირული პემბე და მისი კლიენტი გაცხარებული ჭორაობდნენ.

— რაღაც უნდა გკითხო.

— რა არის? — ჰკითხა ქალმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მისმინე, მე... მე მინდა, ახლოს გაგიცნო, მეტი დრო გავატარო შენთან. მაგრამ თუ გინდა, თავი დაგანებო, მითხარი.

პემბე დაიძაბა. სახე ოდნავ გაუფერმკრთალდა და ლამის, უსასრულობის მერე ჩაილუღლუღა.

— ნუ დამანებებ თავს.

ელიასმა მარჯვენა ხელი ასწია — კედელთან ახლოს, უცხო თვალისგან დაფარულად — და პემბეს ხელი ჩაბღუჯა. ეს იყო მათი პირველი გამიზნული შეხება. ისე მაგრად მოუჭირა, ლამის ატკინა. თუმცა, ქალი ტკივილს არ შეუწუხებია, ორივემ იგრძნო ემოციის მოზღვავება და მათი დაგვიანებული სიყვარულის შეუძლებლობა. ქალის ხელი კაცის მუჭში ბელურასავით დაუმცროვდა.

რამდენიმე წამის განმავლობაში ასე იდგნენ, სანამ ქალი არ გაიწია.

— როგორ შეგჭრა?

აი, ასე, თუ შეიძლება, — ელიასს საკუთარი ხმა შემოესმა.

პემბემ მის მზერას გააყოლა თვალი. იქვე მდგარ მაგიდაზე გადაშლილი ჟურნალი იდო, რომელზეც კაცის ფოტო იყო დაბეჭდილი. ათლეტური ჰოლივუდის ვარსკვლავი ფაიფურის კბილებითა და გარუჯული კანით, რაღაც დაჯილდოების ცერემონიაზე.

— მასავით? არა! ჰო? ნამდვილად? — ჩაიცინა ქალმა.

— ნამდვილად. ყოველთვის მსურდა, ტელევარსკვლავს დავმსგავსებოდი.

ჟურნალი აიღო და ფოტოსურათი შეისწავლა. იცოდა, კაცს მსახიობი დიდად არ ენაღვლებოდა, უბრალოდ, მასთან მეტი დროის გატარებას ცდილობდა. შემდეგი ნახევარი საათი უჩუმრად სჭრიდა თმას, საქმეზე კონცენტრირებული. სიტყვები აღარ გაუცვლიათ ერთმანეთში. ყოველ ჯერზე, როცა რიტა შესამოწმებლად მზერას აპარებდა, ბეჯითად მომუშავე პემბესა და ჟურნალში მოკირკიტე კლიენტს ხედავდა.

როცა თმის შეჭრა დაასრულა, პატარა სარკე აიღო და კაცს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვარცხნილობა უჩვენა. ელიასმა ამოიოხრა, ცდილობდა თმის სიმოკლეს არ შეეცბუნებინა. ნაჭერი რომ მოაცილა, კაცმა ჰკითხა:

— ფილმები გიყვარს, პემბე?

— ბატონო?

— კინოში წასვლა გინდა?

პემბემ ღიმილით დაუქნია თავი. ინგლისში ჩამოსვლის პირველ წლებში შვილებს სთხოვდა, კინოში წაეყვანათ. თუმცა ენა ხელს უშლიდა, უჭირდა გაეგო, რაზე საუბრობდნენ პერსონაჟები.

— რატომ მეკითხები?

ელიასი მიუახლოვდა, თვალებში ჩააცქერდა.

— თმის სპრეის ქვეშ რაღაც დაგიტოვე. შეხედე, თუ შეიძლება, — შემდეგ ხმას აუწია და მხიარულად განაცხადა, — დიდი მადლობა, გადასარევად გაართვით საქმეს თავი.

სალონის მეორე მხარეს რიტა გაიბადრა, მორიგი კმაყოფილი კლიენტის დანახვა უხაროდა. სანამ ელიასი ფულს იხდიდა და რიტას ემშვიდობებოდა, პემბე უძრავად იდგა თმის სპრეის მიჩერებული. ბილეთი იპოვა — შემდეგ პარასკევს, ოთხ საათზე, ისთ-ფინჩლის კინოთეატრში. მუნჯი ფილმი გადიოდა, შავ-თეთრი.

სირცხვილი

ლონდონი, 1978 წლის 5 იანვარი

ტარიქი ქუინსბრიჯ-როუდზე კუთხის მაღაზიის ამაყი მფლობელი გახლდათ. კვირაში ექვსი დღე, დღეში თორმეტი საათი ტკბილეულს, ნუგბარს, ჰიგიენის ნივთებს, გაყინულ საჭმელს, სიგარეტებსა და ათასგვარ წვრილმანს ყიდდა. დაფაც ჰქონდა, რომელზეც გაზეთებსა და ჟურნალებს გამოფენ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და ხოლმე. ზოგიერთი გაზეთი არ მოსწონდა — „მეიფვეარი“, „მხოლოდ მამაკაცებისთვის“, „ფიესტა“, „ნეივი“, „პენტჰაუსი“, „კლაბ ინტერნეიშენალი“. ზედმეტად გარყვნილი ქვეყანა იყო. მთელი ეს სიშიშვლე კარგს არაფერს მოასწავებდა. ვერაფრით გაეგო, რა სიამოვნებას იღებდნენ მამაკაცები მსგავსი პუბლიკაციებისგან, განსაკუთრებით ის ქალები აღაშფოთებდნენ, ფოტოებისთვის რომ პოზირებდნენ. ოჯახები არ ჰყავდათ? ქმრები, მამები ან ძმები? ეს უმსგავსი ჟურნალ-გაზეთები ბოლო რიგში განეთავსებინა, თინუსის კონსერვებსა და რძის ქილებს მიღმა. მსურველი მიაგნებდა, შემთხვევით მყიდველს კი თვალში არ მოხვდებოდა.

მოშივებულმა ტარიქმა საათს ახედა. ჯერ მხოლოდ თორმეტის თხუთმეტი წუთი იყო. მის ცოლს, მერალს, ყოველდღე, პირველის ნახევარზე თუნუქის ჯამით ლანჩი მოჰქონდა. გუფთა მენთოლიანი იოგურტით, შებოლილი ბადრიჯნის პიურე, ბრინჯი თურქული ბარდით. სამოვარიც თუხთუხებდა. დღის განმავლობაში, დილიდან გვიან ღამემდე, ტარიქი ოცდაათამდე ჩაის ჭიქას ნთქავდა. ჩაი მუქი და უბრალო უყვარდა, შაქრის ერთი ნატეხით, რომელსაც მონდომებით წუწნიდა.

სანამ ტარიქი მიირთმევდა, მერალი თავისთვის საქმეს გამოძებნიდა ხოლმე. იატაკს გვიდა, თაროებს წმენდდა, აბრას ასუფთავებდა. აბრაზე ეწერა: „მინიმარ ეტი ოაზისი“. დიდი ხანია, ასო „კ“-ს შეკეთებას ცდილობდა, მაგრამ დრო ვერ გამონახა. თანაც, კლიენტები დიდად არ დაგიდევდნენ ამ პატარა შეცდომას.

სადილობას რომ მოამთავრებდა, მერალი ცარიელ ჯამს დაავლებდა ხელს და სახლისკენ გასწევდა. შეიძლება, ერთ დღეს მეუღლისთვის მაღაზიის საქმეებში დახმარება ეთხოვა, მაგრამ უცხო ადგილას, უცხო ხალხით გარშემორტყმულს, მუშაობის ნებას არასოდეს მისცემდა, ისე არა, როგორც ადემი — პემბეს. არ იყო სწორი. თუ ფინანსური კრიზისის საფრთხის წინაშე არ იდგა ოჯახი, ქალს არ უნდა ემუშავა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უბნის მაღაზიების სხვა მეპატრონეებისგან განსხვავებით, ადგილობრივ მეჩეთში არც სადილამდე მიდიოდა და არც — სადილის შემდეგ. რელიგიური კაცი არ გახლდათ — თუმცა მისი ხშირი წვერისა და მაჯაზე წამოცმული კრიალოსნის შემხედვარე, საპირისპიროს იფიქრებდით. წვერს იმიტომ იზრდიდა, რომ უხდებოდა, თან ჩუტყვავილას ლაქებს მალავდა. კრიალოსნის ტარება უფრო ჩვევად ჰქონდა, სალოცავად როდი იყენებდა. მთელ კოლექციას ფლობდა — კაშკაშა ქარვისფერს, ღია ფირუზისფერს, მარჯნისებურ ვარდისფერს, გამჭვირვალე გიშრისფერს, მუქ მწვანეს. სწრაფად და თანაზომიერად ატრიალებდა თითებში ქვებს, მაღაზიას მუდმივი რაკუნით ავსებდა, მისდა უნებურად.

სამ ძმას შორის, ტარიქი უფროსი გახლდათ და უცხოეთში სამუშაოდ წასულმა, პირველმა მოიტოვა უკან სტამბოლი. თავიდან მექანიზმების ამწყობ ქარხანაში მუშაობდა, პატარა გერმანულ ქალაქში, სახელად ტროისდორფი. გამომუშავებული ფულის უდიდესი ნაწილი გადასახადებს ხმარდებოდა, გერმანელებს ვერ შეეგუა და ვერც ენა შეისწავლა. გერმანელები ქვეყანაში სამუშაოდ გიწვევდნენ და არა — მათ საზოგადოებაში გასარევად, როგორც კი საქმეს მორჩებოდი, უკან უნდა დაბრუნებულიყავი. მათი ცხოვრების წესთან შეგუება ზღარბთან ჩახუტებას ჰგავდა. შეიძლება უხეში კანის ქვეშ სათუთი გული იმალებოდა, მაგრამ წვეტიანი ნემების მილმა ვერ მისწვდებოდი. იმიგრანტების დიასპორა დაეხმარა, მაგრამ ტარიქი ახალი ნაცნობების შეძენით არასოდეს გამოირჩეოდა და გერმანიაში ყოფნის წლებიც არ აღმოჩნდა გამონაკლისი.

თუმცა, ერთხელ ტუნისელ თანამშრომელს დაუმეგობრდა, რომელმაც გროსე-ფრაიჰაიტში წაიყვანა, ჰამბურგის წითელი ლამპრების უბანში. ტარიქი გაოგნებული იყო იმ ქალების დანახვით, ვიტრინებში საკუთარ სხეულს რომ ფენდნენ მანეკენებივით. მათი გულგრილი სახეები, მშვიდი მზერა უბრალოდ, გულს უწუხებდა. თურქულ ფილმებში წარმოჩე-

ნილ მეძავებს არ ჰგავდნენ, ეტყობოდათ, ცხოვრებამ როგორ გათელა და გააუბედურა.

— გინდა შესვლა? — ჰკითხა მეგობარმა მარტივი გერმანულით, რომ ტარიქს გაეგო და მოციმციმე ნათურებით განათებული შესასვლელისკენ მიუთითა.

— შიგნით რა ხდება?

კაცმა მედიდურად გაიღიმა.

— შიგნით რა ხდება? — დამცინავად გაიმეორა, — ქალები მეგობარო. ქერა ქალები.

ტარიქმა თვალები დახარა, მოღუშული დააცქერდა თავის დალაქავებულ ჩექმას. ისე ხმადაბლა ჩაიდუდღუნა, — არ მინდაო, — ტუნისელმა ძლივს გაიგონა.

მეგობარმა ქედმაღლურად შეხედა.

— შენზეა, ძმაო, თუ არ შეგიძლია, არ შეგიძლია.

ტარიქს მოუნდა, დაერტყა, პირდაპირ წვივებში ჩაეზილა თავისი ტალახიანი ჩექმა, მაგრამ მყისიერად გადაიფიქრა. ტუნისელი კარს უკან გაუჩინარდა, თვითონ კი მკრთალად განათებულ ქუჩაში დარჩა. დახურული ფანჯრიდან ქალის სიმღერა ისმოდა.

იმავე კვირას, ტარიქმა შეიტყო, რომ ტუნისელი ყველას უყვებოდა, როგორ გამოიქცა ტარიქი საროსკიპოდან, რადგან „ხასიათზე ვერ“ იყო. ხალხი მის ზურგს უკან ქირქილებდა, ზოგმა ისიც კი თქვა, გეიაო. ტარიქი იმ წელს ისედაც აპირებდა ცოლის შერთვას, მაგრამ ამ ამბავმა მოვლენები დააჩქარა. ანატოლიიდან ჩამოიყვანა საცოლე — მესამე ბიძაშვილი მამის მხრიდან. მერალს სთხოვა, ერთი თვის განმავლობაში ყოველდღე მოეკითხა ქარხანაში, რათა ყველა დარწმუნებულიყო მის მამაკაცობაში და ჭორაობა შეეწყვიტათ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

***

12:25-ზე კარი გაიღო და მერალი შემოვიდა, სახე ქარისგან ასწითლებოდა. დღის მენიუში ოსპის სუპი, მწვანე წიწაკა და ტულუმბა შედიოდა. როცა უყურებდა, რა მადიანად ილუკმებოდა ქმარი, სიამაყით ივსებოდა. მერე თქვა, — პემბემ შემოიარა დღეს დილით.

— რა უნდოდა?

— პირდაპირ არ უკითხავს, მაგრამ მგონი ფული სჭირდებათ.

— ფული, ფული, ფული... — დაიგუგუნა ტარიქმა.

ტარიქმა ერთხელ ფილმს უყურა, რომელშიც მთავარმა გმირმა განგსტერობა დაიწყო, რათა უმცროსი ძმა სილატაკისგან დაეხსნა და იმაზე უკეთესი მომავალი ეჩუქებინა, ვიდრე უფალმა უბოძა. ფილმის ბოლოს, მოულოდნელად, უმცროსმა ძმამ, რომელიც პოლიციის ოფიცერი გამხდარიყო, უფროსი დააპატიმრა მიუხედავად იმისა, რომ პატივს სცემდა, უყვარდა, აღმერთებდა და ცხოვრების ბოლომდე მისგან დავალებული იყო.

მისი ოჯახის ისტორიაში ბოროტი და კეთილი გმირები არ იყვნენ. ყველაფერი გააკეთა, ძმების დასახმარებლად, სურდა, დაეჯერებინა, მისი ხელშეწყობით, ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლიდნენ, მაგრამ უსაზღვრო შესაძლებლობები არ ჰქონდა, არც — ადემსა და ხალილს. ძმებმა მის კვალს მისდიეს და იმიგრანტები გახდნენ — ერთი ავსტრალიაში, მეორე ინგლისში. რამდენიმე წელიწადში ტარიქმა გერმანიაში მუშაობას თავი დაანება და ინგლისში წავიდა. ამბობდნენ, იქ ამინდი საშინელია, მაგრამ ხალხი თავაზიანიო.

ახლა, როცა ტარიქმა პური სუპში ჩააწო, იკითხა.

— პემბემ იცის, ადემი სადაა?

— წარმოდგენა არ აქვს. მაგრამ... — მერალი გაჩუმდა, სანამ ადუღებულ წყალს სამოვარზე შედგმულ ფაიფურის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჯამში ასხამდა, — ის იცის, რომ ვილაც ქალთან ერთად ცხოვრობს.

— რას უნდა ელოდო, თუ ისეთი ქალი არაა, ქმრის შენარჩუნება შეეძლოს... — ტარიქმა თქვა და წინადადება არ დაასრულა.

პემბე არ უნდა მოეყვანა ადემს ცოლად. მასზე უკეთესი გოგოებიც იყვნენ, მაგრამ კაცმა არ იცის, რატომ, მას პემბე შეუყვარდა. რატომ ის, რატომ ასე უცებ, ტარიქს ვერ აეხსნა. ლამაზი ქალი გახლდათ, მაგრამ ტარიქის თვალებში ეს ნაკლი უფრო იყო. მშვენიერებას დახარბებული კაცები შეცდომას უშვებდნენ. ლამაზ ქალს ახალგაზრდობაში უნდა ეარშიყო, მაგრამ მეუღლეს სხვა თვისებები უნდა ჰქონდეს. თავიდანვე ამ ქორწინების წინააღმდეგი იყო, მაგრამ ადემი მარტო აღმოჩნდა იმ ღვთისგან მივიწყებულ ქურთულ სოფელში, როცა პემბეს ხელი სთხოვა. მარტო და ზედმეტად ახალგაზრდა.

როცა მათი დედა სხვა კაცთან ერთად გაიქცა, ტარიქი თექვსმეტი წლისა იყო, ხალილი ცამეტის, ადემი კი, მხოლოდ თერთმეტის. მილიონობით ოჯახში, სტამბოლელი დედები ბოლომდე ცდილობდნენ, ოჯახები შეენარჩუნებინათ და ბავშვები გაებედნიერებინათ, მხოლოდ და მხოლოდ მათმა დედამ გადაწყვიტა, მიეტოვებინა.

ყველა ვერ გაიგებდა ამას, მაგრამ მთელ მსოფლიოში, ზოგ კაცს ღირსების მეტი, სხვა არაფერი გააჩნდა. მდიდრებს შეეძლოთ, დაეკარგათ და აღედგინათ სახელი, გავლენა ისე ეყიდათ, თითქოს ახალ მანქანას უკვეთდნენ ან სახლს არემონტებდნენ. მაგრამ დანარჩენი მსოფლიოსთვის ყველაფერი სხვაგვარად იყო. რაც უფრო ნაკლები საშუალება ჰქონდა კაცს, მით უფრო ძვირფასი გახლდათ მისთვის ღირსება. ინგლისელებს ეს ძველებური ჩვეულება არ ესმოდათ. მათი ცოლები სხვა კაცებს კოცნიდნენ და ეცეკვებოდნენ, ისინი კი ამ დროს ღიმილით შესცქეროდნენ.

ღირსებაშელახული კაცი, ტარიქის თვალში, მკვდარი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კაცი იყო. ქუჩაში არ გამოესვლებოდა, ჩაის სახლში ვერ წავიდოდა შაშის სათამაშოდ ან ლუდხანაში — ფეხბურთის საყურებლად. ნაღალატევ მამაკაცებს მხრები უმძიმდებოდათ, მუშტები ეკვრებოდათ, თვალები უცვივდებოდათ, ყოფა უმიზნოდ ესახებოდათ და ყოველ ახალ ჭორთან ერთად პატარავდებოდნენ. მათ არავინ სცემდა პატივს, როცა ხმას იღებდნენ, მათ სიტყვას ფასი ეკარგებოდა. სიგარეტს თუ ვინმეს მიაწვდიდნენ, არავინ გამოართმევდა, ბოლოში ყავა უმწარდებოდათ. ქორწილებში, წინადაცვეთებზე, ნიშნობებზე არავინ ეპატიჟებოდა, ვაითუ, უილბლობა მოეტანათ. სირცხვილით გარშემორტყმულები, თავიანთ პატარა ნაჭუჭში იკეტებოდნენ, დამპალი ხილივით შრებოდნენ. ალკოჰოლი კიდევ უფრო აჩქარებდა მათ სიკვდილს, მაგრამ საბოლოოდ მაინც ღირსების შელახვა უღებდა ბოლოს. ადემი და ხალილი ზედმეტად ახალგაზრდები იყვნენ, ეს რომ გაეგოთ, მაგრამ ტარიქმა კარგად იცოდა.

მერალის წასვლის შემდეგ ტარიქი ჩაფიქრდა. დღემდე, ძმის მდგომარეობას თავს დატეხილ უბედურებად უფრო აღიქვამდა, ვიდრე ნაკლად. აზარტული თამაშები ავადმყოფობა იყო, ყველაზე მავნე. მაგრამ ფულის გაფლანგვა მოცეკავისთვის, რომელიც ჟურნალში დაბეჭდილი ქალებისგან არაფრით განსხვავდებოდა, ბევრად უარესი გახლდათ. ადემს სერიოზულად უნდა დალაპარაკებოდა, თუ იპოვიდა. კაცი სახლიდან რომ წავიდოდა, ოჯახიც მწყობრიდან გამოდიოდა. ტარიქს ყურადღება უნდა მიექცია პემბესა და ბავშვებისთვის, რათა ასე არ მომხდარიყო. ისინი ხომ ერთ გვარს ატარებდნენ. თუ ერთ-ერთი შერცხვებოდა, უფროს ტოპრაკსაც მოეცხებოდა ჩირქი. მათი ღირსება მისი ღირსებაც იყო.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა
www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაკარგული ნაწილი

ლონდონი, 1978 წლის იანვარი

„ფენიქსის“ კინოთეატრი 1910 წელს დაარსდა. მოდერნისტული, მოპირკეთებული ფასადით, პატარა კიბით ფოიეში, არტ-დეკო დარბაზით. ომის პერიოდში მოსახლეობას ახალი ამბების ქრონიკებითა და ესკაპისტური ფილმებით ამარაგებდა, თუმცა, საბედნიეროდ, გერმანულ ბომბებს უვნებლად გადაურჩა. შემდეგ პატარა კინოკომპანიამ შეიძინა, გაუგებარ და არტ-ჰაუზ ფილმებს აჩვენებდნენ, თუმცა, შიგადაშიგ, ჰოლივუდის კლასიკასაც სთავაზობდნენ მაყურებელს. სამწუხაროდ, იმდენად შორს მდებარეობდა ქალაქის ცენტრიდან, დარბაზი თითქმის ყოველთვის ცარიელი იყო.

დღეს მხოლოდ ოთხნი ისხდნენ — ახალგაზრდა წყვილი, რომელიც ერთმანეთის ალერსით უფრო ჩანდა დაინტერესებული, ვიდრე ფილმით და კაცი ბრტყელი ქუდით, რომელიც თვით კინოთეატრზე უფრო ასაკოვნად გამოიყურებოდა. მეოთხე ელიასი გახლდათ, მარტო იჯდა სადღაც შუაში, დაძაბული და აფორიაქებული ჩანდა. ფილმი რამდენიმე წუთის წინ დაიწყო, ის კი სულ შემოსასვლელისკენ იყურებოდა. ქალი ჯერაც არ მოსულიყო.

ელიასი ფილმის პირველ სცენას მოლოდინით სავსე შესცქეროდა. „ფილმი ღიმილს მოგგვრით, შეიძლება ცრემლსაც“, — ეწერა ეკრანზე. ელიასს ჩარლი ჩაპლინის დანახვაზე გამომეტყველება გაუცნობიერებლად შეურბილდა. ჩაპლინი ყოველთვის უყვარდა, მისი იუმორი სევდით იყო შეზავებული, უსაზღვრო ადამიანურობა ახასიათებდა, ნახშირივით შავ თვალებში მელანქოლია გამოსჭვიოდა. ნელ-ნელა დაძაბულობა მოეხსნა და გონება „ბავშვის“ ისტორიაში ჩაიძირა.

ოდნავ მოგვიანებით, ელიასმა რიგის ბოლოში მოძრაობა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შენიშნა, მაგრამ ვერ გაბედა, თავი მიეტრიალებინა და ენახა, ვინ იყო. ვილაც მიუახლოვდა სიბნელეში და გვერდით მიუჯდა, ჩრდილივით უჩუმრად. გულის ცემა აუჩქარდა, როცა პემბეს მშვენიერი და გაცისკროვნებული სახე დაინახა თვალის კუთხიდან. ქალის მზერა ეკრანს იყო მიწებებული, მკერდი აუდიოდა და ჩაუდიოდა.

როგორ გამიხარდა შენი მოსლვა, — სურდა ეთქვა ელიასს, — იცი, ძალიან ვდარდობდი, ხომ არ ვაწყენინე-მეთქი. თუმცა, ქალის დუმილს პატივი სცა და არაფერი წამოსცდენია. ერთად უყურებდნენ ფილმს.

პემბე „ბავშვს“ გაფართოებული თვალებით შესცეროდა, ყოველ მომდევნო სცენასთან ერთად, სახეზე სულ უფრო მეტი გაოცება ეხატებოდა. როცა ჩაპლინმა ნაგვის ბუნკერში მიტოვებული ბავშვი იპოვა და შვილივით გაზარდა, ქალს მადლიერი ღიმილი გადაეფინა სახეზე. როცა ბავშვმა მეზობლის ფანჯრები ქვით ჩალეწა იმ იმედით, რომ ხელოსნად გადაცმული მაწანწალა შეაკეთებდა და ორიოდე გროშს იშოვიდა, პემბეს ჩაეცინა. როცა სოციალურმა მუშაკებმა ბიჭი წაიყვანეს, თვალები აუწყლიანდა. დაბოლოს, შვილი მამას რომ დაუბრუნდა, სახეზე ბედნიერება და, ელიასის დაკვირვებით, მცირედი მელანქოლიაც დაეწერა. ქალი იმდენად მოიცვა ფილმმა, კაცმა ოდნავი გულისწყრომა იგრძნო. სასაცილოდ ჟღერდა, მაგრამ ჩარლი ჩაპლინზე ეჭვიანობდა.

ელიასი აკვირდებოდა, როგორ ჩამოეშალა და თავიდან შეიკრა თმა. ჟასმინისა და ვარდის სურნელი ეცა. პირველ პაემანზე მყოფი მოზარდივით, მხოლოდღა მაშინ გაბედა პემბეს თითებს შესწვდენოდა, როცა ფილმის დამთავრებამდე ორიოდე წუთი იყო დარჩენილი. შვებით ამოისუნთქა, რადგან პემბეს ხელი არ გაუწევია. გახევებულები ისხდნენ, სიბნელეში გამოკვეთილი ორი სკულპტურა, ორივე შეშინებული, რომ მცირედი მოძრაობაც დაარღვევდა იმ წუთის სინაზეს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როცა შუქები აინთო, რამდენიმე წამი დასჭირდათ რეალობასთან შესაგუებლად. სწრაფად ამოაძვრინა წიგნაკი და სხვა კინოთეატრის სახელი დაწერა, ქალაქის სხვა მხარეში.

— მომდევნო კვირას, იმავე დროს, მოხვალ?

— ჰო, — მცირე ყოყმანის შემდეგ დაეთანხმა ქალი.

სანამ ელიასი კიდევ რამის თქმას მოასწრებდა, პემბე ფეხზე წამოიჭრა და გასასვლელისკენ გასწია. გაურბოდა კაცს, ყველაფერს, რაც მათ შორის მოხდა და ყველაფერს, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო, სხვანაირი ადამიანები რომ ყოფილიყვნენ. ხელში ბარათი ეჭირა, მათი შემდგომი შეხვედრის ადგილის დასახელებით, ისე ძლიერ ჩაებღუჯა, თითქოს ჯადოსნური სამყაროს გასაღებიაო, გასაღები, რომელსაც იმწამსვე სიამოვნებით გამოიყენებდა, რომ შესძლებოდა.

ასე დაიწყო ყველაფერი. ყოველ პარასკევს ერთსა და იმავე დროს ხვდებოდნენ ერთმანეთს, ზოგჯერ მომდევნო შუადღესაც. ყველაზე ხშირად „ფენიქსს“ სტუმრობდნენ, თუმცა, სხვა კინოთეატრებშიც ჰქონდათ პაემნები. თითოეული მათგანი ნაკლებად პოპულარულ დაწესებულებად ითვლებოდა და მათი სახლებიდან მოშორებით მდებარეობდა. ვინაიდან ფილმები არც ისე ხშირად იცვლებოდა, „ბავშვი“ ორჯერ ნახეს. ასევე — სხვა ფილმებიც: „მეფე და მე“, „ბაღდადელი ქურდი“, „კინგ-კონგი“, „ჟანა დკარკის ვნებანი“, „ნოტრ-დამის კუზიანი“ და „ბენგურიონი“.

ფილმებს შორეულ მხარეში ჯერ კიდევ მომავალ ბედისწერად აღიქვამდნენ, ვიდრე — გარდასულ დროთა ისტორიად. ყოველ ჯერზე ერთი და იგივე ხდებოდა. ქალი ეკრანს არ აცილებდა თვალს, კაცი კი — ქალს. ელიასს მოსწონდა, პემბეს ფილმის სცენარში ყოველი მოულოდნელობისას სახე რომ ეცვლებოდა. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს პემბეში მიძინებულ არაერთ ქალს ეცნობოდა, ყველასგან დაფარულ მის მხარეებს შეავლებდა ხოლმე თვალს. ათასში ერთხელ, ქალიც იმავე მზერით შესცქეროდა, თითქოს სურდა, კაცის სულის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სილრმეები დაენახა. ელიასი თრთოდა, აინტერესებდა, რას ხედავდა პემბე და თუ თვლიდა სიყვარულის ღირსად.

თანდათან სულ მეტი შეიტყო მასზე, თავსატეხის პატარ-პატარა ნაწილებს მისწვდა. თურმე, სახელის მიუხედავად, პემბეს საყვარელი ფერი ამეთვისტო იყო. ძველი ქურთული სასიყვარული სიმღერების შესრულება უყვარდა და საკმაოდ კარგი ხმაც ჰქონდა. გარდა ღორის ხორცისა, რომელსაც რელიგიის გამო არ ჭამდა, არ მიირთმევდა კიბორჩხალებს, ლოკოკინებს, კალმარებსა და მოცვს, რადგან ეს ყველაფერი კბილებს უკვეთდა. თუმცა, შეეძლო მთელი დღე ეწუწნა ლიმონის ნაჭრები. მისი ნამდვილი ასაკიც გაიგო, თურმე, ძალიან ახალგაზრდა ყოფილა. მართალია, ჩაცმულობა და ქცევა უფრო ასაკოვანს აჩენდა, სინამდვილეში, ელიასზე თექვსმეტი წლით უმცროსი გახლდათ.

ნელ-ნელა აცნობიერებდა მდგომარეობას. ეს განუზომელი, ამოუცნობი მიზიდულობის გრძნობა ქალის მიმართ, რომელიც ასე უცხო იყო მისი ცხოვრების წესისგან, ბავშვობის მოგონებას ჰგავდა. გონებით ვერა, მაგრამ გულით აცნობიერებდა ქალის მთელი სამყაროსგან დაცვის სურვილს. ამ ემოციის გემო ცხოვრებაში სამჯერ გაესინჯა: დის, დედისა და ყოფილი ცოლის მიმართ. თუმცა, გრძნობა, რასაც პემბეს მიმართ განიცდიდა, სრულიად ახალი იყო. პემბე აღმოჩნდა კარიბჭე სულ სხვა, სახიფათო და ბუნდოვანი, მაგრამ რეალური სამყაროსი. ძალიან აწუხებდა მათი სიყვარულის უკანონობა, მაგრამ ნებისმიერ წამს მისი დაკარგვის შესაძლებლობა კიდევ უფრო უძლიერებდა მასთან ყოფნის სურვილს. პემბე აქამდე დაკარგული ბმული იყო, რომელიც წარსულთან, წინაპრებთან, აღმოსავლურ მხარესთან აკავშირებდა. მისი სიყვარული დაკარგული ნაწილებისა და დაკარგული დროისგან შედგებოდა.

ყოველ ჯერზე, სანამ კინოში სინათლეები აინთებოდა, ერთმანეთს სცილდებოდნენ, სხვა გზებით მიდიოდნენ. იმედოვნებდნენ, ვერავინ დაინახავდა ერთად.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქალი პირველი გადიოდა. კაცი ჩამორჩებოდა ხოლმე, კინოში დაბოდიალებდა, კედელზე პოსტერებს აკვირდებოდა ან იატაკზე — ნაგავს, ტკბილეულსა და გაზიან სასმელებს. ფიქრობდა ფილმზე, ქალის თვალებში ჩამდგარ ნათელზე. ცდილობდა, მისი წასვლით გაჩენილ სიცარიელეს შეჰგუებოდა.

შრიუსბერის ციხე, 1991 წელი

შუალამით გამელვიძა. საკანში ბნელოდა, მხოლოდ მავნე ყვითელი სინათლე იძურწებოდა დერეფნიდან. წესით, ნათურებს უნდა დავემშვიდებინეთ. რომელილაც ფსიქოლოგის იდეა, სინამდვილეში, გულს მირევდა.

საწოლი ისეთი უხეში იყო, რაღა იქ დამეძინა და რაღა ცემენტის ბლოკზე. თუმცა, ჩემი ამ ულმერთო დროს გამოღვიძების მიზეზი ეს არ გახლდათ. რაღაც რიგზე ვერ იყო, ვგრძნობდი. სუნთქვა შევიკავე და მივაყურადე. ხვრინვა, კვნესა, შარიშური, კბილების კრეჭა გვერდითა საკნებიდან. გარეთ ხალხს ჰგონია, ციხე ჩუმი ადგილია. არაა მართალი. ამ ღამით, ჩვეული ხმების გარდა, უცნაური სიცარიელე იგრძნობოდა. რაღაც აკლდა. ან ჭკუიდან გადავდიოდი.

დედაჩემი იტყოდა ხოლმე, წინათგრძნობა ღმერთის ჩურჩულია ულრან ტყეშიო. დროდადრო გვეუბნება, ფრთხილად ვიყოთ, ვიღაცას არ დავუმეგობრდეთ, რაღაც კარი არ გავაღოთ, ჩვენ კი ყურადღებას არ ვაქცევთ. თუმცა ახლა ვერ ვხვდებოდი, რა ხდებოდა ჩემს თავს. წინათგრძნობა ავის მომასწავებელია. მე კი სულ სხვა რამეს ვგრძნობდი. უკვე მომხდარი ამბისგან გამოწვეულ ამოუცნობ სევდას, როცა უკვე ძალიან გვიანია.

წამოვიწიე და იდაყვებს დავეყრდენი, ყურები დავცქვიტე. თავიდან ვიეჭვე, დედაჩემის აჩრდილი მესტუმრა-მეთქი, მერე კი მივხვდი, ის არ იყო. გული არ ამჩქარებია, არადა, რო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცა ჩემთან არის, ყოველთვის ასე მემართება. საკნის კუთხეში, ახალჩამობარდნილი თოვლივით, უცნაური ნათებაც არ შემინიშნავს. არც ნაზი შრიალი, აბრეშუმის ფარდების მსგავსი. არც ჟასმინისა და ვარდის სურნელი. არც სეზამის ჰალვის არომატი. არასოდეს დამავიწყდება, როგორ შემეშინდა, როცა ეს პირველად მოხდა.

წარსულში უფრო ხშირად მსტუმრობდა. მერე და მერე — ნაკლებად. ბოლო დროს საერთოდ აღარ გამოჩენილა. მეშინოდა, რომ არასოდეს გამომეცხადებოდა. სულელური აზრია, მაგრამ მისი გამოჩენა შენდობის იმედს მაძლევდა.

თავიდან ძალიან მეშინოდა. დაფეთებულს, რომ ძილში მომახრჩობდა, რული არ მეკარებოდა. კარგა ხანი დამჭირდა, მივხვედრილიყავი, აჩრდილები ასეთ რამეებს არ სჩადიან. გვგონია, შურისძიება ამოძრავებთ, სინამდვილეში კი მხოლოდ ის უნდათ, ჩვენ გაგვიგონ. ცარიელი მზერით შემოგცქერიან და ახსნას ელიან. სულში გაკვირდებიან. არ გეკონტაქტებიან, არაფერს გეკითხებიან. მუნჯი ფილმივითაა, ოღონდაც, ფერადი.

მაგრამ ამ ღამით დედაჩემს არ შემოუვლია. აბა, რა ხდება? ამოვისუნთქე. ჩავისუნთქე. მერე სუნთქვა შევიკავე. კიდევ უფრო გავფაციცდი. უცებ მივხვდი. მაგარო არ ხვრინავს, არც ტოკავს, არც ტრიალებს და ძილში არ ლაპარაკობს, არადა, რაც უნდა დაღლილი და დაბოლილი იყოს, ასე იქცევა. წამოვდექი და მივუახლოვდი. ჩემგან ზურგით იწვა.

— მაგარო!

ხმა არ გაუცია. არ განძრეულა.

— პატრიკ, კარგად ხარ?

არ ვიცი, ნამდვილი სახელით რატომ მივმართე, წლებია, ასე არ მიმიმართავს. უნებურად წამომცდა. საბანი წამოვხადე. საშინელი სუნი მეცა. უცნაურად დაპატარავებული მომეჩვენა, თითქოს ერთ ღამეში შემცირებულიყო. შევანჯღრიე. არ განძრეულა. უფრო ძლიერად შევანჯღრიე. ფეხი სასაცილოდ, მოუქნელად შეუტოკდა, დამტვრეული თოჯინასავით.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მკლავები დამძიმებოდა, არადა, ყველაზე გამხდარი ტიპი იყო, ვისაც ვიცნობდი.

— მაგარო, მორჩი მაიმუნობას, ძმაო!

პულსი გავუსინჯე. კისერი გასცივებოდა და გაშეშებოდა. გრძნეულის ძუძუებზე ცივიო, — იტყოდა თვითონ. გულის ცემა არ ისმოდა. მკლავზე გადმოვიწვინე და ხელოვნური სუნთქვის ჩატარება ვცადე. მის პირს თავისი ცოლისა და კიდევ ერთ-ორი ქალისთვის ეკოცნა ერთ დროს. მის პირს გინება უყვარდა, მაგრამ — ლოცვაც. მის პირს, რომელმაც დაღუპა, მაგრამ გადაარჩინა კიდეც, რეაქცია არ ჰქონია.

სიცილი ამივარდა. სასაცილო იყო ეს ყველაფერი. სიკვდილის ანგელოზი ან დაბრმავდა, ან დაბერდა. აზრაელმა თავი უნდა დაანებოს სამუშაოს. ნუთუ, ღმერთი ველარ ამჩნევს, რომ მისი დამქაში სამუშაოს ველარ ართმევს თავს? რატომ ხოცავს ისეთ ხალხს, ვინც სიკვდილს არ იმსახურებს? მაგაროს მუშტების გამოყენებას ვასწავლიდი. საშინელი მოსწავლე იყო, რთულად ითვისებდა. მაგრამ ნელ-ნელა გამოსდიოდა. სულ ერთსა და იმავე ადგილას ვარტყმევინებდი — ჩემს მუცელში. უფრო სასიკვდილო ნაწილებიც არის ადამიანის სხეულზე — თავი, კისერი, „ადამის ვაშლი“, ცხვირიც კი. მაგრამ იმ ადგილებში რომ დაერტყა, შარში გაეხვეოდა. მუცელში დარტყმა ნაკლებსარისკო იყო. ყველამ იცის, კრივით ვერთობი ხოლმე.

სწორად განხორციელებული დარტყმა მუცელში სასიკვდილოა. ფარულ სისხლდენას იწვევს. თუ არავინ მოგხედა, რამდენიმე საათში მოკვდები. მე კი ეჭვიც არ მეპარებოდა, არავინ მომხედავდა.

მაგარომ ეს ყველაფერი არ იცოდა, რა თქმა უნდა. შემთხვევითობა იქნებოდა. ინსპექტორი შემოვიდოდა და რაღაცას დაჯღაბნიდა უბის წიგნაკში. მისი მდივანი ანგარიშს პრესაში გაავრცელებდა. ყვითელი პრესა დაინტერესდებოდა — „ღირსების მოტივით ჩადენილ მკვლელობაში დამანაშავე თავის საკანში გარდაცვლილი იპოვეს“. ოფიცერი მაკლაგლინი გა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზეთიდან ამოჭრიდა სტატიას და საქალალდეში ჩააკერებდა. ცოტა ხანს ილაპარაკებდნენ ჩემზე. არავინ დადარდიანდებოდა. ჩემს საქმეს დახურავდნენ. მაგაროს თავს დაანებებდნენ და მე აღარ ვიარსებებდი. თავისუფალი ვიქნებოდი, ბოლოს და ბოლოს.

ჰუდინი, უბრალოდ, მოტივატორი იყო. ოფიცერი მაკლაგლინი ამბობდა, მოგონილი ისტორიააო, ჯადოქარი დარტყმისგან არ გარდაცვლილაო, ამის მარტო შენნაირ იდიოტებს სჯერათო. მე არ მაინტერესებდა, ჰუდინი მართლა ამიტომ მოკვდა თუ არა. ყოველ ჯერზე, როცა მის პოსტერს ვუყურებდი, მახსენდებოდა დარტყმისგან სიკვდილის შესაძლებლობა. თუმცა, სხვა რამეებსაც მახსენებდა. სევდიან რამეებს. ჰუდინის გამო შეიტყო ტარიქმა და სხვებმაც, ჩემი ჩათვლით, დედა-ჩემის საყვარელზე.

მაგარო გვერდზე მივწიე და ჩამოვჯექი. რაღაც დავარდა ჩემ ქვეშ. დავხედე, რომ მენახა, რა იყო. ავიღე და ისევ ჩამეცინა, „შე საწყალო ნაბიჭვარო“.

შპრიცი აღმოჩნდა. რატომ გააკეთა ეს? შემთხვევითობა იყო? გამიზნულად ფატალური დოზა? როგორ ვერ შევამჩნიე ვერაფერი? ჩემს დაძინებას დაელოდა? ღამე კუნძივით ვარ. ისე მძინავს, როგორც მსუქან ზღარბს ზამთარში. საკუთარი თავი შემძულდა. საწოლი შევამოწმე. ქვეშაგები შარდით, ნერწყვითა და ნარწყევით იყო დასველებული. მისი სხეული შხამის გამოდევნას ცდილობდა. შევნიშნე, რომ მაგაროს მარცხენა მუშტი ისე მჭიდროდ შეეკრა, თითები ლურსმნებს მიუგავდა. ვეცადე, მუშტი გამეხსნა და მუჭში ქალალდი ვიპოვე. კარს მივუახლოვდი, დერეფნიდან შემოსულ შუქზე რომ წამეკითხა.

„ალექს, ძმაო. ამას თუ კითხულობ, ესე იგი, ცოცხალი აღარ ვარ. ჩემამდე გინდოდა წასვლა, არა? შე დეგენერატო. გეგონა, ვერ ვხვდებოდი? ვაპირებდი შენს დახმარებას, ღმერთია მოწმე, ვაპირებდი. უბრალოდ, მეტის ატანა ველარ შევძელი. ნუ გამიბრაზდები. დაგელოდები. ვნახავ, ზეცაში რა

ხდება. არანაირი თაღლითობა, არანაირი ჰუდინი. კარგი მეგობარი იყავი. დედაშენს რომ შევხვდები, აუცილებლად ვეტყვი ამას.

შენი მეგობარი, მაგარო".

ლოყაზე ცრემლები ჩამომიგორდა. სახეში გავილაწუნე. არ მიშველა. საკუთარ თმას ჩავაფრინდი ჯერ ერთი ხელით, მერე ორივეთი. სულ უფრო ძლიერად. ვიგრძენი, როგორ დანებდა სკალპი და თმის ღერები დამეგლიჯა. გაგდებული ძალლივით ვლნაოდი. თითქოს მანქანამ დამარტყა და გაიქცა. მეგონა, ყველა ძვალი დამემსხვრა. მაგარომ გადამიარა.

ფეხზე წამოვიჭერი. თავი მისკდებოდა. ადრენალინმა ძველი შეგრძნება განმიახლა — ბრაზი. მეგონა, სიბრაზე აღარასოდეს დამეუფლებოდა. ორი წლის წინ ტომარაში ვუკარი თავი და მოვისროლე, არასასურველი კნუტივით. საკუთარ თავს დავპირდი, ცხოვრების ბოლომდე ვეცდებოდი, უკეთესი გავმხდარიყავი. მაგრამ არ გამომივიდა. ისევ მიპოვა. გამომყვა და მომაგნო. და აი, ჩემი ძველი მეგობარი, ბატონი ბრაზი, ისევ აქ იყო.

ჰუდინის პოსტერი ჩამოვგლიჯე და დავანაკუწე. საწოლიდან საბანი და ბალიში მოვისროლე. კედლებს ვურტყამდი ხელებს, თავს.

სინათლე აინთო. ნაბიჯების ხმა. ვილაც საკანში შემოვიდა.

— რა ჯანდაბაა? — სხვებიც შემოჰყვნენ. იატაკზე დამაგდეს და თავი ჩამახრევინეს. ზედმეტად კაშკაშა სინათლემ თვალი მომჭრა. თავზე ოფიცერი მაკლაგლინი წამომადგა. რას აკეთებდა აქ? ღამის ცვლაში? ამ კაცს ძალიან უყვარდა თავისი საქმე.

მაგაროს პულსი შეუმოწმეს. შპრიცი იპოვეს, მისი წერილიც ნახეს. ერთ-ერთმა ხმამაღლა კითხვა დაიწყო. თავი გავითავისუფლე, წამოვხტი და გამოვგლიჯე.

— ჰეეი... — დამიყვირა ახალგაზრდა ბადრაგმა, თითქოს თამაშში მოვიტყუე და გაბრაზდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ოფიცერმა მაკლაგლინმა ნაბიჯი გადმოდგა.

— მომეცი ეგ.

— ჩემია.

— შენი არაფერია, შე ნაბიჭვარო. ახლავე მომეცი.

ერთმანეთს თვალებში ვუყურებთ. ბოლოს და ბოლოს, დადგა მომენტი. შეეძლო, გამოემჟღავნებინა, რამდენად ვძულდი. მე კი შემეძლო, მეჩვენებინა, რომ არ ჩამოვრჩებოდი. არანაირი თავის მოკატუნება. აღარ ვეცდებოდით, იმაზე უკეთესები წარმოვჩენილიყავით, ვიდრე ვიყავით. ქაღალდი პირში ჩავიტენე.

— არ გაბედო, — თქვა მაკლაგლინმა, — მგონი, ზედმეტად ბევრი ფილმი გაქვს ნანახი.

ღეჭვა დავიწყე. ნელა, არსად მეჩქარებოდა. ყველა მე მომშტერებოდა.

— ალექს, ამას ძალიან ინანებ. ბოლო შანსს გაძლევ, თავი გადაირჩინო. გაჩერდი.

მე კი ვღეჭავდი და ვღეჭავდი. ქაღალდს ცარცის გემო ჰქონდა. ნეტავ, მაგარო თუ მხედავდა. გარდაცვალებისას ჩვენი სულები მაშინვე ტოვებს სხეულს და, საჰაერო ბუშტივით, ზეცაში ადის თუ ცოტა ხანს მიწაზე რჩება? ნეტავ, დედაჩემის სული ხედავდა, როგორ გამოვიღე მისი სხეულიდან დანა, რომლითაც მოვკალი?

გადავყლაპე.

პირველი მუშტი ნიკაპში მომხვდა. საერთოდ არ ველოდი. კბილები ერთმანეთს დაეჯახა. ოფიცერმა მაკლაგლინმა იცის, როგორ მოიქნიოს ხელი, საწყალი მაგაროსგან განსხვავებით. დანარჩენმა ბადრაგებმა სხვა მხარეს გაიხედეს. ვხედავდი, არ მოსწონდათ, რასაც ოფიცერი აკეთებდა. მათ ცოლები და შვილები ჰყავდათ, სანიმუშო მოქალაქეები იყვნენ. სურდათ, ღამე მშვიდად დაეძინათ. არავის სურს ხელების სისხლში გასვრა. თუმცა, არც მისი შეჩერება უცდიათ. რადგან მჩაგვრე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლებს არასოდეს არავინ ეუბნება, — საკმარისიაო! ამიტომაც ჩაგრავენ მჩაგვრელები. ეს კარგად ვიცოდი, მეც ვიყავი, ახლაც ვარ მჩაგვრელი.

* * *

დედაჩემი ცრუმორწმუნე ქალი იყო. სახლში ავი თვალისგან დამცავი მძივები გვეკიდა. ჯიბეებსა და ზურგჩანთაშიც მიმაგრებდა თილისმებს. ერთხელ ჩემს ტყავის ქურთუკში ჩაკერებული აღმოვაჩინე. ღამით არასოდეს ვუსტვენდით, სახლში ქოლგას არ ვხსნიდით და მზის ჩასვლის შემდეგ ფრჩხილებს არ ვიჭრიდით. ზოგჯერ საცვლებს უკულმა ვიცვამდით, რათა უიღბლობა აგვეცდინა. სადილობისას ერთმანეთს დანას ხელიდან ხელში არ ვაწვდიდით. დედაჩემი ყველაფერს აკეთებდა, სხვებისგან რომ დავეცავი, მაგრამ დაავიწყდა, რა იზრდებოდა ჩემში. ვერავინ დამიცავდა იმ კაცისგან, რაც შიგნიდან ვიყავი.

ჩემი წინადაცვეთიდან რამდენიმე კვირა იყო გასული. ჭრილობა შემიხორცდა და ქუჩაში თამაშსაც დავუბრუნდი. მგონი, სტამბოლში შემოდგომა იდგა. მახსოვს, ხეებს ფოთლები დასცვივდა და გზები ატალახდა. ჩვენს სახლთან ახლოს არხი იყო. იქ არასოდეს ვცურავდით. წყალს მყრალი სუნი ასდიოდა. ხალხი ათასნაირ ნაგავს ყრიდა: ქილებს, ბოთლებს, ყუთებს, პლასტმასს, კომუნისტური პროპაგანდის ბუკლეტებს. ერთხელ ვილაცამ იარალიც კი იპოვა.

იმ დღეს არხის გასწვრივ დავსეირნობდი და იარაღზე ვფიქრობდი. ვისი იყო? ბანკის მძარცველის? ასასინის? პოლიციამ იპოვა? ფიქრებში ვიყავი ჩაფლული, თორემ შევამჩნევდი მათ და გავტრიალდებოდი, ან ბუჩქებში დავიმალებოდი. ამის ნაცვლად, პირდაპირ შევეფეთე. სამნი იყვნენ, ჩემზე რამდენიმე წლით უფროსები.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ნახეთ, აქ ვინ არის. წითელქუდა სასეირნოდ გამოსულა, — ისკენდერ, დედაშენი სადაა? შენთან არ არის?

თავი გავაქნიე.

— ყოველთვის, ჩემო სულთანოო, გეძახის, — თქვა პირველმა ბიჭმა, — და სხვა, ეგეთ ქურთულ სისულელეებს.

— სოროების სულთანია!

პირველ ბიჭს, რომელიც შუაში იდგა და აშკარად მათი ლიდერი იყო, შეურაცხყოფაში მონაწილეობა აღარ მიუღია. გვაკვირდებოდა. თითქოს, შეშფოთდა, მეგობრების საქციელმა შეაწუხაო. შეცდომა დავუშვი. ნაბიჯი გადავდგი მისკენ, ჩემი დამცველისკენ.

— მართალია, რომ წინადაცვეთიდან გაიქეცი? — იკითხა ლიდერმა, — და ხეზე აძვერი?

ალბათ გაოგნება სახეზე დამეტყო. საიდან იცოდნენ? ვინ უთხრა?

— ჭორი ადვილად ვრცელდება, — თქვა მან, თითქოს ჩემი აზრები წაიკითხა, — და რა მოხდა? წინადაცვეთილი ხარ თუ არ ხარ?

— ვარ, — ვთქვი მე, ხმა შემისუსტდა.

— ამბობს, ვარო, — გამოაცხადა ლიდერმა, — მაგრამ ვენდოთ?

მიწაზე დამაგდეს, შარვალი ჩამხადეს. მთელი ხმით ვყვიროდი.

— ეს რა არის? რა პატარაა! ლობიოსავით. არ მიკვირს, წინადაცვეთიდან რომ გაიქცა.

— მგონი, სათანადო წინადაცვეთა არ გაუკეთებია, — თქვა ლიდერმა, — ჩვენ უნდა დავასრულოთ ეს საქმე.

ჯაყვა ნამდვილად ეჭირა? თუ არასწორად მახსოვს? ზუსტად არ ვიცი. ის კი ნამდვილად მახსოვს, რომ ჩავიფსი.

— აუჰ, არა. სულთანს კარგი ბანაობა სჭირდება, — თქვა ლიდერმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შარვალი, საცვალი, წინდა და ფეხსაცმელი გამხადეს, არხში გადაყარეს.

— წადი და მოიტანე. ან სახლში ასე წადი და ყველას დაანახვე შენი ლობიო.

წავიდნენ, მაგრამ ვივარაუდე, რომ — დროებით. ვიჯექი, მუხლებს ვეხუტებოდი, ვირწეოდი და ველოდებოდი, როდის გამოხტებოდნენ ბუჩქებიდან და თავს დამესხმებოდნენ. არც კი ვიცი, რამდენი საათი გავიდა ასე. სიბნელე ჩამოწვა. წვიმდა, მაგრამ არ მაწუხებდა.

უცებ დედაჩემი გამოჩნდა ჩრდილებიდან, ორ მეზობელთან ერთად. ეტყობა, ყველგან მეძება. საიდან იცოდა, არხთან რომ ვიყავი? ეს ერთადერთი ადგილი იყო, სადაც მარტო წასვლა ამიკრძალა. არაფერი უკითხავს. თავისი შალი მომახურა, სახლში წამიყვანა, დამბანა, დამვარცხნა და სუფთა პიჟამა ჩამაცვა.

— აი, — თქვა მან, — ახლა ისევ ჰგავხარ სულთანს.

ათი დღის შემდეგ ჩემი ბანდა მყავდა. არაფერი განსაკუთრებული, უბრალოდ, ხუთნი შევიკრიბეთ. ისინი სულით ხორცამდე ჩემი ერთგულები იყვნენ. ბოშა ბავშვები, ვისთანაც მეგობრობა არავის სურდა. მაგარი ბიჭები იყვნენ. ეწეოდნენ. აგროვებდნენ ყველაფერს: ბოთლის თავსახურებს, ალუმინის ფოლგას, აეროზოლის ქილებს. ყველაფერი ფეხებზე ეკიდათ.

ის ორი ბიჭი ვცემეთ, ლიდერს კი არ შევხებივართ. მინდოდა, ოფლში მოცურავე მენახა. არ სცოდნოდა, რომელ წამს დავარტყამდით. იმ დროისთვის მამაჩემთან პირველი ჩხუბი უკვე მომხდარი იყო — ვერძის ამბავი. საკუთარ თავს დავპირდი, სისუსტეს აღარასოდეს გამოვიჩენდი და ამ პირობას ვასრულებდი.

ერთ კვირადილას კარზე ზარი გაისმა. დედამ გააღო. ზღურბლზე მოტირალი ქალი იდგა. თურმე, მის ვაჟიშვილს ნილბიანი ბიჭების ბანდა დაესხა თავს. ბინძურ არხში ჩააგდეს. დაიხრჩობოდა, რომ არა მოტივტივე ფიცარი. ბიჭმა ცურვა არ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იცოდა. მათ აიძულეს, საკუთარი შარდი დაელია. დედაჩემს ჰკითხა, — მათი ვინაობა ხომ არ იცით, — რადგან შვილმა სახელები არ უთხრა.

დედაჩემმა ქალი სამზარეულოში შეიპატიჟა და უთხრა, — ვწუხვარ თქვენი შვილის გამოო. ჩაი და ნამცხვარი შესთავაზა, მაგრამ ქალმა იუარა.

— გუშინ სარეცხზე ვიყავი, — თქვა დედამ, — ისკენდერი ფარდების ჩამოხსნაში მეხმარებოდა. მთელი დღე ჩემთან გაატარა. ამიტომ ზუსტად ვიცი, მას არაფერი აქვს საერთო ამ ამბავთან.

— დარწმუნებული ხართ?

— სრულიად.

ქალის წასვლის შემდეგ დედაჩემი ოთახში შემოვიდა, ფანჯრის ქვეშ ვიჯექი და ვიყურებოდი. ველოდი, მისაყვედურებდა, მაჯაზე დამარტყამდა, ყურებს ამიწევდა. მაგრამ მხოლოდ დიდხანს, დაჟინებით მიყურა. მის თვალებში სიამაყე შევნიშნე. მერე თქვა:

— სადილად რა გინდა, ჩემო სულთანო? გინდა, ოსპის სუპი მოგიმზადო, შენ როგორიც გიყვარს?

იმ ბიჭზე, რომელსაც თავს დავესხი, არ გვილაპარაკია. არც მაშინ, არც მერე.

ისკენდერ ტოპრაკი

ვაჟკაცური ჩხუბი

ლონდონი, 1978 წელი

სანამ ხიზნებთან მივიდოდა, იუნუსმა იცოდა, რაღაც რიგზე ვერ იყო. ძველ შენობას რომ მიუახლოვდა, შენიშნა, სამივე სართულზე ფანჯრები მუყაოს ყუთებით იყო დაგმანული და ზედ ანარქისტული სიმბოლოები ეხატა. წინადღით ტემპერა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტურა ნულამდე დაეცა და საწვიმარებზე ლოლუები ეკიდა, ცრემლებივით. ჰაერში მძიმე დუმილი ჩამოწოლილიყო, შემზარავი დუმილი.

ტობიკოს დაბადების დღის მერე, პანკებმა სახლში რომ მიიყვანეს, დაგვიანებისა და იმის გამო, რა მდგომარეობაშიც იმყოფებოდა, პემბემ დასაჯა. დედამისი დარდისგან აღარ იყო, მალე საავადმყოფოში წასვლას აპირებდა. ამიტომაც, რამდენიმე კვირა სახლიდან გასვლა აუკრძალა. ყოველ დილით თავად აცილებდა სკოლაში და შუადღეს უკან მოჰყავდა. დღეს კი, როგორც იქნა, გააგრძელა „კრისტალ სიზორში" მუშაობა და იუნუსიც გათავისუფლდა. მართალია, დედას პირობა მისცა, სკოლიდან პირდაპირ შინ წავიდოდა, არც ტყუილი სჩვეოდა, მაგრამ მაინც, თითქმის საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ, ნაცნობ მისამართზე წავიდა.

ველოსიპედი დააყენა და ვიწრო ბილიკი ძლივძლივობით გაირა, ფრთხილობდა, ფეხი არ დასცურებოდა. მისდა გასაოცრად, შესასვლელი ჩარაზული დახვდა. აქ ბევრჯერ ყოფილა და კარი დაკეტილი არასოდეს უნახავს, მით უმეტეს, შიგნიდან. ხიზნები ყოველთვის თავს იწონებდნენ, ჩვენი სახლი ერთადერთია ლონდონში, რომელსაც არც გასაღები და არც ბოქლომი სჭირდებაო. სხვებისგან განსხვავებით, კერძო ციხე არ არისო.

კარს ზარი არ ჰქონდა, ამიტომ იუნუსმა დააკაკუნა. თავიდან მორიდებით, მერე შეშფოთებით. რამდენიმე წუთის შემდეგ გამეტებით ურტყამდა კარს.

— თავი დაგვანებე, — ვიღაცამ დაიყვირა შიგნიდან.

გაოგნებული იუნუსი გაჩერდა. ნუთუ, ხიზნებს მისი დანახვა აღარ სურდათ? ამიტომ ჩაიკეტნენ? ფრთხილად, მაგრამ მაინც დააკაკუნა.

— მოგვწყდი თავიდან, შე შოვინისტო! — დაიღრიალა სხვა ხმამ.

ქალის ხმა ჩაერია:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— გაეთრიე! ჩხუბი მოგვივა!

ამჯერად ბიჭი დაიზაფრა. ტობიკო ძალიან უყვარდა, მაგრამ კბილებალესილი ხიზნებით სავსე სახლის წინააღმდეგ დაპირისპირებისთვის მზად არ იყო. ხმა აუკანკალდა, დაიყვირა:

— მაგრამ ეს მე ვარ... მე, იუნუსი! გთხოვთ, შეიძლება შემოვიდე?

წუთიერ დუმილს სიცილი მოჰყვა. რამდენიმე წამში კარი გაიღო. შესასვლელში კაცი იდგა, იჯი პოპს ჰგავდა, წელზევით შიშველი იყო, უთმო მკერდით. იუნუსის დანახვაზე გაიბადრა, მის მხარს ზემოთ დაიყვირა:

— ცრუ განგაშია, ხალხო! პერიმეტრი სუფთაა! ის ბავშვია მოსული.

— გამარჯობა, — თქვა იუნუსმა, — აქვე ვსეირნობდი ველისოპედით და ვიფიქრე, შემოგივლიდით.

— კარგ დროს მოხვედი! ვიღაცის სახის ასახევად ვემზადებით!

— ვისი სახის? — ჩუმად იკითხა იუნუსმა.

— გავლენიანი ტიპების, — იჯი პოპმა აღელვებით უპასუხა.

გავლენა — უფროსების მიერ გამოყენებული სიტყვასავით ჟღერდა, ის იუნუსს მანამდეც გაეგო, მაგრამ მნიშვნელობა არ ესმოდა. ერთხელ ტობიკოს ჰკითხა, რას ნიშნავსო, მან კი თავისი გონიერების გამოსამჟღავნებლად ასე უპასუხა: „გავლენა არის ის, რაც მამებს უხვად აქვთ, დედებს არ გააჩნიათ, შენნაირ ბიჭებს კი მანამ არ მიენიჭებათ, სანამ არ გაიზრდებიან“.

თვალებგაფართოებულმა იუნუსმა იკითხა:

— ულვაში?

ამიტომაც, როცა იჯი პოპმა იგივე სიტყვა გამოიყენა, ბიჭმა წარმოიდგინა, რომ ხიზნები ულვაშიან ხალხზე თავდასასხმელად ემზადებოდნენ. გაოგნებული და გაშეშებული, ეჭვნარევი სახით იდგა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იჯი პოპს წარმოდგენა არ ჰქონდა, ბიჭი რაზე ფიქრობდა. კარიდან თავი გამოყო, მარცხნიდან მარჯვნივ მიმოათვალიერა იქაურობა და დარწმუნდა, ქუჩაში არაფერი ხდებოდა. მერე იუნუსი სახლში შეიყვანა, კარი მიხურა და ხის ფიცრით ჩარაზა.

— რა ხდება? — იკითხა იუნუსმა, მაგრამ კაცი გატრიალდა და უკვე კიბეზე არბოდა. მეორე სართულამდე რომ ააღწია, იუნუსმა თვალებს არ დაუჯერა. ყველა ხიზანი იქ მოგროვილიყო, ზოგი სქელი რეზინისგან კატაპულტებს აკეთებდა, ზოგიც ხელკეტს, შუბსა და სატყორცნ მილებს ალაგებდა, სხვები ვაზნებს იმარაგებდნენ. ყველა მონდომებული და მიზანმიმართული ჩანდა, მღელვარების ღრუბელქვეშ ცხელებიანებივით მუშაობდნენ. ჰაერი სიგარეტის, საკმევლისა და მოსაწევის კვამლით იყო გაჟღენთილი. პატარა ქურაზე ჩაი, თუ რალაც ჩაის მსგავსი დულდა და ხმადაბლა, ზანტად უსტვენდა. იუნუსს მოეჩვენა, რომ ჩაიდანიც გაშმაგებული იყო.

კაპიტანი ალიაქოთის ცენტრში იდგა, ბრძანებებს სკაუტების წინამძღოლივით ისროდა. სინდიოფალას მსგავს სახეზე ისეთი კონცენტრაცია აღბეჭდოდა, ბიჭმა იფიქრა, — ქაოსსაც თავისი წესრიგი აქვსო. სხვა მრავალ აზრთან ერთად, წუთით აქედან გაქცევამაც მოუარა, მაგრამ ტობიკოს ნახვის საჭიროება უფრო ძლიერი აღმოჩნდა. სად იყო? ეცადა, მაგრამ ვერსად იპოვა.

იუნუსი პანკს მიუახლოვდა, სახელად ბოგარტს. ახალწვეული იყო, წაწვეტებული თმითა და მრგვალი სათვალით.

— ჰეი, სალამი, რას აკეთებ?

— სალამი, იონა! გინდა, ხელი შემაშველო?

იუნუსმა მხრები აიჩეჩა.

— კარგი, რა უნდა გავაკეთო?

— ეს სითხე ბოთლებში ჩაასხი, სულ ეგაა.

ბიჭმა პლასტმასის ძაბრი აიღო და ღვინის ბოთლებში სკიპიდრის ჩასხმა დაიწყო, მოლოტოვის კოქტეილების გასაკეთებლად.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რა უცნაური სუნი აქვს, — აღნიშნა იუნუსმა მცირე ხნის შემდეგ, — რაში უნდა გამოიყენოთ?

— მთავრობის ხალხს უნდა ვესროლოთ, — ბოგარტმა სხვათა შორის თქვა.

იუნუსი დაიძაბა, ყბა აუცახცახდა. რატომ იყვნენ ხიზნები ასე მონდომებული, ულვაშიანი კაცებისთვის ბოთლები დაეშინათ? ან მამა როგორ გადაერჩინა ამისგან?

— ყველა გავლენიანს უნდა დაესხათ თავს? — იკითხა.

— არა! ეგ შეუძლებლია. ბევრნი არიან, დამპალი ნაბიჭვრები. ვირთხებივით მრავლდებიან, — თქვა ბოგარტმა, „ადამის ვაშლი“ აუგორდა და ჩამოუგორდა, — ჯანდაბა მაგათ თავს!

— დავბრუნდები, — თქვა იუნუსმა და წამოდგა. განცალკევებით უნდა ეფიქრა.

ყველა ოთახში, სადაც შევიდა, მსგავს არეულობას გადააწყდა. არ ხუმრობდნენ. ხიზნები ომისთვის ემზადებოდნენ. უცებ ტობიკო დაინახა. ხალიჩაზე იჯდა მარტო, თავჩალუნული, თვალებდახუჭული, მედიტაციაში ჩაძირული. იუნუსი გვერდით მიუჯდა. არავისში შეეშლებოდა შავი თმით, ტატუებითა და პირსინგებით. ცდილობდა, მოეფიქრებინა მას, ახალგაზრდასა და ჯიბეგაფხეკილს, როგორ გადაერჩინა ტობიკო გარდაუვალი ბრძოლისგან.

— შენ ხარ, პატარავ? — ტობიკომ ხმადაბალი, მაცდური ხმით ჰკითხა.

იუნუსი წამოწითლდა.

— როგორ მიხვდი?

— დავინახე, როგორ შემოხვედი, შე სულელო, — ტობიკო მოტრიალდა, თვალი ჩაუკრა და ლოყაზე აკოცა, — ოჰ, რა სერიოზული ხარ. რა გჭირს, საყვარელო?

— ვერ ვხვდები, აქ რა ხდება.

— საბჭოს ბრალია, — თქვა ტობიკომ და თვალები ბრაზით აენთო, — ჩვენი გაგდება უნდათ. გჯერა? გასახლების

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცნობა გამოგვიგზავნეს და ერთი კვირა მოგვცეს. ეგ ცხრა დღის წინ იყო. ყოველ წამს ველოდებით, რომ მოვლენ ეგ ნაბიჭვრები!

— მაგრამ რატომ?

— იმიტომ, რომ ეს შენობა თავისნაირ სქელ კატებს გადასცენ.

იუნუსი მიხვდა, ულვაშიან ხალხს არ ერჩოდნენ ხიზნები და გულზე მოეშვა. ყურები ცქვიტა, თითქოს იერიშის, პოლიციისა და სასწრაფო დახმარების მანქანების ხმების გაგონებას ელოდა, მაგრამ გარედან მხოლოდ ქარის ხმა ისმოდა, სუსხიანი ქარის. ბიჭმა ჩაისუნთქა და იკითხა:

— შენ სად წახვალ?

— არავინ არსად წასვლას არ აპირებს, — აღნიშნა ტობიკომ.

— მაგრამ სახლი მათ ეკუთვნის, არა?

— არა, არ ეკუთვნის. ზოგი სახლი ყველას საკუთრებაა. მე თუ მკითხავ, ყველა სახლი ეგეთი უნდა იყოს, — ტობიკო მხრებში გაიმართა, — ისინი გეგმავენ, გაგვყარონ, ჩვენ კი ვგეგმავთ, შევებრძოლოთ, რადგან, თუ სისტემას არ შეეწინააღმდეგები, შენც მისი ნაწილი გახდები.

— იქნებ, აზრი შეიცვალონ, — ივარაუდა იუნუსმა, — ღმერთი მაღალია.

— ღმერთი? ღმერთს მეორეც აქვს ჩვენი პლანეტის მსგავსი. სადღაც მეორე მე და მეორე იონა არსებობს. ჩვენ გვგვანან, მაგრამ ჩვენ არ არიან. რანაირად იქნებიან, ჩვენ ხომ აქ ვართ, არა?

ბიჭი ფრთხილად უსმენდა, მაგრამ სიტყვები წამოსცდა, თითქოს ქვიშა გაუძვრა თითებში. არასოდეს გაუგონია, ვინმეს ეჭვის ქვეშ დაეყენებინა ალაჰის არსებობა და მისთვის შეუცნობელი მიზეზით, დანაღვლიანდა.

— დედა ამბობს, რომ ღმერთს ყველანი ვუყვარვართ.

— ვუყვარვართ? — ტობიკოს თითქოს სიტყვა ყელში გა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეჩხირა, — სიყვარული მერყევი რამაა. მაპატიე, მაგრამ უნდა გითხრა, რომ ღმერთმა დაგვივიწყა.

ბიჭს თვალები ჯერ დაუწვრილდა, მერე გაუფართოვდა. საკუთარ ხელებს დააშტერდა, რაღაც გაუგებარი ჩაიბურტყუნა, თითქოს ლოცულობდა. სიტყვების კორიანტელში, შორეული ექოსავით, ტობიკომ გაიგონა:

— მე ეგრე არასოდეს მოვიქცეოდი. მე არასოდეს დაგივიწყებდი.

* * *

მომდევნო საათის განმავლობაში კაპიტანმა სამოქმედო გეგმა სკოლიდან მოპარულ დაფაზე დახატა. ძირითადად, უცნაურად ზანტი იყო, თითქოს ვილაცამ გააბრუა, მაგრამ როგორც კი ტირადა წამოიწყო, ენერგია მოაწვა. პოლიცია რომ შემოცვივდებოდა, ყველანი ბოლო სართულზე ავიდოდნენ, იქ პატარა არმიისთვის საკმარისი შეიარაღება მოემარაგებინათ. პირველი სართულის საწოლებსა და მეორე სართულის მაგიდებს ბარიკადებად გამოიყენებდნენ. უკანა ხაზებიდან ისეთ მედგარ წინააღმდეგობას გაუწევდნენ, ბრიტანული მედიის ყურადღებას მიიქცევდნენ. როცა ჟურნალისტები მეამბოხეების ფოტოებს გაავრცელებდნენ, ახალგაზრდები მთელი მსოფლიოს მასშტაბით აღშფოთდებოდნენ ჰაკნის საბჭოს სისასტიკით. მთავრობა, სახელის გადასარჩენად, საბჭოს ეტყოდა, თავი დაანებეთო, — და ხიზნები გაიმარჯვებდნენ.

— ძალიან მაგარია, ძმაო! პარიზის კომუნასავით იქნება, — თქვა ბოგარმა, კბილებში მოსაწევი ჰქონდა გაჩრილი და მოლოტოვის კოქტეილებისგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით იდგა.

— კომუნამ სისხლიანად დაამთავრა, — გააფრთხილა იჯი პოპმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იუნუსმა იცოდა, რომ პოლიცია ნებისმიერ წამს შემოვარდებდა, ის ხიზნებით იყო გარშემორტყმული. დედამისს, ალბათ, გულის შეტევა დაემართებოდა. სწრაფად უნდა გასცლოდა აქაურობას. ეს თუ ომი იყო, მისი ომი ნამდვილად არ გახლდათ. ვინც უნდა ყოფილიყვნენ ის გავლენიანი ადამიანები, იუნუსს მათთვის ქვებისა და ბოთლების სროლა არ სურდა. თუმცა, ამის მიუხედავად, ნაბიჯს ვერ დგამდა. სითბოს დანატრებული კნუტივით, საყვარელი ქალის გვერდით დარჩა, შეიარაღებაში ეხმარებოდა, რევოლუციურ ამბებს ისმენდა, ჰაშიშის პოპკორნს მიირთმევდა და „მეამბოხე, მეამბოხეს“ ღიღინებდა.

ბიჭის საბედნიეროდ, ის შეჯახება, რომლისაც ეშინოდა, შუადღეს არ მომხდარა. სამი დღის შემდეგ მოხდა, როცა იუნუსი სკოლაში იყო. მათი სამზადისი ამაო აღმოჩნდა, და მართალია, ვაჟკაცურად დაუხვდნენ, რამდენიმე საათში ყველა დაატყვევეს.

ხიზნების უმრავლესობა ერთ-ორ დღეში გაათავისუფლეს, მას მერე, რაც პოლიციამ ზედმიწევნით შეამოწმა და საზოგადოებრივ წესრიგსა და სათანადო ქცევაზე ლექციები ჩაუტარა. საბჭომ სახლი სწრაფად აჭედა. მალევე გაიცა სახლის დაცარიელების განკარგულებაც.

ქარვისფერი მიჯნური

ადგილი მდინარე ევფრატის პირას, 1978 წლის აპრილი

ჯამილამ ქვასანაყი როდინში დაატრიალა, ლალივით წითელ ზაფრანას ფქვავდა. ბოლო ულუფა დარჩა, არ იცოდა, მარაგს კიდევ როდის შეავსებდა. სხვა ინგრედიენტებიც უმთავრდებოდა. მაიორანი, აბზინდა, გრაკლა, სეზამი. მოუწევდა, მთებში წასულიყო, კონტრაბანდისტებიც ენახა. თუმცა, ბო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლო დროს, სულ უფრო ნაკლებად სურდა სახლის დატოვება, მხოლოდ იმ შემთხვევაში გადიოდა, თუ გადაუდებელი საქმე ჰქონდა ან ვინმე მშობიარობდა, რაც, ერთი და იგივე იყო.

მთელი დილა სარდაფში გაატარა, მუშაობდა, ფიქრობდა. ეს ადგილი — ჩაბნელებული, ნესტიანი, ხუთი კვადრატული მეტრის უფანჯრო ოთახი, პატარა კარითა და რამდენიმე საფეხურით — მის თავშესაფარს, მის ნავსაყუდელს წარმოადგენდა. მთელ ოთახში, იატაკიდან ჭერამდე ხის თაროები იყო. თითოეულ თაროზე სხვადასხვა ფერისა და ზომის ქილები, ბოცები და ბოთლები ელაგა. ველური მცენარეები, ხის ქერქი, ეთერზეთები, მარცვლეული, სანელებლები, ცხოველების რქები, გამომშრალი მწერები — ათასობით ინგრედიენტი, რომელსაც წამლებისა და მალამოების დასამზადებლად იყენებდა. მიძინებული ინტერიერი თხუნელას გვირაბზე ვიწრო ღრიჭოდან ნიავდებოდა. მიუხედავად ამისა, შიგნით უცნაური, მიწისებური მწვავე სუნი ტრიალებდა, მაგრამ ჯამილა ველარ გრძნობდა. უცხო რომ შემოსულიყო, თავბრუ დაეხვეოდა. სავარაუდოდ, ეს არასოდეს მოხდებოდა. ჯამილას გარდა, იქ ფეხი არავის დაუდგამს და არც არავინ დადგამდა მომავალში.

ყოველდღე, ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში, ჯამილა რამდენიმე საათს სარდაფში ატარებდა, ამზადებდა მალამოებს, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლებოდა დასჭირვებოდა ვინმეს და კარზე მოსდგომოდა. ჯამილა მკურნალი იყო. ქალწული ბებიაქალი, რომელიც ჩიტების, ქვეწარმავლებისა და მწერების ენაზე საუბრობდა. წინასწარმეტყველ სულეიმანის შვილიშვილი. ადგილობრივები ასე მოიხსენიებდნენ. ესეც ერთ-ერთი მიზეზი იყო, რატომაც გაძლო მარტოკამ ამ ველურ ადგილას. ხალხი პატივს სცემდა, თან, ეშინოდათ და სძულდათ კიდეც. შესაბამისად, მარტო ტოვებდნენ. ქალი, რომელიც ქალი არ გახლდათ; გრძნეული, რომელიც ორ სამყაროს შორის გაბმულ თოკზე მიმოდიოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როცა ჯამილა სარდაფში იყო, საკუთარ სხეულს ტოვებდა, იდუმალი ენერგიის გამტარი ხდებოდა, მისი ენერგია სამყაროში მიედინებოდა, კურნავდა, შეაკეთებდა, მრავლდებოდა. იქ საკუთარ საშვილოსნოს ეხმარებოდა მშობიარობაში და ეს საშვილოსნო მთელ სამყაროს ფარავდა, სითბოთი და შემწეობით იცავდა. ამ დროს სრულიად კარგავდა საკუთარი თავის შეგრძნებას. არ იცოდა, დღე იყო თუ ღამე, არც ჰქონდა მნიშვნელობა. საკუთარი ციკლით ცხოვრობდა, დროის მიღმა. ზოგჯერ დილიდან საღამომდე მუშაობდა, უძველეს რეცეპტებს ამზადებდა, ახლებს იგონებდა. არასოდეს ჰბეზრდებოდა. ზოგჯერ იღლებოდა, მაგრამ არ იწყენდა. თითოეული ყვავილი, თითოეული მინერალი ღვთიურ საიდუმლოს ატარებდა, უფლის მიერ ჩანერგილს. ადამიანები ხშირად ვერ ხედავდნენ მინიშნებებს. ფითრი პარაზიტი მცენარე ეგონათ, რომელიც ხეებზე იზრდებოდა, ის კი არ იცოდნენ, რომ ფითრი სისხლის ცირკულაციას აწესრიგებდა. ნდობა. ჯამილას ამის მიღწევა სურდა. როცა ცოცხალი არსებები გენდობოდნენ, თავიანთ საიდუმლოებასაც გიმხელდნენ. მაშინვე არა, თანდათანობით. აი, შემდეგ კი გეცოდინებოდა, რომელი მცენარე რომელი დაავადების სამკურნალოდ გამოდგებოდა. ყველაფერი, რაც უნდა პატარა და უმნიშვნელო ყოფილიყო, რალაც შეკითხვის პასუხი გახლდათ. სადაც იყო პრობლემა, იქვე, და ზოგჯერ, გამაოცებლად ახლოს, იყო მისი აღმოფხვრის გზაც. მთავარია, დანახვა შეგძლებოდა. ჯამილას კი შეეძლო.

ჯამილას უცნობ ადგილებში მოგზაურობა, უცხო ადამიანების გაცნობა და ჰორიზონტს მიღმა კონტინენტების აღმოჩენა არ აინტერესებდა. სამყარო მრავალფეროვანი იყო, მაგრამ ადამიანები ყველგან ერთმანეთს ჰგავდნენ. ჯამილას ბორცვებზე შეფენილ სახლებში მოციალე ლამფების ყურებაც ჰყოფნიდა. ალაჰს სურდა, ჯამილას ბუნების საიდუმლოება სცოდნოდა, სჯეროდა, რომ ღმერთმა მისიად დააკისრა, იქ დარჩენილიყო, სადაც ცხოვრობდა. ქალმა მრავალი დაავადე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბის განკურნება იცოდა, მაგრამ კიდევ უფრო მეტი საიდუმლო აუხსნელი რჩებოდა. გრძელსახელოებიანი, ფერადი კაბებისა და ორნამენტიანი მოსაცმელების ქვეშ შარვალს ატარებდა, რაც ცხენზე ამხედრებაში ეხმარეობდა. დღისითა და ღამით მზად უნდა ყოფილიყო.

ადგილობრივებმა ჯამილაზე უამრავი ისტორია შეთხზეს. ამბობენ, ჯინმა მისცა ფორმულები წამლებისთვისო. სხვებს სჯეროდათ, კაფის მთაზე აიპარა, სადაც ადამიანს ფეხი არ დაუდგამს, ფერიები, ნიმფები და სულები ბუდობენო. ჯამილა იმ ამბების გაგონებაზე თავს აქნევდა. მის მხარეში გმირი, ლეგენდა და სასწაული სწყუროდათ და ჯამილაში ერთდროულად სამივეს ხედავდნენ. თუმცა ქალმა იცოდა თავისი შესაძლებლობების ზღვარი. თავის ნახარშებსა და მალამოებს მყიდველის ფინანსური მდგომარეობის შესაბამისად აფასებდა, თუმცა ხშირად უფასოდაც გასცემდა. იმ მწირი თანხით, რასაც გამოიმუშავებდა, დამატებით ინგრედიენტებს ყიდულობდა.

შხამებსაც ამზადებდა, თუმცა, მათ იშვიათად ყიდდა. შხამი უფლის საჩუქარი იყო. ღვთიური წყალობა, რომელსაც ადამიანები ვერ აფასებდნენ. ზოგი წყევლად აღიქვამდა, ზოგიც წამლად. ბუნება კი კარგად და ცუდად არ იყო დაყოფილი. ისეთ რამეს, რასაც შენი განკურნება შეეძლო, იმავდროულად, შეიძლება, ავად გაეხადე. ის, რაც ავადმყოფობას იწვევდა, გამოჯანმრთელების საშუალებაც იყო. ჯამილას აზრით, შხამების დამამზადებელ ხელოსანს ჰგავდა. ოსტატის მსგავსად, მას ხარისხიანი პროდუქტის დამზადება ევალებოდა, ხოლო რა მიზნით გამოიყენებდნენ პროდუქტს, ამაზე პასუხს არ აგებდა. შხამს თაგვების, ვირთხების, ხოჭოებისა და გველებისთვის ამზადებდა. მართალია, მისი საწამლავები მომაკვდინებელი გახლდათ, მაგრამ უბრალო ხორცმაც შეიძლება აწყინოს კაცს. თუ ზედმეტად ბევრ ხორცს შეჭამდა ადამიანი, ნიკრისის ქარი შეეყრებოდა, რაც სასიკვდილო დაავადებაა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თუმცა, ამის გამო არავინ ამბობდა უარს ხორცის ყიდვაზე და ყასბებსაც არავინ აპატიმრებდა.

ჯამილამ როდინი გადადო და პატარა, ოთხკუთხედი სადაფის ყუთი აიღო. შუბლი ლამფის მოციალე შუქის ქვეშ უბზინავდა. ყუთში ქვა იდო, ძალიან ძვირფასი. თაფლისფერი ბრილიანტი, ტყის თხილზე დიდი ზომის. თითებში მოიქცია და დააკვირდა. ხეობაში ისეთი ხალხი ცხოვრობდა, ძვირფასი ქვისთვის ერთმანეთს ყელს რომ გამოსჭრიდა. სულელები! ბრილიანტს უნდა მოუფრთხილდე და არა — მიისაკუთრო. ყოველი მომდევნო მეპატრონე მხოლოდ დროებითი გაჩერება იყო ბრილიანტის ხანგრძლივ მოგზაურობაში. ჯამილას ეს კარგად ესმოდა. დღეს ქვა მასთან იყო, ხვალ სხვაგან აღმოჩნდებოდა. ჯამილა ბრილიანტს მალამოების სრულყოფისთვის იყენებდა. ზოგი ქვა სითბოს, შიდა ნათებას გამოსცემდა და როცა წამალში მოათავსებდით, არბილებდა, ინგრედიენტების უკეთ შეზავებას უწყობდა ხელს. ამისთვის რამდენიმე ძვირფას ქვას იყენებდა ჯამილა, თუმცა ბრილიანტი საუკეთესო იყო მათ შორის.

უხსოვარი დროიდან, მესოპოტამიელები ბრილიანტებს „უფლის ცრემლებს“ უწოდებდნენ. სჯეროდათ, რომ ბრილიანტის ქვები ვარსკვლავებიდან ჩამოცვენილი მტვრისგან ან ქარიშხლიან ღამეებში ელვის ნაპერწკლებისგან ჩნდებოდა. ერთი ლეგენდა ამტკიცებდა, ბრილიანტები დედა ბუნებისა და მამა ცის სიყვარულისას დაღვრილი ოფლის კრისტალებიაო. მდიდარი წარმოსახვის უნარი! როცა ადამიანებს რამე არ ესმოდათ, იმას ათასნაირად წარმოიდგენდნენ ხოლმე, აუხსნელ მოვლენებს მითებით ხსნიდნენ.

ბრილიანტთან შედარებით, ადამიანის ცხოვრება ზაფხულის წვიმაზე ხანმოკლე იყო. ადამიანები ბერდებოდნენ და სუსტდებოდნენ, ბრილიანტს კი ასაკი არ ემატებოდა. ჯამილას ვარაუდით, სამასი-ოთხასი წელი იქნებოდა გასული მას

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მერე, რაც ეს ქვა გათალეს. ჯერაც ახალგაზრდა ქვა იყო, ზოგიერთი ბრილიანტი ათასობით წელს ითვლიდა.

ღარიბებიცა და მდიდრებიც თანაბრად ხარბდებოდნენ ბრილიანტზე. მას, ვისაც არ ჰქონდა, მისი ქონის სურვილით კვდებოდა, ხოლო ვისაც ჰქონდა, მეტი სურდა. ამ ახალგაზრდა ქვას ბევრი გაიძვერობა, სისასტიკე და გაუმაძღრობა ენახა. სხვა, იშვიათი ბრილიანტების მსგავსად, მასაც სისხლიანი წარსული ჰქონდა. მევაჭრეები, მოგზაურები, პილიგრიმები, მეზღვაურები, ჯარისკაცები და ჯაშუშები ერთმანეთს ღალატობდნენ, რომ ბრილიანტი ხელში ჩაეგდოთ. მოსამსახურეები თავიანთ ქალბატონებს მეტ პატივს სცემდნენ, ცოლებს ქმრები უფრო მეტად უყვარდათ, კაცები კი უფრო მამაკაცურად გრძნობდნენ თავს, თუ ჭერქვეშ ბრილიანტი ეგულებოდათ. ორაზროვნობა ჭეშმარიტებად იქცეოდა, ფლირტი — ქორწინებად, მეგობარი — მტრად, მტერი კი, მოყვრად. გაუკვალავ თოვლზე აკიაფებული მზის სხივივით, ქარვისფერი ბრილიანტი ირგვლივ ყველაფერს ანათებდა, თუმცა უცნაური სიბნელეც ახლდა თან. ჯამილამ იცოდა, ასეთ დიად ბრილიანტს, ადამიანისთვის სულის წართმევის ძალაც შესწევდა.

ქვა ბეგის საჩუქარი იყო. ის კაცი მიეჩვია, ხალხი მის წინაშე რომ იჩოქებდა. ბეგი თანაბრად თესავდა შიშსა და პატივისცემას. ჯამილამ მისი ერთადეთი ვაჟის სიცოცხლე გადაარჩინა. ექიმებს იმედი გადაეწურათ, მან კი ჩუმად, ჯიუტად მოაბრუნა ბიჭი აზრაელის სამეფოდან, თითქოს ყინულზე მოათრევდა გატეხილ ციგას. როცა ვაჟმა პირველად გაახილა თვალები და ალაპარაკდა, ბეგი ატირდა. უფრო სწორად, ილრიალა, იმ კაცის მსგავსად, ვინც ცრემლს არ იყო მიჩვეული.

ბეგმა ფული შესთავაზა, ჯამილამ იუარა. ოქროს მონეტები. მიწის ნაკვეთი. ფუტკრების სკა. აბრეშუმის ფერმა. ყოველ ჯერზე ქალი თავს აქნევდა. ის-ის იყო, წასვლას აპირებდა, რომ კაცმა ბრილიანტის ქვა ანახვა. ბეგი ბრილიანტს ქარვის მიჯნურს ეძახდა. ქალი მისმა ფასმა კი არა, მასში და-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფარულმა გამოცანებმა მიიზიდა. საიდუმლოების ქვა იყო, ჯამილა ხვდებოდა.

— ამბობენ, დაწყევლილიაო, — თქვა ბეგმა, — არ იყიდება, ძალით არ წაირთმევა, არ მოიპარება. მისი გაცემა მხოლოდ გულით შეიძლება, საჩუქრად. ჩემამდეც ასე მოაღწია და შენც ასე გადმოგცემ.

წამიერად, ჯამილამ იგრძნო, ის და ქვა ღრმა, ამოუცნობი გზით იყვნენ დაკავშირებული. ამის მიუხედავად, მაინც უარი თქვა, მაგრამ ბეგი ჭკვიანი კაცი იყო, მიხვდა, ქალი დაინტერესდა ძვირფასი ქვით, მაგრამ შეეშინდა, თავი საფრთხეში არ ჩაეგდო ასეთი ნივთის ქონით. მძარცველებისგან თავდასხმას იმიტომ გადაურჩა, რომ არაფერი ებადა. ბეგს აღარ დაუძალებია, მაგრამ იმავე ღამეს სანდო კაცს გაატანა. მას მერე ჯამილა მასპინძლობდა ქარვის მიჯნურს.

ჯამილას ბევრი რამ აოცებდა ადამიანებში. მწერები ეზიზღებოდათ, მაგრამ ჭიამაიას ილბალს სთხოვდნენ. ვირთხები სძულდათ, მაგრამ ციყვები უყვარდათ. სვავები სძაგდათ, არწივებით აღტაცებაში მოდიოდნენ. ბუზებსა და კოლოებზე აჟრიალებდათ, ციცინათელების ყურებით კი ტკბებოდნენ. რკინა და სპილენძი ჯანმრთელობისთვის უფრო სასარგებლო იყო, მაგრამ ისინი ოქროს აღმერთებდნენ.

ჯამილას აზრით, ადამიანებს რამდენიმე ფავორიტის გარდა, ყველა სძულდათ. იმას კი ვერ ხვდებოდნენ, რომ სამყაროში მათი ათვალწუნებული რამეები სასიცოცხლო ციკლისთვის ისეთივე აუცილებელი იყო, როგორც მათ მიერ დაფასებული არსებები და ნივთები. წყლის კოლო მნიშვნელობით არაფრით ჩამოუვარდებოდა ციცინათელას, არც თითბერი — ოქროს. ასე შექმნა სამყარო უფალმა, დიდმა იუველირმა.

ხმამაღალმა, მჭახე დარტყმამ ჯამილა ფიქრებიდან გამოარკვია. ვილაც ზევით, კარზე აკაკუნებდა. წამოხტა და ბრილიანტი ყუთში შეინახა. ნეტავ, რამდენ ხანს იდგა ის ვილაც გარეთ? კიბე აირბინა, გული აუჩქარდა. როგორც კი სარდა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფის საიდუმლო კარიდან ამოვიდა და საცხოვრებელ ოთახში შეაბიჯა, ყვირილი შემოესმა.

— გააღე კარი! ქალწულო ბებიაქალო, სად ხარ?

ჯამილამ საიდუმლო კარს ხალიჩა გადააფარა, კედლიდან ბოფი ჩამოხსნა. ასე მომზადებული გაემართა შემოსასვლელისკენ.

გაუკვირდა, როცა ის კონტრაბანდისტი დახვდა, რომლის ცოლი რამდენიმე დღის წინ ამშობიარა. ერთ-ნახევარი ჩვილის მამა. აპირებდა, ბავშვის მდგომარეობა გამოეკითხა, როცა შენიშნა, კაცს მეგობარი ჰყავდა ზურგზე მოკიდებული, უკან კი სისხლის კვალი ჩანდა.

სქელი, მუქი სისხლი.

— ჯამილა... დაო, — თქვა კონტრაბანდისტმა, — უნდა გვიშველო.

ჯამილა მიხვდა. მათ სირიის საზღვარი გადალახეს, ტვირთი გადაჰქონდათ. ჩაი, თამბაქო, აბრეშუმი, შეიძლება, ნარკოტიკიც. ყველაფერი ისე არ გამოვიდა, როგორც დაგეგმეს. თავს დაესხნენ, ერთ-ერთი დაჭრეს. შეეძლოთ, მიეტოვებინათ, მაგრამ ასე არ მოიქცნენ. წამოიყვანეს. კაცს ბევრი სისხლი დაეკარგა, ნელ-ნელა სული ამოსდიოდა. დაკვირვება არ სჭირდებოდა, ჯამილამ იცოდა, კაცი კვდებოდა.

— ვშიშობ, ვერაფრით დაგეხმარებით, — თქვა ჯამილამ, — საავადმყოფოში უნდა წაიყვანოთ.

კონტრაბანდისტმა ულვაში მოიკვნიტა. არც გაბრაზებული ჩანდა და არც ნაწყენი, მხოლოდ შეშფოთებული.

— ხომ იცი, ვერ წავიყვანთ იქ.

მერე, თითქოს, შეთანხმებას მიაღწიესო, დაჭრილი დივანზე მიასვენეს და წავიდნენ. სანამ გავიდოდა, კონტრაბანდისტმა დაიბარა:

— თუ მოკვდა, ეზოში კოცონი დაანთე. დავინახავთ და მოვალთ, რომ მიწას მივაბაროთ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

• • •

კაცს გრძელი, მოუქნელი სახე და პირქუში, სევდიანი გამომეტყველება ჰქონდა. აწოწილი და გამხდარი იყო. ჯამილამ სცადა, მისი ასაკი გამოეცნო. შეიძლება ოცდარაღაც წლისა იყო, ან თუნდაც, ორმოცს გადაცილებული. ლოყებზე ფერი არ ედო და ვენებიდან სიცოცხლის კვალი უქრებოდა, ასეთ მდგომარეობაში ნებისმიერი ასაკის ან საერთოდ უასაკოც კი შეიძლება ყოფილიყო.

რაც შეეძლო ფრთხილად წამოუწია თავი, რომ ბალიში ამოედო. ერთდროულად მძიმე და მსუბუქი იყო. ხავილი აღმოხდა, მოგუდული და არაადამიანური, თითქოს მკერდში ლოდი ედო, ყელში ტყვია გასჩხეროდა. ნესტოებიდან სისხლი ჩამოედინა. ჯამილას ბევრი სირთულე და საზარელი სანახაობა გამოევლო, მაგრამ ასეთი რამისთვის მზად არ აღმოჩნდა.

მისი მოკვლა დიდი წყალობა იქნებოდა. ფეხმოტეხილი ცხენი ღირსეულ სიკვდილს იმსახურებდა. ამ კაცისთვის კონიოს ფოთოლიც საკმარისი იქნებოდა. ჯამილას უკვირდა, რამდენ ადამიანს ერეოდა ეს მცენარე სხვაში და თავს ისე იწამლავდა, რომ ვერც ხვდებოდა. სოფლელები მას „შაითანის სუნთქვას“ ეძახდნენ, მაგრამ ჯამილას უკეთესი სახელი შეერჩია — „იისფერი ნისლი“. კაცს საჭირო რაოდენობა რომ გადაეყლაპა, იასამნისფერ ძილქუშში გადაეშვებოდა, უკანასკნელ სიზმარში. ჯამილას ორჯერ ეფიქრა თვითმკვლელობაზე: პირველად, როცა გამტაცებლებმა მამამისთან დააბრუნეს, ჯერ კიდევ ქალწული, მაგრამ სამუდამოდ ღირსებაშელახული; და მეორედ მაშინ, როცა შეიტყო, ადემს პემბეს ხელი ეთხოვა. ორივეჯერ ჯოჯოხეთის შიშმა ან უბრალოდ, მეორე დღეს მზის დანახვის სურვილმა აიძულა, ცოცხალი დარჩენილიყო.

ჯამილა მხრებში გასწორდა, საკუთარ თავს მწუხარება აუკრძალა. მთელი ყურადღება კაცის ჭრილობებზე გადაიტანა. მარ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დად გაუჭრა ტანსაცმელი, თითქმის გააშიშვლა. კაცის სხეულის სიგამხდრემ, მისმა სიბინძურემ, მისმა უმწეობამ, მისმა ამოყრილმა ძვლებმა ლამის აატირა. სამი დიდი ჭრილობა ჰქონდა: ერთი ფეხში, ერთი მხარში და ერთიც, ყველაზე სავალალო, ხერხემალში. აშკარად უკნიდან ესროლეს.

მთელი შუადღე დაუღალავად მუშაობდა, პაციენტს ტკივილისგან ორჯერ წაუვიდა გული. ორ-ნახევარი ტყვია ამოუღო. მესამე, მარჯვენა მუხლის ქვეშ, გამსკდარიყო. თუ ამ ჯოჯოხეთს გადაურჩებოდა, დანაწევრებული ტყვია მის სიცოცხლეს საფრთხეს არ შეუქმნიდა. ჯამილამ კარგად იცოდა, კაცი სამუდამოდ შეიცვლებოდა. ძვირფასი ქვებისა და ბრილიანტების მსგავსად, ტყვიებიც სულს გადიოდნენ სხეულებამდე მისაღწევად.

ჩამავალი მზის ციალი დიდი ხანია, ცას ჩამოშორებოდა, როცა ჯამილას ჩაეძინა. კაცის სასთუმალთან, სკამზე ჩასთვლიმა, კისერი გაკავებოდა. იმ ღამით, ისევე, როგორც წინაღამეს, უსიამო შეგრძნება არ ტოვებდა, სუნთქვას უკრავდა.

კაცის კვნესამ გამოაღვიძა. ზღვიდან ამომხტარი თევზივით, პირს აღებდა და კეტავდა. ხელსახოცი დაასველა და ტუჩებზე დაადო.

— კიდევ, გთხოვ!

— მაპატიე, — უთხრა ჯამილამ ნაზად, — მეტი არ შეიძლება. ცოტა ხანში კიდევ დაგალევინებ, გპირდები.

კაცმა შეუკურთხა. მაღალი სიცხე ჰქონდა. ცნობიერება უსხლტებოდა. ჯამილას აინტერესებდა, კარგი კაცი თუ იყო. თუმცა ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა? ცუდი რომ ყოფილიყო, განა არ გადაარჩენდა? ალბათ ცოლ-შვილი ელოდებოდა. თუ გარდაიცვლებოდა, არავის მოენატრებოდა?

ჯამილამ ნელ-ნელა გადააცურა ხალიჩა და საიდუმლო კარი გააღო. სარდაფში უნდა ემუშავა, წამლები მოემზადებინა, ამჯერად თავისთვის, რათა ამ შფოთისგან გათავისუფლებულიყო. მწოლიარე პაციენტისკენ გააპარა მზერა. რამდენიმე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საათი არ გაილვიძებდა. კარში ჩაძვრა და როცა წონასწორობა დაიკავა საფეხურებზე, კარი ჩამოხურა. ზემოდან ვერ დამალავდა, მაგრამ დახურული მაინც იქნებოდა. თუ კაცი გამოიღვიძებდა, ჩათვლიდა, რომ ჯამილა შეშის დასაპობად გავიდა.

. იმწამს, კონტრაბანდისტმა თვალი გაახილა. ბუნდოვანი მზერით მოავლო თვალი ქოხს, კოხტად დალაგებულ შეშას, კედელზე ჩამოკიდებულ თოფს და ბოლოს, საიდუმლო კარი შენიშნა. მიუწვდომელი მზერა აღებეჭდა თვალებში, სანამ ისევ გადაეშვებოდა მტკივნეულ ძილში.

ესმა

ლონდონი, 1978 წლის აპრილი

კარი გამოვიხურე და ღრმად ჩავისუნთქე. ბოლო დროს ჩვევად მექცა შუაღამის გაპარვები. სააბაზანოში ვიკეტებოდი, როცა ყველა იძინებდა. სანთელს ვანთებდი და ვაკვირდებოდი, როგორ იცვლებოდა ჩემი სახე ალის ყოველ ალიცლიცებაზე. არ მაინტერესებდა თხუთმეტი წლის მე, უფრო იმას ვაკვირდებოდი, ზედაპირს მიღმა რა იყო. თითქოს, ჯერ კიდევ უცნობი საკუთარი თავის აღმოჩენას ვცდილობდი.

იმ გოგოების უმეტესობას, ვისაც ვიცნობდი, თავისი საძინებელი ჰქონდა და კარს მაშინ მიიკეტავდნენ ხოლმე, როცა მოესურვებოდათ. მე კი — ვერა. თუ იმ ოთახის კარს ჩავკეტავდი, რომელშიც ჩემს უმცროს ძმასთან ერთად ვცხოვრობდი, ოჯახი იფიქრებდა, რომ რაღაც საშინელება შემემთხვა. ამიტომ მიყვარდა სააბაზანოში ყოფნა — ერთადერთი ადგილი იყო, სადაც შემეძლო, ჩემს ფიქრებთან და ჩემს სხეულთან მარტო დავრჩენილიყავი.

სვიტერი და ხორცისფერი ლიფი გავიხადე, ასე რომ მეზიზღებოდა. წაწვეტებული ძუძუები მქონდა, სიფრიფანა ვი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყავი, ლურჯი ვენები მეტყობოდა, რაც კიდევ უფრო გულს მირევდა. კიდევ ორი პრობლემა, — თითქოს არ მყოფნიდა. აი, ამ დილითაც ჩემმა კლასელმა ბიჭმა სცადა, შეხებოდა. ვითომ, ჩემ უკან თაროდან წიგნის ჩამოღება უნდოდა. მივუხვდი განზრახვას და ავიცდინე. ბიჭების სიცილი შემომესმა, ერთად დაგეგმეს. გამოდის, ლაპარაკობდნენ ჩემს ძუძუებზე. კიდევ უფრო ცუდად გავხდი.

გარეთ კი, ლავენდერ-გროუვზე, ცრიდა. ფანჯარაში გავიხედე, მერე ისევ სარკეს მივაჩერდი. მეათასედ ვიფიქრე, ნეტავ, ბიჭად რომ დავბადებულიყავი, როგორი ვიქნებოდიმეთქი. მუქი ყავისფერი ფანქარი ავიღე და წარბები გადავიბი. მერე ულვაშიც მივიხატე, ხშირი, დიდი ულვაში, გვერდებში აპრეხილი. ისკენდერს რომ ვენახე, თავს გააქნევდა და იტყოდა: „დაო, სულ გადაირიე!“ ზოგჯერ, თავს ზედმეტად ვგრძნობდი ოჯახში, თითქოს, კოსმოსური შეცდომის გამო, არასწორ ადგილას მოვხვდი. ვწვალობდი, ტოპრაკობას ვცდილობდი, ჩემი ნამდვილი ბედისწერა კი სადღაც სხვაგან მელოდებოდა.

— გამარჯობა, ეს ჩემი დაა, მარტო ხელმოცარულები მოსწონს, — ისკენდერი ასე აცნობდა ჩემს თავს ახალ ნაცნობს, განსაკუთრებით, ბიჭებს.

ისკენდერის ტაქტიკა ყოველთვის ამართლებდა. ბიჭები აღარ მეკარებოდნენ და ეს დიდად არც მაწუხებდა. ისკენდერის ნათქვამი ტყუილი არ გახლდათ. ყოველთვის დაჩაგრულები, უიღბლოები მიზიდავდნენ. ფეხბურთის ყურების დროსაც ისე მინდოდა, ფრე დამთავრებულიყო, ყოველთვის დამარცხებულ გუნდს ვგულშემატკივრობდი. ვწუხდი იმის წარმოდგენაზე, როგორ იგრძნობდნენ თავს ფეხბურთელები, გულშემატკივარს იმედს თუ გაუცრუებდნენ.

— ლოკოკინების მხარეს ხარ. ეგ არის პრობლემა, — ამბობდა დედა. მას სჯეროდა, რომ ქვეყნად ორნაირი ადამიანები არსებობდნენ: ბაყაყის მეგობრები და ლოკოკინას მეგობრები.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სოფელში, სადაც დედა გაიზარდა, ბავშვები ბაყაყებს იჭერდნენ ხოლმე. ერთ დღეს ისეთი ბაყაყი მოიხელთეს, მსგავსი სიდიდის არავის ენახა. ვილაცამ ჯამი მოიტანა სახლიდან და მახინჯ ამფიბიას ზედ დაახურა, ის შიშისგან გაშეშებულა. მთელი დღე მოდიოდნენ ბავშვები ბაყაყის სანახავად, მისი, დიდი თვალები და სლიკინა კანი ზიზღს ჰგვრიდათ. მერე რომელიღაც ბიჭმა ჯიბიდან ლოკოკინა ამოაძვრინა და ჯამის ქვეშ მოათავსა. ბაყაყს თავისი გასაჭირი მაშინვე დაავიწყდა და მსხვერპლზე გადაერთო. ლოკოკინა მიიზლაზნებოდა, იმედოვნებდა, ციხეს თავს დააღწევდა და საფრთხეს ვერ გრძნობდა. ბაყაყმა ორ ნახტომში დაიჭირა ლოკოკინა. აღრიალებული ბავშვები უყურებდნენ, როგორ შეჭამა და წებოვანი ლორწო ჩამოეწელა პირიდან.

დედამ მითხრა, — ბავშვები ბაყაყის მხარეს იყვნენ, ტაშს უკრავდნენ და გულშემატკივრობდნენ, მაგრამ შენ იქ რომ ყოფილიყავი, თავს დავდებ, ლოკოკინას დაუდგებოდი. ზოგჯერ ვდარდობ შენზეო.

მე კი სულაც არ მაწუხებდა, ლოკოკინას ბანაკში რომ ვიყავი, ოღონდაც ჩემს კლასელ გოგოებს არ ავყოლოდი. ჩვენი სკოლა პოლარიზებული იყო. ჩემნაირებიც იყვნენ, მახინჯი და ჩვეულებრივი გოგოები, სწავლაზე რომ ფიქრობდნენ და მასწავლებლების გარდა, სხვის ყურადღებას არ იქცევდნენ. და იყვნენ ისეთები, გაკვეთილებზე რომ არ ფიქრობდნენ, ერთი სული ჰქონდათ, ახალ ცხოვრებას როდის დაიწყებდნენ და სწავლაზე დროის დახარჯვა არ სურდათ. მათ შორის ყველაზე ლამაზებს ბარბებს ეძახდნენ.

ვაკვირდებოდი ბარბებს, მათ ქცევას ვსწავლობდი, თითქოს, ბიოლოგიის გაკვეთილზე ახსნილი ახალი სახეობები იყვნენ. ბიჭების გარდა არაფერზე საუბრობდნენ, განიხილავდნენ, რომელ ბიჭს რომელი გოგო მოსწონდა. დეტალურ ანგარიშს აწარმოებდნენ, ვინ ვისთან დადიოდა, ინტერესით კვდებოდ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნენ, ის უკვე ჰქონდათ თუ არა და რამდენჯერ, ესა თუ ის გოგო ორსულად იყო თუ არა და აპირებდა თუ არა შვილის დატოვებას ან გაშვილებას. სულ სხვადასხვა ბიჭი უყვარდებოდათ, ემოციით სავსე ყოველი დღე თვალებში სურვილსა და ენის წვერზე ჭორებს ულვივებდათ.

მათი საყვარელი გასართობი საყიდლებზე ჯგუფური სიარული იყო. შიგადაშიგ, დედებსა და უფროს დებს ძვირფას მაღაზიებში ქალის თეთრეულის შესაძენად დაჰყავდათ. რჩევებს, სპორტული ბიუსტჰალტერი ეყიდათ, ყურს არ უგდებდნენ და გიპიურიან, სექსუალურ, მიმზიდველ ლიფებს ირჩევდნენ. მეორე დღეს საპირფარეშოში აჩვენებდნენ ერთმანეთს. თუ რამე მოსწონდათ, ასე ამბობდნენ: „ბრილი“ ან „ტუზი“, სხვა შემთხვევაში — „ნაგავი“. ეს ტერმინები გამოიყენებოდა საჭმლის, ტანსაცმლის, მასწავლებლების, მშობლების, ქვეყნებისა და მსოფლიო მოვლენების აღსაწერადაც კი.

ბარბები, ზოგჯერ, ახლო და არც-ისე-ახლო მეგობრებს, შეყვარებულებს, დედებსა და მამებსაც კი მენსტრუალურ ციკლზე ეწუწუნებოდნენ. ეს გულს მირევდა. ხშირად ვფიქრობდი, მეცნიერული კვლევის დონეზე მაინტერესებდა, მსგავსი ნიშნებით, რამდენად განსხვავდებოდა კულტურები ერთმანეთისგან. მე რომ ასეთ თემაზე მესაუბრა, თუნდაც, დედაჩემთან, სირცხვილისგან დავიწვებოდი. მერე ლექციებს წამიკითხავდა ბებია ნეიზისგან ნასესხები სიტყვებით.

შეიძლება, ყველაფერი სულ სხვაგვარად ყოფილიყო, ადგილობრივ სკოლაში რომ მევლო, მეზობელ ბავშვებთან ერთად. ჩემი კლასელების სახელები, ტრეისის, დებისა და კლერის ნაცვლად, აიშა, ფარა, ზეინები რომ ყოფილიყო, იქნებ, უფრო ადვილად მეპოვა ჩემი ადგილი. თუმცა, ამაშიც ეჭვი მეპარებოდა. რაც უნდა საწყლად ჟღერდეს, მერჩივნა, საშინაო დავალება მეკეთებინა და საინტერესო წიგნი მეკითხა, ვიდრე კლასელებთან ერთად მესეირნა. ჩემი მიღწევებით ვამაყობდი, რასაც ჩემი დაწყებითი სკოლის მასწავლებელს, მისის პო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ველს ვუმადლოდი. საბრალო ქალი! ჭორების თანახმად, მისი ერთადერთი ვაჟი გარიცხეს სკოლიდან, სახლიდანაც გაიქცა და დედამ არ იცოდა, სად იყო. დამწუხრებულმა მისის პოველმა გადაწყვიტა, თავი სხვა ბავშვების დახმარებისთვის მიეძღვნა და დაჩაგრულ მოსწავლეებს შესწეოდა. მეც ერთ-ერთი მათგანი ვიყავი.

ჩემმა ულვაშმა გამახალისა, ნიკაპზეც მივიხატე წვერი. სწორედ მისის პოველმა დაარწმუნა ჩემი მშობლები, უკეთეს სკოლაში გავეგზავნეთ. სახლში მოვიდა და თავად დაელაპარაკა. მრავალწლიანი გამოცდილების შემდეგ, ადვილად ვცნობ განსაკუთრებულ ბავშვს. ბატონო და ქალბატონო ტოპრაკ, თქვენი ქალიშვილი ჭკვიანი და ნიჭიერია. მისის პოველი ახალი სკოლის მასწავლებლებსაც გაესაუბრა — თეთრკანიან, ქრისტიან, ინგლისელ საშუალო კლასის წარმომადგენლებს — და მისმა ნათქვამმა გაჭრა. გულში ლოკოკინა ვიყავი, მაგრამ ბაყაყის ნახტომი კი გამომივიდა.

მინდოდა, მწერალი გავმხდარიყავი, მაგრამ ქალი მწერალი — არა. ფსევდონიმიც მოვიფიქრე — ჯონ ბლეიკ ონო — ამალგამა, რომელიც ჩემი საყვარელი სამი ადამიანის სახელებისგან შედგებოდა. პოეტი, მწერალი და ხელოვანი: ჯონ კიტსი, უილიამ ბლეიკი და იოკო ონო.

სულ მაინტერესებდა, ქალების სახელი ასე რატომ განსხვავდებოდა კაცებისასგან. უფრო ზღაპრულად და უცნაურად ჟღერდა, თითქოს ქალები ვილაცის წარმოსახვის ნაყოფები იყვნენ. კაცები კი ძალაუფლებას განასახიერებდნენ, მაგალითად, მუზაფერი — გამარჯვებულს, ფარუქი — იმას, ვინც სიმართლეს სიცრუისგან გამოარჩევს, ჰუსამ ალ დინი — რწმენის მახვილს. ქალთა სახელები, მეორე მხრივ, ფაიფურის ლარნაკივით ნატიფი იყო. მაგალითად, ნილუფერი — ლოტოსის ყვავილი, გულსერენი — ვარდი, ბინაზი — ათასი ქათინაური. ქალები ამ სამყაროს დეკორაცია იყვნენ, ალამაზებდნენ, მაგრამ აუცილებლობას არ წარმოადგენდნენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჯ. ბ. ონო. წიგნის გამყიდველები ამ სახელს მოწიწებით იტყოდნენ. ცოტათი იდუმალი და ნამდვილად ასექსუალური. სახელია, რომელსაც ლიფი არ სჭირდებოდა.

* * *

წვერის მოხატვას რომ მოვრჩი, ჩემს სახეს დავაკვირდი. აზრი არ ჰქონდა. კაცად გადაცმულიც კი დიდი ვერაფერი შესახედი ვიყავი. ნეტავ, მამაჩემის შნო და დედაჩემის თვალები მქონოდა, მწვანე, დიდრონი და ოდნავ ელამი. ამის ნაცვლად, ორივე მშობლისგან ცუდი ავიღე — დედაჩემის მოკლე კისრისა და მამაჩემის არაფრით გამორჩეული თვალების ჩათვლით. კეხიანი ცხვირი მქონდა, დაუვარცხნელი ხუჭუჭა თმა და ზედმეტად ფართო შუბლი. ნიკაპზე ხალი მეტყობოდა, უშნო, ყავისფერი ბორცვი. დედას ბევრჯერ ვთხოვე, ექიმთან წავეყვანე ამ ხალის მოსაცილებლად, მაგრამ ყურადღება არ მოუქცევია. ლამაზი ქალი იყო, ყველა აღნიშნავდა. ჩემი ძმებიც სიმპათიურები იყვნენ. უსამართლობაა, სილამაზის გენმა არდადეგები მოიწყო ჩემზე.

იუნუსს ანგელოზის სახე ჰქონდა, თუმცა ბავშვობის ნათელი ნელ-ნელა გადასდიოდა. ისკენდერიც მიმზიდველი გარეგნობისა იყო, სხვაგვარად მიმზიდველი. მას მომნუსხველი, ბოროტი სილამაზე ჰქონდა. თავხედი სიმპათიური — ასე ახასიათებდნენ ბარბები. ვიცოდი, ჩემს არაერთ კლასელს ჩავარდნოდა გულში ჩემი თვალწარმტაცი ძმა და მხოლოდ ამიტომ მემეგობრებოდა. ისკენდერი ზოგჯერ სკოლაში გამომივლიდა ხოლმე და მაგარი ბიჭის მზერას ისროდა, რაც ჩემდა გასაოცრად, გოგოებზე ძლიერად მოქმედებდა.

— უარს არ ვეტყოდი! — ჩურჩულებდნენ გოგოები.

— მაიკლ კორლეონეს ჰგავს „ნათლიაში“. მხოლოდ იარაღი აკლია!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ბოლოს თვალის შემოწმებაზე როდის იყავით? — ვიღიმებოდი მე. ვერანაირ მსგავსებას ვერ ვხედავდი ისკენდერსა და ალ პაჩინოს შორის. ჩემს სარკაზმს ხვდებოდნენ, მაგრამ ყურადღებას არ მაქცევდნენ. ჩემი ძმა მათთვის მომნუსხველად მამაკაცური იყო.

მას მერე, რაც მამა სახლიდან წავიდა, ისკენდერი ძალიან შეიცვალა, ყოყლოჩინა, ჯიუტი და ახირებული გახდა. მთელ დროს მეგობრებთან და წუწუნა შეყვარებულთან ერთად ატარებდა. დღე და ღამე კრივის ტომარას ურტყადა მუშტებს, თითქოს უხილავ მტრებს ებრძვისო. თუ მოზარდობის წლები ასეთი იყო, ნამდვილად არ მინდოდა, იმ ასაკისთვის მიმელწია.

მე და დედა ძალიან ახლოს ვიყავით, მაგრამ მას მერე, რაც ძუძუები ამომებურცა და პირველად დამემართა მენსტრუაცია, ყველაფერი შეიცვალა. მხოლოდ ერთადერთი რამ ადარდებდა, ჩემი ქალწულობა. გამუდმებით იმაზე მიკითხავდა ლექციებს, რომ წესიერად უნდა მოვქცეულიყავი. ერთხელაც კი არ უთქვამს, რა იყო ნებადართული, მისი საუბრები მხოლოდ წესებითა და აკრძალვებით შემოიფარგლებოდა. ბიჭებზე მეუბნებოდა, ერთადერთი რამ აინტერესებთო. შენი ასაკის ბიჭები ეგოისტები და თავხედები არიან და მათი უმრავლესობა ეგეთად დარჩებაო. თუმცა, იგივე წესები ჩემს ძმებზე არ ვრცელდებოდა. მართალია, იუნუსი ძალიან პატარა იყო, მაგრამ ისკენდერთან დედას სულ სხვა დამოკიდებულება ჰქონდა. ისკენდერს ფრთხილად ყოფნა არ მართებდა, სრული თავისუფლება ჰქონდა.

დედას არ ესმოდა, რომ ბიჭები საერთოდ არ მაინტერესებდა. ჩემს თვალში ისინი მოსაწყენი, სულელი და აჟიტირებულები იყვნენ. დღე და ღამე ამაზე რომ არ ესაუბრა, ალბათ სექსზე ფიქრს არც კი გავივლებდი გონებაში. ლოკოკინები ხომ ჰერმაფროდიტი არსებები არიან, მდედრობითი და მამრობითი რეპროდუქციული ორგანოები აქვთ. რატომ არ შე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იძლებოდა, ადამიანებიც ასე ყოფილიყვნენ? ნეტავ, ღმერთს ლოკოკინების მსგავსად შევექმენით, ნაკლები გულგატეხილობა და ტკივილი იქნებოდა სამყაროში.

ჟუჟის გული

ადგილი მდინარე ევფრატის პირას, 1978 წლის აპრილი

მწოლიარე პაციენტი სიცხისგან იწვოდა. ჯამილამ, ბავშვივით, შუბლზე ტუჩების მიდებით შეუმოწმა ტემპერატურა. მერე მაჯაზე ხელი დაადო და პულსი გაუსინჯა. გული სუსტად, მაგრამ სწრაფად უცემდა, დოლის შორეული ხმასავით. ადამიანის სხეული ამოუცნობი იყო, ბრძოლა უყვარდა. ცოტამ თუ იცოდა, რომ სხეული მებრძოლივით იყო, ბევრად უფრო გამძლე, ვიდრე სული. თუმცა ყველა დიადი მეომარივით, მასაც ჰქონდა სისუსტე — შეუცნობლის შიში. იმისთვის, რომ მტრისთვის წინააღმდეგობა გაეწია, შეეტია და დაემარცხებინა, ჯერ კარგად უნდა შეესწავლა. თუ არ ეცოდინებოდა, რის წინააღმდეგ იბრძოდა, ვერ გაიმარჯვებდა. სწორედ იქ ჩნდებოდა ჯამილა. უხსოვარი დროიდან, მისნაირი მკურნალები პაციენტებს ძალის აღდგენასა და ავადმყოფობასთან გამკლავებაში ეხმარებოდნენ. თავად არ კურნავდა სნეულებს, უფრო იმაში ეხმარებოდა, განკურნების ძალა შემატებოდათ.

პირსახოცი გამოხდილ ძმარში ჩააწო და კონტრაბანდისტს შუბლზე დაადო. ჯამილას უნდოდა გაეგო, როგორ ადამიანს ეხმარებოდა სიცოცხლისკენ მობრუნებაში. სიცოცხლეს ყველა რომ იმსახურებდა, უდავო იყო, მაგრამ განა, ყველა იმსახურებდა, სიკვდილისგან ხსნას? ამ დილემის წინაშე ხშირად მდგარა ჯამილა, თუმცა პასუხი არასდროს ჰქონია. ადამიანები ცოდვილებად იბადებოდნენ თუ შემდეგ ხდებოდნენ ასეთები? ყურანის თანახმად, შედედებული სისხლისგან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წარმოვიშვით. ჯამილას აინტერესებდა, ჩვენს ახლანდელ სხეულებს იმ სისხლის რამდენი წვეთი შერჩენოდა. მარგალიტი, მართალია, წმინდა და სრულყოფილია, მაგრამ ხამანწკის ნიჟარაზე მოხვედრილი მტვრის ნაწილაკისგან შემთხვევითაა წარმოქმნილი (თუ შემთხვევითობა საერთოდ არსებობს ამ სამყაროში). ცუდ თესლსაც შეეძლო, საოცარი ქმნილება გამხდარიყო. თუმცა, ზოგჯერ ბოროტების ცვარს მხოლოდ და მხოლოდ მეტი ბოროტების შექმნა შეეძლო. ჯამილას მიერ ამქვეყნად მოვლენილი ბავშვებიდან ზოგი თაღლითად, მატყუარად, ქურდად, მოძალადედ და მკვლელადაც კი გაიზრდებოდა. ქალს რომ შესძლებოდა მათი მომავლის წინასწარმეტყველება, განა, მათ დაბადებაზე უარს იტყოდა? განა, დატოვებდა ჩვილებს დედის საშოში, რათა ქვეყნისთვის ნაკლები უბედურება და სიმწარე მოეტანათ?

როცა ახალდაბადებულ ჩვილს ხელში აიტატებდა, მის პაწაწინა ფეხის თითებს, ვარდისფერ პირს, ღილივით ცხვირს შეხაროდა და ეჭვიც არ ეპარებოდა, ასეთ სრულყოფილ ქმნილებას მხოლოდ კარგი შეეძლო მოეტანა. თუმცა, ათასში ერთხელ, იგრძნობდა ხოლმე, ჩვილი სხვანაირი რომ იყო. დაბადებიდანვე. სხვა ახალშობილებზე მეტად ბოროტი ან ანჩხლი კი არა, უბრალოდ — განსხვავებული. შეიძლება, დედებიც გრძნობდნენ ამას, მაგრამ მათ ინტუიციას სიყვარულის ფარდა ეფარებოდა. ჯამილას კი არ გამოეპარებოდა, თუმცა, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ მკვლელი ბებიაქალებიც არსებობდნენ. აბრაამის ისტორიაც ასეთია — ეს ამბავი მამამ მოუყვა ჯამილასა და პემბეს.

ერთ მზიან დღეს, ბერზომ თავისი რვა ქალიშვილი ურფის ნაკურთხი აუზის მოსანახულებლად წაიყვანა. ნეიზი, ასაკის მიუხედავად, მალე ისევ იმშობიარებდა და ოჯახი სალოცავად წავიდა, რათა უფლისთვის ვაჟი ეთხოვა. უძირო, კეთილმოსურნე ცაზე ღრუბლები გაფანტულიყო. ყველგან ხალხი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სეირნობდა, მათი ჩურჩული ფოთლების შრიალივით ისმოდა. ნანახისგან აღტაცებული გოგოები ერთად შეჯგუფდნენ და თევზებს აჭმევდნენ. უკანა გზაზე მამამ იმ ადგილის შესახებ ლეგენდა მოუყვა. იმ დღეს ბერზო სხვა კაცი იყო, გულწრფელი ღიმილითა და დაუღარავი თვალებით, უბედურება ჯერ არ დატრიალებულიყო.

მეფე ნიმროდი უსაზღვრო ამბიციისა და სისასტიკის კაცი იყო. ერთ დღეს, მისმა მთავარმა ასტრონომმა აცნობა, როცა ბიჭუნა, სახელად აბრაამი დაიბადება, შენი მეფობა დასრულდებაო. ტახტს დახარბებულმა ნიმროდმა იმპერიის ყველა ბებიაქალს უბრძანა, ახალშობილი ვაჟები დაეხოცათ. ღარიბი თუ მდიდარი, გამონაკლისის გარეშე.

ამგვარად, ბებიაქალები საქმეს შეუდგნენ. თავიდან, დედებს მშობიარობაში ეხმარებოდნენ, შემდეგ კი, თუ ჩვილი ბიჭი აღმოჩნდებოდა, იქვე ახრჩობდნენ. აბრაამის დედამ შეძლო, ამ სისასტიკეს გაჰქცეოდა. მთებში, ბნელ, ნესტიან გამოქვაბულში იმშობიარა, მარტომ.

როცა აბრაამი გაიზარდა, ნიმროდის ულმობელობას წინ აღუდგა. გაცოფებულმა მეფემ ყველას, დიდსა თუ პატარას, დაავალა, შეშა შეეგროვებინათ და უზარმაზარი კოცონი დაენთოთ. შემდეგ კი აბრაამი ცეცხლში ჩააგდო. თუმცა, ცოტა ხანში, წინასწარმეტყველი ცეცხლიდან უვნებელი გამოვიდა. მხოლოდ თმის რამდენიმე ღერი გასთეთრებოდა. ღმერთმა ცეცხლის ალები წყლად გადააქცია, ხის მორები კი — თევზებად. ასე გაჩნდა ურფის წმინდა აუზი.

ყველაფრის მიუხედავად, ჯამილას ცხოვრება არ შესძულებია. მას მერე, რაც პემბე და ადემი დაქორწინდნენ, მამამისი დაარწმუნა, უფლება მიეცა, არასოდეს გათხოვილიყო და ბებიაქალებს დახმარებოდა. ბერზო დათანხმდა, ეგონა, დროებითი გატაცება იყო, თუმცა ჯამილას უკან არ დაუხევია. დღესდღეობით, მხოლოდ იმას ნანობდა, ექიმი რომ ვერ გახდა. სხვა პირობებში, სწორედ ეს იქნებოდა მისი მიზანი —

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ემუშავა დიდ, სუფთა საავადმყოფოში და ეტარებინა თეთრი ხალათი წარწერით „ექიმი ჯამილა ეტერი“. ექიმი საკმარისი მშვენიერება.

* * *

ჯამილა ოდნავ წინ გადაიხარა, ორი ხახვი სქელ ნაჭრებად დაჭრა, რგოლები პაციენტს ფეხებქვეშ დაულაგა და შარფით შეუხვია. თავიდან, ხახვს სიცხე სხეულის ქვედა ნაწილებისკენ მიჰქონდა. ჯამილა შუბლზე დადებულ სველ პირსახოცს ხშირ-ხშირად უცვლიდა და შუალედებში იმას აკეთებდა, რასაც ყოველთვის: ლოცულობდა. შუაღამისას კონტრაბანდისტს სიცხემ დაუწია. კმაყოფილმა ჯამილამ სკამზე ჩაიძინა და შემაწუხებელ სიზმარში გადაეშვა.

ვითომ, ცეცხლმოდებულ ქალაქში მარტო იყო, თან — ორსულად. ადგილს ეძებდა სამშობიაროდ, მაგრამ ყველგან ალიაქოთი იდგა. შენობები ინგრეოდა, ხალხი აქეთ-იქით გარბოდა, ძაღლები ყმუოდნენ. არეულობაში ჯამილამ დიდი, ხის საწოლი შენიშნა, სქელი, კვეთილი ფეხებითა და აბრეშუმის ბალიშებით. ჩაწვა და გოგონა გააჩინა. ვიღაცამ ბავშვის სახელი ჰკითხა, მან კი უპასუხა: „პემბეს დავარქმევ, ჩემი გარდაცვლილი ტყუპისცალის სახელს“.

გამოეღვიძა, გული სწრაფად უცემდა. კონტრაბანდისტს ტემპერატურა გაუზომა. თითქმის ნორმაში ჰქონდა. თენდებოდა. ნატკენი კიდურები დაიზილა, ერთი ჭიქა წყალი დაცალა და სცადა, სიზმარზე არ ეფიქრა. უხმაუროდ აანთო ღუმელი და საუზმის მომზადებას შეუდგა. კარაქის ნაჭერი გააცხელა, სამი კვერცხი გატეხა, მწიკვი მარილი და მცირე როზმარინი მოაყარა. მზარეულობა დიდად არ ეხერხებოდა. უბრალო კერძებით კმაყოფილდებოდა და რადგან არავის მოვლა არ ევალებოდა, კულინარიული უნარის დახვეწაც არასდროს უცდია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— კარგი სუნია. რას ამზადებ?

ჯამილა შეკრთა, მოტრიალდა. კონტრაბანდისტი საწოლზე წამომჯდარიყო, დაუვარცხნელი თმითა და ოქროსფერი, გაუპარსავი წვერით.

— ოჰ, ბევრი არაფერია, მხოლოდ კვერცხი.

კაცმა ჩაიდუდღუნა.

— და შენ ვინღა ხარ?

— მე ჯამილა ვარ, ბებიაქალი.

კაცმა ითაკილა:

— აქ რას ვაკეთებ?

— დაგჭრეს. სასწაულით გადარჩი. ერთი კვირაა, აქ ხარ. აგერ, ცოტა ჩაი დალიე.

მოყლუპა და გადააფურთხა.

— ფუჰ! ეს რა არის? ცხენის შარდივით გემო აქვს.

— წამალია, — თქვა ქალმა და სცადა, წყენა არ დასტყობოდა, — გირჩევნია, დალიო და ჩემს სახლში არ დააფურთხო.

— ბოდიში, — უხეშად ჩაიჩურჩულა, — მადლობა უნდა გითხრა ჩემი გადარჩენისთვის.

— მადლობა ალაჰს უნდა უთხრა, ის არის სიცოცხლის გამგე.

ცოტა ხნით ჩაფიქრდა და გაჩუმდა.

— ჰეი, ბებიაქალო, სიგარეტი გაქვს?

— არ შეიძლება შენთვის მოწევა, — თქვა ჯამილამ.

— გთხოვ, — შეევედრა კაცი, — მხოლოდ ერთი ნაფაზი.

ჯამილა რამდენიმე ემოციას ერთდროულად ებრძოდა, ბოლოს კი, თამბაქოს პატარა ჩანთა და ცოტა ქაღალდი მოიტანა. სანამ ქალი სიგარეტს ახვევდა, კაცი მის დაწითლებულ და დამსკდარ ხელებს აკვირდებოდა, ცივ წყალში ათასჯერ დაბანისგან გაუხეშებულს. ხელისგულებზე კი შეშის პობისგან კოჟრები გასჩენოდა.

— უცნაური ქალი ხარ, — თქვა მან.

— ასე ამბობენ.

— აქ მარტო როგორ ძლებ? კაცი გჭირდება, რომ დაგიცვას.

— შენს ცოლს თუ ჰყავს ახლა კაცი, რომ დაიცვას? ალბათ ჩემსავით მარტოა. ზოგი ქალი გათხოვილია, მაგრამ მარტოსული, ზოგი კი ჩემსავით, უბრალოდ მარტოხელაა.

კონტრაბანდისტი გაიკრიჭა და იხუმრა:

— ცოლად მოგიყვან, ჩემი ცოლი წინააღმდეგი არ იქნება. გაუხარდება, კომპანიონი თუ ეყოლება.

ჯამილამ სიგარეტს მოუკიდა, ჩაისუნთქა და კვამლი ამოუშვა. მერე მას გადასცა. ყურადღება არ მიუქცევია, კაცის ხელები მის თითის წვერებს ოდნავ რომ შეეხო.

— დიდი მადლობა, მაგრამ ასეც მშვენივრად ვარ.

კაცმა საყვედურით შეხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს. მერე ისევ ალაპარაკდა, ნესტოებიდან კვამლი გადმოუვიდა.

— ოთხნი ვცდილობდით საზღვრის გადაკვეთას. მეოთხეს რა დაემართა, გითხრეს?

ჯამილამ თავი გააქნია. არ იყო დარწმუნებული, სურდა თუ არა ამ ამბის მოსმენა.

— ნაღმს დაადგა ფეხი. ეგ ყველაზე საშინელია, დამიჯერე. ტყვიისა და ცეხის არ მეშინია, მარტო — ნაღმების. მე არ დამემართება. მე ჩემი სხეულით დამმარხავენ, ყველა ორგანო თავის ადგილზე იქნება.

ჯამილამ არ იცოდა, რა ეპასუხა და სანაცვლოდ ჰკითხა:

— შვილები გყავს?

— სამი ბიჭი. მალე მეოთხეც, დიდება ალაჰს.

— გოგოები?

— კი, ოთხი, — წინ გადაიხარა და ლორწო ამოახველა. სახე ტკივილისგან დაემანჭა, — უნდა დავბრუნდე. ოჯახს ვჭირდები.

— ოჯახს ძლიერი და ჯანმრთელი სჭირდები, სუსტი და დაჭრილი კი არა. ჯერ უნდა დაისვენო, მერე კი შეგიძლია, წახვიდე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ყური მომიკრავს, შენზე როგორ ლაპარაკობს ხალხი. ამბობენ, ჯინი ქმრად ჰყავს და უმთვარო ღამეებში აკითხავსო. ის გიზიდავს საიდუმლო მალამოებს, ასეა?

ჯამილამ კარადიდან სპილენძის მრგვალი ლანგარი გადმოიღო და პური, ჩაი და ტაფა დაალაგა, აშიშხინებული კვერცხებით. კაცს ფრთხილად მიუტანა.

— ჯინი ქმარი... — ღიმილი ვერ შეიკავა, — მე უბრალო ადამიანი ვარ და ჩემი ცხოვრება გაცილებით უფრო მოსაწყენია, ვიდრე გგონია.

როგორც კი ეს სიტყვები წამოსცდა, ინანა. აჯობებდა, კაცს ეფიქრა, რომ ზებუნებრივი არსება იყო, ყველასგან განსხვავებული ქალი. არ უნდა ეჩვენებინა არც მისთვის, არც არავისთვის თავისი ადამიანური ბუნება. თუ ხალხმა იცის, რომ ბროლის გული გაქვს, აუცილებლად დაგიმსხვრევს.

ცვილის ბიჭუნა

ლონდონი, 1978 წლის მაისი

იმ დღეს, როცა ხიზნები დააკავეს, ტობიკოც წაიყვანეს განყოფილებაში, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით, გათავისუფლების შემდეგ მალე გაუჩინარდა. არავინ იცოდა, სად წავიდა. დადარდიანებულმა იუნუსმა ხიზნების მეზობელს დაუკაკუნა. მოხუცმა კაცმა ოდნავ გამოაღო კარი, მხოლოდ ჯაჭვზე დატოვა და ისე გამოხედა.

— მაპატიეთ, რომ გაწუხებთ, ბატონო. ჩემს მეგობარს ვეძებ, შავთმიანი გოგოა, ტატუებით. გვერდით სახლში ცხოვრობდა.

— იმ ნაგიჟრების სახლში?

— მმ-ჰმ, — ყოყმანით უპასუხა იუნუსმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— არანაირი შავთმიანი და ტატუებიანი გოგო არ ვიცი. იმედი მაქვს, სამუდამოდ წაეთრნენ, — თქვა კაცმა, — აბა, ბედნიერად, — დაამატა და კარი მიაჯახუნა.

იუნუსმა გადაწყვიტა, თავად ეძებნა მთელ ქალაქში. ველოსიპედით მოიარა ქუჩები, ყველა იმ ქალს მისდევდა, ვინც ოდნავ მაინც ჰგავდა ტობიკოს. მაღაზიებსა და სუპერმარკეტებში, ქიმწმენდებსა და „ალკოჰორიუმებში" ეძება, მაგრამ ვერსად იპოვა.

ასე რომ, ადრიანი მაისის იმ დღეს, კინსგლენდ-როუდზე რომ შეუხვია და კინოთეატრ „რიოდან" რამდენიმე ნაბიჯში ტობიკოს პოვნას ცდილობდა, მისი ნახევრად მძინარე თვალები ყვავილების დახლთან, ზურგშექცევით მდგარ წყვილს წააწყდა. ყვავილების ქოთნებს არჩევდნენ. იუნუსმა არ იცოდა, რამ მიიზიდა, მაგრამ ქალსა და კაცს თვალს ვერ აცილებდა.

კაცი ქალის მაჯას შეეხო, ნაზად, სიყვარულით მოეფერა. მისი თხელი სხეული კაცისკენ გადაიხარა, თითქოს ის-ის იყო, მხარზე დაადებდა თავს. უცებ იუნუსმა მუცელში რაღაც უსიამო იგრძნო და ის შეგრძნება ყურებამდე აუვიდა. ქალის წაბლისფერი თმა ეცნო, ზურმუხტისფერი კაბა, მხრებზე გადმოსული მკლავებითა და ოქროსფერი ღილებით, მისი წელის ფორმა და დინჯი, მოხდენილი მკლავის მოძრაობა... ბიჭს გული აუჩქროლდა. სახეზე მიწისფერი დაედო, ტუჩები მოეკუმა.

კაცმა თავისკენ მიიზიდა ქალი, ყურში რაღაც უჩურჩულა, მისი ტუჩები ქალის ყელს შეეხო, სწრაფი, უეცარი შეხება, შეიძლება შემთხვევითაც, უბინო და წამიერი. საპასუხოდ, ქალი ნახევრად შემოტრიალდა და გაიღიმა, მარჯვენა ლოყა ჩაეჩხვლიტა.

დედა.

ბიჭმა ველოსიპედი მოატრიალა, პედლებს სწრაფად დააჭირა ფეხი. შიშითა და პანიკით მოცული, მისი გონების რაღაც ნაწილი ფიქრობდა, რომ ასეთი დედა არასოდეს ენახა. ქალი,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომელიც ახლა ნახა, დედამისი იყო, მაგრამ სხვანაირი აურა ჰქონდა. ბედნიერებას ასხივებდა, იმ ყვავილებივით ნათელი იყო, ახლა რომ ყიდულობდა.

იმ საღამოს, სახლში დაბრუნებული იუნუსი ცვილის ბიჭუნას ჰგავდა — ფერმკრთალი, უსიცოცხლო. ისკენდერი და ესმა დაუსრულებლად აქილიკებდნენ, მადამ ტუსოს მუზეუმის ექსპონატს ამსგავსებდნენ. პემბე დარდობდა, გრიპი ხომ არ შეეყარაო და პიტნის ჩაი მოუმზადა. იუნუსმა იუარა, დაძმის ხუმრობას ყურადღება არ მიაქცია და დასაძინებლად ადრე დაწვა.

იმ ღამეს ჩაიფსა.

კონტრაბანდისტი სახელად ჰარუნი

ადგილი მდინარე ევფრატის პირას, 1978 წლის მაისი

იმ დღეს, გვიან ნაშუადღევს, ჯამილა შეშის შესაგროვებლად გავიდა. უკანა გზაზე ქვაზე ჩამოჯდა დადარდიანებული. ქამარში შენახული წერილი ამოიღო და ცარიელი თვალებით მიაჩერდა, თითქოს დავიწყებოდა, რა ეწერა. სიზმრისეული ურჩხულებისგან განსხვავებით, ეს ქაღალდი ნამდვილად არსებობდა. ისეთივე რეალური იყო, როგორიც გარემომცველი მთები და მათსავით ავის მომასწავებელი. თავიდან დაიწყო კითხვა.

ჯამილა, ძვირფასო დაო,

ამ წლების განმავლობაში, ასობით წერილი მომიწერია შენთვის. იყო კარგი დღეები და იყო ცუდიც. მაგრამ ამ წერილის წერა ყველაზე მეტად გამიჭირდა. დაო, ვიღაც გავიცანი. გთხოვ, ნუ შეწუხდები. გთხოვ, ნუ განმსჯი. მომეცი ნება, აგიხსნა, მაგრამ ჯერ თავადაც მიჭირს ყველაფრის გააზრება. შენ გარდა ვერავის გავანდობ, არავინ იცის. გაგიყებამდე მე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შინია, მაგრამ თან სიხარულითა და იმედით ვარ სავსე. ნუთუ, ეს შესაძლებელია?

მთელი ცხოვრება მეგონა, რომ გული გამიშრა, მზეზე დიდხანს დაგდებული ტყავის ნაჭერივით. მეგონა, შენი და ჩემი ბავშვების გარდა არავის შეყვარება არ შემეძლო, განსაკუთრებით მამაკაცისა. როცა პირველად შევხვდი, თითქოს ყოველთვის ვიცნობდი. სიტყვებით ვერ აღვწერ ამ შეგრძნებას. ვცდილობდი, მასზე არ მეფიქრა, მაგრამ ამაოდ.

ის მზარეულია. შენსავით, მცენარეებისა და სანელებლების ენა ესმის. ლონდონის ქუჩებში ახალგაზრდები დემონსტრაციებს მართავენ. ყველა რაღაცაზე ბრაზობს, მაგრამ ის — არა. მისი თქმით, მხოლოდ მომთმენ ადამიანებს შეუძლიათ მზარეულობა. მრავალი ქვეყნისა და მრავალი სახელის კაცია, მაგრამ უსამშობლო. იქნებ, ბებერი კუსავით სახლს ზურგით დაათრევს.

ალბათ, შეძრწუნებული ხარ. ვიცი, რასაც მეტყვი: სირცხვილიაო. დედას აჩრდილი სამუდამოდ ამედევნება. მამისაც. „მირჩევნია, ევფრატში მოტივტივე ვნახო ჩემი შვილი, ვიდრე — ნამუსაყრილი“, სწორედ ასე თქვა, როცა ჰედიე გაიქცა, გახსოვს?

მითხარი, თუ ვინმეს ანბანს შეასწავლი, კითხვას როგორ დაუშლი? როცა ადამიანი სიყვარულის ელექსირს იგემებს, როგორ არ მოსწყურდება მეტი? როცა საკუთარ თავს საყვარელი ადამიანის თვალებით დაინახავ, იგივე ადამიანი ვერასოდეს იქნები. მთელი ეს დრო ბრმა ვიყავი, ახლა კი თვალები ამეხილა და სინათლის მეშინია. არ მინდა თხუნელასავით ცხოვრება. ამიერიდან აღარ.

ჩემო ძვირფასო, თუ ვერ შეძლებ, არ მაპატიო. მაგრამ გევედრები, გიყვარდე. ახლა და ყოველთვის. მეც მეყვარები, ცხოვრების ბოლომდე.

შენი მოსიყვარულე ტყუპისცალი, პემბე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სრულიად დაცლილიაო, დაასკვნა ჯამილამ. ჰქონდა რაღაც დამაუძლურებელ სიყვარულს, ამ ამოუცნობ ძალას, რომელიც შენი შეგრძნებებისა და ძლიერი მხარეებისგან გძარცვავდა. ადემს არ ენაღვლებოდა, მაგრამ ყველა დანარჩენი — მეგობრები, მეზობლები, ნათესავები იქაც და აქაც — ძვირად მოიხსენებდა პემბეს. თუნდაც იოლად განქორწინებულიყო, იქნებოდა კი ის მზარეული თანახმა, ცოლად შეერთო და ენები დაედუმებინა? იმ კაცს სამშობლო არ გააჩნდა, არც — წარსული. თანაც, ქრისტიანი იყო, რაც მდგომარეობას უფრო ამძიმებდა. რაც მეტს ფიქრობდა ჯამილა, მით უფრო შეუძლებლად ესახებოდა ეს ყველაფერი. თავისი და ლონდონიდან უნდა წამოეყვანა, საფრთხისთვის მოერიდებინა. პემბე გაკიცხვისა და ჭორებისგან უნდა დაეცვა და თუ საჭირო გახდებოდა, საკუთარი თავისგანაც.

გონებაში ათასი ფიქრი უტრიალებდა, თავის ქოხს მიაღწია და ზურგზე ფიჩხმოკიდებული, შიგ შევიდა. ბუხრის წინ დაალაგა შეშა, მძიმედ სუნთქავდა. ცალი თვალით შენიშნა, კონტრაბანდისტს საწოლი დაეტოვებინა. რამდენიმეკვირიანი მოვლის შემდეგ, როგორც იქნა, წამოდგომა შეძლო. ნახევრად მისკენ შეტრიალდა ღიმილით და მაშინღა დაინახა, კაცს ხელში თოფი ეჭირა.

— საიდუმლოებით მოცული ქალი ხარ, — თქვა მან და თოფი დაუმიზნა, — ნეტავ, რას მალავ.

— გგონია, რამე გამაჩნია? ბებიაქალი ვარ, ფულსაც კი არავინ მიხდის.

თითქოს დაიჯერა კაცმა, მაგრამ შემდეგ თქვა:

— ვნახოთ. ჯერ სარდაფში ჩამიყვანე.

— რა? — შეცბა ჯამილა. საიდან იცოდა სარდაფის შესახებ?

— მანდ არაფერია, მხოლოდ ძველი ხარახურა.

— კარგია ძველი ხარახურა, — თქვა მან, შუბლთან ძარ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ღვები დასივებოდა, თვალები ჩასისხლიანებოდა, — წამო, წინ გამიძეხი.

სხვის ბრძანებებს შეუჩვეველ ჯამილას სხეული გაუქვავდა.

— გაინძერი, თორემ ტვინს გაგასხმევინებ და შენს თავს ძაღლებს მივუგდებ საჭმელად, — გამოცრა კაცმა, — და მაინც ჩავალ სადრაფში.

ქალმა ხალიჩა გადასწია, კარი გააღო და უკან დაიხია, რათა კაცს ჩაეხედა.

— არა, — თქვა მან, — ერთად ჩავალთ. ჯერ შენ, მაგრამ მოიცა...

თოკი ესროლა და ხელები შეაკვრევინა, ისე ძლიერად, რომ კვანძი ვერ გაეხსნა, მაგრამ, იმავდროულად, ხელების გამოყენება შესძლებოდა.

— ასე ვერ შევძლებ ჩასვლას.

— ჭკვიანი ქალი ხარ, რამეს მოიფიქრებ.

ძლივძლივობით ინარჩუნებდა წონასწორობას, საფეხურს ებღაუჭებოდა და ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა ქვევით. უკან კაცი მიჰყვებოდა. ქალი ამჩნევდა, კაცს ჯერ კიდევ აწუხებდა ტკივილი მოუშუშებელი იარებისგან, მაგრამ მისი სიხარბე ტკივილზე ძლიერი იყო.

— აუჰ, ეს რა სუნია! — თქვა და წინ გადაიხარა, თითქოს გული ერევაო.

წლების განმავლობაში პირველად შენიშნა ჯამილამ სუნი — ცხარე და მკვეთრი, ყოვლისმომცველი.

— აბა, აბა, აქ რა მოგიწყვია? — წამოიძახა კაცმა და ირგვლივ მიმოიხედა. მდოგვის მარცვლებით სავსე ქილა აიღო და იჭვნარევად შეანჯღრია, — ვიცოდი. გრძნეული ხარ. მითხარი, რა განძეულობას მალავ აქ?

— არაფერს. სანელებლებსა და მალამოებს, როგორც ხედავ. წამლებს ვამზადებ. ერთ-ერთმა განგკურნა, გახსოვს?

— შენ არ თქვი, მხოლოდ ალაჰი კურნავსო? — შეეპასუხა კაცი, — და იცი რა, მართალი იყავი. უფლის წყალობა იყო. ის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყოველთვის მშველის. ის ხალხი, ვისაც იმის ნახევრის ნახევარი გამოუცდია, რაც მე, მკვდარია. საფლავებში წვანან. მე კი ცოცხალი ვარ, მე ყოველთვის გადავრჩები.

თოფის ლულით უბიძგა ქალს, რომელმაც წონასწორობა დაკარგა და ლამის დაეცა.

— მაინტერესებს, რა გემო გაქვს, — თქვა კაცმა, მისკენ მიიწია, მისი თეძოები და მკერდი შეათვალიერა, — კაცთან არასოდეს ყოფილხარ, საწყალო. იქნებ სამსახური გაგიწიო, ქალწულო ბებიაქალო.

ზურგი ნახევრად შეაქცია ქალს და მაგიდის ჩხრეკა დაიწყო. ბოთლიდან სითხეებს აქცევდა, ქილებს სუნავდა, სათავსებს აცარიელებდა და უდარდელად ლეწავდა ნივთებს. ჯამილას თავბრუ ეხვეოდა. ქარვისფერი მიჯნური იქვე იყო, თაროზე, მარგალიტის ყუთში.

— მაღლა ავიდეთ, — დაძაბული ხმით უთხრა ქალმა და სცადა, შეშფოთება შეენიღბა.

— მაღლა რა ხდება?

— საჭმელს მოგიმზადებ, დაგბან.

სიტყვებმა ჰაერი დანასავით გააპო. კონტრაბანდისტი შეყოვნდა.

— გგონია, სულელი ვარ?

ქალი შიშმა აიტანა.

— არა, რა თქმა უნდა, არა. შენ ჭკვიანი კაცი ხარ.

— რატომ მთაფლავ? რატომ მოგიბრუნდა გული? შენ ხომ უნდა გძულდე, — თქვა კაცმა და დასძინა, — საითკენ იყურები?

ჯამილა მიხვდა თავის შეცდომას. დაბნეულს სულ თაროსკენ გაურბოდა თვალი. კაცი მის მზერას გაჰყვა და ყუთის პოვნა არ გასჭირვებია.

— ოჰ, შე საზიზღარო ჯადოქარო! ამ სილამაზეს შეხედე! მთელი ქონება ელირება, ვის მოჰპარე?

— საჩუქარია, — ყოყმანით უპასუხა ჯამილამ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჰო, არა? გგონია, დავიჯერებ? — ბრილიანტი ჩაიჯიბა, — წამოდი, მაღლა ავდივართ. ჯერ შენ ადი, რამე არ მიქარო.

როგორც კი ჯამილა კიბეს აუყვა, კაცმა თოფი ჩაარტყა. ქალი წინ გადავარდა, რკინის საფეხურს დაარტყა შუბლი, სხეული აღარ ემორჩილებოდა, სამყარო სისხლისფრად შეიღება.

რამდენიმე საათის შემდეგ გაეღვიძა. თავბრუ ესხმოდა, გულ-მუცელი უტრიალებდა, საფეთქლები ისე სტკიოდა, რომ თვალს ვერ ახელდა. რამდენიმე წუთი იატაკზე კვნესოდა, ბრმა კნუტივით. მერე კი ნელა, ძალიან ნელა ადგა და თვალები სიბნელეს შეაჩვია.

ხანჯალი იპოვა და თოკი გაჭრა. მთელი სარდაფი არეულ-დარეული იყო, თითქოს არმიამ გადაუარაო. მაგიდაზე მარგალიტის ყუთი შენიშნა. კონტრაბანდისტისთვის ლეგენდის მოყოლა ვერ მოასწრო. ბრილიანტი დაწყევლილი იყო. მისი გაცემა ან მიღება მხოლოდ საჩუქრის სახით შეიძლებოდა და არა — ძალით ან ფულით.

კიბეზე ავიდა, ყოველ ნაბიჯზე ტკივილი აწუხებდა. როცა ზედა სართულს მიაღწია, ნახა, რომ კარი ღია იყო, ხეობა კი მდუმარე. უეცრად ყველაფერმა შიში მოჰგვარა. მიწა, რომელსაც ამდენი ხნის განმავლობაში იცავდა და უყვავებდა, ახლა საშიში ეჩვენა, მორიელებით, გველებით, შხამიანი მცენარეებითა და დაუნდობელი მომხდურებით სავსე... უფლის მიერ გამოგზავნილი მახეები. ტირილი აუვარდა, ეგონა, სხვის ქვითინს უსმენდა, იმდენად ეუცხოვა. თითქოს დავიწყებოდა, როგორ ტიროდნენ ადამიანები და ახლა ცდილობდა გახსენებას. დღე ნელი წამებით მიილია. არ გასულა, არ ულოცია, არ უჭამია. კალთაში ჭიქა წყალი ედო, ტახტზე იჯდა და არაფერს გრძნობდა.

მერე ხმაური შემოესმა. კაცები. ცხენები. ძაღლები. ხელისგულებით ცრემლები შეიმშრალა, კანზე დაკოჟრილი თითების სიუხეშე იგრძნო. მეგობრებთან ერთად დაბრუნდაო, — გაიფიქრა. სხვა რა უნდა ნდომებოდა? მისი სხეული? მისი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სიცოცხლე? თოფი ვერ იპოვა, ეტყობა, ისიც წაელო. ხანჯალს დასწვდა, მაგრამ ხელები ისე უკანკალებდა, მიხვდა, ძალა არ ეყოფოდა გამოსაყენებლად. ამიტომაც ადგილზე დააბრუნა და კარს მიუახლოვდა, ბედისწერასთან შესახვედრად.

სიბნელიდან ოთხი მხედარი გამოვიდა. ერთ-ერთი ცხენიდან ჩამოხტა და მიუახლოვდა, ჯამილამ კონტრაბანდისტების მეთაური ამოიცნო. კაცი, რომლის ცოლმაც ერთ-ნახევარი ბავშვი შვა, კაცი, რომელმაც დაჭრილი კონტრაბანდისტი დაუტოვა და მისი უბედურების მიზეზი გახდა.

— ჯამილა... დაო. შეიძლება, შემოვიდე?

ჯამილა უსიტყვოდ გაიწია, შემოუშვა.

კაცმა შენიშნა, შუბლი დალურჯებოდა და თვალები დასივებოდა.

— დიდხანს არ დავრჩები. ისედაც დიდი ტკივილი მოგაყენე. ბოდიშის მოსახდელად მოვედი. არ იმსახურებდა შენს გულისხმიერებას.

იცოდა, რაიმე უნდა ეთქვა, მაგრამ ჯამილა ხმას ვერ იღებდა.

— რაღაცები მოგიტანე, — უთხრა კაცმა, — საჩუქრები ჩემგან.

შარვლის ჯიბიდან ორი ტომსიკა ამოიღო, ერთი წითელი, მეორე შავი. მისი ხელები საკუთარ ხელებში მოიქცია და თვალებში ჩახედა. შემდეგ წითელი ერთ ხელში ჩაუდო, შავი — მეორეში.

ჯამილამ ძალა მოიკრიბა და ჰკითხა:

— სად არის ახლა?

— აღარასოდეს შეგაწუხებს, დამიჯერე.

— რა ერქვა? არც კი ვიცი მისი სახელი.

— ჰარუნი ერქვა, — უპასუხა კაცმა, სანამ ცხენზე ამხედრდებოდა, — ასე დავაწერეთ საფლავის ქვაზე.

რამდენიმე წუთი დასჭირდა ნათქვამის გასააზრებლად და მერე სუნთქვა შეეკრა. შეძრწუნებულმა გახსნა წითელი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტომსიკა. შიგნით ქარვისფერი მიჯნური იდო. ჯამილამ მეორეც გახსნა. წყვილი ყური იდო, ჯერ კიდევ სისხლიანი. მაშინ-ღა მიხვდა, ორივე ტომსიკა ერთი და იმავე ქსოვილისგან იყო გამოჭრილი, ოღონდ, ერთ-ერთი სისხლისგან გაშავებულიყო. მართალია, ნალმებს გადაურჩა, მაგრამ ბოლოს მაინც დანაწევრებული დამარხეს ჰარუნი.

ჯამილა გაუცნობიერებლად გაიქცა მეთაურისკენ. წამით შეშინდა, ხომ არ გაუჩინარდაო, მისი ცხოვრების მორიგი აჩრდილივით, მაგრამ მალევე დაინახა ოთხი ცხენოსანი.

— დამელოდეთ! — ლამის დაიხრჩო სიტყვების წარმოთქმისას.

კაცმა სადავეებს მოქაჩა და დანარჩენებმაც მიჰბაძეს.

როცა დაეწია, ყოყმანი დაეტყო, არ იცოდა, რა ეთქვა. თმა ყურზე გადაიწია, შარფი გაისწორა. ბოლოს შეევედრა:

— დახმარება მჭირდება.

— მითხარი.

— მინდა, ჩემს დას ჩავაკითხო ინგლისში. ვჭირდები, რთულ დღეშია.

კაცებმა ერთმანეთს გადახედეს.

— არც პასპორტი მაქვს, არც — ფული. არაფერი. უნდა დამეხმაროთ, არალეგალურად გადავკვეთო საზღვარი, — ჯამილამ მუჭი გაშალა, — თუმცა ქარვისფერი მიჯნური მაქვს და შემიძლია, იმას ვაჩუქო, ვისაც მოვისურვებ. მე კი შენ გირჩევ. მდიდარი კაცი გახდები და ქვა უილბლობას არ მოგიტანს, გპირდები.

— გსურს, ბრილიანტი მომცე უცხოეთში მოგზაურობის სანაცვლოდ?

— ასეა.

მეთაურმა წარბები შეჭმუხნა, ულვაში დაიწიწნკა და დადარდიანდა.

— ადვილი საქმე არ არის. სირიის საზღვრის გადაკვეთას არ ჰგავს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— გამიგონია, არსებობს ხალხი, ვინც ასეთ ამბებს აგვარებს. მე ვერ ვიპოვი მათ, მაგრამ შენ შეძლებ. გახსოვს აჰმადის უმცროსი ვაჟი? ის ხომ ეგრე წავიდა? რა ქვეყანა იყო? შვეიცარია? სატვირთო მანქანაში დამალეს, არა? როგორლაც შეძლო გადაპარვა.

ლაპარაკი რომ დაიწყო, ველარ გაჩერდა, სიტყვები მდინარესავით მოედინებოდა. სულის სიღრმეებიდან საუბრობდა, ვედრებითა და წუხილით, საჭიროებით შთაგონებული, რასაც ვერ აცნობიერებდა და ვერ აკონტროლებდა.

კაცი გაუნძრევლად უცქერდა. მის ღრმა თვალებში ქალმა ერთდროულად რამდენიმე ემოცია შენიშნა: წუხილი, თანაგრძნობა და ფარული თაყვანისცემა.

— ყველაფერს გავაკეთებ. თუ უფლის ნებაა, აუცილებლად გამოგვივა.

გაბრუებულმა, შემცივნებულმა და აკანკალებულმა ხელი გაიწვდინა და ხელისგული გაშალა, ბრილიანტმა მზის უკანასკნელი სხივები აირეკლა.

— წაიღე. ალაჰმა დაგლოცოს.

კაცმა სახე შეატრიალა, თითქოს ქარს ესაუბრებაო.

დაიტოვე. იმსახურებ, ჯამილა.

მერე კი მსუბუქი თავის დაკვრით, უსიტყვოდ, ცხენს დეზი ჰკრა. კაცები უკან მიჰყვნენ. ქალი უცქერდა, როგორ გაუჩინარდნენ, ნალებმა მტვერი აადინა და ბული დატოვა.

შრიუსბერის ციხე, 1991 წელი

კარცერიდან დაბრუნებულს, მაგაროს ადგილას ვილაც ახალი ტიპი დამხვდა. ძალიან ცოტა დრო იყო გასული მისი გარდაცვალებიდან. მეგონა, ცოტას მოიცდიდნენ, მაგრამ შრიუსბერი ზედმეტად გადატვირთულია. ყოველდღე ახალი პატიმრები მოჰყავთ. ციხე იმ ქარხანას მახსენებს, მამაჩემი რომ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მუშაობდა. კონვეიერის დაფაზე დაწყობილი ორცხობილებივით, დამნაშავეები მოდიან და მოდიან. ბადრაგები ანაწილებენ, ადგილებს მიუჩენენ და კეტავენ, რამდენიმეს ერთად. შენობა პირამდე სავსეა. არავის გამოგლოვების ადგილი აღარაა.

ერთი შეხედვით, ჩემი მესაკნე ნორმალური ჩანდა, უვნებელი. არ მიკითხავს, რისთვის იხდიდა სასჯელს და თვითონაც არ გამოუჩენია ინტერესი. ციხეში ასეთ რამეებზე არ საუბრობენ. ძარღვმაგარი, ტანმორჩილი კაცი იყო, მაღალი შუბლით, კუთხოვანი ყბითა და დახვეწილი ნაკვთებით. თავზე განათების შუქი ეცემოდა და მისმა კეთილმა გამომეტყველებამ შემაცბუნა კიდეც.

თავი ოდნავ დამიკრა და თქვა:

— ზიშანი მქვია.

შეყოვნდა, თითქოს ელოდა, მეც როდის წარვუდგენდი თავს. მკლავები გადავაჯვარედინე, წარბები შევჭმუხნე და ტუჩები მოვკუმე.

მერე დაამატა:

— ზიშანი ბედნიერი, რომ გაგიცნო.

რა სასაცილო ნათქვამი გამოუვიდა. ინგლისურად ძლივს ლაპარაკობდა. ჩემი ვარაუდით, დაახლოებით ორმოცი წლისა იქნებოდა. შუაზიელი, ყავისფერი კანით, საშუალო სიმაღლის. სცადა, საუბარი წამოეწყო, მაგრამ არ ავყევი. ჯობს, თავიდანვე იცოდეს თავისი ადგილი. ნებისმიერი სხვა ხელს ჩაიქნევდა, მაგრამ ზიშანი ჯიუტი გამოდგა. სხვა იმაზე იდარდებდა, ჩემზე გაგონილიდან, რა იყო სიმართლე და ელირსებოდა თუ არა, ღამე მშვიდად ძილი. ზიშანი კი უდარდელი ჩანდა. კარგა ხანს მუნჯად ყოფნის მერე გადავწყიტე, ენა ამომედგა.

— იმ საწოლში ვინც იწვა, ის კაცი მოკვდა, — ვთქვი.

— ჰო, მსმენია, — მიპასუხა ზიშანმა, — ისიც გავიგონე, თქვენ კარგი მეგობრები. ძნელი იქნებოდა შენთვის, მე ძალიან ძალიან ძალიან წუხილი. გაზიარება ბოდიში.

— ალბათ გულისხმობ, რომ ჩემს წუხილს იზიარებ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჰო.

ველარაფერი ვუპასუხე. თანაგრძნობა ყოველთვის უხერხულ მდგომარეობაში მაგდებდა. არ ვიცოდი, რა რეაქცია უნდა მქონოდა.

— მოკლედ, არ მაინტერესებს, ვინ ხარ ან რა გქვია, — ვთქვი მერე, — აქაურ წესებს აგიხსნი და რაც უფრო მალე ისწავლი, შენთვისვე უკეთესია. წესი პირველი: არასოდეს შემოიჭრა ჩემს სივრცეში. წესი მეორე: ფეხებში ნუ გამებლანდები. წესი მესამე: ნერვები არ მომიშალო. გასაგებია?

დაბნეულობისგან თვალები დაახამხამა. მისი წვრილი, ირიბი თვალები ჯერ მე მომაშტერდა, მერე კედელს და მერე ისევ მე.

— ზიშანი გაიგო.

— კარგია!

მალე ხმები შემოგვესმა. დილის შემოწმების დრო დადგა. საკნის კარი გაიღო. ვდუმდით, ველოდებოდით, როდის დაგვთვლიდნენ, გვიჯიკებდნენ, ხელს გვკრავდნენ და გაგვჩხრეკდნენ.

ოფიცერი მაკლაგლინი გამოჩნდა. მარცხენა ყური შეეხვია. მტრული მზერა გავცვალეთ. მაგაროს წერილის დახევა ვერ მაპატია, მე კი — ჩემი მწყობრიდან გამოყვანა არ დავუვიწყე. არც ის უპატიებია, ყურზე რომ ვუკბინე, მე კი კარცერში რომ გამგზავნა, ის არ დამვიწყებია. ჩვენ შორის ქულები თანაბარია, საწყის მდგომარეობას დავუბრუნდით, მაგრამ ამჯერად უფრო დაგვეძაბა ურთიერთობა.

— იცოდე, თვალს გადევნებ, — მითხრა ოფიცერმა მაკლაგლინმა, — კიდევ ერთი შეცდომა და მოგეკითხება.

ტუჩი მოვიკვნიტე, რომ არაფერი მეთქვა, ღრმად ჩავისუნთქე. ისე ახლოს მედგა, მისი ნესტოების ბენვებს ვხედავდი. ასეთი დისტანცია მომწონს. თავის ერთი დარტყმით შემეძლო ცხვირი ჩამელეწა. იდეალური კუთხე მქონდა. თუმცა, თავი დავანებე ამაზე ფიქრს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როცა მარტო დავრჩით, ზიშანი ცნობისმოყვარეობით სავსე თვალებით მომაცქერდა.

— ის რატომ გაბრაზებული შენთვის?

— იმიტომ, რომ წრუწუნაა და თავი კაცად მოაქვს.

ზიშანმა ისე გაიცინა, თითქოს ამაზე სასაცილო ხუმრობა არასოდეს სმენოდა.

— წრუწუნა კაცი, მომწონს ეგ, — შემდეგ ჩაფიქრდა — თევზკაცები, ჩიტკაცები, გველკაცები და სპილოკაცებიც არსებობენ. ადამიანიკაცები კი ძალიან ცოტანი არიან ქვეყანაზე.

წარმოდგენა არ მქონდა, რას გულისხმობდა. რაღაც უცნაური ტიპია, მაგრამ ჯერ ვერ ვხვდები, რა აქვს უცნაური. ადვილად არ ღიზიანდება, მე კი მისი ღიმილი ნერვებს მიშლის. ის-ის იყო უნდა მეთქვა, სახე გაასწორე-მეთქი, რომ მკითხა.

— არ არის ადვილი ჩხუბი ყოველთვის?

— რა? — ვცდილობდი მისი შეკითხვა გამეაზრებინა, — იმას მეკითხები, ჩხუბი ყოველთვის რთულია თუ არა?

— ჰო, ჰო. გეკითხები. ჩხუბი, ჩხუბი, არ დაიღალე?

გაშეშებული მივშტერებოდი. გულწრფელად აინტერესებდა.

— საიდან ხარ? — ვკითხე.

— ოოოჰ, — შეყოვნდა, თითქოს ამოუხსნელი გამოცანა ვკითხე, — პირველად ბრუნეიში დავიბადე.

— ეგ სად ჯანდაბაშია?

შეურაცხყოფილი ჩანდა.

— ბრუნეი დარუსალამი, ბორნეოს კუნძული. ბრიტანეთის კოლონია, მერე დამოუკიდებელი.

— დედოფლის მსახურებს ხეირიანად ვერ უსწავლებიათ თქვენთვის ინგლისური.

— ვსწავლობ ინგლისურს, — გააგრძელა ზიშანმა, ჩემი გესლიანი ნათქვამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, — ყოველდღე ახალ რამეს ვსწავლობ. ზიშანი კარგი მოსწავლე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩავიცინე. ჯერაც ვერ გადამეწყვიტა, გამალიზიანებელი ტიპი იყო თუ უბრალოდ, გიჟი.

— შენ თქვი, პირველად დავიბადეო, ეგ რას ნიშნავს? — ვკითხე.

გაიკრიჭა და პატარა, ვიწრო, დალაქავებული კბილები გამოაჩინა, ველურ ბრინჯს მიუგავდა.

— პირველად ბრუნეიში, — გაიმეორა ზიშანმა, — მეორეჯერ მთელ დედამიწაზე. ყველა ქვეყნიდან ვარ. მსოფლიოა ჩემი სამშობლო.

უცებ ყველაფერს მივხვდი.

— აუჰ, არ მითხრა, რომ იმ ჯვაროსნებიდან ერთ-ერთი ხარ. „უფლის ძმების“ წევრი ხარ?

— რა ვარ?

— გეკითხები, რამე საკულტო ორგანიზაციაში წევრდები? — კვლავაც ვერ გაიგო და უცებ შეეშინდა.

— აქედანვე გეუბნები, ეგ თქვენი რელიგიური ქადაგება არ მაინტერესებს, ყელში ამომივიდა. ჯობს, საპნის ყუთიდან ჩამოდგე... საპნის ყუთი, — ექოსავით გაიმეორა, სულ დაიბნა.

— იმას ვგულისხმობ, ფანატიკოსი ხარ თუ არა?

— ფანატიკოსი! — ზიშანს სახე გაუნათდა, როგორც იქნა, ნაცნობ სიტყვას მოჰკრა ყური. მერე დასერიოზულდა, — ფანატიკოსი ამბობს, ყველა ცდება, მე ვარ მართალი. ზიშანი ამბობს, ყველა მართლია, მე ვცდები. როგორ შეიძლება მე ფანატიკოსი?

— კ-კარგი, — დავუჯერე, მაგრამ უცებ სხვა ფიქრმა შემიპყრო, — თუ ყველა ქვეყნიდან ხარ, მაშინ რომელ რელიგიას აღიარებ?

— სიყვარულია ჩემი რელიგია, — მიპასუხა.

თვალები გადავატრიალე.

— მსგავსი არაფერი მსმენია.

უმალ შეეტყო, შეურაცხყოფილად რომ იგრძნო თავი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ყურს ის ესმის, რაც შეუძლია. ქვეყნად ბევრი ისეთი ხმაა, რისი გაგონებაც არ შეგვიძლია.

— ანუ ბუდისტი ხარ, მუსლიმი, ქრისტიანი თუ... ვინ ხარ?

— ოი, ოი, ოი, — ისე თქვა, თითქოს ფეხზე დავაბიჯე, — მეკითხები ის ხარ, ეს ხარ? — მკერდში მჯილი ჩაირტყა, — მთელი სამყარო ერთ ადამიანშია.

— და ეგ ადამიანი შენ ხარ?

— ეგ ადამიანი ხარ შენ, — უკანასკნელი სიტყვა ხაზგასმით თქვა.

ბოლო წვეთი იყო. საუბარი აღარ მართობდა, უკვე გაღიზიანება დამეტყო. არ მიყვარს ისეთი ხალხი, ვისაც ჰგონია, რომ ყველაფერზე აქვს პასუხი.

— სამყარო, არა? გეტყვი, სამყაროში რაც არის: აგრესია, სიმხეცე, კორუფცია, ტერორიზმი... — შემდეგ დავამატე, — მკვლელობა.

— აჰა, — თქვა ზიშანმა, თითქოს პირველად გაიგონა ეს სიტყვები. თვალები დახუჭა და წუთით მეგონა, ჩაეძინებოდა, მაგრამ ისევ ალაპარაკდა, — შეხედე ბუნებას. ცხოველები ცხოველებს ხოცავენ, დიდი მწერები პატარებს ჭამენ. მგელი ცხვარს გლეჯს. იმდენი სისხლია... მაგრამ ბუნებაში ცხოველები ერთმანეთს იცავენ კიდეც, თევზები ერთად დაცურავენ, ჩიტები გუნდებად ფრენენ.

— იმიტომ, რომ ზვიგენებისა და ქორებისგან დაიცვან თავი. ერთად თუ იქნებიან, გადარჩენის მეტი შანსი აქვთ.

— ყველა ერთმანეთისთვისაა.

— ჰო, ლამაზი უაზრობაა.

თვალები გაახილა.

— ზიშანი უაზრობებს არ ლაპარაკობს.

— ბოდიში, მაგრამ შენთვის ცუდი ამბავი მაქვს. ბუნებაში, ომის გარდა არაფერია. ამ ციხეშიც და ყველგან. სამყარო დიდი ვირთხების რბოლაა.

გადმოიხარა და ისე შემომხედა, თითქოს სადღაც, მილმა იყურებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჰარმონია ყველგან... — სიტყვა „ჰარმონია“ ისე წარმოთქვა, რომ „რამდენიასავით“ ულერდა. შემდეგ განაგრძო, — ამ ციხეშიც კი. მთავარი შეკითხვა ისაა, არის თუ არა ჰარმონია შენში?

ბოლო სიტყვები ისე მომესმა, თითქოს თქვა, — რამდენია შენშიო. შეიძლება, მართებული შეკითხვა სწორედ ეს იყო. არც კი ვიცი, რამდენ ისკენდერს ჩაუშვია ღუზა ჩემს სულში.

— კარგი, — ვუპასუხე, — თუ ჰარმონიაა მთავარი, თუ კეთილი და ბოროტი ერთმანეთს ათანაბრებს, მაშინ ყველა ისე მოიქცევა, როგორც სურს. რა მნიშვნელობა აქვს?

— არაა, ეგრე არ არის. ისე ვერ მოიქცევი, როგორც გინდა. მხოლოდ იმას აკეთებ, რასაც ღმერთი დებს შენში. მე ელემენტები მაქვს. შენც. ზიშანი უმეტესად წყლისგან შედგება. შენ? ალბათ ცეცხლი. ჰო, ვფიქრობ, ცეცხლისგან. თუ შენში ჰარმონია არ სუფევს, ყოველთვის გაბრაზებული იქნები, ყოველთვის იჩხუბებ. ისარივით ბასრი ენა გაქვს, ქვეყანა ჯუნგლებივითაა, ამბობ. ამ დიდ ჯუნგლებში მე ჩემი პატარა ბაღი მოვიწყვე.

— რომელ ბაღზე ლაპარაკობ?

— ძვირფასო მეგობარო, — ზიშანმა ისე თქვა, თითქოს წერილს მწერდა, — ბრაზი ვეფხვივითაა. ვეფხვს ხედავ და ფიქრობ, რა მაგარი ცხოველია, მეც მინდა, მყავდეს. მაგრამ მას ხომ ვერ მოათვინიერებ. ეგ არავის შეუძლია. ვეფხვი შეგჭამს. დაივიწყე ბრაზიანი ვეფხვები, მათგან ვერაფერს ვისწავლით. ჩვენ ადამიანებისგან ვსწავლობთ, როცა ახალ პიროვნებას, ახალ სახელს, ახალ რელიგიას ხვდები. ჩვენ განსხვავებებისგან ვსწავლობთ და არა — ერთფეროვნებისგან. „ეგო“ მტაცებელივითაა. ველური ფრინველივით. მტაცებელი ამბობს, ჩემთან იფრინე, ძლიერი კაცი დადგებიო. ეგ ტყუილია, ხრიკია. თუ ძლიერი „ეგო“ გაქვს, სუსტი ადამიანი ხარ. თუ სუსტი ეგო, მაშინ — ძლიერი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დინჯად, მაგრამ დაჯერებით საუბრობდა. სიტყვებს ფრთხილად არჩევდა, თითქოს ბროლის ყვავილები იყო. როცა ლაპარაკი დაასრულა, ვუთხარი:

— ერთი რამე მაინტერესებს...

— რა არის?

საჩვენებელი თითი ყურთან დავაბზრიალე. მიმიხვდა, სიგიჟის საერთაშორისო ჟესტს რომ განვასახიერებდი. გაეცინა, ბედნიერად გაეცინა.

— ჰო, ჰო, მართალია. ამბობენ, ზიშანი ცოტა ვერ არისო.

* * *

იმ დღეს, როცა პოლიცია კეიტის სახლში მოვიდა, უკანა კარიდან გავიქეცი. გამიმართლა. ველოსიპედი მოვიპარე ჰაკნიდან გასაღწევად და სანამ შემეძლო, ვატარე. მერე ავტოსტოპით ვცადე გზის გაგრძელება. ორმა ფრანგმა სტუდენტმა ჩამისვა მანქანაში. აგურზე მძიმე აქცენტით საუბრობდნენ და ორივენი პიკნიკის კალათასავით ცისფერები იყვნენ. მანამდე ჰომოსექსუალ წყვილს არ შევხვედროდი და საერთოდ არ მომწონდა ჰომოსექსუალიზმი, მაგრამ ახლა მათი განსჯის უფლება არ მქონდა. დაინახეს ჩემი უიმედოობა, გასაჭირი, მაგრამ არაფერი მკითხეს. ლანჩი მიყიდეს, სიგარეტი შემომთავაზეს, რალაც უცნაური მუსიკა მომასმენინეს.

ვარვიკში ჩამომსვეს. სანამ წავიდოდნენ, სასახლის წინ მარიხუანა მოვწიეთ. მახსოვს, თავის ატკივებამდე ვიცინეთ, ის კი არ მაგონდება, რატომ. მერე ჩრდილოეთისკენ გაუყვნენ.

უეცრად, სრულიად მარტო დავრჩი. ოთხი დღის მერე დამაპატიმრეს — რომელილაც პარკში მძინარე მიპოვეს. იმ დროისთვის კუჭი ისე მიხმებოდა და ისეთი დაღლილი ვიყავი, გულზეც კი მომეშვა. დაკითხვისას მშვიდად ვიქცეოდი, ყველაფერს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვპასუხობდი. არ უთქვამთ, რომ გარდაიცვალა. მისი სიკვდილის შესახებ კარგა ხანს ვერ შევიტყვე. დარწმუნებული ვიყავი, რომ მძიმედ არ იყო დაშავებული. მხოლოდ დავჭერი, მარჯვენა მხართან. მძიმე მდგომარეობაში რატომ უნდა ყოფილიყო? მერე კი ოფიცერი შემოვიდა და თქვა.

— არ იცი? დედაშენი მოკალი.

გაოგნებულმა ვიკითხე:

— რას გულისხმობთ?

— საკუთარი დედა მოკალი, შე ავადმყოფო. როგორ გამოძვრები ამ ამბიდან?

ვერ ვიჯერებდი. მეგონა, ხრიკებს ხლართავდნენ ჩემს ასალაპარაკებლად. მაგრამ გაზეთი დამიდეს წინ. იგივე სტატია, მაკლაგლინს რომ ედო საქალალდეში. მაშინ შევიტყვე, რომ დედაჩემი მართლაც მკვდარი იყო.

სასამართლო პროცესის განმავლობაში გაბრუებული ვიჯექი. ვერ ვინძრეოდი, იმ დღესავით, როცა წინადაცვეთის შიშით ხეზე ავიპარე. მახსოვს პრესა, ფოტოგრაფები, სრულიად უცხო ხალხი, რომელიც შენობის წინ ჩემ წინააღმდეგ საპროტესტო აქციას მართავდა. ჩემი მხარდამჭერებიც იყვნენ — ისინიც სრულიად უცხო ადამიანები. ბრბოში ესმას გაფითრებული სახე შევნიშნე, მერე კი ჩემი ძმა დავინახე. იუნუსი გაფართოებული თვალებით უაზროდ იყურებოდა. უეცრად, სუნთქვა გამიჭირდა. ჩემი ფილტვები ჟანგბადზე უარს ამბობდა. დავეცი და ხრიალი აღმომხდა. ეგონათ, ასთმის შეტევა იყო. ექიმი კეთილი აღმოჩნდა, გამსინჯა, ვერაფერი აღმოაჩინა. მერე ფსიქოლოგთან წამიყვანეს, საშინელ კაცთან.

თავში საფერფლე ვესროლე, მაგრამ ასცდა ნაბიჭვარს.

ციხეში პირველ ღამეს საწოლზე დავეცი და ჭერს მივაშტერდი. კარგა ხანს ვფიქრობდი, ნეტავ, ფსიქოლოგი სწორი თუ იყო. იქნებ, მართლა მქონდა სილრმისეული პრობლემა. იქნებ, მართლა ვერ ვიყავი დალაგებული.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— გიჟი არ არის, — პროკურორმა განაცხადა სასამართლოზე, — ეს ახალგაზრდა კაცი სრულ ჭკუაზეა და სათანადო სასჯელს იმსახურებს.

შემდეგ ღამესაც წამითაც არ მომიხუჭავს თვალი. ჩემი გამოცდილებით, რაც უფრო ცუდად გძინავს, მით უფრო ცუდ ხასიათზე დგები. ასე გაგრძელდა დიდხანს. პირველი წლები ერთი გრძელი კოშმარივით მახსენდება. სხვებისთვისაც კოშმარი ვიყავი. სიცოცხლეს ვუმწარებდი. კარგა ხნის მერე, ერთ შუაღამეს, გარეთ წვიმდა. ყველაფერი კარგად მახსოვს. გაავდრდა, ჭექა-ქუხილიც ისმოდა. მერე, მეყსეულად ხმაური შეწყდა და სიჩუმე უარესი აღმოჩნდა. მაშინ გამიჩნდა ის უცნაური შეგრძნება, თითქოს დედაჩემი ჩემთან იყო. არც ნაწყენი ჩანდა და არც გაბრაზებული.

ქვითინი დავიწყე. ვტიროდი, ვკანკალებდი, ვიტანჯებოდი. მთელი ცხოვრების ცრემლები ერთიანად წამომცვივდა.

* * *

ზიშანთან გატარებული ორი კვირის შემდეგ ერთ-ერთი წესი დავარღვიე.

ვკითხე:

— რისთვის ზიხარ? შენნაირ კაცს რა უნდა ჩაედინა?

სახე მოექუფრა.

— ოჰ, ამბობენ, ზიშანმა საშინელი დანაშაული ჩაიდინაო. მტკიცებულება არ აქვთ, მაგრამ ერთი ბატონია, სასამართლოში მას დაუჯერეს, რადგან ცნობილი ოჯახიდანაა. ის ამბობდა, რომ დაინახა, მოხუც ქალს ხელჩანთა როგორ წავართვი და მძიმედ დავაზიანე. საავადმყოფოში წევს, კომაშია.

— მოხუც ქალს ფულისთვის დაესხი თავს?

— ზიშანს მსგავსი არაფერი ჩაუდენია, — მიპასუხა, — ქალი თვალს როცა გაახელს, სიმართლეს იტყვის. ვიცდი. ვლოცულობ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მოიცა, სწორად გავიგე? ამბობ, რომ უდანაშაულოდ დაგაპატიმრეს? გგონია, მაგ სისულელეს დავიჯერებ?

უცნაურად შემომხედა, თითქოს ფიქრობდა, ახალი ამბავი როგორ ეთქვა. მერე კი წამოიწყო:

— იმ დღის მერე, რაც პოლიცია ჩემს სახლში მოვიდა, თავს ვეკითხებოდი, რატომ მოხდა ეს? უმიზეზოდ ხომ არაფერი ხდება. რატომ დაუშვა ეს უფალმა? მაშინ ღმერთმა პასუხი არ გამცა, მაგრამ ახლა კი ვხვდები.

— რაებს ლაპარაკობ?

— მისმინე, არ ვიცოდი ღმერთმა ციხეში რატომ ჩამსვა. ვკითხულობდი: „რატომ, რატომ, რატომ?“ მერე კი შენ შეგხვდი. ახლა ალარ ვარ დამწუხრებული.

— ამ დებილობებს თუ არ მოეშვები, ძალიან დამწუხრებულს დაგტოვებ.

საერთოდ არ ჩანდა შეშინებული.

— ახლა მესმის, რატომ არის ზიშანი აქ. შენთვის... — გაჩუმდა და ამოიოხრა, — ცხადია, უფრო ადვილი იქნებოდა, ჩემთან მოსულიყავი. მაგრამ არ მოხვედი და ამიტომაც მე მოგაკითხე. ზიშანი პატიმარი გახდა ერთი მიზნისთვის.

— რა აბსურდია. მეუბნები, რომ უდანაშაულო ხარ, მაგრამ რალაც კოსმოსურმა ძალამ აქ, ჩემთან გამოგგზავნა?

— ჰო, ახლა მართალი ხარ, — გაიბადრა და ბუშტიანი ბავშვივით გახალისდა.

ეს კაცი გიჟი იყო და ყოველდღე უარესად აფრენდა. ან შეიძლება გამიზნულად იქცეოდა ასე. უცებ რალაცას მიხვდი. ყელში ვწვდი და კედელზე ავაკარი.

— მაკლაგლინმა ჩაგსვა აქ, ჩემთან? მისი ჭკუით, გაკვეთილს მიტარებს? გინდა გადამრიო, არა? ეგ არის გეგმა?

სახე გასწია, თითქოს უკვე დავარტყი.

— გეუბნები, ღმერთმა გამომგზავნა, შენ მპასუხობ, მაკლაგლინმაო. ეგ შენი მაკლაგლინი პატარა კაცია, უფალი კი დიდია.

ხელი გავუშვი და საფეთქლები დავიზილე, თავი ამტკივდა.

— რამდენი წლის ხარ? — ვკითხე.

თვალები მორცხვად დახარა.

— სამოცდაშვიდი.

— მეხუმრები?

— მართლა.

— არ ჰგავხარ სამოცდაშვიდისას.

— მადლობა, — მიპასუხა, — ზიშანი თავზე უვლის.

— გინდოდა გეთქვა, თავს უვლის.

— ჰო, ჰო, თავს უვლის.

მერე ისევ წამოიწყო სისულელეები.

— შენთან მოვედი, — თქვა, — ბოლო დროს უსარგებლო ვიყავი, მაგრამ ღმერთმა აქ მომიყვანა, იმიტომ, რომ სიზარმაცე არ უყვარს. ყველამ გულმოდგინედ უნდა ვიმუშაოთ.

— რა ვიმუშაოთ?

— მისტიკოსები ამბობენ...

— ეს რაღაა?

— მისტიკოსი არის ადამიანი, რომელიც გულში იხედება. მისი რწმენით, ყველანი დაკავშირებულები ვართ. განსხვავება მხოლოდ გარეგნულია — კანი, სამოსი და პასპორტი. გული კი ყველას ყველგან ერთნაირი აქვს.

— აი, დაიწყე ისევ შენებურები.

გაელიმა, შეიძლება იმიტომ, რომ არ იცოდა „შენებურების“ მნიშვნელობა, ან უბრალოდ, ჩემს ნათქვამს ყურადღება არ მიაქცია.

— მისტიკოსების რწმენით, გარდაცვალების შემდეგ უფალი ოთხ შეკითხვას გვისვამს: როგორ გალიე შენი დრო? როგორ მოიპოვე ფული? როგორ გაატარე ახალგაზრდობა? და მეოთხე შეკითხვა, ყველაზე მნიშვნელოვანი: როგორ გამოიყენე ცოდნა, რომელიც მოგეცი? გაიგე?

— ვერა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ცოდნა მაქვს, — გააგრძელა, — მე მასწავლებელი ვარ...

— აბა, ვსწავლობო?

— ყველა მასწავლებელი მოსწავლეცაა.

— აუჰ, მორჩი, რა.

— მასწავლებელი ვარ, — მშვიდად გაიმეორა, — აქ მოვედი, რათა ცოდნა გაგიზიარო.

ათასნაირი ხალხი მინახავს ციხეში. ბადრაგებსა და პატიმრებს შორის ბევრი ფსიქოპათი, გიჟი, მწუხარე, სუსტი და ბოროტი ადამიანია. ზოგიერთში ყველა ეს თვისება თავმოყრილია. თუმცა, არასდროს შემხვედრია და არც შევხვდები ზიშანის მსგავს პიროვნებას. ბრუნეიში დაიბადა და მსოფლიოში გაიზარდა. არც კი ვიცოდი, რა გამეკეთებინა მისთვის.

ისკენდერ ტოპრაკი

ესმა

ლონდონი, 1978 წლის მაისი

ბიძია ტარიქი და დეიდა მერალი ოთხ შვილთან ერთად გვესტუმრნენ. სადილის შემდეგ ყველანი ტელევიზორს მივუსხედით, „კორონაციის ქუჩას“ ვუყურებდით, ჩაის ვსვამდით და ხილს მივირთმევდით. პერსონაჟებთან დაკავშირებული შენიშვნების გარდა, ბევრი არ გვისაუბრია. ყველა ინტერესით კვდებოდა, რა მოხდებოდა სერიალში მას მერე, რაც სიუზიმ სტივი მოხიბლა და გეილმა მათ ინტიმურ სიტუაციაში წაასწრო. ბიძია ტარიქის აზრით, რომანი დიდხანს არ გაგრძელდებოდა. დეიდა მერალიც დაეთანხმა, მაგრამ მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. შინაარსს ვერ ხვდებოდა ხოლმე, მე მიწევდა მთავარი სცენების გადათარგმნა, რადგან ინგლისური კარგად არ იცოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მას მერე, რაც სტუმრები წავიდნენ და ყველამ დაიძინა, ისევ სააბაზანოში შევიკეტე. სარკეში ვაკვირდებოდი თავს, როცა კაკუნმა წარმოდგენები დამიფრთხო.

— დაკავებულია! — გავძახე გასაღების ღრიჭოდან.

კიდევ გაისმა კაკუნი, ფრთხილი, მაგრამ შეუპოვარი. გაღიზიანებულმა გავაღე კარი. წინ იუნუსი იდგა, პიტერ პენის პიჟამაში.

— უი, ღმერთო. ეს რა გიქნია შენი თავისთვის? — წამოიძახა გაოცებულმა.

მაშინღა გამახსენდა, ჯერ კიდევ წვერი მიხატული რომ მქონდა სახეზე. საუკეთესო თავდაცვა ხომ თავდასხმაა და მეც შევუტიე.

— ამ დროს რატომ გღვიძავს?

— ფისი მინდა.

იუნუსს ზეწარი ამოეიღლიავებინა. თურქულად ვკითხე,

— ნამდვილად გინდა ფისი? მგონი უკვე მოგისწრია.

ჩემს ძმას თვალები აუხამხამდა. წუთიერი დუმილი ჩამოწვა, ერთმანეთს ველოდებოდით, რომ ხმა ამოგველო.

— კარგი, — დავნებდი, — ერთი წამით დამელოდე.

კარი მივხურე, შუქი ავანთე, სანთელი ჩავაქრე და კიდევ ერთხელ შევხედე ჩემს სახეს სარკეში. მერე ისევ გამოვყავი თავი.

— იცი, რა? მოდი, დატოვე ეგ ზეწარი. მე მივხედავ.

წუთიერი ყოყმანის შემდეგ იუნუსმა მორცხვად გამიღიმა და თავისი სამარცხვინო შემთხვევის ნივთმტკიცება გადმომცა. ნიჟარა საპნიანი წყლით ავავსე და ზეწარი ჩავალბე. მეგონა, ოთახში გაბრუნდებოდა, მაგრამ გარეთ დამელოდა. შიგადაშიგ ნახევრად ღია კარში იჭყიტებოდა.

— დაო, მორჩი?

— თითქმის. ნიჟარაში რეცხვა რთულია, რომ იცოდე, — უგულოდ ვუპასუხე.

— რატომ იფსამ ბოლო დროს საწოლში? — ვკითხე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იუნუსი დუმდა.

— ნუ დარდობ, არავის ვეტყვი.

ჩემდა გასაოცრად, გულზე არ მოეშვა. პირიქით, სახე მოექუფრა, ტუჩი აუკანკალდა. მისკენ გადავდგი ნაბიჯი. მისი დიდი, უცოდველი თვალებისა და პარტყუნა ყურების დანახვაზე გამელიმა. ყოველთვის მიყვარდა ეს ბიჭი.

— მაპატიე, პატარავ. არ მინდოდა შენი წყენინება.

— არა ვარ ნაწყენი. უბრალოდ, საფიქრალი დამიგროვდა.

— მაგალითად?

— ვერ გეტყვი, — თქვა მან, — საიდუმლოა.

— ოხერი რამეა საიდუმლო. გინდა, მოიცილო, მაგრამ როგორც კი მოიშორებ, მაშინვე ვრცელდება. მეფე მიდასივით, ხო?

— ეგ ვინ არის?

მოვუყევი მეფის ამბავს, რომელსაც ისედი დიდი ყურები ჰქონდა, რომ ქუდის ქვეშ მალავდა. მეფის დალაქი ერთადერთი ადამიანი იყო, ვინც მისი საიდუმლო იცოდა და პირობა მისცა, არავის ვეტყვიო. თუმცა, მოყოლის სურვილი კლავდა და რომ ველარ მოითმინა, ლერწამს გაუზიარა. ეგონა, ამით არაფერი დაშავდებოდა. მერე კი ვილაცამ ამ ლერწმისგან ფლეიტა დაამზადა, ფლეიტით კონცერტზე დაუკრა და საიდუმლო ჰაერში გააჟღერა. რამდენიმე დღეში ყველამ შეიტყო, რომ მეფეს ვირის ყურები ება.

— იმის თქმა გინდა, რომ არავის ვუთხრა, — თქვა იუნუსმა.

— თუ მნიშვნელოვანი რამ არის, შენთვის შეინახე. არავის ენდო, ლერწამსაც კი.

მეგონა, გაიცინებდა, მაგრამ ასე არ მოქცეულა. ერთხანს მწუხარედ მომაჩერდა, სანამ გატრიალდებოდა და დერეფნის ბოლოს გაუჩინარდებოდა.

— ღამე მშვიდობისა, იანიმ, — ჩავილულლულე, მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი, ჩემი არ ესმოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჯერ კიდევ საპნიანი ხელებით ვიდექი და ვიგრძენი, გული როგორ შემეკუმშა. ეჭვი შემომეპარა. სანამ ბიჭობაზე ვოცნებობდი და ათას სხვა უცნაურობაზე ვფიქრობდი, თურმე ჩემ ცხვირწინ ისეთი რამეები ხდებოდა, მე კი ვერ ვამჩნევდი. მოგვიანებით, იმ წუთების გახსენებისას, მივხვდი, ის გარდამტეხი წუთი იყო. მას მერე ცხოვრება, ისეთი, როგორიც ვიცოდი, დაინგრა. მას მერე ყველანი, ერთიმეორეზე მიყოლებით, სხვა რეალობაში გადავეშვით. ძალიან ბევრი რამ ძალიან სწრაფად მოხდა. ხშირად მიფიქრია, იმ ღამეს სხვანაირად რომ მოვქცეულიყავი, იქნებ, ყველაფერი განსხვავებულად წარმართულიყო-მეთქი. იქნებ, ჩემი უმცროსი ძმის საიდუმლო რომ შემეტყო, მივმხვდარიყავი ყველაფერს და სანამ ტრაგედია დატრიალდებოდა, გამეფრთხილებინა დედაჩემი.

დარტყმა

ლონდონი, 1978 წლის ივნისი

იმ შაბათს ისკენდერი კრივზე არ წასულა. არც კეიტის შეხვედრია. მასა და მის ძმაბიჭებს სხვა გეგმები ჰქონდათ. დილით, ცხრას რომ გადასცდა, სახლიდან გავიდა. თბილი ქარი მოელამუნა სახეზე, თითქოს მთელი სამყარო გაშლილი ხელებით ეგებებოდა. ისკენდერი სიცოცხლით სავსე და ყველაფრისთვის მზად იყო. ქურთუკის საყელო აიწია და მტკიცე ნაბიჯით განაგრძო სვლა. სჯეროდა, რომ სიარულის მანერით ბევრი რამის გაგება შეგეძლო კაცზე — მისი სისუსტის, მისი ჭკუის, გამბედაობის. ისკენდერი ოდნავ წინ გადახრილი მიაბიჯებდა, მხრებში გამართული, ნიკაპაწეული, თითქოს გამვლელებს საჩხუბრად ეტოლებოდა.

ბიჭები „ალადინის გამოქვაბულში“ ელოდებოდნენ. ოთხნი იყვნენ. ბოლოში, პლასტმასის მაგიდას შემოსხდომოდნენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ისკენდერმა მიახლოებისას თავი დაუქნია, მათაც იმავე ჟესტით უპასუხეს. მათ თვალებში პატივისცემა შენიშნა — რაც მამამისს არასოდეს ღირსებია ვინმესგან, მისნაირი აზარტული მოთამაშეებისგანაც კი, იმ შემთხვევების გარდა, როცა იგებდა.

— ჰეი, — ისკენდერმა ყველას მისამართით თქვა, — არშადი სადაა?

— ჯერ არ მოსულა, — უპასუხა ფაარიდმა, ტანდაბალმა, მორიდებულმა მაროკოელმა.

— შეიძლება შეეშინდა, — გაიკრიჭა აზიზი და მეჩხერი კბილები გამოაჩინა, — ამ კვირის ამბების მერე ვერ გავამტყუნებ.

მძიმე ზაფხული გამოდგა. ყოველდღე რაღაც ხდებოდა. კაცებს ქუჩაში აშინებდნენ, ქალებს შეურაცხმყოფელ სახელებს ეძახდნენ, ბავშვებს აფურთხებდნენ. ღამღამობით ემიგრანტთა სახლებს აგურებს უშენდნენ, სარეცხ თოკებს უჭრიდნენ და საფოსტო ყუთებში ძაღლის განავალს უტოვებდნენ. ყველაზე საშინელი რამ კი ექვსი დღის წინ მოხდა.

თერთმეტ ივნისს, ადრიან დილას, სკინჰედების ჯგუფი ბრი-ლეინის თავზე შეიკრიბა. შუადღისას უკვე ბევრნი იყვნენ. მოდიოდნენ და მოდიოდნენ, ფეხით, ველოსიპედით, მანქანით. მერე მარში წამოიწყეს და სკანდირებდნენ, — ნაციონალური ფრონტი თეთრკანიანთა ფრონტიაო. პოლიცია კი არ გამოჩენილა. არც მოგვიანებით, როცა პროტესტანტები ემიგრანტების მაღაზიებს დაესხნენ თავს „მოკალით შავი „ნაბიჭვრების“ ძახილით. ფანჯრები ჩალეწეს, კერძო საკუთრება გაანადგურეს.

ფაარიდმა თქვა:

— ძაღლებმა მერე რა თქვეს, გაიგონეთ? სპონტანური თავდასხმა იყოო.

— ტეხავს, — ისკენდერმა უყურადღებოდ უპასუხა.

საუბარი ალადინმა, ადგილის მეპატრონემ შეაწყვეტინა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მსხვილძვალა კაცი იყო, ორმოცდაათს გადაცილებული, ერთი ფეხი მეორეზე მოკლე ჰქონდა. ყოველთვის ტკბილად საუბრობდა. ბიჭებს ღიმილით მიუახლოვდა, ისკენდერს ხელი ჩამოართვა. სკოლასა და დედაზე ჰკითხა, ბიძამისის მაღაზიაც მოიკითხა. შეკითხვებზე ისკენდერი ზრდილობიანად, მაგრამ მოკლედ პასუხობდა.

— აბა, რას მიირთმევთ? — ბოლოს იკითხა ალადინმა, — მეგობრები შენს მოსვლას ელოდებოდნენ, რომ შეეკვეთათ.

ისკენდერს ესიამოვნა ამის გაგონება.

— სტუმარს ველოდებით. რომ მოვა, მაშინ შევუკვეთთ.

ალადინი კოჭლობით წავიდა. ისკენდერი აზიზს მიუტრიალდა და საუბარი განაგრძო.

— სხვა რა მოხდა?

— აუჰ, გუშინ ბენგალელ ბიჭს სცემეს. არშადის სახლთან ახლოს იპოვეს დასისხლიანებული. ეს უკვე მეოთხე შემთხვევაა ამ თვეში.

ისკენდერმა ტუჩზე იკბინა, სახე გაუმკაცრდა.

— იცი, რა მაგიჟებს? — წამოიწყო სონიმ, — ეს რასისტები იძახიან, არ ვართ რასისტებიო, რეალისტები ვართო. რა იდიოტობაა! ის არ კმარა, რომ რასისტები არიან, თან იტყუებიან კიდეც!

მას სალვატორე ერქვა, მაგრამ ყველა სონის ეძახდა. მისი ოჯახი ჰაკნიში სიცილიური სოფლიდან გადმოსახლდა. ინგლისურად ისე სწრაფად და ისეთი იტალიური აქცენტით საუბრობდა, ნახევარი არ ესმოდათ ხოლმე.

— როდის მოვა ეს ტიპი? ისე, რამდენს ლაპარაკობს ხოლმე!

ეს ჩიკომ იკითხა, თითებს მენიუზე ათამაშებდა. მამა მაროკოელი ჰყავდა, დედა — ესპანელი.

— ეგრე ნუ ამბობ, — თქვა აზიზმა, — პატივი ეცი კაცს. ორატორი დაუძახე.

— რა მნიშვნელობა აქვს. როგორც ამბობენ, სულელი ბე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვრს ლაპარაკობს, ჭკვიანი უსმენს! ეგ ტიპი კი ყოველთვის ლაპარაკობს. თვითონ გამოიტანე დასკვნა.

წარბებშეკრული ისკენდერი საზურგეს მიეყრდნო და ხელები შეაერთა. ამ ჟესტმა მაგიდის მხიარული ჭორაობა სერიოზულ დიალოგში გადაზარდა.

— ნახევარ საათში მოვა. ვიფიქრე, კარგი იქნებოდა, ადრე შევკრებილიყავით და გველაპარაკა. საქმეები კარგად ვერ მიდის. სულელები ხომ არ ვართ, ვერ დავინახოთ.

ჩიკომ თვალები დახარა. დანარჩენებმა თავი დაუქნიეს, ზარ-ზეიმითა და აღტყინებით.

— ჩვენი გაყრა უნდათ ამ ქვეყნიდან, — თქვა ისკენდერმა, — შენი, ჩემი, მისი... არაბების, თურქების, იტალიელების, იამაიკელების, ლიბანელების, პაკისტანელების... ასე უნდა ვისხდეთ, დასაკლავად გამზადებული ცხვრებივით და ვიოხუნჯოთ? ჩვენს მშობლებს სწორედ ეგ უნდათ — ღიმილით დაველოდოთ, როდის გვესვრიან. მაგრამ ჩვენ ხომ ცხვრები არ ვართ?

— რა თქმა უნდა, არა, — თქვა ჩიკომ.

— მომისმენია, ეს კაცი როგორ ლაპარაკობს. კარგად გამოსდის, ნამდვილად კარგად. მოვიდეს, ვნახოთ, რას გვეტყვის. თუ არ მოგვეწონება, შევეშვებით. რაც უნდა იყოს, ცხვარი მაინც არაა, ეგ კი ვიცით.

სწორედ ამ დროს, კარი გაიღო და ჯიბეებში ხელებჩაწყობილი არშადი შემოვიდა. ისკენდერს მის უკან მდგომი გოგოს დანახვაზე სახე შეეცვალა.

— ეს აქ რას აკეთებს?

— მე ნუ დამაბრალებ, ძმაო. ვეცადე, შემეკავებინა... — არშადმა უპასუხა. ისკენდერმა ესმას გამჭოლი მზერა ესროლა.

— წადი სახლში.

— არა, მეც მინდა, მოვუსმინო, — უპასუხა დამ.

ბიჭები და-ძმას მოკრძალებული ღიმილით შესცქეროდნენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— შენი ხისთავიანობით დავიღალე, — ისკენდერმა თქვა, — არ ვაპირებ კამათს.

— ჰოდა, ნუ იკამათებ.

— ნერვებს მიშლი. ასეთი რამეები გოგოებისთვის არ არის!

— რატომაც არა? გგონია, სკინჰედები მარტო კაცებს ესხმიან თავს? მწარედ ცდები. ქალებსაც უტევენ, გოგოებსაც. მსხვერპლად თუ გამოვდგები, თავის დაცვაც უნდა შემეძლოს.

— მართალს ამბობს, — გამოესარჩლა აზიზი.

მისი მხარდაჭერით შეგულიანებული ესმა ძმას შეევედრა.

— კარგი, რა, აბი, გთხოვ.

ისკენდერმა თავი გააქნია, ამჯერად ნაკლები სიმკაცრით.

— კარგი, მაგრამ ხმა არ ამოიღო, კრინტი არ დაძრა.

— ჰო, ცხედარივით ვიჯდები, — თქვა ესმამ და სცადა, სიხარული არ შესტყობოდა. თუმცა ხალისით დაამატა, — ერთი სული მაქვს, ვნახო, როგორ გამოიყურება ის ტიპი. დარწმუნებული ვარ, მაშინვე ვიცნობ.

მისი ვარაუდი არ გამართლდა. როცა ორატორი ნახევრად სავსე კაფეში შემოვიდა, ისკენდერის გარდა, ვერავინ იცნო. დანარჩენები დაუდგენელი ასაკის, ახოვან, შთამბეჭდავ პიროვნებას ელოდნენ, რომელსაც ნახევრად ტრადიციული, ნახევრად ეგზოტიკური სამოსი ეცმებოდა, მოხდენილი, გრძელი ვარცხნილობა და ელვარე თვალები ექნებოდა. ამიტომაც, ოცდარაღაც წლის გამხდარ ბიჭს, გაცვეთილი ჯინსითა და არაფრით გამორჩეული გარეგნობით, ყურადღება არავინ მიაქცია, სანამ მათ მაგიდას არ მიუახლოვდა.

— დაჯექი, — ისკენდერმა შესთავაზა. ყველა გააცნო, ესმას გარდა.

საჭმელი შეუკვეთეს. ჰუმუსი, ბაბაგანუში, ქაბაბი, ფალაფელი... ისკენდერმა სტუმრის თეფში აავსო, მაგრამ სულ ტყუ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ილად. ბიჭი ჩიტივით კენკავდა. მისი უმადობა სხვებსაც გადა-
ედო, სონისაც კი, რომელსაც სულ შიოდა.

მოგვიანებით, როცა ჩაის სმას შეუდგნენ, ორატორმა ქა-
დაგება წამოიწყო. მყიფე ხმა ჰქონდა, მაგრამ ტალღასავით
ადიდდებოდა ხოლმე. რამდენიმე წუთში ერთხელ პაუზას აკე-
თებდა და მერე აგრძელებდა, თითქოს უჩინარი პამფლეტი-
დან კითხულობდა ტექსტს. გვიანი კაპიტალიზმის ეტაპებზე
ისაუბრა, აღნიშნა, კაცობრიობა განკითხვის დღეს მიუახლოვ-
დაო. ყველანი კლდის თხემიდან დაბლა ვიყურებით, ყველანი
შევესწრებით ამ რეჟიმის დამხობასო. ახლანდელი ახალგაზ-
რდობა იმდენად გამოსულელებულია, სისტემაში ეჭვი არ შე-
აქვს, პოლიტიკოსები აკონტროლებენ ნარკოტიკების ბიზნესს
მსოფლიოში, ყველა იდეოლოგია იმისთვის შეიქმნა, ახალგაზ-
რდები გააბრუოს, ყალბი „იზმები“ ახალი დროების ნარკოტი-
კი და ხალხის დამაძინებელი საშუალებაა.

— დეიდაჩემი ფემინისტია, — აღნიშნა სონიმ. ცოტათი
აფორიაქებულიყო უჭმელობისგან, — ჩემზე მოკლე ვარცხნი-
ლობა აქვს და ყოველთვის შარვალი აცვია.

— ფემინიზმი ჩვენთვის იგივეა, რაც თოვლის კაცი —
საჰარისთვის, — შეეპასუხა ორატორი, — არ გვჭირდება. და
იცი, რატომ?

— იმიტომ, რომ ქალებს ამახინჯებს. ფეხებს აღარ იპარ-
სავენ, რა საზიზღრობაა, — თქვა სონიმ.

ბიჭებმა სიცილი ძლივს შეიკავეს, ესმამ კი თავი უკმაყო-
ფილოდ გააქნია. ისკენდერი ერთადერთი იყო, რომელიც ორა-
ტორს თვალს არ აცილებდა. ორივენი ხომ ბიჭურ რეაქციებზე
მაღლა იდგნენ.

— ვიტყოდი, რომ ჩვენი მეგობარი მართალია, რადგან
ფემინიზმი მართლაც არაბუნებრივად აჩენს ქალს, — წარ-
მოთქვა ორატორმა, — მაგრამ ეგ შედეგია და არა მიზეზი. მე
გეკითხებით, რატომ არ აქვს საერთო ფემინიზმს ჩვენნაირ
ხალხთან?

— რადგან ეს მათი პრობლემაა, — უპასუხა ისკენდერმა, — დასავლელების.

ამ დროს ალადინმა ლანგრით ჩაი მოიტანა და ბოლო სიტყვებს ყური მოჰკრა. წარბები ეჭვიანად აზიდა. ისკენდერი მიხვდა, ალადინი ორატორს იცნობდა და დიდად გულზე არ ეხატებოდა.

მისნაირი ახალგაზრდები სარეველასავით არიან. რას აკეთებს აქ, ცუდი აზრებით უტენის თავს ბიჭებს. თითქოს ალადინის დამოკიდებულება იგრძნო, ორატორი დადუმდა და ხმა არ ამოულია, სანამ ჩაი დაუსხეს და კვლავ მარტონი დარჩნენ.

— ზუსტადაც. ფემინიზმი მათი პასუხია მათსავე პრობლემებზე, — განაგრძო ორატორმა. თვალებზე ისკენდერის მიმართ პატივისცემა დაეტყო, — მაგრამ სულელური გამოსავალია. ტბას სამზარეულოს ღრუბელით ხომ ვერ დააშრობ? ამაზე მეტად ეფექტურები არც ფემინისტები არიან. დასავლელებს ოჯახური ღირებულებები არ გააჩნიათ, ქალებს პატივს არ სცემენ, ქუჩებში ერთი-ორი აქტივისტის ვიშვიში არაფერს შეცვლის.

ესმას ჩაეცინა. ისკენდერმა ცივი, საყვედურით სავსე ირიბი მზერა ესროლა.

„ბოდიში“, — უხმოდ თქვა ესმამ.

„წესიერად მოიქეცი“, — ისკენდერმაც ხმის ამოულებლად გასცა პასუხი.

შეიძლება ორატორმა და-ძმის უჩუმარი დიალოგი შენიშნა კიდეც, მაგრამ არაფერი შეიმჩნია.

— დასავლეთის ხალხი დაბნეულია. ბედნიერება თავისუფლება ჰგონიათ, თავისუფლება კი გარყვნილებაში ერევათ. ჩვენს დედებს, დებსა და ცოლებს პატივს ვცემთ. არ ვაძალებთ, ბარბის თოჯინებივით გამოიპრანჭონ. აქ კი კოსმეტიკის, მოდისა და დიზაინერების ინდუსტრია ყვავის. ანორექსია ნერვოზაზე გსმენიათ? — ბიჭებმა თავები გააქნიეს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უარის ნიშნად, — შეპყრობილი არიან ლამაზი სხეულის ქონის სურვილით. გამუდმებით დიეტობენ, ჭამის მერე გამიზნულად აღებინებენ. ყოველ წელს, ევროპასა და ამერიკაში, ათობით ქალი ხვდება საავადმყოფოში ამ დაავადების გამო. ზოგი კვდება. გული უჩერდებათ. თუმცა ყველაფრის მიუხედავად, თავს მსუქნებად თვლიან. ძმებო, ნუ დაივიწყებთ, ამ დროს აზიაში, აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში ბავშვები შიმშილით იხოცებიან. პური ვერ უპოვიათ სალოღნად, ტკბილეულობა თვალით არ უნახავთ. სანამ დასავლელი ქალები მდიდრულ რესტორნებში შოკოლადსა და ბრენდულ ნამცხვრებს მიირთმევენ და მერე აღებინებენ, მესამე ქვეყნის ხალხი შიმშილით იხოცება. შემთხვევითობა კი არ არის, დასავლეთის ორი, ყველაზე დიდი ინდუსტრია ომი და სილამაზე რომ არის. ომის მანქანებით თავს ესხმიან, აპატიმრებენ, აწამებენ და კლავენ. თუმცა, სილამაზის მანქანაც არანაკლებ ბოროტია. ყველა ეს ბრჭყვიალა კაბა, მოდური ჟურნალი, უსქესო კაცი და ცხოველივით ქალი კარგს არაფერს გვიქადის. საზღვრები მოშლილია, სილამაზის მანქანა გონებას აკონტროლებს.

ყველა გაოგნებული უსმენდა. დადუმებული ესმა საკუთარ ფრჩხილებს დაჰყურებდა. ნეტავ, ისკენდერმა ცოტა შეამსუბუქოს მდგომარეობაო. კარგი იქნებოდა, ზურგზე მეგობრულად დაერტყა ხელი და ეთქვა, ცოტა მოეშვიო. ყველა გაიცინებდა. თუ მოინდომებდა, ისკენდერი ამას შეძლებდა. ესმას აზრით, უფროსი ძმა თამამი და მსუბუქი იყო. თუმცა, თავი რომ ასწია, ძმის სახეზე სრულიად სხვა გამომეტყველება შენიშნა.

— ალექს, შეიძლება კიდევ დავლიოთ ჩაი? — იკითხა ესმამ, — ამ საუბარმა მომაწყურა.

ორატორმა საათს დახედა.

— დროა, წავიდე. სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა, — ადგომისას ისკენდერს მიუტრიალდა, — ალექსს რატომ გეძახის?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ყურადღებას ნუ მიაქცევ. ჩემი დაა... ყველა ეგრე მეძახის. შემოკლებული ვარიანტია...

— ალექსი ისკენდერის შემოკლება არ არის, — შეაწყვეტინა ორატორმა, — დაფიქრდი, ძმაო. ბრიტანელებმა ადვილად რომ წარმოთქვან, სახელები ამიტომ უნდა შევიცვალოთ? კიდევ რის დათმობა მოგვიწევს? პირიქით უნდა იყოს. ყველამ ჩვენი სახელები ისწავლოს და პატივისცემით წარმოთქვას.

წავიდა და უხერხული სიჩუმე დატოვა.

ისკენდერი წამოხტა, ანერვიულებული.

— ესმას სახლამდე მივაცილებ და დავბრუნდები.

— ჰეი, ჯერ არ მინდა წასვლა.

მაგრამ ისკენდერი უკვე კართან იდგა.

— აბა, აბა, დროზე!

ესმა წუწუნით დაემორჩილა. როგორც კი ქუჩაში გამოვიდნენ, წამოიყვირა:

— რა ჯანდაბაა, არ მომეწონა ეგ ტიპი. ზედმეტად თავდაჯერებულია და დიდი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე.

— შენ შეიძლება არ მოგწონს, მაგრამ მებრძოლია.

— ზედმეტად უხეშია.

— როცა რეალობა უხეშია, შენც ასეთი ხდები.

— კარგი რა, მაჩო იდიოტია. ჩემთვის ზედაც არ შემოუხედავს.

— ეგ იმიტომ, რომ პატივს გცემს, შე სულელო! გირჩევნია, კაცი ხელებს გიფათურებდეს? ეგ გინდა?

— აუჰ, რა გეტაკა? — ხელები აიქნია ესმამ.

— დამშვიდდი. სისულელეებით გამოგიჭედა თავი.

— სიტყვებს დაუკვირდი, ესმა.

— აუჰ, შემეშინდა!

— ხომ გაიგე, რაც ვთქვი. ჩვენს შეხვედრებზე მეორედ აღარ მოხვალ. სულ შენ ვერ მოგაქცევ ყურადღებას.

— რად მინდა შენი ყურადღება? — წამოენთო ესმა, — თავს თვითონ მივხედავ, დიდი მადლობა. სულ დედას ბრალია,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მან გაგზარდა ასე. მალამინ, ბერჰამინ. ახლა კი თავი ჰაკნის სულთანი გგონია!

— მოკეტე!

ესმას მის ტონში ცვლილება არ შეუნიშნავს და არც ის, როგორ მომუშტა ხელები. ზედმეტად გაიტაცა თავისივე მონოლოგმა.

— ერთი გუნდი ვიყავით მე და შენ. კარგ დროს ვატარებდით, ვიცინოდით. ახლა ყველაფერი შეიცვალა. სარკეში ჩაიხედე, როგორ სერიოზულად აღიქვამ საკუთარ თავს.

ისკენდერმა მხარში ხელი ჩაავლო და კედელზე ააკრა.

— ხალხს ქუჩაში სცემენ. მოხუც კაცს წინაკვირას ქვები დაუშინეს. რა გართობაზეა საუბარი?

— ოჰ, და შენ დიადი გმირი ხარ. გადაგვარჩინე, გთხოვ.

დარტყმა. უეცრად, თითქოს არსაიდან. ესმას ლოყაზე ედო ხელი, გაოგნებისგან ვერც კი იძვროდა.

— ნუ ჩაერევი, — ისე უთხრა, დისთვის არც შეუხედავს, — გაფრთხილებ.

ესმა უყურებდა, ისკენდერი როგორ შებრუნდა სწრაფი ნაბიჯით კაფეში. ოდესლაც ეგონა, ძმას საკუთარი ხუთი თითივით იცნობდა, მაგრამ ასე აღარ იყო. ყოველთვის იცავდა სხვებისგან. ახლა კი, პირველად ცხოვრებაში, ესმამ იგრძნო, მისგან უნდა დაეცვა თავი.

დიდი ყავისფერი კალმახი

ლონდონი, 1978 წლის ივლისი

როცა რამდენიმე კვირის სასოწარკვეთილი ძებნის შემდეგ იუნუსი ტობიკოს შეხვდა, ერთდროულად, შვება და შფოთი დაეუფლა. შვება, რადგან მაშინ იპოვა, როცა თითქმის გადაწურული ჰქონდა იმედი და შფოთი, რადგან მისი მეორედ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაკარგვის შეეშინდა. გოგოს ისე მიეწება, როგორც მოლუსკი — თავის ნიჟარას.

ტობიკო შეცვლილი ჩანდა, წონაში ოდნავ მომატებული. თმა ისევ გრძელი, შავი და ბზინვარე ჰქონდა, თუმცა ბოლოები ხასხასა მწვანედ შეეღება. ქვედა ტუჩზე ვერცხლის პირსინგის ნაცვლად, ბრჭყვიალა თვალი და ყურებზე ხუთ-ხუთი წითელი გული ეკეთა. იუნუსმა დაითვალა და კიდევ ერთხელ შეამჩნია, რამდენად პატარა ყურები ჰქონდა და რამდენად ლამაზი იყო.

ტობიკოს არ აუხსნია, სად დაიკარგა ან რატომ გაქრა უკვალოდ. „ხან იქ, ხან აქ. ცვლილება მჭირდებოდა, საყვარელო". იუნუსი ძალიან გააღიზიანა იმის აღმოჩენამ, თუ სად ცხოვრობდა ტობიკო: სამსაძინებლიან სახლში, კაპიტანთან და მის დედასთან ერთად. მათ რამდენიმე სხვა ხიზანიც შეეფარებინათ.

კაპიტნის დედა, მისის პოველი, პენსიაზე გასული, ქვრივი მასწავლებელი იყო. სინამდვილეში, დიდად გულზე არ ეხატებოდა ხიზნები, მაგრამ შვილთან მეტი დროის გატარების იმედით, მათ სახლში ყოფნის ნება დართო. თვითონ მეორე სართულზე გადასახლდა, ტელევიზორითა და ცხელი წყლის ბოთლით, დანარჩენი სახლი კი პანკებს დაუთმო. ოთახიდან იშვიათად გამოდიოდა, საჭმელსაც იქ მიირთმევდა და თავს იკატუნებდა, თითქოს მოსაწევის სუნს ვერ გრძნობდა.

პანკებთან სტუმრობის პირველ დღეს იუნუსი ტობიკოს გვერდით იჯდა, მოკუნტული და მოღიმარი.

— დროებითი თავშესაფარია, — თქვა კაპიტანმა, — სანამ ძველ ადგილას დავბრუნდებით. მერე ყველას შევკრებთ.

— დავიბრუნებთ ჩვენს სახლს და ამ ჯერზე ვერავინ გაგვყრის. ჭკუა ვისწავლეთ, — თქვა სიგარეტგაჩრილმა ბოგარტმა. ორსიმიანი გიტარა ეკავა ხელში. — სახეს ავახევთ.

მათთან ერთად ვილაც ახალიც იყო, თავზე მხოლოდ ერთი ქოჩორი დაეტოვებინა და სხვადასხვა ფერის ფორთოხ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლისფრად შეელება. მისტერ ქურდს ეძახდნენ, რადგან არაფერში ფულს არ იხდიდა — არც წიგნებში, არც საჭმელსა და საცვლებში. ერთხელ დოკ მარტენსის წყვილი ფეხსაცმელი მოიპარა, პალტოს სახელურებში ჩაუმალავს. ახლა, გაბადრული სახით მჯდომარემ, წამოიძახა:

— ჰო, კატასავით ხარ. ჭრილობებს ილოკავ.

იუნუსი მათ ყბედობას უსმენდა და უხაროდა, რომ კვლავ გამოჩნდნენ მის ცხოვრებაში. მათი უჩვეულო ცხოვრების წესი, რატომღაც, ამშვიდებდა. მისი ბედნიერი სახე ბოგარტს არ გამოჰპარვია:

— ბავშვიც კატასავითაა.

— შენ კი მისი მყუდრო კალათა ხარ, — კაპიტანმა ტობიკოს თვალი ჩაუკრა.

ტობიკომ ოდნავ გაიცინა, არ უნდოდა, იუნუსისთვის ეწყენინებინა. თემის შესაცვლელად ბოგარტს მიუტრიალდა:

— რას უკრავდი?

— რაღაც სიმღერა დავწერე. იცი, იმაზე ვფიქრობდი, იმ დარბევაზე, იმ ჩვენს სისხლიან კვირაზე. ჰოდა, დავწერე სიმღერა, სისხლიანი სამშაბათი ჰქვია.

ბოგარტი სიმღერაზე გადავიდა. მელოდია საშინელი გამოდგა, ტექსტი — კიდევ უარესი.

„კიდეზე ვდგავარ, უმწეოდ, ხვრელში ჩაჭედილი
ქვასავით,
ხვრელში, ხვრელში, ხვრელში, ხვრელში.
ბებერი ბილი არ უკრავს, სანამ ისინი ყმუიან,
სისხლიან სამშაბათს, ყველაზე საშინელ დღეს.
აღდექი სისტემის წინააღმდეგ! მას არ აქვს სული.
არ აქვს სული, არ აქვს სული, არ აქვს სული“.

იჯი პოპმა, რომელსაც ავღანური ქურთუკი და კამეჩისფერი მოკლე მაისური ეცვა, ყურები დაიცო.

— აუჰ, მოკეტე!

— რა? — წამოიძახა ბოგარტმა და შეჩერდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— საშინელებაა, ძმაო, — თქვა იჯი პოპმა.

— სამშაბათიც კი არ იყო, — აღნიშნა ტობიკომ, — ოთხშაბათს დაგვარბიეს.

ბოგარტმა წარბები შეჭმუხნა;

— მაგას ვინ ამბობს?

იუნუსი უსმენდა. ამხიარულებდა ეს ამბავი, თანაც, ადარდებდა, რადგან იცოდა, დაბოლილები, ბავშვური ლაყბობიდან გაცხარებულ ომზე როგორ იოლად გადადიოდნენ, კარს აჯახუნებდნენ, ღრიალებდნენ და იგინებოდნენ.

— თქვენ რა იცით? ხისთავიანებო, — ჩაიფხუკუნა ბოგარტმა. წუთით შეყოვნდა, ტობიკოს გადახედა, — ისიც კი არ გახსოვთ, საუზმეზე რა მიირთვით.

— მოდი, იუნუსს ვკითხოთ, — შესთავაზა ტობიკომ, — ის ნეიტრალურია.

— ნეიტრალური არა ისა, — შეეწინააღმდეგა კაპიტანი, — შენს ჭკუაზე დადის, რომ უთხრა თოვლი შავიაო, მაშინვე დაგეთანხმება.

იუნუსი წამოწითლდა. რაღაც უნდა ეთქვა, საინტერესო, რომ მათი ყურადღება გადაეტანა. უცებ გამოაცხადა:

— ტატუ მინდა.

ბოგარტს ჩაეცინა.

— ვა, მაგარი ბიჭია ეს!

— გაგიკეთებთ, — თქვა იჯი პოპმა, — რა პრობლემაა. ქალაქში საუკეთესო ტატუს მხატვარი ვარ.

— ძვირფასო, დედა არ გაგიბრაზდება? — მზრუნველობით ჰკითხა ტობიკომ.

იუნუსი დაფიქრდა.

— კი, თუ ნახავს. თუ ზურგზე გამიკეთებთ, ვერ ნახავს.

— ჭკვიანი ბიჭია, — თქვა მისტერ ქურდმა.

— წავალ, სკამს მოვიტან, — განაცხადა იჯი პოპმა და ხელები მოისრისა.

— ჯერ ტუალეტში მინდა, — ჩუმად თქვა იუნუსმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეორე სართულზე დერეფნის ორივე მხარეს, ორი კარი იყო, მცირე ყოყმანის შემდეგ იუნუსმა მარცხენა შეაღო. მისდა გასაკვირად, საწოლზე მჯდომი, მოვარდისფრო ღამის პერანგში ჩაცმული ქალი დახვდა. „რიცის" კრეკერებს მიირთმევდა და „საუთ ბენკ შოუს" უყურებდა ტელევიზორში. თმა აჩეჩილი ჰქონდა, ჩიტის ბუდესავით, ნამტირალევს ჰგავდა, თვალის ტუში ჩამოღვენთოდა ლოყებზე. იუნუსს ცოტათი შეშლილად მოეჩვენა.

— ბოდიში, ქალბატონო.

იუნუსი კარის მიხურვას აპირებდა, როცა ქალმა რაღაც ჩაილუღლუღა ისე, რომ ეკრანისთვის თვალი არ მოუცილებია:

— შენს გაწევრებასაც აპირებენ?

ბიჭი შეჩერდა. არ იცოდა, ნამდვილად მას მიმართავდა თუ არა.

— უკაცრავად?

— შენც გაწევრებენ? — გაიმეორა ქალმა, — ინგლისის ყველაზე ახალგაზრდა დამნაშავე უნდა გახდე?

— არა, — უპასუხა შეშფოთებულმა იუნუსმა.

— კარგია, — თქვა ქალმა, კვლავ ტელევიზორს უყურებდა, — მთელი ცხოვრება ბავშვებთან ვმუშაობდი, მაგრამ საკუთარ შვილს ვერ ვუშველე.

იუნუსმა ამჯერად უფრო დაკვირვებით შეხედა ქალს და მისის პოველი იცნო. სწორედ ის ესტუმრა ადრე მის მშობლებს ესმას განათლებასთან დაკავშირებით. ისიც შენიშნა, როგორ ჰგავდა კაპიტანს განიერი შუბლით, გრძელი ცხვირითა და ოდნავ წამოწეული მომწვანო თვალებით.

— ძალიან საყვარელი იყო ჩემი შვილი შენს ასაკში, — გაიგრძელა ქალმა, — ბავშვები ისეთი კარგები არიან, მერე კი სიარულს სწავლობენ, ყველაფერს ლეწავენ და რომ გაიზრდებიან, გიძულებენ!

მისის პოველი იუნუსს შეუტრიალდა, ანთებული მზერით. თვალებქვეშ შავი წრეები ეტყობოდა. დაღლილი გამომეტყვე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლება ჰქონდა, გამოძინება სჭირდებოდა. — დედაშენს რას ეძახი, ძვირფასო?

— მე... მე „დედიკოს“ ვეძახი, — თქვა იუნუსმა.

— გადაეცი, რომ იღბლიანი ქალია. ჩემი ვაჟი მე „სისტემას“ მეძახის. ფიქრობს, რომ ბურჟუა ვარ, — ამოიოხრა, — შენი აზრით, მართალია?

— ოჰ, არა, — თქვა აღშფოთებით იუნუსმა. გაახსენდა, როგორ დაჰპირდა ადრე ტობიკოს, სისტემას სათოფეზე არ გავეკარებიო. თუმცა არ გაქცეულა, — ჩემი აზრით, მშვენიერი ქალბატონი ბრძანდებით, მისის პოველ. მზის სხივები უნდა იპოვოთ თქვენში.

ქალი წუთით გაშეშდა, მერე გაეცინა. ხრინწიანი ხავილი აღმოხდა, მაგრამ ახლებური ბრწყინვალება აღებეჭდა თვალებში.

— ბოლო დროს ამაზე სასიამოვნო რამ არ მომისმენია.

— ნახვამდის, ქალბატონო.

საცხოვრებელ ოთახში დაბრუნებულმა იუნუსმა ტობიკო ფანჯარასთან მჯდომი იპოვა. ბაღში ჩიტს შესცქეროდა, რომელსაც შუადღის მზე ბუმბულს უფერადებდა. ტობიკოს ცხელი შოკოლადის ორი ფინჯანი მოემზადებინა. სასმელს რომ წრუპავდნენ, იუნუსმა წამოიძახა:

— შეიძლება რაღაც გკითხო?

— რა თქმა უნდა, საყვარელო.

— საიდუმლოსთან დაკავშირებით, — ნერვიულად თქვა იუნუსმა, — ჩემი და ამბობს, საიდუმლო არავის უნდა გაუზიაროო, ლერწამსაც კი.

ტობიკომ ცნობისმოყვარედ შეხედა.

— ვერ ვხვდები, რას გულისხმობ.

— გეკითხები... თუ შენს საყვარელ ადამიანს სამარცხვინო საიდუმლო აქვს... მაგრამ შენ შეიტყობ, უნდა უთხრა თუ არა?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ოჰო, ეგ რთული გადაწყვეტილებაა. მგონი, ჯობს შენთვის შეინახო.

ამ სიტყვებით ტობიკომ თავი ბიჭის მხარზე ჩამოდო, ფრთხილად, მთელი ძალით არა. იუნუსს გული აუჩქარდა და ყელში მოაწვა. ინატრა, ეს წუთი სამუდამოდ გაგრძელდესო. მალე კაპიტანი და დანარჩენებიც დაბრუნდნენ, ნემსების ყუთითა და ტატუების დიზაინებით.

— ძალიან კარგი, შევუდგეთ საქმეს, — თქვა იჯი პოპმა, — მისმინე, ცოტა გეტკინება. არა უშავს?

იუნუსმა თავი დაუქნია და ტუჩზე იკბინა.

— როგორი ტატუ გინდა? სიტყვა? სიმბოლო?

— ვეშაპს დამახატავ? — იკითხა იუნუსმა, — აი, ისეთი, წინასწარმეტყველი რომ გადაყლაპა.

როცა ტატუ დასრულდა, დიდ, ყავისფერ კალმახს ჰგავდა — სწორედ ამ თევზად გადაქცევა ინატრა ბებია ნეიზმა სხვა ცხოვრებაში.

ოჯახის თავკაცი

ლონდონი, 1978 წლის სექტემბერი

ისკენდერის მეოთხე შეხვედრა ორატორთან სრულიად განსხვავდებოდა წინა შეხვედრებისგან. სურდა, განცალკევებით, თან სადმე სხვაგან და არა ალადინის გამოქვაბულში ენახათ ერთმანეთი. საბოლოოდ „ვიქტორიას პარკი“ აირჩიეს.

სამეფო კარიბჭიდან შევიდა პარკში და „ვიქტორიას შადრევანს“ ნერვიულად მიუახლოვდა. ორატორის დანახვისას ნაბიჯი შეანელა. ის წაბლისფერ ხეს მიჰყრდნობოდა, ჩანთა ამოეიღლიავებინა და ხელები ჯიბეებში ჩაეწყო. ჩაფიქრებული და იდუმალებით მოცული ჩანდა. რთული სათქმელი იყო, ახლახან მოვიდა თუ დიდი ხანია, იცდიდა. თხელშუშიანი სათ-

ვალე მის ოთხკუთხედ სახეს გამოკვეთდა. ყავისფერი, წვეტიანი ფეხსაცმელი ეცვა, გახუნებული ქურთუკი და ისეთი ჯინსი, რომელსაც მხოლოდ დედა უყიდდა შვილს, გაიფიქრა ისკენდერმა.

— ჰეი, — თქვა ისკენდერმა და მისასალმებლად ხელი ასწია.

ორატორმა ოდნავ გაიღიმა.

— წამო, გავისეირნოთ.

ხასიათზე ვერ იყო, მაგრამ დაეთანხმა.

— რა თქმა უნდა.

ნათელი დღე იდგა, მზე ანათებდა. მშვიდი, ზურმუხტისფერი ხალიჩასავით ტბის მეორე ნაპირი ნისლისგან არ ჩანდა, მშობლები და ბავშვები ჩიტებს პურის ნამცეცებს უყრიდნენ. ვიღაცები დარბოდნენ. ბალახზე წამომჯდარი წყვილი თავდავიწყებას მისცემოდა. ისკენდერმა შენიშნა, რომ მათ დანახვაზე ორატორს შუბლზე ნაოჭი დააჩნდა. ბოლოს, სიერნობით დაღლილებმა სკამი იპოვეს, იქ ჩამოსხდნენ სასაუბროდ..

— ჩემს თვალში ისეთი ბიჭი ხარ, კარგი მეგობრობა რომ იცის, — თქვა ორატორმა.

— კი, მაგარი მეგობრები მყავს, — მხიარულად წარმოთქვა ისკენდერმა.

— მათი წინამძღოლი ხარ? — ისკენდერი ყოყმანობდა. საკუთარი თავი ასე არასოდეს მოუხსენიებია. — ეგ კარგია, — თქვა ორატორმა, ფიქრებს მიუხვდა, — კარგია, რომ სათავეში ხარ, მაგრამ ამით თავს არ იწონებ. კეთილშობილური საქციელია.

— გმადლობ, — უპასუხა ისკენდერმა. „კეთილშობილიც“ არავის დაუძახია მისთვის. სიამაყემ მოიცვა.

— კარგი მეგობრები გყავს, მაგრამ ჯერ კიდევ ბიჭები არიან. ბევრი უნდა გამოიარონ. შენ კი სხვანაირი ხარ, ბევრად ჩამოყალიბებული. ეგ რანაირად მოხდა?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მამაჩემი აქ არ არის, — წამოსცდა ისკენდერს, — სწრაფად მომიწია გაზრდამ, თუ ხვდები, რასაც ვგულისხმობ.

ორატორმა თავი დაუქნია.

— ჰო, ახლა ყველაფერი გასაგებია.

ისკენდერმა თავი მნიშვნელოვნად იგრძნო. თითქოს სითხესავით დაუარა ვენებში. აქამდე არ გაუცნობიერებია, არადა, მის თვალწინ ხდებოდა. როგორ სწრაფად გაზრდილა.

— უფროსი ვარ ოჯახში. უმცროსი ძმა და და მყავს.

— მახსოვს შენი და, — თქვა ორატორმა.

— ჰო, ბოდიში, ცოტა უხეშად იქცეოდა იმ დღეს.

— არა უშავს. არ ვადანაშაულებ. ახალგაზრდაა, თავში ათასი რამე უტრიალებს. სხვა გოგოებისგან სწავლობს რაღაცებს, ჟურნალებში კითხულობს და ტელევიზორში ხედავს. მთელი პროპაგანდაა. — ისკენდერმა ტუჩზე იკბინა. ყურადღებით უსმენდა. — სინამდვილეში, ქალებისთვის უფრო რთულია. მათთვის საცდური მეტია. მოდური სამყაროს ბრწყინვალება, მდიდარი ქმრების მოძებნის სურვილი, ძვირფასი ავეჯი... არ სრულდება.

— ეგრეა, — თქვა ისკენდერმა.

— თუ საიდუმლო არაა, მამაშენი რატომ არ არის თქვენთან?

ისკენდერს ყბა აუცახცახდა, თითქოს, ენის წვერზე მომდგარ პირველ პასუხს ყლაპავდა. თავი უხერხულად იგრძნო, კრიტიკის ქვეშ. გამოცდას უწყობდა? იცოდა რამე მამამისზე? იმის შემოწმება ხომ არ სურდა, ისკენდერი რამდენად ენდობოდა? თუ ეს მართლაც გამოცდა იყო, ისკენდერს არ მოსწონდა ეს ამბავი.

— სხვა ცხოვრება აქვს, სულ ეგაა, — მოკლედ უპასუხა.

— გასაგებია.

— რატომ არის, რომ შენს თავზე არაფერს ამბობ, სხვებისგან კი საიდუმლოების გაცხადებას ელი?

ორატორს გაეღიმა, ოდნავ სარკასტულად.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ეგ მომწონს შენში, ძალიან გამბედავი ხარ. თუ რამე არ მოგწონს, დაუფარავად ამბობ. ბუნებით რისკიანი ყოფილხარ, ვერავინ დაგჩაგრავს.

— ეგრეა, — თქვა ისკენდერმა, — არ ვეგუები, რაც არ მომწონს.

— ამას პატივს ვცემ. მეც, შენსავით, არ მიყვარს პირადულზე საუბარი, მაგრამ რადგან შენ მკითხე, გეტყვი.

ისკენდერს გამომეტყველება შეურბილდა. წუთით შერცხვა კიდეც, ასე რომ წამოენთო.

— მამაჩემი, ხალიდი, ეგვიპტეში დაიბადა და 1951 წელს ბირმინგემში ჩავიდა. ღამის ცვლაში მუშაობდა და ინგლისური იქ ისწავლა. თუ გულმოდგინედ არ იმუშავებ, ვერაფერს მიაღწევ. სწორედ ამის ეშინოდა ყველაზე მეტად. ტანსაცმელი შეიცვალა, საჭმელი შეიცვალა, ჩვევებიც შეიცვალა, მაგრამ აქცენტს ვერაფერი მოუხერხა. ინგლისელი ქალი შეირთო და მე გავჩნდი. კარგი ხალხია, ცუდად ნუ გამიგებ. მაგრამ ისე არიან ამ ცხოვრებით შეპყრობილები, მომდევნო ავიწყდებათ. რწმენა არ გააჩნიათ. მებრალებიან.

ახალგაზრდა ქალმა ჩაუქროლათ გორგოლაჭებით, იასამნისფერი შორტი და იასამნისფერივე ქურთუკი ეცვა. ისკენდერი ფეხებზე მიაშტერდა, სანამ რამეს იტყოდა.

— ჰო, მაგრამ, შენი მშობლები არიან.

— მიყვარს ჩემი მშობლები, მაგრამ პატივს არ ვცემ. ეგ ორი განსხვავებული რამეა — სიყვარული და პატივისცემა. თუ მშობლები შეცდებიან, თავი არ უნდა დაუხარო.

— მამაჩემი — ისკენდერმა წამოიწყო, მაგრამ არ იცოდა, რის თქმას აპირებდა, — სახლში არასოდეს იყო. მერე საერთოდ წავიდა. აი, ასე. თითქმის ერთი წელია, — ცდილობდა, ეხუმრა, მაგრამ ხმა აუკანკალდა.

ორატორმა სათვალე მაღლა აიწია და ისკენდერს დააკვირდა.

— ანუ, ოჯახის თავკაცი შენ ხარ. რთულია, ძლიერი უნდა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იყო. კარგია, რომ კრივს მისდევ, მაგრამ მორალური სიმტკიცეც გმართებს.

— ვხვდები, რასაც გულისხმობ, — უპასუხა ისკენდერმა, თუმცა არ იცოდა, ნამდვილად ხვდებოდა თუ არა.

ორატორმა ჩანთა გახსნა და ორი ბროშურა ამოიღო.

— წაიღე. რომ წაიკითხავ, კიდევ ვილაპარაკოთ. მითხარი, თითოეულში რა მოგეწონება და ისიც, რა არ მოგეწონება.

— ესმას უყვარს წიგნები. მე დიდი მკითხველი არ ვარ.

— ეგ უნდა გამოასწორო, — ბრძანებლური ტონით არ უთქვამს, უფრო მიზანდასახულობა ეტყობოდა, — გონებას იდეები ისე სჭირდება, როგორც მანქანას — საწვავი. წიგნებიდან კი ბევრი იდეის აღება შეიძლება.

— ალბათ, მართალი ხარ.

— სხვათა შორის, არავის გაანდო, კარგი?

— შეგიძლია, მენდო, — თქვა ისკენდერმა და კიდევ რაღაცის დამატებას აპირებდა, როცა მაჯის საათს დახედა და მიხვდა, აგვიანდებოდა, — აუჰ, უნდა წავიდე!

ორატორმა ენა კბილებს მიაბჯინა, თითქოს დააღალატესო.

— გოგო?

— ჰო.

— ინგლისელი?

— ჰო.

— ჩვენებური რატომ არა?

შეკითხვამ ისკენდერი გააკვირვა. იცოდა, რომ ის და კეიტი განსხვავდებოდნენ, მაგრამ მხოლოდ პიროვნული თვისებებით, სხვა მხრივ, არ უგრძნია. თანაც, ორატორიც ნახევრად ინგლისელი არ იყო? როცა ისკენდერმა ხმა ამოიღო, გაღიზიანება ეტყობოდა.

— რა ვიცი, ასე მოხდა.

— აჰა. კარგი გოგოა?

— არა უშავს, — ასე უპასუხა, თუმცა არც იცოდა, რას გულისხმობდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— კარგი, წადი. ნუ ალოდინებ. ვილოცებ, ღმერთმა სწორ გზაზე გატაროს.

— გმადლობ, გნახავ, — ისკენდერმა ჩაილაპარაკა. ცდილობდა არ დასტყობოდა, არ სიამოვნებდა, ორატორი მის საქმეში ცხვირს რომ ყოფდა.

ვალი

ლონდონი, 1978 წლის 30 სექტემბერი

იმ შაბათს, გვიან ნაშუადღევს, ისკენდერმა თავი ტარიქის მაღაზიაში ამოყო. ქურთუკის საყელოები აეკეცა. ბიძამისი მოსასალმებლად წამოდგა, სახეზე ამაყი ღიმილი გადაეფინა. ბოლო წლის განმავლობაში ბიჭი ძალიან შეიცვალა. უკვე მამამისზე მაღალი იყო, უფრო ახოვანი და ძლიერი. ზედა ტუჩთან წვრილი ულვაშიც დააჩნდა, თვალები ახალგაზრდობის ცეცხლით უელავდა.

— ვინ მოსულა! ჩემი საყვარელი ძმისშვილი!

ისკენდერმა ოდნავ გაულიმა.

— როგორ ხარ, ბიძია?

— უკეთესად არ იქნება, — თქვა ტარიქმა, — რას მივაწერო ეს სიხარული?

— აქვე, მეზობლად მეგობრები უნდა ვნახო, ვიფიქრე, ჯერ შენთვის შემომევლო.

ბიჭი თურქული და ინგლისური სლენგების ნაზავით საუბრობდა. მართალია, მძიმე აქცენტი არ ჰქონდა, მაგრამ მწირი ლექსიკონის გამო, ხშირად ერთსა და იმავე სიტყვებს იყენებდა. ტარიქი ძმისშვილს უსმენდა და წუთით გაიფიქრა, — ხომ არ ჯობს, სტამბოლში გავგზავნოო. ან იქნებ, პემბე დაეთანხმებინა, თურქეთიდან საცოლე ჩამოეყვანათ მისთვის, თავმდაბალი გოგო, ანატოლიის სოფლიდან.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— სწავლა როგორ მიდის? მოგწონს სკოლა? მასწავლებლები კარგად გექცევიან?

— სკოლას არა უშავს, — უხალისოდ მიუგო ისკენდერმა.

— კრივი?

— მალე თამაში მაქვს, — თქვა ისკენდერმა, — მაგრამ დედას არ მოსწონს.

— ვერ გავამტყუნებ. ეშინია, რომ დაშავდები.

ისკენდერი წუთით დადუმდა, კრიალოსნის წკარუნს დაუგდო ყური.

— ბიძია, ჩემი მეგობარი გასაჭირშია.

— აჰა, და შენ მოგმართა რჩევისთვის?

— ჰო, უფროსი ძმასავით ვარ ბიჭებისთვის. ამიტომ მოვიდა ჩემთან.

— და რა პრობლემა აქვს შენს მეგობარს?

— ფული სჭირდება.

ტარიქმა ოხვრა შეიკავა.

— რამდენი?

როცა ისკენდერმა უპასუხა, ტარიქმა წვერი ჩამოივარცხნა.

— რად უნდა ახალგაზრდა ბიჭს ამდენი ფული?

ისკენდერს შეფარული წუხილი აღებეჭდა სახეზე, მაგრამ საუბრისას არაფერი დასტყობია.

— შეყვარებული დააორსულა. ფული კლინიკისთვისაა.

ტარიქმა კბილი კბილს დააჭირა, მისი შეყვარებული. წუთით შეჩერდა და მერე ჰკითხა:

— ინგლისელია?

— ჰო, ცხადია, — მიუგო ისკენდერმა.

გულზე მოეშვა, გოგონა მათიანი არ იყო, არც — ემიგრანტების სხვა დიასპორას ეკუთვნოდა. ოჯახები არ ჩაერეოდნენ, მამები და ძმები შურისძიებას არ ეცდებოდნენ. ტარიქმა ღრმად ამოისუნთქა და თითქოს ყველა დაუსმელი შეკითხვა ამოაყოლა. ბიჭი მზერას არ აშორებდა. ის წამოდგა და მაღაზიის უკან დამალულ სეიფთან მივიდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაბრუნებულს, ხელში ბანკნოტები ეჭირა. ისკენდერს წინ დაუდო, ბიჭი წამით შეწუხდა და გვერდზე გაიხედა.

— მეგობარს გადაეცი, რომ დაეხმარები, — თქვა ტარიქმა.

— გმადლობ, ბიძია.

— ისიც უთხარი, რომ მეორედ მის გაფუჭებულს შენ აღარ გამოასწორებ. შენი მეგობარი გონს უნდა მოეგოს, თორემ უარეს შარში გაეხვევა. ჩემგან მოკითხვა გადაეცი და დარწმუნდი, რომ ყველაფერს სწორად გაიგებს.

— არ იდარდო. გავაგებინებ, — თქვა ისკენდერმა, ბანკნოტები ჯიბეში ჩაიდო და კარისკენ გასწია. უცებ შეჩერდა, — ბიძია!

— ჰმმ? კიდევ რამე მოხდა? — ტარიქი შეშფოთდა. ვაითუ, ისკენდერი ისეთ გასაჭირში იყო, ფული რომ ვერ უშველიდა.

— სხვა არაფერი. უბრალოდ მინდოდა მეთქვა, რომ ჩემთვის მამასავით ხარ.

ტარიქი მოლბა.

— ნებისმიერ დროს, შვილო. ყოველთვის შენ გვერდით ვარ.

ისკენდერმა თავი დაუქნია და უცებ დასერიოზულდა.

— ერთ დღეს ამ ფულს დაგიბრუნებ. აი, ნახავ.

მილმიერი კაცი

ლონდონი, 1978 წლის ოქტომბერი

პარასკევს, როცა მერალი ჩვეულ დროს მაღაზიას ესტუმრა, მისი ქმარი ტელეფონზე საუბრობდა. ტარიქს ნიკაპი გამოეზნიქა და წვერს იწიწკნიდა — ასე იქცეოდა, როცა ვინმეზე გაბრაზებული იყო. ვინც უნდა ყოფილიყო ტელეფონის მეორე ბოლოში, უმეტესად ის საუბრობდა, ტარიქი კი უსმენდა. მერალმა უჩუმრად ჩაუარა და მაღაზიის ბოლოსკენ გას-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წია. თუნუქის სათლიდან ქმრის სადილი ამოალაგა. იმ დღეს მანტი მოუმზადა. იოგურტის სოუსი ჩვეულებრივზე ცხარე გამოუვიდა და დარდობდა, არ მოეწონებაო.

მაგიდის გაშლას რომ მორჩა, სველი პირსახოცით თაროების წმენდას შეუდგა, მაჯაზე ასხმული ოქროს სამაჯურების ჩხარუნით. თაროებზე დაკონსერვებული ხორცი, ლობიო, სოუსები, სალათები და ხახვები შენიშნა — თვითონ არასოდეს გაესინჯა.

— ვინ ყიდულობს ასეთ რამეებს? — ერთხელ ჰკითხა ქმარს.

— თანამედროვე ცოლები, — უპასუხა ტარიქმა, — მზარეულობისთვის დრო არ აქვთ. მთელი დღე მუშაობენ. საღამოს შემოივლიან, დაკონსერვებულ თინუსს იყიდიან, სალათის სოუსში გააზავებენ და ამას ვახშამს ეძახიან.

მერალს ძალიან აინტერესებდა ის ქალები. ნეტავ, როგორი ოჯახებიდან იყვნენ? მამაკაცების ჟურნალში განთავსებული ქალებიც კი არ აოცებდა ისე, როგორც არაცოლი ცოლები. ჟურნალის გოგოები, ალბათ, ვიღაცამ გაასულელა ან უამრავი ფული გადაუხადა პოზირებისთვის. ისინი დაცემული ბუნებისანი იყვნენ. დაე, უფალი დახმარებოდა სწორი გზის პოვნაში. თანამედროვე ცოლების მსხვერპლად წარმოდგენა კი უჭირდა. ისინი ფულს გამოიმუშავებდნენ, მანქანებს ატარებდნენ და კარგად იცვამდნენ. ზოგს შვილებიც კი ჰყავდა. თუმცა ქმრებისთვის სადილის მომზადება არ სურდათ.

გულის სიღრმეში, მერალი თავის რძალსაც ასეთ ქალად აღიქვამდა. დაფარულად, მალულად პემბესაც ჰქონდა დამოუკიდებლობის მუხტი, მშვიდ ზღვაში ურჩი წყალქვეშა დინებასავით იყო. თუმცა პემბეს ქმარი არ უვარგოდა. ათი თვე არ გამოჩენილა, მანამდეც ოჯახის მოვლით თავს არ იწუხებდა. მერალის მეუღლე კი სულაც არ გახლდათ ასეთი.

— ქალო, — დაიყვირა ტარიქმა, ჯერ კიდევ ტელეფონი ეჭირა ხელში.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რა არის?

ტარიქმა თავი გვერდით გადახარა და კარისკენ ანიშნა. სამმა მყიდველმა შემოაბიჯა მაღაზიაში. ორი ბიჭი და ერთი გოგო. ისეთი ახალგაზრდები. ალბათ ჩემი უფროსი გოგონას ტოლები არიანო, — გაიფიქრა მერალმა. ერთ-ერთ ბიჭს წარბზე ვერცხლის პირსინგი ჰქონდა, თმა ფორთოხლისფრად შეეღება, თითქოს ეგზოტიკური ჩიტის ბუდე ედო თავზე. მეორე ბიჭი მაღალი და გამხდარი იყო, ავღანური ქურთუკის ქვეშ მაისური არ ეცვა, უთმო მკერდი უჩანდა. გოგონას ყორანივით შავი თმა ჰქონდა, ფქვილივით თეთრი სახე, დაგლეჯილი წინდები და სვირინგები სხეულის ყველა გამოსაჩენ ადგილას.

მერალმა წუთით თვალები დახუჭა, თითქოს იმედი ჰქონდა, როცა გაახელდა, იქ აღარ დახვდებოდნენ.

— თავს დავდებ, არ მოგვემსახურება, — ჩაილაპარაკა გოგონამ.

— აუჰ, არა! ხომ არ შეგაშინეთ, ქალბატონო? — იკითხა უმაისურო ბიჭმა ნახევრად საყვედურით და ნახევრად მხიარულად და დახლზე გადმოიხარა.

მერალს ახალგაზრდა კაცის სურნლი ეცა: ლუდით და თამბაქოთი აყროლებული. გაუცნობიერებლად, უკან დაიხია. ცალი თვალით ქმარს გახედა. ტარიქი ჯერ კიდევ ტელეფონზე საუბრობდა და აშკარა იყო, მალე არ დაასრულებდა.

— დიახ, რა გნებავთ? — მერალმა ფრთხილად იკითხა.

რამდენჯერ უთქვამს ქმრისთვის, — დაცვის სისტემა დავაყენოთ მაღაზიაშიო. ის კი უარობდა, — ზედმეტად ძვირიაო. ახლა კი, აუცილებლობის შემთხვევაში, მხოლოდ კავიანი ჯოხი ჰქონდა, რომელსაც თაროებიდან ნივთების ჩამოსაღებად იყენებდნენ.

— ლუდი გაქვთ, ქალბატონო? — ფორთოხლისფერთმიანმა ბიჭმა იკითხა.

მერალმა ნიკაპი ასწია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ლუდი არა.

სუსტი ხმით უპასუხა. წარმოდგენა არ ჰქონდა, რას ითხოვდნენ, ამიტომ მაშინვე უარი თქვა. ამ დროს, უმაისური ბიჭმა მაცივარს მიაგნო.

— აგერ, ქალბატონო, რამდენი გქონიათ. უარი რატომ გვითხარი?

— შეიძლება თვითონ აპირებს მთელი მარაგის გადაყლურწვას, — წამოიძახა ფორთოხლისფერთმიანმა.

— ნუ სულელობთ, — შეაწყვეტინა გოგონამ. დახლის უკან თაროზე მიუთითა, — ერთი შეკვრა ზეფირი, თუ შეიძლება.

მერალი დაბნეულად ათვალიერებდა თაროებს. რა ჯანდაბა უნდა გოგოს? ჯერ შოკოლადს დასწვდა, მერე ლიქიორის შოკოლადიან ჩხირებს, ჟელატინებს, ამ დროს პანკები ერთხმად იძახდნენ:

— არა, ეგ არა, — სანამ ზეფირს მიაგნო.

მათი ყბედობა ტარიქის გუგუნა ხმამ გადაფარა. ხელები ზურგს უკან დაეწყო და კრიალოსანს ატრიალებდა:

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, — თქვა და ცოლს მიუტრიალდა. მერე კი ზრდილობიანი ინგლისურით იკითხა, — აბა, რა გვნებავს?

— ზეფირი, — დამტვრეული ინგლისურით უპასუხა ცოლმა და ხმაურიანად დააგდო დახლზე.

ტარიქმა თავი დაუქნია:

— თამამ, ბენ ჰალლედერიმ[1].

მერალმა უხალისოდ განაგრძო თაროების წმენდა. გაოგნებულმა ალმოაჩინა, რომ ფორთოხლისფერთმიანი ბიჭი ნუგის ორ ფილას იპარავდა. მცირე ყოყმანის შემდეგ გადაწყვიტა, თავი მოეკატუნებინა, თითქოს ვერაფერი შენიშნა. მთავარია, ბიჭს რაიმე უფრო ღირებული არ აეწაპნა. უცქეროდა თავის ქმარს, რომელიც მხიარულად ყბედობდა ახალგაზრდებთან.

---

1 კარგი, მე მივხედავ (თურქ.).

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლუდისა და ზეფირის გარდა, პანკებმა სიგარეტი, ასანთი და კრეკერები იყიდეს. გასვლისას მერალს ხელი დაუქნიეს და მანაც იმავე ჟესტით უპასუხა.

— ამათ უყურე, — მერალმა ქმარს შესჩივლა, როგორც კი მარტონი დარჩნენ.

ტარიქმა მხრები აიჩეჩა.

— რას იზამ, ახალგაზრდები არიან და სისხლი უდუღთ.

ახალგაზრდები არიან და ინგლისში გაზრდილები, — გაიფიქრა მერალმა. მათ შვილებს რომ ასე ჩაეცვათ, ტარიქი გაცოფდებოდა. მერალი თანამიმდევრული იყო. სახლში, ქუჩაში, მაღაზიაში — ყველგან ერთი და იგივე ადამიანი გახლდათ. არ ესმოდა, რატომ იხვრეტდნენ ახალგაზრდები კანს და ქინძისთავებით დამაგრებული დაგლეჯილი ტანსაცმლით რატომ იმოსებოდნენ. მხოლოდ იმიტომ, რომ მყიდველები იყვნენ, მერალი თავს ვერ მოიკატუნებდა, თითქოს ამ ყველაფრის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა.

ტარიქმა არ იცოდა, ცოლი რაზე ფიქრობდა. სადილს ფეხზე მდგარი ილუკმებოდა.

— ოჰ, ცოტა ცხარეა.

— დაჯექი და ნელა ჭამე.

— დრო არ მაქვს, უნდა წავიდე.

— რას ამბობ? აქ ვერ დავიცდი, ცეცხლზე სუპი მიდგას.

— გოგოები სახლში არიან, ისინი მიხედავენ, — თქვა ტარიქმა, რომელიც ჯერ კიდევ ილუკმებოდა, — ქალო, სასწრაფო საქმეა. დისტრიბუტორებთან პრობლემაა. დღეს თუ არ მოვაგვარებ, ხვალ არაფერი გვექნება გასაყიდი. არც რძე, არც კარაქი, არც კვერცხი. პურითაც კი არ მოგვამარაგებენ.

მის ნათქვამზე ქალს ოხვრით აღმოხდა:

— სად მიდიხარ?

— ოო, დაწყევლილი ლონდონის მეორე ბოლოში.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

•••

ტარიქმა ავტობუსით ისარგებლა, მეტრო არ უყვარდა. მიწის ქვეშ მგზავრობა არ სიამოვნებდა. გარდაცვალებისას მიწაში გვდებენ, სიცოცხლეში მანდ რაღა გვინდაო, — ამბობდა.

სამხრეთ-დასავლეთ ლონდონში მიდიოდა, იმ ნაწილს საერთოდ არ იცნობდა. წინ დიდი გზა ედო და ავტობუსიც მიიზლაზნებოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, მძღოლები აღარ იყვნენ გაფიცული. ბრაზობდა, რომ უბრალო გაუგებრობის გამო ამხელა მანძილის გავლა უწევდა. თავში ალაგებდა სიტყვებს, რომელსაც მენეჯერთან დიალოგისას გამოიყენებდა. ტელეფონზე ვისაც ელაპარაკა, იმ კაცმა დააბრალა, — კონტრაქტს ვადა გაუვიდაო. იდიოტი! ტარიქმა შიდა ჯიბიდან გაკეცილი ქაღალდი ამოიღო და შეამოწმა. როცა ამ კონტრაქტს სახეზე ააფარებდა, ძალიან შერცხვებოდათ. შეიძლება, გამოსასწორებლად, განსაკუთრებული ფასდაკლებაც შეეთავაზებინათ. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს გაუგებრობა სასწრაფოდ უნდა აღმოეფხვრათ.

წარმატებას თავად მიაღწია და არ აპირებდა, ვიღაც უნიკაპო ბიუროკრატისთვის მისი ოფლით, სისხლითა და ცრემლით ნაშენები საქმის გაფუჭების უფლება მიეცა.

ორი ავტობუსი გამოიცვალა, ბოლოს კი ბრიქსტონს მიაღწია. გრილი შუადღე იყო, მაგრამ მზე აცხუნებდა, სიურპრიზივით. ქოლდჰარბორ-ლეინზე ხალხი, სანამ შეეძლო, მზის სხივებს ეფიცხებოდა. ტარიქი ინგლისელ ბავშვებს დააკვირდა, მათ პაჭუა, ვარდისფერ ცხვირებს, ფერმკრთალ კანსა და მსუბუქ ჩაცმულობას. თურქი დედები თავიანთ პატარებს ორორ ჯემპრსა და თბილ პალტოებს აცმევდნენ, როცა გარეთ გაჰყავდათ. ინგლისელი დედები კი, შორტსა და თხელ ქურთუკში გამოაწყობდნენ, ზოგჯერ უწინდებოდაც კი. როგორ არ ითოშებოდნენ? ტარიქს ვერ გაეგო, ბუნებრივად როგორ ეგუებოდნენ სიცივეს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სიამოვნებით შეივლიდა კაფეში ჭიქა ჩაიზე, მაგრამ ფულის დახარჯვა არ სურდა. ტოპრაკების ოჯახში ერთადერთი იყო, ვისაც ჭკუა და ნებისყოფა ჰყოფნიდა, დანაზოგი შეეგროვებინა შავი დღისთვის. ხალილს საკუთარი თავის გარდა არავინ ადარდებდა, ცხოვრება მოეწყო ავსტრალიაში და არ ეკითხებოდა ძმებსა და მათ ოჯახებს, რამე თუ სჭირდებოდათ. ადემი უიმედო იყო. ფულზე თამაშობდა და რასაც მოიგებდა, რუს მოცეკვავეს ახარჯებდა. ის ქალი, რომელზეც ყველა ჭორაობდა, ტარიქს ჯერაც არ ენახა.

ნელა ჩაუარა გრილი სასმელების გამყიდველს, რელიგიური წიგნების მაღაზიას, საქველმოქმედო დახლს, წითელაგურიანი, იდენტური სახლების რიგს. მთავარი გზისგან განსხვავებით, იქ ფეხით მოსიარულეები არ დადიოდნენ, ადგილი მიტოვებული ჩანდა. კინოთეატრიც კი იდუმალების იერით იყო მოცული, თითქოს ძველი საუკუნის გადმონაშთიაო. ძალიან ძველი გახლდათ ეს ქალაქი, ყველგან წარსულის ნაკვალევი აჩნდა. ერთხელ, საკუთარ ბაღში, ყვავილებისთვის მიწას რომ თხრიდა, ნაღმის ნამსხვრევები აღმოაჩინა.

ჩაფიქრდა, ნეტავ, მერალი რას აკეთებს ახლა მაღაზიაშიო. სწრაფად უნდა ესწავლა ინგლისური, თუ სურდა, ქმარს მიხმარებოდა. იქნებ ჯიბის ლექსიკონი ეყიდა მისთვის, რომ ქალს დღეში ხუთი სიტყვა დაეზეპირებინა. წლებია, მერალი ინგლისში ცხოვრობდა, მაგრამ თავისი მიკროსამყარო ჰქონდა, სადაც მხოლოდ თურქულად საუბრობდა. უკვე აუცილებელი იყო, ინგლისურიც ესწავლა. ტარიქი ასაკში შედიოდა და თანაც, ორ ოჯახს უვლიდა — თავისას და ძმისას.

თუმცა ინგლისურის არცოდნა ერთადერთი მიზეზი არ იყო, რატომაც მერალს მომხმარებელთან ურთიერთობა უჭირდა. ზედმეტად უკმეხი და კრიტიკული ქალი გახლდათ, მოთმინება არ ჰყოფნიდა. მთელი ცხოვრება ემსახურებოდა ოჯახს — ქმარს, შვილებს, ნათესავებს, მეზობლებს. უცხოებს კი — ვერა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მისი ქმარი კი პირიქით, სახლში არავისზე ზრუნავდა, მყიდველებს კი გულითადად უმასპინძლდებოდა.

მზე სქელი, რუხი ღრუბლების ქვეშ გაუჩინარდა. ავდარი ახლოვდებოდა. ტარიქმა ნაბიჯს მოუმატა, როგორც იქნა, მიაღწია დანიშნულების ადგილს.

***

შეხვედრა დაძაბული გამოდგა. ტარიქს მენეჯერის ნახვის ნება არ დართეს, მნიშვნელოვანი საქმე აქვსო. შეცბუნებულმა, მოადგილეს ანახვა კონტრაქტი, მან კი იმ პუნქტზე მიუთითა, რომლის თანახმად, კომპანიას დოკუმენტში ცვლილებების შეტანა და წინასწარი გაფრთხილების გარეშე კონტრაქტის გაწყვეტა მაშინ შეეძლო, როცა მოესურვებოდა. ტარიქი დაემუქრა, სხვა მომწოდებელს ვიშოვიო, რაზეც პასუხად მიიღო, როგორც გნებავთო.

ოცი წუთის შემდეგ შენობიდან გამოვიდა, ცუდ ხასიათზე იყო, მაგრამ დამარცხებული — არა. გაიკითხავდა, ჰაკნიში მაღაზიების მფლობელებს სთხოვდა რჩევას და სხვა კომპანიასთან დადებდა კონტრაქტს. ერთადერთი პრობლემა ის იყო, რომ რჩევის მიცემა უყვარდა და არა — მიღება. რეპუტაცია უნდა შეენარჩუნებინა. კინოთეატრთან მიახლოებისას, ტარიქმა ნაბიჯი შეანელა და კედელზე დაკიდებულ პოსტერს დააკვირდა.

„მილმიერი კაცი“

ჰარი ჰუდინი

მართალია, კინო დიდად არ უყვარდა, მაგრამ დიადი ჯადოქრის ცხოვრებამ დააინტერესა. ამ კაცს შეეძლო, წყლით სავსე ავზში პირაღმა დაკიდებულსა და ხელფეხშეკრულს, თავი გაეთავისუფლებინა. ნამდვილად იმსახურებდა ყურადღებას. ამიტომაც, ტარიქი ფოიეში შევიდა და მიმოიხედა.

კედელზე დაფა ეკიდა, რამდენიმე ფოტოთი და განხილვით. კაცს იმედი გაუცრუვდა, აღმოჩნდა, რომ ძველ, მუნჯ კინოს აჩვენებდნენ. უეჭველად შავ-თეთრს. ნუთუ ხალხი ჯერ კიდევ უყურებდა ასეთ ფილმებს?

თითქოს მისი შეკითხვის პასუხად, დარბაზში შესასვლელი კარი გაიღო და იქიდან ინგლისელი წყვილი გამოვიდა. ფილმი დასრულებულიყო და რამდენიმე მაყურებელი წასასვლელად ემზადებოდა. წყვილის უკან ტარიქმა ქალი შენიშნა. გასასვლელისკენ მიიკვლევდა გზას, მზერა იატაკს მისწებებოდა.

უცაბედად, ტარიქმა ნაბიჯი გადადგა, რძლის ამოცნობას ცდილობდა. ის-ის იყო, უნდა დაეძახა და სახლში ერთად დაბრუნება შეეთავაზებინა, რომ შუახნის მამაკაცი შენიშნა. ის პემბეს უახლოვდებოდა. კაცი მის იდაყვს დასწვდა, რაღაც ჩასჩურჩულა და ქაღალდის ნაგლეჯი მიაწოდა, ქალმა კი ღიმილით გამოართვა და ჯიბეში ჩაიდო.

მათ უკან გაოგნებული ტარიქი იდგა. გონებაში ათასი ფიქრი უტრიალებდა, მზერა კი პოსტერისთვის მიეპყრო, რომელზეც ეწერა: ჰუდინის შეკავება ქვეყნად არაფერს შეუძლია.

გადაწყვეტილება

ლონდონი, 1978 წლის ოქტომბერი

შაბათ დილას, როცა ისკენდერი კაფეში მივიდა კეიტთან შესახვედრად, მისდა გასაოცრად, გარეთ მდგარი ტარიქი შენიშნა. ბიძამისი ბოლთას სცემდა, საკუთარი წვერისთვის ჩაევლო ხელი.

— ბიძია, აქ რას აკეთებ?

— შენ გელოდები! „ალადინის გამოქვაბულში“ შევიარე და შენმა მეგობრებმა აქეთ მომასწავლეს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბიძია ტარიქმა მის მოსაძებნად მალაზია ასე ადრე დატოვა? ისკენდერმა მუცელში გვრემა იგრძნო.

— ყველაფერი კარგადაა?

— უნდა ვილაპარაკოთ. როგორც კაცებმა.

— იმ დღეს რომ მომეცი, იმ ფულთან დაკავშირებით?

— აუჰ, გაჩუმდი და მომისმინე.

— მაგრამ ვილაც უნდა ვნახო.

— არა უშავს, მაგის დრო არაა ახლა, — ხავილი აღმოხდა.

ისკენდერმა ახლაღა შენიშნა, როგორი დაძაბული იყო ბიძამისი, სვიტერის ქვეშ ოფლში ცურავდა, თითქოს ცხელი ამინდი ყოფილიყო. იქვე, ბაღში ჩამოსხდნენ, უხერხულ სიჩუმეში. ტარიქმა სიგარეტს მოუკიდა. ნეტავ, კეიტი თუ შენიშნავდა და გამოვიდოდა იმის საკითხავად, რა ხდებაო.

— შვილო, — თქვა ტარიქმა, — შენთვის ცუდი ამბავი მაქვს.

— ჰო, მივხვდი.

ტარიქმა კანკალით მოქაჩა სიგარეტი, ნესტოებიდან კვამლი გამოუშვა და დაბალი ხმით თქვა:

— დედაშენს ეხება.

* * *

კაფეში შესულ ისკენდერს დანა პირს არ უხსნიდა, თვალები გაშტერებოდა, სახე გაჰფითრებოდა. კეიტისკენ გასწია, ის ჩვეულ მაგიდასთან ელოდებოდა. ქერის კვერი უკვე მიერთმია და უკვე მეორე რძის კოქტეილს წრუპავდა, მარწყვითა და ბანანით.

— ისევ დააგვიანე, — ამოიოხრა კეიტიმ.

— ბოდიში.

— იცი, უკვე შევეჩვიე. მაგრამ იმედი მქონდა, დღეს სხვანაირად მოიქცეოდი. მეგონა, ერთხელ მაინც სხვაზეც იფიქრებდი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ისკენდერმა მისი ხელი საკუთარში მოიქცია და თითის წვერებზე აკოცა.

— რატომ ხარ ასე უხასიათოდ?

— თითქოს არ იცოდე, რატომ, — კეიტი შეყოვნდა. რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ცრემლები წასკდა.

ისკენდერმა ჯიბიდან დაკუჭული ფული ამოიღო და ხელში ჩაუდო.

— ეს გიშველის.

როცა კეიტიმ არაფერი თქვა, ისკენდერმა დასძინა:

— ბიძაჩემს გამოვართვი. ვერ მოვახერხე მომეცა, იმიტომ რომ ჩემი დანახვა არ გინდოდა.

— ხომ გითხარი, უნდა დავფიქრდე-მეთქი.

— მერე?

— მერე ეგ ფული დაიტოვე, — კეიტი წამოენთო და უკან დაიხია, თითქოს გავარვარებულ რკინას შეეხოო.

— რას გულისხმობ?

— გადავიფიქრე, ალექს.

— რა ქენი?

— ნუ მიყურებ ეგრე. მე უბრალოდ... ვერ ვიზამ. ბავშვს ვიტოვებ.

— გადაირიე? — წამოიყვირა ისკენდერმა, მერე კი ხმას დაუწია, — თექვსმეტი წლის ხარ, გული გაუსკდება.

— არა უშავს. უკვე იცის.

— ალბათ ხუმრობ! — დაეჭვებულმა ისკენდერმა კბილებში გამოცრა, — აჰა, გასაგებია. დედაშენმა გამოგილაყა ტვინი ალბათ.

— ეგრე არ არის! რატომ წამოენთები ხოლმე, როცა მას ვახსენებ?

— იმიტომ, რომ უკვე ვილაპარაკეთ ამაზე. გადაწყვეტილება მივიღეთ. ერთად! ბიძაჩემთან წავედი, ფული გამოვართვი. კლინიკა ვიპოვე, ექიმთან შეხვედრა დავნიშნე. ორჯერ! ორჯერვე გადადე. ბოლოს, შევთანხმდით და ახლა პრინცესამ გადაიფიქრა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კეიტის ისევ აუვარდა ტირილი. ამჯერად მის ქვითინს საკუთარი თავის სიბრალული არ ეტყობოდა. ცრემლი რძის კოქტეილში ჩაუგორდა, ვარდისფერ ზედაპირს მარილიანი წვეთი დააჩნია.

— ეს ბავშვი სიყვარულის ნაყოფია. დაბადების უფლება აქვს.

— რა სიგიჟეა, კეიტი ევანს.

— არა, არ არის, — გააპროტესტა მან, — უკვე ვგრძნობ მასთან კავშირს... უკვე სამი თვე გავიდა.

— რა? რატომ არ მითხარი?

— თვითონაც არ ვიცოდი, — გაცხარებით თქვა კეიტიმ, — მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს. ბავშვი როცა დაიბადება, ჩემთან და დედასთან იცხოვრებს.

ისკენდერმა წარბები აზიდა.

— ამ სისულელის მართლა გჯერა, არა? სულ გადარეულხარ!

კეიტიმ სკამი ხმაურით გასწია, გულის გამგმირავი, ტკივილით სავსე ხმით თქვა:

— აქ არ ვიჯდები და ასე საუბრის უფლებას არ მოგცემ. მივდივარ.

— სად ჯანდაბაში მიდიხარ?

— სახლში, რომ წამოვწვე. დედა ამბობს, თავი არ უნდა გადავიღალო.

ისკენდერმა მაგიდაზე ხელი დააბრახუნა, ისე ხმამაღლა, რომ რამდენიმე კლიენტის ყურადღება მიიქცია. კეიტს არ შეშინებია.

— იცი რა, მოდი, დამშვიდდი და სახელებზე იფიქრე. რამდენიმე ვერსია მაქვს გოგოსთვისაც და ბიჭისთვისაც.

ისკენდერმა ღრმად ჩაისუნთქა, უძრავად იჯდა, თავი ხელებში ჩაერგო. მუცელში ისევ იგრძნო გვრემა. მაღლა არ აუხედავს. იგრძნო, მიმტანი უყურებდა ამ პატარა ინციდენტს და ალბათ, ცნობისმოყვარეობა კლავდა, რას მოიმოქმედებდა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ისკენდერი. ახლა, მას არც სახლში წასვლა სურდა და არც მეგობრების ნახვა. კეიტის კვერის ნარჩენები ჩაკბიჩა, კალთაზე დაყრილი ნამცეცები გადახვეტა. ინატრა, ასევე ადვილად შესძლებოდა ტარიქის მიერ ჩაწვეთებული ეჭვების გაფანტვაც. დაბნეულმა, კარგა ხნის წინ ორატორის მოცემული ბუკლეტები ჯიბიდან ამოიღო. სცადა, წინადადებები გაერჩია, მაგრამ სიტყვები ნაყარნუყარივით აღიქმებოდა მის გონებაში. მალე ხელი ჩაიქნია და მიმტანს საჭმლის შესაკვეთად უხმო. ფული ბლომად ჰქონდა.

დედა

ლონდონი, 1978 წლის ოქტომბერი

იუნუსი რიჩმონდ-როუდზე მიქროდა ველოსიპედით, სახეში თმის ფაფუკი კულულები სცემდა. გახამებული თეთრი პერანგი ეცვა და ისე მჭიდროდ შეეკრა, ყელი შევარდისფრებოდა. ერთი ღილიც კი არ შეუხსნია, ეგონა, ასე უფრო კარგად გამოიყურებოდა. თანაც, ეს სტილი ტყავის ქურთუკს უხდებოდა. მართალია, დიდი ჰქონდა, მაგრამ ყველაზე მაგარი რამ იყო, რაც ოდესმე სცმია. ლოყები სირცხვილით უხურდა იმის გახსენებაზე, თუ რა გზით მოიხელთა ეს ქურთუკი.

იმ დილას, იუნუსი საწოლიდან მიზანმიმართულად გამოძვრა. დერეფანი მკრთალ შუქს გადაერეცხა. ძმის ოთახში ფეხის წვერებით შეიპარა. ისკენდერს წინაღამით კრივის მატჩი ჰქონდა და სახლში გვიან, არაქათგამოცლილი დაბრუნდა. მსუბუქად ხვრინავდა, მოკუნტული, თავი ბალიშის ქვეშ შეერგო. ქურთუკი, რომელიც დედამ წინა დაბადების დღეზე უყიდა, სკამზე მიეგდო. ტყავი ისეთი მუქი და პრიალა იყო, შავი ყინულივით ბრწყინავდა. კედლები პოსტერებით იყო დაფარული: ვარსკვლავური ომები, მუჰამედ ალი, ბრიუს ლი, მანჰეტე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნის თავზე მფრინავი სუპერმენი, მოტოციკლზე ამხედრებული ჯეიმს დინი, იუნიონ ჯეკი, კენი ბარნსი ფრენკ სტეპლტონის წინააღმდეგ, „არსენალსა“ და „ნოტინგემ ფორესტს“ შორის გამართულ მატჩში.

იუნუსმა მიმოიხედა, შური იგრძნო. არც კი იცოდა, ეს ვნება თუ არსებობდა მასში. ისკენდერს აქ საკუთარი სამყარო მოეწყო, სპორტული აღჭურვილობა, ტანსაცმელი და რაც მთავარია, თავისუფლება. არავინ ერეოდა მის ცხოვრებაში. სახლში გვიან ბრუნდებოდა და როცა მოეპრიანებოდა, მაშინ გადიოდა, არავის არაფერს უხსნიდა. ეს უსამართლობა იყო და იუნუსმა იცოდა, რომ მარტო ის არ ფიქრობდა ასე.

ახალაღმოჩენილი ეშმაკობით იუნუსი ტყავის ქურთუკს დასწვდა, ერთდროულად უხერხულობასა და აღტაცებას განიცდიდა. უხერხულობას, რადგან ძმის საკუთრებას უნებართვოდ იღებდა და მართალია, საღამოს დააბრუნებდა, მაგრამ მაინც ქურდობად ეთვლებოდა. აღტაცებას კი იმიტომ, რომ ეჭვი არ ეპარებოდა, ტობიკოს ასე უფრო მოეწონებოდა. ქურთუკში უფრო დიდი ჩანდა.

უცებ ისკენდერმა გვერდი იცვალა და ბალიშიდან თავი გამოუცურდა. იუნუსმა სუნთქვა შეიკრა, ადგილზე გაქვავდა. დაელოდა, სანამ ძმა ისევ ღრმად ჩაიძინებდა. გაახსენდა დღეები, მამა ყველა წვრილმანზე რომ სჯიდა და ლანძღავდა ისკენდერს. თუმცა ის დრო წავიდა. ახლა ოჯახის თავკაცი ისკენდერი გახლდათ, მუდამ გაბრაზებული იერი ჰქონდა და თავი შორს ეჭირა. ნეტავ, დედა შესწინააღმდეგებოდა და ეჩვენებინა, რომ თავად იყო უფროსი. მაგრამ პემბეს სხვა საფიქრალი ჰქონდა.

საიდუმლო. იუნუსი გულით ცდილობდა, შესძულებოდა ის უცხო კაცი, მაგრამ არ გამოსდიოდა. ვინ იყო? როგორ მოახერხა დედას გალიმება? ეს ხომ ვერავინ შეძლო. მის წაყვანას ეცდებოდა? მაგრამ ამას ვერ ჰკითხავდა. ვერავის ეტყოდა.

ველოსიპედს სწრაფად და მძლავრად მიაქროლებდა. მი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სი ფიქრები ქორწინებას დასტრიალებდა. გადაწყვიტა, არასოდეს შეექმნა ოჯახი, რომელსაც მხოლოდ უთანხმოება და ტკივილი მოჰქონდა. რატომ ქორწინდებოდა ამდენი ადამიანი, როცა გულის სილრმეში მხოლოდ ცოტას თუ სურდა ოჯახის შექმნა, იუნუსს არ ესმოდა. მას კომუნებად ცხოვრება უფრო მოსწონდა. ერთადერთი ნაკლი, კომუნაში გამეფებული ჭუჭყი იყო. სხვა მხრივ, ეჭვი არ ეპარებოდა, ხიზნები ბევრად ბედნიერები იყვნენ და როცა გაიზრდებოდა, ოჯახის ნაცვლად, კომუნას შექმნიდა ტობიკოსთან ერთად. ბევრი მეგობარი ეყოლებოდათ, საჭმლით სავსე მაცივარი ექნებოდათ და შვილებს ყველანი ერთად გაზრდიდნენ.

ველოსიპედი ხის ლობეზე მიამაგრა და კაპიტნის დედის სახლისკენ გასწია. მისდა გასაოცრად, კარი ღია დახვდა. პირველი სართული მოათვალიერა, სამზარეულოსა და საბაზანოში შეიხედა. პანკები არსად ჩანდნენ. შეიძლება საყიდლებზე წავიდნენ ან ნაგავსაყრელზე ძველი ავეჯის შეგროვებით იყვნენ დაკავებულები. სახლში სიჩუმე გამეფებულიყო, მხოლოდ ონკანი წვეთავდა და აქა-იქ მილები ჭრიალებდა. იუნუსმა გადაწყვიტა, საცხოვრებელ ოთახში მოეცადა. დროის გასაყვანად, ჭუჭყიანი პროკლამაციების, კომიქსებისა და ბროშურების გროვა გადაქექა. ერთ-ერთ მათგანზე ფოტოს წააწყდა, რომელშიც ახალაზრდა მაღაზიის ფანჯარას ლეწავდა. ფოტოს ქვეშ წარწერა იყო:

სახელმწიფო თავის მოქალაქეებს ომს უცხადებს.
რატომ? იმიტომ, რომ ეს არის მისი ფუნქცია.
აი, ამას ნიშნავს სახელმწიფო.
წინ აღუდექი სახელმწიფოს იდეოლოგიურ აპარატს.
გაუძელი მის ძალადობრივ ბედნიერებას.

იუნუსს წარმოდგენა არ ჰქონდა, რას ნიშნავდა იდეოლოგიური აპარატი, მაგრამ „სახელმწიფო“ იცოდა: ქალი უზარმაზარი გულმკერდით, სანდომიანი ხასიათითა და შთამბეჭდავი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვარცხნილობით. როცა დედამისს სურდა, რომელიმე ქალბატონი მისი ძლიერებისა და შესაძლებლობებისთვის შეექო, ამბობდა „დევლეტ გიბი კადინ“[1]. იუნუსს ვერ გაეგო, ასეთი ქალებისა და მათი აპარატების საწინააღმდეგო რა ჰქონდათ პანკებს.

ბიჭი ბროშურას ათვალიერებდა, როცა მუსიკის ხმა გაიგონა. უეცრად ორ რამეს მიხვდა: ხმაური მეორე სართულიდან მოდიოდა, პოპმუსიკას უკრავდნენ, ხიზნებს მთელი გულით რომ სძაგდათ. პანკები ამ სიმღერას არასოდეს მოუსმენდნენ. ეტყობა, მისის პოველიაო, — იფიქრა. ესეც ეუცნაურა. ვერ წარმოედგინა, ასეთ ნაღვლიან ქალს ასეთი მხიარული მუსიკისთვის როგორ უნდა მოესმინა.

იუნუსი კიბეს აუყვა და მოესმა, მელოდიას ოდნავ აცდენილი ტონალობით რომ ჰყვებოდა ქალი. საძინებელთან გაჩერდა და დააკაკუნა. დაელოდა და კიდევ ერთხელ დააკაკუნა. პასუხი რომ ვერ მიიღო, შეიჭყიტა.

და იქ, ოთახის შუაგულში, სანახევროდ თვალდახჭული ტობიკო აღმოაჩინა. გოგონას სავარცხელი ჩაებღუჯა, მთელი ტანით ბზრიალებდა, ტრიალებდა, ცეკვავდა და მღეროდა. ავეჯიც კი გადაეადგილებინა მეტი სივრცისთვის. ფარდები ჩამოეფარებინა, მხოლოდ ალაგ-ალაგ აღწევდა ოთახში მზის შუქი. ასეთ სიბნელეში ტობიკო მაღალი და გამხდარი ჩანდა და საერთოდ არ ჰგავდა საკუთარ თავს.

იუნუსმა თითქოს ფესვები გაიდგა, უძრავად შესცქეროდა თავის საყვარელ ქალს, პანკების ქურუმს. უსასრულოდ დიდი ხნის შემდეგ სიმღერა დასრულდა. Take a chance on me... ტობიკო ჯაგრის-მიკროფონში მღეროდა, მუხლებზე ეცემოდა, თავს აქნევდა და ჰაერში სპირალებს ხაზავდა ხელით — შვედური პოპისა და ინდური ცეკვის ნაზავს ქმნიდა. როგორც კი მელოდია მიწყნარდა, თვალები გაახილა და იგრძნო, ოთახ-

---

1 სახელმწიფოსავით ქალია (თურქ.).

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ში მარტო არ იყო. კარისკენ მიტრიალდა და ბიჭის დანახვაზე სუნთქვა შეეკრა:

— ოჰ, იუნუს! როგორ შემაშინე!

— მაპატიე, — ამოილუღლუღა იუნუსმა, — არ მინდოდა.

ტობიკო ოდნავ ბორძიკით წამოდგა და გაღიმება სცადა. სავარცხელი მაგიდაზე დადო, მაგნიტოფონი გამორთო და ფარდები გადასწია. შემოჭრილმა სინათლემ თვალები ატკინა.

— აქ რას აკეთებ?

— შენს სანახავად მოვედი. კარი ღია იყო, — თქვა იუნუსმა, — რას უსმენდი?

— ოჰ, უბრალოდ დრო გამყავდა. მისის პოველს ბევრი ასეთი სულელური სიმღერა აქვს, — უპასუხა.

— სად არის?

— ექიმთანაა. სამამდე არ დაბრუნდება, — ტობიკომ ჩურჩულით დაამატა, — მგონი ფსიქოლოგთან დადის.

— მართლა? ძალიან მოწყენილი ჩანდა, — ჩაფიქრებით თქვა იუნუსმა, მაგრამ უცებ სხვა თემაზე გადაერთო, — მუსიკა, შენ რომ უსმენდი, „აბბასია“, არა?

— შენ საიდან იცი?

— დედასაც მოსწონს, — გაიბადრა იუნუსი.

— მე დიდად, არა. საჩემო არ არის, უხარისხოა. ეგრე არ ფიქრობ?

იუნუსმა ტობიკოს სათუთი აღტაცებით შეხედა. რაც მას იცნობდა, პირველად დაინახა პატარა გოგონა, რომელიც ტობიკოში იმალებოდა. იუნუსი მიხვდა, მხოლოდ თვითონ არ ცდილობდა, უფრო დიდი და ძლიერი გამოჩენილიყო, ვიდრე სინამდვილეში გახლდათ.

ტობიკომ არ იცოდა, იუნუსის თავში რა ფიქრები ტრიალებდა.

— როგორი კარგი ქურთუკი გაქვს.

— გმადლობ, — უპასუხა იუნუსმა, მაგრამ საუბრის თემა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არ შეუცვლია, — იქნებ ისევ ჩართო იგივე სიმღერა და მასწავლო, რასაც აკეთებდი.

ტობიკომ ანცად გაიღიმა.

— ჩემთან ცეკვა გინდა, პატარავ?

მართალია, ყურებამდე გაწითლდა, მაგრამ იუნუსს უკან არ დაუხევია:

— ჰო, რატომაც არა?

— კარგი, — დანებდა ტობიკო, — მაგრამ შენ რომ ასე გამოპრანჭულხარ, ჯობს, მეც ვიპოვო რამე ლამაზი.

ერთად გამოაღეს კარადა. ორივენი გაოცდნენ, როცა აღმოაჩინეს, რომ სავსე იყო ტანსაცმლით, აქსესუარებით, ფეხსაცმელებითა და ძვირფასი ქუდებით.

— ეტყობა, ეს ქალი მთელ ფულს ტანსაცმელში ხარჯავდა, — თქვა ტობიკომ.

— შავ ფერში არაფერი აქვს, — აღნიშნა იუნუსმა.

მაგრამ ტობიკო, გოგონა, რომელიც პანკურის გარდა არაფერს იკარებდა, ახლა აღტაცებით შესცქეროდა მოვარდისფრო იისფერ შარფს, შამპანურისფერ ქვედაბოლოს, ლილისფერ პერანგს. საღამოს კაბაც იპოვა, ბისერებით, ყავისფერი მელიით გაფორმებული ქურთუკი და ბეწვის პალტო, წვივებამდე რომ სწვდებოდა.

ტობიკომ საკიდიანად ჩამოხსნა გრძელი, ვინტაჟური კაბა, ატლასისა და ტაფტის ქსოვილის, ისეთი ბაცი იასამნისფერი, რომ თეთრი გეგონებოდათ. კაბა წელში გამოყვანილი იყო და ზედ ამეთვისტოს პაწაწინა ძაფები და ასამდე ფერადი ქვა ექარგა.

— ძალიან ლამაზი იქნებოდი მაგ კაბაში, — თქვა იუნუსმა.

ტობიკომ თავი გააქნია, თითქოს ბიჭს რაიმე მკრეხელობა ეთქვას. თუმცა, როცა ალაპარაკდა, ასეთი რამ თქვა:

— შეგიძლია, რამდენიმე წუთით მარტო დამტოვო? სანამ არ დაგიძახებ, არ შემოხვიდე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იუნუსი დერეფანში იცდიდა, მოეჩვენა, რომ დრო უსასრულოდ გაიწელა. როდესაც კვლავ მიიხმეს ოთახში, სულ სხვა ქალი დახვდა. ტობიკოს თვალები და სვირინგები ჰქონდა, მაგრამ სხვას არაფრით ჰგავდა. თმა გაეშალა, მაკიაჟი მოეცილებინა, ჩამუქებული თვალის ჩრდილიც წაეშალა და შავი პომადის ნაცვლად, ვარდისფერი წაესვა. დაგლეჯილი, ბადე წინდების ნაცვლად, ხორცისფერი კოლჰოტი უმშვენებდა ფეხებს. ოქროსფერი, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ემოსა, წვეთის ფორმის ბრილიანტის საყურეები ეკეთა, სახეზე კი ბედნიერი ღიმილი ეფინა. ჰაერში სუნამოს თავბრუდამხვევი სურნელი ტრიალებდა.

იუნუსმა ისე დაუსტვინა, ისკენდერმა რომ ასწავლა.

— შენ ისე გამოიყურები... — ნანახით აფორიაქებულმა სიტყვა ვერ მოძებნა ტობიკოს სილამაზის აღსაწერად. უცებ წამოსცდა, — შენ სახელმწიფოსავით გამოიყურები.

ტობიკოს გაეცინა.

— ჰო, მე ვარ სახელმწიფო, — თქვა და ხელები გაშალა.

მერე ორ სავარცხელს დასწვდა, ერთი თავისთვის დაიტოვა, მეორე იუნუსს მისცა. მაგნიტოფონი ჩართო და მუსიკა რომ გაისმა, ოთახში ხელჩაკიდებულები მიმოდიოდნენ მოღიმარი სახეებით, თითქოს სცენაზე იდგნენ. წარმოიდგინეს, ათასობით ადამიანი მოსულიყო მათ მოსასმენად. ყველა ბილეთი რამდენიმე კვირით ადრე გაყიდულიყო. კიდევ ბევრი საკონცერტო დარბაზის გარეთ იცდიდა. ბუმბულივით შემსუბუქებული იუნუსი წარმოსახვით პიანინოზე, გიტარაზე, დოლსა და საქსოფონზე უკრავდა. ტობიკო მღეროდა და ცეკვავდა, ქვედაბოლოებს აფრიალებდა. ყოველ მისამღერზე ზურგებით დგებოდნენ. მსმენელები ჭკუიდან გადადიოდნენ.

მუსიკა რომ დამთავრდა, ორივენი იატაკზე გაწვნენ, გული ამოვარდნაზე ჰქონდათ. ტობიკომ იუნუსს მკლავებზე ხელები შემოხვია.

— იმ დღეს საიდუმლოზე მეკითხებოდი. მოდი, „აბბას“

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მიმართ ჩვენი სიყვარული ჩვენი საიდუმლო იყოს. დამპირდი, არავის გაანდობ.

იმ შუადღეს იუნუსმა ტობიკოზე ისეთი ამბები შეიტყო, ვერასოდეს რომ ვერ წარმოიდგენდა. ჯერ კიდევ „აბბას“ კაბაში ჩაცმულმა, მოსაწევი გააბოლა და გამოუტყდა, — ჩემი ყოფილი შეყვარებული ტობი მე არ მიმიტოვებია, მან მიმატოვა და გული დამიმსხვრიაო... მერე კი კაპიტანს შეხვდა. ის არ უყვარდა, მაგრამ ვერც თავს ანებებდა. წარსულში უფრო გამბედავი იყო, მაგრამ დღითი დღე მეტად დამოკიდებული ხდებოდა, ვილაცას ეწებებოდა და ცალკე ვერ ძლებდა. ტობიკოს თქმით, ეს ელექტრას განუკურნებელი კომპლექსი გახლდათ. ყველა საყვარელ მამაკაცს მამამისს ადარებდა და ჯერ კიდევ ეჯიბრებოდა დედას. მერე იუნუსს პატარა ლექსი ანახვა, სათაურით „დედა“. ის-ის იყო იუნუსმა კითხვა დაიწყო, რომ პირველ სართულზე ნაბიჯების ხმა გაიგეს. მისის პოველი დაბრუნებულიყო.

ტობიკო პანიკამ მოიცვა:

— აუჰ, არა, ჯანდაბაა!

— არ იდარდო, — უთხრა იუნუსმა, — მე ჩავალ და ლაპარაკით გავართობ, სანამ შენ გამოიცვლი, — მერე ლექსი ქურთუკის ჯიბეში ჩაიდო და დაბლა ჩაბობღდა.

* * *

საღამოს, სასადილო მაგიდასთან, ისკენდერმა იუნუსს ერთი მრისხანე მზერა ესროლა, მაგრამ არ უკითხავს, სად დაათრევდა მის ქურთუკს მთელი დღე. ვახშმის შემდეგ გამოაცხადა, სასეირნოდ მივდივარო. წავიდოდა, ბიჭებს ნახავდა, ცოტა ხნით სნუკერს ითამაშებდა. ეს ნამდვილად სჭირდებოდა, ფიქრებს თავს მოუყრიდა. დედამისის წინააღმდეგობას ყურადღება არ მიაქცია და მაინც წავიდა. ბიძამისთან საუბრის შემდეგ დედას

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გულცივად ეპყრობოდა, თუმცა ჯერ კიდევ არ უთქვამს, რაც იცოდა.

საღამო სუსხიანი გამოდგა, ყინავდა. ისკენდერმა ქურთუკის საყელო აიწია და ხელები ჯიბეებში ჩაიწყო. ჯიბეში ქაღალდის ნაგლეჯი აღმოაჩინა. ამოიღო და პირველივე ლამპიონის შუქზე დაიწყო კითხვა.

ხელის ერთი მოძრაობით ქაღალდი დაკუჭა და სანაგვეში მოისროლა. ვიღაც ოინებს უწყობდა. მთელი ღამე ცდილობდა გამოეცნო, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო. არ გამოუვიდა. ბოლოს, ლექსის ბოლო ორ ტაეპს მიუბრუნდა:

დედა იტყუება, დედა თვალთმაქცობს,
ისეთი არ არის, როგორსაც თამაშობს.

შრიუსბერის ციხე, 1991 წელი

დღე მტკივნეულად მიიზლაზნება. დილიდან 11:30-მდე სამრეცხაოში მუშაობა. ლანჩი. წიგნის კითხვა შუადღეს, ზიშანის ბოდვის მოსმენა სიყვარულსა და ჰარმონიაზე. ოთხ საათზე ყველა საკნებში შეგვკეტეს. ნახევარი საათის შემდეგ ოფიცერი მაკლაგლინი მოვიდა.

— როგორც ჩანს, მალე ვიღაც გესტუმრება, — თქვა.

— ვინ არის?

— თვითონ ნახავ, ვინცაა.

ციხეში მხოლოდ ესმა მაკითხავდა, წელს ისიც აღარ მოსულა. გავოცდი, ოფიცერი მაკლაგლინი რომ დათანხმდა ვიზიტს. ჩემი ბოლოდროინდელი ქცევიდან გამომდინარე, იოლად შეეძლო უარის თქმა. საღამო ბუდეში დარჩენილი ჩიტივით მოღუშულმა გავატარე. მერე მივხვდი, ოფიცერმა მაკლაგლინმა კარგად იცოდა, სტუმრობა ამაფორიაქებდა. მეტიც, ამას იმედოვნებდა. ნაჭუჭში შევიკეტე, მაგრამ ზოგიერთი მაინც ახერხებს შემოღწევას. მხოლოდ რამდენიმე. ჩემს ჯავშანს ისე არღვევენ, როგორც მოჩვენებები — კედელს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— შენ ანერვიულებული, — თქვა ზიშანმა.

არ ვიცოდი, შეკითხვა იყო თუ შენიშვნა, მაგრამ არ ვიუარე.

ზიშანმა განაგრძო:

— არ ვიცით, ხვალ რა იქნება, მაგრამ დღე იმედით უნდა დავიწყოთ.

მისი ბოდიალის მოსმენის ხასიათზე არ ვიყავი. საწოლზე წამოვწექი და სამყაროს გამოვეთიშე. კიდევ ერთი ცუდი დღე მქონდა. ბევრი ცუდი დღე გამომიცდია ცხოვრებაში, მაგრამ ყველაზე უარესი ის იყო: მომდევნო დილა.

დანაშაულის ჩადენის მომდევნო დილას უძირო ღამიდან იღვიძებ. ტვინში სადღაც წითელი შუქი იწყებს ციმციმს. ცდილობ, ყურადღება არ მიაქციო. ხომ არსებობს სულ მცირე შანსი, რომ ყველაფერი სიზმარი იყო?! იმ შანსს ეჭიდები, პირველივე თოკს ჩაბლაუჭებული, სიმაღლიდან გადავარდნილი კაცივით. გადის წუთი. საათი. დროის შეგრძნებას კარგავ. მერე, უეცრად, ყველაფერი გახსენდება. თოკი ჰაერშია გამოკიდებული და თავით ეშვები რეალობაში.

ლავენდერ-გროუვზე ვიყავი, ხელში დანა მეჭირა. კივილი მესმოდა. გულის გამგმირავი, დაუსრულებელი. ვილაც ყმუოდა. დედაჩემს მივამსგავსე, მაგრამ ის ვერ იქნებოდა, მიწაზე იწვა, სისხლიანი. ტვინში ექო ძლიერდებოდა. მარცხენა ხელზე დავიხედე, ჩემს ძლიერ ხელზე. მგრძნობელობა არ მქონდა, თითქოს ხელი დროებით იყო ჩემს სხეულზე მიკერებული და ვილაც სხვას ეკუთვნოდა. დანა მანქანის ქვეშ შევაგდე. რომ შემძლებოდა, ხელსაც მოვისროდი.

გავიქეცი. ქურთუკი სისხლით იყო მოთხვრილი. ვერ ვხვდები, რატომ არავინ შემაჩერა. ვიწრო გასასვლელებში მივრბოდი, უკანა ეზოების გავლით, წარმოდგენა არ მქონდა — საითკენ. ალბათ ქუჩები გადავჭერი, ხალხს შევეჩეხე, ძალლები შევაშინე. არ მახსოვს. მომდევნო ნახევარი საათი წაშლილია. მაგრამ მახსოვს, ტელეფონის კაბინა ვიპოვე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბიძია ტარიქს დავურეკე. გავანდე, რაც ჩავიდინე. უხერხული სიჩუმე ჩამოწვა. მეგონა, ვერ გაიგო ნათქვამი, ამიტომ კიდევ გავუმეორე. ვუთხარი, დედა დავსაჯე არაკანონიერი ურთიერთობისთვის-მეთქი. ამიერიდან, არასოდეს მოიქცევა ასე-მეთქი. ისიც მოვახსენე, მსუბუქი ჭრილობაა და მალე გამოკეთდება-მეთქი. მკერდის მარჯვენა მხარეს ერთხელ ჩავეცი დანა. ეს მიახვედრებდა, როგორი მიუტევებელი ცოდვა ჩაიდინა. დრო ექნებოდა, თავის შეცდომაზე დაფიქრებულიყო, ცოდვა გამოესყიდა. ის კაცი კი სიკვდილამდე დაშინდებოდა. მარტო დაგვტოვებდა. ჩვენი ოჯახის ღირსება განწმენდილი იყო.

— რა ჩაიდინე, შვილო? — ნაწამები ხმით მითხრა, — რა საშინელებაა.

შევცბი.

— მმ..ააგ..რრ..აამ...ჩჩ..ვვ..ეენ..ამა... ზზეე ვისს..ააუბბბ.. რრეთ.

— რა თქმა უნდა, არა, — თქვა ბიძაჩემმა.

კაცი, რომელმაც ყველაფერი მითხრა და გამუდმებით ჩამჩიჩინებდა, რამე ილონე, თანაც სასწრაფოდო, — სადღაც აორთქლდა. გაოგნებული ვიყავი.

— ისკენდერ, შვილო, პოლიციას უნდა ჩაჰბარდე. პოლიციას ვეტყვი, რომ სწორედ ეს გითხარი, როცა დამირეკე. სამართალს ვერ გაექცევი!

უცებ დავეჭვდი, ბიძია ტარიქს ეს სიტყვები წინასწარ ჰქონდა მომზადებული. ნუთუ, ელოდებოდა ჩემს ზარს? რეპეტიციას გადიოდა, რას მეტყოდა ტელეფონში, რას გაუზიარებდა ბებერ ბილს, რას განაცხადებდა სასამართლოში... ყველაფერი გაეთვალა.

— შვილო, გესმის? მითხარი, სად ხარ.

ყურმილი დავკიდე. ქურთუკი გავიძვრე და სანაგვეში ჩავტენე. მერე ალბიონ-დრაივზე, კეიტის სახლში მივედი. სახლამდე ხშირად მიმიცილებია, მაგრამ შიგნით ნამყოფი არ ვიყავი. ზარი დავრეკე. ჩემდა საბედნიეროდ, კარგი თვითონ გამიღო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ალექს, რა მოულოდნელი სიხარულია, — თქვა მან. სახეზე ღიმილი გადაეფინა, — ოჰ, საყვარელო, ვიცოდი, ერთხელაც მოხვიდოდი.

შიგნით შემიყვანა. მისი თქმით, დედამისს გაუხარდებოდა, ბოლოს და ბოლოს, მათთან ცხოვრება რომ გადავწყვიტე. ჩამეხუტა. ჩვენ შორის მისი მრგვალი მუცელი იყო. სულაც არ ჰგავდა ოთხი თვის ორსულს. თითქოს ბურთი გადაეყლაპა.

კეიტის ვთხოვე, აბაზანა ეჩვენებინა. ხელები დავიბანე. სარკეში დანახული ჩემი თავი არაფრით განსხვავდებოდა სხვა დღეებში ნანახი ჩემი თავისგან. თითქოს ველოდი, სახე ან თვალები შემეცვლებოდა, მაგრამ ყველაფერი იგივე დარჩა. კიდევ ერთხელ დავიბანე ხელები, მძლავრად გავიხეხე. საპონს ვარდის სურნელი ასდიოდა. კარადა გამოვაღე და გამათეთრებელი ვიპოვე. ბოთლზე ლამაზი დიასახლისი ეხატა, ღრუბლებზე უფრო თეთრი ღიმილით. ხელისგულებზე ჭრილობები მეტყობოდა და ჯოჯოხეთურად მტკიოდა. ვაგრძელებდი ხეხვას. ფრჩხილებქვეშ რალაც მაჩნდა. ჭუჭყი? საღებავი? სისხლი? არ ირეცხებოდა.

კეიტი შემოვიდა რომ ეკითხა, ყველაფერი რიგზე არის თუ არაო. ისევ ჩამეხუტა და სარკეში ჩაიხედა. მე, ის და ჩვენი შვილი ვჩანდით. სიამაყით აივსო. შევნიშნე, ისეთივე ღიმილი ჰქონდა, როგორიც გამათეთრებლის დიასახლისს — კმაყოფილი.

ონკანი გადაკეტა.

— საკმაოდ სუფთა ხარ, საყვარელო.

სასტუმრო ოთახში გავედით. კეიტის დედა სავარძელში იჯდა ფანჯარასთან და იცდიდა. კაბა ეცვა, აბრეშუმის, ტელევიზორში რომ აჩვენებენ, ისეთი. სამეფო ლურჯი. დაჭორფლილი მკერდი უჩანდა. თმა ახალდავარცხნილი ჰქონდა, ტუჩები — წითლად შეღებილი. მისი თავი ყველაზე მდიდრულ რესტორანში სავახშმოდაც მზად იყო, რასაც ვერ იტყოდით სხეულის დანარჩენ ნაწილებზე, რომლებიც უფრო შინაურულ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხასიათზე იდგნენ. ვცადე, სახეში მეყურებინა და დაბლა არ შემეხედა.

მისის ევანსმა ჩინური ფაიფურის ფინჯნებში ჩაი შემომთავაზა. ხილის თბილი კვერებიც. მდუმარებაში მივირთმევდით. კედლებზე ჩარჩოებში ჩასმული ფოტოები ეკიდა, ათეულობით იქნებოდა. ზოგიერთში კეიტის მამა ამოვიცანი. არ მომეჩვენა გზას აცდენილ კაცად.

მისის ევანსი ჩემს ყოველ მოძრაობას აკვირდებოდა. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ფრჩხილებს მიმოწმებდა. ხელები დავმალე.

— ალექს, ჩემმა ქალიშვილმა მითხრა, თუ გოგო დაიბადება, გინდა, რომ მეგი დაარქვა, და თუ ბიჭი — ტომი.

კეიტის შევხედე. მზერა ამარიდა.

— ჰო, მგონი.

შემდეგ მისის ევანსმა მკითხა, — შენი აზრით, პასუხისმგებლობით თუ მოეკიდებოდი მამობასო. ვუპასუხე, რომ არ ვიცოდი, მაგრამ ყველაფერს ვილონებდი.

— ზოგჯერ „ყველაფერი“ საკმარისი არ არის, — აღნიშნა მან.

ტელევიზორში მოსმენილი ფრაზასავით ჟღერდა, ან ვილაცის მიერ მისთვის წარსულში ნათქვამივით. თქვა, დაგეხმარებითო — დროებით, რა თქმა უნდა — სანამ წელში გავიმართებოდით. ამას შვილიშვილისთვის აკეთებდა. პირველი შვილიშვილისთვის. გაელიმა. მარგალიტივით თეთრი და უნაკლო კბილები ჰქონდა.

ღამით კეიტიმ მითხრა, სხვადასხვა ოთახში უნდა დავიძინოთო. მე საცხოვრებელ ოთახში, ტახტზე მომიწევდა წოლა. დამპირდა, დროებითო. მალე დავქორწინდებოდით და საერთო საწოლი გვექნებოდა. სამუდამოდ.

სუფთა ზეწარი, ბალიში და საბანი მომიტანა. ნელა აიწია სვიტერი. ძუძუები დასივებოდა, ძუძუსთავები კი გაშავებოდა. ვენებსაც ვხედავდი — ლურჯს, დიდს, ამობურცულს. მთხოვა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყური მუცელზე დამედო. თავიდან ვერაფერი გავიგე, მერე კი მოძრაობა ვიგრძენი. თითქოს ვილაცა ღრმა ძილის შემდეგ გაიზმორა. ერთხელ, ორჯერ, ოთხჯერ. ჯადოსნური იყო. ნეტავ, ჩემზე ორსულობისას დედა თუ აიძულებდა მამას, მუცლისთვის ესმინა.

კეიტი გავწიე.

— მაპატიე, გამოძინება მჭირდება.

— რა თქმა უნდა, ძვირფასო.

მარტო დამტოვა. გავიშოტე და ირგვლივ მიმოვიხედე. ბადე ფარდები, ყვავილებიანი ბალიშები, წრეებიანი შპალერი, ბუხრის თაროზე ორნამენტებიანი ლარნაკი, დასადგმელი საათი. მეგონა, ვერასოდეს დავიძინებდი, მაგრამ, როგორც კი ბალიშზე თავი დავდე, სამყაროს გამოვეთიშე. გამთენიისას გამელვიძა. გვერდით კეიტი მედგა. სახე გაჰფითრებოდა, თვალები გაჰფართოებოდა.

— ალექს, — თქვა მან, — კართან ორი პოლიციელი დგას.

ავდექი და მისი თავი ჩემს ხელისგულებს შორის მოვიქციე. ვაკოცე. ტუჩები მარილიანი ჰქონდა, შიშის გემოთი.

— შენ გკითხულობენ.

დერეფანში გავედით. კეიტის დედა კართან იდგა, ღამის პერანგში. სახეზე კოსმეტიკური კრემი ეტყობოდა. ქვედა ტუჩი უკანკალებდა. ქალიშვილი თავისკენ მიიზიდა, თითქოს გადამდები დაავადება შემყროდა. პოლიციის მანქანის შუქები შევნიშნე. ორი ოფიცერი იყო. ერთ-ერთი ჯეიმს კალაჰანს ჰგავდა, თუმცა ის სათვალეს არ ატარებდა. ჯერ ვერ დავუნახეთ. კეიტის ვთხოვე, მათთვის ეთქვა, რომ ვიცვამდი.

გაქცევის გადაწყვეტილება გაცნობიერებულად არ მიმიღია. უბრალოდ, ასე მოვიქეცი. სამზარეულოში გავედი, კარი გავაღე, ბაღში გავიძურწე, ღობეს გადავახტი. სანამ კეიტი პოლიციელებს ესაუბრებოდა, მე უკვე გავცდი მის ქუჩას.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

• • •

1978 წლის ნოემბრის უკანასკნელი დღე. ის-ის იყო, ვაპირებდი, გადამეფიქრებინა, რომ ქუჩის კუთხეში შევნიშნე. საყიდლებიდან მოდიოდა, ხელში ჩანთები ეჭირა. ნელა მოსეირნობდა. სისხლი ამიდუღდა ვენებში. სახლიდან გამოსვლა ხომ ავუკრძალე.

ნაბიჯი შეანელა, ქუჩის მუსიკოსს მიაჩერდა, ჩემგან ზურგშექცევით. მის პროფილს დავაკვირდი. ილიმოდა. ზიზღი მომაწვა. განა არ ვუთხარი, გარეთ გასვლა აკრძალული გაქვს-მეთქი? არ ჩაიცვა ისეთი კაბები, ფეხებს რომ გიჩენს-მეთქი? და აი, ჩემს წესებს არაფრად აგდებდა, მამასხარავებდა.

უკან ავედევნე. მალა ზიის ვიტრინას უყურებდა, აშკარად, არსად ეჩქარებოდა. ვიფიქრე, საყვარელს ელოდებოდა, მაგრამ ასე არ მომხდარა. მერე ჩვენს ქუჩას მივუახლოვდით. ფეხი წამოჰკრა და ხელჩანთა დაუვარდა. ძველი, ხაკისფერი ჩანთა, ადრე არასოდეს მენახა. აღებისას შემნიშნა.

— ისკენდერ... — ჩურჩულით თქვა, თითქოს ჩემი სახელი დიდი საიდუმლო იყო.

ისკენდერ ტოპრაკი

ჯოხი და შეკვრა

ლონდონი, 1978 წლის ოქტომბერი

ორატორის პოვნა იმაზე ძნელი გამოდგა, ვიდრე ისკენდერს ეგონა. რამდენიმე კაფეს მიაკითხა, ერთი-ორი ზარი განახორციელა, მაგრამ ვერაფერს გახდა. მაშინღა გააცნობიერა, რაოდენ ცოტა იცოდა ამ კაცზე. მთელი ეს თვეები, ორატორი იწვევდა ისკენდერს შეხვედრაზე და არა პირიქით. წარმოდგენა არ ჰქონდა, სად ცხოვრობდა ორატორი ან თავი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სუფალ დროს რას აკეთებდა. ახსოვდა, ერთხელ თქვა, პოლიტექნიკური სასწავლებლის სტუდენტი ვარო, მაგრამ ზუსტად სად სწავლობდა, სხვა დანარჩენის მსგავსად, გამოცანად რჩებოდა.

თუმცა, მეგობრის მეგობრის წყალობით, ბოლოს, ბრიკლეინზე ერთი საომარი ხელოვნების ბინძურ სტუდიაში მიაგნო. შორტებში ჩაცმული ათამდე ახალგაზრდით იყო გარშემორტყმული, ერთად ისხდნენ მატრასზე, შენობის ფასადზე ჩამწკრივებული მტრედებივით. ზოგიერთ მათგანს მკერდზე ოფლის ლაქები აჩნდა, კისერზე პირსახოცები შემოეხვიათ. როგორც ჩანდა, სულ ცოტა ხნის წინ დაემთავრებინათ ვარჯიში და სანამ საშხაპეებისკენ გაემართებოდნენ, რაღაც მნიშვნელოვნის განსახილველად შეკრებილიყვნენ. მათკენ მომავალი ისკენდერის დანახვაზე დადუმდნენ, დაუფარავი უნდობლობით შეათვალიერეს.

— არა უშავს, — ორატორმა მათ თვალი ჩაუკრა, — ვიცნობ.

ისკენდერს არც თვალის ჩაკვრა მოეწონა და არც ტონი, მაგრამ მაინც ყველას მიესალმა. თავი გვერდით გადახარა, ოდნავ გაიღიმა და მოკლედ შესძახა:

— ჰეი!

ცოცხლად წამოხტა ფეხზე და მარჯვენა ხელი გულზე დაიდო.

— სალამუნ ალეიკუმ, ძმაო. ხომ არ შემოგვიერთდებოდი?

— არა, გმადლობ. მე... მე ერთ ადგილას უნდა წავიდე. მოვედი რომ მოგიკითხო და ის ჩანაწერები დაგიბრუნო, ბოლოს რომ მათხოვე.

ორატორმა მეგობრების გასაგონად რაღაც ჩაიბურტყუნა და მისკენ გამოემართა. ისკენდერმა შენიშნა, ზამთრის პალტოსა და სვიტერების გარეშე როგორი მომცრო ტანისა ჩანდა ორატორი. ვიწრო მხრები, წვრილი მაჯები, ოდნავ გაღუნული ფეხები.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— არ იყო საჭირო ამხელა გზის გამოვლა.

— არა უშავს, — თქვა ისკენდერმა. ჯერაც არ იცოდა, რატომ მივიდა იქ.

— ლაპარაკი ხომ არ გინდა?

— კ... არგი. ერთი-ორი წუთით.

წყნარი კუთხისკენ გასწიეს და ჩამოსხდნენ. მათ პირდაპირ სავარჯიშო მოწყობილობები ელაგა. უყურეს, მოკლე, სქელი კაცი როგორ ოხრავდა იმაზე მეტი წონის ქვეშ, რისი აზიდვაც შეეძლო. ოფლში ცურავდა, ლოყებზე წითელი ლაქები აჩნდა, მკლავებში ძალა თითქმის გამოლეოდა.

ისკენდერმა შეპარვით შეხედა ორატორს და ჩაილულლუღა:

— არ ვიცოდი, თუ ვარჯიშობდი. რას მისდევ?

— ოჰ, ტაე-კვონ-დოს. დიდი მებრძოლი არ ვარ. საჩემო არ არის. მე იდეების კაცი ვარ.

— მაშინ, აქ რატომ დადიხარ?

— იმიტომ, რომ ჩვენნაირმა ხალხმა უნდა იცოდეს, თავი როგორ დაიცვას. გაიგე, გუშინ ნორთ-ენდში რა მოხდა? ოთხი სკინჰედი ბენგალელ მაღაზიის მფლობელს დაესხა თავს. ოთხი ერთის წინააღმდეგ. ძალიან სამართლიანია, არა?

— არ გამიგია.

— მიწაზე დააგდეს, თავი გადაჰპარსეს და ზედ იდიოტური სიმბოლოები დაახატეს. საწყალი კაცი ისე შეშინდა, ცუდად გახდა. ცოლი შეუჩერებლად ტირის, — წუთით გაჩუმდა და ჩაისუნთქა, — შენ მაინც იცი, თავი როგორ დაიცვა.

ისკენდერმა თავი დაუქნია, თუმცა ზუსტად არც იცოდა, კრივით რატომ დაინტერესდა. წარმოსახვითი ან რეალური მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად ნამდვილად არა. უფრო იმიტომ, რომ სპორტის სხვა სახეობები დადგმულად და ზედმეტად სანახაობრივად ეჩვენებოდა. კრივი კი გულწრფელი იყო, ნამდვილი. კრივი ერთი-ერთში ასახავდა ცხოვრებას. მარტო გიწევდა რინგზე დგომა. არანაირი გუნდური ძალა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არანაირი შემცვლელები. ყველა თავისთვის. სიკეთე, ბოროტება, ამაღლება, დაცემა, სიხარბე და წყალობა. ყველაფერი იქ იყო. თუ ადამიანის ხასიათის ამოცნობა გსურდა, უნდა გეყურებინა, კრივში როგორი იყო.

ორატორმა თქვა:

— გადასარევი მოკრივე ხარ. თითქოს ამისთვის ხარ დაბადებული.

— საიდან იცი? არასოდეს გინახავვარ რინგზე.

— მინახავხარ, სხვათა შორის. ჩუმად გიყურე ორჯერ. რისკიან შერკინებებს არ ერიდები და ძლიერად იცავ თავს. თითქოს იცი, საიდან გელის მორიგი დარტყმა. იშვიათი ნიჭია, მხოლოდ დაბადებიდან დაჰყვება ადამიანს.

ისკენდერმა არაფერი თქვა, არ იცოდა, ეამაყა თუ გაღიზიანებულიყო.

ორატორი მცირე ხნით შეჩერდა, ისკენდერს თვალს არ აცილებდა.

— ალექს, დიდი ხანია, რაღაცის კითხვა მინდოდა. რას იტყოდი ჩვენთვის კრივის სწავლებაზე? ძმები ბევრს მოიგებენ, თუ შენგან ისწავლიან.

ისკენდერმა ამოისუნთქა და ჩაფიქრდა.

— არ ვიცი, ძმაო. მარტო მიყვარს ჩხუბი.

ორატორს სახე მყისიერად მოექუფრა.

— მისმინე, გულახდილი ვიქნები. მარტო ყოფნა გირჩევნია, ამას ვხედავ. არანაირი ვალდებულებები, ეგრე გირჩევნია. მაგრამ ნუ გავიწყდება, დიდი მებრძოლები შიგნიდანაც და გარედანაც დიადები არიან. უფრო მტკიცე ღირებულებები რომ გქონდეს, დაუმარცხებელი იქნებოდი.

— არ მინდა, დაუმარცხებელი ვიყო.

— აბა, რა გინდა? — მბრძანებლურად ჰკითხა ორატორმა, გამომწვევად.

ისკენდერს არასოდეს დაუსვამს საკუთარი თავისთვის ეს შეკითხვა, ამიტომ პასუხი არ ჰქონდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რატომ მოხვედი აქ, ჩემთან? — დაიჟინა ორატორმა, — იმიტომ, რომ გულის სილრმეში შენც იცი, მოთხოვნილება გაქვს, რაღაცის ნაწილი იყო. ცხოვრების მიზანი გჭირდება, ახალი მიმართულება. შემოგვიერთდი.

ისკენდერს გაუჭირდა ისეთი რამის მოფიქრება, თავი რომ დაეღწია. პალტო გაიხსნა და ნათხოვარი ჩანაწერები ამოიღო.

— მოუსმინე?

— ჰო.

ორატორმა ჩაიცინა.

— ის ბროშურები, რაც მოგეცი, არ წაგიკითხავს. არც ერთი. ახლა ჩანაწერებიც — ზედმეტს გთხოვ?

— მისმინე, სულ ჩემს ძმასა და დას აქვთ მაგნიტოფონი. რაღაც ნაწილებს მოვუსმინე. რაღაცები მომეწონა. აი, ძმობაზე რომ იყო. ერთი ჯოხი იოლად ტყდება, მაგრამ შეკვრა გაუტეხელია.

— მაგრამ?

— მაგრამ არ ვიცი... მგონი, ბევრი რამ ხდება ჩემს ცხოვრებაში. ჩემი შეყვარებული რთულ მდგომარეობაშია...თან ოჯახურ ამბებს უნდა მივხედო.

ორატორს არაფერი უთქვამს. მან იცოდა, ისკენდერი ისეთი ბიჭი იყო, თუ ნაკლებს ჰკითხავდი, უფრო მეტს გაიგებდი.

— შენი ნათქვამი გულზე მომხვდა, — თქვა ისკენდერმა, — თუ მშობლები ცდებიან, უნდა შეეწინააღმდეგო, ასე არ არის?

— ჰო, მაგრამ არასწორად ნუ გამიგებ. მე ვიგულისხმე, რომ თუ მშობლები უფალს არ ცნობენ, მათ წინ ღმერთი უნდა დააყენო. უფალი ხომ მშობლებზე დიდია. თუმცა, სიფრთხილე გმართებს. თუ თვითონაც ვერ შეიცანი ღმერთი და მშობლებიც უარყავი, ჰაერში დარჩები გამოკიდებული. ვერაფერი გიშველის.

— ვთქვათ, ვილაც ჩემი ახლობელი... — ისკენდერმა ნიკაპამდე აიწია ელვაშესაკრავი, — ანუ, ჰიპოთეტურად ვამბობ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩემი ოჯახის წევრი რომ სცოდავდეს, მე როგორ უნდა მოვიქცე, ამის გარკვევას ვცდილობ.

ორატორი გახევდა, იგრძნო შეკითხვის სიმძიმე. ისკენდერს გამჭოლი მზერით აკვირდებოდა. მაშინღა შენიშნა, ტუჩის კუთხე ნერვიულად როგორ უტოკავდა და ფრჩხილებს იკვნეტდა. ჰკითხა:

— ვინ, მაგალითად?

— ვთქვათ, დედაჩემი.

უხერხული სიჩუმე ჩამოწვა.

— მამაშენს უნდა დაელაპარაკო. მისი ვალი უფროა, ვიდრე შენი. მაგრამ თუ ის არ... მაშინ შენზეა. მე არასოდეს მივცემ დედას, დას ან ცოლს უფლებას, რომ შემარცხვინონ.

— მაგრამ მე რა შემიძლია? — იკითხა ისკენდერმა.

— ვერ გეტყვი, რა უნდა ქნა, სანამ სრულიად არ მომენდობი. გესმის, რას ვამბობ? მოდი, შემოგვიერთდი, რაღაც დიდის ნაწილი გახდი. სწორი გზა ეს არის. ყველა შენს შეკითხვაზე პასუხს იპოვი.

— მმმმ... დავფიქრდები.

— მიდი, გადახარშე, მაგრამ ძალიანაც ნუ გაწელავ. შეიძლება, რამე მოხდეს, სანამ შენ ფიქრებში იქნები გართული.

* * *

იმავე საღამოს ისკენდერი კლუბის შესასვლელთან იდგა. აქამდე არასოდეს ყოფილა იმ ადგილას. გონებაში იმდენჯერ წარმოიდგინა ის სცენა, რომ ლამის ეცნო. ერთი ნაბიჯი ძლივს გადადგა, მაშინვე მასზე ორჯერ დიდმა მცველმა შეაჩერა. ლილისფერი პიჯაკი ეცვა, მზის სათვალე ეკეთა, თუმცა მზე ციდან დიდი ხნის გამქრალი იყო, კვერცხივით მოტვლეპილი თავი ჰქონდა და ისეთი მოკლე და სქელი კისერი, გეგონებოდათ, თავი პირდაპირ მხრებზე დაადგესო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რამდენი წლის ხარ, ბიჭო?

— საკმარისი წლოვანების, — მხნედ უპასუხა ისკენდერმა.

— ეგ პასუხი არ მეყოფა.

— არ ვიცი, რა გეყოფა, მაგრამ უნდა შევიდე.

მცველმა, უფრო გაოცებისგან, ვიდრე სიბრაზისგან, სათვალე მოიხსნა. სახესთან შედარებით წვრილი თვალები აღმოაჩნდა, რთულად წასაკითხი.

— ჩემს მოთმინებას სცდი, ბავშვო? გაფრთხილებ, უკვე იწურება.

ისკენდერს ლოყები აუხურდა. მცველი იოლად დასცემდა ძირს, მაგრამ რატომღაც ჩათვალა, რომ არც ისეთი საშიში იყო, როგორიც ჩანდა. ყეფს, მაგრამ არ იკბინება. ამას გუმანით ხვდებოდა, ჩხუბში გუმანს არასდროს მოუტყუებია.

— მამაჩემს ვეძებ. დანაშაულია?

მცველს სახეზე ცნობისმოყვარეობის ჩრდილმა გადაურბინა.

— აქ მუშაობს მამაშენი?

— არა, მაგრამ მამაჩემის საყვარელი მუშაობს.

მცველმა ღრმად ჩაისუნთქა.

— აჰა, იმედი გაქვს, იმ ქალს შენც გაგაცნობს?

— არა! ეგ რატომ უნდა მინდოდეს?

— უბრალოდ გკითხე. მამაშენზე რას იტყვი? რამე უთანხმოება ხომ არ გაქვს?

— შარს არ ვეძებ. მხოლოდ მამაჩემთან საუბარი მინდა, სულ ეს არის.

მცველმა სათვალე გაიკეთა.

— სამი წუთი გაქვს და არც ერთი წამით მეტი. შეხვალ, მოძებნი მამაშენს და გამოიყვან. სამ წუთში თუ არ დაბრუნდები, შემოვალ და ფეხებს დაგამტვრევ. გასაგებია?

— სულ ეგ მინდოდა, გმადლობ.

ისკენდერმა კლუბში რომ შეაბიჯა, ხელები ჯიბეებში ჩა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ინყო და შუშის მათარა მოსინჯა. სასწაული იყო, მცველმა რომ არ გაჩხრიკა. თხევადი მჟავა. პრაქტიკული და ეფექტური. იმ ქალს დაუმიზნებდა სახეში და მორჩა. მამამისს მისი დანახვა ალარ მოუნდებოდა, არც სხვა რომელიმე კაცის.

ღმერთმა უწყის, რამდენჯერ წარმოიდგინა ის წუთი. შევიდოდა ხმაურიან, კვამლიან, გადაჭედილ და უჰაერო კლუბში. ბარისკენ გასწევდა და დასალევს იყიდდა. ალბათ ვისკის. ყინულით. სწორი არჩევანი იქნებოდა. ორ ყლუპად დალევდა და მერე, ჯერ კიდევ ამწვარი ყელით, სცენის უკან გავიდოდა. ოფლითა და სუნამოთი აყროლებულ ვიწრო დერეფნებს გაუყვებოდა. მისი ოთახის საპოვნელად დიდი დრო არ დასჭირდებოდა. დააკაკუნებდა კარზე წარწერით „როქსანა“, მაგრამ პასუხს არ დაელოდებოდა და შევიდოდა.

„ვინ ხარ?“ — იკითხავდა ქალი. ხმაში განგაში შეეტყობოდა. სახე მოხატული ექნებოდა, ტუჩები სისხლივით წითელი, ხალათიდან ძუძუები გამოუჩნდებოდა.

მე იმ კაცის ვაჟი ვარ, ოჯახს რომ მოსტაცე.

ეს წინადადება ყოველ ჯერზე იცვლებოდა. ზოგჯერ ამბობდა: „შენ არ მიცნობ, მაგრამ მე კარგად გიცნობ“, ზოგჯერ კი: „ეგ მე უნდა გკითხო. ვინ ხარ, ოჯახს რომ გვინგრევ?“

ქალის რეაქციაც განსხვავდებოდა. უმეტესად, შერცხვენილი იქნებოდა, ზოგჯერ კი სცენას გამართავდა, აფორიაქდებოდა. წარმოიდგენდა, ქალი მაღალქუსლიან ფეხსაცმელს ისროდა, შამპანურის ჭიქას ლეწავდა. ისკენდერმა თითოეული ვერსია წარმოიდგინა. თუ ქალი აგრესიულად მოიქცეოდა, ბიჭი ჯიბიდან მჟავას ამოიღებდა, ხოლო თუ სინდისი შეაწუხებდა, მაშინ მეორე შანსს მისცემდა.

ზოგჯერ კი წარმოიდგენდა, რომ ქალი იატაკზე/ტახტზე/ხალიჩაზე/შეზლონგზე გაერთხმებოდა და ცრემლები გადმოსცვივდებოდა. მრავალ ვარიანტს შორის, სწორედ ეს იყო ისკენდერის რჩეული.

„ოჰ, არ ვიცოდი, ცოლი თუ ჰყავდა, — იტყოდა აქვითი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნებული ქალი, — არ ვიცოდი, ოჯახი თუ ჰყავდა. ჩემთვის არასოდეს უთქვამს“.

ამ წარმოდგენაში ისკენდერს მჟავიანი ბოთლი არ ამოჰქონდა ჯიბიდან. პირიქით, ანუგეშებდა. ის სიტყვას მისცემდა, ადემს აღარასოდეს ვნახავ და დაპირებას სიბერემდე შევინახავო.

გონებაში ასეთი ფიქრები უტრიალებდა. კლუბი მოათვალიერა. მისდა გასაოცრად, ბევრი ხალხი არ დახვედრია, უმეტესად იქ მომუშავეები მიდი-მოდიოდნენ. პროფესიონალი მოთამაშეებისთვის ჯერ კიდევ ადრე იყო. ბარისკენ გასწია, რომელსაც, წლების განმავლობაში ჩამოსხმული ასობით ბოთლისგან, ბუნებრივად ტკბილი სურნელი ასდიოდა. დიდი, ოვალური უკანა სარკე, ნეონის განათებით. სლიპინა, მბზინავი ხის დახლი. ისკენდერმა მყარ ზედაპირზე ამოჩორკნილ სიმბოლოებსა და ტექსტებს გააყოლა თითი.

ბარმენი, აფროკარიბელი კაცი დაწნული თმით, ჭიქას ამშრალებდა. ბიჭი აელვარებული თვალებით შეისწავლა.

— რამდენი წლის ხარ?

— სრულწლოვანი ვარ, — თქვა ისკენდერმა.

— აჰა. შენი პირადობა მანახვე, ბატონო სრულწლოვანო.

— ჰეი, რაკი აქ ვარ, ესე იგი, სრულწლოვანი ვარ. აბა, ის ვეებერთელა ტიპი, შესასვლელში რომ დგას, ხომ არ შემომიშვებდა?

— კარგი პასუხი იყო, — თქვა ბარმენმა, — ერთ ჭიქა წყალს დაგისხამ. გაზიანს, ყინულის გარეშე. ამაზე მეტს ვერ მიიღებ ჩემგან.

ისკენდერმა წყალი მოწრუპა და სცენის წინ დადგა. ორივე მხარეს ფარდებს აკვირდებოდა. ის ქალი უკან იდგა? უნდა წასულიყო და მოეძებნა? კიდევ ერთხელ მოსინჯა ბოთლი ჯიბეში. შეხებისას თითებქვეშ ერთდროულად ცივი და თბილი შეგრძნება დაეუფლა. ჯერ კიდევ გეგმავდა მომდევნო ნაბიჯს, თავს ამხნევებდა, როცა მცველი შენიშნა, რომელიც მას

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეძებდა. კაცმა მაჯის საათზე დააკაკუნა თითი, არ ილიმოდა, არ უთმობდა. ისკენდერმა წყალი ბოლომდე დალია, ბარმენს მადლობა გადაუხადა და წავიდა. გეგმა ჩაეშალა.

ტროტუარზე იცდიდა, თავბრუ ესხმოდა. თითქოს უსასრულობა გავიდა, სანამ მისკენ მომავალი კაცი შენიშნა. დაუვარცხნელი თმით, თავჩალუნული, ფრთხილი ნაბიჯებით მომავალი. თითქოს ეშინია, ფეხები არ წაერთვასო. ბიჭი არ შეუნიშნავს, ისე ჩაუარა.

— მამა...

ადემი შეჩერდა და მოტრიალდა. სახე გულწრფელმა ღიმილმა გაუნათა, მაგრამ გამომეტყველება მალე შეეცვალა.

— ისკენდერ... შენს ძმას ან დას რამე ხომ არ შეემთხვათ?

— არა. კარგად არიან, მართლა.

წამით, გულზე მოეშვა ადემს, მაგრამ მერე ეჭვი შეუჩნდა, ეჭვს კი გაღიზიანება მოჰყვა.

— აქ არ უნდა იყო.

ესეც ვერ გაითვალისწინა ისკენდერმა. ის დაუშვა, რომ მამამისი მის დანახვაზე აფორიაქდებოდა, მაგრამ თუ გაბრაზდებოდა, ვერც კი წარმოედგინა. ისკენდერს მშვიდი სახე წამოენთო.

— არც შენ.

ადემს ტუჩები დაეღრიცა და თვალებიდან ცეცხლი გადმოაფრქვია.

— ენას კბილი დააჭირე, ბიჭო. ვინ მოგცა ჩემთან ასე საუბრის უფლება.

— მინდა, რომ სახლში წამოხვიდე, მამა, — თქვა მან.

ადემს არ გამოჰპარვია, როგორ გამოკვეთა ისკენდერმა ბოლო სიტყვა.

— დედაშენთან დაბრუნდი, სანამ ძვლები დამილეწია შენთვის.

— დღეს რას გადაეკიდეთ ყველანი ჩემს ძვლებს?

მცირე ხნით სიჩუმეში იდგნენ. ორივე თავის ფიქრებში

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩაეფლო. ერთმანეთს თვალს არ აცილებდნენ, ელოდებოდნენ, რომელი დაილაპარაკებდა პირველი. იმწუთას ადემი შემზარავმა შეგრძნებამ მოიცვა, თითქოს სარკეში იცქირებოდა, თავის ახალგაზრდობას უყურებდა. ვაჟი ძალიან ჰგავდა, მაგრამ პრივილეგია ჰქონდა, თავისუფალი იყო უმოქმედობისა და შფოთისგან, რაც ადემს ასე ძვირად დაუჯდა.

— დავბრუნდები, როცა ამის დრო მოვა, — ბოლოს და ბოლოს.

— და ეგ როდის იქნება? როცა მოგბეზრდება ის ბოზი...

სილის გაწნა მოულოდნელობა იყო. მამამისის რეაქციაზე მეტად საკუთარმა სიტყვებმა გააოგნა. ვერ იჯერებდა, რომ ასე დაილაპარაკა. მსგავსი საუბარი მთელ მის აღზრდას ეწინააღმდეგებოდა.

მცველი დარტყმას შეესწრო და მათკენ მიტრიალდა.

— ჰეი, თქვენ ორნი. დაშოშმინდით, თორემ პოლიციაში დავრეკავ.

— არაფერია, — ჩაილულლუღა თავისთვის ისკენდერმა. თვალებში იდუმალი სხივი, არნახული ნაპერწკალი აუკიაფდა.

მშვიდად, ზედმეტად მშვიდად, მამამისს მიუბრუნდა და უთხრა:

— მეორედ თუ დამარტყამ, მეც დაგარტყამ. იცოდე, მე უფრო ძლიერი მუშტი მაქვს.

ადემი გაფითრდა. წუთით, ისეთი მწვავე ტკივილი იგრძნო მკერდში, ძლივს ამოისუნთქა. მხოლოდ გაოგნება, სევდა და სირცხვილი კი არ დაატყდა თავს, შვილმა რომ უცხოების თვალწინ შეურაცხყო, არამედ რაღაც უფრო ღრმა, უფრო მტკივნეული. დაგვიანებული აღიარება. ახლა მიხვდა, სწორედ ასე უნდა მოქცეულიყო წლების წინ, როცა საკუთარი ბაბა სცემდა. სცემდა მაშინაც, როცა ადემი უკვე მასზე მაღალი იყო. აუტანელი სინანული იგრძნო.

ისკენდერისკენ გადადგა ნაბიჯი და კიდევ ერთხელ გააწნა სილა, ამჯერად უფრო ძლიერად. და მაშინ მოხდა ყველაზე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საზარელი რამ: ისკენდერმა დაჭრილი ნადირივით დაიყმუვლა და მთელი ძალით კლუბის კედელს შეახეთქა თავი. შუბლი დაარტყა. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ.

ადემმა სცადა, დაეშოშმინებინა, მაგრამ ამაოდ.

— არ მომეკარო, — დაიღიალა ისკენდერმა.

მცველმა მოაცილა კედელს. ისკენდერი საკუთარი თავისთვის ტკივილის მიყენების ისეთ დაუძლეველ სურვილს მოეცვა, რომ ვერ აკავებდნენ. მცველს მხარში კბილები ჩაასო, სანამ სისხლი არ წასკდა. ფეხზე დააბიჯა და თავი უკან ისე გადაიქნია, რომ მცველს ნიკაპში მოარტყა. კაცი მსგავსს არაფერს მოელოდა. წონასწორობა დაკარგა, სახე გაუწითლდა. საპასუხოდ, თავს დაესხა.

ადემმა სცადა, გაეშველებინა.

— არა, არა, გთხოვთ. ჩემი შვილია.

ირგვლივ ხალხი შეიკრიბა.

კლიენტები, ოფიციანტები, მოცეკვავეები. მათ შორის როქსანაც იდგა, რომელიც გაფართოებული თვალებითა და დამძიმებული გულით შესცქეროდა სანახაობას.

როცა ერთმანეთს საბოლოოდ გააშველეს, მცველი კანკალებდა.

— თქვენ ორნი აქ არ დაგინახოთ. გაიგეთ? თუ დაგინახავთ, ღმერთს გეფიცებით, ისე გცემთ, რა დღეა, არ გეცოდინებათ.

— წამო, წავიდეთ, — ადემმა ფრთხილად, მაგრამ მტკიცედ ჩაავლო შვილს მკლავში ხელი.

რამდენიმე წუთი ჩუმად მიაბიჯებდნენ. თვალს რომ მიეფარნენ, ლამპიონის ქვეშ, ტროტუარზე ჩამოსხდნენ. ისკენდერი მძიმედ სუნთქავდა, პირში სისხლის გემოს გრძნობდა.

— დედას საყვარელი ჰყავს, — დაქანცული ხმით თქვა.

— რა?

— ხომ გაიგე, რაც ვთქვი, — უპასუხა ისკენდერმა, — სახლში უნდა დაბრუნდე და გამოასწორო ყველაფერი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ადემმა სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა და შვილს შესთავაზა. ისკენდერის გაოცებული სახის დანახვისას თქვა:

— კარგი, რა. ვიცი, რომ ეწევი.

კიდევ ერთი სიგარეტი აანთო, ამჯერად თავისთვის. გვერდიგვერდ ეწეოდნენ. სუსხიანი ღამე იყო, ულიმღამო, მაგრამ შესაძლებლობებით სავსე.

— უყვარს? — იკითხა ადემმა.

ისკენდერი ყურებს არ უჯერებდა.

— მამა, რას მეკითხები?

ადემმა შვილს მუხლზე დაადო ხელი.

— მისმინე, ვიცი, არ გესმის. ათი წლის წინ გავცოფდებოდი. ყველაფერს ვილონებდი ამის აღსაკვეთად. მაგრამ ახლა უკვე ვიცი, დედაშენს თავს ვერ შევაყვარებ. რამდენჯერმე მთხოვა განქორწინება. ყურად არ ვიღე, არადა, სწორი საქციელი იქნებოდა.

სიტყვა „სიყვარულის“ მოსმენა მამამისისგან ისკენდერისთვის გამაოგნებელი აღმოჩნდა. მართალია, ხშირად დაფიქრებულა, რატომ შეუღლდნენ მისი მშობლები, მაგრამ საქმე სიყვარულს აღარ ეხებოდა. ადემი მამამისი იყო, ოჯახის თავკაცი და არა გრძნობებს აყოლილი მოზარდი.

— მაგრამ, მამა...

— მისმინე, ერთ მეთაურს ვიცნობდი, რომელმაც ერთხელ მითხრა, კაცის სიყვარული მის ხასიათს გამოხატავსო. მაშინ ვერ მივხვდი, რას ნიშნავდა, ახლა კი ვიცი, — ადემმა ნესტოებიდან კვამლი გამოუშვა, — გგონია, დედაზე გაბრაზებული არ ვარ? ვარ, როგორ არა. მაგრამ ჩემს თავზე უფრო ვბრაზობ. ერთმანეთი არასოდეს გვყვარებია. ჩვენი ქორწინება დიდი შეცდომა იყო, მაგრამ არ ვნანობ, რადგან შენ, ესმა და იუნუსი გაჩნდით.

მერე კი ისეთი რაღაც მოხდა, რაც მაშინ ადემმა სერიოზულად არ აღიქვა, წლების შემდეგ კი ცხადად გაიხსენებდა, გულის გამგმირავი სინანულით. ისკენდერმა სიგარეტი მოქა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩა, უყურა, ღერის ულონო სინათლე როგორ ცდილობდა, გარემომცველ სიბნელეს შებრძოლებოდა და თქვა:

— შენ თუ არაფერს იზამ, მე მივხედავ ამ ამბავს.

თოკი

ლონდონი, 1978 წლის ოქტომბერი

პემბე უკვე კარგად ნაცნობ კინოთეატრს სწრაფი ნაბიჯებით მიუახლოვდა. მისი დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი ტროტუარზე კაკუნობდა, მონოტონური, თანაბარი ხმით. არც მაღლა აუხედავს, არც ირგვლივ მიმოუხედავს, მზერა მიწისკენ ჰქონდა მიპყრობილი. თითქოს ბავშვი იყო და ამ თამაშით ერთობოდა. თუ სამყაროს არ დაინახავდა, იქნებ, სამყაროსაც არ დაენახა ის.

ყოველ ჯერზე განზრახ იგვიანებდა, კინოში ხუთი ან ათი წუთით გვიან მიდიოდა, როცა ფილმი უკვე დაწყებული იყო. ამით მცირდებოდა შანსი, ვინმეს მასთან ერთად დაენახა. თუმცა, ბოლო დროს ნაკლებად ფრთხილობდა. ორჯერ ერთად გამოვიდნენ კიდეც ქუჩაში, ერთხელ ყვავილების საყიდლად, მეორედ — ქუჩის მუსიკოსის მოსასმენად. ამჯერადაც აფორიაქებული იყო, როგორც ყოველთვის, მაგრამ უცნაურ სურვილს გრძნობდა — ხმას სწადდა, გაჟღერებულიყო. მსგავსი არაფერი გამოუცდია, ამიტომ არ იცოდა, რა ეღონა ამ კადნიერებისთვის, რომელიც თან იყო მისი ნაწილი და თან — არა.

პემბეს რუხი პალტოს რამდენიმე ძაფი კარს გამოედო, როცა სწრაფად შეაღო. შენობაში შევიდა, ბინძური საფერფლეების სუნი შეიყნოსა და სასუსნავების ბარიდან კარაქიანი პოპკორნის, ტკბილეულისა და ჩიფსების ნაცნობი სურნელი იგრძნო. დალაქავებულ ხალიჩაზე ამოქარგული ხვეულები, თუ დიდხანს უყურებდა, თავბრუს ახვევდა. ყველაფერი უცნა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ურად სანუგეშო ეჩვენა. როგორც კი ფოიეში შეაბიჯა, მაშინვე სიმსუბუქემ მოიცვა. თავს წყნარად, დაცულად გრძნობდა. დედამიწამ ბრუნვა შეწყვიტა და პემბესაც იგივე უკარნახა. ქალმა ნება დართო გარემომცველ წუთს, მომავლის მიმართ ყველა შიში გაეფანტა.

ახალგაზრდა შვეიცარმა ბილეთი შეუმოწმა, მერე კარი გაუღო და ანიშნა, უკან გაჰყოლოდა. ფილმი უკვე დაწყებული იყო. შიგნით ნახევრად ბნელოდა, დარბაზი ეკრანიდან გადმოღვრილ ვერცხლისფერ შუქში ბანაობდა. პემბე შვეიცარის ფარანს გაჰყვა, თან აქეთ-იქით იხედებოდა. შიგნით ათი თუ თხუთმეტი ადამიანი იჯდა. უჩვეულო დაძაბულობა იგრძნო.

ელიასი ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილას ჯდებოდა. შუა რიგში, შუა სკამზე. ერთხელ, ვიღაც სხვამ დაიკავა ის ადგილი, რის გამოც პემბეს უცნობის გვერდით მოუწია დაჯდომამ.

— გამარჯობა, ძვირფასო, — უცხო კაცი გაიკრიჭა. შეშინებული პემბე ფეხზე წამოიჭრა და წინა რიგში გადაჯდა, სადაც ელიასი ელოდებოდა.

ახლა კი პემბე ფრთხილად მიიწევდა წინ, ცდილობდა, არ წაებორძიკა და-ცარიელ რიგებს უვლიდა გვერდს. მაყურებელს შორის მოხუცი წყვილი შენიშნა, ხელი ჩაეკიდათ და ფილმს აღტაცებით შესცქეროდნენ. სცადა, წარმოედგინა როგორ ისხდებოდნენ თვითონ და ელიასი ასე, ბებრები, დაძაბუნებულები, მაგრამ კვლავ ერთმანეთზე შეყვარებულები. ოცნებაშიც კი ეს არარეალურად ეჩვენა.

კიდე-კიდე დაბნეულ სიარულში სრულიად გამოეპარა კაცი, რომელიც ბოლო რიგში მოკალათებულიყო. კაცი იმალებოდა, თავი გვერდზე გადაეწია, ჩრდილს ჰგავდა. სიბნელეში იჯდა, უყურებდა, იცდიდა.

ფარნის კარამელისფერი შუქი რიგთან შეჩერდა. იქ, შუაში, მარტო ელიასი იჯდა, თვალებში მოლოდინით, რომელსაც ცდილობდა, არ აჰყოლოდა. პემბემ შვეიცარს მადლობა გადა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უხადა და თავისი ადგილისკენ სუნთქვაშეკრული შეცურდა. ელიასი ღიმილიანი სახით მოტრიალდა. ხელი მისკენ გაიწვდინა და მისმა თითმა ქალის თითის წვერებს გადაურბინა, თითქოს ბრმა იყო, რომელიც საყვარელ ადამიანს შეხებით ცნობდა. პემბეს ხელი ნაზად მოუჭირა. ქალმაც იგივე გაიმეორა. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში, ისინი დაოსტატდნენ ჟესტებსა და მოკლე სიტყვებში. პემბეს გული სწრაფად უცემდა. ჯერაც არ შეუხედავს კაცისთვის. ესეც ბავშვური თამაშივით იყო. თუ არ შეხედავდა, ხილული არ იქნებოდა და თუ ხილული არ იქნებოდა, ვერც ვერასოდეს გაქრებოდა.

ერთად უყურეს ფილმს „კარგი, ცუდი, ბოროტი". პემბეს იქამდე არ ენახა, ელიასს — კი. მათი პირველი ხმოვანი ფილმი იყო. წინაკვირას კინოთეატრს ამოეწურა მუნჯი ფილმების მარაგი და კლასიკური სპაგეტი-ვესტერნების სერია გაუშვა. რადგან უკვე შეთანხმდნენ იქ შეხვედრაზე და ადგილიც მოსწონდათ, გეგმები აღარ შეცვალეს. თანაც, ელიასმა ჩათვალა, პემბე იოლად გაიგებდა ფილმს, რადგან მცირე დიალოგები და ლაკონიური პერსონაჟები იყო.

სულ რამდენიმე წამში პემბე უკვე ფილმზე გადაერთო. უყურებდა, გმირები ხათაბალებში როგორ ეხვეოდნენ, როგორ იწვევდნენ და იცდენდნენ ათასგვარ ხიფათს. როდესაც ცუდმა იკითხა: „თუ იმისთვის მუშაობ, რომ იცოცხლო, რატომ იკლავ თავს მუშაობით?" — პემბემ თვალები დახარა და ნათქვამზე დაფიქრდა, რომ შინაარსს ჩასწვდომოდა. როდესაც ცუდმა კარგს უთხრა, დიდად არ განვსხვავდებითო, ქალი შეკრთა. ბოლო დროს ხშირად ფიქრობდა კეთილისა და ბოროტის მნიშვნელობაზე. ტყუპისცალი დის წერილებმა უბიძგა. მათ შორის ჯამილა იყო პატივსაცემი, უბიწო, სათნო და შეუდრეკელი, თვითონ კი ცუდი, უწმინდური. თუმცა ყოველთვის ასე არ გახლდათ. როგორ სწრაფად იცვლებოდა ყველაფერი. მარადიული არაფერი იყო, ცხოვრება შეუჩერებლად მიედინებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როცა ტუკო ვირზე შეჯდა, ყელზე ყულფგამობმული, თავის ჩამოსახრჩობად, პემბე დაიზაფრა. თავი გვერდით მიატრიალა. წამის მეასედში იფიქრა, უკანა რიგიდან ვიღაც მითვალთვალებსო, მაგრამ ისევ რომ მიიხედა, ზედმეტად ბნელოდა და ვერაფერი დაინახა. მერე ბოროტის ნათქვამი მოესმა: „ყელზე თოკმობმული ადამიანებისგან ყველა არ არის ჩამოხრჩობისთვის განწირული“.

პემბემ თვალები დახუჭა. ერთი შემზარავი წუთით წარმოიდგინა, რომ სხვა დროსა და სხვა ადგილას აღმოჩნდა.

— ჰეი, კარგად ხარ, ძვირფასო? მგონი, ძალიან განიცადე, — ელიასმა ყურში უჩურჩულა და მხიარულად დასძინა, — ეს, უბრალოდ, ფილმია.

პემბემ თავი დაუქნია. უბრალოდ ფილმი იყო, თვითონაც იცოდა. ნამდვილ ცხოვრებაში ყველა, ვისაც კისერზე თოკი ჰქონდა გამობმული, სახრჩობელასთვის იყო განწირული.

* * *

ოჯახში რვა და იყო, ცხრიდან ოც წლამდე. მათ შორის ყველაზე უფროსს, ჰედიე ერქვა, „საჩუქარი“. სწორედ უფლის მიერ გამოგზავნილი საჩუქარი გახლდათ, პირმშო, ძალიან ძვირფასი, მიუხედავად იმისა, რომ გოგონა იყო. გულის ფორმის სახე ჰქონდა, წვეტიანი ცხვირი და ფართო, ნუშისებური თვალები, საავდრო ღრუბლების ფერი. რადგან ოჯახში ყველაზე უფროსი გახლდათ, სათამაშოების ნაცვლად, ბავშვობა ნამდვილ პატარებთან თამაშში გაატარა. ჰედიე მუდამ ალაგებდა, საჭმელს ამზადებდა, წმენდა, რეცხავდა, უმცროს დებს კვებავდა და აძინებდა. ხელისგულები ინით ჰქონდა შეღებილი, მაჯებზე ყალბი ოქროს სამაჯურები ესხა, მაგრამ მის ტანზე ყაბლად არაფერი ჩანდა. პემბეს არ ახსოვდა, ერთხელაც დაეწუწუნოს ჰედიეს, თუმცა დანარჩენები მუდმივად ჭირვეულობდნენ. რა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტომლაც ჰედიე უყოყმანოდ დათანხმდა დაულეველ პასუხის-მგებლობებს, დროზე ადრე გაიზარდა, გოგონა-ქალი დადგა. ნეიზის გარდაცვალების შემდეგ მან იტვირთა დედობა. ყველაზე ზრუნავდა, განსაკუთრებით, ტყუპზე, რომლებიც ჯერ კიდევ პატარები იყვნენ. როდესაც ბერზო მეორედ დაქორწინდა, გოგონები ქალს მხოლოდ მამის ცოლად აღიქვამდნენ, მათთვის დედად ჰედიე დარჩა.

— არასოდეს გავთხოვდები, — ამის თქმა უყვარდა, — ჩემს დებს მოვუვლი, სანამ ბუდეს დატოვებენ. შინაბერა მოვკვდები.

ეს სიტყვები, ტყუპს გულს რომ უკეთებდა, სიმართლე არ აღმოჩნდა. 1957 წლის ზამთარში ჰედიემ ვილაც გაიცნო. მედიცინის კაცი, მთავრობის მიერ დანიშნული, რათა ტუბერკულოზის აცრები გაეკეთებინა. სოფლელები არ ენდობოდნენ, ბავშვებს სძულდათ. როგორ დაიწყო ყველაფერი, როგორ გაიცნეს ერთმანეთი, თორმეტი წლის პემბემ არ იცოდა და დღემდე ვერ მოეძებნა ახსნა.

სიყვარული დაავადება იყო, აღმაფრთოვანებელი და აღმაფრენელი, მაგრამ მაინც — დაავადება. უეცრად, ჰედიე გამბედავი, დაუცხრომელი გახდა. დედინაცვალსაც კი ეშინოდა მისი, ველარ გასცემდა ბრძანებებს, გოგოს თანდასწრებით თავს უხერხულად გრძნობდა. ჰედიე მტკიცედ იდგა. ის იყო გოგო, რომელსაც საკუთარი თავისთვის ერთი წუთიც არ ჰქონდა და ახლა სურდა, დაკარგული დრო აენაზღაურებინა. ერთ ულრუბლო ღამეს, როდესაც მთვარე ცას ოქროსფერ ნამგლად მიჰკვროდა, ის გაიპარა კაცთან ერთად, რომელსაც თითქმის არ იცნობდა.

მეორე დილით არავინ იყო, ხალხი რომ აეცრა. სოფლელ ბავშვებს უხაროდათ. დარჩენილ ვაქცინებს ევფრატში გადაუძახეს, ყველა ნაკვალევი წაშალეს მათ ცხოვრებაში შემოჭრილი იმ უცხო კაცისა, რომელმაც სოფელს ნემსები დაარჭო და ქალი მოსტაცა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პემბეს სახლში ჩამოწოლილი მწუხარება გაახსენდა, ერთდროულად, ცარიელი და მძიმე. თითქოს ვილაცის გარდაცვალებას გლოვობდნენ. თუმცა, ჰედიე ახლა მიცვალებულზე უარესი იყო. არავინ კითხულობდა მას, ყოველ შემთხვევაში, ხმამაღლა. მისი სახელიც კი დაგმეს.

დედინაცვალი განსაკუთრებით ღვარძლიანი აღმოჩნდა. „ნეტავ ჯოჯხეთის ცეცხლში დაიწვა!“ — იწყევლებოდა, წარმოსახვით ჰედიეს ხედავდა ყველგან. ყველაფერმა, რაც სულში უდუღდა — სირცხვილი, რომ კაცს, რომელსაც ვაჟი უნდოდა, შვილი ვერ გაუჩინა; წუხილი იმაზე, რომ უდაბნოსავით უნაყოფო აღმოჩნდა, სხვა ქალის რვა შვილის მოვლა — ერთბაშად ამოხეთქა ჰედიეს მიმართ მწვავე და მწარე რისხვის სახით.

ბერზო კი უცნაურად დუმდა. თვალები ჩაუცვივდა. თავი ჩაქინდრა. ჩაის სახლში იშვიათად გადიოდა, მთელი დღე სახლში იჯდა, დანალვლიანებული და ყველაფერს მოწყვეტილი. გამუდმებით სიგარეტს ეწეოდა და ჩაფერფლებაც ავიწყდებოდა.

მკაცრი ზამთარი იდგა. ოთხი თვე გავიდა. ადრიანი გაზაფხულის ერთ ნაშუადღევს ჰედიე დაბრუნდა. ჯობდა, დეპეშა გამოეგზავნა ოჯახისთვის, გაერკვია, მიიღებდნენ თუ არა. ამის ნაცვლად, ავტობუსში ჩაჯდა და სახლში მოვიდა, უცერემონიოდ. მედიცინის კაცი მხდალი აღმოჩნდა. დაჰპირდა, ცოლად მოგიყვანო, მაგრამ ოჯახის სულ მცირე წინააღმდეგობის შემდეგ გადაიფიქრა და დიდ ქალაქში მარტოკა მიატოვა.

ჰედიე ნანობდა ჩადენილს. შეშინებულიც იყო. მაგრამ ამ სახლის გარდა, სხვა სახლი არ იცოდა. წასასვლელი არ ჰქონდა. ღია კარში შემოვიდა. არც ბერზო და არც მისი ცოლი შინ არ დახვედრიან. ტყუპმა ჰედიეს დანახვისთანავე ბედნიერებისგან შეჰყვირა, ტაში შემოჰკრა და დედა-დის დაბრუნება აღნიშნა. მას წრეებს უვლიდნენ, მზის გარშემო, ორბიტაზე მბრუნავი პლანეტებივით.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თუმცა ჰედიე შეცვლილი დაბრუნდა. შეშინებული, გაუბედავი, ხმას არ იღებდა. მუხლები შეაერთა, თვალები დახარა და ტახტის კიდეზე ჩამოჯდა. საკუთარ სახლში არასასურველი სტუმარივით გრძნობდა თავს.

ცოტა ხანში დედინაცვალი შემოვიდა, ზურგით მატყლს ეზიდებოდა. მოხრილი იყო, შრომისგან ლოყებაწითლებული. ჰედიე თავიდან ვერ შენიშნა, მაგრამ უხერხული სიჩუმე და ტყუპის შეშფოთება მაშინვე შეამჩნია.

— რა ხდება? კატამ მოგპარათ ენები?

წინადადება დამთავრებული არ ჰქონდა, კუთხეში მჯდომი გოგონა რომ მოხვდა თვალში. გაქცეული. შემარცხვენელი. ტვირთი დააგდო და ჰედიეს წინ აღიმართა. მერე ნაბიჯი გადადგა მისკენ და იატაკზე დააფურთხა.

ჰედიე გაფითრდა.

საღამოს, როცა ყველა უკვე სახლში იყო, ჰედიესთან საუბარს ვერავინ ბედავდა, დედინაცვლის შიშით. არავის შეუთავაზებია ჩაი ან საჭმელი. თავადაც ბევრი არაფერი უჭამიათ. რამდენიმესაათიანი უხერხულობის შემდეგ ბერზო გამოჩნდა ზღურბლზე. როგორც კი შემოვიდა, იგრძნო ის, რაც უკვე იცოდა. ახალი ამბავი შეეტყო, მაგრამ დაბრუნება არ ეჩქარა. მოუსმინა, სხვები რა აზრის იყვნენ.

ჰედიე ფეხზე წამოხტა, სურდა, ხელზე მთხვეოდა მამას, მაგრამ ბერზომ უკან დაიხია.

— ვაჟები არ მყავს, — ყველას გასაგონად თქვა, — უფალმა ერთიც არ მიბოძა. არასოდეს მესმოდა, რატომ, მაგრამ დღეს მივხვდი. — გოგონებმა სუნთქვა შეიკავეს, გაფაციცებით უსმენდნენ. ჰედიე მხრებში მოიხარა. — ახლა ვიცი მიზეზი, — თქვა ბერზომ, — ვაჟი რომ მყოლოდა, შენს მოკვლას და ოჯახისთვის სირცხვილის მოწმენდას დავავალებდი. შენს ძმას შენ გამო ციხეში ჩაჯდომა მოუწევდა. მთელ ცხოვრებას ოთხ კედელში გამომწყვდეული გალევდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჰადიეს არ უტირია, არ უქვითინია და არც შენდობა უთხოვია. თვალებს არ აცილებდა ფანჯრის რაფაზე მცოცავ ობობას, გაუნძრევლად, უსიტყვოდ იჯდა.

ბერზომ სიჩუმე დაარღვია:

— ვერასოდეს წარმოვიდგენდი, ამას თუ ვიტყოდი, მაგრამ მიხარია, ვაჟი რომ არ მყავს.

საღამოს, დები იატაკზე დაფენილ მატრასებზე დასაძინებლად რომ ემზადებოდნენ, მამისა და მისი ცოლის კამათი ესმოდათ მეორე ოთახიდან, მაგრამ სიტყვებს ვერ არჩევდნენ. გოგოებს ნაწნავები დაეშალათ და სქელ, ფლანელის საღამურებში გამოწყობილიყვნენ. ჰედიეს შესცქეროდნენ, რომელიც ჯერაც ტახტზე იყო მიკრული.

პემბე ჩუმად წამოდგა.

— სად მიდიხარ? — ჩურჩულით ჰკითხა ჯამილამ.

— ეშიება.

— გაგიჟდი? მამასა და დედინაცვალს ჯერაც არ სძინავთ. გაიგებენ.

პემბემ მხრები აიჩეჩა და სამზარეულოში ფეხაკრეფით გავიდა. უკან ცოტა პურით, ყველითა და წყლით დაბრუნდა. დების თვალწინ, ჰედიეს მიუტანა. მან მხოლოდ წყალი გამოართვა.

მომდევნო დილით ბერზომ საუზმე ჩვეულებრივზე გვიან მიირთვა. შავ ჩაის სვამდა და ხმელ პურს ღეჭავდა. გოგოები ელოდებოდნენ.

— ჩაის სახლში მივდივარ, — განაცხადა ბერზომ. არავისთვის შეუხედავს.

ამის გაგონებაზე პემბე აფორიაქდა. ჰედიეს გაქცევის დღიდან მამას ჩაის სახლში ფეხი არ დაუდგამს. ახლა რატომ გადაიფიქრა?

— ამას რა ვუყო? — დაიჟინა დედინაცვალმა.

— იცი, რაც უნდა იყო, — მხოლოდ ეს თქვა ბერზომ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მცირე ხნის შემდეგ ფართო სახეზე ულმობელი მზერით, დედინაცვალმა გოგოებს უბრძანა, ოთახიდან გასულიყვნენ. ბევრი საქმეა, ხალიჩებია მოსაქსოვი.

სანამ დები ჩექმებსა და პალტოებს იცვამდნენ, პემბე დაყოვნდა. შემაძრწუნებელ შიშს აეტანა. რაღაც ამოუხსნელი ხდებოდა. სახლი რომ დატოვეს, დაინახა, დედინაცვალმა თითბრის დიდი, მრგვალი სინი შეიტანა. იატაკზე ნაჭერი დააფინა, ხის ფიცარი დადო და ზედ ლანგარი მოათავსა. წამით პემბემ გაიფიქრა, ჰედიესთვის საჭმელი მიაქვსო, მაგრამ თეფშები არსად ჩანდა. არც წყალი. არც პური.

ჰედიე არ განძრეულა. მარილის ქანდაკებასავით იჯდა.

პემბემ ბოლოს თვალი მოჰკრა, ქალმა შიგნით ქვაბი რომ შეიტანა. ცნობისმოყვარეობა კლავდა და სცადა, თავი დაეძვრინა.

— ვერ ვარ კარგად. ყელი მტკივა. იქნებ ჯობს, დავრჩე.

ქალმა თავი გააქნია:

— მამაშენის ბრძანებაა. სახლში არავინ არ უნდა დარჩეს.

მეზობელთან წავიდნენ და მთელი დღე ხალიჩებს ქსოვდნენ. თარგები ზეპირად იცოდნენ. მეჟოლიას კვერცხისფერი, ლურჯი, სპარსული ვარდისფერი, იისფერი, დარიჩინისფერი. პემბეს ფერების შეზავება ძალიან უყვარდა. ინისგან წითელს იღებდა, ზაფრანისგან — ყვითელს, დაჩეჩქვილი კაკლის ნაჭუჭისგან — ყავისფერს. ძაფის გორგალი ნექტარში ჩააწო და ტყუპისცალს მოუყვა ნანახი.

— რას გულისხმობ, ცარიელი ქვაბი შეიტანაო? — გაფართოებული თვალებით ჩაეკითხა ჯამილა.

— გეფიცები, — უჩურჩულა პემბემ, — შეიძლება ცარიელი არ იყო, მაგრამ მეუცნაურა. შიგნით საჭმელი რომ ყოფილიყო, ორთქლსაც დავინახავდი, არა? ან სუნს ვიგრძნობდი. არაფერი!

— მიუბრუნდი საქმეს, — ჯამილას სხვა არაფერი მოაფიქრდა პასუხად.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შუადღით ადგილები გაცვალეს. ამჯერად პემბემ ჯამილას დაუთმო საღებავების მომზადება, სანამ თვითონ ქსოვდა. დამღლელი საქმე იყო. თვალები სტკიოდა, თითები დაუსივდა. სხეულის ისეთი ნაწილები ასტკივდა, აქამდე რომ არ უგრძნია.

პემბემ, საიდუმლოდ, თავის თარგში ისეთი ორნამენტი ჩაურთო, რაც გათვალისწინებული არ ყოფილა. ვინმეს რომ შეენიშნა — ეჭვი არ ეპარებოდა, ასეც მოხდებოდა — აუცილებლად გაკიცხავდნენ, მაგრამ თავი ვერ შეიკავა. ასო „ჰ“ ამოქარგა, დის სახელის გასახსენებლად. როდესაც ქსოვას დაასრულებდნენ, ადგილობრივ ვაჭარს მიჰყიდიდნენ, ის კი უფრო მდიდარ ვაჭარს გადასცემდა. იქიდან ხალიჩა პატარა მაღაზიიდან სტამბოლის დიდ ბაზარში გადაინაცვლებდა. ქალაქში რამდენიმე დღით ჩამოსული ტურისტების წყვილი შენიშნავდა და შეიძენდა. ალბათ, ძვირი დაუჯდებოდათ. ხალიჩას პარიზში, ამსტერდამში ან ნიუ-იორკში წაიღებდნენ. ასო „ჰ“ შეფარულად, მაგრამ სამუდამოდ იარსებებდა.

მწუხრის ჟამს ოჯახი სახლში დაბრუნდა — შვიდი და და დედინაცვალი. ღობეს რომ მიუახლოვდნენ, პემბე ანერვიულდა და სახლისკენ გაიქცა. ავი წინათგრძნობა ჰქონდა, უფრო ბრაზობდა, ვიდრე ეშინოდა. საკუთარი თავზე ბრაზობდა, რომ არაფერი მოიმოქმედა. რასთან დაკავშირებით, თავადაც არ იცოდა.

სწორედ მან იპოვა ჰედიე. სხეული მჩვრის თოჯინასავით უსიცოცხლო, კისერი გადამტვრეული, ჭერის კავზე ეკიდა. იმ კავს ბავშვების დასარწევი ჰამაკისთვის იყენებდნენ ხოლმე.

თავი ჩამოიხრჩო იმ თოკით, ქვაბით რომ მიუტანა დედინაცვალმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

•••

კოვბოიმ სახელად „ცუდი“ სცადა გაეღიმა, სანამ კისერზე ყულფს მჭიდროდ უკრავდნენ. „ხუმრობ, ქერავ, — ხმა აუკანკალდა, — შენ არ... შენ ასეთ რამეს არ მიზამდი“.

ქერამ თვალები გააკვესა და თავი გადახარა: „ხუმრობა არ არის. თოკია, ტუკო“.

პემბემ ტუჩები მოკუმა. ამ სცენის ყურება არ შეეძლო. ნახევრად წამოდგა.

— უნდა წავიდე.

— რა? რატომ, სიყვარულო? — ჰკითხა ელიასმა, — დღეს ასე ადრე რატომ მიდიხარ?

— ჰო, არა... წავალ.

— ფილმის გამო? არ მოგეწონა?

— არა... კი... მაპატიე.

— შეიძლება, გამოგყვე?

— შენ დარჩი, გთხოვ.

პემბე წამოდგა და ახსნა-განმარტების გარეშე წავიდა. გასასვლელისკენ რომ მიიჩქაროდა და უკანა რიგებს ჩაუარა, იქ მჯდომმა კაცმა საფეთქლები დაიზილა, სახის ხელებში დასამალავად.

როდესაც ფილმი დასრულდა და შუქები აინთო, ელიასი ყველასთან ერთად წამოდგა. არ იცოდა, პემბეს უეცარი წასვლა როგორ აეხსნა. ნელა გაუყვა დერეფანს, დასევდიანებული. ვილაცამ მხარზე ხელი დაჰკრა.

— უკაცრავად, სანთებელა ხომ არ გაქვთ?

ახალგაზრდა ბიჭი იყო, მოზარდი. ზედმეტად პატარა, რომ სიგარეტი მოეწია, მაგრამ ელიასის საქმე არ იყო და არაფერი უთქვამს. თუნდაც შენიშვნა მიეცა, ბიჭი ყურს არ ათხოვებდა.

— ბოდიში, არ ვეწევი, — უპასუხა ელიასმა.

— მართლა?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იყო რაღაც უცნაური მოზარდის გამოხედვასა და მისი შეკითხვის უხერხულობაში, რამაც ელიასი შეაცბუნა. სანამ რამეს იტყოდა, ბიჭმა თავი დაუქნია და მტკიცე ხმით უთხრა:

— აბა, ბედნიერ დღეს გისურვებთ.

— გმადლობ, შენც ასევე.

ბიჭი ჯერ კიდევ უყურებდა, ელიასი კი კარში გაუჩინარდა. გასვლისას პემბეს მიერ ერთი საათის წინ დატოვებულ რუხ ძაფებს გამოედო.

ქვიშაქვა

აბუ-დაბი, 1978 წლის ნოემბერი

კლუბის წინ გამართული ჩხუბის შემდეგ როქსანამ ადემი სხვა კაცის გამო მიატოვა — სპარსეთის ყურით დაინტერესებული ბიზნესმენის გამო.

მისი დაკარგვის შემდეგ ადემი გაბრუებული დადიოდა, მოჩვენებებიანი ღამესავით. გონებაგაფანტული და გაუცხოებული, იყო და თან არ იყო, ფიქრები ეფანტებოდა, თავდაჯერება დაკარგა. სიმართლეს ველარ არჩევდა და იმაშიც ეჭვი ეპარებოდა, ოდესმე თუ ახერხებდა ამას. მისი ცხოვრება სარკეების ლაბირინთს ჰგავდა, თითოეულ სარკეში საკუთარი თავის სხვადასხვა ანარეკლს ხედავდა და არ იცოდა, რომელი იყო ნამდვილი ადემი. ყველაფრის მიუხედავად, ოჯახში არ დაბრუნებულა. როქსანასთან ერთად ნაქირავებ ბინაშიც ვერ დარჩებოდა. თანაც, ქალის სახელზე იყო ხელშეკრულება გაფორმებული. ვერც ტარიქთან წავიდოდა, მისი ლექციების მოსმენა არ სურდა. ამიტომაც თავი მეგობართან, ბილალთან შეაფარა. ის არ უწონებდა საქციელს, მაგრამ არც კიცხავდა.

დღეები მტანჯველად მიიზლაზნებოდა. მუცელი სტკიოდა, თითქოს რკინა გადაეყლაპა და სხეულს უმძიმებდა. მადა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თითქმის არ ჰქონდა, იშვიათად მიირთმევდა. დღეში სამ, ხშირად ოთხ კოლოფ სიგარეტს ეწეოდა. ასთმა, ბავშვობის დაავადება შეუბრუნდა. ყველასთვის ცხადი გახდა, ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. ბილალმა სცადა, დაერწმუნებინა, ოჯახში დაბრუნებულიყო.

— არ შემიძლია, — თქვა ადემმა, — დღეს თუ წავალ, ხვალ ისევ გამოვიქცევი.

— მაგრამ, რატომ გარბიხარ შენიანებისგან?

— რატომ?

ამ კითხვას ადემი იშვიათად უსვამდა საკუთარ თავს, სხვებსაც. იცოდა, როგორ ეპასუხა შეკითხვაზე „როგორ?“ (როგორ მოვათავსოთ ორცხობილები ყუთში? როგორ გავმართოთ მოწყობილობა?) და „რა?“ (რა გავაკეთოთ რულეტის მაგიდასთან? რა ფსონი დავდოთ?), მაგრამ „რატომ?“ ზედმეტად აბსტრაქტული და აუხსნელი იყო.

სადღაც ახლოს პოლიციის სირენა ახმაურდა და ორივეს ყურადღება მიიქცია. როდესაც ადემი კვლავ ალაპარაკდა, მხრები ჩამოუშვა და სადღესასწაული ხმით განაცხადა:

— მისმინე, ბევრი ვიფიქრე ამაზე. ჩინელები არ შემეშვებიან, ვალს კი ვერაფერს ვუხერხებ. აქედან უნდა გავაღწიო. ეს ქალაქი მკლავს.

— სად წახვალ? — ჰკითხა შეშფოთებულმა ბილალმა.

— აბუ-დაბიში, ვფიქრობ, — სწორედ იქ ეგულებოდა როქსანა, მაგრამ ეს მეგობრისთვის არ გაუმხელია. ამის ნაცვლად თქვა, — გავიგე, ახალ ქალაქს აშენებენ. ოფისები, საცხოვრებელი კორპუსები, შოპინგცენტრები... მუშები დასჭირდებათ. ათასობით. ერთი-ორი წლით კი არა, დიდი ხნით.

— მანდ სულ უდაბნო არ არის? გამომშრალ ქვიშაზე ცათამბჯენებს როგორ ააგებენ?

— ქვიშამ შეიძლება ვერ ივარგოს, მაგრამ ბანკნოტები ივარგებს.

დეტალურად გაარჩიეს. რამდენს გამოიმუშავებდა ადე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მი თვეში, რა დრო დასჭირდებოდა თაფლისფერი „მერსედეს-ბენცის“ საყიდლად, ისეთი პრიალა „მერსედესის“, ღრუბლებს რომ აირეკლავდა. რა სასიამოვნო იქნებოდა ინგლისში წარმატებულ კაცად, ბავშვებთან საჩუქრებით დახუნძლული დაბრუნება. ისეთი ცხადი ოცნება დახატეს, რამდენიმე დღის მერე ბილალიც აწუწუნდა, — ლონდონში ოჯახი და სამუშაო რომ არ მაკავებდეს, მეც წამოვიდოდიო.

— მერე შემომიერთდი. მოგწერ, მისამართს მოგცემ.

— არაბები სხვანაირად მოგექცევიან. იქ დაბალი კლასის წარმომადგენელი კი არ იქნები, სტუმარივით მიგიღებენ! — თქვა ბილალმა.

მზეზე გაშოტილი სტუმარი. ამაზე ფიქრიც კი გულს უთბობდა ადემს. რვა წელიწადია, ლონდონში ცხოვრობდა და ჯერ კიდევ უცხოდ რჩებოდა, ხელის შემშლელად. სხვა ემიგრანტებმა რაღაცას მიაღწიეს, ბედნიერები იყვნენ, თვითონ კი — ვერა. ამ ქვეყანაში უცხოელებს ნათელი მომავალი რომც ჰქონოდათ, განსაკუთრებით ახალ თაობას, ადემი მისი ნაწილი მაინც ვერ გახდებოდა.

არაბები ბრიტანელებივით არ მოექცეოდნენ და არც აბუდაბი ემსგავსებოდა ლონდონს. არც თავსხმა წვიმები, არც ორმაგი ცოდვასავით, ქონიან ბეკონში გახვეული სოსისები, არც დაობებული სახლების ერთი ციდა სამზარეულოები, არც უგემური პამიდვრები, არც იასამნისფერთმიან ქუჩებს მოდებული მთვრალი ახალგაზრდები. ბრიტანელები ყოველთვის ზრდილობიანები იყვნენ: სახეში ისე თავაზიანად გაფურთხებდნენ, გეგონა, ხელსახოცსაც მოგაწვდიდნენ. ინგლისელ ჯენტლმენთან ჩხუბს ვერ გამართავდი, მუშტების ნაცვლად, შეგაქებდა. წლები დაგჭირდებოდა, რომ მიმხვდარიყავი, ქებით საყვედურს ნიღბავდნენ. არაბები კი უფრო პირდაპირები იყვნენ, უფრო გამჭვირვალეები. თუ ვიღაც გეტყოდა, — კეთილი იყოს შენი მობრძანებაო, — იცოდი, გულით ამბობდა. იქნებ, დროთა განმავლობაში ბავშვებიც წაეყვანა. მშვენიერი იქნებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თუმცა, მზით გამომშრალ აბუ-დაბის წარმოდგენის დროსაც კი იცოდა, ბავშვების იქ წაყვანა ფუჭი ოცნება იყო. ესმა სულით ხორცამდე ლონდონელი გახდა, ეს ქვეყანა, ეს ცივილიზაცია უყვარდა. უმცროსი ვაჟი განსაკუთრებული ბიჭი იყო, როგორც პემბე იტყოდა — მოხუცი თავი ახალგაზრდა მხრებზე. იუნუსი ტოპრაკებს შორის ყველაზე ბრძენი გახლდათ, თუმცა სიყვარულის წინაშე უძლური აღმოჩნდა — ოჯახს მემკვიდრეობით ერგო ეს დაავადება. და ისკენდერი... ადემს მათი ჩხუბის გახსენებისაც კი რცხვენოდა. თავს ვერ უტყდებოდა, შვილის მოლოდინი რომ ვერ გაამართლა.

როდესაც მამა გახდი, გეგონა, შვილი შენი გაგრძელებაა. სიამაყე, წარმატება იგრძენი, ფესვები გაიდგი. მერე კი ნელ-ნელა გააცნობიერე, ბავშვი დამოუკიდებელი არსებაა. როგორც უნდა მოინდომო, შენს ნაკვალევს მიჰყვეს, მას თავისი ბედისწერა აქვს. როგორც კი ჭეშმარიტებას მიხვდა, ადემმა თავი მოტყუებულად, დამარცხებულად იგრძნო. მოზარდობისას ასე არ იქცეოდა. ბაბას უსმენდა, ყოველთვის პატივისცემით, ყოველთვის მორჩილებით. ნეტავ, სცოდნოდა, რომ თავადაც შეეძლო თავის დაღწევა და გაფრენა. ახლა კი ძალიან გვიანი იყო. ახლა საკუთარი შვილი სთხოვდა თავისუფლებას, რომელსაც თვითონ ვერ ელირსა მამისგან.

ადემს ლონდონში აღარაფერი ესაქმებოდა. მართალია, ბავშვების დატოვება გაუჭირდებოდა, მაგრამ წასვლა მაინც უნდოდა. რა თქმა უნდა, სამუდამოდ არა. ბუმბულივით მსუბუქი, ძლიერ დინებაზე იტივტივებდა. აბუ-დაბი სიახლეებს ჰპირდებოდა. აბუ-დაბი სიცოცხლის ხალისს დაუბრუნებდა. იქ ჩასული, როქსანასაც იპოვიდა. ის დაუბრუნდებოდა და ადემიც მიიღებდა. მხოლოდ ერთი პრობლემა რჩებოდა: სამოგზაურო სახსრები არ გააჩნდა. დილემამ კვლავ იჩინა თავი: მეტი ფულის საშოვნელად ფულია საჭირო.

ბილალის რჩევით, კაცი ინახულა სახელად, მამუთ-ბაბა. თხელწვერა კაცი იყო, მუქი თვალებით და ხაზად დალაგებუ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლი ტუჩებით. პირველივე შეხედვით ძალაუფლებას ასხივებდა, მიუხედავად იმისა, რომ ახოვანი აღნაგობისა არ იყო. ბუხარაში დაბადებული და გაზრდილი, საბჭოთა კავშირს გამოექცა და მრავალი წელი გაატარა ევროპის სხვადასხვა ნაწილში. საბოლოოდ, ლონდონში დამკვიდრდა. რამდენიმე ენაზე საუბრობდა და უზბეკებს, ირანელებს, თურქებს, არაბებს, ჩინელებს, მექსიკელებსა და პორტუგალიელებს ეხმარებოდა... თუ თვალში მოუვიდოდა. უმუშევარი ახალგაზრდები, გაქცეული ქალიშვილების მამები, ერთმანეთს გადაკიდებული ოჯახები, მაღაზიის მფლობელები, ქირას რომ ვერ იხდიდნენ — ყველანი მამუთ-ბაბასთან მოდიოდნენ.

ოთახი სხვადასხვა ასაკის მამაკაცებით იყო სავსე. მოფარდაგებულ იატაკზე ისხდნენ და დაბალ ხმაზე საუბრობდნენ. შუაში კედელს მიყრდნობილი მამუთ-ბაბა იჯდა. მხრებზე ელეგანტური, ცხვრის ტყავის მოსასხამი მოეგდო. გვერდით ეჯდა ცხრა წლის ახოვანი ვაჟი, მუქი წარბებით. ბიჭის მზერა ახალჩამოტანილ ამერიკულ სათამაშოს იყო მიწებებული და ცერა თითებს შეუჩერებლად ატრიალებდა. სახეზე დროდადრო გამარჯვებით გამოწვეული აღტაცება ესახებოდა, ზოგჯერ კი უხმოდ წამოიყვირებდა, დამარცხებით გაცხარებული.

— შეხედეთ, — მხიარულად თქვა მამუთ-ბაბამ, — ამ ასაკში ჩემზე უკეთ ერკვევა ტექნოლოგიებში. სახლში რაიმე თუ გაფუჭდა, დედამისი მას სთხოვს შეკეთებას, მე კი არა. — კაცები უსმენდნენ, თავს უქნევდნენ და როცა საჭირო იყო, ულიმოდნენ. — ასეც უნდა იყოს. ყველა თაობა თანამედროვე ტექნოლოგიას უნდა აჰყვეს. დროს არ უნდა ჩამოვრჩეთ.

— მაგრამ... — ადემმა ჩაილულლუღა და მაშინვე გაჩუმდა. სიტყვა წამოსცდა, ამოოხვრასავით.

მჭლე, წვერიანმა კაცმა შეუბღვირა, გაღიზიანებულმა, რომ ადემმა ოსტატს საუბარი შეაწყვეტინა. ის კი ახალგაზრდის წინ დაიკლაკნა და თავი ჩაღუნა. არ იცოდა, ის ახალგაზრდა კაცი მისი ვაჟის მეგობარი, ორატორი რომ იყო, წრის პატივსაცემი წევრი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამ დროს მამუთ-ბაბა მარცხნივ და მარჯვნივ იხედებოდა, ცდილობდა ეპოვა ის, ვინც დაილაპარაკა.

— როგორ? კარგად ვერ გავიგე.

ადემმა ვალდებულად იგრძნო თავი, ელიარებინა. ყელი ჩაიწმინდა:

— ეჰ-ემ, მაპატიეთ, არ მინდოდა, შემეწყვეტინებინა.

— არა უშავს, ჩემო კარგო კაცო. განაგრძე, — ალერსიანად თქვა მამუთ-ბაბამ, — გვითხარი, რას ფიქრობ.

— ორცხობილების ქარხანაში ვმუშობდი. ორცხობილა კონვეიერში ერთიმეორეს დაუსრულებლად მიჰყვება, — ადემმა თქვა და უნებურად ორატორს გახედა. ამაოდ ელოდა მისგან წაქეზებას, — ერთსა და იმავეს აკეთებ, ისევ და ისევ, ათასჯერ. ტვინს გილაყებს. ამ თამაშებმა ჩამაფიქრა, ნუთუ ეს განმეორებითობა კარგია ჩვენი შვილებისთვის?

მამუთ-ბაბამ ადემს მოთმინებით და შემწყნარებლურად შეხედა. მერე კი ხანგრძლივი სიტყვით გამოვიდა მეცნიერებასა და ტექნოლოგიაზე. ადემს მეტისმეტად აბსტრაქტულად ეჩვენა და ბოლომდე ველარ მოუსმინა. ერთი საათის შემდეგ, სხვებთან ერთად წასვლას რომ აპირებდა, მამუთ-ბაბამ მას და რამდენიმე კაცს, ორატორის ჩათვლით, სადილად დარჩენა სთხოვა.

ხალიჩაზე, დაბალი, მრგვალი მაგიდის გარშემო ხუთნი ისხდნენ. ელოდებოდნენ, საჭმელს როდის მიართმევდნენ. მაშინღა შეძლო ადემმა, საუბარი წამოეწყო.

— აბუ-დაბიში წასასვლელად სესხი მჭირდება, — თქვა მან, — საკმარის ფულს რომ ვიშოვი, დავბრუნდები და დაგიბრუნებ.

— და ოჯახი? — მამუთ-ბაბამ იკითხა და პური მოგლიჯა.

— ჩემი ვაჟი, ისკენდერი მიხედავს სახლს. დიდი ბიჭია, — ამ სახელის ხსენებაზე ორატორმა ადემს ინტერესით შეხედა. ეს არის ის გაქცეული მამა, ბიჭმა რომ მომიყვა. ამ დროს კარი გაიღო და ოთახში ქალი შემოვიდა, თეფშებით დახუნძლული

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დიდი ლანგრით. თხემიდან ტერფამდე დარიჩინისფერი ბურ-ქათი იყო დაფარული, მხოლოდ ხელები და წყვილი თვალი უჩანდა ჩადრის ნასვრეტში. გარბანზოს სუპი მოართვა ნალე-ბით, მინის ჯამებში ჩასხმული, შუაში ბრინჯი და ცხვრის ხორ-ცი დააწყო, ხმელი პურები ჩამოარიგა, ჭიქები წყლით გაავსო და გაუჩინარდა.

— შენი ცოლი ჰიჯაბს ატარებს? — იკითხა მამუთ-ბაბამ.

ადემი დაიძაბა, მუცელში გვრემა იგრძნო. მას მერე, რაც ისკენდერმა პემბეს საყვარლის შესახებ უთხრა, ცოლის სახე-ლის გაგონება არ სურდა. ყველაში ეჭვი შეჰქონდა, ვინც მას უხსენებდა.

— ამ სამეზობლოში უფრო მეტი ბურქიანი ქალი ვნახე, ვიდრე სტამბოლში, — თქვა ადემმა, — ჩემს ოჯახში არ გვაქვს ასეთი ტრადიცია.

მამუთ-ბაბა წამოიმართა.

— მაგრამ თუ ერთ დღეს უფალი მეორე ქორწინებას გიბოძებს, ბურქიანი ქალი აირჩიე. მათი თვალები მხოლოდ სახლს ხედავს.

ადემმა ღრმად ჩაისუნთქა, ყელში რაღაც მოაწვა. სცადა, გადაეყლაპა, მაგრამ უშედეგოდ. მინიშნება იყო, თუ უბრა-ლოდ, დამთხვევა? ნუთუ ხალხი პემბეზე ჭორაობდა? სიჩუმე გასქელდა და დამძიმდა.

— უნდა წავიდე. გმადლობ სუპისთვის, — ადემი წამოდგა.

სანამ ვინმე შეაჩერებდა, ოთახიდან დაუმშვიდობებლად გავიდა. გზაზე სამზარეულოს ჩაუარა, სადაც მამუთ-ბაბას ცოლი და ვაჟი პატარა მაგიდასთან სადილობდნენ. ბიჭი საჭ-მელს მიირთმევდა და თან ხელში ელექტრონული მოწყობი-ლობა ეჭირა, თამაშში საკუთარ რეკორდს ხსნიდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

•••

აბუ-დაბიში 1978 წლის ნოემბერში ჩავიდა და მშენებლობაზე მუშად მოეწყო. დროთა განმავლობაში შეესწრებოდა, გაალმერთებდა და თან საიდუმლოდ დაიზაფრებოდა არნახული სიმაღლის ნაგებობებისგან. ქალაქში, რომელიც ტრანსფორმაციისა და ტრანსფიგურაციის სურვილით იწვოდა, ის უბრალო კაცი იყო, მხოლოდ წარსული გააჩნდა და ცვლილების არანაირი იმედი.

პირველი რამდენიმე კვირა ყველაზე რთული აღმოჩნდა, მძიმე სამუშაოს გამო, მაგრამ უფრო იმიტომ, რომ ოცნებებზე ხელის ჩაქნევა მოუხდა. იმ ფანტაზიიდან, რომელიც ბილალთან ერთად ააგო, რეალური მხოლოდ მწველი მზე გამოდგა. საღამოობით, დაქანცული და მტვრიანი, იმ ბარაკში ბრუნდებოდა, შვიდ მუშასთან ერთად რომ იყოფდა. ადამიანები სხვადასხვა წარმომავლობით, მაგრამ მსგავსი ნაკლოვანებებით. ათასში ერთხელ, თუ თავისუფალი დრო გამოუჩნდებოდა, როქსანას ეძებდა ყველგან, სადაც მოაფიქრდებოდა. წინ და უკან დადიოდა შოპინგცენრებში, რესტორნებსა და ბუტიკებში.

ერთ ღამეს პემბე დაესიზმრა, ჩამოშლილი თმით. ვიწრო დერეფანს გაუყვნენ, ხელჩაკიდებულები. დერეფნის ბოლოს ადემმა, მისდა გულის გასახეთქად აღმოაჩინა, რომ პემბეს როქსანას სასცენო კოსტიუმი ჩაეცვა და სტრიპტიზკლუბში საცეკვაოდ ემზადებოდა. მთელი ძალით იღრიალა, მაგრამ ქალი არ შეჩერებულა. ხელი ჩაავლო და სცენიდან ჩამოიყვანა, მაგრამ მის მკლავებში როქსანა აღმოჩნდა. სახე სიბრაზისგან ანთებოდა. გამოღვიძებულმა შენიშნა, სხვებიც გამოეფხიზლებინა თავისი ყვირილით.

ახალი ცხოვრების დაწყებიდან რამდენიმე კვირაში, როქსანას ძებნისას, ადემმა ერთი ადგილი აღმოაჩინა. თითქოს უდაბნოში დაკარგულმა, ოაზისს მიაგნო. აზარტული თამაშების სორო, მუშების გასართობად და სწრაფი ფულის საშოვ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნელად მოწყობილი. უჰაერო, ჩაბნელებულ ბინაში, ორმოცი-ორმოცდაათი კაცი შეგროვილიყო. იგინებოდნენ, ყვიროდნენ, ეწეოდნენ, სხვადასხვა ენაზე ლოცულობდნენ და ერთად შეკუჭულები მამლების ბრძოლას უყურებდნენ. დროდადრო, ობობების ბრძოლასა და კრიკეტრასესაც აწყობდნენ. ადემს მსგავსი არაფერი ენახა. ნამდვილ სანაძლეოებს ჩადიოდნენ. ამაში ადემი პირველი იყო ხოლმე.

მამუთ-ბაბას მიცემული ფულიდან კაპიკებილა დარჩენოდა. ადემმა მისი სახლი რომ დატოვა, კაცმა ორი დღის მერე ფული გამოუგზავნა კურიერის ხელით. შეეძლო, უარი ეთქვა და დაებრუნებინა თანხა, მაგრამ ასე არ მოქცეულა. არც საკმარისად ამაყი იყო და ლონდონიდან წასვლის დაუოკებელი სურვილიც ამოძრავებდა. გამომუშავებულ ფულს შვილებისთვის აგროვებდა, მამუთ-ბაბას ფულით კი კამათელს აგორებდა. ყოველღამე თამაშობდა. დანარჩენები ბევრს არ დებდნენ, მაგრამ ადემი ძალას ატანდა. უმრავლესობა მოყვარული მოთამაშე იყო, ამას ადემიც კარგაც ხედავდა. ჰაერში პოლიციის შიში მომწიფებულიყო — დეპორტაციის შიში. ამის გამო თითქმის ყველა დაძაბული თამაშობდა, მაგრამ ადემი — არა. ველური იმპულსით მოცული, ისეთი გამბედავი გახდა, როგორც არასდროს. ფსონებს დებდა და დებდა. როცა მამუთ-ბაბას ფული ამოეწურა, თავისი ხელფასიდან მოაკლო. თავიდან მხოლოდ მცირედს აკლებდა. ცოტა ხანში მთელი კვირის ჯამაგირს ერთ ღამეში ანიავებდა.

თავისთვის ყალბი როლექსის საათი იყიდა, არასოდეს იხსნიდა. უმიზნოდ და უხალისოდ დაბორიალებდა. ყოველდღე, მკერდში მფეთქავი ტკივილის შესამსუბუქებლად, გამაყუჩებლებს სვამდა. განსაკუთრებით, საღამოობით იტანჯებოდა. იქნებ, მამლებისა და ობობების მსგავსად, ადემიც სისხლიან ბრძოლაში იყო ჩართული, საკუთარ თავთან.

ლანდშაფტს აღტაცებაში მოჰყავდა. გაოგნებული იყო იმის აღმოჩენით, რომ უდაბნო უნაყოფო კი არა, ფარული მშვენიე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რებებით აღსავსე მხარე გამოდგა. ზოგჯერ ფეხით სეირნობდა, ფეხებით თბილ, თითქმის თხევად ქვიშაში ეფლობოდა და ტკბებოდა. ჯიბეებში ქვიშაქვა ელაგა. უცნაური მიზეზით, ბუნების ეს ქმნილება იზიდავდა. ხშირად ფიქრობდა, როგორ იქცეოდა ქვიშაქვა მტვრად, თითქოს ფუძე არ გააჩნდა. დროსთან ერთად, უფრო მეტად რწმუნდებოდა, რომ თვითონაც ძალიან ჰგავდა ქვიშაქვას.

ერთხელ ვიღაცამ უთხრა, — უდაბნო ოდესღაც ზღვა იყოო. თუ წყალს შეეძლო მყარ მიწად გადაქცევა, თუ დაიშრიტა და დინება შეწყვიტა, რატომ ადამიანებს არ ეხერხებოდათ ტრანსფორმაცია? ალბათ იმიტომ, რომ ფილმებში, წიგნებსა და ჟურნალებში დახატული სურათის საწინააღმდეგოდ, ცხოვრებაში, ადემის აზრით, ერთი უცვლელი წესი მოქმედებდა: გამარჯვებულები მუდამ იგებდნენ, დამარცხებულები ისევ მარცხდებოდნენ.

ესმა

ლონდონი, 1978 წლის ნოემბერი

ერთ მშვიდ საღამოს, მკვლელობამდე რამდენიმე კვირით ადრე, დედამ მაგიდა გაშალა. სამი თეფში, სამი ჩანგალი, სამი ჭიქა. ბოლო დროს სადილები შემოკლდა, დადუმდა. მართალია, დედა ქმრის არყოფნას შეეჩვია, მაგრამ ისკენდერის ხშირ გაუჩინარებასთან შეგუება უჭირდა. უფრო დაღლილი ჩანდა, ვიდრე დაძაბული. ცხოვრებაში პირველად გავიგე მისი წუწუნი, როგორ უჭირდა. უმეტეს-წილად, მარტოკამ გაგვზარდა, მაგრამ ბოლო დროს ეჭვი გამიჩნდა, თავადაც სურდა, ვინმეს მასზე ეზრუნა.

— სადაა შენი ძმა? — მკითხა დედამ. ხელში სამზარეულოდან შემოტანილი პურის კალათა ეკავა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რომელი? — დავიბუზღუნე მე, — თუ უფროსზე მეკითხები, ღმერთმა უწყის, სადაა. იუნუსი კი, ჩემი ღრმა რწმენით, ჩემს ოთახში ადგილის დაკავებითაა გართული.

— მისი ოთახიცაა.

— დედა, ყველა ჩემს მეგობარს თავისი ოთახი აქვს. მათი ოჯახები პირადი სივრცის ქონის საშუალებას აძლევენ.

წარბი აზიდა.

— შენ ინგლისელი გოგო არ ხარ.

— ოჰ, კარგი, რა. ჩვენი მეზობლების ქალიშვილებსაც აქვთ თავიანთი ოთახები.

— ჩვენ ჩვენი მეზობლები არ ვართ.

— დედა, რა უსამართლობაა. ისკენდერს აქვს ოთახი, არადა, ჩემზე მხოლოდ ერთი წლით უფროსია. რატომ ანიჭებ პრივილეგიას, მარტო იმიტომ, რომ ბიჭია? სულ ასე იქცევი.

— ესმა, საკმარისია! ისევ ამ თემის განხილვას არ ვაპირებ. ახლა ნამდვილად არა.

გულნატკენი მზერით გავაცილე, როცა ჩემი ოთახისკენ წავიდა, იქიდან უცნაური ხმაური მოდიოდა. მის პატარა ფიგურას გავყევი, თავს გედის უკან დამალული საძაგელი ბატის ჭუკივით ვგრძნობდი.

კარი რომ გააღო, მისი უმცროსი შვილი, მისი ნაბოლარა, დედამიწაზე ყველაზე ხმაურიან და სასტიკ მუსიკას უსმენდა.

— რას აკეთებ? — იკითხა დედამ.

იუნუსმა არც დედას შეხედა და არც მე. ხალიჩას თვალს არ აცილებდა, თითქოს ეშინოდა, სახის გამომეტყველებას მისი საიდუმლო არ გაეცა.

დედა ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო და მიწაზე დაგდებული ალბომი აიღო. გარეკანზე ცხენზე ამხედრებული კაცი ჩანდა, უცნაური ფიგურა, მიწაზე მხეცებისგან დაგლეჯილი ადამიანი ეგდო. ზედ ცეცხლოვანი ასოებით ეწერა: „ქლეში“. ქვევითაც იყო წარწერა: „მიეცით საკმარისი თოკი“.

— ეს რა არის?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ბენდია, დედა, — იუნუსმა თქვა, — მუსიკა.

— ვიცი, მუსიკა რა არის, — წამოიძახა დედამ, — ეს ბუმ-ბუმ-ბუმ მუსიკა არ არის.

ამჯერად იუნუსმა შემომხედა. დაძმური სოლიდარობის გამოსახატავად, თვალები გადავატრიალე.

დედამ ალბომის სათაურზე მიუთითა:

— ეს რას ნიშნავს?

— ეს ნიშნავს, რომ, როდესაც ადამიანი ზედმეტად სევდიანია და იმედი გადაწურული აქვს, თოკს თუ მისცემ, თავს ჩამოიხრჩობს.

თითქოს დედას სახეზე სისხლი დაეწრიტა, ისე გაფითრდა.

— ასე ატარებ დროს? ამით იწამლავ გონებას?

იუნუსმა დაიწუწუნა:

— ეს უბრალოდ...

— არა, ეს საშინელებაა. არავინ არავის არ უნდა მისცეს თოკი! როგორ გასწავლიან ასეთ რამეებს?

— დედა, გთხოვ. არასწორად გაიგე. არ მასწავლიან...

— არ მინდა, ჩემმა შვილებმა ასეთ საშინელებას უსმინონ, — წამოიძახა დედამ.

ასეთი გაცხარებული, ასეთი დათრგუნვილი არასოდეს გვენახა. ვუთხარი, — დედა, უბრალოდ პანკბენდია, მათი სტილია, ცუდი არაფერი იფიქრო-მეთქი.

ვედრებით სავსე ჩვენს თვალებს ყურადღება არ მიაქცია, კედელთან მიიჭრა და მაგნიტოფონის სადენი გამოგლიჯა. მუსიკა წაბორძიკდა, თითქოს იხრჩობაო, მერე კი გაჩუმდა.

— ეგ რატომ ქენი? — დაიკვნესა იუნუსმა.

დედამ ნიკაპზე ჩაავლო ხელი, აიძულა თვალებში ჩაეხედა.

— ნუ უსმენ ასეთ ბნელ რამეებს. რატომ გამირბიხარ? გევედრები, შენც ნუ შეიცვლები.

იუნუსი დაიმანჭა.

— არ ვიცვლები.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გამომეტყველება შეურბილდა და იუნუსი გულში ჩაიკრა. ასე იდგნენ ჩახუტებულები, თბილად და მჭიდროდ. თავზე აკოცა, მისი ბავშვური სურნელი დაყნოსა ლოყებზე. მერე კი დედამ ჩემი ძმის კეფას მოჰკრა თვალი.

— მანდ რა ლაქა გაქვს?

იუნუსი მყისიერად გასწორდა წელში. საგონებელში ჩავარდა, ცდილობდა მოეფიქრებინა, რა ეთქვა. დააგვიანა. თანაც, ტყუილი არასოდეს გამოსდიოდა.

— სვირინგია, დედა.

— რა არის?

ჩემი ძმის სვირინგის შესახებ კარგა ხანია, ვიცოდი და მის დასახმარებლად საუბარში ჩავეჭერი.

— არ იდარდო დედა, ეს...

მე საერთოდ არ მომაქცია ყურადღება. იუნუსი, პროტესტის მიუხედავად, აბაზანაში გაიყვანა. სვიტერი, მაისური და შარვალი გახადა და საცვლების ამარა დარჩენილს, თავი შხაპის ქვეშ შეაყოფინა. ჯერ ხელებით სცადა მისთვის კისერი გაეხეხა, მერე ღრუბლით.

— გაჩერდი, დედა, — ქვითინით თქვა იუნუსმა, — მტკივა.

— ამაზე მანამ უნდა გეფიქრა.

მის უკან მდგომმა, კიდევ ერთხელ ვცადე გამოსარჩლება, — სვირინგია, დედა, ვერ ჩამორეცხავ-მეთქი.

სიბრაზისგან გაცხარებულმა, უნებურად, ხელი გამაწევინა და ხეხვა განაგრძო.

— რამდენი ხანია, რაც გაქვს? — ჰკითხა იუნუსს.

მის ნაცვლად მე ვუპასუხე:

— თვეებია, — ხმაში ისეთი გესლი გამერია, არც კი ვიცოდი, თუ მქონდა, — ჩვენთვის ცოტა ყურადღება რომ მოგექცია, შეამჩნევდი.

— რას ამბობ?

— ყოველთვის უყურადღებოდ ხარ, — წამოვიყვირე, —

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გონება სხვა რალაცებზე ფიქრით გაქვს სავსე და ჩვენთვის ადგილი ალარ გრჩება. წესიერად ველარ გესაუბრები. სულ იმას მეუბნები, ის არ გააკეთო, ეს არ გააკეთო. სხვა არაფერს.

— ეგრე არ არის, ესმა, — დაბეჯითებით მიპასუხა და ხეხვა განაგრძო. რამდენიმე წუთის შემდეგ დამარცხებას შეეგუა. ღრუბელი გადააგდო, თვალები გააკვესა და ბიჭს დაუყვირა, — მაგრამ რატომ? რატომ წახვედი და დაილაქავე თავი?

— მე კი არა, — იუნუსმაც საპასუხოდ უყვირა, ცრემლიანი თვალებით, სველი წრუწუნასავით გაწუწულმა, — შენ! დაგინახე ვილაც კაცთან ერთად ქუჩაში. შენ ხარ დალაქავებული!

როგორც კი ეს სიტყვები წამოსცდა, მაშინვე პირზე მიიფარა ხელი იუნუსმა. ძმას შეძრწუნებულმა შევხედე. მაშინღა მივხვდი, თუ რა იყო ის საიდუმლო, რომელსაც ატარებდა. მანაც შემომხედა, სინანულით სავსე თვალებით. დედისკენ ფრთხილად შევტრიალდი. ასეთ მდგომარეობაში არასდროს მენახა. თვალები მარმარილოს მიუგავდა, უსიცოცხლო და მინისებური. ტიროდა.

სიჩუმე ჩამოწვა. სქელ, უხერხულ უძრაობაში მხოლოდ წყალი ბედავდა მოძრაობას, თავისთვის წვეთავდა.

იმ ღამეს, მას შემდეგ, რაც იუნუსმა მთლიანად მომიყვა ამბავი, საწოლში ველარ მოვისვენე, თავში ფიქრები გუგუნებდა. ბნელოდა, მხოლოდ მთვარის ვერცხლისფერი შუქი იჭრებოდა ფანჯრიდან. ცოტა ხანში ძმის ჩურჩული გავიგონე:

— დაო, გძინავს?

— არა.

— მამა წავიდა. შენი აზრით, დედაც წავა?

— არა, შე სულელო. არსად მიდის, არ იდარდო.

ჩემდა გასაკვირად, დედაზე ნაწყენი არ ვიყავი. სხვა რამეები მაღიზიანებდა მასში, წვრილმანი და მსხვილმანი რამეები. ახლა, როცა ალმოვაჩინე, რომ სრულიად სხვა, საკუთარი სამყარო აეშენებინა ან აშენებას ცდილობდა, მისი დაცვა მო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მინდა. უეცრად, ჩემს თვალებში ის ლოკოკინად იქცა. იუნუსს ვუთხარი:

— ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ეს ამბავი ისკენდერმა არ შეიტყოს.

მელანი აბრეშუმზე

ლონდონი, 1978 წლის ნოემბერი

საღამოს რვის ნახევარი იყო, გრძელი დღის დასასრული. თმა კუდად შეეკრა, ზურგი ოდნავ სტკიოდა. პემბე დილიდან ფეხზე იდგა, მაგრამ დაღლილობას არ გრძნობდა. რიტას უთხრა, დავრჩები და დავალაგებო, მიუხედავად იმისა, რომ ეს მისი საქმე არ გახლდათ.

— ანგელოზი ხარ, — რიტამ თქვა და ორივე ლოყაზე აკოცა, — უშენოდ რა მეშველებოდა?

ჯერ არ უთქვამს მისთვის სიმართლე. ვერ მოიკრიბა გამბედაობა, უფროსისთვის გაემხილა, რომ სამსახურს ტოვებდა. მეორე დღეს „კრისტალ სიზორში“ ველარ მოვიდოდა. ვერც მომდევნო დღეს. რიტასთვის წერილს დატოვებდა, ასე უფრო იოლი იყო. მიზეზად მოიყვანდა, რომ თავს შეუძლოდ გრძნობდა და დრო სჭირდებოდა მოსაკეთებლად. დაფიქრების მერე კი გადაწყვიტა, სიმართლე ეთქვა. თუ ბოლომდე არა, ნაწილობრივ მაინც. რიტა ამას იმსახურებდა, მასთან ვალში იყო პემბე. გაუმხელდა, რომ მისი უფროსი ვაჟი უკრძალავდა მუშაობას.

ისკენდერი ზოგჯერ ბრაზიანი და ემოციური იყო, მაგრამ კარგი ბიჭი გახლდათ. თავისი მიზეზები ჰქონდა. უეცრად მეტისმეტად ბევრი ჭორი გაჩნდა. მის ზურგს უკან, დახურულ კარს მიღმა, კუთხის მაღაზიებში, კაფეებში, საქაბაბეებში, სამრეცხაოებში. ხალხის ყურამდე მივიდა, რომ ტოპრაკების

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სამოსახლოში ყველაფერი რიგზე ვერ იყო. ჭორები აბრეშუმზე დაწვეთებულ მელანზე სწრაფად გავრცელდა. პემბემ მთელი ცხოვრება ტანსაცმლიდან და ხალიჩებიდან ლაქების ამოყვანას შეალია, მაგრამ ასეთი ლაქა როგორ უნდა ამოერეცხა, წარმოდგენა არ ჰქონდა. რიტას მივწერ. გამიგებს და თან ვერ გამიგებს.

დანაშაულის გრძნობა აუხსნელი ემოცია იყო. რწყილივით პატარა, ერთი ციდა ეჭვით იწყებოდა. კანზე გეკვროდა, სისხლს გწოვდა, ყველგან კვერცხებს დებდა. პემბეს ახლა უკვე გამუდმებით ტანჯავდა დანაშაულის გრძნობა. სამსახურში, სახლში, სამზარეულოში, საყიდლებზე, ლოცვისას, ძილშიც კი არ ასვენებდა.

ბავშვობაში რამდენჯერმე შეესია ტილები, მაგრამ პირველი ყველაზე უარესი აღმოჩნდა. მისი რწმენით, ტყუპისცალმა გადასდო, ჯამილა კი ამტკიცებდა, — პირიქითო. დედამ ორივე ცხელ აბაზანაში ჩასვა, თავი მკურნალისთვის გამორთმეული მყრალი საცხით დაბანა. ბოლოს ყველა ტილი მოაშორა, მაგრამ ლამის გოგოებიც მიაყოლა.

საათზე მეტი იყო გასული, რაც ყველა წავიდა — კლიენტები, მიმღები და მანიკიურისტი, რომელიც კვირაში ორჯერ მოდიოდა. რიტა სტილისტის აყვანას აპირებდა — როგორი მდიდრული სიტყვა იყო. პემბე ჯერ კიდევ ვერ შეჰგუებოდა ინგლისელთა კერძების სახელებს. მკვეთრგემოიანი ქათამი პიკანტურ კუსკუსთან. ასეთი რაღაც ამოიკითხა იმ მოდური რესტორნის მენიუში, ერთხელ ელიასმა რომ წაიყვანა. მაშინ პირველად და უკანასკნელად იყვნენ პაემანზე. ასე უხერხულად თავი ცხოვრებაში არ უგრძნია. იცოდა, ელიასი ცდილობდა, ეპოვა ადგილი, სადაც ყველასგან ფარულად ისაუბრებდნენ, მაგრამ ეს ხომ შეუძლებელი იყო? ყველგან ვილაც იჯდა, თანაც სამყაროს უძველესი კანონი მოქმედებდა: რის არიდებასაც ყველაზე მეტად ცდილობ, სწორედ ის არ აგცდება.

სადილობისას ელიასს მოუყვა, თუ როგორ დაიხოცებოდ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნენ სიცილით მის მშობლიურ სოფელში იმის გაგონებაზე, რომ განსაკუთრებულ სტუმარს ინგლისში კუსკუსით უმასპინძლდებიან. ეს ხომ გლეხების კერძი იყო. მართალია, პემბეს ოჯახი სიმდიდრით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ღარიბთა და მდიდართა კერძებს შორის განსხვავება იცოდნენ.

ინგლისში ყველაფერი უკულმა იყო. უბრალო სიტყვა „კუსკუსს“ რევერანსებით წარმოთქვამდნენ. ისეთ მნიშვნელოვან სიტყვას კი, როგორიცაა „სირცხვილი“ არაფრად აგდებდნენ. როდესაც ინგლისელებს რაიმეზე გული დასწყდებოდათ, თუნდაც უმნიშვნელოსა და მოჩვენებითზე, აღმოხდებოდათ ხოლმე: „ოჰ, რა სირცხვილია!“

პემბემ ეს ყველაფერი იმისთვის მოუყვა, რომ ელიასს გასცინებოდა, მაგრამ ის ნაღვლიანად უცქერდა. ასე სჩვეოდა ხოლმე დროდადრო, თითქოს ქალი სხვა, სიღრმისეულ, სევდიან რამეებს ახსენებდა.

— ანუ სადილად რომ მიმიწვიო, კუსკუსს არ მომართმევ? — ანცად ჰკითხა ელიასმა.

— რა თქმა უნდა, არა.

და აღუწერა კერძები, რომლებსაც გადმოულაგებდა. პირველად სუპს მიართმევდა, რადგან ჭამა გამთბარი მუცლით ჯობს.

იოგურტის სუპი აბზინდით, პიტნითა და ბურღულით, სალათა ბროწეულის ბადაგით, ჰუმუსი ცხარე, წითელი წიწაკით, ოსპის ღვეზლები, „სულთანი აღფრთოვანდა“[1] და დესერტად სახლში დამზადებული ბაქლავა.

— სიამოვნებით მოვამზადებდი რამეს შენთან ერთად, ჩვენს სამზარეულოში, — თქვა მან.

ეს იყო იმ იშვიათ წუთთაგანი, როცა საერთო მომავალი ახსენეს, როცა თავს ნება მისცეს, საერთო მომავლის ერწმუნათ.

---

1 უძველესი თურქული კერძი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

***

სილამაზის სალონის დანიშნულება ვარცხნილობის გარდა, სიტყვების გაცვლაც იყო. ამდენი ქალის სტუმრობის მიზეზი, ხშირად, ვარცხნილობის შეცვლა კი არ იყო, — ბევრი საჭორაოდ მოდიოდა. სიტყვები დაკლაკნილ ნაკადულს ჰგავდა, იოლად მიედინებოდა. კლიენტებს სჭირდებოდათ ადამიანი, ვინც მოუსმენდა, გაათამამებდა და იმ პრინცესებივით მოეპყრობოდა, ვისზეც ზღაპრების წიგნებში ამოეკითხათ.

პემბე დიდი მოსაუბრე არ გახლდათ, მაგრამ შესანიშნავი მსმენელი იყო. დიდ ოჯახში გაზრდილი, ყოველთვის სხვებს უთმობდა და მოსმენაც უადვილდებოდა. კლიენტები თავიანთ მოლოდინებსა და იმედგაცრუებებზე დაუსრულებლად ელაყბებოდნენ. პემბემ მათი ქმრების, შვილების, შინაური ცხოველებისა და შემაწუხებელი მეზობლების სახელებიც კი იცოდა. მათ ხუმრობებზე იცინოდა, პოლიტიკოსებს თუ კიცხავდნენ, მათთან ერთად იჯღანებოდა. თუ სევდიან წარსულზე ჰყვებოდნენ, მასაც უცრემლიანდებოდა თვალები. ამ ყველაფერს სიტყვის მწირი მარაგით ახერხებდა. ზოგჯერ, რომელილაც სიტყვას ვერ იგებდა, მაგრამ დედააზრი არასოდეს გამოეპარებოდა.

საღამოს მზე დიდი ხანია, ჩასულიყო და ქუჩები სხვა ფერებს იძენდა. მაღაზიები გზის ორივე მხარეს დაიკეტა, მათი ფოლადის ურდულები ჰაერს აპობდა. ინდური სარის მაღაზია, ლიბანური კაფე, „ჰალალი“, საყასბო, საკმევლის სუნით გაჟღენთილი ჰიპების მაღაზია, ადგილობრივი სუპერმარკეტი, რომელსაც ის-ისაა, დაეწყო შემწვარი ქათმის გაყიდვა... ყველა იმ ადგილას მომუშავე ადამიანები უკვე შინისკენ მიიჩქაროდნენ.

ცხრის ნახევრისთვის პემბემ იატაკის წმენდა, სავარცხლების გასუფთავება და საღებავის შესაზავებელი პლასტმასის ბოთლების რეცხვა დაასრულა. მისი ხელები ისე შესჩვე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ოდა ხეხვას, წმენდასა და გაკრიალებას, რომ ალბათ, მძიმე სამუშაოსგან დასვენებას თუ მოინდომებდა, არ დაემორჩილებოდნენ. როცა აღარაფერი დარჩა გასაკეთებელი, პალტო და ჩანთა აიღო და სალონს უკანასკნელი მზერა მოავლო.

— ნახვამდის თმის საშრობებო, — ჩაილაპარაკა, — ნახვამდის მაკრატლებო, თმის გამათეთრებლებო...

საკუთარ თავს დაჰპირდა, არ იტირებდა. ტუჩი მოიკვნიტა, კარი გააღო და ქუჩაში გავიდა. შუახნის წყვილმა ბარბაცით ჩაუარა. ერთმანეთს ეალერსებოდნენ და საკმაოდ ნასვამები ჩანდნენ. სცადა, არ მისჩერებოდა, მაგრამ თავი ვერ შეიკავა. ამ ქვეყანაში მოსვლის დღიდან რვა წელი გავიდა, მაგრამ ჯერაც ვერ შეჰგუებოდა სახალხოდ კოცნას. ქალმა შენიშნა და საყვარელი მამაკაცისგან გაიწია, თან ჩაეცინა, თითქოს პემბეს მორიდებამ გაახალისაო.

პემბე აჩქარდა, კარი ჩაკეტა და გასაღები საფოსტო ყუთში ჩააგდო. გააცნობიერა, რომ წერილის დაწერა დავიწყებოდა, მაგრამ იქნებ, ჯობდა კიდეც. არ იყო საჭირო არაფრის დაწერა, მაინც ვერაფერს აუხსნიდა. ახლა ელიასი უნდა ეპოვა და ეთქვა, რომ ამიერიდან მასთან შეხვედრა ძალიან გაუჭირდებოდა.

შეხვედრა

ლონდონი, 1978 წლის 14 ნოემბერი

იმ სამშაბათს, სკოლაში, შესვენებისას, ისკენდერი, როგორც ყოველთვის, მხიარული ჩანდა. ხუმრობდა, იცინოდა, ერთობოდა. ღვეზელს მიირთმევდა და საუბარს უსმენდა. ბიჭები მომდევნო დღის თამაშზე საუბრობდნენ, „ჩელსი“ მოსკოვის „დინამოს“ წინააღმდეგ.

უეცრად, არშადი ისკენდერს მიუბრუნდა:

— შენს პუდინგს მომცემ?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ისკენდერმა თავი გააქნია:

— არ...შენს არ..აა..ა..და..იი..ვიიწყ.ე..ეე..გ..

საუბარი მიჩუმდა, ყველა შეჩერდა და მას შეაქცერდა. არასოდეს გაეგონათ, ისკენდერს ენა დაჰბმოდა და არ ენახათ, ლოყები გასწითლებოდა. წუთი გაჩერდა და წავიდა, ბიჭებმა ლაყბობა განაგრძეს. თუმცა ის უსიამოვნო გრძნობას არ მიუტოვებია.

საკლასო ოთახში მის წინ მჯდომი მოსწავლის საყელოსთვის თვალი არ მოუცილებია. გაუნძრევლად იჯდა, სანამ მერხზე დაკუჭული ქაღალდი გადმოუდგეს. აიღო და გახსნა. კეიტისგან იყო.

„მეგი, კრისტინი, ჰილარი. თუ ბიჭია, ტომი“.

პირველს მეორე ქაღალდის ნაგლეჯიც მოჰყვა, შეკითხვით: „რა გჭირს?“ ისკენდერმა გოგონას ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად მოკლე პასუხი დაჯღაბნა და უკანვე გადაუგდო. როგორც კი გაკვეთილი დამთავრდა, ზურგჩანთა მოიგდო და წავიდა. იცოდა, დაუკითხავად გაცდენისთვის დაისჯებოდა, მაგრამ არ დაეძებდა. ცოტა ხანს უმიზნოდ იხეტიალა. ჯერ კიდევ სკოლის საათები იყო და თან უნიფორმა ეცვა, ადვილი მისახვედრი იყო, გაკვეთილებს რომ აცდენდა. ავტობუსის გაჩერებისკენ გასწია.

ავტობუსი რომ მოვიდა, უკან მოკალათდა. ყურადღება არავისთვის მიუქცევია. სქელი, ოდნავ მყრალი სუნი მწუხარების ნამსხვრევივით ჩაესო. ხალხი მჭიდროდ იდგა, თუმცა ცარიელი ადგილები ბლომად იყო. უცებ მიხვდა, რატომაც. იქვე გიჟი მაწანწალა იჯდა, თავის თავს ელაპარაკებოდა. დაუბანელი, გაუპარსავით, თვალები ჩასწითლებოდა, ფეხსაცმელები გაეძრო და ბინძურ, დაკოჟრილ ფეხებს ისე იზელდა, თითქოს ქვეყნად ყველაზე სათუთი რამ იყო. ჰაერი თბილი ნაგვის სუნით გაიჟღინთა.

უეცრად, ისკენდერი წამოდგა და კაცის გვერდით მოკალათდა. მაწანწალამ კომპანიონი მხიარულად შეათვალიერა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თითქოს ფიქრობდა, რა ეტაკაო. ისკენდერმა შენიშნა, სხვებიც მას მისჩერებოდნენ. არ ადარდებდა. ახლა, რაც ენის ბორძიკი დასჩემდა, თვითონაც გიჟად გრძნობდა თავს.

როცა ავტობუსმა გრუხუნით მოუხვია, ისკენდერმა მოპირდაპირე ფანჯარაში საკუთარ თავს მოჰკრა თვალი. უემოციო სახეზე მიტკლისფერი ედო. სულ ახლახან შესრულებოდა თექვსმეტი წელი, მაგრამ უფრო დიდის შეხედულება ჰქონდა. ის კომიქსი გაახსენდა, რომელშიც დეტექტივი მოულოდნელად გადააწყდებოდა ხოლმე საკუთარ თავს მომავლიდან. იქნებ ახლაც სწორედ ეს მოხდა, მომავლის ისკენდერი დაინახა.

მერე ისევ ენის ბორძიკზე დაფიქრდა, იქნებ რაღაც ვირუსი შემეყარაო. დედას ეცოდინებოდა, როგორ მოქცეულიყო: ბალახის ჩაის მოუმზადებდა ყელის მოსაშუშებლად და ენის დაბმისგან განკურნავდა. თუ არ გამოუვიდოდა, დეიდა ჯამილას მისწერდა. დედა ხომ ყოველთვის თავს იწონებდა, ჩემმა ტყუპისცალმა დამ მცენარეების ენა იცისო. ისკენდერი სკამს მიეყრდნო. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ განიკურნებოდა. დედის სიყვარულმა გული გაუთბო. ბიძია ტარიქი სისულელეებს როშავს. როგორ ინატრა, დროში მოგზაურობა შესძლებოდა და ბავშვობაში დაბრუნებულიყო. იუნუსამდე. ესმამდე. როცა მხოლოდ ის და დედა იყვნენ, შეუბღალავი სიყვარულით მოცულები.

ასეთ ხასიათზე იდგა, როდესაც ავტობუსმა ლონდონ-ფილდს მიაღწია.

— ვილაცა ჩქარობს, — გიჟმა მხიარული ხმით განუცხადა ყველას, თითქოს მისი მეგობრები ყოფილიყვნენ.

ისკენდერს რამე უნდა ეთქვა, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა და მხოლოდ თავი დაუქნია.

— ნახვამდიის! დედიკო არ ალოდინო!

ამის გაგონებაზე ისკენდერს გააჟრჟოლა. დღის სინათლეში გამოსულს გონებაში მაწანწალის ხმა ჩაესმოდა. ოთხის ნახევარი იყო, სახლთან რომ მიაღწია ლავენდერ-გროუვზე და ზარი დარეკა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

***

ელიასი მისაღებ ოთახში მარტო იჯდა, დაბნეული, ნახევრად დახურული ფარდების მიღმა, როცა ნაბიჯების ხმა შემოესმა გარედან.

— მინდა ვიცოდე, სად ცხოვრობ, — ერთი კვირით ადრე განუცხადა. იცოდა, უხილავი ზღვარი გადაკვეთა ამ წინადადებით.

— რატომ?

— ძვირფასო, შენ იცი, მე სად ვცხოვრობ. იცი, ჩემი სახლი, ჩემი მცენარეები, ჩემი სამსახური, მაგრამ შენ გამოცანად რჩები. როდესაც სახლში ხარ, ჩემგან შორს, მინდა წარმოგიდგინო, რას აკეთებ. სურათი მჭირდება თავში, სულ ეს არის.

— სურათი? — ნაღვლიანად იკითხა პემბემ.

— ჰო, მაგრამ ფოტოსურათი არა. იმას ვგულისხმობ, რომ სულ რამდენიმე წუთით შემოვივლი. სხვა არაფერი. კატასავით შემოვიპარები და კატასავით გავიპარები. ვერავინ გაიგებს. მხოლოდ ერთხელ. შეიძლება?

ენაზე იკბინა და მერე ჩაილუღლუღა:

— მხოლოდ ხუთი წუთით. მერე წახვალ.

იმ შუადღეს, როცა ბავშვები სკოლაში იყვნენ, ელიასი ლავენდერ-გროუვის სახლში შევიდა. როგორც კი ზღურბლს გადააბიჯა, მაშინვე ინანა. მიხვდა, პემბეს არ სურდა მისი იქ ყოფნა. მარტო იმიტომ დათანხმდა, რომ მისთვის ესიამოვნებინა. ქალი ისეთი დაძაბული ჩანდა, მცირე ხმაზეც კი კრთებოდა. ელიასმა თავი ცუდად იგრძნო, არა მარტო აქ მოსვლის გამო, არამედ პემბეს ცხოვრებაში შემოჭრისა და ამდენი დარდის მოტანის გამოც. სურდა, სიყვარულს ბედნიერება მოენიჭებინა, მაგრამ მხოლოდ გასაჭირი მოჰქონდა. იმისთვის, რომ პემბესთვის მდგომარეობა შეემსუბუქებინა, ელიასმა პალტო არ გაიხადა და ქალის მცირე ნიშანზე, წასასვლელად გაემზადა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თუმცა, სახლმა უფრო უკეთ გააცნო საყვარელი ადამიანი. ეს ჩაბნელებული, პაწაწინა ადგილი, სადაც პემბე ამდენ დროს ატარებდა მარტო, იყო მიზეზი, რატომაც ჰგავდა ის მუსიკალურ ზარდახშაში გამოკეტილ ეულ ბალერინას. კაცმა შეათვალიერა მოქარგული ხელსახოცები ყავის მაგიდებზე, თაროებსა და სავარძლებზე; დოლმას მოსამზადებლად, ფანჯარაზე ჩამწკრივებული გამომშრალი წიწაკები და ბადრიჯნები; პომპონებიანი ღვინისფერი ფლოსტები. შეისწავლა შტრიხები, ფერები. სახლი სხვადასხვა სურნელით იყო გაჟღენთილი: სახლში დამზადებული ცომეული, ახალდარეცხილი ტანსაცმელი, დარიჩინი და ვარდის წყალი. ყველაფერი ახალი იყო ელიასისთვის, თუმცა ძალიან ჰგავდა იმ ცხოვრებას, ლიბანში რომ დატოვა. ამის გაფიქრებაზე თვალები აუცრემლიანდა.

როცა პატარა ბიჭი იყო, ელიასმა ერთი ზაფხული ბებიაბაბუასთან, ბეირუთში გაატარა. მშვიდად ატალღული ზღვის პირას, თბილ და უხვ ქვიშაში სეირნობდა. ერთხელ, შტორმის შემდეგ, ზღვის სიღრმიდან ნაპირზე გამორიყულ ქმნილებებს წააწყდა. იმ უცნაური ქმნილებების უმწეო მდგომარეობაში ხილვამ შეაცბუნა. წლების განმავლობაში, როცა სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში მუშაობდა და პირველი თაობის ემიგრანტების ცხოვრებას აკვირდებოდა, ხშირად ახსენდებოდა ეს სცენა. ისინიც თავიანთ გარემოს იყვნენ მოწყვეტილი. ახალ ადგილას უხერხულად, უმწეოდ ცხოვრობდნენ და ელოდნენ, როდის დააბრუნებდა ოკეანე სახლში ან ქვიშა შეისრუტავდა და ახალ ალაგს მიაკუთვნებდა. ელიასს ეს განწყობა კარგად ესმოდა, რადგანაც თვითონაც სხვა კულტურების ნაპირზე გახლდათ გარიყული. თუმცა, გულის სიღრმეში დანარჩენი ემიგრანტებისგან ძირფესვიანად განსხვავდებოდა. მას ყველგან შეეძლო გადარჩენა, არც ერთ მიწის ნაგლეჯთან არ იყო დაკავშირებული.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კარისკენ გასწია, პემბეს მადლობა გადაუხადა მასპინძლობისთვის და უხერხულობისთვის ბოდიში მოუხადა. ქალს ერთდროულად გულზე მოეშვა და დანაღვლიანდა.

— დარჩი, — წყნარი ხმით თქვა, — ჩაი დალიე. მერე წადი.

— დარწმუნებული ხარ?

მაგიდაზე ბრინჯაოსფერი სამოვარი იდგა და თუხთუხებდა. ქალს ხელები უკანკალებდა, სანამ ჭიქებს ავსებდა და ქაფქაფა ჩაი მეწამულ პერანგზე გადაისხა.

— აუჰ, არა, — წამოიძახა ელიასმა, — ხომ არ დაიწვი?

ქალმა პერანგი გასწია, რომ კანს არ შეხებოდა და თავი გააქნია.

— არაფერია. შენ დალიე, მე წავალ, გამოვიცვლი.

კაცი დაემორჩილა და დაელოდა. ჩაი ჯერ არ დაესრულებინა, როცა კარზე ზარის ხმა გაისმა. ჯერ მოკლე, მერე ხანგრძლივი. ელიასს კისრის მყესები დაეჭიმა, თითები მჭიდროდ შემოავლო ჭიქას.

პემბე თავისი საძინებლიდან გამოვარდა, თეთრი პერანგი არასწორად შეეკრა. კაცს შეშფოთებულმა შეხედა. მისი შვილები ორი საათის მერე უნდა მოსულიყვნენ. მეზობლები მუშაობდნენ, თან ასე გაუფრთხილებლად მოსვლა არ სჩვეოდათ. ელიასმა ანიშნა, დავიმალებო, თუმცა წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ და სად. აფორიაქებული ჩურჩულები გაცვალეს. შემდეგ ელიასი მაგიდის ქვეშ შეძვრა, თავი კოშმარში ეგონა, ვერ იჯერებდა, რომ ყველაფერი მართლა ხდებოდა.

რამდენიმე წამის შემდეგ საკეტში გასაღები გადატრიალდა. პემბე გაფითრდა. მიხვდა, კართან ვინც იდგა. ერთადერთი ადამიანი, რომელსაც საკუთარი გასაღები ჰქონდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სიმშვიდის მოსასხამი

ლონდონი, 1978 წლის 1-ლი დეკემბერი

ელიასი მცენარეებს რწყავდა, როცა მკვლელობის შესახებ შეიტყო. ჰაერის მცენარეები უცნაური არსებები იყვნენ, ფლორის ენიგმა. ფოთლების ფორებიდან იწოვდნენ ნესტს და ფესვების გარეშე ძლებდნენ. ფლორის სხვა წარმომადგენლებისგან განსხვავებით, მიწაში ჩაფვლის ნაცვლად, ყველაფერს ედებოდნენ და თითქოს ჰაერში იზრდებოდნენ, მოხეტიალე მცენარეები. ლუიზიანურ ხავსს სამზარეულოს ნიჟარაში აყავებდა. როცა ზაფხულში სახლი გამოშრებოდა, მცენარე ყოველ ათ დღეში წყალში გადაჰქონდა, თითქოს აბანავებდა. მაგრამ ახლა ზამთარი იდგა და ოთხ თვეში ერთხელ წყლის შესხურებაც საკმარისი იყო, თითქოს შხაპს იღებდნენ.

ისე იყო საქმეში ჩაფლული, რომ თავიდან, კაკუნი არც გაუგონია. ზარი დიდი ხანია, არ მუშაობდა და დრო ვერ გამოძებნა, შეეკეთებინა. რამდენიმე წამში კვლავ გაისმა კაკუნი, ამჯერად უფრო ხმამაღლა. ასე ადრიანად ვინ უნდა ყოფილიყო, ცნობისმოყვარეობამ მოიცვა. მცენარე თავის ადგილას დააბრუნა და პირსახოცით შეიმშრალა ხელები.

პემბე მის სახლში მხოლოდ ოთხჯერ იყო ნამყოფი. იძაბებოდა და ჩქარობდა, ტოტზე შემოსკუპებული ჩიტივით, რომელიც გასაფრენად იკრებს ძალას. ჩუმად ჯდებოდა ტყავის ტახტზე, ყველაფერს აკვირდებოდა. კალთაში კატა ჩაუძვრებოდა ხოლმე. უყურებდა, როგორ ფუსფუსებდა კაცი სამზარეულოში, მის ლაყბობას უსმენდა. პემბეს სახეზე გულწრფელი ღიმილი და თვალებში უხერხულობა უკრთოდა.

ელიასმა თავიდანვე შენიშნა, ქალი წინააღმდეგობებით იყო სავსე. თან მყიფე, თან გამძლე, გამბედავი, ამტანი — ყველაფერი ერთად. მის თვალებში ვარსკვლავურ ნათელს ხედავდა, სწორედ ისეთს, ბავშვობაში დედამისის თვალებში რომ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შეენიშნა და სხვისაში — არა. თუმცა მუდმივი მელანქოლიაც თან სდევდა პემბეს და ნაწილობრივ, სწორედ ქალის ამოუხსნელმა მწუხარებამ მიიზიდა.

იმ დღის მერე, რაც კინოთეატრში ხელები ერთმანეთს ჩაჰკიდეს და „ბავშვს“ პირველად უყურეს, ელიასს სურვილი კლავდა, მასთან სიყვარულით დაკავებულიყო. მასთან ინტიმურად ყოფნა სურდა, ყველა თვალისგან დაფარულად, განგაშის, დანაშაულისა და შიშის გრძნობის გარეშე, რაც ქალს თან სდევდა. მაგრამ ყოველ ჯერზე, როცა ქალი მის სახლში მოდიოდა, კაცს თავშეკავების უცნაური შეგრძნება ეუფლებოდა. არც კი იცოდა, თუ შეეძლო საკუთარი თავის ამდენად გაკონტროლება.

სინამდვილეში, სურდა ამოეხსნა გამოცანა, რასაც ქალი წარმოადგენდა. ამაზე მეტად კი, უნდოდა გაებედნიერებინა. თითქოს ეს მისი მხრიდან ალტრუისტული, კეთილშობილური საქციელი იყო, მაგრამ გულის სიღრმეში იცოდა, ეგოიზმი ამოძრავებდა. ეწადა, მისი სიყვარული ჯადოსნური ჯოხივით ყოფილიყო, რასაც შეეხებოდა, გადაესხვაფერებინა. თუ საკმარისად წმინდად და ღრმად ეყვარებოდა, კონკიას მშვენიერ, ნეტარ და თვალისმომჭრელ პრინცესად გადააქცევდა. სწორედ ეს სურვილი, პემბესგან უფრო მსუბუქი, თავისუფალი ქალი ჩამოესხა, აინტრიგებდა და აღტაცებას ჰგვრიდა.

პემბე ახალგაზრდა, გაუთხოვარი ქალივით იქცეოდა. ხელის ჩაკიდების, კოცნის, კაცის მკერდზე თავის მიდების, ახლოს მიკვრის უფლებას აძლევდა, მაგრამ ამაზე შორს არასოდეს წასულა. ელიასი ხვდებოდა, თუ მეტს მოინდომებდა, ქალს უხერულ მდგომარეობაში ჩააგდებდა, დანაშაულის გრძნობით დაამძიმებდა. პემბე ისედაც შერცხვენილად გრძნობდა თავს: გათხოვილი, სამშვილიანი ქალი შუახნის კაცს ფარულად ხვდებოდა. რამდენჯერმე გამოუტყდა, განქორწინება სურდა, მაგრამ ბავშვების წყენინებას უფრთხოდა. განსაკუთრებით, უმცროსის, რომელიც ჯერ კიდევ ძალიან პატარა იყო. ფი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზიკურმა მიუწვდომლობამ, სურვილის განელების ნაცვლად, ელიასი უფრო მეტად მიიზიდა ქალისკენ. მისდა გასაოცრად, პემბეს ისეთს იღებდა, როგორიც იყო.

უეცრად, სექსი მსუყე სადილის შემდეგ შემონახულ დესერტად გადაიქცა. მომხიბლავი და ნატიფი, მაგრამ არა — მთავარი კერძი. ჯერ მხოლოდ დასაწყისი იყო. ელიასმა არ იცოდა, ასე რამდენ ხანს გაგრძელდებოდა, მაგრამ არსად ეჩქარებოდა. იყო რაღაც სექსუალური სექსისგან თავის შეკავებაში. საკუთარ თავზე გაეცინა, რომ ეს ამ ასაკში აღმოაჩინა, როცა ეგონა, ახალს აღარაფერს ისწავლიდა.

— უფალი გვცდის, — ერთხელ უთხრა ქალმა, — შენი აზრით, ჩავაბარებთ გამოცდას?

— უფლის გამოცდები არ მაინტერესებს. მე მინდა, ჩემს გამოწვევებს გავუმკლავდე.

ქალს არ სიამოვნებდა, ღმერთზე ასე რომ საუბრობდა. სურდა, ელიასი იმედითა და რწმენით აღსავსე ყოფილიყო. თვისებები, რაც დიდი ხნის წინ დაკარგა კაცმა. მთელი ცხოვრება ისე გაატარა, ზეციური ძალისთვის არაფერი უთხოვია. ელიასმა გადაწყვიტა, არ ესაუბრა აგნოსტიზმის მიზეზებზე. არ სურდა, პემბესთვის, ან მისი ღმერთისთვის გული ეტკინა.

მიუხედავად ამისა, გულის სიღრმეში, ელიასს სწამდა, დადგებოდა დღე, იქნებ არც ისე შორეულ მომავალში, როცა მათი თითის წვერები ერთმანეთს შეეხებოდა, თითქოს უნებურად, და მათ ცხორებაში ახალი ხანა დაიწყებოდა. ერთმანეთს თვალებში ჩახედავდნენ, გულანთებულები და სიცოცხლით სავსეები, სიშიშვლე უხერხულობას არ აგრძნობინებდათ. არ დაეუფლებოდათ ეჭვი, არ შერცხვებოდათ. სიყვარული საკმარისი იქნებოდა და ყველაფერი გამოუვიდოდათ. ქალი, გათავისუფლებული და შემსუბუქებული, მასთან მივიდოდა. კაცი ბავშვების გაზრდაში დაეხმარებოდა, მხარში ამოუდგებოდა. გასცემდა და მიიღებდა სიყვარულს და მისი გატეხილი სული საბოლოოდ გამთელდებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დერეფანი რომ გაიარა კარის გასაღებად, გაიფიქრა, პემბე ხომ არ მეწვიაო. მოულოდნელად გამოჩენა არ სჩვეოდა, მაგრამ იქნებ გადაწყვიტა, კაცისთვის სიურპრიზი მოეწყო. კარი გააღო და იმედი გაუცრუვდა. სრულიად უცხო, მოზარდი გოგონა იდგა, ფართო ჯინსში, მიხაკისფერ პერანგსა და აბრეშუმის კრემისფერ შარფში გამოწყობილი. ხუჭუჭი თმა შუაზე გაეყო, განიერი შუბლი ჰქონდა და აბზეკილი ნიკაპი.

— ელიასს ვეძებ, — თქვა გოგონამ.

— დიახ, რით შემიძლია, დაგეხმარო? — ფრთხილად გაულიმა კაცმა.

— ეს შენ იყავი? — შეკითხვა ისეთი მოულოდნელი, ისეთი მრისხანებით აღსავსე იყო, რომ ელიასმა წუხილი ვერ დაფარა. გოგონამ განაგრძო:

— დედაჩემი...

— უკაცრავად?

გოგომ თავი ასწია, თვალებში არ ჩაუხედავს, იცოდა კაცი აკვირდებოდა.

— დედაჩემი გარდაიცვალა.

გატრიალდა და წასასვლელად მოემზადა. ელიასმა იდაყვზე ხელი წაავლო, ონდავ უხეშად მოუვიდა.

— რას ლაპარაკობ? ვინ ხარ? — ხმა აუკანკალდა და ერთი ამოსუნთქვით იკითხა, — ვინაა დედაშენი?

ახლაღა შენიშნა, რომ გოგონა ტიროდა.

— ვერ ხვდები, ვისზე ვლაპარაკობ? — გოგონამ საყვედურით ჰკითხა.

ელიასი ნელ-ნელა ხვდებოდა.

— მე... მე არ მესმის. მაგრამ როდის... რატომ?

— ჩემმა ძმამ დაჭრა. თქვენი რომანის გამო.

ელიასს თვალები გაუფართოვდა, გაფითრდა. კიდევ ერთი მდუმარე გულის ცემა დასჭირდა, რომ გადაეხარშა, რაც უკვე იცოდა. გოგონას ხელი გაუშვა, კედელს მიეკრო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— სირცხვილის გარდა არაფერი მოგვიტანე, — თქვა გოგონამ, — იმედია, კმაყოფილი ხარ.

ელიასმა იგრძნო, როგორ ძლიერ უყვარდა გოგონას დედა. არა მარტო უყვარდა, არამედ შურდა, იბოღმებოდა და ისაკუთრებდა კიდეც. არაფერი ჰქონდა სათქმელი, საკუთარი თავისა და მის გასამხნევებლად. პირი გააღო და ისევ მომუწა, აკვარიუმის ოქროს თევზივით.

— შენი დანახვა არ გვინდა. დაკრძალვაზე არ მოხვიდე და არც სხვა რამეში ჩაერთო. მარტო დაგვტოვე. გასაგებია?

შეკითხვა იმდენად მტკივნეული იყო, უპასუხოდ ვერ დატოვებდა, ამიტომ თავი დაუქნია.

— ჰო, — თქვა ელიასმა ერთხელ და კვლავ გაიმეორა, — ჰო.

გოგონამ საფეხურები ჩაირბინა, უკან არ მოუხედავს. ჯერ კიდევ არ სურდა, მისი ნათქვამი დაეჯერებინა. გოგომ ალბათ საშინელი ტყუილი მშობლების ქორწინების გადასარჩენად მოიგონა. ბავშვები ასეთ რამეებს ხშირად სჩადიოდნენ. არაფერი იყო საგანგაშო. ყველაფერს მალევე გაარკვევდა.

სამსახურის გასაცდენად რაღაც მოიმიზეზა და იმ შუადღეს სახლში დარჩა. ელოდა, პემბე მოვიდოდა და დაამშვიდებდა. ბევრი დალია, ცუდად გამოიძინა და პირში ჟანგის გემოთი გამოელვიძა. მაშინვე დილის გაზეთები გადაიკითხა. იქ ეწერა. წინა გვერდზე. „ბიჭმა დედა ღირსების მოტივით მოკლა“. თვალები დაახამხამა, სიტყვებს ხედავდა, ცნობდა, მაგრამ შინაარსის გაგება არ სურდა.

* * *

ელიასი ინდურ მაღაზიაში მანგოს ყიდულობდა, როცა პირველად შენიშნა, რომ მოზარდი ბიჭი დაჰყვებოდა უკან. ცხარე და გემრიელი მანგო ბევრნაირ კერძს უხდებოდა. იმ დღეს კურდღლის ხორცთან ერთად უნდა გამოეყენებინა. რო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გორც კი ქილა აიღო, ვიღაცის მზერა იგრძნო. ინსტინქტურად მოტრიალდა და მაღაზიის გარეთ ბიჭი შენიშნა. ველური გამომეტყველებით და თან ნაცნობი ცნობისმოყვარეობით უქცერდა. თვალებში ინტერესმა გაიკვესა, აალებული ქვანახშირივით.

ელიასი მაღაზიიდან გამოვიდა, ორივე მხარეს გაიხედა. განიზრახა, თუ ბიჭი გარეთ დახვდებოდა, გასაუბრებოდა. თუმცა ტროტუარზე გამოსულს, არავინ დახვდა. გაიფიქრა, — იქნებ სხვას ეძებდაო. განგაში საჭირო არ იყო. მართალია, ყმაწვილი ეცნო, მაგრამ გადაწყვიტა, ყურადღება არ მიექცია. ეს სწორედ ის ბიჭი იყო, კინოში სანთებელა რომ სთხოვა და პემბეს რომ ჰგავდა. ორი დღის შემდეგ კვლავ შენიშნა, „კლეოს“ წინ სიგარეტს ეწეოდა. როცა რესტორნიდან გამოვიდა, საშინელებისთვის მომზადებული, ბიჭი ისევ გაუჩინარებულიყო.

ასე გრძელდებოდა მომდევნო რამდენიმე კვირა. ბიჭი დღის სხვადასხვა მონაკვეთში აედევნებოდა, უეცრად გაჩნდებოდა და უეცრად გაქრებოდა, გზააბნეული მოჩვენებასავით. ერთხელაც არ უცდია, დამალულიყო, თუმცა გასაქცევადაც საკმარის დისტანციას ინარჩუნებდა. ელიასს ის შეხვედრები პემბესთან არასოდეს უხსენებია. ახლაღა მიხვდა, რომ დიდი შეცდომა დაუშვა.

* * *

ელიასს რამდენჯერმე შეუტია პემბეს სახლთან მდებარე საავადმყოფოში ან მორგში მისვლის სურვილმა, მაგრამ გადაიფიქრა. ცუდი ამბები დატრიალდებოდა, თუ მის ნათესავებს ან მეზობლებს გადაეყრებოდა. ნატრობდა, მის ქალიშვილთან ცალკე საუბრის საშუალება მისცემოდა. საჭირო სიტყვებიც რომ ეპოვა, არ ელოდა, რომ მიიღებდნენ. გოგონამ ეს გარკვე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვით უთხრა. პოლიციაში წასვლაც გაიფიქრა, მაგრამ არაფერი ჰქონდა მათთვის სათქმელი.

მომდევნო დღეები სამზარეულოში გაატარა, ერთსა და იმავე ტანსაცმელში, დაუბანელი თმით, უსიცოცხლოდ. ამზადებდა ფორთოხლისფერ, კრემისფერ სოუსებსა და სუპებს, თუმცა არავის შეუკვეთავს. მის სულშიც მრისხანების, საკუთარი თავის მიმართ საყვედურებისა და მწუხარებისგან დამზადებული კერძი იხარშებოდა. მისი ბრალი იყო, რაც მოხდა. როგორ ვერ განჭვრიტა წინასწარ? როგორ აღმოჩნდა ასეთი გულუბრყვილო?

გაზეთების თანახმად, ისკენდერ ტოპრაკი, მთავარი ეჭვმიტანილი, გაცქეულიყო. ელიასი ელოდა, რომ მის კართან გაჩნდებოდა და ბიჭთან შესახვედრად ემზადებოდა. თუმცა ისკენდერის ნაცვლად სკოტლანდ-იარდი ესტუმრა. უამრავი შეკითხვა დაუსვეს. სახლს ფოტოები გადაუღეს, სამსახურის შესახებ დაწვრილებით გამოჰკითხეს, დაუსრულებლად ინტერესდებოდნენ მისი და გარდაცვლილის ურთიერთობით.

როდესაც, ბოლოს და ბოლოს, წავიდნენ, ელიასმა ფარდები დახურა და სანთელი აანთო და იქამდე უქცირა, სანამ არ ჩაიწვა. თან ფაირუზის ფირფიტას უსმენდა, მისი მძლავრი ხმა სახლის ყოველ ნაპრალში აღწევდა, ქარივით უბერავდა ჰაერში. როდესაც ქალმა დაიწყო სიმღერა „საკან ალ-ლაილი“, ელიასი აქვითინდა.

ღამე წყნარია და სიმშვიდის მოსასხამის ქვეშ ფარული ოცნებები იმალება...

წლების განმავლობაში, თავს ატყუებდა, რომ „კლეოს“ გარეშე ერთ დღესაც ვერ გაძლებდა. მძიმე შრომით გამოწვეულ დაღლილობას კიდევ უფრო მძიმე შრომით პასუხობდა. მაგრამ მომდევნო სამი კვირის განმავლობაში სახლში გამოიკეტა, გარეთ თითქმის არ გადიოდა. მისი თანამშრომლები ურეკავდნენ, ეკითხებოდნენ, როდის დაბრუნდებოდა. როდესაც მისი ტკივილის სილრმე (და არა მიზეზი) გაისიგრძე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

განეს, დაიჟინეს, შვებულებით ისარგებლეო. ერთი თვის შემდეგ ელიასმა შეფმზარეულად მისი სუშეფი დანიშნა. მას მერე, რაც პასუხისმგებლობები მოიხსნა, სიზმრის მსგავს მდგომარეობაში გადაეშვა. მისდა გასაოცრად, ყველაზე გადაუდებელი საქმეებიც კი აღარ ეჩვენებოდა გადაუდებლად.

1979 წლის დასაწყისში, მას მერე, რაც სასამართლოს წინაშე მოწმედ წარდგა, აღარაფერი ჰქონდა გასაკეთებელი, დასამტკიცებელი და საღიარებელი. ამიტომ ისეთი რამ ჩაიდინა, რასაც ეგონა, ვერასდროს გააკეთებდა. ორი ჩემოდანი ჩაალაგა, დარჩენილი ნივთები თანამშრომლებს დაურიგა. ასაკოვანი სპარსული კატა ანაბელს გადასცა, რითაც ძალიან დაახარა. შემდეგ კი ერთი გზის ბილეთი იყიდა და მონრეალში დაბრუნდა.

მაჯის საათი

აბუ-დაბი, 1982 წლის მარტი

ერთ სისხამ დილას, ადემი იმ მშენებლობაზე მივიდა, სადაც მუშაობდა. ღამის ცვლის დარაჯს, ზორბა, შავთვალა პაკისტანელს, მისი დანახვა გაუკვირდა, მაგრამ გაუხარდა, რომ კომპანიონი გამოუჩნდა.

— ადრე მოხვედი, — უთხრა დარაჯმა.

— ვერ დავიძინე.

თანაგრძნობით გაუღიმა.

— ეტყობა, ცოლი მოგენატრა. ცოტა ფული გაუგზავნე. როცა ცოლი ბედნიერია, შენც ბედნიერი ხარ.

ადემმა სცადა ისე გაეცა პასუხი, რომ დარაჯის ნათქვამს არ შესწინააღმდეგებოდა და არც პემბეს ხსოვნისთვის მიეყენებინა ჩრდილი. მხოლოდ თავის დაქნევა შეძლო. დარაჯის თვალებს შეაცქერდა. მუქი ფერის ძვირფას ქვებს ჰგავდა და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ადემი წუთით დაფიქრდა, ნეტავ ლიმონის რამდენიმე წვეთი მართლა თუ ხდიდა თვალის ფერს უფრო ნათელს.

ადემმა პირში სიგარეტი ჩაიდო და ერთი ღერი დარაჯსაც შესთავაზა. მცირე ხანს სიჩუმეში ეწეოდნენ, თავიანთ ფიქრებში ჩაფლულები. ადემმა სტამბოლში გატარებული ახალგაზრდობა გაიხსენა, როცა ქუჩებში სიგარეტის ნამწვებს აგროვებდა, რომ ბოლო ნაფაზი მოექაჩა. ერთხელ ტროტუარზე ნახევარი ღერი იპოვა, პომადის ნაკვალევით. აღმოჩენამ ორმაგად გააოცა: ვიღაცამ ნახევრად ჩამწვარი სიგარეტი გადააგდო და ქალმა ქუჩაში მოწევა გაბედა.

ლონდონში ჩამოსვლის შემდეგ სახალხოდ მწეველ ქალებს შეეგუა. როცა როქსანამ პირველად გაუზიარა სიგარეტი, წუთის ინტიმურობამ აღტაცება მოჰგვარა.

— აიღე, — თითქმის სავსე კოლოფი გაუწოდა დარაჯს.

— მე მაძლევ? — ჰკითხა კაცმა.

— ჰო, საჩუქარი ჩემს ძმას.

დარაჯი გაიბადრა, რძესავით ქათქათა კბილები გამოაჩინა.

ნეტავ, კბილების სითეთრეც ლიმონის წვენის დამსახურება ხომ არ არისო, გაიფიქრა ადემმა. ინანა, არასოდეს რომ არ უცდია. ინგლისელებს სუსტი კბილები ჰქონდათ. უნდა გაემხილა მათთვის ლიმონის წვენის თვისებები.

უეცრად, თავზევით ასობით ფრთის ფრთხიალი გაისმა. თითქოს გადამფრენი ჩიტების გუნდი ერთი მთლიანი ორგანიზმი იყო. ალბათ სტამბოლიდან მოფრინავდნენ. ან იქნებ ლონდონიდან და გზად მისმა შვილებმაც შენიშნეს. ან ახალნაყიდი წიგნებით ხელდამძიმებულმა ესმამ, რომელიც წიგნების მაღაზიიდან გამოდიოდა; ან იუნუსმა, რომელიც პანკ მეგობრებთან ერთად კედელზე ხატავდა; ან ისკენდერმა, რომელიც საკნის ფანჯრიდან იყურებოდა. არა, ჯერ კიდევ უჭირდა ვაჟზე ფიქრი და იმის გახსენება, რა საშინელ ადგილას აღმოჩნდა. ადემი საკუთარ თავს ადანაშაულებდა. მისი ბრალი იყო, რაც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩაიდინა ან ვერ ჩაიდინა. უეცრად გააცნობიერა, რომ მთელი ცხოვრება უქნარობაში გალია, მუდამ უგულისყურომ, მუდამ შეშინებულმა.

მისი თვალები პაკისტანელისას შეხვდა. ნაღვლიანად გაუღიმა. დარაჯის სახეზე იშვიათი უმანკოება შენიშნა. დიდი ხანია, ეს თვისება არავისში არ შეხვედრია და ამ კაცთან სიახლოვე იგრძნო, თითქოს საერთო დანაკარგი განეცადოთ. სხვა დროს რომ შეხვედრილიყვნენ, მისი ცხოვრების ამბავს ჰკითხავდა. ცოლისა და შვილების ფოტოს გამოართმევდა. ადემმა რატომღაც ჩათვალა, რომ დარაჯი ისეთი კაცი იყო, ოჯახის სურათს დაატარებდა ყველგან, სახელდახელოდ მოწყობილ ხუხულაშიც კი, სადაც ღამეს დარაჯობდა.

იქნებ ადემსაც ეჩვენებინა გუშაგისთვის თავისი შვილების ფოტო — ისკენდერსა და ესმას პაწია იუნუსი უჭირავთ, სანახევროდ სიამაყით, სანახევროდ შეცბუნებით. ჯერ კიდევ ლონდონში ყოფნის ადრიანი წლებია, ბავშვებს ჩამოძონძილი ტანსაცმელი აცვიათ, მაგრამ უკვე ეტყობათ უცხო ქვეყნის იერი. ადემს პემბეს ფოტოც ჰქონდა, სტამბოლიდან გამომგზავრების დღეს გადაიღეს, მაგრამ არავის ანახვებდა, საკუთარ თავსაც კი.

ფეხზე წამოდგა და მშენებლობისკენ გაიშვირა ხელი.

— თუ არ გეწყინება, წავალ. რაღაცებზე უნდა ჩავფიქრდე.

დარაჯმა მხრები აიჩეჩა.

— კარგი, მაგრამ ძალიან ნუ აირევ გონებას, — თავზე მიიკაკუნა, — ტვინისთვის კარგი არ არის.

ადემი ფეხების თრევით გაეშურა, ფეხები ხრეშში ეფლობოდა. დილის ლითონისფერ-ლურჯ შუქში შენობა ლანდივით მოჩანდა... ის-ის იყო, უნდა შესულიყო, რომ დარაჯი მისკენ გამოიქცა. ხელში ყვითელი ნივთი ეჭირა.

— მოიცა, ჩაფხუტი დაგავიწყდა.

— უი, ჰო, ჩაფხუტი. გმადლობ, ძმაო.

ადემმა თავზე დაიხურა, სამხედრო სალამივით მისცა და შევიდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

* * *

როდესაც ადემი რვა წყლის იყო, შეიძლება ცხრისაც, ზუსტად არ ახსოვდა, დედამ სასეირნოდ წაიყვანა. თავი განსაკუთრებულად იგრძნო, მხოლოდ მას, და არა მის ძმებს ერგოთ პატივი.

ხელჩაკიდებული სეირნობდნენ. შემოდგომის ნათელი დღე იდგა, თუმცა გაზაფხული გეგონებოდა. მატარებლის სადგურამდე დოლმუშით იმგზავრეს. ბიჭი მატარებლების დანახვამ აღტაცებაში მოიყვანა — სურნელმა, ხმაურმა, დიდებულებამ. კაცი ელოდებოდათ. სვეტის უკან იდგა, ნახევრად დამალული. მუქი თმა უკან გადაევარცხნა, ფართო შუბლი და ჯაგარივით წარბები უჩანდა. რამდენ ხანს იდგა ასე? რა ერქვა? საიდან იცნობდა დედას? ამ შეკითხვებზე პასუხი ვერასოდეს შეიტყო ადემმა.

ქალის დანახვაზე ზანტი, თავდაჯერებული ღიმილი გადაეფინა, სანამ ბიჭს შენიშნავდა.

— ბავშვი... — თქვა მან.

— ვერ დავტოვებ, — უპასუხა ქალმა, — გთხოვ.

— ჩვენ ხომ ვისაუბრეთ ამაზე, აიშა. გითხარი.

გაღიზიანებული ჩანდა. სადღაც მიეჩქარებოდა. ჯერ ქალს შეხედა, მერე მატარებელს და ბოლოს დიდ, მრგვალ საათს.

— ნაბოლარაა, — უემოციოდ თქვა ქალმა, — დედა სჭირდება.

კაცმა სიგარეტი ძირს დააგდო და დააბიჯა, თითქოს ხოჭოს ჭყლეტდა. შემდეგ თავი ასწია და ქალს თვალებში დაჟინებით ჩააცქერდა.

— უკვე გითხარი, სხვა კაცის შვილს არ გავზრდი. მამასთან დატოვე. ყველასთვის ასე ჯობს.

აიშამ ბიჭს მხარზე ხელი ნაზად დაადო:

— ძვირფასო, წადი, ვინმეს ჰკითხე, რა დროა.

— რა? მაგრამ...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— გითხარი, წადი და ჰკითხე-მეთქი, — გაიმეორა აიშამ.

დაბრუნებულმა ბიჭმა ამბავი მოიტანა, — თორმეტის ოცი წუთიაო. კაცს თვალები უელავდა, ქალი კი უხმოდ დასცქეროდა საკუთარ ფეხებს.

— ვერ მივუსწრებთ მატარებელს, — აღნიშნა კაცმა, — მომდევნო სამზე გადის. წადი და დაბრუნდი. მარტო.

უკანა გზაზეც ხელჩაკიდებულებმა იარეს. სადგურიდან შხაპუნა წვიმაში აღმოჩნდნენ, ისეთი მსუბუქი იყო, თავი არსად შეუფარებიათ. გამყიდვლისგან ორი სიმითი შეიძინეს და კიბეზე ჩამოსხდნენ. ბავშვმა თავისი სიმითის ნახევარი მტრედებს აჭამა. დედა ცარიელი თვალებით უყურებდა.

— ვინ იყო ის კაცი, დედა?

— უბრალოდ მეგობარი.

— არ მომეწონა, — ტუჩი აუკანკალდა ბიჭს. ჯერ ვერ გადაეწყვიტა, ეტირა თუ არა.

აიშამ თავისკენ მიიზიდა და თმა აუჩეჩა.

— დიდად არც მე მომეწონა.

ამის გაგონებაზე გულზე მოეშვა, მაგრამ ხვდებოდა, ყველაფერი რიგზე ვერ იყო. ამაში კიდევ უფრო დარწმუნდა, როცა მტრედებს გამოედევნა, გაოფლიანდა და დედამ არ დატუქსა. დედა მაშინაც დუმდა, როდესაც ადემი ტალახიან გუბეებში ჩახტა, ფეხსაცმელი წყლით გაივსო და ფეხის თითები გაეყინა.

— შენთან ერთად მინდა წამოსვლა.

— ჰო? — ჰკითხა აიშამ.

— ჰო, დედა. მინდა, რომ თან წამიყვანო. მპირდები?

უეცრად ქალი დასერიოზულდა:

— ჰო, ჩემო პატარა სიყვარულო.

— არა, — შეუსწორა ბიჭმა, — უნდა თქვა, — ჩემო დიდო სიყვარულო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

* * *

ადემი სატვირთო ლიფტში შევიდა და ზედა ღილაკს მიაჭირა: ოცდამეორე სართულს. იქიდან კიბით მოუწევდა ოცდამეშვიდეზე ასვლა.

უფრო მაღლა ველარ ავიდოდა, იქ წყდებოდა მშენებლობა, მხოლოდ რკინის სვეტები იყო. დასრულების შემდეგ ეს აბუ-დაბის ყველაზე მაღალი შენობა იქნებოდა.

ბოლო სართულს რომ მიაღწია, ცემენტის ტომარა კიდესთან მიაჩოჩა და ზედ დაჯდა. პირი უშრებოდა, ხელები უკანკალებდა. ბოლო დროს სულ ასე იყო. თუმცა თვალწინ საოცარი ხედი გადაეშალა, მდიდრებსაც კი შეშურდებოდათ, თავიანთი პენტჰაუზებითა და ძვირფასი ოფისებით. ადემისგან დიაგონალურად სასტუმრო წამოჭიმულიყო, ორნამენტებიანი აივნებითა და დიდებული ფასადით. წამით გაიფიქრა, ვინმე ხომ არ მითვალთვალებსო.

სანამ იქ იჯდა, მოხეტიალე ღრუბლებს შესცქეროდა და შენობიდან გადაყოფილ ფეხებს აქანავებდა, სცადა გამოეცნო, დედაზე ჭორებმა პირველად როდის მიაღწია ბაბას ყურამდე. ვერ იხსენებდა სცენებს, რომელიც აფიქრებინებდა, რომ მამამ რამე იცოდა. ვერც იმას ხვდებოდა, ვის შეეძლო აიშას სახელი ლაფში ამოეთხვარა. თუმცა, ალბათ ასე ბევრი მოიქცა. მეზობელი? „ჰალალის“ ყასაბი? იქნებ ცხვრის ხორცის დანაკუწებისას წამოსცდა? ან იქნებ ვინმემ, სრულიად უცხომ, ვინც ჩაის სახლში ბაბას გვერდით აღმოჩნდა, თავი მეგობრად მოაჩვენა და პირი ღვარძლითა და ცილისწამებით აიმყრალა? ქარაგმებით ნათქვამი სინათლის სიჩქარეზე სწრაფად ვრცელდებოდა. ასეთ კარგ კაცს ასეთი რამ როგორ გაგიკეთესო, — იტყოდნენ ხოლმე, ყალბ თანაგრძნობას ავლენდნენ და სხვების უბედურებით ტკბებოდნენ.

ისტორია დროსა და თაობებში მეორდებოდა. მცირე ხნის წინ თურქი მუშა ჩამოვიდა. მან ისკენდერის მიერ ჩადე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნილი დანაშაულიცა და მიზეზიც იცოდა. თუ კაცი რამეს წამოაყრანტალებდა, რაშიც ადემს ეჭვი არ ეპარებოდა, ჭორები აქაურობასაც მოედებოდა. კვლავ მოუწევდა კარგად ნაცნობი, ავბედითი გამოხედვის დანახვა — სიბრალული, დაცინვა, ცნობისმოყვარეობა. მაგრამ არ ადარდებოდა. იმ წუთიდან, ადემის გადაწყვეტილებით, არაფერი ადარდებდა. ყველაფერს აზრი დაკარგოდა. მხოლოდ ჩრდილი დარჩენილიყო იმ კაცისგან, რომელიც ადრე არსებობდა. ჩრდილს კი ვერავინ ვერაფერს დაუშავებდა.

შორს, ჰორიზონტი თვალისმომჭრელი ფორთოხლისფერმეწამული კაშკაშა სხივით დაიფარა. დანისლული ციალის ქვეშ ქვეყანა უცნაურად უძრავი და უცნაურად ბრძენი ჩანდა. ადემი ტკბებოდა განთიადით, რომელმაც წყნარი, შორეული შენობები ცეცხლის ალში გახვია. თითქოს ზეცა გაიხსნა, რომ სულ სხვა სამყარო გამოეჩინა და ყველა და ყველაფერი უფლის ფუნჯით შეეღება.

* * *

იმ შუადღეს, სამ საათზე, ადემის დედა მატარებლის სადგურზე არ მიბრუნებულა. ამის ნაცვლად, ვაჟს ხელი ჩასჭიდა და ერთად წავიდნენ ქალაქგარეთ. გორაკზე ავიდნენ, ქარის საწინააღმდეგოდ. გზაზე დაყენებულ ნიშნებს, რომლებზეც ეწერა „შესვლა აკრძალულია“, ყურადღება არ მიაქციეს. კაშხალთან ახლოს მისვლა ნებადართული არ იყო, მაგრამ ისინი მაინც მიუახლოვდნენ. არავის დაუნახავს, არავის შეუჩერებია. კიდეზე ჩამოსხდნენ. მათ ქვეშ წყალი იდუმალებით ბრწყინავდა.

— ხედავ, არ გტოვებ, — აიშამ თქვა, — ბედნიერი ხარ?

ბიჭუნა დაეთანხმა. კბილები უკაწკაწებდა, ტუჩები დაუ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლურჯდა, თუმცა ძალიან არ სციოდა. ხელში ხელსახოცს ათამაშებდა, იმდენჯერ გაკვანძა, რომ ველარ გაშალა.

— სახლში წავიდეთ, — შეევედრა დედას. სუნთქვაში ხრიალი შეერია, — წასვლა მინდა.

— სახლში რა გველოდება? — წამოენთო ქალი. მისი ხმა, ნესტიანი ჰაერივით მძიმე, სრულიად უცხო ადამიანისას ჰგავდა. შემდეგ შერცხვა საკუთარი რეაქციის, ტუჩზე თითი მიიდო და შვილს უჩურჩულა, — ჩუმად.

თითქოს მის ბრძანებას დაემორჩილაო, — ყველაფერი დადუმდა. ჭრიჭინები ხეებზე, ბალახებში, გზაზე მიმავალი სატვირთოები და თვით სტამბოლიც კი, რომელიც მუდამ ღიღინებდა და გუგუნებდა. ყველა და ყველაფერი ქედს იხრიდა აიშას სურვილის წინაშე. ადემმა ისევ იგრძნო თავი განსაკუთრებულად, თანაც უფროსად. დედა მის ძმებს კი არა, მას უმხელდა საიდუმლოს.

— დედიკო...

— ჰმმ?

— სად მივდივართ?

— საყვარელო, ხომ გითხარი.

— დამავიწყდა.

— ჩვენ ერთ კარგ ადგილას მივდივართ, სადაც ბევრი კანფეტებიანი ვაშლია.

— მაგრამ თუ ძალიან ბევრს შევჭამ, კბილები დამილპება.

— არ იდარდო. იმდენს შეჭამ, რამდენსაც მოისურვებ.

ადემმა სცადა, სიხარული გამოემჟღავნებინა, მაგრამ დაბნეულობასა და წუხილს მისი თვალები არ დაუტოვებია. არ მოსწონდა ცვლილება დედის საუბარში. დედები ხომ ქოთქოთებდნენ და კიცხავდნენ, ტკბილეულობა კბილებს გაგიფუჭებთ და მუცელს გატკენთო. ადემმა გაიფიქრა, ბოლო დროს არავინ ასრულებს თავის მოვალეობას სათანადოდო.

აიშამ ამოიოხრა, შვილს მოუსვენრობა შეატყო, როგორც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბუ ამჩნევს სიბნელეში მცირე მოძრაობასაც კი. დახრილი თვალებით თქვა:

— ჩვენ სადაც მივდივართ, იქ არავინ ავადმყოფობს. კბილები არ გაგიფუჭდება და მე თავი აღარ ამტკივდება. შესანიშნავია, არა?

„მაშინ, რატომ ტირი?“ — ადემს უნდოდა, ეკითხა, მაგრამ არ ჰკითხა. დედის ჩახუტების სითბო ერთდროულად სათუთი და ტკივილით სავსე იყო. მის სხეულს მიკრულმა, მზის მცხუნვარება იგრძნო ქალის ტანში. დედის სუნთქვაში — მის ჩვეულ თბილ, ტკბილ სურნელს მიღმა — რაღაც ლპობის სიმწარე გამოკრთა. ადემი აიშას მარჯვენა ლოყაზე, თვალის ქვეშ დალურჯებულ ადგილს შეეხო. სახლიდან გამოსვლისას არ ეტყობოდა. ახლა კი, ტირილისგან მაკიაჟი ჩამორეცხოდა და მის სახეზე მწვანე-ლურჯი სიმახინჯე გამოჩნდა.

ადემს შიშის ისეთი განცდა დაეუფლა, აქამდე რომ არ გამოუცდია. დედის ხელი ჩაბღუჯა, ბიჭის ცივი და თეთრი თითები ქალის კანს შეეხო. ერთად მიუახლოვდნენ კიდეს, უკან თავიანთი ჩრდილები დასთრევდათ. აიშას ტუჩები შეუსვენებლად მოძრაობდა, ბიჭი მიხვდა, რომ დედა ლოცულობდა. ისის იყო, სხეული წინ უნდა გადაეზნიქა და შვილიც თან გაეყოლებინა, როცა ადემი პანიკამ მოიცვა და უნებურად გვერდით გადახტა. ხელი დედის მუჭიდან დაუსხლტა, ქარქაშიდან ამოგებული ხმალივით. უეცარმა მოძრაობამ ყველაფერი არია, დედამ წონასწორობა დაკარგა. ქალი დაეცა, მაგრამ წყლის უფსკრულის ნაცვლად, გვერდით დავარდა და ფერდობზე დაგორდა. რამდენიმე იარდის მოშორებით აღმოჩნდა, სახე ქვებმა და ჭინჭარმა დაუკაწრა, ქვედა ტუჩი გაუსკდა.

— დედა, კარგად ხარ? — ზემოდან დაუძახა ადემმა.

კარგად იყო და თან არც იყო. სახლში დაბრუნდნენ და ამ შემთხვევაზე არავისთან წამოსცდენიათ.

ორი წლის შემდეგ, როცა ასე ყოფნა ველარ აიტანა, აიშამ ოჯახი მიატოვა. ერთ დილით გაუჩინარდა, მისი პალტო

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და ჩამოფლეთილი ჩემოდანიც გაქრა. ადემს არ სურდა დაეჯერებინა, რომ დედამ თან არ წაიყვანა. დედის მაგიდას დღეში რამდენჯერმე აღებდა და ამოწმებდა, ვერცხლისტარიანი სარკე და სავარცხელი კვლავ ადგილზე იდო თუ არა. სანამ ეს ნივთები თავის ადგილზე იყო, დედის დაბრუნების იმედი ისევ ცოცხლობდა. ესმოდა, ხალხი როგორ გესლიანად საუბრობდა აიშაზე — შინ და გარეთ — მაგრამ არავისთვის უთქვამს, დედამ თავის, და მისი მოკლვა რომ სცადა. არც სადგურზე ნანახი კაცის შესახებ მოუყოლია. თუმცა ხვდებოდა, ალბათ მასთნ ერთად გაიქცა დედამისი.

* * *

წინაღამეს, სანამ უდაბნოს მტვრიანი მშენებლობის კიდეზე ჩამოჯდებოდა, ადემმა ისევ ითამაშა და წააგო. იმდენად დიდი თანხა, რომ გადახდას ვერასოდეს შეძლებდა, თუნდაც უამრავი დამატებითი საათი ემუშავა. ხელზე დაგორებულმა საკუთარმა ცრემლებმა გააოცა და სრუტუნით შეიმშრალა. არც კი იცოდა, თუ ტიროდა. თუმცა სევდას არ გრძნობდა. სილრმისეულმა გულგრილობამ წარეცხა, იმის გააზრებამ, რომ არასოდეს არაფერი შეიცვლებოდა, არც — თვითონ.

მაჯის საათი ფრთხილად მოიხსნა, რათა არ დაემტვრია და გვერდით დადო. ნამდვილი როლექსი რომ ყოფილიყო, რომელიმე ვაჟს დაუტოვებდა, ალბათ იუნუსს. არ სურდა, შვილებისთვის ყალბი საჩუქარი ეანდერძებინა. იმედი ჰქონდა, დარაჯი იპოვიდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეორე დილით, გამთენიისას ზიშანმა მედიტაციისთვის გამალვიძა. სხვა დღეებისგან განსხვავებით, ბუზღუნი არ მომირთავს. იატაკზე ფეხი მოვირთხით, ერთმანეთის საპირისპიროდ. გაიბადრა. ნეტავ, საიდან მოაქვს ეს ალმაფრენა.

— გაწმინდე გონება, — თქვა, როგორც ყოველთვის, — ჰაერის დაბინძურება ქალაქისთვის კარგი არ არის. ტვინის დაბინძურება — ადამიანებისთვის.

ათი წუთი მდუმარედ ვისხედით. ეს სავარჯიშო გასულ თვეში მასწავლა. არაფერზე არ უნდა ვიფიქრო, მაგრამ არ გამომდის. გონება ზიგზაგებით იწყებს სვლას და მალე გრძნეულების თავყრილობას ემსგავსება. ჩემს ამოუცნობ სტუმარზე ვდარდობდი. სავარაუდო კანდიდატებზე ფიქრს ვერ ვწყვეტდი. ბიძია ტარიქი, ორატორი, ჩემი ძველი მეგობარი არშადი... მათი ნახვა არ მსურდა. ვადანაშაულებდი, რომ სწორედ მათ შემქმნეს იმ ადამიანად, რაც ვარ. ისინი თავისუფლები იყვნენ, ცხოვრებით ტკბებოდნენ, მე კი აქ ვიხრუკებოდი.

მედიტაცია არ გამომივიდა, მაგრამ ზიშანს ხელი არ ჩაუქნევია. არასოდეს ნებდება.

— ისკენდერ, როცა სხვებზე ფიქრობ, მთელი შენი ენერგია მათთან მიდის. შენთვის არაფერი გრჩება.

ზიშანის სამყაროში უხილავი კავშირები არსებობს, რაც ხალხს, მოვლენებსა და ადგილებს აერთიანებს. იმ მილების საშუალებით ერთმანეთს რაღაცებს ვუგზავნით. არანორმალური სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრის ფილმივით ჟღერდა.

— ადამიანის გული ქურასავითაა. ჩვენ ვაწარმოებთ სითბოს, ენერგიას, ყოველდღე. მაგრამ როცა სხვებს ვადანაშაულებთ, მწარე სიტყვებს ვისვრით, იმ ენერგიისგან ვიცლებით. გული გვიცივდება, — ზიშანმა განაგრძო, — ჯობს, საკუთარ თავს დააკვირდე, სხვებს შეეშვა. ღვარძლი მძიმე ლოდია. რატომ უნდა ატარო? შენ საჰაერო ბუშტივით ხარ. მითხარი, რა გირჩევნია, ზევით იფრინო თუ დაბლა დაეშვა? გათავისუფლ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დი ბრაზისგან, განკითხვისგან. გადაყარე ტომრები. სამყაროში ორი რკალია. ალმართისა და დალმართის რკალები. ყველა ადამიანი გამუდმებით მოძრაობს — ზოგი დაბლა ეშვება, ზოგიც მაღლა ადის. თუ ამაღლება გსურს, საკუთარი თავი განსაჯე. კაცი, რომელიც საკუთარ მანკიერებას ვერ ხედავს, ვერასოდეს განიკურნება.

ზიშანის გამოჩენის დღიდან, ხშირად გამჩენია სურვილი, სახეში დამერტყა ან გამეჩუმებინა. რაღაც უცნაური მიზეზით, ასე არასოდეს მოვქცეულვარ — ვუსმენდი მის ლაქლაქს და ხან ვხალისობდი, ხანაც თითქმის ვუჯერებდი. შემდეგ რაც თქვა, ეგ გავითვალისწინე კიდეც.

— როცა სტუმარი მოვა წარსულიდან, დაჰპირდი ზიშანს, რომ არ გადაირევი.

გამეცინა. „გა-და-ი-რე-ვი“.

— ჰო, ჰო. არავის ეჩხუბო. საკუთარ თავზე მუშაობ, არ გადავიწყდეს. ძვირფასი ქვა ხარ, მაგრამ წვეტიანი კუთხეები გაქვს. გულზე იშრომე, იმუშაკე.

ძალიან მაბნევდა. ერთდროულად გაზქურას, საჰაერო ბუშტსა და მუშას მადარებდა. უცებ საკუთარი ნათქვამი შემომესმა:

— არ ვარ ძვირფასი ქვა, ზიშან. შენგან განსხვავებით, დანაშაული ჩავიდინე, თანაც ძალიან მძიმე.

ზიშანმა ამოიოხრა, თვალები არ გაუხელია. გრძელი, ღრმა ხრიალი ამოუშვა, რამაც მამაჩემის ასთმური შეტევები გამახსენა.

— ამქვეყნად ბევრი ადამიანი ეცემა, ბოლომდე კი — ძალიან ცოტა. დალმასვლის რკალის ბოლოს, იცი, რა არის?

— არა.

— ჯოჯოხეთი, — თქვა მან, — შენ იქ ნამყოფი ხარ. შენს სულს ცეცხლი მოჰკიდებია. ასეც უნდა იყოს. შენ ხომ საზარელი რამ ჩაიდინე, უნდა დაიწვა. მერე კი ნელ-ნელა, ალმასვლის რკალზე დაიწყებ ასვლას. იცი, მის ბოლოს რა არის?

— სამოთხე? — ვივარაუდე მე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჰო, როცა გვიყვარს და ვუყვარვართ, მავნე ენერგიისგან ვთავისუფლდებით და სამოთხეს ვუახლოვდებით. ყოველდღე თითო პატარა ნაბიჯი გადადგი. ვერ დაგპირდები, რომ სამოთხემდე მიაღწევ, მაგრამ უნდა ვცადოთ, ალექს. უნდა ვიშრომოთ.

იმავე კვირას მნახველთა ოთახში შევაბიჯე, წარმოდგენა არ მქონდა, ვინ დამხვდებოდა. ოფიცერი მაკლაგლინიც იქ იყო. არ შემოუხედავს, მაგრამ ადვილი მისახვედრი გახლდათ, სპექტაკლის საყურებლად მოვიდა.

მერე კი ის დავინახე. იუნუსი. ჩემი უმცროსი ძმა, რომელიც წლებია, არ მენახა. რაც დამაპატიმრეს, სულ ორჯერ მოვიდა. ერთხელ, სასამართლოს დასრულების შემდეგ. სიტყვა არ გვითქვამს ერთმანეთისთვის. უბრალოდ იჯდა, საკუთარ ხელებს დასცქეროდა. ერთი წლის შემდეგ ისევ მოვიდა. კვლავ არ ამოუღია ხმა. მერე კი აღარ დაბრუნებულა.

გაზრდილა. საშუალო სიმაღლის, გამხდარი, საკმაოდ სიმპათიური. გარეგნობა შეეცვალა, მაგრამ თვალები იგივე დარჩა. რბილი, კეთილი, ხშირწამწამიანი. ჯერ კიდევ ის თვალები ჰქონდა, პანკ გოგოზე შეყვარებული პატარა ბიჭის.

— გამარჯობა, მეგობარო.

— გამარჯობა, ძმაო, — მითხრა.

ერთმანეთს მივაშტერდით. პირველმა, მე ავარიდე მზერა. ესმასთან შეხვედრა უფრო მეადვილებოდა. მას ვძულდი. ცხადად და აშკარად. ათასში ერთხელ მოდიოდა და ბრაზისგან იცლებოდა. ათას საშინელებას მიყვიროდა, პირდაპირ და ზურგს უკანაც. თუმცა, იუნუსთან შეხვედრისას ბევრად უფრო მტანჯველი სინდისის ქენჯნა ვიგრძენი. მის მზერაში ისეთი რამ დავინახე, რისი ატანაც არ შემეძლო: სურვილი, რომ ჩემი გაეგო. ჯერაც ეძებდა ახსნას. ჯერაც სწამდა, ადამიანები კეთილი ბუნებისანი იყვნენ და საზარელ დანაშაულს მხოლოდ მაშინ სჩადიოდნენ, თუ რამე საშინელება შეემთხვეოდათ.

— როგორ მიდის შენი მუსიკის ამბები?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ძალიან კარგად, — ხალისით მითხრა, — ჩემი პირველი ალბომი გამოვიდა. ერთი წამოგიღე, მაგრამ არ შემომატანინეს. ასე თქვეს, ჩვენ გადავცემთო.

— ჰო, არ იდარდო მაგაზე, — თუმცა ვიცოდი, იმ ალბომს ვერ ველირსებოდი, — რატომ მოხვედი, იუნუს? ცუდად ნუ გამიგებ, შენი დანახვა მიხარია, მაგრამ... უბრალოდ, მიკვირს.

მცირე ყოყმანის შემდეგ თქვა:

— მალე გამოგიშვებენ. მაინტერესებს, რას აპირებ.

რას ვაპირებ? სულელურად ჟღერდა, გულუბრყვილოდ. თუმცა, ის ხომ ჩემი პატარა ძმა იყო, გულს არ ვატკენდი. ზიშანსაც დავპირდი, ალმასვლას ვეცდები-მეთქი, თუმცა წესიერად არც მესმოდა, ეს რას ნიშნავდა.

— სამსახურის შოვნას ვაპირებ. წყნარ ცხოვრებას. თუ კეიტი დათანხმდება, შვილს მოვინახულებ, — შევჩერდი და განვაგრძე, — მეტ დროს გავატარებ შენთან და ესმასთან. თუ მიმიღებთ.

იუნუსი მხრებში გაიმართა და პირდაპირ შემომხედა:

— ვფიქრობდი, მეთქვა თუ არა. გადავწყვიტე, რომ — არა. მთელი ეს წლები არ გეუბნებოდი. არც ესმა. შეთანხმება გვქონდა. მაგრამ ახლა გარისკვას არ ვაპირებ.

უხალისოდ ჩამეცინა.

— მორჩი გამოცანებით ლაპარაკს. რას გულისხმობ, ვერ ვხვდები.

ღრმად ჩაისუნთქა.

— ბავშვი ვიყავი, დედა რომ მოკალი. ვერ შეგაჩერე. მაგრამ ისევ თუ ეცდები, რამე დაუშავო, სხვანაირად იქნება ყველაფერი. ბავშვი აღარ ვარ, შეგებრძოლები.

წამით შემეშინდა, ჩემი ძმა ხომ არ გაგიჟდა-მეთქი. ადრეც მინახავს, დარდისგან ჭკუაზე შეცდენილები.

— იუნუს, რას ამბობ?

— ვამბობ, რომ დედა მიყვარს და არ მოგცემ უფლებას, ისევ რამე დაუშავო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ძმაო, დედა...

— არა, ჯერ არ დამიმთავრებია, — ხმამაღლა შემაწყვეტინა. ოფიცერმა მაკლაგლინმა გამოგვხედა. როგორც იქნა, დაიწყო დრამა, რომელსაც ელოდა.

მაგრამ იუნუსმა უცებ ხმას დაუწია, ისეთი ჩახლეჩილი ხმით მიჩურჩულა, დარწმუნებული არ ვიყავი, მისი ნათქვამი სწორად გავიგე თუ არა.

— ისკენდერ, მისმინე. დედა ცოცხალია.

ისკენდერ ტოპრაკი

სარკის ანარეკლი

ლონდონი, 1978 წლის 30 ნოემბერი

იუნუსმა საუზმის თეფშიდან თავი ასწია და ტახტზე მსხდომ ორ ქალს გაუღიმა. სასწაული მოხდა. დეიდა ჯამილა ლონდონში ჩამოვიდა. ბოლოს, ბიჭმა სამი წლის წინ ნახა. მანამდე შიგადაშიგ სტუმრობდნენ, უმეტესად ზაფხულში. მათი შეხვედრები ისეთი ხანმოკლე და ისეთი მნიშვნელოვანი იყო, ბიჭი თავბრუდახვეული ბრუნდებოდა. ბოლო სამი წელი ოჯახი აღარ მოგზაურობდა, ფული არ ჰყოფნიდათ. ახლა კი, დიდხნიანი განშორებისა და მონატრების შემდეგ, დები კვლავ ერთ ჭერქვეშ იყვნენ: ვარდისფერი ბედისწერა და საკმარისი მშვენიერება.

იუნუსი სკამს მიეყრდნო და სცადა, სარკის ანარეკლივით მსგავს დებს შორის განსხვავება ეპოვა. პემბე ცაცია იყო, ჯამილა კი მარჯვენა ხელს იყენებდა. პემბეს სიცილისას მარჯვენა ლოყა ეჩხვლიტებოდა, ჯამილას კი — მარცხენა. პემბეს ხალი შუბლის მარჯვენა მხარეს ჰქონდა, ჯამილას კი — მარცხნივ. ჯამილა ორიოდე სანტიმეტრით მაღალი იყო, ოდნავ გრძელი კიდურები და ოდნავ თხელი თითები ჰქონდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— კიდევ რა, დედა? — იუნუსმა ჰკითხა.

მთავარი განსხვავება დაგავიწყდა.

იუნუსი წამოხტა.

— მართლა? რა არის?

ამჯერად ჯამილამ უპასუხა:

— ჩვენი გულები საპირისპირო მხარეს სცემს.

— რას გულისხმობ?

ისინი იშვიათი თანდაყოლილი თავისებურებით დაიბადნენ. პემბეს გული მარცხნივ უცემდა, ჯამილას კი — მარჯვნივ.

— ოჰო, — წამოიძახა იუნუსმა.

შვილისა და დის შემყურე პემბემ გაიცინა. თავი ასე მსუბუქად და ასე სრულად დიდი ხანია, არ უგრძნია.

ჯერჯერობით, ჯამილას ოჯახის ორი წევრი არ ენახა: ადემი, რომელიც ლონდონიდან აბუ-დაბიში გაქცეულიყო და ისკენდერი, რომელიც ღამე მოვიდა, როცა ყველას ეძინა და დილით წავიდა. პემბემ ვერ მოასწრო, დეიდამისის ჩამოსვლის ამბავი ეთქვა. გადაწყვიტეს, საღამოს მისთვის სიურპრიზი მოეწყოთ.

იუნუსი დედას შეევედრა, სახლში დარჩენის უფლება მიეცა. თავს კარგად ვერ ვგრძნობო, ყელი მტკივაო. მართალია, სიმართლის მარცვალი ერია მის ვედრებაში, მაგრამ ცუდად ყოფნას ძალიან აზვიადებდა. ისე უხაროდა ტყუპთან ერთად ყოფნა, რომ ბიჭს გაკვეთილების გაცდენის ნება დართო.

დები ფანჯარასთან ჩამოსხდნენ, ჩაის წრუპავდნენ. ქურთულად დაიწყეს საუბარი, რამაც იუნუსი საუბრისგან გარიყა. პემბე ჯამილას გამოუტყდა, ხალხმა საიდანღაც გაიგო ჩემსა და ელიასზეო. ჭორაობდნენ, აუგად მოიხსენიებდნენ. ისკენდერის ყურამდეც მიეღწია. ზედაც აღარ მიყურებსო, ჩურჩულით უთხრა. ისკენდერმა ჯერ მუშაობა აუკრძალა, მერე ესეც არ იკმარა და სახლიდან გასვლის ნებასაც აღარ რთავდა. ეს ყველაფერი პემბემ დას ნაძალადევი ღიმილით მოუყვა, რომ იუნუსს მისი ნაღველი არ შეემჩნია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჯამილამ თქვა:

— უფლის ნებით, ამ ამბავს მოვაგვარებთ. დაველაპარაკები ჩემს დისშვილს.

მერე მხიარულად გაიღიმა, თითქოს საუბარი, რომელიც გონებაში წარმოიდგინა, უკვე მომხდარიყო:

— იცი, რას გეტყვი, დღეს საყიდლებზე მე წავალ.

აარჩევდა ცოცხალ ბოსტნეულს, კარგ პურს და საუკეთესო მწვანილებს. ინგლისურად ერთი სიტყვაც არ ესმოდა, მაგრამ უეცრად გამოკეთებული იუნუსი წაეშველებოდა.

იუნუსი სიხარულით დათანხმდა, დეიდასთან დროის გატარებით აღტაცებული:

— კი, კი, დედიკო, გამიშვი!

— მაგრამ არ დააგვიანო, — პემბემ მხოლოდ ეს უპასუხა.

არაფრით გამორჩეული დღე იყო, თუმცა, ჩვეულებრივზე უკეთესი. ხუთშაბათი, 30 ნოემბერი. ჯამილა და იუნუსი ფეხსაცმელსა და პალტოს იცვამდნენ, როცა პემბემ შეაჩერა.

— ერთი წუთით მოიცადეთ!

ჩანთაში მუქი ქლიავისფერი პომადა მოქექა და ტყუპისცალს მზის, ქარისა და მოუვლელობისგან დამშრალ, უფერულ ტუჩებზე წაუსვა. შემდეგ ერთი მოძრაობით თავიდან შარფი მოხადა. ჯამილას სქელი თმა მხრებზე ყავისფერ მდინარედ ჩამოეშალა.

— ასე უფრო ლამაზი ხარ.

ჯამილა ყოყმანობდა. დერეფნის ვიწრო სარკეში საკუთარ თავს თვალი შეავლო. ახალი კაბა, ახალი ვარცხნილობა და ახალი „მე“ ეხამუშა. მის გვერდით მდგარმა იუნუსმა თურქულად დააჩქარა:

— წამო, დეიდა, შესანიშნავად გამოიყურები.

ჯამილა დანებდა:

— რადგან შენ ამბობ.

მოღიმარმა პემბემ დას ბანკნოტები, იუნუსს კი ერთი მუჭა ხურდა მისცა. შემდეგ ორივეს აკოცა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ილის ყიდვა არ დაგავიწყდეთ. დღეს ხორცს მივირთმევთ და ყავისთვის მჭირდება.

ასე გავიდნენ სახლიდან. ჯამილა და იუნუსი, გახარებულები. სცადა, ქურთულად დალაპარაკებოდა დისშვილს, მაგრამ იმედი გაუცრუვდა, ბიჭმა ვერაფერი გაიგო. თურქული ორივეს უჭირდა, ამიტომ ბევრი არ უსაუბრიათ, ხელები ჩასჭიდეს და ერთად ყოფნით ტკბებოდნენ. მართალია, მასთან დროის გატარება უხაროდა, მაგრამ საყიდლებზე ორი საათის სიარულის შემდეგ, უკანა გზაზე, იუნუსმა დასხლტომა სცადა. სხვა საქმეებიც ჰქონდა, უფრო მნიშვნელოვანი. ქუჩაში ტობიკოს გადააწყდა.

პანკები თავიანთი ძველი სახლის დაბრუნებას აპირებდნენ. როგორც იქნა, დადგა დიადი დღე. შუაღამეს, ერთიანი ძალებით, შეტევას განახორციელებდნენ. ძალაყინებით შეიარაღებულები, ვიქტორიანული სახლის გარშემო აგებული ხუხულების უკან დაიმალებოდნენ და კუთვნილ სამოსახლოს დაიკავებდნენ, საძილე ტომრებითა და აღჭურვილობით. აფორიაქებული ტობიკოს დანახვაზე, იუნუსმა დეიდამისს სთხოვა, მეგობართან წასვლის ნება დაერთო, — უკვე სახლთან ვართ და სიაში რაც ეწერა, ყველაფერი ვიყიდეთო.

— დედაშენი გაგიშვებს? — ჰკითხა ჯამილამ.

უფრო საყვედურს ჰგავდა, ვიდრე შეკითხვას. იუნუსმა დაარწმუნა:

— დაგეწევი, გპირდები.

ჯამილამ თავი დაუქნია, პარკებს დასწვდა და იუნუსმა რომ მიასწავლა, იმ მიმართულებით წავიდა. გზად, რამდენჯერმე შეყოვნდა: ქუჩის მუსიკოსის მოსასმენად, კედლის ნახატების შესათვალიერებლად, ვიტრინებში შესაჭყეტად, ფასდაკლებით გამოტანილი ნივთებისთვის თვალის შესავლებად. იმდენად იყო გართული და უცნაური ქალაქით გაოცებული, რომ ვერ შენიშნა, ვილაც როგორ აედევნა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლიმონის ხე

ლონდონი, 1978 წლის 30 ნოემბერი

პემბე სამზარეულოში ფუსფუსებდა, ძველ ქურთულ სასიყვარულო ბალადას „სუსან სუზის“ ღიღინებდა. ყველა ქურთული სასიყვარული სიმღერის მსგავსად, ესეც მელანქოლიით იყო სავსე, მომღერალიც ნაღვლიანად ასრულებდა. თუმცა პემბე სულაც არ იყო დადარდიანებული. მართალია, თავში ქარბუქი უტრიალებდა და ელიასი ენატრებოდა, მაგრამ ნეტარებასაც განიცდიდა. დის ჩამოსვლამ სიცოცხლის რწმენა დაუბრუნა და იმედი მისცა. თვეების წინ ადემს წერილი მისწერა, აუხსნა, რომ მათი გაყრა აუცილებელი იყო. პასუხი არ მიულია. პემბე ადვოკატს იპოვიდა. ადემს ეწყინებოდა, მაგრამ არ გაუკვირდებოდა. ალბათ გულზეც მოეშვებოდა, რომ პირველი ნაბიჯი პემბემ გადადგა და არა თვითონ. ისკენდერის დარწმუნება ბევრად რთული იქნებოდა, მაგრამ იქნებ, მასაც გაეგო. ბიჭს აღარ მოატყუებდა, მხოლოდ სიმართლეს ეტყოდა. ამიერიდან ყველაფერი შეიცვლებოდა. პემბემ არ იცოდა როგორ, მაგრამ ამის მტკიცედ სჯეროდა.

გეგმა ჩამოაყალიბა და ლიმონისბეზეიანი ღვეზლის გამოსაცხობად მოემზადა. რეცეპტი ელიასმა ასწავლა. იმედი ჰქონდა, ჯამილას ასეთი არომატული ტკბილეულით გააოცებდა. როცა პატარები იყვნენ, მარილიანი ლიმონის წუწნა უყვარდათ, ლექსიც კი მოიფიქრეს: მჟავეს მიმატებული მჟავე, უდრის ტკბილს. უფროს დებს არ გამოსდიოდათ, ყოველი მცდელობისას სახე ეღრიჯებოდათ. ტყუპს კი შეეძლო, ხუთი ლიმონი ერთად შეეჭამა. მათი საყვარელი ჯემებიც ყოველთვის ტკბილ-მჟავე იყო.

თუმცა ჯამილას ძველებური მადა აღარ ეტყობოდა. ლონდონში წინადღით ჩამოვიდა, მაგრამ მას მერე ძალიან ცოტა ჭამა და ძალიან ცოტა თქვა. მისი და შეცვლილიყო. თვალების

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გარშემო მუქი წრეების ჩრდილი ადგა, მორიდებული ღიმილი დასთამაშებდა, მაგრამ ცვლილებები იმდენად შეფარული იყო, მხოლოდ პემბემ შენიშნა. ბავშვები იმით იყვნენ აღტაცებული, როგორ ჰგავდნენ ერთმანეთს დები. მას მერე, რაც ჯამილამ თავისი უხეში შალის სამოსი გაიხადა, პემბეს კაბა ჩაიცვა და პემბესავით გადაივარცხნა თმა, მათი ერთმანეთისგან გარჩევა შეუძლებელი გახდა.

კვერცი და შაქარი ადღვიბა და ღუმელი ჩართო. ელიასმა ურჩია, გახეხილი ლიმონი ბლომად დაემატებინა. პემბე აივანზე, ბამბუკის კალათაში, ყოველთვის ინახავდა ლიმონს, ფორთოხალსა და ლაიმს. ადრე რამდენჯერმე სცადა, ლიმონის ხეები გაეხარებინა, მაგრამ უეცარმა ყინვამ გაახმო.

ჯერ კიდევ იმავე სიმღერას ღიღინებდა, როცა აივანზე გავიდა. მისი მზერა დაუდევრად ჩაცურდა რკინის მოაჯირიდან დაბლა, ქუჩაზე. რაღაცამ მიიპყრო მისი ყურადღება. რამდენიმე წამში პარკებით დახუნძლული ტყუპისცალი შენიშნა, რომელმაც ის-ის იყო, ლავენდერ-გროუვზე შემოუხვია. პემბემ კისერი წაიგრძელა და ხელი დაუქნია. დამ თავიდან ვერ შენიშნა.

— ჯამილა... აქეთ ამოიხედე!

ჯამილამ აივნისკენ გაიხედა, სახეზე სიმშვიდე ეტყობოდა. პემბეს გაეღიმა. და აი, დის ნაღვლიანი და ღირსეული გამომეტყველების მიღმა, ბავშვური გულუბრყვილობა გამოკრთა, ნისლივით ფაქიზი. წუთით შეშურდა თავისი ტყუპისცალის მიმზიდველობის. მართალია, ერთმანეთს ძალიან ჰგავდნენ, მაგრამ ერთნაირები არ იყვნენ. ჯამილას ბუნებრივი ეშხი ჰქონდა, მისგან სიცოცხლე და სინათლე გამოსჭვიოდა, სიმტკიცე და სიმშვიდე. რაც, პემბეს აზრით, თვითონ არ გააჩნდა.

— დესერტს გიმზადებ!

— რა? — ჩავლილი მანქანისგან შემფრთხალმა ჯამილამ იკითხა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მე... — პემბე შეჩერდა. ქუჩაზე მომავალი ისკენდერი შენიშნა.

რამდენიმე წამით აკვირდებოდა, როგორ აედევნა შვილი მის დას. ისკენდერს თვალები ნაპრალივით დავიწროებოდა, გაფითრებულიყო, ტუჩებს შეუჩერებლად ამოძრავებდა, თითქოს საკუთარ თავს ეკამათებოდა.

პემბე ვერ მიხვდა, რა ხდებოდა. მაშინაც კი, როცა დაინახა, როგორ გადაუხტა ჯამილას დანით ხელში, მაშინაც კი, როცა წინ გადაეღობა, პემბესთვის გაუგებრად დარჩა ის, რაც მის თვალწინ მოხდა. მაგრამ შემდეგ, როცა გონების დამხშობი უხილავი ფარდა აიწია, დაინახა სრული სიმართლე, სრული საფრთხე. სუნთქვა შეეკრა. ლიმონებჩაბღუჯულმა, ელვის სისწრაფით გაირბინა ოთახი, დერეფანი, კარი და ქუჩაში გავარდა.

პემბე გაიქცა. სულ რაღაც სამ მეტში იდგა, როცა დაინახა, მისმა შვილმა მისი და დაჭრა. ისკენდერმა დანა მოუხერხებლად და ნაჩქარევად მოიქნია, თითქოს ერთი სული ჰქონდა, საქმე მოეთავებინა და გზა გაეგრძელებინა. დანამ ჰაერში ნახევარწრე მოხაზა, ჯამილას ტანი გაგლიჯა და გულმკერდის მარჯვენა ნაწილში ჩაესო. პემბემ დაიყვირა, მაგრამ ხმა დახშობოდა. იმწამსვე მიხვდა, გუმანით იგრძნო, რომ დანა ტყუპისცალის გულს მისწვდა.

ისკენდერმა უკან დაიხია, წამით შეყოვნდა, დანას საკუთარ ხელში წარბშეკრულმა შეხედა. დაბნეული ჩანდა, თითქოს არ იცოდა, რა ჩაიდინა, თითქოს მარიონეტი იყო და თოკებს ვილაც სხვა მართავდა. დანა გვერდით გადააგდო და მოპირდაპირე მხარეს გაიქცა.

პემბეს ვილაცის ყვირილი შემოესმა. ღმუილმა ქარი გაიპო. ერთი წუთი დასჭირდა, სანამ მიხვდებოდა, რომ ეს ხმა თავად აღმოხდა. ვერ ინძრეოდა, სხეული წაერთვა. მატერია აღარ იყო, მხოლოდ ხმა დარჩენილიყო მისგან. მისი ყოფიერება ყვირილამდე დავიდა. ერთ კივილს მეორე ემატებოდა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და იხვეოდა სპირალად, მისდა უნებურად. ხმები ტრიალებდა, ბზრიალებდა და დაუსრულებელ ექოდ ისმოდა.

თვალები გაჰფართოებოდა, მუცელი ეწვოდა. პემბემ დასთან ჩაიმუხლა. პარკის შიგთავსი ქუჩაში მიმოფანტულიყო. პური, ყველი, მწვანე ვაშლი, ბაზილიკის ქილა, ილის შეკვრა.

პემბე მთვარეულივით ეხუტებოდა ტყუპისცალს. სახე დაუკოცნა — შუბლი, ლოყები, კისერი. დადუმებული პულსი შეუმოწმა. ჯამილას სხეული გაშეშებულიყო, ნელ-ნელა იცლებოდა სითბოსგან. სახიდან ნათელი გამქრალიყო, მხოლოდ ტუჩებზე შერჩენოდა ჭრილობისფერი. პემბე აკანკალდა, თითქოს თვითონაც იწრიტებოდა სიცოცხლისგან. სისხლის გუბე გაფართოვდა და გასქელდა. ნაჩქარევი ფეხის ხმა და ჩურჩული შემოესმა. კუთხიდან სასწრაფო დახმარების მანქანამ შემოუხვია. კარი გაჯახუნდა, პოლიციის რაციები ახმაურდა. პემბე ბარბაცით მოშორდა ტყუპისცალის სხეულს. ფლოსტების ქვეშ გუდრონს გრძნობდა.

ნახევარი წუთის შემდეგ, მოხუცი, გულკეთილი ალბანელი მეზობელი ქალი გამოჩნდა ქუჩაში. უეცრად ალიაქოთი შენიშნა. საგონებელში ჩავარდნილმა და შეშინებულმა, გარდაცვლილისკენ გაიკვლია გზა. მუხლებზე დაეცა და ღრიალი მორთო.

— ოჰ, შე საბრალო! რა დაგემართა? პემბე, ძვირფასო!

ქუჩის ბოლოში მდგარ პემბეს გააჟრჟოლა. იმის მოსმენა, მას როგორ გლოვობდნენ, საზარელი და სულის გამყინავი იყო, მაგრამ გარე სამყაროსგან მოწყვეტაში ეხმარებოდა. არც შეჩერებულა, არც უკან მოუხედავს. მკლავები გადააჯვარედინა, თავი ჩარგო, თითქოს ძლიერი ქარის საწინააღმდეგოდ მიდიოდა, ხალხის ბრბოში მოჩვენებასავით გაირა. ისედაც მოჩვენებად გრძნობდა თავს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

* * *

დარჩენილი დღე ქუჩებში ბორიალში გაატარა, აქამდე უნახავი აღმოსავლეთ ლონდონის ადგილები დაათვალიერა. იცოდა, ვერც სახლში დაბრუნდებოდა, ვერც ელიასთან მივიდოდა, სანამ ისკენდერი თავისუფალი იყო. ბიჭი მალე მიხვდებოდა დაშვებულ შეცდომას და დედის ძებნას დაიწყებდა. პემბეს ისე ეშინოდა, დის გამოგლოვებაც არ შეეძლო. ძალიან დაფრთხა, მღელვარება მთელ სხეულს მოედო.

რამდენჯერმე შეჩერდა და ღრმად ჩაისუნთქა, რომ წონასწორობა შეენარჩუნებინა. „კრისტალ სიზორზის“ გარშემო წრეებს ურტყამდა, სანამ შესასვლელის მოპირდაპირე მხარეს არ შეჩერდა. სამსახური აუხსნელად მიატოვა. გასაღები საფოსტო ყუთში ჩააგდო და გაქრა. ახლა, „სამეფო ფოსტის“ სატვირთო მანქანის უკან იმალებოდა და რიტას კაშკაშა პროფილს ფანჯრიდან შესცქეროდა. შიგნით ორი კლიენტი იჯდა და ვილაც უცნობი, სავარაუდოდ, ახალი შეგირდი — ახალგაზრდა აზიელი ქალი ბადრიჯნისფერი თმით.

პემბე სალონის უკან შეიპარა, სადაც პირსახოცებს, ხალათებსა და წინსაფრებს აშრობდნენ. თუ გაუმართლებდა, რაიმე ჩასაცმელს იპოვიდა. პერანგი სისხლით დაესვარა და ლაქის დასამალად, გულზე ხელებდაკრეფილი და მხრებში მოხრილი დადიოდა. ნუთუ, გამვლელებმა ვერ შენიშნეს? ან შეიძლება, თავი მოიკატუნეს. უკანა კარი გააღო, შეიძურწა და შეჩერდა.

შეგირდი საღეჭ რეზინს აღლაჭუნებდა, მუსიკის რიტმს აყოლილი ირწეოდა და თოკიდან პირსახოცებს ხსნიდა. უკვე გვიანი იყო, პემბე ვერ გაბრუნდებოდა და ვერც დაიმალებოდა. პირდაღებული შესცქეროდნენ ერთმანეთს.

— ბოდიში, — პემბეს ლოყები აუხურდა. წინ წადგა ნაბიჯი, ხალათს დაავლო ხელი და გაიქცა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჰეი, რას აკეთებ? — უყვირა ასისტენტმა, — ქურდი! ქურდი! — მაგრამ პემბე უკვე გამქრალიყო.

მომდევნო რამდენიმე საათი ბოდიალში გაატარა. ჩამავალი მზე კეფაზე თბილად ელამუნებოდა. წასასვლელი არსად ჰქონდა. თუ პოლიციაში მივიდოდა, დაჰკითხავდნენ. პასუხებს ვერ გასცემდა, რადგან მათ ენას ვერ გაიგებდა და შეიძლება, დამნაშავედაც კი ჩაეთვალათ.

ვერც მეზობლებთან შეაფარებდა თავს. ვინ გარისკავდა? ისიც არ იცოდა, ისკენდერი მარტო მოქმედებდა თუ სხვების მხარდაჭერით. კიდევ ვინ იყო ჩართული? ტარიქი? იქნებ მისი ქმარი? იქნებ ორმა ძმამ ისკენდერი, მისი სულთანი, მისი თვალისჩინი, დაარწმუნა, საკუთარი დედა მოეკლა? თავი უსკდებოდა. ვერავის ენდობოდა, ელიასის გარდა. მასზე გაფიქრებისას ჟრუანტელმა დაუარა. ვეღარასოდეს ნახავდა. კიდევ კარგი, ისკენდერმა მისი სახლი და სამუშაო ადგილი არ იცისო, გაიფიქრა. თუ ელიასისგან თავს შორს დაიჭერდა, საფრთხე არ დაემუქრებოდა. კაცისთვისვე აჯობებდა, თუ ეგონებოდა, რომ პემბე გარდაიცვალა.

დანაშაულის გრძნობა, ქვეშქვეშა ავსული, უკვე თვეებია, გულში დაბუდებოდა, სისხლს სწოვდა და იზრდებოდა. ახლა კი მთელი თავისი სიდიადით წარმდგარიყო და სულს უფრთხობდა. მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავს აბრალებდა მომხდარს. მისმა და ელიასის ურთიერთობამ დაატეხა თავზე უბედურება. როგორ უნდა გაებედა კიდევ მისი ნახვა? სინამდვილეში, ახლაც კი, პემბე ცდილობდა, ისკენდერი გაემართლებინა. დანარჩენი ორი შვილის ნახვის სურვილით კვდებოდა. რას მოიმოქმედებდნენ, როცა შეიტყობდნენ, რომ დეიდა გარდაეცვალათ და დედა გაუჩინარდა? რას ეტყოდა მათ პოლიცია და ისინი რას უპასუხებდნენ?

მწუხრი ჩამოწვა და პემბე თავის უბანში მილასლასდა, თუმცა იცოდა, საშიში იყო. ლავენდერ-გროუვს მიაღწია და იქვე მიიმალა. ის ადგილი, სადაც სულ რამდენიმე საათის წინ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჯამილა გარდაიცვალა, თეთრი ცარცით მოენიშნათ და ყვითელი ლენტი შემოევლოთ. იქვე ხალხი იდგა, ეწეოდნენ, განიხილავდნენ. რადგან უფრო ახლოს ვერ მივიდოდა, ამიტომ გადაწყვიტა, გაუჩინარებულიყო.

იმ ღამეს პემბემ „ბერკლის“ ბანკის წინ, დანაგვიანებული კუთხე იპოვა და იქ შეიყუჟა. ჩამავალი მანქანების ხმაზე იკუნტებოდა. საჯარო საპირპარეშო გამოიყენა, რესტორნის მეპატრონისგან წყალი და საჭმელი იმათხოვრა და ტირილით ჩაიძინა.

— გაილვიძე! ადექი ოხერო! — თავზე მაწანწალა წამოსდგომოდა. მაღალი, ლუდისგან გაბერილი მუცლით, დასივებული სახით, ხშირი წარბებითა და ჩალეწილი კბილებით, — რა ჯანდაბაა! ჩემს ადგილას რას აკეთებ?

პემბე წამოხტა, ტუჩები აუკანკალდა:

— მე... მე ბოდიშს გიხდით, — ჰაერში სუნი იყნოსა. ღვინის, თამბაქოს, შარდისა და ჭუჭყის ნაზავი. კაცი მისკენ წამოვიდა ტორტმანით, მაგრამ პემბემ აიცილა და გაიქცა.

— ჰეი, დაბრუნდი ჩიტუნავ! რისი გეშინია?

მაწანწალამ მზერით გააცილა. უყურებდა, პემბე გარბოდა და კუთხეში გაუჩინარდა. ბოროტად ჩაიცინა, თითქოს საკუთარ თავს ხუმრობას უყვებაო, და ჯერ კიდევ თბილ კუთხეში მოკალათდა. ჩექმა გაიძრო და უდარდელად მოჰყვა ფეხების ზელას.

ესმა

ლონდონი, 1978 წლის 1-ლი დეკემბერი

სამზარეულოში მეტისმეტად ბევრი საჭმელი იყო. პირამდე სავსე ქვაბებსა და ჯამებს ცხარე, მძიმე სურნელი ასდიოდა; პატარა თასები, ცომეული და დესერტი მაგიდაზე, სკამებ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სა და იატაკზეც ელაგა. არ ვიცოდი, ამდენ კერძს ვინ შეჭამდა, სახლში ხომ მხოლოდ მე და იუნუსი დავრჩით. მგლოვიარეები მოდიოდნენ და მოდიოდნენ, თან საჭმელი მოჰქონდათ ჩვენს დასაპურებლად. ზოგი ძველი მეზობელი იყო, ზოგიც უბრალო ნაცნობი, ზოგსაც პირველად ვხედავდი. ყოველი ახალი სტუმრის მოსვლაზე დეიდა მერალი, როგორც ჭირისუფალი, დგებოდა, ესალმებოდა და მათთან ერთად ქვითინებდა. მე და იუნუსი კუთხეში ვისხედით, თითქოს იქ ვიყავით და თან არ ვიყავით — აკვარიუმის ორი მთვლემარე თევზი. ყველა გვიახლოვდებოდა, გვათვალიერებდა, მათსა და ჩვენ შორის, გამყოფ მინაზე აკაკუნებდა და ჩვენს რეაქციას ელოდა. ვხედავდით და გვესმოდა, მაგრამ არაფერს ვგრძნობდით, თანაგრძნობის სიტყვები ჩვენთვის არაფერს ნიშნავდა. იმ გამოცანის ამოხსნით ვიყავით დაკავებული, რომელიც მხოლოდ ჩვენ ორმა ვიცოდით.

— ესმა, ყველაფერი ჩემი ბრალია, — ჩამწყდარი ხმით მითხრა იუნუსმა.

— რას გულისხმობ?

— დეიდა მარტო დავტოვე...

მისი ხელი დავიჭირე და ჩავეხუტე.

— ეს ისკენდერმა ჩაიდინა და არა შენ, იანიმ.

— მაგრამ თუ დეიდა ჯამილა იყო სასწრაფო დახმარების მანქანაში, დედა სადღაა?

— მეც ამაზე ვფიქრობ.

ამ კითხვაზე პასუხი ერთ საათში შევიტყვე. შუადღისას კარი გაიღო და ახალმა სტუმარმა შემოაბიჯა. თავით ფეხებამდე კაშკაშა, მწვანე ფერის სამოსი ეცვა, ბუმბულებიანი ქუდის ჩათვლით. მგლოვიარეები მის ბრჭყვიალა აქსესუარებსა და მოხატულ ფრჩხილებს მიაჩერდნენ.

მე კი ძალიან ბედნიერი ვიყავი მისი დანახვით.

— რიტა... — წამოვიძახე და მისკენ გავიქეცი აცრემლებული.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სამზარეულოს მაგიდას მივუსხედით, ცნობისმოყვარე თვალისგან შორს.

— დედაჩემი არ მომკვდარა, — ვუჩურჩულე.

თავი დამიქნია.

— შენთან არის?

კიდევ ერთხელ დამიქნია თავი.

რიტამ მომიყვა: იმ დილით, სალონის გასაღებად რომ მივიდა, ზღურბლზე ჩაძინებული პემბე აღმოაჩინა. რა მოხდაო, — ჰკითხა, მაგრამ დედას თითქმის არაფერი უთქვამს. უკანა ოთახში შეიყვანა, ჩაი და ორცხობილა მიართვა, ფარდები დახურა, შუგირდი ერთი დღით გაათავისუფლა და სალონი დაკეტა. შემდეგ დედას სახის დაბანასა და მოწესრიგებაში შეეშველა.

— შეგიძლია, რამდენიმე დღით შენთან დაიტოვო? — ვთხოვე მე, — სანამ გავერკვევით, როგორ მოვიქცეთ.

რიტამ თავი გააქნია. შეყვარებული ნებას არ დართავდა და თუნდაც დათანხმებულიყო, ასეთ საიდუმლოს რიტა მას ვერ ანდობდა.

— კიდევ ერთი რაღაც, — თქვა რიტამ. ქაღალდის ნაგლეჯი მომაწოდა, რომელზეც ელიასის სახელი და მისამართი ეწერა, — უნდა უთხრა, დედაშენი დაიღუპა. პემბეს აზრით, ასე ჯობს.

საუბარი ამით დასრულდა. კარამდე მივაცილე. რიტამ მგლოვიარე მეგობრის როლი მოირგო, აცრემლებული ჩამეხუტა და სხვების გასაგონად წამოიძახა:

— ვწუხვარ, სიყვარულო. დედაშენი ძალიან ძვირფასი იყო ჩემთვის.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

• • •

მზის ჩასვლის შემდეგ იუნუსი და მე „კრისტალ სიზორში“ უკანა კარიდან შევედით, ხელჩაკიდებულები. ცხოვრების ბოლომდე არ დამავიწყდება წუთი, როცა დედას მკლავებში ჩავუვარდით, ერთდროულად ვტიროდით და ვიცინოდით. დედა დამფრთხალი ჩანდა, ტირილისგან სახე დასივებოდა, თვალის უპეებში შავი წრეები ეტყობოდა.

დედამ აქვითინებული იუნუსი გულში ჩაიკრა. ჩემი ძმა მოთქვამდა:

— ყველაფერი ჩემი ბრალია. მე დავტოვე დეიდა ჯამილა მარტო. მეგობრებთან ლაპარაკში გავერთე და სახლში მარტო გავუშვი.

დედამ ჯერ იუნუსს აკოცა, მერე მე.

მიჩურჩულა:

— ელაპარაკე?

ელიასთან ჩემი სტუმრობის შესახებ მოკლედ მოვუყევი. დაქანცული მისმენდა, თითქოს ნახევრად სიზმარში იყო.

— შენზე საშინელებებს ამბობენ, — იუნუსმა შეგვაწყვეტინა, — მათ აღარ ველაპარაკებით.

ასე შეიტყო დედამ, რომ მთელი სამეზობლო ჭორაობდა. ზოგიერთები ოჯახის ღირსების შელახვაში ადანაშაულებდნენ, მან უბიძგა თავის შვილს, ბნელ გზას დასდგომოდაო.

ძმას მკაცრად შევხედე.

— დღეს დაკრძალვაა. დეიდა მერალი აგვარებს ყველაფერს.

იუნუსი დედის მკლავს დასწვდა და მოეფერა.

— არ ინერვიულო. ვიცი, სადაც წაგიყვანო. არის ლონდონში ერთი ადგილი, სადაც სრულიად უსაფრთხოდ იქნები და პოლიციას არავინ გადაგცემს.

და, აი, ასე აღმოჩნდა დედაჩემი, პემბე კადერ ტოპრაკი,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ოცდაცამეტი წლის, ოფიციალურად, გარდაცვლილი ქალი ჰაკნის უბნის ნახევრად ჩამონგრეულ სახლში, პანკ როკერებთან ერთად.

წმენდა

ლონდონი, 1978 წლის 5 დეკემბერი

პემბე საწოლზე წამოჯდა, გამოფიტული სახით. მკლავები მოხრილ მუხლებს შემოხვია და თითები ერთმანეთს გადააჭდო. მკერდში ტკივილი იგრძნო, თითქოს ნეკნებზე რაღაც დააწვა. სუნთქვა უჭირდა, ყლაპვისას სტკიოდა.

უსმენდა სიბნელით მოცული, ძველი, ვიქტორიანული სახლის ხმებს, ჰაერში ოდნავ უსიამო სუნი ტრიალებდა — მტვრის, ოფლის, ობმოკიდებული ავეჯის, ნესტიანი სარეცხის, უსუფთაო ზეწრების, ცარიელი ბოთლებისა და სავსე საფერფლეების სუნი. ოთახმა, სადაც რამდენიმე ადამიანს ერთმანეთის გვერდიგვერდ, იატაკზე ეძინა, ბავშვობა გაახსენა. მოაგონდა, ის და მისი ტყუპისცალი ერთმანეთზე მიკრულები როგორ თვლემდნენ, ერთმანეთს როგორ ათბობდნენ. რამდენი საბანიც უნდა ჰქონოდათ, ღამე შემცივნებულსა და საბანგადახდილს ელვიძებოდა. მაშინვე დასწვდებოდა პირველივე გადასაფარებელს, გაეხვეოდა და ტყუპისცალს უსაბნოდ ტოვებდა.

მთვლემარე ახალგაზრდებს შესცქეროდა და ფანჯრის მიღმა, უფერულ სივრცეში იყურებოდა. ისეთი გულგრილობა დაეუფლა, აქამდე რომ არ უგრძნია. საათი გავიდა. შეიძლება, მეტიც. დანამდვილებით არ იცოდა. ბოლოს, ჰორიზონტზე პირველი სხივი შენიშნა. მეწამულისფერი, ისარივით წამახული სხივები გადაეკრა ზეცას. ლონდონის ცაზე ირიჟრაჟა. პემბეს ყელი გაუმწარდა. მალე ყველა გაიღვიძებდა. ჭამას,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ოხუნჯობას, მოწევას დაიწყებდნენ. მართალია, შეიფარეს და ცდილობდნენ, არ შეეწუხებინათ, მაგრამ პანკები შეკითხვების დასმისგან თავს ვერ იკავებდნენ. ცდილობდნენ გაეგოთ, რა შეემთხვა.

ხიზნების უმრავლესობას შუადღემდე ძილი უყვარდა, მაგრამ საბჭოსთან შეტაკების შემდეგ განსაკუთრებით ფრთხილობდნენ. კარგად იცოდნენ, ბედნიერი, უდარდელი დღეები წარსულს ჩაჰბარდა. ამიტომაც, დილის რვა საათზე ყველა ფხიზლად იყო. ხელის ცეცებით ეძებდნენ წუხანდელ ტანსაცმელს, სიგარეტის პირველ ღერს უკიდებდნენ, ჩამოტეხილ ნიჟარასთან მისვლაში ერთმანეთს ეცილებოდნენ. თვით პოპიც კი, რომელსაც სახელდახელოდ დამზადებული ყურის საცობებით ეძინა, ფეხზე წამომდგარიყო.

სამზარეულოში ტობიკო პემბეს უყურებდა, ქალს არმიის სამყოფი ბლინები მოემზადებინა. გოგონას საჭირო სიტყვების პოვნა უჭირდა, ბოლოს მხოლოდ ამის თქმა მოახერხა:

— ოჰო, რა კარგი სუნი ტრიალებს.

პემბემ სუსტად გაუღიმა. მისი ხელები სწრაფად, მონდომებით მუშაობდა, გონება კი კილომეტრებს იქით დაქროდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ტობიკოს თეფში მიაწოდა, რომელზეც ბლინები იყო აკოკოლავებული.

— წადი... ჭამე... — უთხრა.

ტობიკო ყოყმანობდა.

— და თქვენ?

— მე მოგვიანებით შევჭამ.

— იცით, თქვენი შვილი ძალიან გვიყვარს, — უეცრად თქვა ტობიკომ, — ჩვენი თილისმაა. და... ჰმ... არ ვიცი, რა შეგემთხვათ, მაგრამ იუნუსმა მითხრა, საიდუმლოა და ცოტა ხნით უნდა დაიმალოსო. რაც უნდა იყოს, აქ სასურველი სტუმარი ბრძანდებით და რამდენ ხანსაც მოგინდებათ, იმდენ ხანს დარჩით.

პემბეს ტობიკოს მიმართ გული ისე გაუთბა, რომ თვალები აუცრემლიანდა. გულში ჩაიკრა გოგონა, რომელიც ამას არ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ელოდა, თუმცა მაშინვე საპასუხოდ ჩაეხუტა. ამ დროს პოპის ღრიალი შემოესმათ:

— ოი, ამოგვხდა სული შიმშილით. ხალხს ჭამა უნდა!

ტობიკომ ღიმილით გამოართვა თეფში და ოთახისკენ გასწია.

სამზარეულოში მარტო დარჩენილმა პემბემ ცოცხს ხელი დაავლო და იატაკის ხვეტა დაიწყო. ყოველდღიური საქმე რომ არა, — ეშინოდა, რომ ჭკუიდან შეცდებოდა. ამიტომაც, მომდევნო საათების განმავლობაში დახეხა, დახვეტა, მტვერი დაწმინდა და მთელი სახლი გააკრიალა. ხიზნები გაოცებული შესცქეროდნენ. პემბე ისეთი გაშმაგებით ალაგებდა, რომ არავის გაუბედავს დაეცინა ან შეეჩერებინა. დაწმენდის სურვილი გადამდები აღმოჩნდა, რამდენიმემ დახმარება შესთავაზა და იატაკის საწმენდებითა და ცოცხებით შეიარაღებული ქალის სიგიჟეს შეუერთდა. თუმცა, მალევე მიანებეს თავი, დაიღალნენ და მოსწყინდათ.

მოსაღამოვდა და პემბე კვლავ მუშაობდა და პანკები კვლავ თითისწვერებზე დადიოდნენ. უყურებდნენ სხვა კულტურის, სხვა ენის, სხვა ისტორიის ქალს, რომელიც შეუჩერებლად ტიროდა და წმენდდა, ტიროდა და წმენდდა.

შრიუსბერის ციხე, 1992 წელი

ჩემს გათავისუფლებამდე სამი თვით ადრე, მოხუცმა ქალმა ადგილობრივ საავადმყოფოში თვალი გაახილა. წყურვილსა და ზურგის ტკივილზე დაიწუწუნა, მაგრამ სხვა მხრივ, მშვენივრად გრძნობდა თავს. როდესაც ლაპარაკისთვის მზად იყო, პოლიციამ იმ კაცზე ჰკითხა, ვინც ერთ სუსხიან დღეს ჩანთა წაართვა და დამტვრეული ბოთლით თავს დაესხა. ქალმა აღწერა დამნაშავე. მის მეხსიერებას არაფერი გამორჩენია. კაცი, რომელიც მან დაახასიათა, ოდნავადაც არ ჰგავდა ზიშანს. პო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლიციელებმა არ დაიჯერეს და დასარწმუნებლად ჩემი თანამესაკნის ფოტო ანახვეს. ქალმა უთხრა, — ეს კაცი არ იყოო. მერე ზიშანი პოლიციაში წაიყვანეს და ქალს ორმაგი სარკიდან დაანახვეს. მან გაიმეორა, — არ იყო ეს კაციო. ბოლოს და ბოლოს, სასამართლომ გადაწყვიტა, საქმე თავიდან აღეძრა.

— ალბათ მეცხრე ცაზე ხარ, — ვუთხარი ზიშანს, — მალე თავისუფალი კაცი იქნები.

— ზიშანი ისედაც თავისუფალი კაცია, — მიპასუხა, — მეცხრე ცაზე ასვლა საჭირო არ არის.

— მომენატრები, ძმაო.

დანაღვლიანებული ჩანდა. ნერწყვი გადაყლაპა.

— გავალ და შენზე ვიფიქრებ, — მითხრა, — შენ ჩემი საუკეთესო მოსწავლე აღმოჩნდი.

— შენ კი უხეირო მატყუარა.

ჩაეცინა, მხრები აუთამაშდა.

— საშინაო დავალების შესრულება არ დაგავიწყდეს.

— რა საშინაო დავალება?

ზიშანის გათავისუფლების დღეს, დილით უკანასკნელად დავკავდით მედიტაციით. სხვა დღეებისგან განსხვავებით, არ მიქილიკია, არ გამიპროტესტებია. მყარ იატაკზე ფეხმორთხმული ვიჯექი და მას ვუყურებდი. და პირველად შევძელი, გონება ფიქრებისგან გამეთავისუფლებინა, თუნდაც მცირე ხნით.

იმავე საღამოს, როცა ზიშანი უკვე წასული იყო, ჩემს საწოლზე ვიწექი და ვფიქრობდი. მისი არყოფნა დამეტყო. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, მაგაროს გარდაცვალებისას რომ მქონდა. ვცადე, დამემთავრებინა, რისი შესრულებაც მთხოვა — ჩემი საშინაო დავალება. ეს იყო ყველაზე რთული რამ, რაც ცხოვრებაში გამიკეთებია. დამავალა, დედაჩემისთვის წერილი დამეწერა და ციხიდან გასვლის შემდეგ პირადად გადამეცა.

კალამმომარჯვებული, ყოველდღე ახალ-ახალ წერილს ვწერდი. რამდენიმეს არა უშავდა, მაგრამ ბოლომდე ვერასო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დეს ვამბობდი სათქმელს. ყოველ ჯერზე ვანაკუწებდი და ახლიდან ვიწყებდი, მაგრამ ვერ ვამთავრებდი. ყოველდღე რაღაცას ვჯღაბნიდი, როგორც ზიშანს დავპირდი. ზოგჯერ, ვმედიტირებდი კიდეც.

ოფიცერი მაკლაგლინი შემოივლიდა ხოლმე; ერთმანეთი კვლავაც არ გვეპიტნავებოდა, მაგრამ დანასისხლად გადაკიდებული აღარ ვიყავით.

ბოლოს, როგორც იქნა, დავწერე წერილი, რომელიც დანარჩენებზე ნაკლებ საშინელი მომეჩვენა. ამჯერად გადავწყვიტე, არ დამეხია. ზიშანის დარიგებისამებრ, წერილს ყოველდღე ვიწერდი სუფთა ფურცელზე, სანამ არ დავიზეპირე.

ძვირფასო დედა,

ამ წერილის გამოგზავნას არ ვაპირებ. ალაჰის ნებით, თავად მოგიტან და გადმოგცემ, რადგან სიტყვების დაწერა უფრო მეადვილება, ვიდრე წარმოთქმა. წელს თვალები ამეხილა. ერთი შეშლილი მესაკნე მყავდა, მაგრამ კარგი გაგებით შეშლილი. შენ მოგეწონებოდა. ზიშანი ერქვა. კარგი კაცია, ძალიან დამეხმარა. ამას ახლა უფრო ვხვდები, რაც წავიდა. სამწუხაროდ, მხოლოდ მაშინ ვაფასებთ რაც გვაქვს, როცა დავკარგავთ.

ისევ თექვსმეტი წლის რომ ვიყო, არასდროს ჩავიდენდი იმ საქციელს, რითაც ამდენი ტკივილი მოგაყენეთ ყველას. შენ, ჩემს დას, ჩემს ძმას, ჩემს საბრალო დეიდას. წარსულს ვერ შევცვლი. ვერც ერთ წამს. ზიშანი ამბობს, დროა, გამოვსწორდე. დარწმუნებული არ ვარ, რომ შევძლებ, მაგრამ თუ შენს ცხოვრებაში ისევ მიმიღებ, თუ შემინდობ, დიდი წყალობა იქნება, კვლავ შენი შვილი მერქვას.

ისკენდერ ტოპრაკი

ესმა

ლონდონი, 1992 წლის 12 სექტემბერი

შაბათი დილაა. ახლად მოწყობილ სამზარეულოში საუზმეს ვამზადებ. ლამის მთელი ქონება დაგვიჯდა, მაგრამ ჩემმა ქმარმა დაიჟინა, ყველაფერი ცინცხალი შეგვეძინა. მისი საჩუქარია ჩვენი ქორწინების რვა წლისთავისთვის. ესპრესოს ფერები, ნეკერჩხლის პარკეტი, მდიდრული, ამერიკული მაცივარი და წვენსაწური, რომელშიც მთლიანი ხილი შეგიძლია მოათავსო, დაჭრაც კი არ გჭირდება. პრიალა, მოსახერხებელი და პრაქტიკული. ასე ეწერა ბროშურაში.

ტაფაზე კვერცხს ვაბრუნებ, კარგად შემწვარ ნაწილს ქვევიდან ზევით ვაქცევ, აწმყოში ამოტივტივებული წარსულის მოგონებასავით. რთულია კვერცხის შეწვა, როცა გონება სხვაგანაა. კარგი რომ გამოგივიდეს, დრო ზუსტად უნდა განსაზღვრო, მე კი ეს არასდროს გამომდის. შეიძლება, ზოგადად, დროის ცნებასთან ვერ ვმეგობრობ. ვერც გუშინდელ დღეს ვივიწყებ, ვერც მომავალზე ვფიქრობ. აღარაფერი დარჩა გოგოსგან, რომელიც მაღალი იდეებითა და გულანთებული სიტყვებით იყო სავსე. ჩემი თვალებგაბრწყინებული წარსულის გახსენებაზე მგონია, რომ საკუთარ თავს ვუღალატე.

ჩემი გოგონები მაგიდას უსხედან, „ბლუ პიტერის“, მათი საყვარელი გადაცემის წამყვანებზე ჭიკჭიკებენ. როგორც ყოველთვის, განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. ვუსმენ, მაგრამ ჩემი ტვინი ქალალდის ფრანს დამსგავსებია, ქარი საითაც დაუბერავს, იმ მიმართულებით მიფრინავს.

— დედა, შეგიძლია შენს მეორე შვილს უთხრა, მოკეტოს? — იღრინება ლაილა.

— აჰა, ჰო, — ვპასუხობ და ტაფა ქურიდან გადმომაქვს. კვერცხი ბოლომდე შემწვარი არ არის, მაგრამ არ მინდა, დამეწვას. ისევ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— დედა!!! — ყვირის ჯამილა.

— ბოდიში, ძვირფასო, რა თქვი? — ვეკითხები, მაგრამ უკვე გვიანია. მათკენ შემოტრიალებულს, ერთი გაბადრული, მეორე კი ნაწყენი მხვდება.

ამ დროს ქმარი შემოდის ჩემს გადასარჩენად.

— დაანებეთ დედას თავი. დღეს საფიქრალი დაუგროვდა.

— რატომ? — კითხულობს ლაილა.

— ჩვენ ხომ ამაზე უკვე ვილაპარაკეთ, — ნადირი ალერსიანად ამბობს, — ბიძათქვენი მოდის. დედას დიდი ხანია, არ უნახავს.

— ოჰ, — ამბობს ლაილა, თუმცა გაოცების არაფერი ეტყობა.

ვამჩნევ, ჯამილა მამამისს აკვირდება, თვალებში წინააღმდეგობის ცეცხლი უელავს. ნუშის ფორმის მუქი თვალები აქვს, სრულიად განსხვავებული იმ ქალის თვალებისგან, ვისი სახელიც ჰქვია. უეცრად გვეკითხება:

— თქვენ ორნი გვატყუებთ?

ჩემს ქმარს, რომელიც თეფშებზე კვერცხებს ანაწილებს, ხელი ჰაერში უშეშდება. ვუსმენ ჩამოწოლილ სიჩუმეს, მაგრამ დარღვევა არ შემიძლია.

ნადირი მშვიდი და გაწონასწორებულია, როგორც ყოველთვის.

— მშობლებზე ასე არ უნდა თქვა, ძვირფასო. ან, თუნდაც, სხვა ვინმეზე.

— ბოოდიშშიი, — წაიმღერებს ჯამილა.

— კარგი, ახლა მითხარი, ეგ რატომ იფიქრე?

ჯამილა მისდამი გამოვლენილი ყურადღებით ტკბება და ტუჩებს ანცად პრუწავს.

— არა მგონია, ბიძია ისკენდერი ალასკაზე მუშაობდეს. ჩემი აზრით... — მაგიდაზე აცეცებს თვალებს, თითქოს მინიშნებას ეძებსო, — რუსების ჯაშუშია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რა ზღაპრებს ჰყვები, — აწყვეტინებს ლაილა.

— მართლა. აისბერგებს ბომბავს.

— არა, არ ბომბავს.

— კი, ბომბავს!

თეფშებზე პამიდვრის რამდენიმე ნაჭერსა და ბაზილიკის ფოთლებს ვაწყობ და მაგიდაზე ვალაგებ. ალბათ ყველაფერი ბევრად უფრო მარტივი იქნებოდა, ჩემი ძმა მართლა რუსების ჯაშუში რომ იყოს და ჩრდილოეთ პოლუსზე ბომბებს ყრიდეს.

მოგვიანებით, როცა გოგოები დაბადების დღის წვეულებისთვის მოსამზადებლად წავიდნენ, ნადირი მკლავებს მხვევს და თავს ოდნავ გვერდით ხრის. ვუყურებ. თვალებს ჭუტავს, ლოყები ღიმილისგან ეკეცება და შუბლზე ნაოჭები უჩნდება. მისი სქელი ქოჩორა თმა ისე იზრდება, მიზიდულობის ძალას ამარცხებს და ყურების დაფარვაზე უარს აბობს. საფეთქლებთან ჭალარა შეერია. ჩემზე თექვსმეტი წლით უფროსია. დედა-ჩემსა და ელიასს შორისაც ამდენივე წელია სხვაობა. დამთხვევაა, რა თქმა უნდა, ამას სულ ვახსენებ თავს.

ჩემი ქმარი მიყვარს, თუმცა თავიდან ასე არ იყო. ორივემ ვიცოდით, ურთიერთობის დასაწყისში მას უფრო მოვწონდი, ვიდრე — მე. გულის სიღრმეში, მას ბევრი გრძნობა შევთავაზე: პატივისცემა, მოწონება, მოხიბვლა და რაც მთავარია, მადლიერება, რომ იმ მორევიდან ამომათრია, რომელშიც ვიხრჩობოდი. ზოგჯერ გესმის, როგორ ამბობენ, მეორე ნახევარმა უკეთეს ადამიანად მაქციაო, მაგრამ არ გჯერა, სანამ თავად არ გამოცდი.

1978 წლის ნოემბრის ბოლო დღის შემდეგ ჩვენი ოჯახი ისე დადნა, როგორც თოვლის კაცი მცხუნვარე მზის ქვეშ. უეცრად, ძველი ცხოვრებისგან მხოლოდ თოვლჭყაპი დარჩა. რაც ადრე მტკიცედ და ურყევად გვესახებოდა, მყისიერად მყიფე და არასაიმედო გახდა. ცოტა ხანს, იუნუსი და მე ბიძია ტარიქთან და დეიდა მერალთან ვცხოვრობდით და მართალია, არც ბოროტად მოგვქცევიან და არც უსინდისოდ, მაგრამ მათთან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყოფნის ყოველი წამი მძაგდა. არასოდეს მიპატიებია, მკვლელობამდე რამდენიმე კვირით ადრე, დედაზე ჭორები რომ გაავრცელეს. მათ ჭერქვეშ ვცხოვრობდი, მათ საჭმელს მივირთმევდი და მათ მოტანილ ტანსაცმელს ვიცვამდი, მაგრამ ჩემთვის ყველაზე საძულველი ხალხის სათავეში იყვნენ. თავიდან მამა აბუ-დაბიდან გვიგზავნიდა ბარათებს, საჩუქრებსა და ფულს, მაგრამ რაც წლები გადიოდა, სულ უფრო იშვიათად გვეხმიანებოდა, საბოლოოდ კი, ჩვენ შორის ყველანაირი კონტაქტი შეწყდა. ბიძამ და დეიდამ მამის თვითმკვლელობის ამბავი დაგვიმალეს. სიმართლეს მალავდნენ, ასხვაფერებდნენ, ამახინჯებდნენ. და, აი, მეც იმავეს ვუკეთებ ჩემს შვილებს. სიმართლის მიჩქმალვა, ყოველდღიურობის ქვეშ დამარხვა ისე ღრმად, რომ წარმოდგენაც აღარ შეგიძლია, ოჯახური ტრადიციაა.

იმ წლების მოგონებები მცოცავი მიწასავითაა, გულისტკენისა და იმედგაცრუების ჭაობი. მასში ჩაფლობისას მხოლოდ სიბრაზეს შეეძლო ჩემი ამოყვანა. მისის ტეტჩერის მმართველობის დასაწყისში დიდი ცვლილებები მოხდა. ინგლისი სწრაფად გადასხვაფერდა, ზამთრის ძილქუშიდან გამოფხიზლებული ბეჰემოთივით. გამოცდაში მაღალი ნიშნები მივიღე. განათლების დეპარტამენტი ჩემით და იუნუსით შემთხვევით დაინტერესდა და სასექსის სკოლა-ინტერნატში გადაგვიყვანეს. ლონდონიდან შორს ცხოვრებამ ტკივილი შეგვიმსუბუქა. თუმცა ბრაზი არ მასვენებდა, მიუხედავად იმისა, რომ კარგს არაფერს მიქადდა. ჩემსავე სიძულვილში ვიხრჩობოდი. ინტერნატის შემდეგ „დედოფალ მერის კოლეჯში" გავაგრძელე სწავლა, სადაც ინგლისურ ლიტერატურას ვეუფლებოდი. მერე კი ნადირი გავიცანი.

მეცნიერების კაცია, სწავლული, რომელსაც უნივერსალური ჭეშმარიტებისა და ობიექტური სიმართლის სჯერა. ღაზაში დაიბადა, პალესტინელი ლტოლვილების ბანაკში გაიზარდა და ცხრამეტი წლისა ინგლისში გადმოვიდა ნათესავის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დახმარებით, რომელიც მის განათლებაზე ზრუნავდა. როცა ნადირი მანჩესტერში ჩამოვიდა, მაშინ გამოვიდა პირველად „ბითლზის“ ალბომი Yellow Submarine, ნიქსონის ინაუგურაცია ჩატარდა და არაფატი პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაციის თავმჯდომარე გახდა. მაშინ ნადირი სიტყვაძვირი და გაუბედავი ბიჭი იყო, მაგრამ რწმენით აღსავსე. ისეთი პროფესია აირჩია, პოლიტიკისგან რაც შეიძლება შორს რომ ყოფილიყო: მოლეკულური ბიოლოგია. სანამ მსოფლიოში კონფლიქტის ქარიშხალი ქროდა, ის მოწესრიგებულ, მეთოდურ და მართვად ლაბორატორიაში იყო შეყუჟული, უჯრედების მორფოლოგიას სწავლობდა.

მისი ნათესავები ჯერ კიდევ ღაზაში არიან. რამდენჯერმე შევხვდი. დიდი ოჯახია, თბილი, ამაყი, ცნობისმოყვარე და ენაჭარტალა. ვაკვირდებოდი ჩემს ქმარს ახლობლების გარემოცვაში, ვეძებდი, თუნდაც იოტისოდენა ცვლილებას მის ქცევასა და ხასიათში, ვეძებდი დეკორაციის ქვეშ დამალულ მის ნამდვილ სახეს. მაგრამ ნადირი ყველასთან და ყველგან ერთი და იგივე, დინჯი და კეთილბუნებოვანი ადამიანია. არასოდეს იქცევა ჟინისა და იმპულსის კარნახით. უყვარს ანალიზი და ფიქრი, ეს მისი საყვარელი სიტყვაა. არასოდეს ჩქარობს. მისი ცხოვრების დევიზია: მდგარი წყალი ღრმაა. რა გასაკვირია, ის და იუნუსი ასე კარგად რომ უგებენ ერთმანეთს.

— კარგად ხარ? — მეკითხება.

თავს ვუქნევ. მარტო ყოფნა მჭირდება, ახლა მხოლოდ და მხოლოდ ეს მსურს. პალტოს ვიღებ და გარეთ გავდივარ, ყველაფერს ისე ვტოვებ, როგორც არის — საჭმლის ნარჩენებს თეფშებზე, ნამცეცებს მაგიდის გადასაფარებელზე, ლაქებს ფინჯნებზე და ნაგლეჯებს ჩემი წარსულიდან.

— გრძელი დღე მელის, ეგაა და ეგ.

— ჩვენზე ნუ იდარდებ, — ამბობს ნადირი, — მონსტრებს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წვეულებიდან მე წამოვიყვან. შენ მასთან ცალკე ლაპარაკი გჭირდება.

ჩემს ქმარს საუბრისას არაბული აქცენტი ეტყობა, ხორხისმიერი ბგერები.

— ზუსტად მაგის მეშინია, ისკენდერთან მარტო დარჩენის.

ნადირი ჩემს სახეს ხელისგულებში იქცევს, ტუჩებზე მკოცნის.

— ძვირფასო, ყველაფერი კარგად იქნება.

წამით ვნატრობ, ასეთი გულისხმიერი, ასეთი მზრუნველი არ იყოს. ნადირი ისეთი კაცია, აგრესიის, ფიზიკურისა თუ სიტყვიერის, ასაცილებლად ყველაფერს იღონებს. თუ ვინმე უმტყუნებს, როგორც ერთხელ უნივერსიტეტის თანამშრომელმა, დასჯერდება და თავსაც კი დაიდანაშაულებს. უეცრად ვხვდები, გააზრებულად თუ გაუაზრებლად, ჩემი უფროსი ძმისგან სრულიად განსხვავებული ხასიათის ადამიანს გავყევი ცოლად.

— არ ვიცი, — ვამბობ, — იქნებ არ წავიდე. შეიძლება ბიძაჩემი მოვიდეს ან მისი ძველი ძმაბიჭები.

ნადირმა წარბები აზიდა. შენიშნა, ჩემს საუბარს გესლი შეერია. სიტყვებს ფრთხილად არჩევს.

— უნდა წახვიდე და ნახო. თუ საერთოდ არ შეცვლილა, თუ ისევ ის კაცია, მაშინ, შენს ცხოვრებაში მისი ადგილი არ არის. მაგრამ უნდა წახვიდე და დარწმუნდე, — მერე კი სამ სიტყვას ამბობს, რომელიც მთელი დღე ჩამესმის, — ის შენი ძმაა.

— რას ვეტყვი გოგოებს? გამარჯობა, საყვარლებო, ეს ბიძათქვენია, რომელსაც არასოდეს შეხვედრიხართ. რატომ? იმიტომ, რომ ციხეში იყო. რატომ? იმიტომ, რომ მან მოკლა თქვენი...

— არაფრის ახსნა საჭირო არ არის. ჯერჯერობით.

თვალები მიწყლიანდება, ხმა მეცვლება:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— შენ და იუნუსი მარტივად აღიქვამთ ყველაფერს. მაგრამ სამყარო რთულია. ყველაფერი რთულია.

ნადირი ტუჩებს მუწავს და მერე ჩემსავე ტონალობაში მეუბნება:

— დაივიწყე სამყარო. გამოიყენე დარჩენილი დრო, სანამ ჩვენც მტვრად გადავიქცევით.

ჩემდა უნებურად მეცინება.

— ისევ ხაიამის ლექსებს ციტირებ?

— სწორედაც რომ ომარ ხაიამისაა.

ჩემი ქმარი სათუთი სიტყვებისა და აღმამფრენი ლექსების კაცია. ჩემი ქმარი გულწრფელი, სანდრო და ზოგჯერ იმდენად ალალია, რომ მისი გულუბრყვილობა მაგიჟებს. ჩემს ქმარს სწამს, რომ ღირსება ადამიანის გულშია და არა — საძინებელში. ვცდილობ წარმოვიდგინო, რას ხედავს ჩემში, რატომ ვუყვარვარ ჯერ კიდევ. პასუხს ვერ ვპოულობ და ვლულლულებ:

— დროა, წასასვლელად მოვემზადო.

— კარგი, ძვირფასო.

ოდესღაც მეგონა, მნიშვნელოვანი რამეებისთვის ვიყავი შექმნილი, დიადი ბრძოლისთვის, მაღალი იდეალებისთვის. მეგონა, მწერალი და ადამიანთა უფლებების დამცველი გავხდებოდი. მსოფლიოს მოვივლიდი და დაჩაგრულებს დავიცავდი. ჯეი ბეი ონო — ცნობილი ავტორი რომანებისა, რომლებშიც სიყვარული ვერავის აბრიყვებს. ოდესღაც სამყაროს ცენტრში ყოფნაზე ვოცნებობდი, მერე კი მივხვდი, ისტორიის რიგითი პერსონაჟი ვიყავი, ერთ-ერთი პერსონაჟი და არა — მთავარი.

მცირე ხნით წერას მივყავი ხელი, გამოცდების ჩაბარების შემდეგ. აღარც კი მახსენდება. უნივერსიტეტში კარგი ნიშნები მყავდა, გამჭრიახ ესეებს ვწერდი, ხალხს ჩემი სჯეროდა, მაგრამ რაღაც შეუქცევადად შეიცვალა. საკუთარი თავის რწმენა დავკარგე. ნაცნობი გარემოს დატოვების შემდეგ მწერლობა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზე ოცნება ისევე ჩაკვდა, როგორც სიცოცხლით სავსე მცენარე, მაღაზიიდან სახლში წაღებისას მოიწყენს და ჭკნება.

მას მერე აღარ დამიწერია. მხოლოდ წერილები. წერილები უამრავი შემითხზავს. შრიუსბერის ციხეს რეგულარულად ვწერდი, იუნუსსაც ვუგზავნიდი, თუ ახლოს არ იყო. ელიასსაც ვეხმიანებოდი (რომელსაც თავიდან მე მივწერე) და როქსანასაც (რომელმაც აქეთ მომწერა). ორივენი დამეხმარნენ, თავისებურად, რომ თავსატეხის გამოტოვებული ნაწილები შემეკრიბა. დედასაც ვწერდი, კვირაში ორჯერ, თორმეტი წლის განმავლობაში.

შემდეგ კი, წინა ზაფხულს, მას მერე, რაც დედა გარდაიცვალა, მისი ისტორიის შესახებ დავიწყე წერა. დღე და ღამე ვმუშაობდი, თითქოს მეშინოდა, თუ წუთით მაინც შევჩერდებოდი, ჟინი დამეკარგებოდა ან ჟინს დავეკარგებოდი და ყველაფერი წყალში ჩამეყრებოდა. იმდენად პირადული ამბები აღვწერე, ნაწილი გულს მტკენდა, ნაწილი კი შიგნიდან მღრღნიდა. თუმცა, როგორც კი წერა დავასრულე, გაუცხოების უცნაურმა განცდამ შემიპყრო. ეს ისტორია თითქმის აღარ იყო ჩემი.

წარსული სხვენში შენახული ნაფლეთებით სავსე ჩემოდანივითაა. მირჩევნია, დახურული იყოს, მაგრამ მსუბუქი სიოც კი აღებს და სანამ დახურვას მოვასწრებდე, ფურცლები ყველა მიმართულებით იფანტება. სათითაოდ ვდებ უკან კარგ და ცუდ მოგონებებს. თუმცა ჩემოდანი ისევ და ისევ იღება, როცა ყველაზე ნაკლებად ველი.

ორსულობა არ დამიგეგმავს, შემთხვევით მოხდა. როცა შევიტყვე, გავოგნდი, შემეშინდა და გამიხარდა. მერე კი გავიგე, ტყუპი გოგო მეყოლებოდა. მთელი საათი ვტიროდი. რაც უნდა მექნა, ჩემი ცხოვრება სხვა არაფერი იყო, თუ არა ერთი რგოლი ისტორიის დიდ ჯაჭვში. ორსულობის ცხრა თვის მანძილზე ჩემი სხეული ახლიდან გამოიძერწა. ვიმედოვნებდი, სულიც შეიცვლიდა ყალიბს. ახლა ჩემი ქალიშვილები შვიდი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წლისანი არიან. ლაილას ღამის წყვდიადივით შავი, აბრეშუმისებური თმა აქვს, ჯამილა კი გარდაცვლილი დიდი დეიდის სახელს ატარებს, თუმცა არ იცის, რატომ.

ზევით, საძინებელში ტელეფონი რეკავს და მესმის, ჩემი ქმარი როგორ პასუხობს. ეჭვი მაქვს, იუნუსია — ყველაზე ჯიუტი წინასწარმეტყველის სახელის მქონე ბიჭი. ბოლო დროს, ჩემი უმცროსი ძმა და ჩემი ქმარი ერთმანეთს ყოველდღე ურეკავენ. მამაკაცური მეგობრობა. ვიცი, ჩემზე და ჩემს უგუნებობაზე საუბრობენ. მათთვის ბომბივით ვარ, ვწიკწიკებ და ნებისმიერ წამს შეიძლება ავფეთქდე. ისინი კი, მუდამ თავშეკავებული და რაციონალურები, ცდილობენ მოიფიქრონ, როგორ განმმუხტონ. თავი გზაზე დაგდებული საეჭვო ამანათი მგონია, იუნუსი და ნადირი კი ბომბის ექსპერტები, ცეცხლგამძლე უნიფორმასა და ჩაფხუტში ფრთხილად მიახლოვდებიან.

— ძვირფასო, იუნუსს შენთან საუბარი სურს.

ტელეფონს ვიღებ, ველოდები, ჩემმა ქმარმა მეორე ბოლოში ყურმილი დადოს და ვცდილობ, რაც შეიძლება ხალისიანად ვუპასუხო:

— სალამი, ძვირფასო.

— ესმა, საყვარელო. როგორ გრძნობ დღეს თავს?

რატომ მეკითხება ყველა ამას?

— გადასარევად, — წამომცდება, — შენ? ამინდი როგორია?

ჩემს ბანალურ შეკითხვებს ყურადღებას არ აქცევს და პირდაპირ საქმეზე გადადის.

— კარგად. რომელ საათზე უნდა წამოიყვანო?

ფონად ბენდის რეპეტიციის ხმა ისმის. პიანინო, გიტარა, ნეი. ჩემი ძმა დღეს საღამოს ამსტერდამში კონცერტს მართავს. ბრწყინვალე კულტურულ ღონისძიებაზე პრინც კლაუსსაც ელიან.

— ერთ საათში მივდივარ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მისმინე... ვიცი, ადვილი არაა. თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ, რომ დაგაღალატე. იქ უნდა ვყოფილიყავი.

— არა უშავს. საქმეები გაქვს.

ცოტა უკმეხად გამომივიდა. შეიძლება იუნუსმაც შენიშნა, მაგრამ ყურადღებას არ აქცევს.

— იცი, რაზე ვფიქრობდი დილით? იმ დღეზე, როცა ციხეში ვესტუმრე. ისეთი ბედნიერი იყო, როცა გაიგო, დედა ცოცხალი იყო. ისეთი შეძრული ჩანდა. მებრალება, რომ ვერ ნახავს და პატიებას ვერ სთხოვს.

თავს ვაქნევ:

— პატიებას, არა?

— ჰო, შეიძლებოდა ასეც მომხდარიყო, — დაიჟინებს იუნუსი, — კარგი იქნებოდა, დედას ხელზე მთხვეოდა და დალოცვა ეთხოვა.

— ოჰ, თუ ღმერთი გწამს.

მძიმე სიჩუმე ჩამოწვა და ვეჭვობ, ტელეფონის ხაზი გაითიშა, მაგრამ უცებ იუნუსი ამბობს:

— ჩემი აზრით, საკმარისად დაიტანჯა.

თვალებს ვხუჭავ. ძარღვებში სისხლი მეყინება.

— ამას როგორ ამბობ? მისთვის არასოდეს იქნება ტანჯვა საკმარისი. ეგოისტი კაცია, რომელმაც დეიდაჩვენი შეიწირა და ასეთად მოკვდება.

— მაშინ პატარა ბიჭი იყო.

— არ იყო ბიჭი! ასაკი არაფერ შუაშია. ბიჭი შენც იყავი, მაგრამ მკვლელობა არ ჩაგიდენია. სისასტიკე ხასიათში ჰქონდა.

— მართალია, უფროსი კი იყო, — ამბობს იუნუსი, — სულ იმაზე წუწუნებდი, სხვანაირად მექცევიან, რადგან გოგო ვარო, მეც მიჭირდა, ოჯახში ყველაზე პატარა რომ ვიყავი. მაგრამ ერთხელაც დაფიქრებულხარ, იქნებ ისკენდერს ჩვენზე მეტად უმძიმდა?

— ჰო, სულთანობა იოლი არ იქნებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ოხრავს.

— მისმინე, დაო, უნდა წავიდე. რომ შემძლებოდა, შენთან ვიქნებოდი. როცა ჩამოვალ, ვილაპარაკოთ. მოვიფიქრებთ რამეს ერთად, როგორც ყოველთვის. კარგი?

ჩემს ხმას არ ვენდობი, ამიტომ თავს ვაქნევ, თითქოს იუნუსი მხედავდეს. ყურმილს ვდებ და აბაზანაში გავდივარ, სახის დასაბანად და მაკიაჟის გასაკეთებლად. იუნუსზე ვბრაზობ, რადგან პატიება და დავიწყება შეუძლია, ისკენდერზეც ბოღმა მახრჩობს, რადგან ბავშვობა წაგვართვა, უსაფრთხოების, სიყვარულისა და სტაბილურობის ის განცდა, ოჯახი რომ გაძლევს ბავშვობაში, სანამ უბედურებით სავსე დიდ სამყაროში გადაეშვები. თხუთმეტი წლის ვიყავი, ისკენდერმა მკვლელობა რომ ჩაიდინა. ცხოვრება დამენგრა და გულში მუდმივმა ტკივილმა დაიდო ბინა. დედაჩემს კიდევ უფრო უმძიმდა.

ერთის მოკვლით ისკენდერმა ბევრი დაღუპა.

* * *

შრიუსბერიმდე მანქანით მივდივარ, ჩავუვლი კარგად მოვლილ გაზონებსა და აბიბინებულ საძოვრებს. დრო ნელდება. ჩემი გონება იუნუსისკენ მიქრის. ჩემი უმცროსი ძმა ცნობილი ადამიანი ხდება. ნადირი მეუბნება, თურმე მისმა სტუდენტებმა იციან იუნუსის მუსიკა და ძალიან უყვართ. ვამაყობ მისით. გულის სიღრმეში, ცოტა მშურს კიდეც. იქნებ ესეც ღმერთის გამოცანაა, რომ მე, ვითომ კრეატიული, მოსაწყენ შინაურულ ცხოვრებას დავჯერდი, წყნარი და თავშეკავებული იუნუსი კი, მსოფლიოში მოგზაურობს. ალბათ დედმამიშვილების შეჯიბრება არასოდეს მთავრდება. მშობლების სიყვარულში მაშინაც ვეცილებით ერთმანეთს, როცა ცოცხლები აღარ არიან.

შრიუსბერის ციხესთან ვარ, შენობის გარეთ ვიცდი. მიკვირს, ჩემ გარდა სხვა, არავინაა. არც ბიძია ტარიქი, არც დე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იდა მერალი, არც მეზობლები, მეგობრები, ნათესავები. სად არიან? ისკენდერის ძველი ძმაკაცებიც არ ჩანან. ნუთუ, ყველამ დაივიწყა?

საათი გადის. სუსხიანი ჰაერი ყველაფერს ადუმებს. ცოტა მწყურია. შენობაში რომ შევსულიყავი, ოფიცრები წყალს ან ჩაის შემომთავაზებდნენ. ვკითხავდი, რას უნდა ველოდო, ალბათ ისკენდერზე ერთი-ორ სიტყვას მეტყოდნენ. მაგრამ მერე ის გამოვიდოდა და ყველას წინ ჩახუტება ან ხელის ჩამორთმევა მოგვიწევდა. მირჩევნია აქ ვიდგე, გარეთ.

ბოლოს და ბოლოს, ორმაგი კარიბჭე იღება. სინათლეზე, ჯინსსა და ველვეტის ქურთუკში ჩაცმულს სულ სხვანაირი შეხედულება აქვს, ვიდრე ბოლო შეხვედრისას. როგორც ჩანს, თავს უვლიდა, ჯანსაღად და მხნედ გამოიყურება. სიარულის მანერაც შეუცვლია. მხრებში მოხრილი და კისერდაჭიმული აღარ დადის, როგორც სჩვეოდა. რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, ჩერდება და ცივ, ღრუბლებით დაფარულ ცას უყურებს. ზუსტად ასე წარმომედგინა.

მერე კი მე მამჩნევს. სახეზე არანაირი ემოცია არ მაწერია. ნელა მიახლოვდება, დროს მაძლევს, რომ, თუ მომინდება, მანქანაში ჩავჯდე და წავიდე. ჩემამდე რომ მოვა, წინ ერთ ნაბიჯს ვდგამ და ხელებს ჯიბეში ვიწყობ.

— გამარჯობა, ესმა, — ამბობს ის.

უცებ ნადირზე, იუნუსსა და სამყაროს ყველა სულიერზე ვბრაზდები, რომ აქ მოსვლაში დამარწმუნეს. ვცდილობ, ბნელი ფიქრები განვდევნო.

— გაგიმარჯოს, ძმაო, — ბოლო სიტყვას ხაზგასმით ვამბობ.

— შენს ნახვას არ ველოდი.

— არც მე ველოდი ჩემს მოსვლას.

— მიხარია, რომ მოხვედი. — მპასუხობს.

მანქანაში, ვცდილობ, ჩვენ შორის ჩამოწოლილი სიცარიელე ამოვავსო:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მეგონა, ბიძია ტარიქი მოვიდოდა.

— აპირებდა კიდეც, მაგრამ ვუთხარი, არ მოხვიდე-მეთქი. ხელს საჭეს მთელი ძალით ვუჭერ.

— მართლა? საინტერესოა.

ისკენდერი საზურგეს ეყრდნობა, არაფერს ამბობს პასუხად. შემდეგ კი მეკითხება:

— გოგოები როგორ არიან? ნადირი?

ვეუბნები, რომ გოგოები ამ სემესტრში სკოლის მიუზიკლში მონაწილეობენ. ლაილა მომღერალი თევზი იქნება, ჯერ არ ვიცით, რომელი. სავარაუდოდ, პიქშა, თუმცა თვითონ დელფინობა ერჩივნა. უმცროსს კი მეთევზის ცოლის როლი ერგო, საზიზღარი, ხარბი ქალია, მაგრამ — ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი. სახლში შეჯიბრება მიმდინარეობს, მომღერალი თევზი მეთევზის ცოლის წინააღმდეგ.

ამ ყველაფერს ჯამილას სახელის ხსენების გარეშე მოვუთხრობ, თუმცა იცის, რაც ჰქვია.

— ორივე აღტაცებულია, — ვასრულებ თხრობას.

— გადასარევი ბავშვები არიან, — ღიმილით ამბობს.

საუბარს ისევ დუმილი მოსდევს. თან წამოღებულ „აბბას“ კასეტას მაგნიტოფონში ვდებ, მაგრამ ჩართვა მესიკვდილება.

— სიგარეტი გინდა? — ვეკითხები.

ისკენდერი თავს აქნევს.

— კარგა ხანია, თავი დავანებე.

— დაანებე? — იჭვნეულად ვაკვირდები, — შეიძლება გკითხო, ახლა რას აპირებ?

— პირველ რიგში, ჩემი ვაჟის ნახვა მინდა.

არ მიხსენებია, რომ კეიტიმ რამდენიმე დღის წინ დამირეკა. ბრაიტონში ცხოვრობს, ნათელმხილველს გაჰყვა ცოლად. მისი ქმარი ხელისგულზე მკითხაობს და ამტკიცებს, მომავალს ვხედავო, თუმცა მეეჭვება, კეიტის ცნობილი, ყოფილი შეყვარებულის გათავისუფლება ეწინასწარმეტყველებინოს. სამი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შვილი გაუჩნდათ. ტელეფონზე საუბრისას ვიეჭვე, კეიტის ჯერ კიდევ ადარდებს ჩემი ძმის ბედი და შეიძლება, უყვარს კიდეც.

თითქოს ჩემი ფიქრები წაიკითხაო, ისკენდერი ნაზად მეკითხება:

— კეიტი როგორ არის?

— ბედნიერად გათხოვილი.

შეიძლება, გული ეტკინა, მაგრამ არ იმჩნევს.

— გადასარევია. მიხარია.

ნეტავ, გულწრფელად ამბობს?

— გმადლობ, რომ გამომიარე, — ამბობს, — დიდხანს არ დავრჩები შენთან. საცხოვრებელს ვიპოვი, სამსახურსაც. არსებობენ კეთილი სამარიტელები, ჩემნაირებს ეხმარებიან. მერე... — ჩერდება, — მინდა, დედა მოვინახულო.

ჰაერში მოლოდინის სურნელი ტრიალებს, დედას გამომცხვარ ბორეკებს ადენილი ოხშივარივით. სიჩქარეს ვუმატებ და ვამბობ:

— დედა გარდაიცვალა.

გაოგნებული მიყურებს:

— მაგრამ... მაგრამ იუნუსმა მითხრა...

— ვიცი, რაც გითხრა. არ მოუტყუებიხარ, — ცრემლს ვიწმენდ, — ექვსი თვის წინ გარდაიცვალა.

— მარტო იყო?

— ჰო, მარტო.

არ ვუყვები, როგორ მოხდა. სხვა დროისთვის გადავდებ.

— მე... მე ვაპირებდი ხე... ხელზე ვმთხვეოდი, — ოდნავი ენის ბორძიკით ამბობს, — იმედი მქონდა, ჩემს ნახვას დასთანხმდებოდა.

— დარწმუნებული ვარ, გნახავდა, — გულწრფელად ვეუბნები, — მისი წერილები მაქვს. წაგაკითხებ ზოგს და დარწმუნდები, სულ შენ გკითხულობდა.

ისკენდერი თავს ქინდრავს, მაჯებს აკვირდება, თითქოს ახლაც ბორკილები ადევს. ფანჯრისკენ ტრიალდება და ოხ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რავს, მისი ამონასუნთქი მინას ნისლავს. ფანჯარას სწევს და თავს გარეთ ყოფს, ჰაერს ღრმად ისუნთქავს. შემდეგ ქაღალდის ნაგლეჯს იღებს ჯიბიდან და ქარს ატანს.

— ჰო, კიდევ ერთი, — ვამბობ. ფანჯარას მაღლა უწევს.

— ნადირმა... ჩემმა ქმარმა არ იცის.

— რას გულისხმობ?

— მხოლოდ მე და იუნუსმა ვიცოდით და ახლა, რა თქმა უნდა, შენ. სხვამ არავინ იცოდა, რომ დედა ცოცხალი იყო და არც არავინ უნდა გაიგოს.

ეს ჩემი და იუნუსის ფიცი გახლდათ. როცა მივხვდით, ყველას აერია დედა დეიდა ჯამილაში, ყურანზე დავიფიცეთ, სიმართლეს არავის გავუმხელდით. არც მამას, არც ბიძია ტარიქს, არც დეიდა მერალს, არც ელიასს. არც ჩვენს მეორე ნახევრებს, თუ ოდესმე ოჯახებს შევქმნიდით. მხოლოდ ჩვენ ორნი შევინახავდით საიდუმლოს.

— მე რატომ მითხარით?

— იუნუსის იდეა იყო და არა ჩემი. ჩათვალა, დრო იყო, გცოდნოდა. იმედი ჰქონდა, შენ და დედა შეხვდებოდით, შერიგდებოდით. უნდოდა, შეემზადებინე.

მიძინებულ სოფელს ისე გავდივართ, სულიერსაც არ გადავეყრებით.

შუადღე ახლოვდება, სამყარო კი სრულყოფილი და კმაყოფილი ჩანს. შუქნიშნის წითელზე ტრიალდება და თვალებში მიყურებს.

— ძალიან ბევრ საიდუმლოს ინახავ, დაო.

— საიდუმლოზე გამახსენდა, — ვამბობ და უჯრას გადმოვწევ, — შეგიძლია, ის გამოიღო?

ნელა იღებს მითითებულ ნივთს. წიგნია, ალასკაზე.

— საათ-ნახევარი გაქვს, ალასკის შესახებ ყველაფერი შეისწავლო. ჩემს ქალიშვილებს ვუთხარი, რომ მთელი ეს დრო სწორედ მანდ ცხოვრობდი და მუშაობდი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნაღვლიანად იღიმის და წიგნის დათვალიერებას იწყებს. თოვლიანი მთები, გრიზლი დათვები, ცივ წყლებში მოცეკვავე კალმახები. ალასკა სულაც არ ჩანს ცუდი ადგილი.

სიზმარი სიზმარში

ადგილი მდინარე ევფრატის პირას, 1991 წლის მაისი

ქალმა სკივრი გახსნა და სალოცავი ხალიჩა ამოიღო. მცირე ხნით ხეობის ხმაურს დაუგო ყური. იქ ცხოვრების ერთ-ერთი ნიშანი ეს იყო. თუ ქარი ჩრდილოეთით უბერავდა, მეჩეთში გაჟღერებული ლოცვისკენ მოწოდება შორეულ სოფლამდე აღწევდა; მაგრამ თუ ქარი მიმართულებას შეიცვლიდა, დროს ვერ ამოიცნობდი. ლონდონიდან ჩამოტანილი საათი გაფუჭდა და კუთხეში იცდიდა უძველესი, დაღარულ სახესავით, რომელსაც ლაპარაკის არაქათი გამოლევია. მას კი ლოცვის დრო უნდა სცოდნოდა, რადგან უფლისთვის ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი.

შეიძლება, ასაკთან ერთად უფრო დაკვირვებული გახდა, თუმცა ჯერჯერობით სიბერისგან შორის იყო, ჯერ ორმოცდაათისთვისაც არ მიეღწია. ან შეიძლება, წლების კი არა, აჩრდილების დამსახურება იყო. ბევრი მოჩვენება დაუგროვდა, ბევრი გარდაცვლილი, ვისი გამოგლოვებაც უწევდა. ყოველდღე უფალს ევედრებოდა, ტყუპისცალისთვის სამოთხეში დაემკვიდრებინა განსასვენებული, ჯამილა სწორედ იქ ყოფნას იმსახურებდა. ლოცვაში ჰედიესაც იხსენიებდა, დედა-დას, რომელიც დასივებულ, დალურჯებულ, ჭერში გამოკიდებულ გვამად კი არა, მხიარულ გოგონად ახსენდებოდა. მერე კი, დიდი ხნის წინ გარდაცვლილი მშობლების სულებისთვის ლოცულობდა. თუ ძალა შერჩებოდა, ახალგარდაცვლილ სოფლის სამ უხუცესსაც მოიგონებდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როდესაც გარდაცვლილთა სულების მოხსენიებას მორჩებოდა, ცოცხლებზე გადადიოდა. ლოცვას წვმიან ლონდონში მცხოვრები შვილიშვილების მოხსენიებით იწყებდა. მათ მხოლოდ ფოტოებიდან იცნობდა. უფალს ევედრებოდა, ეზრუნა შეუპოვარ ქალიშვილ ესმასა და მის მზრუნველ ქმარზე. შემდეგ იუნუსისთვის (და ზოგჯერ, მისი ბენდისთვისაც კი) ლოცულობდა მხურვალედ. დაე, საუცხოო წარმატებისთვის მიეღწია და მაღლა ეფრინა, მაგრამ დიდების სამშვენისებს არ ეცდუნებინა.

შემდეგ ერთ წუთს ელიასზე სალოცავად გამოყოფდა, რომ ჯანმრთელად და ბედნიერად ყოფილიყო და ახალი სიყვარული ეპოვა. ბოლოს კი ყველაზე ხანგრძლივ ლოცვას იწყებდა, ისკენდერისთვის. მისი სულთნისთვის, მისი ლომისა და მისი თვალისჩინისთვის.

ზოგჯერ იმაზე ფიქრობდა, იყო თუ არა აქ დაბრუნება სწორი გადაწყვეტილება. თუმცა სიმშვიდე, რომელშიც შალის მოსასხამივით ეხვეოდა ყოველი გამთენიისას, საკმარისი მტკიცებულება გახლდათ. ცდილობდა, თავი გაეწონასწორებინა უფლის მიმართ მადლიერების გამოხატვით, ყველაფრისთვის, რაც უბოძა და რაც წაართვა. თუ მადლიერი იყავი, ჭკუაზეც აღარ შეცდებოდი.

ინგლისში გატარებული პირველი დღეები ახლა სიზმარში ნანახი სიზმარივით ეჩვენებოდა. როცა პირველად იმგზავრა დიდი, წითელი ავტობუსით, ორ შვილთან ერთად, იუნუსი კი დაბადებულიც არ იყო. არასოდეს დაივიწყებდა დაორთქლილი ფანჯრიდან დედოფლის სასახლისა და მისი მშვიდი, ცხენზე ამხედრებული ჯარისკაცების ხილვისას განცდილ აღტაცებას. ჰაკნიში პირველად რომ დადგა ფეხი, მარტოობა იგრძნო. წვიმისგან დასველებული ქუჩები, მიტყუპებული აგურის სახლები და სათითესავით პატარა ეზოები. ქმრის მიერ ნაპოვნი სახლი გაპარტახებული აღმოჩნდა, გადაღებვაც სჭირდებოდა, მაგრამ ქალი ამ ამბავს არ შეუწუხებია. სახლის თავიდან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აშენებას მიჩვეული იყო. აი, ამინდს კი ვერ შეეგუა. წვიმა. წყვდიადი. უცნაურად შეფერილი ღრუბლები. ევფრატის პირას გაზრდილი, მკაცრ ზამთრებსა და კიდევ უფრო მკაცრ ზაფხულებში იყო გამოწრთობილი, მაგრამ მუდამ ღრუბლებით დაფარული ცის ყურება უჭირდა. რიდლი-როუდის ბაზარში გასვლა უყვარდა, უყურებდა ფასდაკლებულ ნივთებში მქექავ ხალხს და გამიზნულად აქოთქოთებულ ქუჩას. იქაურობა ფუტკრის სკას ემსგავსებოდა. სტამბოლის ბაზრებს არ ჰგავდა, მაგრამ სიცოცხლით ჩქეფდა. ამას აფასებდა. იქ შეხვდებოდით ათასი რჯულის ხალხს, ყავისფერკანიანებს, თეთრკანიანებსა და შავკანიანებს, ისეთი ადგილებიდან, რომლებზეც პემბეს მხოლოდ გაკვრით თუ სმენოდა.

მარცხენა მხარეს მოძრაობა და მოპირდაპირე მხარეს მსხდარი მძღოლები იმდენად არ აცბუნებდნენ, რამდენადაც ის, თუ როგორ ეჭირათ თავი ლონდონელებს: მოხუცი ქალბატონების ცერემონიულობა, ახალგაზრდების უტიფრობა და დიასახლისების თავისუფლება. ამ უკანასკნელთ ისეთი თავდაჯერებულობა ახასიათებდათ, პემბეს რომ არასოდეს ჰქონია და ეგონა, ვერც ვერასოდეს ექნებოდა. უცქერდა მაისურში ჩაცმულ ქალებს, კერტები რომ ეტყობოდათ, ფერადფერადი, მზეზე აკიაფებული თმით. აოცებდა, ქალურობას კაბასავით როგორ იხდენდნენ. წყვილები ქუჩებში კოცნიდნენ ერთმანეთს, ეწეოდნენ, სვამდნენ, კამათობდნენ. პემბეს არასოდეს უნახავს ხალხი, რომელიც ასე სააშკარაოზე ცხოვრობდა. პემბეს თანასოფლელებს ყბედობა არ უყვარდათ და თვითონაც თავდაჭერილობას ინარჩუნებდა. მისთვის ინგლისი სიტყვების ქვეყანა იყო, ცდილობდა, დაფარული აზრები, ხუმრობა და ირონია ამოეცნო.

თუმცა, დიდ ქალაქებში ყველაზე მეტად ჩიტები აოცებდა — ნანგრევებსა და ნახვრეტებში ჩაბუდებული, თვალისთვის შეუმჩნეველი ჩიტები. მხოლოდ მაშინ იქცევდნენ ყურადღებას, თუ ერთმანეთს ერთ მუჭა ხორბალში ეცილებოდნენ, ან ტრო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტუარზე ეცემოდნენ დახოცილები. ევფრატის ჩიტები სულ სხვანაირები იყვნენ. იქ იმდენი სახეობა არ იყო, რამდენიც ლონდონის ზოოპარკში, მაგრამ თავისუფლება ჰქონდათ და ხალხი მათ თბილად ეგებებოდა.

ლონდონში გულს უწუხებდა ფანჯრის რაფაზე მაჩვზღარბას ეკლებივით წამახული ლურსმნების დანახვა. ასე იმიტომ იქცეოდნენ, რომ ჩიტები არ ჩამომსხდარიყვნენ და არ დაესკინტლათ. პემბეს გაახსენდა დამსხვრეული მინის ნამტვრევებით შემოლობილი ბაღი, სტამბოლში რომ წააწყდა ერთხელ. ასე უთხრეს, ქურდების დასაფრთხობად არისო. ამაზე ფიქრიც კი ჟრუანტელს ჰგვრიდა. იმ სახლების ბინადრებს მარტო დაუპატიჟებელი სტუმრების შეჩერება კი არ უნდოდათ, სურდათ, ხელები ან ფეხები დაესერათ. ლურსმნებიანი ფანჯრის რაფები, დამსხვრეული მინით აშენებული ღობეები — არც ერთი მოსწონდა და არც — მეორე. არც — ის, რაც ქალაქური ცხოვრებისგან ემართებოდათ ადამიანებს დღითი დღე.

* * *

მკვლელობის შემდეგ პემბემ რამდენიმე თვე გაატარა ხიზნების სახლში. იუნუსი და ესმა რიგრიგობით სტუმრობდნენ, ყოველთვის ფრთხილობდნენ, ბიძასთან ან დეიდასთან სიტყვა არ წამოსცდენოდათ. იმ დროისთვის ისკენდერი უკვე ციხეში იჯდა, მაგრამ პემბე ჯერაც დაბნეული იყო, არ იცოდა, გამოჩენილიყო თუ არა. ეშინოდა, რომ ხიზნები მისი დამალვის მიზეზს გაიგებდნენ, თუმცა ისინი გაზეთს იშვიათად კითხულობდნენ და ადგილობრივ ჭორებს ყურადღებას არ აქცევდნენ. მართალია, ხვდებოდნენ, რაღაც რიგზე ვერ იყო, მაგრამ ეგონათ, ემიგრაციის სამსახურთან ჰქონდა პრობლემა. რადგან მთავრობის ყველა განშტოების წინააღმდეგნი იყვნენ, პემბეს სი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხარულით მფარველობდნენ, მას მერეც კი, როცა ნამდვილი მიზეზი შეიტყვეს. იუნუსმა სთხოვა, დედამისის გარეგნობა შეეცვალათ და ისინიც, ხალისით შეუდგნენ საქმეს. პემბეს თმა შეჭრეს და ულალისფრად შეღებეს, ირლანდიელი გოგოსავით. დიდ, მრგვალ სათვალესა და ჯინსის შარვალში ვეღარავინ იცნობდა.

თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, პემბე იმ პირქუშ დღეებს ვერ გადაურჩებოდა, ტყუპისცალი დის დახმარება რომ არა. ერთ შუალამეს, ხიზნების სახლში, ფანჯარასთან იჯდა და სივრცეში იყურებოდა, უგულისყუროდ, მაგრამ ფხიზლად. უეცრად ბაღში ვილაც შენიშნა. მისი და იყო. ჯამილა არ მიახლოებია, არც რაიმე უთქვამს, მაგრამ მისმა დანახვამ პემბე უზომოდ გაახარა. წუთი ზედმეტად ხანმოკლე აღმოჩნდა: ლანდი ჰაერში ისე გაუჩინარდა, როგორც რძის წვეთი — წყალში. მაგრამ ამ შემთხვევამ პემბე დაარწმუნა, რომ მისი ტყუპისცალი არ იტანჯებოდა და ადგილი, სადაც მოხვდა, გაუსაძლისი არ იყო. იმ დღის შემდეგ, აჩრდილი დროდადრო გამოჩნდებოდა, ზოგჯერ პემბესთან, ზოგჯერ კი ისკენდერთან, ციხეში.

იუნუსისა და ესმას სასექსის სკოლა-ინტერნატში გადასვლამდე ცოტა ხნით ადრე, პემბემ წასვლა გადაწყვიტა. გააცნობიერა, რომ მისი ინგლისში ცხოვრების დრო ამოიწურა და უკან უნდა დაბრუნებულიყო. ეს შეგრძნება ტალღასავით მოაწვა. ევფრატში უნდა წასულიყო, იქ, სადაც დაიბადა. ელიასისგან განსხვავებით, პემბე მცოცავი მცენარე არ იყო და ფესვების გადგმას საჭიროებდა. იუნუსმა და ესმამ გეგმას მხარი დაუჭირეს. ზაფხულობით ყოველთვის ინახულებდნენ.

ჯერ კიდევ ჰქონდათ ქარვისფერი მიჯნური, რომელიც ჯამილამ ფეხსაცმლის ამოტეხილ ქუსლში ჩამალული ჩამოიტანა. პემბეს სთხოვა, შეენახა. არც ერთ მათგანს წარმოდგენა არ ჰქონდა, რამდენად ძვირფასი იყო ან როგორ გაეყიდათ. საბოლოოდ, იუნუსის შეშფოთების მიუხედავად, მისის პოველმა და კაპიტანმა იხსნეს. ბრილიანტი გაიყიდა, მისის პოველი კი,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პემბეს სამშობლოში დაბრუნებაში დაეხმარა. თანხის ნაწილი ბანკში შეინახა, იუნუსისა და ესმასთვის. დარჩენილი ფულით კი პანკებმა ისეთი ველური წვეულება გამართეს, ჰანკიში მათზე თვეობით საუბრობდნენ. ერთადერთი დეტალი, რაც პემბეს ჰეტონ-გარდენში გამართული მოლაპარაკებისას გამორჩა, ის იყო, რომ ბრილიანტის გაყიდვა არ შეიძლებოდა, მხოლოდ — გაჩუქება. წყველის შესახებ მას არ სმენოდა, მაგრამ თუნდაც სცოდნოდა, ყურადღებას არ მიაქცევდა. პემბე, დაუსრულებელი ცრურწმენების ქალი, საკუთარი შიშებისგან დაიღალა.

პემბეს თავისი დის ქოხმახი გაპარტახებული დახვდა, მაგრამ დიდად არ შეშფოთებულა. დროს, ოთხივე მხარეს მქროლავ ქარს, ყაჩაღებსა და მოუვლელობას ნაწილობრივ გაენადგურებინა ჯამილას მიერ შექმნილი მყუდრო თავშესაფარი.

გლეხებს გაუხარდათ უბიწო ბებიაქალის დაბრუნება, თუმცა ვერ გაიგეს, მშობიარობაში რატომ აღარ ეხმარებოდა ორსულებს. ქოხმახის გასუფთავებასა და შეკეთებაში მაინც შეაშველეს ხელი. რეგიონი საშიში ადგილი გამხდარიყო. ქურთი პარტიზანები მთავრობის წინააღმდეგ იბრძოდნენ და ჯარისკაცები დღე და ღამე დაძრწოდნენ. პემბე მაინც დარჩა და ტყუპისცალის ადგილი დაიკავა. ერთი-ორჯერ საფრთხეს ძლივს გადაურჩა, მაგრამ წერილში ეს ამბები არ უხსენებია. მხოლოდ კარგ ამბებს ჰყვებოდა.

შვილებს დაჰპირდა, დროებით წავედი, ცოტა ხანს დავრჩები და ისევ ინგლისში დავბრუნდები, ახალ ადამიანადო. თუმცა, როგორც კი დის სახლში შეაბიჯა და იქაურობის მოწესრიგება დაიწყო, მიხვდა, აღარსად ეჩქარებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამბობენ, სანამ დედა არ გახდები, მშობელს ვერ გაუგებო, მაგრამ მე პემბეს წერილები დამეხმარა მის უკეთ გაცნობაში.

ხშირად მწერდა, გულღიად მიყვებოდა თავის თავზე ისეთ რამეებს, რაც პირადად არასოდეს უთქვამს. საჰაერო ფოსტით ლურჯი კონვერტის მიღება ჩემთვის სრულიად აუცილებელ, ძვირფას ყოველკვირეულ ტრადიციად იქცა. ჩაის ვიმზადებდი, სამზარეულოს მაგიდასთან ვჯდებოდი და ვკითხულობდი. თავიდან ერთხელ, მერე კი ბევრჯერ. მიხაროდა, რომ კარგად იყო.

ჩემო ძვირფასო გოგონა, ჩემი ამქვეყნიერი და იმქვეყნიერი ცხოვრების სინათლევ,

გამუდმებით შენზე ვფიქრობ. გთხოვ, შენს ძმასთან სტუმრობას ნუ შეწყვეტ. აპატიე, ესმა. სცადე. ვიცი, რა რთულია, მაგრამ უნდა შეუნდო. გააგებინე, რომ მარტო არ არის. ჩვენ არასოდეს ვართ მარტო. ალაჰს ვევედრები, მეგობარი გაუგ ზავნოს, ვინმე ისეთი, ვისაც ადამიანებზე გული შესტკივა, იცის, როგორი უმეცრები არიან, მაგრამ მაინც უყვარს ისინი. ყოველლამე ვლოცულობ, ღმერთი ასეთ კაცს იპოვის და ისკენდერს მიუვლენს ციხეში.

წარბებს ნუ შეკრავ, ჩემო სიყვარულო. ნუ იტყვი, რომ ახლაც კი მიკერძოებული ვარ. როგორ შეიძლება, რომელიმე თითი აირჩიო? დედისთვისაც ასეა. საყვარელი შვილი ვერ გეყოლება. ისკენდერი, იუნუსი და შენ, სამივე თანაბრად ძვირფასები ხართ ჩემთვის.

ბოლო დროს, ფოსტით გამოგ ზავნა გართულდა. ნუ იდარდებ, თუ ჩემგან წერილს დიდხანს ვერ მიიღებ. გუშინ საოცრად მშვიდი სიზმარი ვნახე. აქაც და დედოფლის ლონდონშიც ერთდროულად ვიყავი. წვიმდა, თუმცა წვეთებს ისეთი კაშკაშა ფერი ჰქონდათ, მეგონა, ფოიერვერკებს ვუყურებდი ცეცხლის გარეშე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გავილვიძე და გავიფიქრე, მართლაც ასეა. მე მანდ ვარ, შენთან ერთად. ყოველთვის.

შენი მოსიყვარულე დედა, პემბე.

ეს იყო ბოლო წერილი, რომელიც მისგან მივიღე. იმდენჯერ გადავიკითხე, ქაღალდი გვერდებში ოდნავ გაიცრიცა, ნათითურები ეტყობა, მისი და ჩემიც, ერთმანეთში გადახლართული ამბებივით.

მოგვიანებით, როცა თურქეთში გამგზავრება შევძელი, სოფლელები დაწვრილებით მომიყვნენ, დედა როგორ გარდაიცვალა. დამარწმუნეს, ოდნავადაც არ უწვალიაო. ვირუსმა მოკლა. დაავადება კისრისა და მხრების არეში კანის შეწითლებით გამოვლინდა, საგანგაშო არაფერი ჩანდა. მცირე ხანში, პაციენტს კანკალი და ოფლიანობა დაეწყო, მერე მაღალი სიცხეები მოჰყვა და ბოლოს, კომატოზური ძილი, რომელმაც ფილტვები ისე დაუსუსტა, რომ ველარ გამოიღვიძა. ვირუსი 1992 წლის გვიან გაზაფხულზე გავრცელდა, ცხოველებიდან ადამიანებს გადაედო, ერთი თვეში ექვსი ადამიანი იმსხვერპლა და მერე უკვალოდ გაქრა. დედას ალბათ მაშინ გადაედო, როცა თავის მშობლიურ სოფელს, მალა-ჩარ-ბაიანს ესტუმრა. იქ საკვების მოსამარაგებლად წავიდა და დათანხმდა ქალის შეთავაზებას, ფინჯან ჩაიზე დასწვეოდა, თან პემბეს მიერ ბავშვობაში მოქსოვილი ხალიჩის ჩვენება სურდა. ქალის ექვსი წლის ვაჟს ვირუსი აღმოაჩნდა, თუმცა მაშინ ეს არავინ იცოდა. ბავშვი გადარჩა, დედაჩემი ვერა.

მხოლოდ მაშინ, როცა მისი წერილები შეწყდა, მივხვდი, მეორედ და, ამჯერად, სამუდამოდ გარდაიცვალა.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სარჩევი

ესმა
ლონდონი, 12 სექტემბერი, 1992 წელი 5
შაქრის ნატეხებივით სახელები
სოფელი მდინარე ევფრატის პირას, 1945 წელი 9
ფერები
სოფელი მდინარე ევფრატის პირას, 1953 წელი 14
ასკანდერ... ასკანდერ...
სოფელი მდინარე ევფრატის პირას, 1962-1967 წლები 24
პრინცი ხეზე
სტამბოლი, 1969 წელი 35
სურვილების შადრევანი
ადგილი მდინარე ევფრატის პირას, 1977 წელი 42
მოგონებები
ლონდონი, 1977 წელი 51
პიკნიკი მზეზე
სტამბოლი, 1954 წელი 68
სიმართლის ნაგლეჯი
ლონდონი, 1977 წლის დეკემბერი 74
დიდი ფიცი
ლონდონი, 1977 წლის ოქტომბერი 78
ესმა
ლონდონი, 1977 წლის დეკემბერი 92
ბაქლავის ყუთი
სოფელი მდინარე ევფრატის პირას, 1961 წელი 100
კომეტასავით სიყვარული
ადგილი მდინარე ევფრატის პირას, 1977 წლის დეკემბერი ... 110
არ არსებობს სიბრძნე უგუნურების გარეშე
სოფელი მდინარე ევფრატის პირას, 1961 წელი 118
რასიზმი და ბრინჯის პუდინგი
ლონდონი, 1977 წლის დეკემბერი 133
მზეთუნახავი და ურჩხული
ლონდონი, 1977 წლის დეკემბერი 147

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფუმფულა ჯემპრი
ლონდონი, 1977 წლის 18 დეკემბერი 155
სასწაულები
ლონდონი, 1977 წლის 24 დეკემბერი 160
ულვაში
ლონდონი, 1978 წლის 1-ლი იანვარი..... 178
ჩუმი სიურპრიზი
ლონდონი, 1978 წლის 2 იანვარი..... 183
სირცხვილი
ლონდონი, 1978 წლის 5 იანვარი..... 187
დაკარგული ნაწილი
ლონდონი, 1978 წლის იანვარი..... 194
ვაჟკაცური ჩხუბი
ლონდონი, 1978 წელი.....207
ქარვისფერი მიჯნური
ადგილი მდინარე ევფრატის პირას, 1978 წლის აპრილი.....214
ესმა
ლონდონი, 1978 წლის აპრილი.....224
შუშის გული
ადგილი მდინარე ევფრატის პირას, 1978 წლის აპრილი.....231
ცვილის ბიჭუნა
ლონდონი, 1978 წლის მაისი 237
კონტრაბანდისტი სახელად ჰარუნი
ადგილი მდინარე ევფრატის პირას, 1978 წლის მაისი 239
ესმა
ლონდონი, 1978 წლის მაისი 259
დარტყმა
ლონდონი, 1978 წლის ივნისი 262
დიდი ყავისფერი კალმახი
ლონდონი, 1978 წლის ივლისი.....271
ოჯახის თავკაცი
ლონდონი, 1978 წლის სექტემბერი 277
ვალი
ლონდონი, 1978 წლის 30 სექტემბერი 282

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მილმიერი კაცი
ლონდონი, 1978 წლის ოქტომბერი 284
გადაწყვეტილება
ლონდონი, 1978 წლის ოქტომბერი 292
დედა
ლონდონი, 1978 წლის ოქტომბერი 296
ჯოხი და შეკვრა
ლონდონი, 1978 წლის ოქტომბერი 310
თოკი
ლონდონი, 1978 წლის ოქტომბერი 323
ქვიშაქვა
აბუ-დაბი, 1978 წლის ნოემბერი 334
ესმა
ლონდონი, 1978 წლის ნოემბერი 343
მელანი აბრეშუმზე
ლონდონი, 1978 წლის ნოემბერი 348
შეხვედრა
ლონდონი, 1978 წლის 14 ნოემბერი 352
სიმშვიდის მოსასხამი
ლონდონი, 1978 წლის 1-ლი დეკემბერი 358
მაჯის საათი
აბუ-დაბი, 1982 წლის მარტი 365
სარკის ანარეკლი
ლონდონი, 1978 წლის 30 ნოემბერი 379
ლიმონის ხე
ლონდონი, 1978 წლის 30 ნოემბერი 383
ესმა
ლონდონი, 1978 წლის 1-ლი დეკემბერი 389
წმენდა
ლონდონი, 1978 წლის 5 დეკემბერი 393
ესმა
ლონდონი, 1992 წლის 12 სექტემბერი 398
სიზმარი სიზმარში
ადგილი მდინარე ევფრატის პირას, 1991 წლის მაისი 413
ესმა 419

www.PDF.ChiaturaINFO.GE